ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარი

9

1976

ალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაენა

შენ მოაქცია საქართველო,
შენ დაიხსენი,
ახლა შენს ტახტზე, სანატრელო,
სხედან ღირსებით.
შენ შეიწყალე ძმანი ჩვენი
და ნათესავი,
ახლა ნაომი ხმალი მშვენის,
ანა — მზესავით.
ძეო ღვთისაო, მეტს არ ვიტყვი,
ივერთა ვფიცავ,
მხოლოდ შენ გიცნან ჭეშმარიტი,
მხოლოდ შენ გიცნან.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთი

232

გამოცემის მეცხრამეტე წელი

9

სექტემბერი

1976

თბილისი

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქებანი და დიდებანი ქართველისა ენისანი

3. გრიგოლ აბაშიძე. ირაკლი აბაშიძე. თეიმო ბეჟიშვილი. რევაზ თვარაძე. ნიკო კეცხოველი. ვანო ჩხეიძაძე. ნოდარ ფულეისკირი.

პროზა, პოეზია

11. ნუგზარ ფერეთელი — ლექსები
15. კარლო ტაბატაძე — შთაგონებული. მოთხრობა
28. დავით მეიდლური — მომავლის ნათელი. ლექსი
29. შოთა ქავთარაძე — ლექსები
31. ჯემალ დავლიანიძე — მოთხრობები
56. რევაზ ჯაველიძე — ვაზთან დაბრუნება. ლექსი
57. რუსლან ღონღლაძე — მოთხრობები

ახალი თარგმანები

76. ალექსანდრე ტაბარდოვსკი — ზღაპრული ქვეყანა. პოემა. დასასრული. თარგმნა ოთარ ჭელიძემ
88. ანრი დე რენიე — ტაი აუს ამბავები. ფრანგულიდან თარგმნეს ედიშერ გიორგაძემ. და გიორგი ლოლაძემ

ნარკვევი

90. ზაურ ფიფია — ქედალს იქით...

ჩვენი კალენდარი

100. კოტა იმედაშვილი — დიდი ნათელი

წერილები

106. ალექსანდრე კალანდაძე — ქანრის გამოლვიძება
113. ბეჟან ბარდაველიძე — ფიქრები რევაზ ინანიშვილის პროზაზე
126. თეიმურაზ დოლაშვილი — თამაზ გიგილურის მოთხრობები
133. თამარ ცინცაძე — ალოდ მაკეი (შემოქმედებითი პორტრეტი)
141. დეკანოზი გოგოლაძე — გიორგი საკაკის უცნობი ქმნილ შესანები

ბიბლიოგრაფია

147. გიორგი ავალიანი — ფიგნი თავდადებასა და სიყვარულზე
151. ჯანსუღ ფვინჯილია — „მაისის მიწა“

ლიტერატურის მატიანე

154. იაკობ ბალანაშვილი — ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი.
ვალერიან ბაქრაძე
ბურაბ გვერდწითელი
ბივი გეგეჭკორი
რინმაგ გორდეზიანი
გიორგი გუდლია
ნოდარ ფუშნაძე
ირაკლ ილიოზაშვილი.
ედუარდ მენაგდი.
ოტია კაპანაძე.
(პასუხისმგებელი მდივანი).
ნუგზარ ფერეთელი.
ბარიელ ბანტარია.
რევზო ბეჟიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

ბომავლის ბურჯი

ქართველ ხალხს რამდენიმე საყვარელი და განუყრელი წიგნი აქვს. მათ შორის „დედა ენა“ ის წიგნია, რომელიც ყველაზე სათუთსა და ნაზ გრძნობებს აღგვიძრავს, ჩვენი ბავშვობის ოქროს დღეებს გვახსენებს და, განა მარტო ჩვენსას! ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ბავშვობის ეს კეთილი თანამგზავრი. ჩვენი ერის მუდმივი განახლებისა და მარადიული სიცოცხლის წინამძღოლია, ის საფუძველთა საფუძველია, რომელსაც ჩვენი ეროვნული კულტურის ზრდა და განვითარება ემყარება.

იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი — „დედა ენის“ შექმნა — თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც ჩვენს წინაპრებს შეუტანიათ ჩვენი ერის სულიერ საგანძურში. იგი ილიას, აკაკისა და ვაჟას ღირსეული თანამებრძოლი იყო, მათთან ერთად რეკავდა ეროვნული აღორძინების ზარს და, დღეს რომ ჩვენი სკოლა ასე მყარ, ეროვნულ ნიადაგზე დგას, ჩვენი მწერლობა და მეცნიერება რომ ასე ჰყვავის, ეს ახალი საქართველოს მოძღვრისა და აღმზრდელის — იაკობის ღვაწლიც არის.

როგორც ჩვილი შეისისხლხორცებს დედის რძესთან და იავნანასთან ერთად მშობლიური ენის სიყვარულს, ისე სკოლაში მისული ბავშვი, „დედა ენის“ გაშლიდან თვისებს სამშობლოს სიყვარულს.

და, რომ ჩვენს ქვეყანას ბევრი გულწრფელი პატრიოტი და თავდადებული შვილი ჰყავს, ეს იმ თესლის ნაყოფიც არის, რომელსაც „დედა ენა“ — და „ბუნების კარი“ აღვიებდა ქართველ ყრმათა მრავალი თაობის გულსა და გონებაში.

ქართველი ხალხი, საბჭოთა საქართველო სათუთად უვლის და პატრონობს თავისი ეროვნების ბურჯს — მშობლიურ ენას.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის მიერ მიღწეულ საყოველთაოდ აღიარებულ გამარჯვებებს, დიახაც ამშვენებს ჩვენი ენისა და მწერლობისათვის პარტიის შეუნელებელი ზრუნვა.

„დედა ენის“ იუბილე ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ზეიმია, ქართული ენის არნახული განვითარებისა და აყვავების დღესასწაულია.

გრიგოლ აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა წიგნი „დედა ენა“

„დედა ენის“ გამო, ამ პატარა წიგნის გამო, იაკობ გოგებაშვილი ჩვენი ბუმბერაზების გვერდით, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის გვერდით დაიყენა საქართველომ. სხვაც ბევრი და კარგი რამ დაუტოვა მან შთამომავლობას, დღეს რომ ტომებად ისტამბება, მაგრამ ილიასა და აკაკის გვერდით მხოლოდ „დედა ენის“, ამ სასკოლო სახელმძღვანელოს გამო მიუჩინა მას ადგილი მადლიერმა სამშობლომ.

მგონი, ჯერაც არსად მომხდარა, მშობელ ხალხს თავისი დიდი სულიერი მამების გვერდით დაეყენებინოს სახელმძღვანელოს, ისიც დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოს შემქმნელი. მაგრამ ეს წიგნი რომ მხოლოდ პატარების სახელმძღვანელო არაა, ჩვენმა ხალხმა იმთავითვე იგრძნო და გაიგო. დედის ნანასთან ერთად, ენის ადგმასთან ერთად, შეგვაყვარა ამ პატარა დიდმა წიგნმა ჩვენი უჭკნობი დედა ენა. და არამც თუ შეგვაყვარა, არამედ დაგვავალა კიდეც განუწყვეტელი ზრუნვა ჩვენი შშობლიური ქართული ენისთვის.

საბჭოთა ადამიანმა, სასურველია, და დღეს უკვე აუცილებელიც, რამდენიმე ენა იცოდეს, მათ შორის, პირველ რიგში, დიდი რუსული ენა, როგორც ეს თვით გოგებაშვილმაც უანდერძა შთამომავლობას; მაგრამ ზრუნვა მას მხოლოდ ერთი ენისთვის მოეთხოვება — დედა ენისთვის. ზრუნვა თვით სიკვდილამდე.

ჩვენ „დედა ენით“ ავიდგიმ ენა; ჩვენი შთამომავლები „დედა ენა“-ზე იზრდებიან.

ირაკლი აბაშიძე

ფვინდა ფიგნი

ქართველი ხალხის მიძინებულმა სულიერმა ენერგიამ მე-19-ე საუკუნის სამოციან წლებში კვლავ იპოვა დამშრალი კალაპოტი; ნიჭიერ და უანგარო მამულიშვილთა მთელი პლეადა გამოჩნდა ეროვნული კულტურის გაყამირებულ სარბიელზე...

იაკობ გოგებაშვილის ნათელი სახე განსაკუთრებით მკაფიოდ ირჩევა ამ დიდებულ თანავარსკვლავედში. მან შშობლიურ ნიადაგზე ისეთი ჯადოსნური ხე დარგო, რომლის ნაყოფსაც აგერ უკვე ასი წელია, უხვად იმკის მადლიერი შთამომავლობა და ამ ხის ძლიერი, უბერებელი ფესვები მომავლის მრავალკამიერობასაც გვპირდება!

„დედა ენა“! ამ ორ სიტყვაში მიგნებული და შენივთულია ის ღვთაებრივი მელოდია, რომლის ყოერაც ყველა შეგნებული, ყველა წესიერი ქართველის სმენას იმედიანად, შშობლიურად ესალბუნება.

ენაა უპირველესი დედა ყოველი ერისა! ისაა მისი ყველაზე სანდო, ყველაზე სათმედო თავშესაფარი! მხოლოდ ამ ოაზისში იშვებს დათრგუნულ-დაბეჩავებული კაცთა სული და ნება... ეს ოაზისი თითქოს ხელახლა აღმოგვიჩინა იაკობ გოგებაშვილმა, იმ ზღაპრული მზეკაბუკივით, გველეშაპს რომ წყარო გამოსტაცა. მთელი მერმინდელი აღორძინებულ-განახლებული ქართული კულტურის ლიბოდ „დედა ენაა“ საგულვებელი. არაა „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ქართული წიგნი, რომელსაც ჩვენი ერისთვის ასეთი პრაქტიკული და სულიერი სამსახური გაეწიოს.

იაკობ გოგებაშვილში იდეალურად შეთანხმებულია მწერალი და მოძღვარი. „იავნანამ რა ჰქმნა“ უკვდავი ჰიმნია მშობლიური ენის გრძნეულ ძალაზე. ასეთი ფსიქოლოგიური მოთხრობა მხოლოდ გენიოსის ხელიდან შეიძლება გამოვიდეს!

საუკუნეს გამოვლილი „დედა ენა“ დღესაც ხერხემალია ქართული პირველდაწყებითი სწავლებისა. „აი ია“ ამ ჯადოსნური სიტყვებით იწყებენ კვლავაც ქართველი ბავშვები იმ ძნელ, მაგრამ სასიამოვნო გზას, რომელიც მშობელი ქვეყნის უნაგარო სამსახურში უნდა გაილიოს. ეს გზა თვით წმინდანივით გაიარა დიდმა იაკობმა და ჩვენც, შთამომავლობასაც, საშვილიშვილოდ მოგვანიშნა მისი გეზი.

თეიდო ბეჟიშვილი.

„იას უთხარით ტურფასა...“

სიყრმის ჟამს ყოველი სულდგმული საკუთარ წიაღშია დავაწებული და ძნელად ბედავს ფეხის გამოდგმას ამ მყუდრო სამუდარიდან. მით უფრო, როცა გარემო, რომელშიც უნდა შემოაბიჯოს, მისი სათუთი არსების შესატყვისი ვერ არის ხოლმე — ან უფერულია, ან ულაზათო, ან მრუმე, ტლანქი, უხეში თუ სასტიკი. „იას უთხარით ტურფასა — მოვა და შეგეკამს ჭიაო... შენ ნუ გგონია სიცოცხლე სამოთხის კარი ღიაო“... — ამ ზარდამცემი აზრის გაეცვლების შემდეგშიც მოესწრება, რა რომ სიმწიფეში შევა, გამაგრდება და პირაშკმულ უფსკრულთა გადალახვა მოუწევს. სიყრმის ჟამს დედამისივით თბილი, მოალერსე, ვარვარა მზის სხივებით უნდა იყოს შუქფენილი მისი არსებობა, მხოლოდ ლაჟვარდი ზეცა უნდა დანათოდეს და ია და ვარდი ეფინოს გზაზე. ლაჟვარდისფერი, ტურფა ია და არა ჭიის მიერ შესაკმელად განწირული...

რა გულმეცნიერი უნდა ყოფილიყო ის კაცი, ვინც ყრმათა საკითხავ სულ პირველ წიგნს „დედა-ენა“ უწოდა! იმ ყრმათათვის ხომ არაფერია უფრო მტკივნეული, ვიდრე დედის კალთიდან ძალისძალად მოგლეჯა — მორჩა, ბალღობა გასრულდა, ეხლა ცოდნის შეძენა გმართებსო. არა, ის ბრძენკაცი სხვარიგად შეეპიტყვა ბავშვს: შენი ენაც დედაო შენი, უთხრა, ნუ გეუცხოვება, ნუ კრთი, მოდი, ესეც დედასავით მოგიალერსებსო.

რა გულმეცნიერი უნდა ყოფილიყო ის კაცი, ვინც იმ ყრმათა საკითხავ სულ პირველ წიგნში ია დაასახელა სულ პირველად! ლაჟვარდისფერი, ტურფა ია და არა დაბდვერილი კედელი, გამოშტერებული მაგიდა ან ცხვირჩამოშვებული კარადა (არ გატანჯულხართ ბავშვობაში უცხო ენის შესწავლისას ამ საშინლად მოსაწყენ საგანთა სახელების ზეპირობით?!). თუ არსებობს ქვეყნად უდიდესი ესთეტი, უასაკო ბავშვი გახლავთ ჭეშმარიტად. და ეს ესთეტი დიდად შეცბუნებული და, თუ გნებავთ, შეურაცხყოფილი რჩება სულის სიღრმეში, როცა მთქნარების მომგვრელი წილადობილათი ცდილობენ აზიარონ გენათლებად, ცოდნად, სიბრძნედ სახელდებულ სამყაროს.

ბედნიერია ის ხალხი, ვისნი შვილნიც იმთავითვე დედად უხმობენ თავიანთ ენას და ტურფა-იის ხსენებით იწყებენ მსოფლიოში ერთი უმშვენიერესი ანბანის შეთვისებას.

რევაზ თვარაძა.

ია და ვარდი გფენია!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ სიტყვებით დალოცავდა ხოლმე ქართველი დედა შვილს, როდესაც იგი ცხოვრების დიდ გზას დაადგებოდა. ძუძუთა იყო და აკვანშივე უმღეროდა: „იავ ნანა, ვარდო ნანა“...

ალბათ იაკობ გოგებაშვილს დედის იავნანა კიდევ ესმოდა, როდესაც თავისი „დედა ენის“ შედგენა გადაწყვიტა და იგი სწორედ დედის გულის სიყვარულით გამთბარი თავისი „დედა ენა“ ითთ დაიწყო. იქნებ სწორედ ამან გადაწყვიტა წიგნისა და ჩვენი ბავშვების ბედი;

ამ წიგნმა სასახლეშიც შეანათა და მიწურშიც, ოდაშიც და ფაცხაშიც, მთაშიც და ბარშიც და გახდა არა მარტო ყველაზე საყვარელ წიგნად, არამედ ყველაზე უფრო ეროვნულ წიგნად. მან ქართული ენა აღორძინა და თავის... ღირსება დაუბრუნა, თორემ რა იქნებოდა ერი, რომელსაც თავისი გამართული ენა არ ექნებოდა. უენოდ ერიც არ არსებობს. ენაა, რომელიც ერს თავის ღირსებას უნახავს. სხვა ენაც საჭიროა კარგად შეისწავლო და გაუფრთხილდე, მაგრამ უფრო მეტად კარგად უნდა იცოდე საკუთარი ენა და უფრო მეტად უნდა გაუფრთხილდე მას.

რა იყო ის ფენომენი, რომელმაც ქართველ ბავშვს ასე შეაყვარა ეს წიგნი, და მაშასადამე, განათლებაც? ამის მიზეზი ისიც იყო, რომ გოგებაშვილმა თავისი დედა-ენა „ითთ“ დაიწყო.

დახედა თუ არა ბავშვმა წიგნის პირველ გვერდს, უმალ ია შეიცნო. იამ მოაგონა გაზაფხული, გაზაფხულის სურნელება, გაზაფხულის პირველი ყვავილები: ენძელა, ყოჩი-ვარდა, ყუნჭრუკი, ცისთვალი; მოაგონა, როგორ შეიგრძნო გაზაფხულის სითბო გრძელი ზამთრის შემდეგ, რაც მთავარია, მოაგონა დედა, ტკბილი დედა, მისი „იავნანა ვარდონანა“, მისი სითბო და სიყვარული. ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ პირველ გვერდდანვე შეიყვარა იგი?

ამ წიგნის შემდგენელის გენიალობაც სწორედ ის არის, რომ პირველივე ასოთი ბავშვი მოაქცია თავის საყვარელ გარემოში, პირველივე ასოებითვე ბუნებაშიც შეახედა და მთელი წიგნის მანძილზე იაკობ გოგებაშვილს ბავშვი ბუნებიდან არ გამოჰყავს. მასალას ყოველთვის ისეთს ურჩევს, ბუნების რაიმე საიდუმლოება გააცნოს და ამ გეზსა იაკობ გოგებაშვილი მოიყვანა „ბუნების კარამდე“, რომელიც დედა ენის ბრწყინვალე გაგრძელებაა.

ანბანის მეორე ასოს „ბ“-ის შესასწავლად „ბ ულ ბ ულ ი“ აქვს შეტანილი, ჯერ ერთი, „ბანი“ ორჯერაა გამეორებული და, მეორეც, ბულბული ბავშვს აგონებს საღამოებს, როდესაც ბულბული ასე სასიამოვნოდ გალობდა, შემდეგ „ბანის“—დასამაგრებლად მოტანილი აქვს „ობობა ამლაბუდას აკეთებს“, აქაც ხუთჯერ მეორდება „ბანი“. შემდეგი სიტყვებია ბებერი, ხოხობი, ლობიო, თბილისი და სხვა. ჯერ ერთი რომ, „ბ“-ს ამდენჯერ გამეორებით გონებაში კარგად აღიბეჭდა და, გარდა ამისა, მოსწავლე ახალ ცნობებსაც იღებს „თბილისი დიდი ქალაქია“, „ობობა ამლაბუდას აკეთებს“ და სხვ.

ასეა თითქმის ყოველი ასოს შესწავლის დროს, ბავშვი ყოველთვის ეცნობა ბუნების რაიმე მოვლენასაც, ისეთს, რომელსაც ადვილად შეითვისებს.

მთავარი აქცენტი ბუნების გაცნობისა თუ დაცვის შესახებ გადატანილია მეორე, ეგრეთწოდებულ, საკითხავ ნაწილში. მრავალი მოთხრობა, ლექსი, გამოცანა, ანდაზა ბუნების სულთქვითაა გამთბარი.

წიგნს დართული აქვს სურათებით ავსილი გვერდები: ზოგი ყვავილებს გვაჩვენებს, ზოგი მინდვრის მცენარეებს, ზოგი ბაღისას, აქაა სურათებით სავ-

ხე ფურცლები გარეული ცხოველებით ცალკე, ცალკე ფრინველებით, თევზებით, ქვეწარმავლებით, ნაყოფებით და სხვა.

ყოველ ნახატს მოსწავლემ უნდა უწოდოს თავისი სახელი და მოჰყვეს მის ავ-კარგიანობაზე. რაც მთავარია, ამას ხშირად თან სდევს შესაფერისი ფორმის და შინაარსის ხალხური ლექსი, ანდაზა, გამოცანა, რაც ენის ერთ-ერთი გამამდიდრებელიცაა.

დედაენის დამთავრების შემდეგ ბავშვს დიდი რაოდენობით ჰქონდა შეთვისებული ცნობანი ბუნებაზე და, რაც მთავარია, მას ბუნება უკვე უყვარდა, უყვარდა თავისი გარემო, ბაღი და ვენახი, სახნავ-სათესი, მთა და ბარი, თავისი ლამაზი სამშობლო, თავისი ხალხი, თავისი ერი. ვინც ერთხელ დაეწაფებოდა დედაენას, მისი ნათელი ბოლომდე გაჰყვებოდა. ი. გოგებაშვილმა „დედა ენით“ ქართველ კაცს კაცური ქუდი დაახურა და კაცურ გზაზე დააყენა.

ნიკო კეცხოველი.

მოძღვარი

საქართველოში რამდენიმე სახლია, ღვთიური შარავანდედით რომ ასხივებენ. ისინი ჩვენი სულიერი კულტურის წმინდა ნაწილებია, რამეთუ მათში დიდებულ ქართველთა დიდებული ხელვები ბუდობენ.

ჩვენ მივდივართ თითოეულთან, მუხლს ვიყრით ძვირფასი აჩრდილების წინაშე და მათი შუბლების ნათელ ცას ვლოცავთ...

— აბა, ბავშვებო, ერთად მიპასუხეთ, — ვინ შეადგინა „დედა ენა“.

— იაკობ გოგებაშვილმა! — ორმოცამდე პირველკლასელის ხმა ოთახს აზანზარებს, თმაჭაღარა თამარ მასწავლებელი ჭკერდზე ხელებს დაიკრეფდა, თითქოს ჩვენი ხმა, ჩვენი მზერა, ჩვენი ბავშვური და სულელი თავები მკერდში ჩაიკრაო და მომხიბლავი ხმით იწყებდა თხრობას გამოჩენილ პედაგოგზე, მწერალზე, საზოგადო მოღვაწეზე...

მოწყენილობისა თუ სიხარულის ჟამს, როცა განმარტოებულს წარსული თავისკენ მიმახედებს, — უპირველესად ის ხმა წამიერ ნეტარებად დაიკვლის სხეულში.

უფრო ძვირფასი და სათუთი არაფერი შემორჩენია ცნობიერებას...

გასაოცარია იაკობ გოგებაშვილის პიროვნება, კაცმა, რომელსაც თავისი შვილის ტიტინი არ მოუსმენია, მთელი ქართველი ბავშვების თვალთა დაინახა საყარო!

იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა ერთი მრავალხმიანი სიმღერაა, — ქართველი მოზარდის აუმღვრეველ გონებაში ნაკადულივით რომ გადადის, „პატარა ქართველს“ თხემით ტერფამდე ჟონავს და ასწავლის უსაზღვრო სიყვარულს მრავალსმნახველი მამულისა...

ამ სიმღერას ლეიტმოტივად გასდევს:

„ღმერთმა თქვენს გულშიც აღზარდოს, ჩემო ყმაწვილნო მკითხველნო, მოყვასთა ჩაუქრობელი სიყვარული, გაგაძღოთ მათი სიყვარულით თქვენდამი“...

„ვეფხისტყაოსანმა“ და ქართველმა ერმა ერთმანეთი გადაარჩინეს.

ასი წლის წინათ გამოცემული „დედა ენა“ თაობების ლამპრად იქცა.

ლამპარი უნდა მიეძღოდეს შემდგომ საუკუნეებშიც იმათ, ვის მკერდშიც ქართული გული იდება, ვის ძარღვებშიც ქართული სისხლი იჩქეფებს...

ქართლსაც მოადგა ფერისცვალება. მწიფე კომპალის კიკინით გართულ

ნიტს პატარა ბიბმა აუქმია და კოკურის ქნევით წყاროსკენ გზა განაგრძო. მაცხოვრის ეკლესიის ჩრდილი აეტუზა ხეებს შრიალში გარინდულ შენიშვნებ.

ვარიანელი მოძღვრის ჭერქვეშ დიდებული ხილვები მტრედებივით ღუღუნებენ.

ვანო ჩხიკვაძე.

ბალოგრაფია სიტყვა

როცა ი. გოგებაშვილის „დედა ენას“ ხელში აიღებთ, პირველსავე გვერდებზე სამ საკვირველებას წაიწყებთ: წიგნის სათაურს — „დ ე დ ა ე ნ ა ს“, განუმეორებელ პირველ გაკვეთილს „ი ა ს“ და იქვე, პირველ აზრს, პირველ წინადადებას „ა ი ი ა ს“.

ქართულ საანბანო წიგნს ისეთივე დიდი ისტორია აქვს, როგორც ქართულ ანბანს. ხელნაწერ საანბანო წიგნებს თავი რომ გავანებოთო, 1629 წ. რომში საერო შრიფტით ი. ჩოლოყაშვილს გამოუქეყნებია „ანბანი იბერიელთა“, 1703 წ. არჩილ მეფის შვილს ალექსანდრე ბატონიშვილს სტოკჰოლმში გამოუცია ქართული საანბანო წიგნი. შემდეგ სხვადასხვა დროს გამოსულა პლ. იოსელიანის, ივ. კერესელიძის, დ. ფურცელაძის, ს. მდივანოვის, პ. უმიკაშვილის, ვ. თულაშვილის და სხვათა მშობლიური ენის სახელმძღვანელოები. 1876 წ. კი გამოდის ი. გოგებაშვილის საყმაწვილო წიგნი, რომელსაც მისი ავტორი „მშობლიურ ენას“ და „მშობლიურ სიტყვას“ კი არ არქმევს, არამედ „დ ე დ ა ე ნ ა ს“.

საანბანო წიგნისთვის უკეთესი სახელი ჯერ არავის დაუტქმეკია და ალბათ ვერც ვერავინ იპოვის უფრო ლამაზ, ტევად, სხარტ და შინაარსიან სიტყვას, ვიდრე „დედა ენაა“.

ი. გოგებაშვილმა ჩვეული გენიალური უბრალოებით ყმაწვილებს უთხრა. ეს წიგნი გახლავთ დედა წიგნი, მთავარი წიგნი სხვა წიგნებს შორის, რადგან ის შეგასწავლით დედასავით საყვარელ მშობლიურ ენასო. თითქოს ამ დღიდან შეერქვა მშობლიურ ენასაც დედაენა და უფრო მახლობელი და საყვარელი გახდა ხალხისათვის.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით: „დედა ენამ“ ისეთივე როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც დიდგორის ბრძოლამ. „დედა ენის“ გამოსვლა გამარჯვებას ნიშნავდა. გაიმარჯვა ქართულმა ენამ. გაიმარჯვა ილ. ჭავჭავაძის იდეამ. გადაგვარებულ ქართულ ოჯახებში „დედა ენა“ შეიპარა და თავისი დიდი საქმის კეთებას ჩუმად შეუდგა, — ვითომც აქ არაფერია, ბალღებს ისაა და თითის ამბავს ვასწავლიო.

ილ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის და სხვა მათ თანამოაზრეთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის პროგრამაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა მომავალი თაობის აღზრდას.

ამ პერიოდში შეიქმნა ქართველის დედის დიადი სახე. „ქართველის დედაო, ძუძუ ქართველისა ე ბ ე ნ მამულსა უზრდიდა შვილსა“... — მოაგონებდა დედებს დიდი ილია. აკაკი წერეთელმა ისეთი „იავნანა“ დაწერა, აკვნიდანვე ჩაენერგა ყრმას სამშობლოს სიყვარული. „შვილო, მამულის გულისთვის სისხლი დაღვარეო! ჩვენ ძველებმაც მაგგვარადა მტერი აშინაო! იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო...“ „იავნანამ რა ჰქმნაც“ ხომ ამ მიზანს ეკუთხურებოდა.

თავისუფლებისათვის ბრძოლა აკვნიდან უნდა დაწყებულიყო. აკვნიდანვე უნდა ეზრუნა მომავალი თაობისათვის. „შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, ერთობას, თავისუფლებას". „დედა ენაც" ამიტომ დაერქვა საყმაწვილო წიგნს, თორემ ი. გოგებაშვილს ლამაზი სიტყვები „კუნწულა", „აკიდო" და მისთანანი არ დაელეოდა.

ილია ჭავჭავაძე და მისა თანამებრძოლები, როცა ასეთ ტოტალურ პროგრამას ანხორციელებდნენ, ხალხს ეყრდნობოდნენ, ხალხის წიაღიდან მოჰქონდათ ეს „პედაგოგიური" მეთოდი: **აკვნიდანვე დაეწყოთ თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანის აღზრდა.** ქართულ ხალხურ ნანებსა და სააკვნო სიმღერებში უამრავი მაგალითია, როცა დედა ჩვილს გმირობისაკენ, ვაჟკაცობისაკენ მოუწოდებს. სანიმუშოდ მოვიტან რამდენიმე ნაწყვეტს ერთი მეგრული „ნანადან", სადაც დედა ჩვილს ნანას კი არ უმღერის, თურქების წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ გეგმას უსახავს:

„რა ვქნათ, შვილო, ნანა, თურქები არ გვაყენებენ, კაცს ყველაფერს წაართმევენ, მერე ჩამოახრჩობენ... მამაშენი, უბედური, თურქებთან ომობს, წასვლის დღეს დაგიბარა: მალე უკან გამომყვესო. ჰატარა იყავ, მაგრამ გიცნო, ეს არა ჰგავს მხდალსო, შენი აბჯარი მზადაა, უკან მიპყევ ჩქარა, ლურჯაც შეკაზმულია, დაგილოცავ გზასაო. მაგრამ შვილო, ამას დაგაბარებ, ვთხოვ, ყოველ თვის გახსოვდეს: **„ზურგი არ უჩვენო მტერს არასოდეს, ასიც რომ მოგდევდეს!"** (ტ. გუდავას „ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები").

ხედავთ, როგორი კატეგორიული, მტკიცე და მომთხოვნია დედა: ყოველთვის გახსოვდეს: ზურგი არ უჩვენო მტერს არასოდეს, ასიც რომ მოგდევდეს. როგორ ჰგავს ეს დედა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და იაკობ გოგებაშვილის დედებს!

აი, ამ ხალხური დიდი ტრადიციით ხელმძღვანელობდა ი. გოგებაშვილი, თავის ხელთუქმნელ საყმაწვილო წიგნებს რომ ქმნიდა, თამამ, დიდ აზრს რომ აქსოვდა შიგ. ყრმათა ასაკის არ ეშინოდა, რადგან აღზრდის ხალხური წესი და „მეთოდი" ზურგს უმაგრებდა.

მეორე საკვირველება, რაც ყმაწვილს პირველსავე გვერდებზე შეხვდება, პირველი გაკვეთილია — **ია.** ალბათ ძნელია მოიძებნოს, მეორე ასეთი მარტივი, ლამაზი დიდაქტიკური პირველი გაკვეთილი.

„პირველი გაკვეთილი „დედა-ენის" ანბანისა აკმაყოფილებს ყოველს პედაგოგიურს მოთხოვნილებასაა სავსებით და უნდა ჩაითვალოს იდეალურ გაკვეთილად, და ეს უნდა მიეწეროს **ქართულის ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასა** — თუ სხვა ხალხების ანბანში ვერ იპოვნით ამისთანა სრულსა და მარტივს პირველს გაკვეთილსა, ეს პედაგოგების უხეირობისაგან კი არ წარმოსდგება, არამედ ენათა თვისებისაგან, ნაკლულევანებისაგან". (ი. გოგებაშვილი).

ეს სიტყვები სწორედ რომ შეშვენის „დედა ენის" შემოქმედს, დიდ მამულიშვილს იაკობ გოგებაშვილს. რა დამაჯერებლად დაიმდაბლა თავი! როგორი კეთილშობილი და რაინდული სული ტრიალებს ყოველ სტრიქონში!

ეს პირველი გაკვეთილი გახლავთ სწორედ გენიალური პედაგოგიური აღმოჩენა! ეს არის სამთხის კარი, საიდანაც ყრმა შედის განუმეორებელ მშვენიერს სამყაროში, ია ია ია, თხა და გიგოს, ყმაწვილისა და პეპელას უნაზეს და ულამაზეს ქვეყანაში. აქედან იწყება ყმაწვილის ადამიანად ქცევის წარმტაცი პროცესი.

ქართული ენა, მართლაც რომ მდიდარი, განუსაზღვრელი შესაძლებლობებისა და დიდი პოტენციის ენაა. ქართული სიტყვის უკიდეგანო, უძირო ოკეანეში სადედაენო სიტყვის პოვნაც შეიძლება და საეფხისტყაოსნოც, მაგრამ მარგალიტების მძებნელ მყვინთავს მძლავრი ფილტვები უნდა ჰქონდეს. მარგალიტები ოკეანის ფსკერზე იპოვებიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთ-ერთი ასეთი ხელიხელსაგოგმანები მარგალიტი გახლავთ — **ია** ერ-უმარტივესი, **ა**ადვილესი, ამოდ სასმენი და ადვილად გამოსათქმელი სიტყვა ბავშვის მეხსიერებაში უსწრაფესად აღიბეჭდება სამუდამოდ, ეს კი იმას ნიშნავს, მშობლიური ენის შესწავლა საიმედოდ დაიწყო, ბალავარი მკვიდრად ჩაეფუძნა.

შემდეგ? შემდეგ, პედაგოგს შორს წასვლა არ სჭირდება, არც სხვა ასო-ბგერების მოშველიება, ბავშვის გონებაში ხომ აღიბეჭდა ორი ბგერა **ი** და **ა**. საჭიროა მათი გადაადგილება, მეტი არაფერი: **აი**. ესეც ახალი სიტყვა! ასე მარტივად, ასე ადვილად წარმოიშვა ახალი სიტყვა! ახლა ამ ახალს თუ ჩვენს ნაცნობს — **ია** ამოვუკუპებთ გვერდში, კიდევ უფრო დიდ საოცრებას მოვახდენთ: მთელ წინადადებას მივიღებთ ა ი ი ა.

მაშ, პირველმა გაკვეთილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი შედეგი მოგვცა, — დაბადა პირველი აზრი, პირველი წინადადება. ხოლო მთელ ამ სპექტაკლს ორად ორი მოქმედი გმირი ჰყავს: **ი** და **ა**. უკეთეს გაკვეთილი ინატრებს ადამიანი ბავშვისთვის? განა ეს საკვირველი არ არის? ი. გოგებაშვილამდე ვინმეს რომ ეთქვა, ორი ასოსაგან წინადადებას შევადგენო, ჭკუათმყოფელად მივიჩნევდით?

ჯადოქრის ხელითაა შედგენილი „დედა ენა“. ეს ისეთი წიგნია, რომლის ყოველი სტრიქონი დიდ ანალიზსა და დაკვირვებას მოითხოვს, ყოველი გაკვეთილი აზრითა და გრძნობითაა სავსე. ტაშფანდურა წერილებით, რასაკვირველია, „დედა ენას“ კოჭამდეც ვერ მივწვდებით, მაგრამ თუ კოჭამდეც მივწვდით, ესეც დიდი ღვთის წყალობა იქნება.

„დედა ენის“ ანალიზს მე არ ვაპირებ, არც მისი დიდაქტიკურ-შემეცნებითი ღირებულება შემისწავლია სათანადოდ.

ჩემი მოკლე საზეიმო წერილით მე მხოლოდ გავიხსენე დიდი მოძღვარი და მასწავლებელი, საყვარელი „დედა ენის“ ავტორი და, როგორც წინაპრები იტყოდნენ, „გალობისა სიტყუა“ ვუთხარი მას.

ნოდარ წულეისკირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ წერეთელი

მამულისადმი

როგორ მრცხვენია და მერიდება,
ძალიან ხშირად შენი, მამულო,
რომ ვერაფერი ვერ გაგიკეთე.
სასიკეთო და სასიხარულო!
ისე გაფრინდა ცხოვრება ჩემი,
როგორც ნისლი თუ როგორც სიზმარი,
რაც დამავალე, ვერ აგისრულე.
ვერ მოგიტანე,
ვერ მოგისწარი!
ხან იყო დარი ქარიშხლიანი,
ხანაც ფარავდა ბნელი ბილიკებს,
ჩემი ოცნება
იმ გაფრენილმა
წლებმა
დარდივით ჩამოირიგეს!
ხან არ შემწევდა სურვილებივით
ძალი კაცურად მაღლის შეწვდომის,
ახლა ძნელია და ურთულესი
გამოსწორება ყველა შეცდომის!
შენ მაინც გჯერა ჩემი სიკეთის,
არ მირისხდები
და არ მემდური,
არ დამკლებია იმედებივით
შენი სითბო და
ზრუნვა დედური!
სადაც დავდივარ, მხრებზე ტვირთივით
მადევს მუდმივი დამდა მოვალის,
და მერიდება შენი უმეტეს,
რადგან ხარ ასე დიდსულოვანი!
ამიტომ მუდამ,
ამიტომ მარად,
შენთვის სიკეთის ვრჩები მძკბნელი,
რომ გავაკეთო რაც შემიძლია,
ან უფრო სწორად —
შეუძლებელი!

●

ქალაქს სურნელი სცემდა იების
და მოგონებებს არწევდა ქარი,
მარტის დარების შენაციები
დასალიერთან ცა იყო მკრთალი!
ტოტებს კვირტები ეკიდნენ მიჯრით,
როგორც მაისის წვიმის წვეთები,
გადასალახად უხილავ მიჯნის
კვლავ მივდიოდი თავგამეტებით!
ან გაზაფხული მაძლევდა იმედს,
ან საკუთარი სურვილი-ცხადი,
მსუბუქდებოდა დარდივით მძიმე
და ძველებურად უდარდელს ვგავდი!
ვიცოდი, რასაც ვნახავდი მალე
და ვით შეგრძნება
გახსნილი ფარდის,
ეფინა ფართოდ გახელილ თვალებს
მწვანე დარები ლამაზი მარტის.
ქალაქს სურნელი სცემდა იების,
როგორც მონასტერს სუნი საკმევლის
და იმედიან სურვილს ძიების
ჩვილი ბავშვივით სახელს ვარქმევდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ბევრჯერ გნახეთ...

ივანე ჯავახიშვილს

თქვენით განათდა და გალამაზდა
შორი წარსულის მიმქრალი კვალი,
მე ბევრჯერ გნახეთ,
როცა არმაზთან
წარსულს სინჯავდით ნაცადი თვალით!
გამქრალ მიდიას,
ურარტუს,
ხეთას,
ხედავდით ათას მიჯნათა იქით,
მე ბევრჯერ გნახეთ,
როდესაც მცხეთას
გადაყურებდით წარსულზე ფიქრით!
მამულისათვის თქვენი შეძღების
ბურჯებზე იდგა მომავლის სიდი,
მე ბევრჯერ გნახეთ,
ნამცეცს ეძებდით
და ისტორიის სასახლეს ქმნიდით!
დიდების მცველებს უხმობდით ბუკით,
დაბრძანდებოდით სიმართლის ბეჭდით,
მე ბევრჯერ გნახეთ,
მომავლის შუქით
საუკუნეთა სიბნელეს ჭვრეტდით!
ისევ იცვლება სამყარო ვრცელი,
და არაფერი ადგილზე არ დგას,
მე ასლაც გხედავთ,
სახება წრფელი
სოფიარ მამულს შუქივით ადგას!

და მერე შენით ვიგონებ თელავს

ცოტნე-დან „მამული"

ხშირად ცხადივით განვიცდი ამას,
როცა საავდროდ გრილა და ელავს,
მე შენ გიგონებ ძალიან ლამაზს
და მერე შენით ვიგონებ თელავს!
დგას შემოდგომა ალაზნის ველზე,
რომ ღვინომ გზები გადამიხლართოს,
ალავერდშიაც ლექსივით გეძებ,
შემოხეზნული გრემს და იყალთოს!
შემოდის დილა
ბშრალი და ცივი,
მთოვარე კი რჩება მთაზე ყანწივით,
მანქანის თვალი ქარივით წვიეს
და იკეცება შორი მანძილი!
ედება გომბორს ათასი ფერი,
ქარვა, ფირუზი, თუ მეწამული,
ათასი ფერით
დგება და მღერის
ჩემი სული და
ჩემი მამული!
გადის ფიქრიდან შავი და მძიმე,
და ამ ფერებით ენთება სახე,
გომბორი ყელზე იკიდებს მძივებს,
მერე ქალივით გაჰყურებს კახეთს.
წინ გზა იყოფა ორად თუ სამად,
და ფიქრი ჩემი სამივეს თელავს,
...მე შენ გიგონებ ძალიან ლამაზს
და მერე შენით ვიგონებ თელავს!

ზღვასთან, დიდთოვლოგისას

გურამ რჩეულიშვილს

სიერცე სილურჯით უსაზღვროდ მკვეთრი,
ჩანდა ზღვისპირ და ისეთი თეთრი,
ისეთი მსხვილი თოვლი ცვიოდა,
თითქოს ზეციდან
უხილავ ხელით
გულუხვად ყრიდნენ
ნატიფ მიხაკებს,
იდგა სიმშვიდე,
ალარ ციოდა,
გზაგზა გარბოდნენ ქედები სველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ მატარებელს სავალი ვრცელი
ედო შორეულ მოსკოვისაკენ!
გაგრასთან ცივი ფანჯრიდან მზირალს
არ მცილდებოდა სახება შენი,
ვხედავდი მღვრიე სტიქია გძირავს,
სალტეებს გაბამს ფართო ქამარზე,
გხლართავს და მერე
ვედარ ცილდები,
შორს გატაცებულს ჩუმად გამარცხებს,
მაშინდელივით ვერავინ გშველის!..
ირგვლივ ცვიოდა უხილავ ხელით
აურაცხელი ნაზი ფანტელი,
რომლებიც ასე გავდნენ მიხაკებს,
ამ თოვლიანი დღიდან განდევნილს,
და ფრთებდალეწილს განგების ნებით,
რომ გიხსენებდი
აღარც მჯეროდა,
თუ უდარდელად იგივე გზები
ოდესღაც ვთელეთ მოსკოვისაკენ!
გარდასულ წლებით ჩამარხულ ჭურვებს
მკერდის სიღრმეში გაჰქონდათ სკდომა..
საოცარ დარდებს აღგიძრავს თურმე
ზღვაზე ნატიფი ფიფქების კვდომა!

ტბა სტეპში

უსაზღვრო სტეპში,
როგორც თვალი პატიოსანი,
ჩანს ტბა ცისფერი და უმოძრაო.
ღქვე სოფელი შეფუთნულა არყის ხეებში,
მიმცრო სახლები
მოჭუტული მწვანე თვალებით,
ითიქოს ხეებზე გარჩენილან ვასაკებივით.
სტეპების ქარი გაუთელავ ჭრელ
ფარდაგივით
ლივლივით კეცავს ტბის ნაპირას მაღალ
ბალახებს.
მატარებელის წამიერი ხმაური არღვევს
უსაზღვრო სტეპში გამეფებულ მყუდრო
ზმანებას.
და მე მშურს მათი,
რომ დამსხდარან ტბის ნაპირებთან,
რომელთაც ალბათ
ახლა ერთი თევზის დაჭერა
სულ ურჩევნიათ
ყველა განცდას,
ლეკსებს,
ძიებას...
ტბა დარჩა სტეპში
გარინდული და უმოძრაო.

კავკასიონიდან თბილისამდე

მყისვე ვიგრძენი
კავკასიონზე,
რომ ახლოს იყო ჩემი მამული,
სუსხივით დარჩა
მთების გადაღმა
თუ რაც მქონდა მე უამური!
გამოვარჩიე
ვერცხლით,
სიმწვანით,
სიპით ნაფერი ჩემი ქედები,
და ხეობები
მდინარეების
აქაფებული თეთრი ღვედებით!
ქარივით ქროდა
უსწრაფეს ლტოლვის
საოცრებებით სავსე დროება,
მე კი მავსებდა მკვეთრი კიაფით
მყინვარწვერი და
უსაზღვროება!
ახლოს ელავდა
ზურმუხტისფერი
მარადიული სარკე ყინულის,
მზის უჩინარი მწველი თითებით
გაიხსნა ჩემთვის ცა შემინული!
ცაზე არ იყო ღრუბლის ნასახიც
და ორთოდა სივრცის თეთრი ეკრანი,
დამწიფებული მზით ივსებოდა
სული დაღლილი
და ნაეკლარი!
მზე იყო ძალზე ცხელი და უხვი,
მიდამო იყო სავსე
ოქროთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიხაროდა,
ალბათ პირველად,
მიწავ. რომ ჩემკენ
სწრაფად მოქროღი!
რომ ახლოს იყო
იმედით სავსე,
თბილი,
ძზიანი
ჩემი მამული,
სადაც მელოდა,
თუ რამე მქონდა,
სასიხარულო და საამური!

დაუვიწყარი შეხვედრა

მე ახლაც მიკვირს,
როგორ ვიჯექი
ერთხელ თქვენს გვერდით
და ღვინოს ვსვამდი,
ანდა უბრალოდ, როგორ გიცქერდით,
თქვენ ხომ იყავით მაღალი ცამდი!
ვიღაც-ვიღაცებს ეგონეთ მსმელი,
და კიდევ უფრო ვიღაცებს ლოთი,
არც კი იცოდნენ,
ასეთი ბედი
საუკუნეში რომ ერთხელ მოდის!
მე დღემდე მიკვირს,
უბრალოება
როგორ შემოგრჩათ ღმერთს თუ გენიოსს,
ის საოცარი ღვინის სმა მახსოვს,
თითქოსდა მეტი არ დამელიოს!
იანვრის ღამე,
ცივი პროსპექტი,
ტუჩაწეული პატარა დოქი,
გახსენდებოდათ ზუსტად თქვენსავით
პოეტი მეფე ალექსანდრ ბლოკი!
ყინვა და თოვლი,
ღამე თალხებით,
როგორც მწუხარე ჩვენება დედის,
თან მოყვებოდა
ორმოცდაცხრამეტს
უკანასკნელი სიმღერა გედის!
ჩვენ გვირიგებდით ასე ხელგაშლით
თქვენი უკვდავი სულის ნაწილებს,
მსგავსი სიუხვე აღარ რგებია
ჩემ სიჭაბუკეს
თუ სიყმაწვილეს!
დღემდე მოაცებს თქვენთან ღვინის სმა,
როგორც ვიღაცის ნათქვამი ლოთი,
მათ რა იცოდნენ
ასეთი ბედი
საუკუნეში რომ ერთხელ მოდის!

რ ო ვ ი ნ ო

ა. ა-ს.

ზღვა,
სილამაზე
და
მზე ულევად,
ასეთი დარჩა
ჩემთვის როვინო,
შენს მეტი არვინ არ მეგულება,
ის სიხარული რომ მაპოვნინოს!
მაშინდელივით
ჩემი გამგები,
შენს მეტი არვინ არ მაბადია,
რისი ღირსიც ხარ,
თუ ვერ გარგებდი,
გთხოვ, მაპატიო,
კვლავ მაპატიო!
რომ ის დღეები
ნათელ ქულებად
გვეფინოს,
რაც შორს დარჩა როვინოს,
შენს მეტი
არვინ არ მეგულება,
ის სილამაზე რომ მაპოვნინოს!

კარლო ტაბატაძე



მოთხრობა

დიმიტრი ბურკაძეს გადასავლელ გვირაბში ჩასვლა არ უყვარდა. ჩვენ, ამბობდა ის, ადამიანები ვართ, გვირაბში მანქანებმა იძრომიალონო. იდგა და ქუჩას გასცქეროდა, განუწყვეტელ ნაკადად მომავალ მანქანებს თვალს აყოლებდა. მარჯვენა ხელში გაბერილი შავი ჩანთა ეჭირა, მარცხენას კი ნერვიულად მუჭავდა, როგორც იქნა, გაბედა და მანქანებს შეერია, თითს წვერებზე შეშფოთებული გარბოდა, თითქოს ვიღაცას ეპარებაო, და თან მანქანებს შესცქეროდა, მისკენ რომ მოჰქროდნენ.

ხამი წელია, დიმიტრი ბურკაძის გონება კაცობრიობის საკირბოროტო საკმეს გარს დასტრიალებს. არა, აღრეც უფიქრია დიმიტრის ამ საკითხებზე, მაგრამ ახე თავგამოდებით არ უბრძოლია. უბრძოლველად კი კაცი ვერაფერს მიაღწევს! დღეს გადაწყდება დიმიტრის პროექტის ბედი, დღეს!

დიმიტრი წუთით შეჩერდა და ღრმად ამოისუნთქა. მისი მზერა თექვსმეტსართულიან საცხოვრებელ სახლზე შეჩერდა, ბოლო სართულის აივანზე ბავშვი იდგა, დიმიტრის მოეჩვენა, რომ ბავშვი მოწყენილი დასცქეროდა მიწას.

„ცოტა მოითმინე, ცოტაც, ბავშვო!—ალმობდა დიმიტრის, — მალე გეშველება, ყველას მალე გეშველებათ“, — ჩანთა ამოიღლიავა და დამუქრებულმა გასწია.

ინსტიტუტის დერეფნში სიწყნარე სუფევდა, ოთახები გამოხურული იყო. დიმიტრიმ ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი, არქიტექტორის განყოფილებას მიიდგა და სათქმელი გულში ერთხელ კიდევ გაიმეორა: „ალუბავთ კაცობრიობას, თუ ახე გაგრძელდა, ედედამიწაზე სიცოცხლე მოისპობა და ცოცხალი არსებას ადგილს მანქანა დაიპერს...“

დერეფანში ხაბეგოს წევრები გამოჩნდნენ, დიმიტრის ფიქრს ძაფი გაუწყდა და მათ თვა-

ლი მიაპყრო. საბჭოს წევრებიც შეაცქერდნენ. უცბად დიმიტრის ხახე გაუბრწყინდა, ერთი მაოგანნი ნაცნობი აღმოჩნდა, აგერ, ათოოდე წლის წინათ ერთ სკოლაში სწავლობდნენ — ბურკაძე რომ ამოვარდება, მაშინ მისი ნაცნობი, ოთარი, მერე კლასში იყო. დიმიტრი შეეგება და დიდის ამბით მოიკითხა.

— არქიტექტორი ხარ? — ჰკითხა ბოლოს, თუმცა კარგად იცოდა, ოთარი არქიტექტორი იყო.

ოთარმა მხრები რომ აიჩეჩა და კარს მიწვდა, დიმიტრიმ, მიდი, მიდიო, მხარზე ხელი დაადო, დაიწუეთ ეგ თქვენი სხდომა, ვნახოთ, რა ბიჭები ხართო. თუმცა, ცოდვა გაჩხელილი სჩოჩია, არც მაინცდამაინც გახარებია ოთაროთნ შეხვედრა, ასეთ ნაცნობებთან ის შედარებით მორიდებული იყო, ვიდრე უცნობებთან.

დიმიტრი ოთარში რომ შევიდა, ყველა ყურადღებით შემოაცქერდა. აქ იყვნენ სპაროექტო ინსტიტუტის დირექტორი, განყოფილების გამგე, მთავარი არქიტექტორი და არქიტექტორის კაბინეტის დოცენტი ბატონი ვახტანგი, დანარჩენებს პირველად ხედავდა, ბევრი ძალიან ახალგაზრდა იყო და ბურკაძეს მოეჩვენა, ისინი განსხილვაში მონაწილეობას არ მიიღებენო. დიმიტრი ოდნავ თავის დაქნევით მიესალმა ყველას და ჩანთა მაგიდაზე დადო.

— ამხანაგებო, — წამოდგა ფეხზე განყოფილების გამგე, ხელი ჯიბეში ჩაიყო, თან წაიყოლა პიჯაკის ცალი კალთა, მკაცრად და სხარტად ლაპარაკობდა: — დღეს განვიხილავთ ამხანაგ ბურკაძის პროექტს, რომელიც ქალაქთაშენებლობის პრობლემებს შეეხება, გულდასმით მოვუსმინოთ და სათანადო პასუხი გავცეთ. — დიმიტრის მიუბრუნდა: — ჩქარა, გამოფენე ნახაზები!

— რატომ მაჩქარებთ? — იწუწუნა დიმიტრიმ. — სამი თვეა, ამ დღეს ველოდები, ძლივს მივაღწიე... — ჩანთა ხაკითაენდა გახსნა, დაეცალა ორი ნახაზი ამოიღო, სასოებით გაშალა, კედელზე ერთმანეთის ვვერდით გაკარა და რიხით დიაწყო: — ჩვენი ბოიჩარი საუკუნე, უადრესად განვითარებული ტექნიკით, თანდათან ავიწროებს ადამის მოდგმას. მალე დადგება დღე, როცა ტექნიკისადმი ეთლიანად დამონებულ ადამიანს ცოცხალი სამყარო ხელში აღარ შერჩება. ამის მაგალითები ბევრ ქვეყანაში უკვე შეიმჩნევა: აიღეთ ტოკიო, იქ, ქუჩებში ეანგბადი ლიმონათვიით იყიდება, ხოლო პარიზის ქუჩები ჩახერგილია მწუობრიდან გამოსული მანქანებით. ახლა აიღეთ ამერიკის ქალაქები, განა შეიძლება იმ ცათამბჯენებში ცხოვრება?! — ამის შესახებ დიმიტრის გაზეთებში ჰკითხეს წაკითხული და ეს საკითხები კარგად იცოდა, ვერც ვერავინ ედავებოდა.

ბატონი კოლია (არქიტექტურული სკოლის უხუცესი წარმომადგენელი გახდომოდ) ერთხანს გაოცებული იჯდა და სიგარეტს ღრმა ნაფაზებით ამოლიტავდა, მერე ნამწვი ეფლეთ ფილზე დაახრიხა, წამოდგა და გაბედულად ნახაზები მიუახლოვდა, დააკვირდა, სიბერისაგან დადარეული სახე უფრო მეტად დაუნაოჭდა, ერთხანს, სახტად დარჩენილი, შუბლშეჭმუხნილი მიჩერებოდა დიაგონალური თუ პარალელური ხაზებს, კვადრატებს, ტეხილებს. მერე სათვალე შეისწორა, ერთხელ კიდევ შეაჯვალერა ნახაზები და ბურკაძეს გაუშტერა თვალი.

დიმიტრი კი გულმოდგინედ განაგრძობდა:

— რატომ ცხოვრობს ყვავი ფიჩეიზეზე? იმიტომ, რომ ბევრს მოძრაობს, ამავე დროს ყვავს არა აქვს სწორი ნაწლავი, ადამიანს კი აქვს სწორი ნაწლავი, სადაც სიბინძურე გროვდება და ორგანიზმში იწამლება. ახლა, ამას ისიც ერთვის, რომ ტექნიკის გადამყიდე, ადამიანი ნაკლებს მოძრაობს.

— ეს რა გაქვთ დახაზული? — იკითხა მოულოდნელად ბატონმა კოლიამ და სიგარეტს მოუკიდა.

— მოითმინეთ, მივალ იქამდე! — მიუგო მკვახედ ბურკაძემ და განაგრძო: — სწორი ნაწლავში დაგროვილი სიბინძურე დიდხანს რჩება ორგანიზმში და სხეულის მოწამვლის გამო ადამიანი მალე ბერდება...

შეცბუნებული ბატონი კოლია ერთხანს უსმენდა, მერე თავის ადგილს დაუბრუნდა და ონ ქტოო, იკითხა მრავალმნიშვნელოვნად.

— ადამიანებმა ბუნებასთან ურუკეტე კავშირში უნდა იცხოვრონ, — ამბობდა დაბეჯითებით დიმიტრი: — ამისათვის ყველაზე კარგი პირობაა საცხოვრებლად ერთსართულიანი სახლები!

— კი, ბატონო, იდეალურია! — შესძახა ვანეოფილბის გამგემ.

— აი, თქვენც ხომ მეთანხმებით! — გაეხარდა ბურკაძეს და ჩანთას მისწვდა.

— მე არასოდეს არ მითქვამს, რომ ერთსართულიანი სახლები საცხოვრებლად ცუდია! — აიჩეჩა მხრები გამგემ.

— კარგია, მაგარმ თქვენ ამით რა გინდათ თქვათ? — იკითხა ოთარმა.

— რა და, — გაბრაზდა უცბათ ბურკაძე, — მრავალსართულიანს სახლებს რომ აშენებენ, ააშენეთ ერთსართულიანი, აი, ახეთი სახლები. — ჩანთა ხაკმიანად გახსნა, ცელოპლასტიკისაგან დამზადებული პარალელოპიპედი ამოიღო და გამარჯვებული სახით ზევით შემართა.

— ეგ რა არის? — იკითხა ახალგაზრდა არქიტექტორმა მერაბმა.

— აი, ახეთი, მინისეფლიანი სახლები! — განაგრძო დიმიტრიმ, — სახლი ერთ ბოძზეა შედგმული, ფიქალებური მოყვანილობა აქვს, თუ ოჯახი გაიზარდა, შეიძლება ყოველი მხრიდან მიაშენო ოთახები!

— ახეთი სახლის პროექტები არის და შენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება! — შესძახა განყოფილების გამგემ. — რა თქმა უნდა, მინისკენლებიანი არა.

— ხახლის სახურავზე, — არ მოაქცია ყურადღება დინჯარიმ. — მოიწყოს ბანი, იქ შეგიძლიათ დათესოთ მწვანილი, დარგათ პამიდორი, ახე ძვირი რომაა ბოსტნეული ბაზარზე, აი, ბატონო, ეკეკლებათ შინ და არ ნახვალთ ბზარაში! კიბე ისე იქნება მოწყობილი, რომ ქვეწარმავალი არ აძვრეს ბინაში. აი, კიბის კვანძებია! — ჩაბნიდან ცელოსპლატის რაღაც ნაკეთობა ამოიღო და თვითონვე გულდასმით შეთვალიერა.

ახალკაზრდებს გაეცინათ, გაიღიმა განყოფილების გამგემაც.

— ქვეწარმავლებს რაღა უნდათ? — იკითხა ბატონმა ვახტანგმა, ის რეცეპზნეტი იყო და ნაშრომი თავიდან ბოლომდე ჩქონდა წაკითხული, გაგეს შეხედა და დასძინა: — განმარტავს, აქვს თავისი მოსაზრებები!

— რომ მიგდექით და ვწუხავართ ჯეელებს, აკაოდ, არ ვკვაბინონო, — დაიწყო ბურაკაძემ, — ისინიც ცოცხალი არსებები არიან და თანაც მეტად საჭირონი!

— ალბეშოთებელია! — წარმოთქვა მთავარმა არქიტექტორმა გრიშამ და მელოტ თავზე მოისვა ხელი.

მსმენელებმა გაიცინეს, ბურკაძემ ცელოსპლატის მაკეტი მაგიდაზე დადო, თვალი ჩაეფიქსა ყველას და გულდაწყვეტილმა თქვა:

— აი, ასეა, ბატონო, თქვენ იცინით, არაკინ არ გებრალებათ, ადამიანები კი გამოსახრჩვეთ მეთუ, მეთუ ქეესსებტე სართულებზე!

— რატომ? — ღრმა ნაფაზი დაარტყა ბატონმა კოლიამ და თვალებიის მოკუტვით დასძინა: — ჩამოვიდნენ ბაღში, გაისეირნონ, დაწოლამდე ნუ შეელენ შინ, შაბათ-კვირას კი ქალაქგარეთ გაელენ მანქანებით...

— ეს ადვილი სათქმელია! — გაგულისდა ბურკაძე, — აბა, თქვენ ჩამოდით კიბით მეოერთმეტე სართულიდან, ან ფეხით ადით!

— რატომ კიბით? — გაიღიმა მერაბმა, — ლიფტით ადი და ჩამოდი!

— ლიფტით? — ზიზღით შეხედა ბურკაძემ, — ლიფტი ნახეკარჯერ არ მეუშაობს!

— მაშინ კოშუალური მომსახურების სამართველოს უნდა მიმართონ, ჩვენთან რა გინდა? — წამოდგა ფეხზე ოთარი.

— ის მინდა, რომ თქვენ პაროექტებთან ასეთ სახლებს, შენს დაპროექტებულ სახლში, მაგალითად, — ბურკაძემ თითი შემართა. — სამი ლიფტი!

— მერე? — გაოცდა ოთარი.

— არც ერთი ეს ლიფტი არ იმუშავებს! — დაადვინა დინჯარიმ.

— რა ჩემი ბრალია?!

— ნუ პაროექტებთან ლიფტიან სახლებს, აუშვეთ ერთსართულიანი სახლები, მაქსიმუმ — ორსართულიანი და არ დაგჭირდებათ ლიფტები. — ბურკაძე ისევ დასხედა სახლის ცელოსპლატის მაკეტს.

— გადამრეს ეს კაცი! — გაშალა ხელები ოთარმა.

— ამხანაგებო, — დაიხედა საათზე კათედრის გამგემ. — ალბათ ყველას გვეჩქარება, დავაცადოთ, დაამთავროს და მერე ვიკამათოთო.

— რა არის საკამათო, ყველაფერი გასაგებია! — დაჯდა ოთარი, ფეხი ფეხზე გადაიდო და ხმადაბალი დასძინა: — არქიტექტურაში არაფერი გაგებია.

— ჰო, — გაშალა ხელები გამგემ: — ყველა გეთანხმებით, რომ ერთსართულიანი სახლი საცხოვრებლად მრავალსართულიანს სჯობია, მერე?

— მე არ ვეთანხმები! — გააბოლა სიგარეტი ოთარმა, — მაშ, მთელს მსოფლიოში სულელები ყოფილან, მრავალსართულიან სახლებს რომ აშენებენ?

— არ გინდა, რომ დავამთავროთ?! — საყვედური გაერია ხმაში გამგეს.

ბურკაძე მირეფელი იყო ასეთ სხდომებზე გამოსვლას, ერთ საბჭოზე რაიმეს რომ დაწუწუნებდნენ, იმას ჩაუწურჩეთ ხოლმე და ისეე ალიაქოთს ატეხდა, ჩემს გამოგონებას ყურადღებას არ აქცევენო, მერე სხვა საბჭოს დაავალებდნენ განხილვას, იქ უკვე წინა სხდომის გამოცდილებებ ითვალისწინებდა. მაგალითად, ერთ საბჭოზე ეთქვეს, რომ სამრეწველო შენობებს თავისი გამონაბოლქვები აქვთ და სანიტარული ზონა სჭირდებათო, დაჯდა ამის შემდეგ დიმიტრი და რამდენიმე ქარხნის ტექნოლოგიური სქემა შეიმუშავა. ახლა ამაზე უნდა ელაპარაკა, რაკი ლიფტებზე გამოთქმული აზრი არ მოუწონეს; არქიტექტორებს ამაში მაინც ეჯობები. მართალია, ცოტა ადელდა, ხელი აუკანკალდა და ხმაშიც დიტკო ბზარი, მაგრამ ნახაზებს მაინც დინჯად მიუახლოვდა, ერთხანს ძალ-ღონეს იკრებდა, მერე ყველას თვალი მოაკლო და განაგრძო:

— მთელი ქალაქი უნდა დაიოს საცხოვრებელ უბნებად, თვითეულ უბანს გარშემო შემოერტყ�სამრეწველო შენობები, აქ იქნება მოთავსებული ტროკოტის ფაბრიკები, რეინბეტონის ქარხნა, მანქანათმშენებლობა და სხვა. სამრეწველო შენობებს გარშემო ექნებათ ბიენები, სასტუმრო „ოვერის" მსგავსნი, ამ ბიენებზე მუშებს შეეძლებათ გამოსვლა და ოფოო ბერის ნაყლაპავ, სამრეწველო შენობები მრავალსართულიანი იქნება, — ბურკაძემ გაბრწყინებული სახე მიაპყრო გამგეს და შემრეველსტოად განაგრძო: — აი, აქ შეიძლება მრავალსართულიანობა. ერთსართულიანი სამრეწველო შენობები დიდ ადგილს იკავებ-

კარლო ტაბატაძე
შთაგონებული



ბენ.. მე აქ მაქვს ტექნოლოგიური ნახაზები მანქანათმშენებლობის და რკინა-ბეტონის ქარხნებისა, — დამიტრი ჩანთას მიწვდა:

— გვჯერა, გვჯერა, ბატონო, არაა აუცილებელი ტექნოლოგიური ნახაზების გაცნობა! — შეხძახა ოთარმა.

ბურკაძე შეცბუნებული შეჩერდა და გამგეს მიაპყრო თვალი, მართლა არ გაინტერესებთო.

— ალმაშოოთებელია! — გაშალა ხელები გრიშამ და კვლავ ხმადაბალი განაგრძო: — ერთი კაცი კირსულობს ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულების საქმის შესრულებას.

— ქალაქადაგგამარეზე ილაპარაკე! — ჩამარცალა გამგემ და ბურკაძის გაოცებულ სახეს თვალი მოარიდა.

ბურკაძემ ახლა ოთარს შეხედა, „რა უნდა, რას მერჩინ“, — გაიფიქრა და ისევ გამოფენილ ნახაზებს მიუბრუნდა:

— როგორც ვთქვით, სამრეწველო შენობების ცენტრში მოთავსებული იქნება საცხოვრებელი უნენები, რომლებიც პატარ-პატარა, დაახლოებით 400-600 კვადრატულ მეტრ ფართობად დაიყოფა, ამ ეზოებში ჩაიდგმება მინის კედლიანი სახლეები, აი, ასეთი სახლები! — მან მაგიდაზე დადებულ ცელოფანატრის მაკეტზე მიუთითა. — უკეთ რომ წარმოიდგინოთ, ჩვენი ფილარმონია რომაა, დაახლოებით ისეთი კედლებით.

— რატომ მაინცდამაინც მინის კედლებით? — იკითხა ვიღაცამ.

— მოგახსენებთ, — შეჩერდა წუთით ბურკაძე, ამ შეკითხვას ელოდა და ამაყოფილმა განმარტა: — არც იქნებით და იქნებით კიდეც ოთახში, ისეთი შეგრძნება გექნებათ, თითქოს ბუნებაში ხართ, ოთხივე მხრიდან გარესამყაროს დაინახავთ.

— კი მაგრამ, დადგენილია, რომ საცხოვრებელ სახლეებში ფსიქიოლოგიური მოსახერხები სასურველი არ არის მინის კედლები! — ჩაილაპარაკა ბატონმა კოლიამ.

— კარგი იქნება, კარგი! — თქვა დაბეჯითებით ბურკაძემ, — ოთახში ზიხარ და ისეთი შეგრძნება, თითქოს ხის ძირას იჯდე, კარგი იქნება, თუ კედლებს ისე ავაშენებთ, რომ ხის ტანი ოთახში გადიოდეს. მზოლოდ აუცილებლად უნდა ვიფუცეთოთ დამცავი ფარი, აი, ისეთი, კიბის დროს რომ მოგახსენეთ, შერიუნებული ქანობიანი, ჭეეწარმავლები რომ არ შეშოეცენენ ხის ტანს!

— რა პრობლემად აქციე ეს ჭეეწარმავლების საკითხი! — იყვირა ოთარმა, — ზოგიერთ ქეეეანაში ბინებშიც ჰყავთ ვეელები.

— ბინებში როგორ გეკადრებათ! — დაამრიალა თვალები ბურკაძემ, — მერე ბავშვები?..

— კარგი, კარგით, ეს პრობლემა მერე განვიხილოთ! — ისევ დაიხედა საათზე გამგემ და ფეხზე წამოდგა, სწრაფი მოძრაობით მიუახლოდა ნახაზებს, მარცხენა, ჩვეულებრივ მბერ, ჯიბეში ჩაიყო, მარჯვენა ხელის ნაჩვენებელი თითი ნახაზს მიაბჯინა: — ოქვენ ბრძანეთ, რომ საცხოვრებელი უბნის გარშემო იქნება სამრეწველო ნაგებობები, მერედაიცით, რომ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებით საჭიროა ერთი კილომეტრი მაინც სამრეწველო ნაგებობებიდან საცხოვრებლამდე, ხოლო რკინა-ბეტონის ქარხნისათვის — უფრო მეტი, გადმოგზომით ახლა სამრეწველო შენობებიდან თითო კილომეტრი, რაა დაგრჩებათ? — გამგემ სახაზავი მოიმარჯვა.

— ქარხნები ისეთი ტექნოლოგიით უნდა აშენდეს, რომ მეზეონი და გამონაბოლქვი არ ჰქონდეს! — არ დაიხია უკან ბურკაძემ.

— ასეთი ქარხნები ჯერჯერობით არ არსებობს. — გაიღიმა გამგემ და ხელმა მიაშორა.

— იქნება! — შეხძახა ბურკაძემ.

— რიდის, მომავალშიო?! — შეჩერდა გამგე და ხელი კვლავ ჯიბეში ჩაიყო. — ამხანაგებო, ახე არ შეიძლება, ჩვენ, ერთ საკითხში უნდა შევთანხმდეთ, მომავლის ჭაღლაჭს ვიხილავთ, თუ დღევანდელთან პრობლემებს.

— დღევანდელობის! — აღმოხდა ბურკაძეს.

— თუ დღევანდელობისას, მაშინ არ ვარგა, ასეთი ქარხნები ჯერ არ არსებობს!

— აკი მოგახსენეთ, მე მაქვს ახალი ტექნოლოგია-მეთქი! — ბურკაძე ჩანთას მივარდა და ფაცაფუცით გახსნა.

განყოფილების გამგემ მხარზე ხელი დაადო, შეაჩერა და მეკობრულად მიმართა:

— ჩვენ ხუროოთმძღვრული საკითხი განვიხილოთ, ქარხნების ტექნოლოგიაზე სხვაგან ილაპარაკე.

— დავამთავროთ, მე მგონი, საკმარისია! — წამოდგა ფეხზე ოთარი.

— გაკეთ კიდევ რაიმე სათქმელი? — მიმართა გამგემ გაბეჭვებულ შერკალძეს.

— როგორ არა, ჯერ საცხოვრებელზე არაფერი მითქვამს.

— ალმაშოოთებელია! — ბოლოსცრა გრიშამ: — როდემდე შეიძლება ვისმენოთო, უსაქმურები ხომ არა ვართ?!

— მოითმინეთ, ბარემ მოვისმენოთ! — გამგე დაჯდა: — დაჯექი, ოთარ, ცოტაც..

— რატომ გამოგაქვთ ასეთი უმნიფარი საკითხები სხდომაზე? — ოთარმა ბრალდებულივით რატომღაც ოთარი პატარეანინაცოცის მდივანს.

— ოთარ, ოთარ! — გაგმოწვა მაგიდაზე გამგე და ჩურჩულით განაგრძო: — პატარეანინაცია არაფერ შუაშია, ალარ დატოვა არც ერთი ინსტანცია, ბოლოს ჩვენ დაგვავალეს ამ დავას ბოლო მოვუღოთ, ავტორიტეტული პასუხი უნდა გავცეთ.

— გასაგებია, — გადაიდო ფეხი ფეხზე ოთარმა. — მე გავცემ მაგას პასუხს, ჩემი სკოლის ამხანაგია, არ მერიდება. ყველაფერს

ვეტყვი, — ბურკაძეს მიუბრუნდა, თან ხელი გაიქნია: — განაგრძე!

დიმიტრი ბურკაძეს ნახაზს შეხედა, მერე ღრმად ამოისუნთქა და ოდნავ გაუბედავად დაიწყო:

— ზემოთ მოგახსენეთ, რომ საცხოვრებელი უნანი პატარა-პატარა ეზოებად იყოფა, ეზოში დგას ერთ ან ორსართულიანი, მინისკენლღენილი სახლები, ჩვენი „ოვერიის“ მსგავსი, ბოდიში, ფილარმონიის მსგავსი, ეზო ამშვენებულია, ვაზითაა დაბურული.

— სად გვაკეს ამდენი ეზო, რომ ყველას დაუნაწილო? — ვერ მოითმინა გამეგე, — თბილისში უკვე მილიონი მცხოვრებია.

— რატომაა მერე მილიონი?! — წარმოთქვა ალშფოთებულმა დიმიტრიმ. — ქალაქი სოფლისაგან რომ არ განსხვავდებოდეს, ხალხი აღარ მოაწყვეტა ქალაქს!

— რასაც შენ ამბობ, ეზოები და ერთსართულიანი სახლებიო, სოფელშიც ხომ აქვთ, — მოქუტა თვალები ბატონმა კოლიამ. — მაინც ქალაქში მოდიან, მრავალსართულიან სახლებში ურჩევნიათ ცხოვრება!

— მაგასაც მოგახსენებენ, თუ რატომ გამორბიან ქალაქში.

— არ გვინდა, — შეესაძახა ოთარმა, სიგარეტი მოიმარჯვა და ხმადაბლა დასძინა: — შენს ბაღლეზე ილაპარაკე, სმირამდას ბაღებზე.

— ეზოებში გაშენებული იქნება ყველა ჯიშის მსხმოიარე ხეები: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი ისეთნაირად, დროის ყველა პერიოდში გვქონდეს ხილი; ადრიან გაზაფხულზე მარწყვით ვიწყებთ, მერე ავდივართ ხეზე, ვაგრძელებთ ბლით და გვიან შემოდგომაზე ვამთავრებთ ხურმით, — რაკი სიწყნარე ჩამოვარდა, დიმიტრის გული მოეცა და რიხით განაგრძო: — სახლის სახურავზე, როგორც მოგახსენეთ, გაშენებული გვაქვს ბოსტანი, ნაირნაირი მწვანილითო: ქინძი, ნიახური, კაჰა, წიწაკა, ტარხუნა, აქეთ პამიდორი, კიტრი, ბოსტანი ზამთრობით გაფაიხურება ცელოპლასტით, ამრიგად, თიელი წლის მანძილზე აღარ დაგვჭირდება ბაზარში წასვლა, ყველას თავისი საკუთარი ექნება; ქორფა კიტრები, ახალთახალი მწვანილი, ისიც მოგეხსენებათ, რომ ზუნება ცხოველების გარეშე წარმოუდგენელია, ძალლი და კატა ხომ თავისთავად გვეყოფნება, აგრეთვე ქათმები, ინდაურები, შეიძლება იხვებიც, მაგრამ აუწმინ თევზებს შეგვიყრაპავენ!

— როგორ, აუზიც გვექნება? — იკითხა ბატონმა კოლიამ.

— აუცილებლად! — შეიქმუხნა შუბლი დიმიტრიმ. — თევზებით, ტრიტონებით და წყლის სხვა ბინადრეთ.

—ალბათ, ნიანგებიც? — გაიღიმა ოთარმა.

— ნიანგები არა! — ხმას აღუწია ბურკაძემ, — არც ბაყაყები, მოგეხსენებათ. ძალიან ყეყეინებენ, მე კი მაქვს დამუშავებული ბაყაყების ხმის ჩასაწყვეტი მოწყობილობა, მაგრამ... სკრბია იყენენ გამბეშები, ისინი ხომ ბოსტნეულის მკურნალები არიან. თავისით მოშენდებიან გველები ნურც შეეფეწალით ხელს...

— ხასლში ვერ შემოვლენ, — შეეხსენა ბატონმა ვახტანგმა. — კიბეზე გვექნება მოწყობილი უკუქანობა...

—დიახ, — დაეთანხმა ბურკაძე. — კიბეზე გვექნება მოწყობილი საგანგებოდ უკუქანობი. შეიძლება ვიყიდოთ ერთი ღორი, რომელსაც ოკაბში ნარჩენებით გავზრდით, ნაშემოდგომეზეს დავკლავთ და მთელი ზამთარი საკვებად გამოვიყენებთ, ქონში შეგვიძლია კარტოფილი შევწვათ...

— კარტოფილიც აქ, ეზოში მოგვყავს? — იკითხა მერაბმა და თავი შეიკავა, რომ არ გალიმებოდა.

—არა, კარტოფილი, სიმინდი, ხორბალი და ასეთი რადაცეები უნდა ვიყიდოთ. კარგი იქნება თუ, ვინც, რა თქმა უნდა, წვრილშვილიანია, იყოლიებს ერთ შეწვეულ თხას. თხის ძაღ, მოგეხსენებთ, ძალიან მაწიერია და ხასარგებლო! — ბურკაძეს სახე გაუბრწყინდა, მეოცნებესავით განაგრძო: — ღილით გამოდიხარ ამწვანებულ ეზოში, წყელი თხაა და ჭაკვათა რძით უმასპინძლდები შვილებს.

— ალმაშფოთებელია. — მოისვა მელოტ თავზე ხელი გრიშამ.

—საკმარისია, აუტანელია! — გაალრეკია ცბილები ოთარმა და შუბლზე მიიდო ხელი.

— ძროხა არ შეიძლება ვიყოლიოთ? — იკითხა ისევ მერაბმა.

—რატომ არა, მხოლოდ უფრო ძნელი მოსავლელია...

— ჩემი აზრით, — წამოდგა ფეხზე გამეგე, — საკითხს გადავუხვიეთ, არქიტექტურაზე ილაპარაკეთ!

— არქიტექტურა ადამიანთა მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს! — იყვირა ბურკაძემ. — დაამახინჯეთ და გააოხრეთ ქლაქი!

— ვინ, ჩვენ?! — გაოცდა განყოფილების გამგე.

— თქვენ, თქვენს ხელშია დღეკვანდელი არქიტექტურის ბედი. ერთიანაცქნა ოთახები, დამალი ეერი, მრავალსართულიანობა!

— არსებობს სახელმწიფო ნორმები, რომელსაც ვერსად გაექცევი, — განმარტა მერაბმა და გამეგს შეხედა, დამიდასტურეო: — ამ ნორმებით უნდა იხელმძღვანელო პროექტირებისას.

— ნორმები, — თქვა აგდებით ბურკაძემ. — ნორმებიც თქვენი მოგონილია!

— დავამთავროთ, თორემ მეტის მოთმენა

კარლო ტაბატაძე
შუთგონეგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ შემიძლია, — კბილი კბილს დაეჭირა ოთარმა.

— ამხანაგებო, — დაიწყო ხმადაბლა გამგემ. — მე მეორი, საკმაოდ მოგისმენიეთ, ახლა ვიკამათოთ და სათანადო აზრი მოვახსენოთ ავტორს.

— მე ამ სხდომის ოქმი მინდა ოფიციალურად! — მოითხოვა ბურკაძემ.

— კი, ბატონო, მოგაქვთ ამონაწერს. — ჩაიყო ჯიბეში ხელი ჩვეულებისამებრ გამგემ, — ახლა მოვუსმინოთ რეცენზენტს. ამხანაგ ვახტანგ ჩანკვეტაძეს, არქიტექტურულ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს, ვთხოვთ!— გამგე დაჯდა და ბურკაძეს ქვეშ-ქვეშ გახედა, ქმაყოფილია თუ არაო.

ბატონი ვახტანგი ფეხზე წამოდგა, ყველას თვალი მოავლო, ნაწერი ქაღალდები მოიმარჯვა და ღიმილით დაიწყო:

— ამხანაგებო, რეცენზია დაწერილი მაქვს, მაგრამ, ხომ იცით, წაკითხვა ალბათ აუცილებელი არ არის, ახე არ არის, ბატონო დიმიტრი, ჰა-ჰა-ჰა! — ჩაიცინა ვახტანგმა, თან თვალს დიმიტრის არ აშორებდა.

— ზეპირად გვითხარი, ზეპირად! — შესძახა ოთარმა.

ბურკაძეს ხმა არ ამოუღია.

— მოგახსენებთ ძირითად დასკვნებს, — ჩაიხედა ფურცლებში ბატონმა ვახტანგმა: — წარმოდგენილი განსახილველი მასალის გრაფიკული ნაწილი ოთხი ნახაზისაგან შედგება, აქედან ორი არქიტექტურულია და ორიც ტექნოლოგიური, ხომ იცით, პირობითად ამ მივიღოთ ჰა-ჰა-ჰა! ახი ფურცელი განმარტებითი ბარათი...

— ახი ფურცელი? — აღმოხდა ოთარს.

— ჰო, ახი ფურცელი, — დაუდასტურა ბატონმა ვახტანგმა და ხმადაბლა დასძინა: — რა ვიცი, მე კი გამწარეთ! ამას უნდა დავუმატოთ ცელოპლასტის მაკეტები, გულდასმით გავეცანი მასალას, ოჯერ წვეულებზე განმარტებითი ბარათი, ახი ფურცელი! და ხომ იცით, რიგორც. იტყვიან, ვერაფერი გავიგე, ჰა-ჰა-ჰა! — შეხედა ბურკაძეს ბატონმა ვახტანგმა, — როგორც ჩანს, ან მე არ ვიყავი ამ ნაშრომის ავსაგებად, ოჯარც იტყვიან, სათანადოდ მომზადებულიე, ან, — მან ყველას თვალი მოავლო: — ან ბატონი დიმიტრი არ არის ამ საკითხების გასარკვევად სათანადოდ მომზადებული, ახე არ არის, ბატონო დიმიტრი? ჰა-ჰა-ჰა!

— ბრძანეთ, განაგრძეთ! — წყნარად მიმართა დიმიტრიმ.

— ჩვენი დასკვნა ასეთია, — განაგრძო ბატონმა ვახტანგმა, — ნაშრომში დასმულია სოციოლოგიური მეტად საგულისხმო პრობლემები, რომელიც უნდა გადაწყდეს კომპლექსურად, არა მარტო სოციოლოგიებთან, არამედ ფსიქოლოგებთან, ფილოსოფოსებთან, მშენებლებთან, ბიოლოგებთან... ხომ იცით, ეხლანდელ ეპოქაში, ეს ეპოქა ეპოქა ეპოქა, ეს ეპოქა ეპოქა ეპოქა, ეს ეპოქა ეპოქა ეპოქა

ბურკაძემ უმამოდ ჩამოხსნა ნახაზები, ფაციფუცით დაკეცა, ჩანთაში ჩაჰმუქნა, მერე მაკეტებიც ჩაალაგა და კარს მიაშურა, როცა მოუალლოდა, შეჩერდა, გახუსული სპეციალური წევრებს თვალი შეავლო, რადაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ჭიქურ გამოალო კარი და დერეფანში გავიდა, მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ სამსახურში ძალიან დაგვიანდა, რომ ამე არ შეიძლებოდა, იქაც რაღაც უნდა გაეკეთებინა.

ქუჩაში რომ გავიდა, შვები იგრძნო, ერთხანს ჩანთას დაჩერებოდა უაზროდ, მერე ინსტიტუტის შენობას შეხედა და ქუჩას თვალი გააყოლა. შუადღე იდგა, მზე მრავალსართულიან სახლებს მისდგომოდა და ფანჯრებიდან უდიმოდა. ქუჩა სავსე იყო მანქანებით, ფერთა ლივლივვმა თვალი მოკრა დიმიტრის. მარილაც, რას ემგვანებოდა თბილისი ერთსართულიანი შენობებით რომ იყოს მთლიანად გაშენებული, ან ამ საუკუნის მაგისცემა არ ეტყობოდეს!

ბურკაძე ქუჩას გაჰყვა, ჩანთა მძიმე ტვირთად დაეკიდა ხელს, „რა ტკუილი გავაკეთინე ლრო? მაინც რა მოჯადა, რა ჩემი საქმეა?"

ტროლეიბუსი ჩამოდგა, დიმიტრი ჯერ არ ამბრებდა ახალს, მერე უცბად ფეთიანივით მოწყდა ადგილს და უკვე დაძრულს შეეხტა, სალონში შეიდგა, პირველსავე თავისუფალ ხვარაქელზე ჩამოჯდა და სიგრცეს თვალი გაუშტერა. ერთხანს ახე იხედებოდა, მაგრამ თანდათან შენობების კონტურები რომ გამოიკვეთა, ყველფერმა ფორმა და სახე რომ დაიბრუნა, დიმიტრის გაეღიმა, რეალურ სამყაროს შესცინა, ახლა ნარბად ათვალიერებდა ქუჩის გასწვრივ ალმართულ შენობებს, თითქოს პირველად მეზავრობს ამ ქუჩითო. გიბერილი შავ ჩანთა შუბლებზე ლოდივით ედო, დიმიტრის მისი დანახვიც არ უნდოდა. მას ოცნება უყვარდა, მაგრამ ახლა ალარაფრის გახსენება არ სურდა, ხშირად თავს გააქნევდა ხოლმე, შეოჯარულ ფიქრებს იშორებდა.

„აალაგე შენი აქლადდება, ნუ აწუხებ ყველას, ჩემი ამბანაკური რჩეკა!" ოთარის ეს სიტყვები უტარიალებდა თავში და გრძნობდა, მართალი იყო ოთარი. ჩემს საკუთარ ნაქმესაც მოაწყვიდი და ხალხიც გავაცდინე, გაიელეა დიმიტრის და ლერუა, შიმანოვიჩი წამოტიტიტდნენ მეხსიერებაში, ნუთუ მართლა ფიქრობდნენ ამ საკითხებზე, კარგი იქნებოდა, მათი წიგნები წამაკითხა! ეჰ, ჩაიქნია ხელი ბურკაძემ და მიმოიხედა, დრო უნდა ჰქონდეს კაცს, მაშინ ყველაფერს გაწყვდება, მე იმის დროც არა მაქვს, ნახაზი წესიერად გამოვხაზო. უცბად ინსტიტუტის დერეფანში გამოფენილი ნახაზები დაუდგა თვალწინ, მათთვის მაშინ ყურადღება არ მოუქცევია.

მე, ჩაიქნია იხვენ ხელი ბურკაძემ და გარეთ დაიწყო ცქერა, ცხვარი ბინასთან ჰქონდა მიტანილი, მაგრამ ვერაფერს აღიქვამდა, ფიქრებით დაუშძიმდა, კვლავ გაიოქვიფენენ სივრცეში შენობათა კონტურები და ფაფუნარდნენ.

სამსახურში არასდროს არ იგვიანებდა ბურკაძე, დილით ადრე ცხადდებოდა, მერე დაობარებდა, საქმეზე მიედავრო, თვალს განუფრილ ჩანთას აიღებდა და გარეთ ადგა. დღესაც ახე მოიქცა, მაგრამ ახლა, უკან მოლიანად განადგურებული რომ ბრუნდებოდა, თანამშრომლებთან შეხვედრა უმძიმდა, განსაკუთრებით უფროსთან.

კიბის საფეხურები თავდახრილმა აირბინა და ის იყო დერეფაში უნდა შეეხვია, წინ ნინა შემოეფეთა, ენაკარტალა ქალი, საკმარისი იყო ნინას რაიმე გაეგო, რომ მალე მთელ დაწესებულებას მოსდებოდა.

— სად ხარ, დიმიტრი, ამდენ ხანს, სად?! — შეხვედა ნინამ. — უფროსი გაგიეჭებულა.

— არ უთხარით, აქ იყო-თქო? — მოჩვენებითი სიმშვიდით უპასუხა ბურკაძემ.

—კი, ვუთხარით, ბრაბა.. — ნინამ ჩანთას დაადგა თვალი. — რა ჰქენი?

სხვა დროს ამ კითხვაზე დიმიტრი ყველას ლანძღავდა ხოლმე: არ გაეგებათ, არ უნდათ, წინ რომ გაგიშვან, გჩაგრავენ, პრტლეიტის ამბავია, ბიუროკრატიზმია გამეფებულიო და ათას რაღაცას მოაყოლებდა. ბოლოს კი ოტტმიზტურად დასძენდა: არა უშავს, სიმართლე იზეიმებს, მე ჩემსას მივაღწევო. ახლა ნინასთვის ხმა არ გაუცია, აჩქარებული ნაბიჯით თავის სამუშაო ოთახს მიაშურა.

უფროსს კაბინეტის კარი ხშირად გამოლებული ჰქონდა ხოლმე და თანამშრომლებს თვალს ადევნებდა, ახლა ეს აწუხებდა ბურკაძეს, ვაითუ, კარი ღიაო. სხვა დროს დიმიტრი საყვედურებით და „ეიმდგომი ამბანაგების ლანძღვით შედიოდა უფროსთან; არავის არაფერი არ უნდა გაკეთოს, ახალი სიტყვის ყველს ეშინიაო. დიმიტრი რომ ამ ამბავზე იყო, უფროსს, ცოტა არ იყოს, ერიდებოდა ოფი სიტყვა ეთქვა ბურკაძისთვის, მერე ჩემზე სად. მე რაიმე ცუდად არ თქვასო. გულმოდგინედ უსმენდა, ხშირად ფანატურებდა, ახეა, ახეო და ბოლოს შეპარვით ეტყოდა, ამა და ამ ხაკმეს მიხედეო. ახლა, დიმიტრის არაფრით არ უნდოდა უფროსთან შეხვედრა. ბედდა, კარი გამოტრტული დახვდა, მაგრამ, როგორც კი თავის ხმიშეო ოთახში შევიდა, ქალბატონმა ვერონ, დიმიტრის პირსპირ რომ იჯდა, მიაბარა:

— უფროსმა თქვა, ბურკაძე როგორც კი მოვა, ჩემთან შემოვიდესო.

ბურკაძეს ხმა არ გაუცია, ჩანთა მაგიდაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადო, ერთხანს უაზრად დასჩერებოდა მაგიდაზე დახვავებულ საქაღალდეებს, მერე ქალბატონ ვერას შეავლო თვალი და უფროსი კაბინეტისკენ გაეშურა.

უფროსი ძალიან ალელვებული ჩანდა, კაბინეტში თავმოყრილ ინსპექტორებს ხმამაღლა ელაპარაკებოდა, ხელებს შლიდა — მტერს მიუმიეწა ადარ შეიძლება, მიხედეთ საქმეს, თქვენი გულისთვის თავს არ გავლესმდაგო. დიმიტრი რომ კაბინეტში შეეფიდა, უფროსმა ყურებზე ხელები აიფარა და გაშმაგებულმა იყვირა:

— არ მინდა, არაფრის მოსმენა არ მინდა, საქმეს მიხედეთ!

ყურებაჩამოყრილი დიმიტრი მდუმარედ მიაჩერდა გაანჩხლებულ უფროსს, ერთხანს სიწყნარეშე დაისადგურა, ყველამ ბუოკაძეს მიაპყრო მზერა, ახალი ამბის მოსმენას ელოდნენ. ადრე ასე იყო ხოლმე, უფროსი გაბრაზებული რომ იყო, მოვიდოდა დიმიტრი და იქით დაუწყებდა ჩხუბს, თავის ამბების მოყოლას. უფროსი ძალუნებურად უსმენდა და თანაშრომლებიც შეეხოდა ამოისუნთქვადნენ ხოლმე, მაგრამ ახლა, ხმა რომ ვერ ამოიღო, მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდა დიმიტრის: უფროსი მიხვდა, რომ ბუოკაძეს ცუდად ჭმნდა საქმე, ამით გამხნევებულმა, ხმას აუწია: სად დადიხარ მთელი დღეები, მოგზსენი, საყვედურს მოგარტყამი, გაცდენილი დღეების ჯამაგირს დაგიკავებთ, მიხედეთ საქმეს, თორემ, თორემ... — უფროსი ათას რამეს ყვიროდა და ხელებს შლიდა.

დიმიტრის ხმა არ ამოეღებოდა, კრიპაშეკრული შუბლკეტრილა, თითქოს ბრილეტი შეუდეკამდენო, კრინტს ვერ ხსრავდა. უფროსი, როგორც იქნა, დამშვიდდა, ოკრიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, ბუოკაძეს გაუწოდა და უთხრა:

— მერეე კორპუსში, ნიორაძე რომ ცხოვრობს მეხუთე სართულზე, ხომ გახსოვს, რა ამბავი გადაგვხდა, ბალი რომ შემოღობა, ღორი უყიდია. მეზობელი ეჩივის, ავყროლდითო! ახლავე მიდი, ეს საქმე მოაგვარე, ჯარიმა გადაახდევინე... — უფროსმა ისევ აუწია ხმას, ფეხზეც წამოდგა: — რაც გინდა, ის უქენი, ოღონდ ეს საქმე მოაგვარე...

დიმიტრიმ უხმოდ ჩამოართვა ქაღალდი და თავის ხამუშო მაგიდას დაუბრუნდა. უკრაში ნიორაძის საქმე მოძებნა, გადაათვალიერა. იმ ძველ საქმეებს ახალიც მიუმატა, საქაღალდე საგულდაგულოდ შეკრა, ჩანთაში ჩადო და დამუქრებულმა უბანში გასწია.

დიმიტრის ახლა აღარაფერი უშლიდა ხელს. ადრე თუ ეგონა, უბატონოდ ხმას ვერავინ გამცემს, ჩემი იღებენ რომ გაიმარჯვებს, ყველა ხელისგულზე დამისვამს, ახლა ფრთებშეკვეცილი სხვანაირად ფიქრობდა, ვიი-თუ, სამსახური დავკარგო და რა მეშველებოდა ცოლ-შვილი უულუმპაუროდ. დამჩაჩვნია.

ის უბანი ბუოკაძის სანისაკენ ეკრა ზ'ნინა იყო, მაგრამ ყველა ისე აკეთებდა, როგორც მოსსურვებოდა. დიმიტრის იმისთვის უნდა მიეხედა, რომ საერთო ეზოში პირადი ხარგებლობისათვის არავის გადაეღობა, რაიმე ნაგებობა არ ჩაედგა, შინაური პირუტყვი ან ფრინველი არ მოეშენებინათ, რომ ანტისანიტარია არ შექმნილიყო. ბუოკაძე ეკვირფერს ხვდებოდა, უფრო სწორად, ლმობიერებას იჩენდა, შინაგანად მცხოვრებლების მხარეზე იყო და ისინიც რასაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ. ეზოებსაც ლობავდნენ, გარაჟებსაც აშენებდნენ, ქათმებიც ჰყავდათ და ინ, ახლა, ნიორაძეს ღორიც უყიდია!

შორიდანვე შენიშნა დიმიტრიმ მერვე კორპუსის წინ, შემოღობილ ბაღჩაში, როგორ ფუსფუსებდა სპორტულ გიმნასტიორაში გამოწყობილი ნიორაძე. დედას ბერტრები, გაიფიქრა გუნებაში დიმიტრიმ და ღობეს ჩიქერ მიადგა, ლეთონის ბადეს ხელი ჩაავლო, შეაჯერინა და შეჰკივლა:

— ეს ღობე კიდევ არ აგიღია!

ნიორაძე ისე იყო საქმეში გართული, დიმიტრის ხმასეა ვერ გაიგო და, ცოტა არ იყოს, შეკრთა, ინსპექტორს გაოცებული შეაჩერდა. დიმიტრი ლეთონსა ბადის უკან იდგა, ყვიროდა და ცალი ხელით ღობეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აჯერებდა. მეორე ხელში კი ბაგერილი ჩანთა ეჭირა. ნიორაძემ უცბათ მოისაზრა, მეზობლები არ შემოეყარეოსო და სწრაფი ნაბიჯით დიმიტრისაკენ გაეშართა, მწვანილის ყვეფლის ფრთხილად ამოჭვრდა ფეხს:

— რა მოხდა, ბატონო დიმიტრი?! — ჰკითხა ეროკარს რომ მიუახლოდა.

— ხად გაგვს ღორი დამწყვდეული, როგორ შეიძლება ქალაქში ღორი? — იყვირა ისევ ინსპექტორმა.

— რა ღორი, ბატონო დიმიტრი? — გაიოცა ნიორაძემ და მიიხედ-მოიხედა, შენობის აივნებს შეავლო თვალი.

— ვიცით, ვიცით რა ღორიც! — გახსნა ჩანთა დიმიტრიმ და ნიორაძის საქმე ამოიღო.

— არა ბატონო, — მოლბა ნიორაძე. — ორი დღით ჰყავდა ჩემს ნათესავს ჩამოყვანილი და...

— ახლა ადარ ეკვეს ღორი? — შეანთა გამომცდელი თვალები ინსპექტორმა.

— არა, დიმიტრი ბატონო, რა ღორი, რის ღორი?! — გაშალა ხელები ნიორაძემ.

— ეს ღობე რომ ისევ გაკეს... — წაავლო ლეთონის ბადეს ხელი ბუოკაძემ.

— ღობე ყველას აქვს, — ჩაიქირქილა ნიორაძემ. — თუ მოხსნინთ ყველანაზ, მეც ქე მოვხსნი, აბა რას ვიზამ.

ბუოკაძემ მიმოიხედა, მრავალსართულიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი სახლების გარშემო ბაღები სულ დაწაწკვერებინათ მობინადრეებს, ზოგს ბაღი ჰქონდა გაშენებული და ზოგსაც ვენახის ტალავერი მოეწყო. დიმიტრი ერთხანს ასე გაზეთებული იდგა, თითქოს პირველად ხედავსო და მუშტრის თვალით გასცქეროდა ბაღსაბაღებს და თალარებს, მერე ისევ ნორჩაძეს მიუბრუნდა, მაგრამ ახლა ის რიხი ადარ ჰქონდა მის ხმას:

— ყველას მოვახსნევინებთ ღობეს!

— ღმერთმა ჰქნას! — ჩაეკრიჭალა ნორჩაძე. — ბავშვები გაიბარებენ.

უცბად ბურკაძემ თვალი მოჰკრა რაღაც საოცრებას, ზევით, ტალავერზე გაბარღნილი ბარდიდან კიტრი ჩამოკიდებულიყო და იმ სიგრძეზე იყო, თავით მიწამდე წვდებოდა.

— ეს რა არის? — იკითხა გოიცებულმა და ბალში შეეიდა, კიტრს თუ რაღაც საოცრებას მიუახლოვდა.

— ეეს? — ჩაიღიმა ნორჩაძემ, — ინდური კიტრია, ნათესავმა მომიტანა თესლი, ძაან ავარგა.

— იმშეეა? — იკითხა ბურკაძემ და კიტრს ხელი წაეალო, დაკვირდა.

— აბა არ იმშეეა! — გაუბრწყინდა სახე ნორჩაძეს, — მარა, ახე უმად, არა! უნდა მოხარშო, ნიგვნით და ძმრით შეკმაზო, ან დამაწნეხო.

— გემრიელია?

— აგერ მაქვს დამწნილებული და გაგაშინჯებ, შე კაცო! — გაშალა ხელები ნორჩაძემ.— ისეთი გემრიელია, თითებს ჩაიკვნეტავ.

დიმიტრის ნერწყვი მოადგა და პირი გაუწკლაპუნა, თუმცა მინც შორს დაიჭირა, როგორ გეკადრება, ძალიან მეჩქარებაო. მაგრამ ნორჩაძემ მკლაკში რომ წაალო ხელი, არ გაძალიანებია. ჭიშკართან იყვნენ მისული, მასპინძელი უცბად შეტრიალდა, წიწმაღი დათხარა, მერე ბოლოკს წამოაყრევინა წითელ-წითელი თავები, მწიფე პამიდორიც დაკრიფა, ჯიბეში ჩაიყარა და უკვე გარეთ გასულ სტუმარს წამოეწია. ჭიშკარს დიდი ბოქლომი დაადო და დიმიტრის კმაყოფილი სახით გაუძღვა. სადარბაზოში შევიდნენ, მასპინძელმა აქეთო, და სარდაფში ჩასავლელ კიბეს ჩაუყვა, ბურკაძეც მას მიჰყვა. მალე ნორჩაძემ ისევ აიღარუნა გასალებები, კარი გააღო და სტუმარი ბნელ სარდაფში შეიყვანა. სანამ მასპინძელი ფაქს ანთებდა, დიმიტრის ცხვირში ეცა მყავეულების მძაფრ სუნში არეული ღვინის დამპარობელი არომატი. უცბად შექრა ანთული და სარდაფი გაბრდღვიალდა. ბურკაძეს „ოჰო“, აღმოხდა ადფრთოვანებისაგან — სარდაფში ღვინით გალიცქცებული ბოცები ერთმანეთის გვერდით დაეწყოთ, აქეთ დერგები და ქოთნები, ხის კასრები, თაროებზე კომპოტებით სავსე ჭილები.

— აგერ დაბრძანდი, — თქვა მასპინძელმა და ტაბლასთან მდგარ ჯორკოზე მიუთითა: — ახლავე ყველაფერი იქნება!

ბურკაძე დაჯდა, ჩანთა გვერდით მოიდო, როდის მოაწყო ასე დიდებულადო და სარდაფს შორით თვალი მოავლო. მონდომებულ მასპინძელს არც ქეღლურობა დავიუბნეთო; კედელზე მილურსმული იყო თითბერზე ამოქედილი სხვადასხვა ეთნოგრაფიული საგნები, კაცის თუ ქალის თავები, ზეელზე ნადირობის იმპროვიზაციული სცენა.

ნორჩაძე ერთხანს ფუსფუსებდა, მალე ტაბლაზე გარეცხილ-გასუფთავებული წიწმატი, წითელი ბოლოკი და პამიდორი გაჩნდა, მას მეავე ინდური კიტრი მოჰყვა, საიდანღაც პური და ყველიც მოიტანა მასპინძელმა, მერე დოქით ღვინო ჩამოდგა და დაჯდა.

— ახე შინოურულად გადავიარით, — მოიბოდიშა ნორჩაძემ, — ზევით კი აგიყვანდი, მარა...,

— რას ამბობ, ამას რა სჭობია, — თქვა ბურკაძემ და მეავე ინდურ კიტრს დასწვდა.

— მიირთვი, მიირთვი, ნახე რა გემრიელია! — ნორჩაძემ ღვინო ჩამოასხა, ჭიქა აიღო: — ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენს ურთიერთ. გაგებას გაუმარჯოს!

გაგებამარჯოსო, შეიმშრალა ხელი ბურკაძემ და მანაც ჭიქა ასწია. დიდხანს ისხდნენ და საუბრობდნენ, საერთო ნაცნობები გამოძებნეს, ერთმანეთი შეაქეს და ბოლოს დიმიტრის ღვინო რომ მოეკიდა, მასპინძელს თავისი დარდი გაანდო:

— რატომ არ უნდა გუკადეს ღორი?

— რა?! — დაპრაწა თვალები ნორჩაძემ.

— რატომ არ უნდა გკონდეს დიდი ეზო, ერთსართულიანი სახლი და გკავდეს ღორი! — ბურკაძეს ხელში ჭიქა ეჭირა, ლაპარაკობდა და თან ხელს იქნევდა, ნორჩაძე ჭიქას თვალს აყოლებდა, ღვინო არ გადმოეჭეკესო. დიმიტრის ერთხელ კიდევ გააქნია ხელი და დასძინა: — თუგინდ, თხა?!

— კაი იქნება, კაი მოგცა ღმერთმა, — დაუდასტურა მასპინძელმა, — მარა, არ შეიძლება, ქალაქია!

— მერე რა, რომ ქალაქია! — ხმას აუწია ბურკაძემ, — რატომ უნდა დაკარგოს ადამიანმა ქალაქში ბუნებასთან სიახლოვის უფლება, რატომ?! რა დააშავა ქალაქელმა?! აი, ბატონო, — დადგა ჭიქა ბურკაძემ, ჩანთას დაწვდა.

ნორჩაძემ გოიცებით გააყოლა თვალი, ისევ ჩემი საქმის ამოლება ხომ არ უნდა ჩანთიდანო და გაიფიქრა: აქ მარტო პორმარილით საქმე არ გამოვიკრა.

ამასობაში ბურკაძემ ჩანთა გახსნა, ცელოპლასტის მაკეტი ამოიღო, ჯერ თვითონ შეაფასებინა, მერე მასპინძელს დაუწყოდა:

კარლო ტაბატაძე
შთაგონებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა არის? — ვერ დაფარა გაოცება ნიორაძემ, მაკეტი ჩამოართვა და ყოველ მხრიდან შეუმეკრიტნა.

— რა არის და სახლია! საცხოვრებელი სახლი, — მიუგო მკვიახედ ბურკაძემ. — ასეთი სახლი საკუთარ ბალში, ზევით პამიდორები, ეზოში კი მოაშენე, რაც გინდა...

— ისეთი შენიშნული სახლი, ბატონო... — დაეკვეხით ჩაილაპარაკა მასპინძელმა; — რა საკადრისია, ახლა ეზოვართი აგერ, რას ემგვანებოდა გარეთან რომ გვხედავდეს ვინმე.

დიმიტრის შენიშვნა არ ესიამოვნა, მაკეტი ცივად გამოართვა, ჩანთაში ჩაიდო და ფეხზე წამოდგა.

— თითოც დაგველია, — წამოაკლო ჭიქა ხელი გაოცებულმა მასპინძელმა, ვერ მიხვდა, რა ეწყინა სტუმარს, ფეხზე წამოდგა, დიმიტრის ჭიქა გაუწოდა. — თითოც!

— მეტი არ არის საჭირო. — ჩაიქნია ხელი დიმიტრიმ და მასპინძელს ჭიქა ჩამოართვა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — მიეძალა მასპინძელი. — ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოს, ყველაფერი აწყობილი ჰქონდათ, ყველაფერი იცოდნენ; სად და როგორ...

— გაუმარჯოს, ნაღდ ხალხს გაუმარჯოს! — შესძახა ბურკაძემ, ჭიქა გამოსცალა, დაჯდა და ინდურ მეჯვე კიტრს დახუნდა.

მასპინძელიც დაჯდა, შვებით ამოისუნთქა. თითოც დალიეს და მალე ისევ შეხმაკბილდნენ.

— აი, თქვენ რომ ბრძანეთ, ბატონო, — დაიწყო ნიორაძემ, — ღირიც შეიძლება იყოლიო ეზოში, მართლაც კარგი რაჰე იქნება.

— ვის ესმის მერე! — ამოოხრა ბურკაძემ და ფეხზე წამოდგა, — წავედი ახლა მე.

— მე მესმის კარგად! — წამოდგა ფეხზე მასპინძელიც; — ახლა ის ღირი რომ ვიყიდე მე, მეზობლებმა ერთი ამბავი რომ ამიტეხეს და მიჩივლეს კიდეც, არ ესმით, რაშია საქმე!

— რაში?! — შეიჰირდა პირდაღებული ბურკაძე.

—რაში, ბატონო და, გავასუქებ დეკემბრამდე, საშობაოდ დავკლავ. მერე მოელი ზამთარი ცოლ-შვილით მოვაჭდები ქეიროში! — მასპინძელმა გადაიბარხარხა, რადაც საეჭვოდ ჩაიყო ხელი ჯიბეში და დასძინა, — ალა, ასე ვიცით ჩვენ!

— კი მაგრამ, სად გაკვს ღორი? — ჩაეკითხა ლიმილით ბურკაძე და თითი ჰკერში შეათამაშა.

— ეგ ჩემი საქმეა! — მიუგო მასპინძელმა და დიმიტრის ჯიბეში რადაც ჩაუდო: — შენც სუ, მეც სუ!

— რაო?! — გაოცდა ბურკაძე, ჯიბიდან ათმანეთიანი ამოიღო: — ეს რა არის, როგორ მკადრე?!

— რა ვქნა, ახლა მეტი არა მაქვს! — გაშალა ხელები ნიორაძემ და დიმიტრის [illegible] ულად შეაჩერდა.

— შეგარცხვენოს ღმერთმა! — შესძახა ბურკაძემ, ფუფი მაგიდაზე მიაგდო, ჩანთას წამოაცალო ხელი და აჩქარებული ნაბიჯით კარს მიაშურა.

გარეთ ბინდაბუნდი იდგა, ბრილლდა. დიმიტრის ღვინო მოეძალა და კარგ გუნებაზედაც იქნებოდა, ეს წყენა რომ არ შეგვიდრინდა. „რა-გორ მკადრა, როგორ მკადრა,—იმეორებდა გზადაგზა,—მაგას მეკრთამე ხომ არ ვგვიანვარ!“

ტროლეიბუსში ავიდა, დაჯდა და თავის გაჩერებამდე თავი მაინც არ აუწევია, რომ წამოდგა, იგრძნო, ღვინო კარგად გაჯდომოდა სხეულში, ფეხიც ოდნავ ერეოდა.

ლიფტი არ მუშაობდა, დიმიტრი ერთბაზს ამაოდ აკერდი ხელს ღილაკს, მერე, მოთმინება რომ გადაეწურა, კიბეს გაჰედა. რა ავა ახლა მეათე სართულზეო, გაიფიქრა და საფეხურებს ამყვა. ყოველ სართულზე ჩერდებოდა კარის წინ და ლიფტს იძახებდა, მაგრმ კაბინა არ იძვროდა.

„აი, ბატონო, აი, ბატონო, — იმეორებდა გუნებაში დიმიტრი, — ესეც თქვენი ლიფტები; ცივილიზაცია, ცთამპწკენები, ტექნიკა, ალმაფრენა!“ — როგორც იქნა, ათთავა კიბის საფეხურები და საკუთარი ბინის კართან შეჩერდა, სული მოითქვა. ღვინო ცოტა გაუნელდა კიდეც, თმაზე გადაისვა ხელი და ელექტროლილაკს თითი დაეჭირა.

კარი ცოლმა გაუღო, დიმიტრიმ შესცქინა და დამნაშავესავით შეაცქერდა. მოულოდნელად ცოლის ფეხებს შორის პატარა ფინია გამოცუნცულდა და გაჩარებულმა დიმიტრის გარშემო შემოტრიალა, დიმიტრიმ თვალი გაიყოლა და როცა ისევ ცოლს შეეხედა, შვილების მოწყენილ თვალებს შეეფეთა, ისინი ფიდას ამოდგომოდნენ ვეფრილი და მამას მოლუშულები შესცქეროდნენ.

— მამიკო, წუნა მოკვდა! — თქვა ბიჭმა და ლამის იყო, ატირდა.

— ხომ ვთქვი, შვილო, სასიცოცხლო პირი არა აქვს-მეოქი! არა უშავს, კიდეე მოგიყვან, — დიმიტრი დერეფანში შეეფინა და ოთახისაკენ გაეშართა.

ბიჭი ფეხდადგმ აეიდევნა, გოგო და ცოლი უკან მიპყვნენ, ფინია დაწინაურდა და უკანა ფეხებზე შემდგარი, ყველას წინ გაფაქდა.

— წუნა ეზოში ჩავიტანეთ და იქ დავმარხეთ! — სლუკუნით განაგრძო ბიჭმა, — წრეწუნა ძალიან მოწყენილია.

— არა უშავს, — თავზე დაადო ხელი მამამ და გოგოს შეეხედა. — თეფშებს თუ აქამეთ?

— კი ვაქამეთ, — დაუფიასტრა ნაღვლიანად გოგომ, ეტყობოდა, მასაც სწყინდა წუნას სიკვდილი!

— დღეს, მთელი დღე ტირიან! — წარბი შეჭარა ცოლმა, — სად დაიკარგე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიტრიმ ჩანთა საწერი მაგიდასთან მიაგდო და იქვე დადგმულ ყუთთან დაიხარა, ყუთში ზღვის გოგი იყო და პიპის აკმაკუნებდა, ბავშვებიც ჩაეფეკნენენ.

—რა ჰქენი? — იკითხა ისევ ცოლმა.

— არაფერი, — თავი ასწია წუთით დიმიტრიმ.

— რატომ, რა მოხდა? — გაოცდა ცოლი, — სად დალიე?

— მამიკო, წრფწუნაც ხომ არ მოკვდება? — შეაკვერდა ბიჭი დიმიტრის ფართო თვალებით.

— არა, არ მოკვდება! — აიყვანა ხელში წრფწუნა დიმიტრიმ და შეათვალიერა.

— აბა, გეკოფათ ახლა! — დაიძახა დედამ: — ჩქარა ფეხებქეთ! ეს თაგვები თუ ზღვის გოქებია, მოაშორეთ აქედან!

ცოლი, ბჭარში ედგა დიმიტრის, მართალია, კარგად არ ესმოდა, რას აკეთებდა მისი ქმარი, თუმცა ინტუიციით გრძნობდა, ოღონ თუ პროექტი გიმაორჯვებდა, დიმიტრი სახელს და დიდებას ოოიხვეშდა. ხშირად უსმენდა ხოლმე და ბევრ რამეში ეთანხმებოდა, ბეულიანებდა, უსწორებდა და თავის ვარიანტებს სთავაზობდა. მაგრამ დიმიტრი სულ თავეწაბრალი რომ მუშაობდა პროექტზე და ოჯახის საქმეს ალარ აკეთებდა, ცოლი მორალებით საკვედურობდა. შენ რა გაგეგებინა, მიახლიდან ხოლმე დიმიტრი, განსაკურთებით მაშინ, როცა ჩანფიქრი არ გამოსდიოდა, ხელს არ მიწყობ, არ გაინტერესებსო, ცოლი ამაზე ვიდდებოდა და ზმის ამოდების ხერეული ეკარგებოდა.

ერთი კვირის წინ მოიყვანა ეს ზღვის გოგეები დიმიტრიმ, ბავშვებმა გიიხარეს, წუნა და წრფწუნა შეარქვეს. ცოლს მაშინ არაფერი უთქვამს, ალბათ ისე საჭიროო. მაგრამ ახლა, დიმიტრიმ ხმა რომ არ ამოიღო, ცოლი ერთახანს გაოცებული შეჰყურებდა, მერე ხაუედურები თავისთავად მოადგა პირზეკი: ამ თაგვებს ბეწვი ცვივთ და ბავშვებს ათასი ავადმყოფობა შეიძლება დაეჭირო�ო. ადრე, როცა სამუშაოებს იღებდი და ორიოიდე გროშს აკეთებდი, რაც ამ დაწყეულლი პროექტზე დაიწყე ფიქრი, სულ შეუშვი ხელი ყველაფერსო. ცოლს ცრემლიც მოადგა თვალნი და ამან უფრო ჩაუთუთქა გული დიმიტრის, მიხვდა, ცოლშეილს დიდ განსაცდელში აგდებდა.

— ხვალ სადილის ფულიც ალარ გვაქვს, — განაგრძობდა ცოლი, — ერთი ათი მანეთი მაინც ეეშოვნა!

ადრე ქალი ფულზე კრინტს არ სძრავდა, თუ მაინც ახსენებდა, დიმიტრი ხელად მიუგებდა ხოლმე, ცოტაც მოითმინე, პროექტს ჩაავაბრეს და ყველაფერი რიგზე იქნებაო. დიმიტრის პროექტის დიდი იმედი ჰქონდა. იმედით სულდგმულობდა ცოლიც და მალე ჩუმდებოდა. ახლა ნთქვამი სიტყვები გულში მოხვდა დიმიტრის, „ათი მანეთი", — გაუელვა გონებაში და ცოლს მკვირცხლად შეხედა. ქალი კი განაგრძობდა:

— ბავშვებს ფეხსაცმელები დაუცვდათ, არ აცვიათ, არ აბურავთო. — თან ფეხში ფრიალდ უკვირდა. დიმიტრი ხმას რომ არ იღებდა და სულ იმის ბოლოდინში იყო, ან, ახლა იუვრებს და ან ახლაო!

— ათი მანეთი?! — შესძახა ბოლოს დიმიტრიმ და ჩანთას მიუახლოდა: — მაგაზე ადვილი რა არის, თუ სინდოს-ნაშუაზე ხელს აიღებ, ფულს რამდენსაც გინდა, იმდენს იშოვნი. მე სხვა რამეზე ვფიქრობდი, ფულის მეტი თუ არაფერი გინდა, მაგ ადვილია!

ცოლი გაოცებით შეაჩერდა აღტაცებულ კაცს. ახეთი თვინიერი არასოდეს უნახავს. დიმიტრიმ შავი ჩანთა გახსნა, იქედან ცელოპლასტის მაკეტის ამოღება უნდოდა, ხელს ნორაძის საქმე ამოჰყვა. დიმიტრი საქალალდეს დაიჩრდა, „ათი მანეთი", — წარმოთქვა ისე, თითქოს აი ახლა გახსნის და ამოიღებსო, მაგრამ საკალალდე ისევ ჩანთაში ჩადო და ფაკაფუცით სახლის მაკეტი ამოიღო, არც დაუხედავს, სწრაფად მიუახლოდა სანაგვეს, თავი ახადა და ის იყო, ნაგავში უნდა ჩაეგდო, რომ უცნაურ შეჩერდა, ცელოპლასტის მაკეტს დაზედა, შეათვალიერა და საწერ ოთხისაკენ გაემართა, ბავშვები ლოგინში შეწოლილიყვნენ და გატრუნულები სანაბრში გაჩეულიყვნენ.

— აი, მამაკო, ეს შენ! — მიმართა დიმიტრიმ ბიჭს, — შენი იყოს, ითამაშე ხოლმე.

ბიჭმა სიხარულით რაღაც შეჰყვირა, საწოლზე წამოხტა, მამას ცელოპლასტის სახლის მაკეტი ჩამოართვა და გულში ჩაიხუტა. თავი წამოყო გოგოსაც, ის ბიჭზე უფროსი იყო და გაოცებული შეაჩერდა მამას, როცა ამ მაკეტს აკეთებდა დიმიტრი, ბავშვები თავს დასტრიალებდნენ, ყოველნაირად ეხმარებოდნენ.

— რად გინდა, ჩქარა დაუბრუნე, არ დაამტვრიო! — შეიცხადა გოგენებულმა გოგომ და ბიჭს ხელიშში ეცა.

ცოლს ხმა არ ამოუღია. მართალია, მას დიმიტრის გამარჯვების იმედი ჰქონდა, მაგრამ გულის სიღრმეში შიშობდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა და მეუღლეს სწორი გზაზე დასაყენებლად ყოველდღიურ ცხოვრებისაკენ უბიძგებდა ხოლმე, დიმიტრი კი შეუპოვრად განაგრძობდა პროექტზე მუშაობას და ქალს დიდი ჯაფა ადგა. მაგრამ ახლა, თავისი ორი თუ სამი წლის ნამუშევარი ასე უცერემონიოდ ბავშვს რომ ანიჭა, ცოლს გული ჩაწყდა, მიხვდა, საქმე მართლაც ძალიან ცუდად იყო. ადრე, დიმიტრი თავისი პროექტის განხილვიდან რომ ბრუნდებოდა, მართალია, ვიოლაცეებს გაშმაგებით ლანძღავდა, მაგრამ ქალივ იმედიანად ჯდებოდა ხოლმე საბუშაოდ. ახლა

ეკატერინა ტაბატაძე
შუთაგონებული

კი, რადაც ალტაცებული გამოიყურებოდა და სწრაფი ნაბიჯით მიმოდიოდა ოთახში, თან ერთსა და იმავეს გაიძახოდა, მეტი თუ არაფერი გინდათ, მაგაზე ადვილი რა არ-ისო. ჩანთიდან ნახაზებიც ამოაყარა, დახეცა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა, ერთხანს დაჩერებოდა, მერე გულდასმით დაკეცა და წიგნების კარადაში გადაამალა.

გახარებული ბავშვები ლოგინზე წამოჭმუხდარიყვნენ, ცელოპლასტის მაკეტს ფუსფუსით ათვალიერებდნენ და კამათობდნენ. ცოლმა დიმიტრის რომ არაფერი უთხრა, ბავშვებზე იყარა გულისჯავრი: — დაიძინეთო, იწივლა და ბიჭს მაკეტი წაართვა.

ახლა ბიჭი ატირდა.

— მიეცი ბავშვს მაკეტი! — იყვირა დიმიტრომ, ცოლს გააფრთხილეთ ეცა, მაკეტი გამოგლეჯა ხელიდან და ბავშვს მიაწოდა.

— ღმერთო, ნუ გადამრეს! — ეკერა კედელს ცოლი და ოთახიდან გამავალ დიმიტრის თვალი გააყოლა. — მგონი, გადაირია ეს კაცი.

დიმიტრიმ საერთო ოთახში, დივანზე გაიშალა ლოგინი, ასე იცოდა, როცა გულმოსული იყო, ცალკე დაწვებოდა ხოლმე. ტანსაცმელი უდიერად მოყარ-მოყარა, ლოგინში შეწვა და ჭერს მიაჩერდა. ღვინო გაუნელდა, მაგრამ გულის მომეტებულ ბერვას გრძნობდა, ერთხანს ასე იწვა, მერე ლრმად ამოიოხრა და კედლისკენ გადაბრუნდა.

დიმიტრიმ სულის შეხუთვა იგრძნო, გული გაიღეს და ბანზე ავიდა, აქ სასიამოვნოდ გრილოდა. პამიდორი დამწიფებულიყო და წვთილად ღვიოდა, დიმიტრიმ პამიდორები დაკონფა და პატარა კალთაში სათუთად ჩაიწყო, ახლა წიწმატი და სხვა მწვანეულობაც დათხარა. კვლებს შორის მსუბუქად დაიბენტრებდა. ხშირ-ხშირად ქვეშით, ბალში იხედებოდა — ნაყოფით დახუნძლული ხეებით დაბურულ მწვანე ხასხასა მინდორზე ბავშვები კოტრიალობდნენ. მათ თავს დასტრიალებდა ბუმბორა ნაკაწი. იქვე, მწვანე ბუჩქებს კორტნიდა ჭიქანავსილი თბა. დიმიტრი გაფაციცებით ათვალიერებდა ეზოს, მაგრამ ცოლს თვალი ვერსად მოკრა, გაუკვირდა, ნეტა სად წავიდაო და ინდფერ კიტრს მიიწვდა. ამ კიტრის თესლი მეზობელმა ნირონაძემ მოუტანა, ძაან იხარა, იმსიგრძეები დაიზარდნენ, რომ ზევით ბარიდებში გამობმულები სახლის მთელ სამალლეზე ჩაგრძელებულან და თავით მიწას სწვდებიან. უკანაც ფრთების ფთაქუნით ეზოში ხობაები დფრინ-დნენ, ჭამიბენა და ინდაურებში აირიენენ, სიმინდს დაუწყეს კენკვა. დიმიტრიმ ხელის აჭნეკა დაიარა, მაგრამ ინდაურებმა თვითონ იმარჯვეს, ხობაები დიიფრინენ. დიმიტრის . გაედიმა კალთა აიღო და კიბეზე დაეშვა. მინის კედელს იქით დარბაზში იმზირებოდა, დარბაზში პალმები, მანდარინის და ლიმონის ხეები იდგა. დიმიტრი წუთით შეჩერდა, თოახის ყველა კუნჭულს შეავლო თვალი, მაგრამ ცოლი არც იქ ჩანდა. ეზოში ჩავიდა, მოულოდნელად ფეხებში გაიშლეიანა რაღაცამ, გველი იყო, კიბეზე აცოცებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. დიმიტრის ისე კობტად ჭერნნდა მოწყობილი კიბის უკუქანობი, რომ ვერც ერთი ქვეწარმავალი ზევით ვერ აცოცდებოდა, გაეცინა, გველს თვალი გააყოლა, ხასხასა ბალაში ლამაზად რომ მიიელკენებოდა და შეძრწუნებულს ისევ შეეკუშმა გული, უხსენებელი ბავშვებისენ მიცოცავდა. დიმიტრის უნდოდა ეყვირა, პირიც დააღო, მაგრამ ხმა არ ამოუვიდა, ვერც ხელები გაანძარა, ისე პირდაღებული გასცქეროდა ბავშვებს. ამსოხობში გველი მათ მიუახლოვდა, ბიჭმა სალამური მოიმარჯვა და მალე სალამურის ტკბილი სტვენა გაისმა, გველი მთელი სიგრძით წამოიმართა და ატოცდა — აცეკვდა; აეუფდა ძალლი, აკუნტრაფუნდა თხაც. ხოლო ინდაურები საჭმიანად აკვიტკვიტდნენ. დიმიტრი დამშვიდდა, გაიღიმა, გაახსენდა რომ გველი შინაური იყო და ბავშვებს არაა ავნებდა. ისევ ცოლს დაუწყო ძებნა. ნირონაძის ღობეს მიადგა, გოგესის ღრტუნი შემოესმა დიმიტრის. კისერი წაიგრძელა და ღობიდან გადაიხედა, იქვე, ღობის ძირში, დედა ღორი წამოწოლილიყო და გოგესები ღრტუნით ეხვეოდნენ.

„აა, ნირონაძე, — გაუღეცა დიმიტრის, — კარგია ხომ გოგესიანი ღორი რომ ყეავს ეზოში, კარგია, ხომ!“ — მეზობლის სახლს გახედა: ერთ ბოძზე შეაუნცესო, მინისკელლებიანი სახლი მწვანეში ჩაფლულიყო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სახლს კედლები არ ჰქონდა. დიმიტრი თავის ცოლს ეძებდა და გუულდასმით შეაოვალიერა მეზობლის ბინა, მოულოდნელად, საწოლ ოთახში პერანგისამარა შემოვიდა ნირონაძის ცოლი და ლოგინზე წამოწვა, ერთხანს ხუნჩაკვა შეეკრა, ხეებს ამოფფარა, ერთხანს ასე გატარუნული იყო, თითქოს რაღაცას ეფიქრა, მერე ღრმად ამოისუნთქა და ის იყო გამოტრიალება დაიპირა, რომ ოთახში მამაკაცი შემოვიდა, ისიც ტრუსის ამარა. დიმიტრის გული აუტოკედა, ყელში რაღაც მოაწყა, მამაკაცს დააკვირდა, ნირონაძე გახლდათ, ძლივს შეიცნო მეზობელი. გაეღიმა, მერე რა მოხდაო, დიმშვიდა გული, მუნებაში ყველაფერი ამკარად უნდა ხდებოდეს, ისევ თავის ცხოვრების მეგობარს დაუწყო ძებნა. ლუარი წყლით გალიელილებულ აუზს მიადგა, თევზები ხტუნაობდნენ, ტკლაშუნით ეშვებოდნენ წყალში. აი, ჭრელფაფფალინი ტრიტონებიც გამოჩნდნენ. დიმიტრი გაერთო, აუზში ხელი ჩაჰყო და სახეზე შეიახა, გრილი იყო, შეაშუშნა. მოულოდნელად, წყლის ზედაპირზე პაერის ბუშტულაკები გაჩნდა, წყალი აბუყბუყდა, მერე ტალღები გაიბნა და წყლიდან ცოლმა ამოყო თავი, თანდათან ამოიზარდა და

ნაპირისაკენ გამოცურა, ბოლო თევზისა ჰქონდა, მარჯვედ იქნეულა. დიმიტრი ჯერ გახეული შეცქეროდა, მერე გაეღიმა — გაეხარდა, რომ იპოვნა, ხელი გაუშვირა, ცოლი ნაპირზე გამოვიდა, პლასტმასის თევზისებური ბოლო შეიხსნა და მოიშორა. დიმიტრიმ გაოცებისაგან პირი დააღო, ცოლი დედაშიშველა შემოცქეროდა. „რას შერცხვები, ქალო, სირცხვილია!“ — წაიდუდუნა დიმიტრიმ და მიმოიხედა, იღბლად, არავინ უცქეროდათ, ისევ ცოლს მიაპყრო თვალი და ახლა ხმამაღლა უნდოდა ეყვირა, მაგრამ ენა დაება. ვიღაც მკლავზე წაეტანა. დიმიტრი შეიშმუშნა, ხელი გააქნია, მხარი იცვალა.

— ადარ დგება ნეტა ეს კაცი?! — შემოესმა ძილბურანში ცოლის ხმა.

დიმიტრიმ თვალი გაახილა. გათენებულიყო, თავს ცოლი დასდგომოდა და კუშტად შემოცქეროდა, მერე პირიც დაღო და დიმიტრიმ გარკვევით გაიგონა: — სამსახურში არ მიდიხარ?

დიმიტრიმ თვალი გააყოლა, მერე გულაღმა შეტრიალდა და ჭერს მიაშტერდა, სიზმარი გახსენდა. „რა ცხადად, — ფიქრობდა გუნებაში, — რა ცხადად, თითქოს სინამდვილე იყო.“

უცბად ცელოპლასტის ხახლის მაკეტი მოაგონდა, ფეხზე შლეგანივით წამოხტა და სარეცელზე ოთახში ტრუსის ამარა შევარდა, ბავშვობის საწოლებს მიუახლოვდა. ბიჭს მშვიდად ეძინა, ცელოპლასტის მაკეტი სასთუმალზე დადგა და ხელით ჩაებღუჯა. დიმიტრი დაიხარა, მაკეტი ფრთხილად აიცალა ბავშვს და შეათვალიერა, ერთხანს დაფიქრებული დასცქეროდა. მერე კვლავ საერთო ოთახში დაბრუნდა, შავ ჩანთას წაავლო ხელი, გახსნა და ცელოპლასტის მაკეტი შიგ სათუთად ჩადო, კარადაში გადამალული ნახაზები ფაცაფუცით გადმოქექა, მაგიდაზე გაშალა. „რას მერჩიან, რას მერჩიან!“ გაუელვა გუნებაში, მერე საცხოვრებელი უბნებში, თვითეულ ბაღში აუზების ადგილები მონიშნა, ნახაზები გულდასმით დაკეცა და ახინიც შავ ჩანთაში ჩაიწყო.

დიმიტრი დაპროგრამირებულივით ასრულებდა ყოველივეს, არაფერზე ფიქრობდა, ყველაფერს უზმოდ და სწრაფად აკეთებდა: პირი დაიბანა, გაიპარსა, ჩაიცვა, მერე ერთი ჭიქა მაგარი ჩაი დალია, და ის იყო, წასავლელად გაემზადა, რომ ცოლის გაოცებულ, მაგრამ იმედით ანთებულ თვალებს შეეფეთა.

— უეშველად გავიმარჯვებ, არ შეიძლება, რომ არ გავიმარჯვო! — შესძახა დიმიტრიმ და ანჭარებული ნაბიჯით კარს მიაშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მჭედლური

ბომბავლის ნათელი

ჟინვალჭესის მშენებლებს

I

ოთხნი საბაროდ წამოსულან
მთას აღარც ერთი დაბრუნდების,
— დაგუბდებისა, დედილამ, არაგვი?!
— ჰაი-ჰაი რომ დაგუბდების!

ბარით მოსულან კაი ყმები,
კლდენი დუსვრეტავ სალები,
შეძრულან მთები საირმენი,
ჭიუხში დამფრთხალან ღალები.

უგიათ ქალაქი,
მოუსხამთ ჯალაბი,
ხევებს მისჭრიან ლადუმებით,
— დაგუბდებისა, დედილამ, არაგვი?!
— ჰაი-ჰაი რომ დაგუბდების!

II

კაშბალის მშენებლობისას გამოვლინდა უძველესი ქალაქის-ჟინვალის ნანგრევები.

აღსასრულის ჟამს გაგვიღიმე,
განძი ქალაქის გაგვიმხილე,

დიდთა მეფეთა სრა ყოფილა,
დიდთა მეფეთა სამყოფელი,
ფერად ბაჯაღლო გამმბრწყინდა,
ქალთა სამშვენის-სამკობელი.

ერი ყოფილა უმრავლესი,
ვიდრე ქვეშანი არაგვისი,
ბჭენი ჰქონია უფართესი,
ვიდრე ჩინთი და არანისი.

ციხე ჰქონია შეუღალი
კლდეთა უმტკიცეს გალავნებით.
ჰქონიათ სანაგ-ქარვასლები,
სცნობიათ ინდოთა ქარავნები.

განკრთა ისტორია განაბული,
აღსასრულის ჟამს გაგვიღიმე:
ერთი ქალაქიც დაკარგული,
მიწავ ჟინვალის, — გაგვიმხილე.

გვირაბგამყვანთა ბრიგადირს
დავით კარიაულს

III

— მხნე მეჩვენები, ვაჟო,
კაი გამზრდელიც გეყოლება,
შენ რომ მთა კლდეებს ეჭიდები,
— დევის ლეგენდა გეგონება.
მხარში გიდგენან კაი ყმები,
მთას ნიტვევებულნი გულდიდად,
სისხამზე ხეობას აღვიძებენ,
არწივებს აფრენენ ბუდიდან.
იყავ მარჯვენა კურთხეული,
მამულს მიუზღე მისაზღავი,
რა ვალიც გადევს წინაპარს —
გეტყვის ჟინვალის მიწა-წყალი.
გიჭირავს ლასტი მეხთამპყრობლის,
კლდეთა დამლეწი ნაფოტებად,
შენ რომ გიყურებ, ნაომარი
გმირი კოპალა მაგონდება.

IV

საარაგვოზე ნისლი მაღლდება,
ომში წასულთა ლეგენდასავით
და დგება ღიღა გამრჯე ფიქრებით,
არაგველივით მხნე და მწყაზარი,
ნოტებს მოლოდინი ვვლის უცადი,
უცხო ბმაური გულში ეჭრებათ,
დღე ხვალინდელი მოდის გულდაგულ,
არც დაყოვნება, არც დაეჭვება.
მთა თვალს უსწორებს მომავლის ნათელს,
ვაჟა-ფშაველას ამდენილ სიზმარს.
ლოდივით მოაქეს მთების ზღაპარი
მთების შვილსა და ჟინვალის ციზანს.

დაჰკარ, მამული შემოგყურებს,
ველებს სჭირდება დარწყულება,
მთებს შუქი უნდათ საუკუნის,
უნდათ ოცნების ასრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიურად მე თავიდან ვეჩვევი ქალაქს...
და ყოველ დილით
მოზიმზიმე სახლებს და ქუჩებს
შიშით და ეჭვით ვუახლოვდები...
აქ არასოდეს არ მენთება მაღალი ცეცხლი
და არასოდეს შინაური აქ არ ვიქნები.

წლები რომ გავა...

წელი რომ გავა
ოცდაათი ან უფრო მეტი,
მზე რომ დაცხრება,
შემოდგომა კარვებს რომ გაშლის,
შენს თავს ამ დღეზე დანანებით ნურაფერს ეტყვი...
ო, დღევანდელი დაინდე ბავშვი.

არც ჩვენთვის არის ყოვლისშემძლე ეს სიყვარული!
ნუ,
ნუ იქნები ბევრის მტვირთველი...
არ აყვავდება ჩემი ჭალა გადაგვალული
და საგანგებოდ ერთი დღისთვის ვერ მოვირთვები.
აბა, რად გვინდა, —
ეს საღამო კარნავალს ჰგავდეს,
ჩვენ არარსებულ სისარულს ვდევდეთ.
ააფრიალებს მარტის ქარი ჭრელ-ჭრელა ფარდებს
და გამოაჩენს შებოლილ კედლებს.

ცვლილება

გაოცებულიც რომ არვინ დარჩა!
სულ არფერი მომხდარა თითქოს...
ღუმელთან ზის და ტაროებს არჩევს,
გათოშილ სხეულს ღუმელთან ითბობს.
ვინ ჩაიფიქრა,
ან ვინ ინება —

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯდეს და სადა ხალათი ეცვას.
უკვე არაფერს ეტტინება
სამხრეთისაკენ გაფრენილ მერცხალს.
სოფლის ღამეთა ელვა და მეხი,
ჭაბუკი გულის წვა და გოდება...
შეეოუთოხნა გარშემო ხეხილს,
კიბესთან ზის და
ქმარს ელოდება.

დაბრუნება

ვიდრე ანთია მინდორში ქოხი
და ვათიბული ბალახის სუნი
ხის კედლებს ლოკავს...
ვიდრე უყურებ ზვიად მოხუცს,
ბეჭებში მოხრილს —
მიდი, მიადე უხეშ წვერზე ბავშვური ლოყა.
ეგ შენი ავად გაფუყული სახელი დათმე.
დაბარე მიწა,
დაუყარე საკენკი ქათმებს,
შენი პატარა საყუდარი იპოვე სადმე.
გადადის ღამე
ჩუმი,
მშვიდი,
თბილი — რძესავით...
აქ არის შენი მეგობარი და ნათესავი.
გობთან დახრილი დედაბერის
გფარვიდეს კალთა
და არაფერი არ ისურვო ამ მიწის გარდ.

ჯემალ დავლიანიძე

ლოგიკოსები

მოთხრობები

„მუშაობამ ისე დამტვირთა, ორი წელიწადია, აღარაფერი დამიწერია“, — ეს იყო პირველი აზრი, რომელმაც გამიელვა პირველი მარტის დილას. ამ აზრს ლოგიკური გაგრძელება არ მოჰყოლია. — სკოლა გამახსენდა — ნათიანი ნახერხის სუნი, დერეფანი და ნანას წითელი კაბა. მე მას ვუთხარი, რომ მელანი ჰქონდა კაბაზე და უცბადვე გაეჭარწყლე მისი გაოცება: „დღეს პირველი მარტია, ვინც მოტყუვდეს, ბატია“. აზრის ეს არალოგიკური გაგრძელება იმით დამთავრდა, რომ ასანთი ავიღე, ავანთე და სანთს დავხედე: — ოცი წუთი უკლდა შვიდს, ამის გამო ამგვარმა ფიქრებმა გამიელვეს: „ვარჯიშს ვერ მოვასწრებ... მატარებელი შვიდ საათზე გადის... დამაგვიანდება. მერე მანქანით უნდა გავემგზავრო, — მანეთი გადავიხადო; იქიდან კიდევ მანეთი დამჭირდება სამსახურამდე...“ ბავშვს და ციოს ერთმანეთთან ახლოს მიეტანათ სახვები და ეძინათ. ციო მეუბნება, რომ ბავშვები მე მგვანან. ახლა, ორივენი მას ჰგავდნენ. არ გავაღვიძე, თუმცა სურვილი გამიჩნდა — ამ მსგავსებაზე მეთქვა მისთვის... ციოს ნახელავი კვერები მაგიდაზე ეწყო.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ვაშლი, ერთი ლიმონი და ხუთი კვერი გამოვახვიე იმ გაზეთში, რომლის მაკეტი ჩემი შედგენილი იყო... ქუჩაში გამახსენდა, რომ შუქი არ ჩავაქრე. ამან გამაღიზიანა, მაგრამ ბაცმა ცამ და მოსისხლულმა ცისკიდურამა დამაწყნარა. საათს დავხედე, — ათი წუთით წინ იყო. — გაღიზიანება გაქრა. სირბილით დავეშვი თავდაღმართზე. ჩემს გარდა, რამდენიმე კაცი მორბოდა თავქვე, გავასწარი; (ამან უფრო დამამშვიდა), გავივაკე და ღრმა სუნთქვა დავიწყე. ეჭვი შემეპარა, რომ მთელი ღამის განმავლობაში დასვენებული გულის ასეთი უცაბედი დატვირთვა არ იყო კარგი და ვარჯიშის ცოცი რამდენჯერმე გავიმეორე... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა — ჩასუნთქვა; ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა —სუნთქვას ვიკავებ; ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა — ამოსუნთქვა; ერთი, ორი ,სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი შვიდი, რვა, — პაუზა. გულმა შეანელა მუშაობა. უცბად მომაგონდა, საით მივეშურებოდი და ხელახლა გავღიზიანდი. როცა ელექტრომატარებელი გამოქვრა ვეირაბიდან, გაღიზიანება გამიქრა. თვალები დავხუჭე. ღრმად ვსუნთქავ.. რიმელიღაც გაჩერებაზე ელექტრომატარებელი უცბად დამეხეთქუდა. ვაგონში მსხდომნი შევთვალიერე, უმეტესად ნაცნობი სახეებია. იმ კაცმა, ბრტყელი, შავი ულაშები რომ აქვს, ქართული ბრწყინვალედ იცის (მისი ძმაკაცების აზრით), იშვიათად ლაპარაკობს, ზშირად ციდება, სურდო თანგავს და ხმა ეხრიწება; ცრძელყელიან ჩექმებში გამოწყობილი, ყელყიწწორა მოხუცი გადამდგარი პოდპოლკოვნიკია, დედის გინება და გადაფურთხება უყვარს, მუდამ პოლიტიკაზე საუბრობს, ანეგდოტებს ჰყვება, მეტროშიც კი ეწევა სიგარეტს, ხელოვნური კბილები აქვს და ცალ ხელზე ერთი თითი აკლია... „სამგორში“ ეგონები იცლება. ფაცხაფუცხით ავრბივართ კიბეზე (ამ დროა, მართალია ვიცი, საით მივდივარ, მაგრამ სად, რად მესმის შინაგანი სიცილი — „ცდ გარბიხარ?“). აქოშინებული მეწინავენი გვეძახიან: ნელა იარეთ, მატარებელი არ წასულაო (ანდა ცხვირებს ჩამოუშვებენ, გინებას მოჰყვებიან და სიგარეტს აბოლებენ). ჯერ მატარებელი არ მოსულა, ბილეთს ვყიდულობ და შადრევანს ვუახლოვდები. მატარებელი ნელა შემოდის; მატარებლის დანახვაზე მახსენდება, რომ ვაგონები არ თბება, პაპიროსის სუნით არის აქოთებული, იგინებიან, კარტს თამაშობენ, ახვევენ... ჩემი უფროსი და ფოტოკორესპონდენტი მეორე ვაგონში სხდებიან მუდამ. უფროსი არ ჯდება იმ სკამზე, რომელიც თბება. ფოტოკორესპონდენტს, პირიქით, თბილი უყვარს და ყოველთვის იღიმება, როცა თბილ სკამზე ზის. შორიდანვე მესმის ძახილი — ჩემმა უფროსმა და კორესპონდენტმა ადგილი დაიკავეს ჩემთვის, ვიღაცა ახმახი უკან გამოაბრუნეს, სკამი დაკავებულიაო (და იმაზე უფრო კმაყოფილი დარჩნენ, ვიდრე აქამდე იყვნენ). ფოტოკორესპონდენტსა და უფროსის მოადგილეს შორის ჩავიჭედე. ვინანე, რატომ ამოვედი-მეთქი ამ ვაგონში... იძულებული ვარ ჩავერიო საუბარში, ტრადიციულ კითხვაზე — რატომ არ გავიპარსე წვერი, მიზეზი უნდა მოვიგონო (რომელიც განელილ ღღეს გამახსენებს აუცილებლად), უნდა ჩავიდიმო, აზრი გამოვთქვა. ღვინოს არა ვსვამ. არადა, ღვინოზე საუბრობენ. უფროსს, მოადგილეს და ფოტოკორესპონდენტს უყვართ ღვინო. მოადგილე მთლად აღფრთოვანებულია საუბრით... უფროსი ახლად მოსულია, მაგრამ გულგახსნილია... ქართული ღვინის ქება გამეხარდა, მაგრამ მალე დამავიწყდა, თავი ჩავდუნე და ჩემი გულის მოძრაობას მივაყურადე. ჩემი გული ნელა, ძმიმედ ფეთქავს. ეშუბვარ, რომ ქართული ღვინის მოტრფიალეებს სუსტი გული აქვთ და ამაზე მხოლოდ მაშინ ფიქრობენ, როცა ჭვალი გაადგებათ. ასეთი ხალხი ზშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაბახობს, რომ არ იციან, გული საით აქვთ — მარცხნივ თუ მარჯვნივ (ამატომაც, მათი აზრით, ისინი ჯანმრთელნი არიან). ეს რომ გავიფიქრე, სქელსქელი ძიაკაცები მომაგონდნენ, რომლებმაც არასოდეს იციოდნენ, საით ჰქონდათ გული და ქუჩაში რომ წაიქცნენ, მარჯვენა ხელი მარცხენა მხარეს იტაცეს. არადა, „ჩხავერი“ ტკბილია თურმე და სასმელად არ მოსწონს უფროსს. მოადგილის აზრით, „ტიბაანი“ ყველასა სჯობს. ფოტოკორესპონდენტი „მანავის მწვანეს“ აქებს და ღორის მწვადს ახსენებს, რომ უფრო გააძლიეროს მის მიერ ქებული ღვინის ხარისხი. — უფროსსა და მოადგილეს უყვართ კახური ღვინობი... გუშინ დაწერილი ლექსის აღდგენას ვცდილობ. — ჩვენს ეზოში უპატრონო კატა მოვიდა. ახველებდა. ჩემმა ძმამ შინ შემოიყვანა. დეიდაჩემმა სინანულით თქვა: თქვე უბედურებო, ყველა გეცოდებათ, ნეტავ თქვენ თუ ეცოდებით ვინმესაო. ძმამ გაიღიმა. დეიდას, რომელმაც გაგვზარდა, არაფერი ვუპასუხეთ და რძე დავუსხით კატას. ერთი საათის შემდეგ, შუშის დაპობას რომ მოვრჩი, კატა მომიახლოვდა. ჩავიკენტე. შემომხედა. თვალებში ჩავიცქერდი. ამგვარი ფერი არასოდეს მინახავს, სიკვდილისფერი იყო. უცბად შევბრუნდი, შინ შევედი და ლექსი დავწერე... უფროსი, მოადგილე და ფოტოკორესპონდენტი კახელებზე ჰყვებიან ანეგდოტებს... გუშინ დაწერილი ლექსის დაბოლოება მაწუხებს — თითქოს რაღაც დავაკელი... უფროსს მოსწყინდა ლაპარაკი და გაჩუმდა. ყველა დადუმდა, რადგან სიჩუმე ჩამოვარდა და ეს სიჩუმე უნდა რაღაცას ამოვესო. უფროსმა მოგვიანებით გაიცინა მოადგილის მიერ მოყოლილ სუსტ ანეგდოტზე, ხელი ჩაიქნია, დაორთქლილი სარკმელი გაწმინდა და მთელი ვაგონის ყურადღება მიიპყრო. გაწმენდილ სარკმელში აღმოსავლეთი გამოჩნდა. ცას გავხედე, კარგი დღე თენდებოდა. ცაც იმ კატისფერი, დიდი თვალით მიცქერდა. გუშინ დაწერილი ლექსის დაბოლოება აღარ მაწუხებდა. მივხვდი, რომ თავში არეული ფიქრები მიტრიალებდა, მაგრამ მალე ყველაფერი დალაგდებოდა. თავი ჩავღუნე. უფროსმა არ დამაცადა, შენიშვნა მომცა — გუშინდელი გაზეთის ნომერში სათაური შეცდომით (შეცდომა არა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ...). გაგვიშვა. დედაწში იყო: „ნოვ სელა მაკოვა“, ჩვენ გვითარგმნია ასე: „სოფელ მაკოვის სიახლენი“. სჯობდა ყოფილიყო: „განახლებული მაკოვო“. პასუხის ნაცვლად ოდნავ გავიღიმე, რამაც დაამშვიდა უფროსი. მატარებელი კუბისში იდგა. მოშიშვლებული გორაკები მოჩანდა აღმოსავლეთისაკენ; მზე მომეტატრა. — გუშინ მე და ჩემი ბიჭი ვმღეროდით: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა, სიცივეს კაცი მოუკლავს, აგერ სითია გორავსა“. მე და ჩემი შვილი დარწმუნებული ვიყავით, რომ მზე გაიგებდა ჩვენს სიმღერას (რადგან მზე დიდია, თბილი და კეთილი) და გამოიამინებდა... სარკმელს თვალი მოვაცილე. უფროსი, მოადგილე და ფოტოკორესპონდენტი იცინოდნენ, თან მე მიყურებდნენ — თურმე ფილასაქეთია, მძინავს (ასე უთქვამს ჩემზე უფროსს) და ეს აცინებდათ. მეც გამეცინა. ჩემთვის სულ ერთი იყო, რაზე იცინოდნენ, მაგრამ ვიცოდი, რომ ყველას რაღაც ავადმყოფობა აწუხებდა (უფროსს — სტენოკარდია, ბოადგილეს — ასთმა, ბუასილი, ფოტოკორესპონდენტს — ათეროსკლეროზი და შაკიკი). უფროსი მიხვდა, რომ თავი უნდა ჩამექინღრა და მირჩია, მეყოდა უბის წიგნაკი და ჩვენი დაწესებულების საჭირბოროტო, საორგანიზაციო საკითხები შემეტანა შიგ, თორემ ბევრი რამ დამავიწყდება და მერე, პროფკავშირის კრებაზე პირს დავადგ. თავი ჩავღუნე. გული აჩქარებით მიცემდა. დახუჭული თვალების

ჯემალ დვალიანიძე
მოთხრობები

წყვდიადში ჩემს შვილებს ვუყურებდი. თვალებში შავი თოკივით გაჭიმულ სიბნელეზე მიედიოდი და წონასწორობას ინდაურების გასაბრაზებელი სტვენით ვიცავდი. თითქოს ჩემს გულში ვიჯექი და იქიდან ვუყურებდი აორტაში სისხლის მოძრაობას. წითელი სითხით მევსებოდა მზერა... დაძაღული მატარებელი დაამუხრუჭეს. ჩემი თანამგზავრები ისევ იცინოდნენ. მოადგილე ლაპარაკობდა ჩვენს ყოფილ უფროსზე, რომელმაც პირადი თხოვნის საფუძველზე თავი მიანება სამსახურს (გადაღლის გამო). ახალი უფროსი იღებდა. ფოტოკორესპონდენტს თვალები არ უჩანდა (სიცილით), მოადგილეს კი ღაბაბად ექცა სახე (ხარხარით). მე ვიცოდი, რომ განვლილი ამბების მოგონება უხაროდათ და თოვლიან მინდვრებს გავხედე. სიცივე ვიგრძენი ფეხებზე და ყოფილი უფროსი მომაგონდა (რომელსაც დასცინოდნენ). მისი გარეგნობა წარმოვიდგინე (იგი მწვრალი იყო) და ხუმრობის ხასიათზე დავდექი. ყოფილ უფროსთან რომ დროზე მივსულვიყავით, მე და მძღოლი (გრიშა) დილის რვა საათზე ვხვდებოდით ერთმანეთს, ცხრის თხუთმეტ წუთზე უკვე ეზოში ვუცდიდით. კორპუსი, სადაც იგი ცხოვრობდა, ხელოვანი ხალხისათვის იყო აგებული. გრიშა ანეგდოტებს ჰყვებოდა. სხვა მძღოლები (ხელოვანი ხალხისათვის აგებულ კორპუსში ბევრი უფროსი ცხოვრობდა) დასცინოდნენ გრიშას და მის მანქანას: „ვაჰ! შენი ხაზეინი ლოდარია, აი!.. ეხლა სიზმარში იქნება თბილათ, აი!.. ვაჰ! ხაზეინი თქვენა გყამი, აი!..“ უფროსს (ყოლდემარს) კი ეძინა. ეს ყველა მძღოლმა იცოდა და მიკვირდა, — ამ კაცის ყოველი მოქმედება რატომ მამხიარულებდა. ათის ნახევარი რომ შესრულდებოდა, ყოლდემარის ბინის სარკმლიდან გადმომძახებდნენ. ნელ-ნელა ავდიოდი. უფროსის რომელიმე ქალიშვილი (სამში ერთი) გაადებდა კარს და ნაზი ჩურჩული მესმოდა: „შამას სძინავს, ახლავე გავაღვიძებ, დაბრძანდით“. მე მსიამოვნებდა ფართო ოთახების სიმსუბუქე. მოყვითალო, ბზისფერი, ჟვირფასი ხის ავეჯი და მიხაროდა, რომ ყოლდემარი ასე კარგად ცხოვრობდა. ავეჯს ვერ ვაშორებდი თვალს. მერე (რადგან ყოლდემარი ადგომას აგვიანებდა), წარმოვიდგენდი ავეჯის ამოსაზიდად მოყვანილი კაცების შეძახილებს, ხვნეშას, გინებას, ფურთხებას და ეთვლემდი. ამასობაში ყოლდემარს აღვიძებდნენ: „ყოლდემარ, ადექი, ჯინდო (მე) და გრიშა (მძღოლი) მოვიდნენ“. ყოლდემარი პასუხობდა: „შემოვიდნენ“. მე შევდიოდი მის საძინებელ, სამშუაო, წიგნებით სავსე ოთახში (უგრიშოდ). ყოლდემარი იწვა. მისი სახის დანახვაზე ვხვდებოდი: „წუხელ დალია, ქალქგარეთ („წყაროსთვალზე“, „მარანში“, „ზედაზენზე“, „სალობიეში“ ანდა სხვაგან) იყვნენ, რაღაცა დაკლეს, ლექსები თქვეს, სამშობლო ადღეგრძელეს, სული დაიმშვიდეს და ახლა შეუძლოდ არის, სამსახურში ვერ წამოვა“. ვიღიმები (და მისი ფაქიზი გამომეტყველების შემყურეს ახსენდება, მთელი ზამთარი რომ უშვშოდ დავრჩი მისი მეოხებით)... ყოლდემარის ადგილს ვიკავებ მანქანაში. გზადაგზა მე და გრიშა ხასიათზე ვდგებით. ჩვენი აზრით — მე ვარ ყველაზე ეშმაკი ჩვენს დაწესებულებაში, რადგან „სლაბი ტოჩკა“ ვუპოვნე ყოლდემარს. მერე სიცილით მეკითხება: ცხენ-ირმის რქა თუ აჩუქეო. მეც ვცინი. — ყოლდემარი ყოველ დათრობაზე მუდამ მჩუქნიდა სამოთხიან (იზოლირებულ) ბინას, ჩემს კრებულს ასაწყობად აძლევდა სტამბას, შეშით უზრუნველმყოფდა, ოცფორმიანი წიგნის თარგმნაზე ხელშეკრულებას მიფორმებდა, მეხმარებოდა, რომ ჩავწერილიყავი საკუთარ სახლში. ჩემს მეუღლეს სამსახურს ჰპირდებოდა. ჩვენ (მე და ყოლდემარი) ბედნიერები ვიყავით. მე, ჩემის მხრივ (ამდენ პატივისცემას ხომ გადახდა უნდოდა), ყოლდემარი მიმყავდა რაჭაში საქეიფოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთალეთში — ცხენებით საანალიროდ, გორში — საქეფოდ, ვეროვნები „ზაუერის“ მარკის თოფს, ცხენ-ირმის რქებს, ვაცნობდი ახალგაზრდა გოგონებს და ჩვენ (მე და ვოლდემარს) გვიხაროდა ეს ცხოვრება (ვოლდემარი დათესილის იმკიდა). ამ დროს ჩვენი დაწესებულების მანქანა მიგვარბენინებდა სახლისაკენ და მე კარგ ხასიათზე მაყენებდა წინა (მარჯვენა) კარი (რომელთანაც ვოლდემარი იჯდა) და უკანა (მარცხენა) კარი, რომლებიც მავთულებით იყო დამაგრებული და ჯანჯღარებდნენ. სიგარეტის საყიდლად შევჩერდით, ვოლდემარი მავთულს დაეჯაჯგურა (რომლითაც კარი იყო დამაგრებული), ვერ გამოხსნა და შეიგინა. მერე მე ვეწვალე. — გრიშა მოგვეშველა და ვოლდემარის მადლობა დაიმსახურა (საღოლ!) ვოლდემარმა სიგარეტი იყიდა, თოკით დაბა კარი და დავიძარით. ჩვენ გვიხაროდა, რადგან შინისკენ მივეშურებოდით. — მით უმეტეს (გვიხაროდა... უფრო კი ვოლდემარს), რომ უკან, მანქანის სატვირთო განყოფილებაში ატმთა და ყურძნით სავსე ყუთები ელაგა და ჩემს გვერდით, ფეხებთან, ღვინის დიდი ბოკა იდგა. ერთგან გრიშამ მკვეთრად დაამუხრუჭა მანქანა, სამივე კარმა აიწყვიტა და გოჭი გნიასით გადახტა. გრიშამ, გავეკიდებიო, მაგრამ ვოლდემარმა დატუქსა, — ცირკს ნუ მიწყობ შუა ქალაქში...

მატარებელი კვლავ დაამუხრუჭეს. ახალმა უფროსმა (ბერდიამ), მოადგილემ და ფოტოკორესპონდენტმა სიცილს თავი დაანებეს და სარკმელში გაიხედეს. ამ დროს ფოტოკორესპონდენტმა შეაჩერნა, რომ მზე ამოდიოდა, ნაზად მოავლო ხელი ბერდიას და წასჩურჩულა: „რა წითელი მზეა, ლამაზია, არა? ახლა სადმე, მწვანეზე, ციკანი, მწვანილი, კარგი ალადასტური...“ გამახსენდა ჩემი სოფლის სადამო, თქმის ხეობა, კალოუბანი, ჭრიჭინებით აჭრიალებული ღამე და ჩემი ბიჭის სიმღერა: „მზეო, ამოდი, ამოდი!“ ჩვენი ვაგონი (მეორე ვაგონი) სასადილოსთან ჩერდებოდა, სადაც მოადგილე ხაშს ჭამდა ყოველ დილით. უფროსს არ მოსწონდა ეს სასადილო (რადგან უფროსი ახალი იყო). ამიტომ მოადგილე ხაშის საჭმელად წავიდა, — ბერდია, ფოტოკორესპონდენტი და მე ლიანდაგებს დავადექით. ვცდილობდი, რელსებზე მევლო და არ ჩამოვვარდნილიყავი. ჩვენს გარდა ლიანდაგებს ბევრი სხვაც მოუყვებოდა. მზე მარცხნიდან ამოდიოდა. ადამიანები მატარებელს ერიდებოდნენ, ეშინოდათ, გაფაციცება იყურებოდნენ; მარცხნივ კი, საითაც მზე იყო, არ იცქირებოდნენ. მე მინდოდა, მარცხნივ, ამომავალი მზისთვის შეეხედათ ადამიანებს. ამ წუთში მერჩივნა მზის ცქერაში დამჯახებოდა მატარებელი, მაგრამ მისმა საყვირმა მაიძულა, ლიანდაგიდან გადავსულიყავი და კისერი უკან მომეღრიცა (კეთილი სურვილი, რომ ადამიანებს მზისთვის ეცქირათ და ჩემი სურვილი — მზის ცქერაში დამჯახებოდა მატარებელი, გაქრა). შლაგბაუმთან, საერთოდ დამავიწყდა მზე და მანქანების გამონაბოლქვ კვამლში არეულმა ძტვერმა სინამდვილე დამიბრუნა... სტამბაში ატეხილმა ხრიალ-გნიასმა მუშაობა მომანდომა. კაბინეტის კარი შევადე, მაგრამ იმ მაგიდის დანახვამ, რომელზედაც ვვარჯიშობ ხოლმე, გამაღიზიანა. გამახსენდა, დღეს რომ ვერ ვივარჯიშე. სტამბიდან მეტრანსპაჟი მიხმობს — მაკეტი მომაწოდეო. მაკეტი გვიანდება, რადგან ვიღაცამ ვერ მოასწრო სტატიის დაწერა. ხაშის სუნი ასდის მოადგილეს. — ბერდიამ უსაყვედურა, შენზე გაპიროვნებული მასალების გამო გაზეთის ნომერი იგვიანებსო. დასაბეჭდ მასალას ჩავუჯექი სათარგმნელად, რომლის სათაურია „მარცვლეულის ინდუსტრიისათვის“. აქ ლაპარაკია, რომ ლიპეცკის ოლქის ქალაქ გრიაზში შეიქმნა მარცვლეულის ვეებერთელა ხოფების კონსტრუქცია...

ჯემალ დავლიანიძე
ბოლშევიკი

ბერდია ახლად დანიშნული უფროსია და უხარია სამსახურში მოსვლა — ხელებს იფშვნეტს ხშირად, იღიმება. დღეს მშვენებლები მოვლენ თურმე და ჩვენი დაწესებულების რემონტი დაიწყება. ამან მომაგონა, რომ ღუმელი გამოქრა და შეშა შევუკეთე. კვამლი ამოვარდა ღუმელიდან. მოადგილე (არგო) ნივრის სუნს აფრქვევს ღიმილთან ერთად. შევაცქერდი. — რამდენიმე წელიწადია ერთად ვმუშაობთ და რამდენჯერმე ვცადე, მოთხრობა დამეწერა ამ კაცზე. არადა, ვიცი, თუ დაწერე, საოცარი რამ გამოვა, მაგრამ ახლა მისი კვადრატული აღნაგობაა საინტერესო. მოადგილე მომიახლოვდა, მაკეტს დააცქერდა, რომელიღაც ინფორმაციას ადგილი შეუცვალა, ჩაფიქრდა, აბუტბუტდა... უცბად, ახლახი, ულვაშებადქცეული კორესპონდენტი შემოიჭრა, გრძელი სახე ისე ჰქონდა აღფრთოვანებული, რომ ნაკვთებს ადგილები შესცვლოდა. — სასწრაფოდ დასაბეჭდი ოპერატიული ცნობაა — პუპპროდუქტების ბაზამ ვადაზე ადრე, გადაჭარბებით შეასრულა კვარტალის გეგმა-ვალდებულება. აყლაყუდა ჟურნალისტი გახარებული გავიდა ოთახიდან — მისი ინფორმაცია დაიბეჭდება... ცეცხლი მოეკიდა შეშას. თბილი ჰაერი ათბობს დასველებულ ჭერს და ცარცის თხელი ფიფქები ვვაცვივა. ბერდიას არ მოეწონა, მოადგილემ რომ ადგილი შეუნაცვლა ინფორმაციას და უკან დააბრუნა. არგომ ხელები გაშალა, გაიღიმა, ჭერს შეხედა (საიდანაც თოვლის ფიფქებივით ცვიოდა თეთრი წერტილები), თუხთუხა სიცილი დაიწყო და ნასმურევზე შეჯმული ნივრის სუნი გადმოაფრქვია, რამაც მეყვსეულად გამახსენა ავადმყოფები: ათეროსკლეროზი. ტუბერკულოზი, კიბო, ბუასილი... არგომ ერთხელ კიდევ ახსენა ჩვენი დაწესებულების შენობის ავარიული მდგომარეობა, მისი ყოფილი უფროსი (ვოლდემარი), რომელიც ამის გამო შეიძლებოდა თავისუფლად მიეცათ პასუხისგებაში, ამის ნაცვლად, დასაჭერი კაცი საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლეს. ბერდიას ხელი ჩაიქნია და მაკეტს ჩაუშტერდა. არგოს აზრით კი, ვოლდემარი დასაჭერი იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დაწესებულება ავარიულ მდგომარეობაში დატოვა, საწევროებს არ იხდიდა, ავტომანქანას იყენებდა პირადი სარგებლობისათვის, საქმე არ იცოდა, გულგრილი იყო, სამსახურს აცდენდა; მეორეც — ვოლდემარის მოხსნა შეიძლებოდა არაკოლეგიალობის, თანამშრომლებს შორის შურის გაღვივების გამო. ფოტოკორესპონდენტი ჩაერია საუბარში და არგოს შემდეგი დიალოგი გაახსენა:

— წიგნს რომ გამოსცემთ, ერთ კარგ კოსტიუმს ხომ მიყიდით, ბატონო ვოლდემარ?

— გიყიდი, აუცილებლად გიყიდი.

ვოლდემარი იღიმება.

არგოს არ სჯერა და იმედიანად იმეორებს:

— რაკიღა სიკეთე ჰქენით, ბოლომდე მიიყვანეთ — მოადგილეობა მაღირსეთ...

— გაღირსებ, აუცილებლად გაღირსებ.

ვოლდემარი იღიმება.

არგოც იღიმება.

...

— ამ ჭიქით, გაზაფხულს, ამღვრეულ მტკვარსა და ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოს!

არგო უკვე მოადგილეა.

ვოლდემარი ილოცება.

— გაუმარჯოს, ნამდვილად გაუმარჯოს! — კვერს უკრავს არგო.

ფოტოკორესპონდენტმა დაასკვნა, რომ ვოლდემარს კარგის მეტი არა გაუკეთებია რა არგოსთვის და არ უნდა ლაპარაკობდეს ასეთ რამეებს იმ კაცზე...

ვოლდემარის გამოჩენა მუდამ მიხარიდა. ჩამოსვლისთანავე მიხმობდა, კარს ჩავკეტავდით, ლიტერატურაზე ვსაუბრობდით, ვაქებდით, ვიწუნებდით, ერთმანეთს ვპირდებოდით ბინას, თოფს, ჩაწერას, მოთხრობების გამოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეუბნებას, ნადირობს, პურ-მარილს, ბოლოს, ვიკინოდით. ამ დროს კარს მიღმა რამდენიმე კაცი იდგა და გვისმენდა. მათი აზრით, „მე უფროსს ეუკაკლავდი ახალ ამბებს, ვაბეზღებდი მათ და სხვა“. ვოლდემარმა იცოდა, სახლში გათბობა არ მქონდა; ადრე, გაზის გასაყვანად შვიდასი მანეთის სესხებას შემპირდა (რის გამოც მე მას აღვუთქვი, რომ მის წიგნზე ერთფორმიან რეცენზიას დავწერდი). მერე ეს ამბავი ორთავეს დაგვავიწყდა ზუსტად ორ დღეში. ერთ საღამოს შექეიფიანებული მოვიდა სამსახურში, მთხოვა, კარი ჩამეკეტნა. ის იყო შემოტრიალდი, რომ მახარა: მუშტარი გიშოვნეო. ეს „მუშტარი“ ერთი დიდი დაწესებულების დირექტორი აღმოჩნდა. ვოლდემარის სიტყვით „საზანი“, მოპოეტომომწერლო ელემენტია, რომელსაც ორმოცფორმიანი რომანი ულუბია შინ და კორექტურას (რედაქტირებას) საჭიროებს.

— ძვირი დაუჯდება, — ვამბობ.

ვოლდემარი იღიმება (მიყვარს მისი ღიმილი — ადამიანური, კეთილი და წმინდა):

— ტყავს ნუ გააძრობ.

— ძვირი დაუჯდება.

ვოლდემარი იღიმება.

როცა თანხა დავასახელე, ვოლდემარი შეცბა:

— ძვირია.

— ნაკლებად არ ვიკისრებ.

— ძვირია, ბიჭო!

— თქვენ კორექტურას ამბობთ, ვიცი, ხელმეორედ დასაწერი იქნება. ვოლდემარი მეთანხმება და დასძენს:

— სეირი ის იქნება, მერე პრემია რომ მიიღოს მაგ რომანმა, გავგიჟდები, შენ ხომ მთლად გადაირევი.

საზანმა მეორე დღესვე დამირეკა. „შვილო“ მითხრა, მომეფერა, დამბარა, ჩემთან მოდიო. იგი დახუთულ ოთახში იჯდა, რომლის კარებზე „დირექტორი“ ეწერა. ოთახში არ შეიძლებოდა აზროვნება, რადგან ყველა კუნჭული, საიდანაც კი ჰაერსა და მზეს შეეძლო შემოწოვება, საგულდაგულოდ იყო დაგმანული. საზანმა პირველ რიგში ამიხსნა, რომ მისი ხელფასი ბევრად არ აღემატება ჩემსას. ხელფასით ცხოვრობს, ისე რომ ძვირია... მე მას ავუხსენი, რომ მისი რომანის კორექტურა არც თუ ისე სასიამოვნოა ჩემთვის და დავემშვიდობე. საზანმა შეჰყვირა. — თურმე, მე უნდა მრცხვენოდეს, რადგან საწყენად არ უთქვამს, მაგრამ ყველაფერი ანგარიშია... საზანმა უჯრა გამოსწია და ქაღალდების სქელი შეკვრა დაგდო მაგიდაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოვრიგდით. სათაური დავზედე.

— სათაური არ ვარგა.

— აუ! — ბებრულად შესძახა საზანმა.

— უნდა გამოვცვალოთ.

— რას ერჩი?

— გაცვეთილია.

— გაცვეთილი?

— ბანალური.

— ჰო, ეგრე თქვი... ბანალური... იყოს ჯერ.. მერე, ენახოთ, გადავხედოთ...

— მე ჩემი აზრი მოგახსენეთ... ავტორი თქვენა ხართ... როგორც ბნეგავთ...

— კი შვილო, გადაავლე თვალი, მსუბუქი ადგილები დაამძიმე, გაამდიდრე, დაგიფასებ...

ვოლდემარი სიგარეტს აბოლებდა.

— რა ჰქენით?

გამეღიმა.

ვოლდემარსაც გაეღიმა:

— ნეტავ, ამნაირი ადამიანის თავის ქალა ამახდევინა და შიგნით ჩამახედა, — ვოლდემარმა ხელი გამოიშვირა, მეორე ხელისგული დაადო ზედ, გაუსვა და დააყოლა: — არც ერთი ღარი არ ექნება, სლიპი ტვინი აქვს ალბათ. „სლიპმა ტვინმა“ კარგ ხასიათზე დამაყენა, გამეცინა... სამუშაოს შემდეგ ნელა გავუყევი მტვრიან გზას, რომელსაც ბინდისას ასუფთავებენ მუდამ.

ჯემალ დავლიანიძე

ეოთხრობები

ორი მეეზოვე, ქალი და კაცი (ცოლ-ქმარი) განდაგან მოდიოდა და განსაკუთრებული მონდომებით ჰგვიდნენ. მატარებელში, სარკმელთან ჩამოჯექი, საზანის წიგნი გადავფურცლე — ვიდაც კაცი (ვმრი) სიგარეტს აბოლებს. ოხრავს, ანგარიშობს, ითვლის, მიდიმოდის, ტირის, ბღავის, იცრემლება, ადგილს ვერ პოულობს. მიეზვდი, რომ ჩემი რომანის დასრულება სჯობდა ამ წიგნის კორეკტურას. ვინანე. ფულის შოვნის ეს ხერხი შემზიზღდა. სინანულზე უფრო დიდი ნაღველი რომ არის, ისე ვინანე და მინდვრებს გავხედე. ამ მინდვრების ფერფლისფერმა სიჩუმემ ერთი კარგი მოთხრობა დამაწერინა. მოთხრობა წარმოვიდგინე მთლიანად და მის სიძლიერეში დავრწმუნდი. ამან დამამშვიდა და მერე ის წარმოვიდგინე — როგორ შევაბიჯებდი სახლში და ცოსს ვეტყოდი — ფულიანი რომანი ვიშოვნე-მეთქი. ვიცოდი, ცოსი გაიღიმებდა, გაიხარებდა ჩემსავით და მერე ისიც ჩემსავით ინანებდა. ცოსს სახე დამიდგა თვალწინ და ისევ ნაღველი შემომაწვა: „პაპაჩემი სათონესთან იდგა და მისივე ნახელავ მესერს შესცქეროდა. მოხუცის მხიარულ, ჭროღანა თვალებში ის სიხარული დავლანდე, ადრე რომ შემიმჩნევია. სათონე უკვე ღობის შიგნით იყო მოქცეული. — გამეხარდა და ნელა მოვეცილდი. აივნიდან ჩამოიცქირებოდა ბაბო. აპრილის დამლევი იყო, მაგარმ ღუმელი გიზგიზებდა ჩვენს სახლში და მოხუცებს ათბობდა. ბაბომ მაკოცა და მცირე მოკითხვის შემდეგ პაპაჩემს მისდგა — სულ გამოსულელდი, ნეტავ, რა შავ ჭირად მინდა, რომ ჰღობავო?.. მერე მე მომიბრუნდა: ატაჩაანთ გიგო უკვე ლოგინად ჩავარდა და სულ უმიზეზოდ იცინის, მისმა ცოლმა ფეხი მოიტეხა და ვეღარ დადის; — შვილები და შვილიშვილები აღარ მოსდიან და არიან გამოყრუებულები... დალაქიანთ ოლა დაბრმავდა, დალაქ-მიშა უკვე ას შვიდი წლისაა და გამოქერქეტებული დაფარფატებს, სულ წევს და სძინავს... ამ ბოლო დროს ჩაკუა გამოქცულა პაპაშენს, — ნეტავ, რა შავ ქვად უნდა ეჭიდოს? ანდა, ის სათონე რაღად მოაქცია მესერს შიგნით?.. ჩვენი მარო კვდება, უბედური — ექიმი იყო და თავის თავს ვერაფერი უშველა. იმიტომაც არაფერი მწამს ექიმებისა. უბედური... შაქარი, ღვიძლი, თირკმელები, წნევა აწუხებდა... ახლა, ეს კიბო გამოუვარდა და გამოუტყვარა მოუსავლეთიდან. უბედური... ბაბო ჰყვებოდა და ტიროდა. ამან საავადმყოფო მომაგონა, მე რომ ვიწექი — დერეფნებშიც კი იდგა საწოლები. ირგვლივ ავადმყოფობით გატანჯული სახეები, სიკვდილის ხსენება, ნატვრა, სიხარული, შმორის სუნი, წამლების კორიანტელი, ნემსებისაგან მოყენებული ტკივილები, ავადმყოფთა წყნარი საუბარი — წარსულის გახსენება. ვინ საკუთარ ქოჩორს იგონებს, ნატროს და ძველი ქოჩორით ტრაბახობს (ეჰ! თმა ჰქონდა, ბუღულივით ედო თავზე)), ვინ საკუთარ მკლავებს იგონებს (მუთაქებივით რომ ეყარა); იმ ბანჯგვლიან ჩია კაცს ისეთი მკერდი ჰქონია წინათ, როგორც ბალიში; აქეთ ბოდვერა კამეჩს ჰგვანებია ვიღაც გაწრიპული კაცი; იქითას შუა კაური სცოდნია ისეთი, თურმე სულ თავდაყირა დაჰყავდა ბიჭები... ერთ წყნარ პალატაში დიდცხვირა, მწითურ კაცს (სკოლის მასწავლებელს) სამი კაცი უგდებს ყურს: რას ჰგავს დღევანდელი ახალგაზრდობა? — მოკლე კაბები, შეღებილი თვალები, გრძელი, გაშლილი თმა, განიერი, გაცვეთილი შარვლები — ჯინსები. ასე თუ დიდ ხანს გასტანა, დავიღუპებით. — სამი კაცი კვერს უკრავს...

როცა ამას ვიგონებ, მუხრუჭის ხრეკიალი მესმის, რომლის ნატისუსალი იმ ქარხნის სუნს მაგონებს, სადაც სამი წელიწადი დავდიოდი პრაქტიკაზე. ამ მუხრუჭებიდან ამოვარდნილ, დამწვრის სუნს ვგრძნობ ტრამვაიში, კაფეებში, რესტორნებში, კინოში, ოთახებში, დარბაზებში. მუხრუჭის ხრეკიალი შემზარავია, საშინელი და გულისამრე-

ვი. მუხრუჭები ცვდება, ავადმყოფობენ სტენოკარდიით, წნევით, ასთმით, კბილების ტკივილით, ბუასილით... ბალატაში მწოლი დიდცხვირა თურმე დილით ადრე დგებოდა, ისე მიდიოდა სამსახურში (სკოლაში), ლუკმას არ გადეტანადა. შიშნილი, რომელსაც იგი ვერ გრძნობდა (და სინამდვილეში კი შიოდა) შეუმჩნევლად შხამავდა მის ნერვიულ სისტემას და მისი რისხვა თავზე ატყდებოდა იმ ბავშვს, რომელმაც გაკვეთილი არ იცოდა. მშობლებს დაიბარებდა, ბავშვებთან ატირებდა, შუადღისას ხუთ ულუფა სოსისს შეუჭამდა. დიდი მუცელი ჰქონდა, იცმევდა ვიწრო შარვალს, თმას ისე იკრეჭდა, ყურები (როგორც მოსწავლეები ამბობდნენ) ლოკატორებს მიუგავდა, იცმევდა დაჩვრეტილ ფეხსაცმელს, აჭრელებულ წინდებს, ოდნავ აცივდებოდა თუ არა, დიდის ვაი-ვაგლახით (ნაცნობობით) იშოვნიდა ჩეხურ, დაბამბულ საცვლებს (კაკაოსფერს), საღამოობით მამა-პაპურად დალევდა ღვინოს, შინ მივიდოდა, დაწვებოდა, იტრიალებდა. სასმელი ყელში მოაწვებოდა, იშფოთებდა, მეუღლე ტაშტს მიუდგამდა ახლოს, შუბლზე ცივ ტილოს დაადებდა, ბორჯომს შეუთბობდა (შეიძლება ოყნაც გაეკეთებინა კუჭის უმოქმედობის გამო)... ბოლოს გულის შეტევა დაემართა. ამან აიძულა ცოტაი დაფიქრებულიყო და ეზრუნა ჯანმრთელობაზე, რომელიც, მისი აზრით, რკინისებური ჰქონდა. ამჟამად (გულის შეტევის გამო) მას აზროვნების საშუალება მიეცა, რომ საკუთარ (გატანჯულ) „მე“-ს ყურადღება მიაქციოს. იგი უკვე ფერადფერად მოუთხრობს ავადმყოფებს ძმისშვილზე, რომელიც თურმე ყოველდღე ვარჯიშობს (დღეში სამჯერ. გაადიოა კაცი კინაღამ!) გაცვეთილი ჯინსით დაიარება, გრძელი თმა აქვს, ხორცს არა ჭამს ის ვირიშვილი, ღვინოს არა სვამს, მსმელებს დასცინის, სუფრასთან ვერ მიიტყუებ, არსად არ მუშაობს. მოთხრობებსა და ლექსებს ჯღაბნის (მწერალი ჰგონია თავი), ჭინკასა ჰგავს, მუცელი იმშს არ ეტყობა და ... ლაბაბი. მოკვდება, მაშ რა მოუვა? ამაზე წინათ (საავადყოფოში მოსვლამდე) ვცადე ჭკუა დამერიგებინა და იცით რა შემკადრა? პირადად მე ვერა გავიგე რა, — ასე მითხრა: — შენ ინ ხალხის კატეგორიას ეკუთვნი, რომელთა თვითკმაყოფილება მაქსიმუმს აღწევს, როცა მანქანაში მძღოლის გვერდით სხედანო. გესმით რამე? გაიგეთ, ხალხნო? ვერა? ვერა? ვერც მე გავიგებ. ... ...

ხველი ლობიო ვკმაე და ეზოში გამოვედი. ნაღველი მამაჩემის ნახვის სურვილიდან იწყებოდა და ჩემს მოთხრობებს მაგონებდა, რომლებიც დაუბეჭდავი ყრია სხვადასხვა ადგილებში... დილით, მატარებელზე დამაგვიანდა. მიზეზმა ცუდ ხასიათზე დამაყენა და ამასწინანდელი ქეიფი მომაგონდა. უფრო ის მაბრაზებდა, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო — ღვინოს არა ვსვამ რამდენიმე წელიწადია, იმ დღით კი ისე გამოვთვიერი, ციომ მითხრა დილით: ამნაირი სასომიხდილი და უმწეო არასოდეს მინახავხარო... როცა ტაქსი თბილისს გამოსცდა, აღმოსავლეთისკენ გავიხედე. მზე არ სჩანდა. მძღოლმა მაგნტოფონი ჩართო. უკან, ჩემს გასწვრივ, ყელყინწორა კაცმა ტკეპნით (შენელებულად, დუნედ, ქართულის არამსგავსად) ჰკითხა შოფერს — ვინ მღერისო? მერე ორივე დაეჭვდა — ვლახო იყო თუ ლამაზ გოგია, ვერ გაარკვიეს და ორჭოფობით გაითანგნენ. ყელყინწორაა გვერდით მჯდომი კაცი ხვნეშით ლაპარაკობს ქორწილზე, სადაც წუხელ თავისი რძლის დედა გაარშიყებია. მისი აზრით, ოცდახუთი წლის რძლის დედა მისთვის უპრიანია. ყელყინწორამ სიგარეტი გაბოლა და ცუდი დრო არისო, აწმყოს დაეწყო ძაგება. არადა, ბუფეტში მუშაობდა და ერთ ულუფა ლობიოში ორმოცი კაპიკით მეტს მახდევინებდა... მანქანა შეჯანჯღარდა. მძღოლმა გამორთო მაგნტოფონი. სმენაში ჩარჩენილი დუდუკების კვნესამ ერთი დღე გამახსენა — მაშინაც ასე მივემგზავრებოდი სამუშაოზე და სწორედ ამ გზაზე, როცა დუდუკების ოხვრამ და დოლის ბრაგუნმა კულმინაციას მიაღწია, ბანქანას შევასკდით. — ყველა დაიხოცა ჩემს მეტი. ამაზე მოთხრობა დავწერე. ახლა, რამდენჯერაც წავიკითხავ იმ მოთხრობას, იმდენჯერ ცუდად ვხდები...

ბერდია კარებში შემხვდა. მან არ იცოდა, რომ სამუშაოს მიტოვება გადავწყვიტე. ჩემი კაბინეტის კარი შევაღე. თვალი შევავლე ყველა ნივთს და ის ვიგრძენი, რასაც თითოეული მათგანი გრძნობდა უსუნთქველობის და უმიძრაობის უსასრულობის. საცოდაობის მსგავსი რამ ვიგრძენი. სტამბისკენ გავემართე. სტამბაში ყველამ იცოდა ჩემი გადაწყვეტილება და მოკრძალებით ასრულებდნენ ჩემს ყოველ მითითებას...

პირველ საათზე ბუფეტისკენ გავეშურე. გამყიდველმა კარგად იცის — ხორცს, კვერცხს, კარაქს, ყველს, რძეს, კაკაოს, არ ვეკარები და მაინც მეასედ მეუბნება: ღვიძლი და თირკმლები მეც მტკივა, მაგრამ თავს ვერ ვუვლიო. მსხლის კომპოტს გემრიელად ვჭამდი და მსხლის ბაღებზე ვფიქრობდი. ის იყო ფული გადავიხადე, რომ კორეპტორმა მითხრა: ვოლდემარი ჩამოვიდა, ბუღალტრის ოთახში ჩხუბი მოუვიდა გრიშასთან (მძღოლთან) და ბერდია გეძახისო. გავიქეცი. გრიშა გაებოჭათ დერეფანში. ჩემს დანახვაზე გრიშამ ძლიერი გაქნევით გაითავისუფლა თავი. ბუღალტრის ოთახთან მივეწიე და უკან გამოვაბრუნე... ვოლდემარი კედელთან იდგა. სახე დაკაწრული ჰქონდა. გამეხარდა მისი დანახვა, მაგრამ მისმა მდგომარეობამ შემაწუხა. ვოლდემარმა იგრძნო, რომ შემებრალა და სკამს დაავლო ხელი. წინ დავუდექი. გრიშა მეორე მხრიდან მოადგა კარს. მისი ხმა აშკარად გვესმოდა: „მამაძალი! სამი თვეა ოთხი პაკრიშკა ავიღეთ... მაგან აიღო, მე როსპინი გავაკეთე. სირცხვილი არ არი? ამბელა კაცმა ოთხი პაკრიშკა გაასუხაროს? მე ახალი ხაზეინი ფეხს მადგამს, საიდანაც გინდა, მაიტანე ოთხი პაკრიშკაო... გამოვწერო? არა სცხვენინან? ნამუსი აღარ არი?..“ ვოლდემარს შეეხედე. — ძვირფას ქუჩეზე ნავთი გადასხმოდა — ლაქები აჩნდა. ის ამბები მომაგონდა, რასაც თურმე ჩემს მოსვლამდე სჩადიოდა... გრიშას ხმა მიწყდა. ვოლდემართან მივედი, სკამი გამოვართვი და დავსვი. ტიროდა, ამისი ღირსი არ ვიყავიო. გრიშასაგან არ მეკუთვნოდაო — სულ თავისუფლად დაჰქროდა ხალტურაზე და ასე გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზადო. ჭრილობა მოვბანე და მერამდენედ ავუხსენი, რომ გრიშა — გრიშაა, თვითონ კი განათლებული კაცია, მოაზროვნე...

— არ გეკადრებათ, ბატონო ვოლდემარ...

— მართლა არ მეკადრება, თორემ მაგ გველის წიწილს თავს გავუჭეჭყავ... ასე კი არაა საქმე...

— ეგ უვიცი კაცია, ცხოველური ინსტინქტები აწუხებს...

— ჯონდო, შენ მაინც ხარ მოწმე, როგორ ვიტანჯებოდი ამ ჯოჯოხეთში. — სიკეთე არავინ დამიფასა.

— თქვენ სწორად მოიქეცით, აქედან რომ წახვედით, მეც მალე მოგბაძავთ.

— მართლა? — წამოდი, დროზე წამოდი, სანამ გაგაფუჭებენ. ნიჭიერი კაცი ხარ... აქ დაიღუპები... ამათთან ჯაჭვანი შენი საქმე არაა...

— ჰო, ვოლდემარ... ახლა, დაწყნარდით, გრიშას არ აჰყვეთ, შინ წადით.

— ასეც ვიზამ.

— ასე სჯობს, ბატონო ვოლდემარ.

— აბა, ჯონდო, დამირეკე. არ დამიკიწყო, შემომიარე... დაგეხმარები...

ვოლდემარი წავიდა... გრიშას ყველა უქებდა ვაჟკაცობას. გრიშა იფერებდა და ბრიყვული სიამაყით იბღინძებოდა... ბერდია სიცილით მომიახლოვდა:

— ახლა კი ვხედავი, რომ ვოლდემარის კაცი ხარ.

— თქვენ ვისი კაცი ბრძანდებით, პატივცემულო ბერდია?

— შენი უფროსი ვარ...

— ვოლდემარს ბატონს ვეძახდი, თქვენ — პატივცემულს...

— რატომ იცავ? პირდაპირ მითხარი.

— ის მწერალია...

— ჯერ კაცი უნდა იყო...

— თქვენ არ იცნობთ...

— მაინც, რა ძმაკაცობა გქონდათ შენ და ვოლდემარს, რომ ერთი ცუდი სიტყვა არ დაგიდა. შენს მეტი ყველა ლანძღავს.

— ვმეგობრობდით.

— მთელი საათობით რომ ჩაიკეტეთ ბოდით ხოლმე კაბინეტში, რას აკეთებდით?...

— მწერლობაზე ვსაუბრობდით.

— თანამშრომლები სხვა აზრისა არიან თქვენს განცალკევებაზე...

— მაინც?

— შენ ამბები მიგქონდა თურმე...

— არ არის მართალი...

— გეხუმრე... მაგრამ, კაბინეტში რომ მწერლობაზე საუბრობდით და მერცხლები, მაპატიე და, თავზე გასკლინტავდნენ, ამაზე არა ფიქრობდით? დაწესებულების შენობის ასეთ მდგომარეობამდე მიყვანა კარგ კაცობაზე ლაპარაკობს?

— ვოლდემარმა სამჯერ დაწერა მოხსენებითი ბარათი...

— ეგ კარგი, მაგრამ... მერცხლები? ბუდე?

— ვოლდემარი მწერალი იყო და უყვარდა ფრინველები.

— ვერ წარმომიდგენია, უფროსის კაბინეტში მერცხალს ბუდე ჰქონდეს...

— დაგვცინით?

— ვისაც კი ვუთხარი მერცხლის ბუდეზე, ყველას გაეცინა.

— უნდა გიხაროდეთ... თურმე ყველა თქვენ გიჭერთ მხარს...

— ისე მელაპარაკებით, თითქოს განცხადება გქონდეთ დაწერილი და აქედან მიდიოდეთ...

— განა ეგ ძნელი საქმეა?..

— ჯონდო, იუმორის გრძნობა არა გქონია... ერთი ეს მითხარი, ნუთუ ვოლდემართან ყველა სტყუის?

— რისი თქმა გსურთ?

— ქრთამებს იღებდაო...

— არ ვიცი.

— თანამშრომლებს შეურაცხყოფდაო...

— არ ვიცი.

— თანამშრომელ ქალებს ეძალავებოდაო...

— არ ვიცი.

ჯემალ დავლიანიძე
მოთხრობები

— შიშველი დარბოდაო...

— არ ვიცი.

— გრიშამ რომ დასცხო?

— ეპატიება.

— ჩვენ შევეწყობით ერთმანეთს, ჯონდო. — საოდუძლოს შენახვა შეგიძლია... ასეთი კაცი საჭიროა ჩვენს დროში.

— არა მგონია, ჩვენ დიდ ხანს გავუძლოთ ერთმანეთს.

— რატომ?

— ვოლდემარსაც ჰქონდა თავისი ნაკლი, მაგრამ ყვალაფერს ვპატიობდი, მწერალია და სხვა კაცია...

— რა, მწერალი არ უნდა მუშაობდეს? ახლა სხვა დროა, — პროფესიონალიზმი აღარ არის მწერლობაში.

— მაგაზე არ შეგეკამათებით.

— კარგი და, სხვებმა რა ჰქნან, ვინც მწერალი არ არის?

— მერცხლის ბუდეებზე იცინონ...

— ცინიკოსი ხარ, ჯონდო — ერთმანეთს გავუგებთ.

— მე არა ვარ ცინიკოსი — ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებთ.

— ჯონდო, იცი რამხელა მოთმინება მაქვს? შენ გგონია, იმიტომ ჩამოვედი აქ, რისთვისაც ვოლდემარი იყო?

— რა ბრძანეთ?

— იქ გამიძნელდა მუშაობა... ხანში შევდივარ... ამდენ ინფორმაციას გაძლება უნდა...

— აქ უფრო იოლია?

— ეგრე მეგონა. შევცდი, მაგრამ ახლა უკან ვეღარ დავიხევ, შენობას გავარემონტებ, რედაქციას ფეხზე დავაყენებ...

— მერცხლის ბუდეები?..

ტელეფონმა დარეკა. ბერდია ყურმილს დასწვდა... წუხელ ციოს ვუთხარი, სამუშაოს თავს ვანებებ-მეთქი, რამაც ოჯახური აურზაური გამოიწვია. ციომ თქვა, მეტი აღარ შემძლიაო. აღარაფერზე აღარ მელაპარაკებიო, ხმას არ იღებო, არაფერი საერთო აღარა გვაქვსო. ბავშვები უშინდაც დაიზრდებიან, მეც ვიპოვი გზას — ქვეყანა დიდია, მშობლებთან ვიცხოვრებო. როცა ცოლ შეყოვნდა, დრო ვიხელეთ, დავ[illegible] მისი დაწყებული საუბარი გავაგრძელეთ. რესტორნებში ვიყო, ბავშვებს ხელიგნებს დაზრდი, ძველი ნაცნობები გადაგეკიდებიან, მერე მათაც მობეზრდები, და როცა ბავშვები ჩემთან ჩამოვლენ საცხოვრებლად, სიცოცხლე გაგიმწარდება...

ჩემი განცხადება გავშალე. — ბერდიას გავუწოდე.

— ჯონდო, ერთადერთი კაცი იყავი, ვისთანაც კაცური საუბარი შეიძლებოდა... მართალი გითხრა, არ მინდა შენი გათავისუფლება.

— ასე გრჩევნიაო...

— შენ რაღაცა გაქვს გუნებაში და არ ამბობ.

— არაფერი.

— მაინც, — მიზეზი მინდა გავიგო, რატომ მიდიხარ?

— მიზეზის მეტი რა არის...

— ვოლდემარისნაირი ხომ არ გგონივარ?

— ნამდვილად არა...

— მე სამოცდათორმეტმანეთიანი ხელფასით დავიწყე ცხოვრება... ბევრიც მქონია, ცოტაც. მაგრამ მეტისმეტი არ მომინდომებია.

— მე არ მითქვამს, რომ თქვენც ვოლდემარივით...

— არ მინდა, ეჭვი გეპარებოდეს...

— ეჭვი არც მეპარება.

— ქარაგმების ოსტატი ხარ. შენი მოთხრობები წავიკითხე... მე არ დაგიბეჭდავდი...

— ვოლდემარი დაბეჭდავდა.

— ის ყველაფერს იკისრებდა.

— ვოლდემარი არ იყო ბოროტი...

— ალბათ მასთან მოეწყობი სამსახურში.

— ვნახოთ. ჯერ არა მუშაობს.

— ამბობენ, ობიექტებზე მარტო დადიოდაო...

— ეგ ჩემი საქმე არ იყო.

— საქმეს შენ რომ აკეთებდი? ეს არაფერი ღირდა?

— ხელფასი და ჰონორარი მეძლეოდა.

— ბავშვები ხომ არა ვარო, დამალობანას, რომ ვთამაშობდა... მე ვერ გაგიგიისუფლებ. ეს საკითხი რაიონულ კომიტეტთან უნდა შევათანხმო.

— რა საჭიროა?

— შენი თანამდებობა რაიკომის ნომენკლატურაა.

— დამტკიცებული მაინც არა ვარ...

— ეგ ვოლოდმარის ბრალია.

— გთხოვთ, მალე შეათანხმოთ ჩემი საკითხი რაიკომთან.

— სამუშაო იშოვნე?

— არა.

— არ მჯერა.

— არც მიძებნია.

— რაიკომში დაგიბარებენ და წასვლის მიზეზს შეგეკითხებიან.

— მე ისეთ მიზეზს ვეტყვი, კმაყოფილი დარჩებით...

ბერდია ამ სიტყვებმა დაწყნარა.

— ცოტა ხანს დარჩენილიყავი კიდევ.

— რა საჭიროა?

— მოადგილედ დაგნიშნავდი.

— რად მინდა?

— მე პენსიაში გავიდოდი და შენ დარჩებოდი ჩემს ადგილზე... მანქანა გეყოლებოდა, თანამდებობა გექნებოდა... დამიჯერე.

— პატივცემულო ბერდია, გთხოვთ, ახლავე, ამ წუთში დაკმაყოფილოთ ჩემი თხოვნა.

ბერდია ოდნავ წახრილი გაემართა რაიკომისკენ. შემებრალა, მომაგონდა ჩვენი საუბარი ვაგონში, კაბინეტში, სასადილოში... მას უყვარდა მეუღლე, შვილი... ჰყავდა თუთიყუში, რომელიც ათ მანეთად იყიდა...

ბერდია ექვს საათზე დაბრუნდა. განცხადება გამომიწოდა. — ხუთი აპრილიდან მე თავისუფალი ვიქნებოდი. დამელოდეო, მთხოვა. გავიდა, ყველა თანამშრომელი შეკრიბა და გაცილება მომიწყეს. ღვინო დავლიე იმ საღამოს. ბერდიას (თამადას) ვუჯდა გვერდით. — მას ჰაერის აშკარა უკმარისობა სჭირდა...

ვეღარ გავიხსენე, რამდენი წლისა ვიყავი მაშინ. მთელი სოფელი გზაზე იყო გამოშლილი და სატვირთო ავტომანქანების კოლონას უყურებდნენ, რომელზედაც ახოვანი კაცები ისხდნენ. ეს იყო ერთ-ერთი სურათი, რომელიც მაფიოდ დამამახსოვრდა ბავშვობიდან. — მთიულები ბარში მიჰყავდათ თრიალეთიდან. პაპაჩემი დღესაც ხშირად იგონებს მთიულ ივანეს, პავლეს, პეტრეს, რომლებიც ყოველ აღდგომას, სანოვაგით დატვირთულები ახლაც ძველებურად აივლიან ხოლმე ჩვენს სოფელზე და მოეფინებიან გოსტიბის, გარგლის, კაბერის, ჩაჩუბეთის სასაფლაოებს. ამ დროს პაპაჩემი ბოგირზე დგას და ცრემლიანი შეჰყურებს მთიული ივანესა და პავლეს შვილიშვილებს. მერე, მე რომ ჩავალ, მომიჯდება გვერდით და თეთრი სიბერის ამბებით ვცხოვრობთ ორთავე...

ყველა დავთვერით. მიკვირდა — ყველა ცდილობდა სინანული გამოეძღვნებინა სამსახურიდან ჩემი წასვლის გამო. ფოტოკორესპონდენტი ფხიზელი იყო და მისი მანქანით წამოვედით. გზადაგზა ბერდიამ შეაპარა არგოს, რომ იგი არაა ჟურნალისტი. მერე წაკინკლავდნენ და ბერდია დაპირდა — თუ შენი ნებით არ წახვალ, კანონიერად გაგიწტუმრებო. მე არ მაინტერესებდა მათი საუბარი და ჩავთვლიმე... ღამის ორ საათზე მივედი შინ. ციომ გამიღო კარი და სწრაფად ჩაწვა ლოგინში. მცირე ხნით ვიყუჩე. ეზოში გავედი და ვარჯიში დავიწყე. ერთ-ერთმა ვარჯიშმა თავბრუ დამახვია და რომ არ წავხრილიყავი, წაივქცეოდი. ვარჯიში გავიმეორე. — ამჯერად გავბრუვდი, თვალები ჩამიბნელდა და წერტილი აკიაფდა შორს, რომელშიც ვარსკვლავებით მოპენილი ცა აირეკლა. სწრაფად შევედი სახლში. ციოს არ ეძინა. — ლადოს აწ-

ჯემალ დავლიანიძე
მოთხრობები

ოვებდა ძუძუს; შემეცოდა. მერე, ის რესტორანი გაკრთა ჩაბნელებულ სარკელთან, გაცილება რომ მომიწყვეს. ბავშვმა ვერ მოისვენა. ციო ნერვიულობდა. ვიცოდი მისი საფიქრალი. — სანამ ლადო არ დაიძინებს, ციო არაფერს შემეკითხება. გარეთ გავედი ხელახლა. ვარსკვლავები ისევ იმე ეკიდნენ. ის წერტილიც აკაფდა, წეღანდელი. თავი გადავწიე უკან. ცისხელა სიმშვიდე სუფევდა ცაში. თვითმფრინავის გრუხუნმა დაარღვია მყიფე სიხუმე. თვითმფრინავი გაუჩინარდა, მაგრამ ომზე ფიქრი დამიტოვა... კისერზე დამედალა და კედელს მიეყრდენ. ეზომ და სიბნელემ ისე დამაწყნარა, რომ ჩემი ... ვრების ყოველი წვრილმანის მოგონება მიხაროდა. მე მეტი გზა არა მქონდა, მე უნდა გამხარებოდა ჩემი სიცოცხლე და ყოფა, რადგან მყავდა დედა, მამა, ძმა, მეუღლე, ორი შვილი, ბაბო, პაპა... ამ წუთში მწამდა, რომ მე თვითონ ვუყურებ ცხოვრებას სხვა თვალით. ცას შევაცქერდი. იგი უწინდელივით სუფთა იყო. სახლიდან ლადოს ტირილი მესმოდა და ჩემი პატარა ბედნიერებით ვცდილობდი ავმაღლებულიყავი იმ სივრცემდე, სადაც იკარგება ყოველი მოძრაობა, უსასრულობა და გულუბრყვილო მეზღაპრეთა ყოველი ზღაპარი...

თ ვ ე ე ბ ი

ი ა ნ ვ ა რ ი

იქითკენ მივემგზავრებოდი, სადაც სამი წელიწადი ვიცხოვრე. თეთრი ტრამალები, რომლებიც მენატრებოდა, მდორედ მიედინებოდა და ყოველიე ეს მამშვიდებდა. იმარცვლებოდა ნაირ-ფერ აზრთა კრიალოსანი; ნაფიქრის ღვარცოფს წინააღმდეგობას არა უწევდა რა, ფერმკრთალი იყო, გასუდრული და შედედებული... ტრამალების სწრაფი გადაადგილება გაწწყობას მიცვლიდა. — მოძრაობა მიხაროდა. გუშინ. ჩემი დაბადების დღე იყო. — არც ის იყო უძრავი. ვიცოდი, რომ ჩვენს შორის ერთ-ერთი მოძრაობდა, ანდა გაყინული იყო ოდითგანვე... მხოლოდ ვეღარ გავიგე, რომელი ვიქეცით წყლის შედედებულ სიმდერად — რომელი ვიყავით უძრავი... სიქთქთის დასალერზე, იქ, სადაც მოძრაობა თვალნათლივ დაილანდება, მარადისობის ფერი ჩაქცეულიყო. წითელი ყვავილებით მოწნული ცისკიდური ვერ ათბობდა ჩემი დაბადების დღის კინკიბურზე დაკოწწიალებულ ყინულის ლოლოებს. თოვლზე დაცემული მუქი ლაქა ამ ქვეყანაზე მოსვლის სითბოს მაგონებდა. ისიც მჯეროდა, რომ თეთრი, სიფრიფანა სიმსუბუქე აღსავლის მხარეს ჩაკიდული სიმშვენიერით მოიქარგებოდა... ჩემს წინ მჯდომმა ბიჭმა მცირე ხნით მიცქირა. — ბლოკნორტი ამოიღო. მივხვდი, ჩემზე რაღაც ჩაიწერა. ნაქარგ სიტყვათა ჯაჭვით სტრიქონებში გამმაგრა, ცივი, ლოლუებივით წკრიალა ბოღმა მომეძალა... ბიჭმა ფეხი-ფეხზე გადაიდო. მამაკაცის ქვედა საცვლის არსად არსებული ფერი გაკრთა წინდასთან. ის ბოღმა, რომელმაც მოთმინების ზამბარა შემიკუმშა — გათბა, ზიზღისფრად შეიღება და გაკრა. მერე, ჩემი სოფლის ბოლოში დადგმული ნაკელის მომცრო ზვინი გამახსენდა, სადაც ერთხელ მეგობარი ჩავაგდეთ ბავშვობაში... მერე, მოგონებაში აგორდნენ თოვლის პაპები, რომლებიც ოდესღაც დავდგით სოფელში. დიდხანს იბორიალეს, თავბრუ დაიხვიეს და თეთრად გაშშენენ. სოფელში ჩვენი სახლის წინ, სადაც წაჩეხილი, კირით ნაშენი სათნე დავარდნილა კუტად, ორი თოვლის პაპა იდგა; — ნახშირის თვალები ჰქონდათ და სტაფილოს ცხვირი. — ერთი დედაჩემსა ჰგავდა, მეორე — მამაჩემს... მეგონა, ამით დამთავრებოდა მოძრაობით აგორებული სატანჯველი, მაგრამ მშობლები თოვლის პაპე-

ბად დარჩნენ, დედ-მამა მომაგონეს და ნაღველი, რომელიც ამ შუა ზამთარში იქით მომაქროლებდა, სადაც სამი წელიწადი ვიცხოვრე, — არ გამქრალა. შორს, თოვლიან ჰორიზონტზე დიდი წითელი მღვიმე გაჩნდა. ოდესღაც ნანახ სიგანს თუ სამყოფელ მაგონებდა იგი — თბილი იყო, ლუყურტი და ჩახუთვით მემუქრებოდა... გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო. როგორც ყველას, მეც მიყვარს ჩემი დაბადების დღე და სხვებისგან მხოლოდ ერთით განვსხვავდები—მუდამ ავდარდება ... მშობლებზე, რომელთაც არ გავუჩენიარ. თუმცა, როდესაც ამას ვფიქრობ, მხოლოდ თოვლის პაპები მახსენდება, სოფელში რომ ახლაც დგანან ძველი სათითნეს ნანგრევებთან. ისინი არა ჰგვანან დედას და მამას და ის დარდი, რომელიც მაწუხებს, იმ დიდი წითელი მღვიმის სიცარიელისაკენ ილტვის, ქათქათა დასალერწე რომ გაჩნდება ხოლმე იანვრის ერთ ნათელ დღეს...

აპრილი

სასწრაფო დახმარების მანქანა შეჩერდა. საბურავების ღრაჭუნმა რომელიღაც სიმღერას მისცა დასაწყისი და ჩემში გაგრძელდა. ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი წუხილის მიზეზი ის ადგილი იყო, სადაც სამი წელიწადი ვიცხოვრე. ჩემს უფროსს პეტრე ერქვა. სიცილი უყვარდა. საწყობის მუშა ქალები ბედნიერად სთვლიდნენ პეტრეს: წელიწადი ისე გავა, ლურსმანსაც კი არ მიაჭედავს. შინ მივა, ფეხებს წაპყოფს ფოსტლებში და მორჩა... პეტრე წამოაწოლა ქებამ. სარკმელში გაიხედა... შინ მივა, ტელევიზორს ჩართავს (ერთი კვირის პროგრამას დიდი სიფრთხილით სჭრის ხოლმე გაზეთიდან და მისთვის განკუთვნილ ადგილს — პატარა მაგიდაზე მოაყუჩებს), მერე გაზეთები, ჟურნალები...

„ეჰ“ — ოხრავს ნინო. „ბედნიერია ბედნიერი“, — აგრძელებს თამარი. პეტრე კი, სარკმელში იცქირება და როგორც ყოველთვის, ვერაფერს ხედავს...

— კაცო, ყავა გინდა თუ კაკაო? — დაიძახა სიდედრმა.

— რას მეკითხები? ჩემთვის სულ ერთია, — გაეპასუხა სიმამრი.

— რა ვიცი... მეც არ ვიცი, რა მინდა...

— მაშინ, ყავა სჯობს, — ჩაიბურტყუნა სიმამრმა და ცოცხს ხელი დაავლო.

შუადღისას კი ხელახლა: „კაცო, შრი თუ ბორშჩი? ტორტი თუ ღვეზელი? კისელი თუ ჩაი?“...

უფროსი მომესალმა. ღიმილით მითხრა: „ღილები შეიკარიო“. ჯერ მადლობა ვუთხარი, მერე — დაგვიანებული გამარჯობა მივაყოლე. ღილები შევიკარი. კიბესთან ჩემს თავზე გავბრაზდი... ავტომატი, მათემატიკური გაანგარიშებით აწყობილი, დაკერებული ხორცის ნაფლეთები, ხორცის მანქანა, ჩარხი... ტუალეტში შევბრუნდი ხელახლა და ცივ წყალს შევუშვირე ხელები...

ეულად გატარებული რამდენიმე დღე მაწუხებდა. ჩემში ჩაქცეული სიცხე მწვავდა, გზას ეძებდა, თვალებს მისისხლიანებდა. მზე ჰკბენდა ჩახუთულ სიმხურვალეს. გაზაფხულის პაპანაქებით გათანგული სილამაზე დაჰქონდათ მოკლე კაბებში და შარვლებში გამოწყობილ გოგონებს. დავბოღმე. — რამდენიმე საათიც და აქ აღარ ვიქნები. ამოუნთხეველი რამ მახრჩობდა. კოჭლობით მომავალი გოგონას ალერსი მომნდა... ერთი გოგონა სწავლობდა ჩემს კურსზე. მის სიცილზე მეკუბოვე, ცხენები და მომღიმარი გოგოლი წარმომიდგებოდა ხოლმე თვალწინ...

მერე ჩემი მეგობრის მონაყოლი გამახსენდა. გოგოს ტრუსებში გამოწყობილი, დიდტუჩა, ნაღვლიანი სახის პატარა ბიჭი გასახდელში ტიროდა. დამა-

ჯემალ დავლიანიძე
მოთხრობები

ნჭულ ბიჭებს დაუტია მწვრთნელმა და ასლუკუნებულ ბალღს მიუახლოდა.

— რა გქვია?

— ზოთა...

— მშობლები გყავს?

— დედა ჰო. მამა არა. მამიდა მყავს...

მეგობრის ნახვის სურვილს, ციოს სახე ჩაებლანდა. — დაფოთლილი კაბა ეცვა. საცვალიც ასეთივე წინწკლებიანი იყო. მიხაროდა, რომ ეს მხოლოდ მე ვიცოდი... მოგონებები მდინარის ნაპირზე მატოვებული ნავებივით ეყარა, ნავებივით დახეთქილი იყო და იმ ადგილივით გამოქარული, სამი წელიწადი რომ ვიცხოვრე... როცა, ერთ თოვლიან დილას თქვეს: პეტრე მოკვდაო. „რუბინის“ მარკის ტელევიზორი და გაზეთიდან ამოჭრილი, მთელი კვირის პროგრამის ფურცელი გამახსენდა...

სასწრაფო დახმარების მანქანასთან ვიდექი. თეთრხალათიანმა ბიჭმა და გოგომ მაღაზიიდან ერთი ყუთი „სირმე“ გამოიტანეს და წითელკვრიანი კარის მიღმა, ჩემი უფროსი რომ იწვა. ერთხელ, იქ შეაცურეს. იქაობას მოვშორდი. გაზაფხულის რბილი და ნესტიანი მოგონებები ზამთრის თოვლის გუნდასავით იშლებოდა. მციოდა. იქ ყოფნა მსურდა, სადაც სამი წელიწადი ვიცხოვრე...

მ ა ი ს ი

გაზაფხულის წყალი რბილად ტლაშუნებდა. ალარ იყო ჩუხჩუხი. მარადიულ, ლუყუარტ სითხეს ჰგავდა, ერთხელ რომ აიძრა ბინდბუნდში და მერე განთიადად იქცა. იქვე საკრე გაეჩაღებინა უხილავს. კედლის პირები მწიფე შვინდისფრად იწვოდა. წიბოებზე ფლატე მშრალად გაეცრიცა მიუკარებლობას. ნაწვიმარის ცრემლთასვლას დაეღარნა ნაპირები, — ამოეწვა და ჩაეშავებინა. შიგნით ენთო რაღაცა წითელი, ალი ეკიდა ყვითლუჭა და ბურბურებდა არაფრისაგან დაბადებული ცეცხლი. სველს რაღეს ეკიდა პარპალა სითბო: ნოტიო პაპანაქება ქსელავდა ავორებულ ალიმულს და სადღაც სიღრმეში ბუშტადა ჩკრავდა. იქვე იწყებოდა თაკარა ჩრდილი, ამოუხსნელი მიზეზი და ნამწვისაგან დანთებული უამრავი გაკვამლული გაუგებრობა. საკირე ენთო. — ბურბურებდა, პარპალებდა, ტკაცუნებდა, შიშინებდა. უხილავისაგან მოზვავებული მორები ცვიოდა. აყრიდა და უმატებდა ისედაც გაწამებულ სიწითლეს. არნახული ფერი ედოთ გალოპრილ ლატნებს; — ყვითლუჭა ალიონის ფერი დაიცოცავდათ ზედ. ახორხორდა უსახელო ხეების გროვა და ფერმკრთალი მზის ფერში ათქვეფილი სისხლისფერი დაედო. მეწუამულად იწვოდნენ. ნელდა, თიმთიმა სისველ. წვეთავდა ნაკვერჩხალაკოლ სიცოცხლოდან. უხილავი უმატებდა და ამატებდა. რძისფერი კირი იპნეოდა ამოხახული ქვაბურიდან — ზხივლითა და სისინით ერთვოდა რბილ წყალს, — ტლაშუნებდა, ამდვრევდა, ათეთრებდა და ქვემოთ მიექანებოდა. შუადღისას, ფლატედან შეწყდა ქვიშისფერი გორაზების ცვენა და დაფქვული მიწის შრალი. უხილავი ჩაიყლაპა. ცარცისფერი ფენალა იფრქვეოდა გამოტეხილი სიცარილოდან. პაპანაქება ნელდებოდა. გამოფუფქული ხვირთქლი ხრჩოლავდა სიღრმიდან. ახლა იქ სისველე უფრო მეტი იყო. თბილი ქვენა უქროდა ხეობას, ფსკერზე გაფანტულ მუგუზლებთან თრთოდა, ტრიალებდა, ფერფლს აფრიალებდა, ჩამქრალ ნაპერწკლებში ურევდა და სხვაგან მიჰქონდა — უამრავი უცნობი უსასრულობისაკენ, საკირეებისაკენ — უსენთქველობის ბუღი რომ იდგა. დუბელა შეეფეს მიჰქონდათ მარცვლები უსასრულო ბაგირებზე დაკიდულ უდაბნოებში ჩამშრალ სიცხისკენ, ამოხეთქილ ჭაგრილთა დასასრულის საპოვნელად და მოსვლის სიმღერათა ხელმეორედ დასათესად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომწვარ საკირეში რაღაცა დარჩა. ეს იმას ნიშნავდა — დანთებულის შემდეგ რომ რჩება — დანამული მეგუზლები, ნაკვერჩხალი, ნაცრის სითეთრე და სიფაქიზე. დუმილიდან წამოსული ხმაური წყალივით დარბილდა და გაბმულ დუღუნა სიმღერად იქცა... ქუჩებში გაზაფხული იდგა, პირველი მაისი. იყო მიმოსვლა — დროშები, ბუშტები, სიცილი... დიდი შენობის დიდ სარკმელში ბიჭი გადმომდგარიყო, რომელსაც სარკმელივით თვალები და არტაშანებით გასუდრული სხეული ჰქონდა. თვალის გუგები გამადიდებელი შუშით ფიცარზე ამომწვარ ფართო წერტილებს მიუგავდა. ბიჭი გასცქეროდა იმ უხილავს, საკირეს რომ დასტრიალებდა; მხოლოდ ბიჭმა იცოდა უხილავის ვინაობა; — მისთვის არსებობდა იგი და სხვა არავისთვის. აქედან ნიდიც ჩანდა — ბანაერი და გრძელი, ურიცხვი მოძრავი ხაზები და წერტილები... მაისი იდგა — გაზაფხული. დუბელა ნიავი ჰქროდა. რძისფერი მიედინებოდა მიდამოებზე. ბიჭის თვალებში მოკლეკაბიანი გოგონები თამაშობდნენ, გალობდნენ მოსვლის სიმღერებს და დიდი, თეთრი უსასრულობის მღვიმეებად ნაქცევ საკირეებში დაუსრულებლად იწვოდა თოვლისფერი მომავალი, უსაზღვრო მოძრაობის საწყისი სიმსუბუქე, რომელიც მოსვლა-წასვლის მარადიულ სიმღერად რჩება თეთრი ცეცხლის მახსოვრობაში...

ი ვ ლ ი ნ ი

მატარებელი ხმაურით მიემართებოდა ქალაქისაკენ. მოკლე იყო გზა. დიდი იყო ქალაქი. მატარებელი დიდ დროს ანდომებდა მოკლე გზის გავლას. გადამხმარი მინდვრები ბრუნავდნენ; ზედ დანთებული ყვითელი სიცხე თვალით დაინახვებოდა. ბუბრურებდა და ღვიოდა წაბურუსული ბალახის სუნში ალანთელი პაპანაქება. ბოლო ვაგონი დანარჩენებზე მეტად ირყეოდა. შესასვლელთან, პირველ სკამზე, მონადირეები ისხდნენ. ერთი საკუთარ ძაღლს აქებდა და ხშირად იცქირებოდა სკამქვეშ. ყაყანი იდგა ვაგონში. ძაღლი გამუდმებით ატრიალებდა თავს. მეორე სკამზე კარტს თამაშობდნენ. — სამს ერთის წინააღმდეგ შეეკრათ პირი. ღიპიანი ამას ვერ მიმხვდარიყო, აგებდა, ბრაზდებოდა, ოფლად იღვრებოდა და იმ კორიანტელის მსგავსი რამ ასდიოდა სახეზე. სარკმელს მიღმა მოპზრიალე ველებზე რომ დაქოთქოთებდა. მოგებულები კმაყოფილი იყვნენ და ღიპიანი კარტს მანამ დაარიგებდა, სხვა ამბებზეც ასწრებდნენ საუბარს (ღიპიანს ასევე აბეზებდა).

ერთი ვიღაცას ემუქრებოდა, მეორე — დირექტორის მოადგილედ დაუნიშნავთ. მესამე — დაგვიანებული ხელფასის გამო ბუღალტერს ლანძღავდა. ხუთი სარკმელი ჩამტვრეულო ჰქონდა ვაგონს — სამი ერთ მხარეზე, ორი — მეორეზე. დუბელა ყვითელი ქარი ქშუოდა სიცარიელიდან. ყველა ადგილი დაკავებული იყო. უმეტესად დედაკაცები ისხდნენ. ფარდალალა კაბები ეცვათ, გულისპირს ინიავებდნენ ხშირად და გაუბედავად აწვალებდნენ ხელებს მუხლებთან, უფრო ზემოთ აწევა თუ სურდათ. წოიკით ლაპარაკობდნენ... ერთის ქმარი გავარდნილა შინიდან, მეზობლის საცემად. მეტოქე დიდი ყოფილა, კინღამ დაუჯაბნია ქმარი; მერე თვითონაც გავარდნილა და ბარი უთხლეშია ბეჭებში, — წელის მძივი ღამის აუთრევინებია. იღიმებოდა მთხრობელი, მატარებლის ცხელი ბორბლებივით უტრიალებდა თვალები...

სარკმელს მიღმა, უკაცრიელი დედამიწა წინანდებურად ტრიალებდა. — ცალკე იყო. არავინ არ იყურებოდა

ჯემალ დავლიანიძე
მოთხრობები

იქით. ბავშვები დარბოდნენ სკამებს შორის ალუბლის კურკებს ისროდნენ, ითხუპნებოდნენ და ოფლად ღვრებოდნენ. რომელიღაც სკამზე მსხდომნი გზეთში დაბეჭდილ წერილს არჩევდნენ: კოსმოსი, ტექნიკა... კაცობრიობის წარსულიც ახსენეს, ქვის ხანა, რელეგია, აღდგომის კუნძულები, ტურ ჰეერდალი... მთვრალი კაცი ინგინებოდა ვაგონის ბოლოში. სიმღერასა ჰგავდა ლანძღვა. „ბოქსის“ ყაიდაზე გაკორტნილ ბიჭს გრძელი, ტიტველა კისერი მიეღრიცა იქით, ნაღვინევს თუ დასცინოდა. ჭაღარა კაცი ხმადაბლა ესაუბრებოდა დედაკაცს. — ფრონტზე ყოფილა, დაჭრილა, გამოქცეულა, გადარჩენილა... ბოლოოს სკამზე ჭრელპრანგიანი ჭაბუკი იჯდა; ბულულა, გვერდზე გაიმეორებული, სოფლური ქოჩორი ჰქონდა, სოფელ კარალეთზე ჰყვებოდა: მიწიქვეშა გადასასვლელი გახსნეს გორში, კარალელებს მეტრო ჰგონებიათ და დაძრულან ქალაქისკენ. სიცილით იპკეტებოდა თან, მკერდს წამდაუწუმ ბერავდა, ცერა თითს აწვალებდა ქამაჩოში და წინ მჯდომ გოგონას აწონებდა თავს... პირველ სკამზე ჩამომსხდარი მონადირეები ძველებურ ფოლადზე ჰყვებოდნენ. ძაღლი ისევ ისე იწვა — დორბლი ჩამოსდიოდა; მტვრიან იატაკს სწვდებოდა დაშაშრული, დაგრძელებული ენა, რომელზედაც იმ ალმეულიანი ველების ყვითლუმა სიცხე ენთო. უცბად, რაღაც ხრიალისა და რაკარუკის ბორიალში შეკარდა მატარებელი. ზმიველი, თქვნი და თეთრი ზხეფების ქარბუქი შემოვარდა ჩამტვრეულ სარკმელებში. სეტყვა და წვიმა გოგლიმოგლივით არეულიყო ერთმანეთში და ყვითელ სკამებზე დნებოდა. მეზობელი ვაგონებისაკენ გაქანდა ხალხი. იქიდან აქეთ მორბოდნენ. გასასვლელში გაიკეტნენ ადამიანები და გალუმპული, აბუზული ფრინველებივით გაშეშდნენ. ანლაღა დაუწყეს თვალთვალი ველ-მინდვრებს, მაგრამ ისინი უკაცრიელნი, ყვითლები იყვნენ, ცალკე იდგნენ და ალარა ჩანდნენ...

ნოემბერი

წარსული ყვითელი მეხსიერებიდან ამოტივტივდა. მოგონება თბილი იყო. — რიყის ქვებზე ხელებგაშლილ, საცეკვაოდ დაკვანწულ პაპაჩემს ქაფრა და შიმშა ეჭირა. ავტობუსის სკლა მოგონების ფერში ითქვიფა და ლიყრიჭად შეიმღვრა. სარკმლის ჭუჭრუტანაში ჰაერი ქშეტუნებდა. არაფერი არ იძვროდა მანქანის გარდა... პატარა გოგონა მარტოდ მგზავრობდა — ნაცნობს გამოატანეს მშობლებმა. მე და ჩემი ძმაც ასე ვმგზავრობდით ხოლმე ადრე. ვიცოდი, სარკმელთან დაჯდომა უნდოდა გოგონას... რძეში გაზავებული ღვინისფერი ხნულების ბურუსი გაიფანტა. — პაპაჩემი ხარაჩოზე იდგა; მე მოზრდილებს ვეხმარებოდი კირის არეკვაში. ერთი ჭიქა არაყი დამალევინეს სადილობის ხანს... ცხელოდა. მწვანე ქვებით ჩაწოლილ რიყეზე მივაბიჯებდი და დიდობა მიხაროდა. მე და ჩემი ძმა ტლაპოში ამოვიგანგალეთ — სოფელი შემოვირბინეთ ტიტვლებმა. მოხუცებმა ძლივს დაგვბანეს... პაპაჩემმა ღუმელქვეშ დაიწყო ნედლი შეშა და ხელები მიუშვიერა სითბოს; — ქერჩის ბრძოლებში დავაბოტებდი მასთან ერთად...

ყველგან პაპაჩემი... ადგილი შევუნაცვლე პატარა გოგოს — სარკმელთან დავსვი; შავი თვალები ჰქონდა. თოვლისფერს ამაოდ ვეძებდი ბეწნინის სუ-ნით გაყიენილ სივრცეში. ჩამუქებულ ღღეს გასაცქეროდა ბავშვი, რომ მერე დიდობაში ჩემსავით გაეხედა წარსულისაკენ და დაენახა ის, რაც იყო და არა იყო რა...

ავტობუსი მოსახვევში გადაიზნიქა. ხელი მოვაფეთ რკინას. მტევანი პაპაჩემისას მიგავდა. თეთრი მოხუცის ფულსის ფეთქვა დავინახე — საგნები აცეკ-

ვდნენ — წინ და უკან, განდაგან, — დიდდებოდნენ, პატარავდებოდნენ. თეთრი ზოლებით იქსელებოდნენ, მიდამოდიოდნენ, ცეკვით იხლართებოდნენ, ჰქრებოდნენ და ცოცხლდებოდნენ... დედამიწა ფერდობზე დაგორდა — თაფლი ჰქონდა ზედ მოსხმული და ყვავლაფერს იკრობდა. მწარეთაფლიანი გორგალი იზრდებოდა; ფერდობი ჩათვდა. აბრუნებული დედამიწა ჰაერში გაცურდა. ხიტებთთი გაგლესილი კასსარი მწვანე რიყისქვიან ხეობაში შეჩერდა. თეთრი ცეცხლი ენთო ბალახისფერ ღორღზე, ალიმპულის თეთრი ჭინკები დაეჭერობანას თამაშობდნენ და დედამიწის ცეცხლმოდებულ ბურთს დაარბენინებდნენ...

ავტობუსი შეჩერდა. სატვირთო მანქანამ ჩამოიქროლა მოპირდაპირე მხრიდან და ხრიალით მიიმალა. შეშინებული ძაღლი დაკუნტული გავარდა, რამდენჯერმე გახედა დაპატარავებულ მანქანას. წაიფორხილა, ორმოში ჩაუვარდა თათი, მიწას დინგი წასცხო და ბეტონის ზოდს მიეკახა...

მოკლეკაბიანი გოგონა იჯდა ჩემს გასწვრივ. ივლისისფერი მუხლები და ყვითლად გაცრეცილი თვალები ჰქონდა. მზერა გავუსწორე და უფრო მიღმა, მისი თვალების კომშისფერ აბლაბუდაში შეღწევა ვცადე. გადაშლილი ჟურნალი ედო მოკვეცილილ კვირისთავებზე. ყაბალახწყაროულ, ყორნის გამომეტყველების მქონე ასი წლის მამაკაცის ფოტოს დასცქეროდა მამაკაცს მოღრეცილი პირი ჰქონდა, დამჭკნარ ხელში ღვინის თასი ეჭირა. ასეთი სახისა და აღნაგობის კაცი ნამდვილად დიდხანს იცოცხლებდა. ჩვენი მეზობელი მომავდა — ცეტრუკანასა და ქანქეჭურას რომ ეძახდა ბაბო. გოგონას შეკაცქერდი — ღინღლიანი სახე ჰქონდა... მე არ მინდოდა იმ ასი წლის კაცივით დავბერებულიყავი...

მანქანა ჯაყჯაყით მიდიოდა და გინებით მოღლილ მთვრალ კაცს აქეთ-იქით ისროდა. ადგილიდანაც წამოაყენა რამდენჯერმე — მეზობლებს მიაწყვიტა, მერე რკინის ხელსაკიდს მიანარცხა და კალთებში წაჩხირა. ლანძღვა განახლდა. იქვე ატუზულმა ბიჭმა სიგარეტი გააბოლა. მთვრალს გაჯყურებდა, ილიმებოდა, ღრმა ნაფაზებით ეწეოდა და ყოყოჩურად უმზერდა მგზავრებს. ერთი რამ, რომ ის ეწეოდა — უცნაური სიხარულს მანიკებდა, თან მაღიზიანებდა. ალბათ ეგონა, რომ ასეთი ქცევა რაღაცას ჰპატებდა. მე კი კინწისკვრის ხასიათზე მაყენებდა.

მერე ნაღვინევი მოიღალა. — მე და იმ პატარა გოგონას შორის ჩაიჭედა დაუკითხავად, თავი ჩაჰკიდა და მომეყრდნო. ქარხანაში მობორიალე დამწვარი რკინის ნატისუსლში არეული ხახვის სუნი მეცა და სხეულის სითბო ვიგრძენი. წამოდგომა დავაპირე, მაგრამ სიხარულმა, რომ უნებლიე სეკეთედ ვიქეც ამ ადამიანისათვის, აღარ წამომაყენა...

ნაცრისფრად თოვდა. ფერფლისფერი მინდვრები არა ჰგავდნენ ზამთრისასს, ხის ტოტები ყინულის ძარღვებივით გაფშეკილიყვენენ, პაპაჩემში ჩაკირულ, გაცრეცილ სიბერეს მაგონებდნენ და სიჩუმის თანაბარ ზუზუნში ჩაჰვეული მოგონებებით მძინძავდნენ...

ლ ე კ ე მ ბ ე რ ი

კედელზე დაკიდულ ნახატზე დაყინულ ღღეს დავაშტერდი. ქალქათა სილურჯეზე მზის ყვითლუჭა სხივი გაკვალთულიყო. ამგვარ ნახატებზე ნაფეხურებსა და თხილამურების ნაკვალევსაც აღმეჭდავენ ხოლმე. აქ ეს არ იყო, გამეხარდა და ვინატრე — ნეტავ იმ ადგილას მამყოფა-მეთქი. მერე, ზოთას საფლავი მომაგონდა. გერმანელი მხატ-

ჯემალ დავლიანიძე
მოთხრობები

ვრის „მარხულთა ბორკები“ ჩაებლანდა ძძრულ ნაფიქრს... ანაზდად ბავშვობის ერთი ფოტოსურათი გამახსენდა: ჩემი მხიარული ბალღური თვალები და დედაჩემის ჩაფერფლილი, მიმქრალი სახე. ყვითელი სურათი — გაქვავებულ ქალალდზე აღბეჭდილი წამიერი ჩვენი სიცოცხლე, გარბენილი წლები, ქვაზე ფეხწაკრული პატარაობა და გამრუდებულ ხესავით აყრილი ჩემი ყრმობა. პირქვე ჩავბრუნდი. გაქცეული სიზბრის ტკივილით მეტკინა ჩამქრალი დღე, სურათი, ჩემი თავი და ბავშობის ფოტოზე ასახული, ჩაღამებული თვალებით გამომზირალი თეთრი დედა... მივხვდი რომ ეს დღეც მძიმე დღე იქნებოდა ჩემთვის და გამაბაბანა. არადა, ყოველივე წუხელ დაიწყო. — ქვის ფილებით გამოცვებებულ, გრძელ, ჩაღამებულ დერეფანში. თეთრად შედედებული, ჩაკირული ჩემი არჯალი მღრღნიდა. აკვატებული სიჩუმის აუტანელ ხმაურში ჩაწნული ფერფლისფერი ყინულის ძარღვებიანი ქვის დაკიდული მტევანი თავის გაჭეკყვას მიქადდა... ბავშვობის დროინდელი ნაღველი განმეორდა. იგი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც ადრე. — შურდულის დაფშხალული რეზინებით იწულებოდა. ნახატს, სადაც არაფერი იძვროდა, თვალი ვერ მოვაცილე. — თეთრად გაცრეცილ სილურჯეს ციოს ხორბლისფერი სითბო მოჰქონდა: დასიცხული თვალები, დასიცხული ბალახი, ყვითლად გამომშრალი ბზე, წითელი ბილიკები, დაფქული აგური დილიდან მგიეკებდა; მოთენთილი სხეული, მტკნარი სიჩუმე, ხმელი ყვავილების მჩხვლეტავი ნემსები, მზესთან ერთად მიმავალი მოწმენდილი ცა და თეთრი ალმფული მარტოდ დავრჩით და დუმელი ღამის ნელთბილი სიმღერა დავიწყეთ... ახლა, ამ ოთახში არაფერი მოძრაობდა და არსებობდა. ცივად გარდაცვლილ ნახატში თბილი ციო იდგა. — ჭრელი, ყვავილებიანი, გამჭვირვალე კაბა ეცვა და უძრავად მოძრაობდა. ცივ თოვლზე მისი ნაკვალევი არ რჩებოდა. გლუვ ფეხებზე ყინულის ლუდუდები ასხდნენ. ქარის დაგუდულმა ხმამ მოაღწია ჩემამდე, მაგრამ არც ამან იმოქმედა, რადგანაც ფერი მოძრაობდა. მხოლოდ ეგ იყო, ქარის გაფიჩხული ტოტები წკარუნით იმტკრეოდნენ, სრიალებდნენ, ნაწნავად იწნებოდნენ. ჩემს მიერ დაწერილი, ადრეული მოთხრობები დარღვეულიყვნენ და ერთმანეთში აზელილიყვნენ... საგნები და მოვლენები კაკბრის ვერ პოულობდნენ და უმალვე ჰქრებოდნენ. ისინი სხვადასხვანი და სიცივით შეკოწიწებულნი იყვნენ: მე ხშირად ვტირავარ, ბავშვობას როცა ვიგონებ. ამ დროს აჩემებული სიზმრით მტკივა ხოლმე ნაფიქრი და ბაღლობას, რომელიც წყლის გამჭვირვალე სიმღერად ქცეულა, ისოა ათბობს, რითაც ყველაზე ახლოს ვარ თეთრ ცეცხლთან... არაფრად გარდაქცევა, წუხელი: საიდან, როგორ, სადამდის? ქვა და ხორცი — მიწაში ჩაგრეხილი ვაზის ფესვი, მეწამული ჩრდილთა ცახცახი. ვინა ხარ? საიდან, როგორ, სადამდის? მარტოობა და არსაიდან წამოსული შიში მოსვლისა და წასვლის, — წიკწიკა საათში ჩაგრეხილი დარდი. ფერფლისფერი ნაღვერდალის ჩხრეკა — დაკარგულის ძებნა, არაფრის ისევ რაღაცად ქცევა: ჯერ აღმართია, მერე დაღმართი. — საიდანღაც გაქცევის სურვილი, დახვეული დრო, წიკწიკა საათში რომ ძვეს და სამი სიტყვა: საიდან, როგორ, სადამდის?...

ნახატზე დეკემბერი იდგა. ეს ციოს თვეა. ციოს მოფერებასავით თბილი თოვლი ეპნია მიდამოზე. ბუზის ფრთებიდან აძრული ჰაერის სიმსუბუქე გადმოდიოდა ნახატიდან და დათოვლილი ფიქვის სხეულში ჩაბუდებული ლიყორეტი სითბოს გემო მოჰქონდა. მშრალი თოვლი ფქვილივით იცრებოდა. ციოს დაბადების დღე იყო გუშინ. ერთი წლის წინანდელი თოვლისფერი წუხელი აგუნდავდა, მაგრამ მაშინდელისა ვერაფერი გავიგე... დაორთქლილი მინა გავწმინდე. — ყოველივე აშკარად გამორჩნდა და მწვანეზე წანამქრულ დეკემბერს ის გმოეცალა, რაც აქამდე ჰქონდა... ტელევიზორის ეკრანიც იმ ნახატისფერი იყო. წელ-

წვდილი ბიჭი დასრიალებდა. ყინულზე. ორღანის ხმა ცალკე იყო. — ბახის სიდიადეს უკრავდა ხალხი ტაშს. მსაჯები ერთმანეთს ჰკაზდნენ, კრძელ მაგიდასთან ისხდნენ, წარწერებზე აღნიშნული ციფრებით განსხვავდებოდნენ და ქერთმიიან გოგონას ატირებდნენ. ბიჭი აშვიდებდა. გოგონა არ ჰკავდა ციოს, ამიტომ ტელევიზორის ეკრანზე არეკლილი მოძრაობა სიცივეს აფრქვევდა. ბახის მუსიკა ყინულის არენას კაწრავდა, დასრიალებდა წინ და უკან, განდაგან ღურღულებდა: უცებ ვიგრძენ, რომ ალარ არის არაფერი ჩემთვის და შენთვის, შენთვის და ჩემთვის ყინულზე ღაღანებდა მიმქრალი ყვავილი, რომელიც არ იყო, გახსოვს? ჩვენ დავრგეთ, შენ და მე, ორმა — მაღლა და დაბლა, ამოდ და დაბოლ, შენთვის და ჩემთვის. ბალბა ბალახი რომ დავრგეთ ორმა, გახსოვს? ჩემთვის ღა შენთვის ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები — მღეროდა ვიღაც, — გალოპრილი ორი არყი ცახცახებდა, ვისთვის? — მისთვის — გამთენიის მცხუნვარე მზისთვის, გათელილი ყვავილები მღერიდნენ სიმღერას ცისას და თიბვის, მაღლა და დაბლა, ამოდ და დაბოლ. ცისთვის და მზისთვის, გახსოვს? იმ ღამით ყვავილი დაგარეულიყო ჩვენ ორმა სხვისთვის...

ტელევიზორში ალარ უკრავდნენ მუსიკას და დაბლობებში ჩაკარგულ ტყეებს აჩვენებდნენ. ერთგან, არყებით შემოთეთრებულ ახოზე, მარტის ნიავი დაბზრიალდა, კუდზე შედგა, აიწოწა, ფოთლებს დაერია, შიგნით მოიქცია, ზემოთ აიტანა, მეუვსეულად მოიშალა, დაირტყა, ჩაკვდა. გარდიგარდმო მხრგადგადგმული ქარი წამოეშვეა ნიავს, — თავბრუდასხმული ფოთლები თაგვების ხროვას დაამსგავსა და საითკენღაც გაიქცია... კედელზე დაკიდული ზამთრის ნახატი ისევ ისე ეკიდა ახლა, მე ალარ მინდოდა იქ ყოფნა და ადამიანის ნაფეხურების დანახვა მსურდა. მაგრამ ამის მაგიერ მზის ცივი სხივიდა გამოტილიყო... ზღვის ფსკერიდან ამოღებული, ხმელეთზე უპატრონოდ დაყუდებული გემის დიდი სიმყუდროვე მომინდა და თებერვლის გლუვი საღამო მომაგონდა, მყიფე ბურუსით რომ ტკაცუნებდა და ჭრაჭუნებდა. — წყნეთისკენ, ცაზე, ხომალდის აფრის მსგავსი მთვარის რკალი ორ ვარსკვლავს შორის მოქცეულიყო და მათი ყინულოვანი სინათლე თეთრ სისხლად აღედებდა დეკემბრის თოვლისფერ ღამეს...

გვირაბი

დედაჩემი ჭურჭელს აჩხრიალებდა. მაგიდა მილაგებული იყო. სიგარეტებით სავსე საფერფლეში ჩაქცეული ღვინის სუნი დაქოთქოთებდა ოთახში. ერთმანეთში აირია: ჯვარცმული ქრისტე, ეკლესიის დასავლეთი ნაწილი, მონასტრის ნახევარი, ღამეული შიში, ჩონჩხად ქცეული კაცის სიცოცხლე, ორი ძელი (ალბათ სასაფლაოა, პაპაჩემი ავადმყოფობს და ვწუხვარ). ჩაკეცილი, ერთხელ გადაშლილი საუკუნის ფურცელი, დუმილის სიმღერა, წაგრძელებულ სარკმელებში გაჭედილი ქარის კვნესა და ყვითელი ხრაშუნი (ეკლესიაში დამარხულთა სიცივეა); მანეულთან გამოკრული ჩინჩხვრის კონა, თეძმის ხვლიკისფერი ტუფი, კალოუბნის საყდრის ჩრდილი, ალდაცემული რიყე, მზედაკრული სიპი ქვა — ზედ დადებული სინოტივე, არეულთვალებიანი, აყირა მამაკაცი (ბავშვობისა და იმ ადგილის გახსენება, სადაც დავიბადე, ჩემა სულის კაშირი მასთან, მედუზა და ცხელი ქვა); შაშვის შავი ჯახჭახი, ამომშრალი მდინარის დუღილი; ცხელი, გაფუფქული, სლიპი თევზები; სიცოცხლის ბნელი, დიდი ორმო და ვიწროშხრებიანი, თვალებდაყუტილი კაცი

ჯემალ დვალიანიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა
eurasianlibrary.com

(ნადირობის მოგონება; გახსენებაში ჩაჭვეული საკუთარი ტკივნის მცდელობა რაიმე ამბის სხვაგვარად წარმოდგენისა. ლეჭსის სტრიქონის გაბუნდოვნება, ქვეტექსტი. ობობის ქსელში გახვეული გრძნობების აშლის სურვილი. ცხოვრების გარდაქმნა გაუგებრობით. ქვეშეცნეული შედარებები, პარალელები...), ძახილი, ყვირილი, ვიღაცის მოსვლა, ელვა, ჭექა-ქუხილი (ნადირობა, წვიმიან ამინდში თოფის გასრო�sა, მეხის დაცემის შიში); სიცილი, ორმოში ჩავარდნა და გლისპი. რბილი სხეულის სილამაზე (ზღაპარი ორმოში ჩაჭვეული მრავალთავიანი გველი, რომელსაც ნატვრისთვალი აქვს და შეძულებული დედაკაცი); ხორცის ხორცისფერი მიმზიდველობა (ქალთან დაკავშირებული გრძნობა უნდა ყოფილიყო). მოფართხალე, გაჭყავებული კურდღელი კბილებდაკრეჭილი მამაკაცის კბილებში; ლუყუერტი სითხის წყურვილი (მუჭაბის წვენი და ზოოპარკში, ფრინველთა გალეებში შეყრილი ხორცი. არწივის მიერ დაფლეთილი პატარა სიცოცხლე); ყრუ, მოგუგუნე სიმღერა, რომელიც წუხელ გარდაიცვალა პურმარილით სავსე მაგიდასთან: ანგრეული, სისხლად ქცეული წითელი მზერა როცა მაგიქებს, ერთადერთი რამ მეგლანდება თვალწინ — ზვინდისფერი ღვინის ზღვილი თიხის ჩაფიდან და შეშეზვარი ხორცი, ცოტახნის წინ მოკუნტრუშე ქორფა სიცოცხლე როცა დამთრობს — ჩემი ბალლობა მახსენდება — პაპის თითებში ჩაბღუჯული გრძელი ხანჯალი და ახრიალებული ყელიდან გადმომსკდარი სისხლის ჩქეფა. დაბადებიდან სიბნელის, სინათლის, სიბნელის ეკრეტა — უკუნისამდე ჩვენი ტანჯვა, ღვინისფერი სითხის მოძალება, ოდითგანვე თან რომ დაგვყვა ხშირად მაგონებს შეშინებულ პატარაობას, სიშინდეს, — უკან რომ დაგვრჩა ეს ყოველივე. წუხანდელი ქეიფის დროს ჩემს მიერ განცდილა;) სახეშეცვლილი სილამაზე (გამოფაშვული ცხოველი, მოკლული შველი); თეძმისხვეის რიყეში ჩაჭნეულ სიპ ქვათა პაპანაქება, გამოქვაბულებიdigitized by Google ხვლეტილი დრისის ციხის ქვეშ ფრანალო კლდე და ტიტველა, ბანჯგვლიანი ახმახი (მშობლიური მხარის სიყვარული, ცრემლიანი ბაბო და ბალღობიდან აყოლილი შიშის ლანდი); ორი აჩრდილის ერთად გარდაცვალება (ორი ადამიანი და ერთი ღამე); მოდუნება (სიცხე); წყლის მდორე დინება (დასვენება); მორევი (ძილი); დუმელა ქრუანტელი (დედაკაცთან დაკავშირებული სიზმრები)...

შარვალი კოხტად ეკიდა. ათქვეფილი, ყვითელი სითხე საფეთქლებთან ლაყლაყებდა. დედაჩემს ეკითხე: „ხომ არ ვაღებინე-მეთქი". დამამშვიდა: არა, ბევრს მღეროდი წუხელ, ყელი გეტკიებოდა... გიტარა პირდაღმა იდო ტახტზე. შარვლისკენ წავიღე ხელი, მაგრამ უცებ ტახტთან მივედი, გიტარა გადმოვატრიალე და მაგნიტოფონთან ჩამოვჯექი. მაკანკალებდა. დედაჩემმა მაგარი ჩაი მომიტანა. დედა შემეცოდა. რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი, — ჩაის სითბოსთან დაბორიალებდა ჩემი აზრი. მერე გიტარას გავხედე ხელახლა და მზერა მაგიდაზე გადავიტანე: ცარიელ ფურცლებზე გალეული ფანქარი იდო; ხის შინაგანმა სითბომ ჩემამდე მოაღწია... მცირე ხნის შემდეგ, ყველაფერი, რაც ეით წამში განვიცადე, ცომად იქცა, მოიზილა და აგუნდავდა:

ვგიორგობთან პატარა სოფელი იყო. გგას ყველა სცნობდა. უბარალოდ, გიჟა და შეშლილს ეძახდნენ. ჩამოფლეთილი დადიოდა. ვის წყალს მიუტანდა, ვის შეშას დაუპობდა; ბავშვებს დასდევდა — უყვიროდა. შურდულებს წაართმევდა და ჩიტებზე ნადირობდა თვალებდაკარკლული. საყდარში ათევდა. ღამღამობით, ხარხარითა და სმიღერით იკლებდა იქაობას. სასაფლოოს შუაგულში იდგა საყდარი. დილაობით, ყირაზე დგებოდა გიგა და ხელებით დადიოდა საფლავქვებზე. როგორც წესი, აქა-იქა ეცოდებოდათ შეშლილი. მის წარსულსაც იგონებდნენ ხშირად: მაგარი ბი-

ჭი. ეყოფილა. თმა. ბულულავით სდებია. თავზე. კარგი. ჭიდობა და მუტტა-კრივი სცოდნია. ამაყიც ყოფილა, იმდენად ამაყი, ათაშანგი რომ გამოსჩენია, ექიმებზე უწევია და. უგინებია: არა იცით რა. შავი ქვისა და ცხელი ნაცრის მეტი... გაზაფხულზე, ჭერმის ყვავილის დანახვისას, კიტრი რომ ახსენა, ნათესავებმა საავდმყოფოსაკენ გაიქნეს. ხერხემლიდან სითხე ამოუღეს. დაადგინეს. გიგა ბამოყეყეჩდა. თუმცა, ცხვირის კეხი არ ჩამტვრევია და ხმაც უცვლელი დარჩენია. გაგიჟდა გიგა. მეხჯის ძალები განზე წაუვიდა. ქვედატანი გაუსივდა. რიყეზე სირბილი აიჩემა; — სიპ ქვებს აგროვებდა, თევზებსა და ჩიტებს დასდევდა, ხან ავტომობილებს გამოეხუთბოდა. უჩინარი, ჰაერის მრგვალი წრე ეჭირა საჭედ და მანქანასავით ფრუტუნით დაჭქროდა აღმადადმა... სოფელი პატარა იყო და ხალხის ნახევარი გვირაბს უვლიდა. სოფლელებმა იცოდნენ, რომ გიგას ეშინოდა გვირაბისა. ერთხელ, მთვრალმა ბიუბმა დაითრიეს იქითკენ; ღმუილი დაიწყო. კბილები დაკრიჭა — თვალებადღა იქცა. ყინულივით გაეცრიცა, გაუცივდა და გაეფშატა სხეული. ვეღარ გამალეს: ორ დღეში ძლივს გალღვა. დამობრავდა.. გვირაბში მორკალული სიბნელე ეწეოდა. გიგას შიგნით, სულისშემხუთველ სიბნელეე თბილ გამოსასვლელში ოდესღაც განვლილ ტანჭვას აგონებდა. ათას რამეს ამბობდნენ: ვითომდაც, ტიტველა გიგა, შუაღამისას, ბუტბუტით ჩაუყვებოდა გვირაბთან წარჩობილ ბილიკს და სიბნელის უკუნეთ ღამეში დაძვრებოდა დილამდე. ერთი კი ცხადი იყო: მარტოოდენ იმ ბილიკზე მიმოდიოდა გიგა. „ამ გზაზე მკვდრები არ დავაქვთო“, — ამბობდა... მატარებლების უწყვეტი ჯაჭვი ფლუთდა გაფიჩხულ ჭორებს. მათი კიკილი იქაურობის იანნად ქცეულიყო. სოფლელების ნახევარი გვირაბში შუშაობდა. გიგა უწინდელივით ეზიდებოდა წყალს, შეშას, დარბოდა, მღერიდა, ბღოოდა, ბავშვებს დასდევდა, სიპ ქვებს აგროვებდა.. ღამელისფერად ინათა იმ დილით. ისევ ერთ იყო, როდესაც ადამიანები ეძებენ, მაგრამ არაადამიანურმა ღრიალმა ნაადრევად წამოხტენეცა ხალხი. სასაფლაოს მხრიდან მოზრდილი სიპი ქვებივით მოჰქროდნენ და ოკონ-ბოკონდ, აცა-ბაცა ეცემოდნენ სახურავებზე დანაწევრებული სიტყვების ნაფლეთები... ასეთი რამ არასოდეს ჩაუდიენია გიგას. სოფლელებმა კეტები იმარჯვეს, ლასტები აიფარეს და საყდრისაკენ დაიძრნენ. გიგას შეეშინდა, — ჯერ გაიქცა, მერე საყდრის კართან დაარტყო; შემოტრიალდა, ნაცარში ჩავარდა პირდაღმა, მუხლებზე წამოიჩოქა, ხელები წაუტია ფერფლის ფენილში და დაჭყლეტილ თვალებში შეიყარა. ლიბრისფერი ტალახით გამოვლესილმა თვალებმა დამწვარი ხის ტკივილი გადასცდა. ადამიანებს. შეეჩერდნენ. ქადაგად დავარდნილს არა ჰგავდა გიგა. ყველა მიხვდა. იგი დაბრმავდა და გადაირია. გიგამ ტანსაცმელი შემოიხია, ფრჩხილებით დაიბალთა ტანი, ყველა მიხვდა, რომ გიჟი გასულელდა. ხმა დაუბოხდა, უცნაურად ალეულლუდა. ჯაჭოხლეებულ გიგას ტუჩებიდან იპნეოდა სატკივარი და კოკონა ჰიასავით ისუსხებოდა: „ზურგზე ჩონჩხმოკიდებულმა ლანდმა გამიმბინა. მიწა შემოეკვეხინოთ. დაიზნიქნა ნუში, გასხიპა უხილავმა — დიდი გოდორის წვნა დაიწყო. სახრეები ვერ იმაყოფინა; სხვა ნუში დაითრია, გამოჩოჩარნა და გალაპრილი კუთხეებით გამოჰკრა. მიწა დაიკმუჭნა, ვიღაცამ ჩაიბუზღუნა. გაყვითლებულმა ხელმა ქამანდი ისროლა, თოკი დაიზნიქა, თოკი გაწყდა ვიღაცამ დაიბღავლა... შავი თოგელი ცვიოდა. გვირაბი მეწეოდა. ოგინებოდა. ბარის პირმა გაიყოლიალა, სიბნელეს გაეკიდა ნუში. მოტეხილი დაბრუნდა, ძვლებს ფანტავდა. ჭვარტლის თოვლზე ვიღაცამ გაირბინა, თავქვე დაეშვა. სირბილი შმინდა. — ყირაზე გადავედი, შეგბზრიალდი, ვეღარ დაეუშვა.

ჯემალ დავლიანიძე
მოთხრობები

ჩემი შესანდობარი დალიეს. ჭიქებს აჭახუნებდნენ. საკუთარ ხორცს ვგლეჯდი და ვჭამდი. ხრიალი არ მასვენებდა. ცეცხლის ალზე მაჯლაჯუნა დატოდა. ცალთვალა ნუში თავდაყირა დაერჭო, წიხლი ამოძკრეს, ცომის გუნდით გამომიტენეს პირი და გამგუდეს. კომშის ხეები აირიენენ რუს პირთან. ფეხი გადავდგი. მიწა წყალივით ტლაშუნებდა. რიყის ქვისფერმა ლოდმა ცეცხლი შემომფურთხა... ოთხი კაცი მიბაგუნებდა. ცეცხლი ენთო, იქვე საბერელი გიეჩაღებინათ...“

გიგა უკვე ხრიალებდა. ყველამ იცოდა, რომ მისი მონაყოლი თვითონ არაა სოდეს ენახა, მაგრამ ანავის არაფერი გაჰკვირვებია; — მონათხრობს არ შეუნინებია ხალხი. თავები ჩაჰხუნეს მხოლოდ და ოხვრას მოუმატეს... იმ ღამეს, ღრმა ძილში წასული სოფელი ისევ ბალ ას უენო ბღავილმა შესძრა. თუმცა, გიგეთ კი აღარ გამოსულან... უთვალთვალინო ტიტველა გიგა, თითქოს წინიდან ვიღაცა მიათრევსო, უკანვადახრილი მიჰქროდა ომ ბილიკზე, რომელზედაც მკვდრები არ დაჰქონდათ. ახლა მას აღარ ეჭირა პაერის მრგვალი წრე, — გვიარბილკენ გარბოდა, სადაც პირდაღებული სიბნელე იყო გაზოდილი...

შარავალი უწონდებურად ეკიდა. დედაჩემი მესამედ შემეკითხა, გული ხომ არ გეტრეოა. გიტარა პირაღმა იდო ტახტზე. მაგიდასთან ვიჯექი. ახლა, გალეული ფანქარი ასოებით აჭრელებულ ფურცლებზე იდო. მას აღარ ჰქონდა ადრინდელი სითბო — ცივი იყო და უცხო...

გამოსასვლელი

საავადმყოფოს გამოსასვლელი ახლა სხვანაირი იყო, — შემოსასვლელს არა ჰგავდა. ადრე შესასვლელი — გამოსასვლელად იქცა და მეტი არაფერი. თვალმარღია კარისკაცი წასვლის გზას ლოცავდა. ამქამინდელ აზრთა წნელი მანეულის ლერწს ემსგავსა — ყვითელი ფერი დაებლანდა და მოქანავე ფიჩხის კონას ჩაეწნა... გამოსასვლელი უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე შესასვლელი და კუდიანი ქარის მიერ ატაცებული ქაღალდივით ფარფატებდა. ჩანთაში ეწყო ყველაფერი. პურის ნატეხებიც კი არ დავიწყნოდა ექთასს. მერე, გამოსასვლელი საცარად იქცა — ღერღილი ცალკე დარჩა, ფქვილი — ცალკე. უმიზეზო სიხარული გამოსასვლელის ცხავში მოექცა და გამოფიტული ფქვილივით მოიანა შემოსასვლელში... ჯანმრთელი ვარ და იმიტომ ცავადმყოფობო, — ეს აზრი დიდი ხანია ჩაეკარა სხეულში. ყველაფერი მაშინ შეამჩნია, ტირილი როცა მოუნდა უმიზეზოდ. ექიმებმა უთხრეს, აპათიაა. არ დაიჯერა. მისთვის ხომ ყველაფერი იქიდან იწყებოდა. ოთხი საავადმყოფოს კუთხე-კუნჭული იცოდა ზეპირად... პალატები, საპროცედურო, საოპერაციო, საინქციო, სამორიგეო ოთახები, — წამლების დანიშნულება. რადცით ავადდებოდა მუდამ და უმალვე რჩებოდა. ყველაფერის დასაწყისი კი ის აჩემებული, უმიზეზო ტირილის სურვილი იყო. ურჩევდნენ, ტირილმა შემსუბუქება იცისო. მაგრამ უმიზეზო ტირილი შეუძლებელი იყო. არადა, გაწბობდა, როგორ მიექანებოდნენ სიცხლისფერი ორთქლის ბურთულები სხეულის შორეული წერტილებიდან ერთმანეთს. ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეფშები, ჭიქა, კოვზები. მაკრატელიც იქვე დავარდა, მოკბეჩილი ვაშლიც და პურის ნატეხიც... ერთხელ იყო: ზოოპარკში ორი შიმპანზე აშენებდა ხუხულას. დაენგრათ. კბილები დაკრიჭეს, მოსეირე ხალხს მუშტები მოუღერეს. ერთმა განახევრებული ვაშლი ესროლა ხალხს, მეორემ კეტს დაავლო ხელი, რიკულებს დაუშინა, კეტი დალეწა და ვიწრო გასასვლელში გაუჩინარდა.. ავტობუსი მიჭრიდა და მისი აყირავებული, გახსნილი ხელრანთა მიჰქონდა. ასფალტზე რომ დაბიჯა, ტირილის უმიზეზო სურვილი გაუჩნდა ხელახლა და სივრცის უშველებელი ცერა თითი იგრძნო კისერზე. კინაღამ დააჭყლიტა მიწაზე. გასხლტა. ნაბიჯს მიჰყვა... ნანემსარი ალაგები აეკავა. ვაგზლის ბაქანმა დაამშვიდა. აქ ერთმანეთისათვის არავისა სცხელოდა. არავინ არაფერს აშენებდა. სადღაც მიდიოდნენ და ეგ იყო. ბალახისფერი, თხელი ბილეთი ეჭირა, ციფრი ოცდაშვიდი მოჩანდა ზედ. ვაგონიც მწვანე იყო. გოგონა და ბიჭი იდგნენ შესასვლელში. კიბის უკანასკნელ საფეხურზე სივრცის ცერა თითის სიმძიმე მოსცილდა. ყვითელ სკამზე ჩამოჯდა... მისი პატარაობაღა დარჩა სარკმელთან. ზეპირად იცოდა ეს გზა. მატარებელი მიჭქროდა იქით, სადაც დაიბადა, — ბაბოსთან და პაპასთან. ნაფიქრი სარკმელში აირეკლა. უამრავი ცნობიერი საგნებით აივსო იქაურობა: საავადყოფოებისა და სასწავლებელთა შენობები, ტროლეიბუსის გაჩერებები, ფოსტის განყოფილება, რამდენიმე დიდი ვაგზალი, სხვადასხვა არქიტექტურის აეროპორტები, აგრუხუნებული თვითმფრინავები, ტაქსის სადგომი, მინდვრები, ტაიგა, ხორბლის ბორცვები, ტიტლიკანა ბიჭები, ფეხში შერჭობილი ეკალი, ქვაზე წაკრული თითიდან ავარდნილი ფრჩხილი და ის სისხლისფერი ორთქლის ბურთულები, სხეულის შორეულ წერტილებიდან რომ მიექანებოდნენ რომელიღაც თავშესაყარში... სარკმელი ჩამიტვრა. ატივტივებული გამოსახულებანი მინასთან ერთად დაიფშვნა და მიმოფანტა. ოთხკუთხეა სიკარიელეში ღრუბლიანი ცა გამოჩნდა. ვაგონში იგრნებოდნენ. ერთ კაცს ხელში ის ქვა ეჭირა, შუშა რომ ჩალეწა წეღან. ეხლა, სარკმელი გასასვლელად იქცა. სიცხის ბუღი მიილტვოდა გარეთ. ვიღაცა ქალმა კიტრის ნაფცქვენები გადაყარა. კაცმა ქვა გადაადგა... ხეობის გაღმა, ფერფლისფერი ღრუბლები ჩამოგლიჯა მზის სხივმა და სოფელს დაეცა. სოფლის ნახევარი გადაყვითლდა. მთელი ცა ამ სხივს დაეყრდნო. სხივი თვალნათლივ ჩანდა... უხილავი რამ გამოეცალა ჩამტვრეულ სარკმელთან მჯდარ, წვრილი შუშებით სახედასერილ ბიჭს, ქშუილით გაძვრა გასასვლელში, საყვითლით განახევრებულ სოფლისკენ მიიქცა, დაბორიალდა, დაფარფატდა და რბილად, ფერფლისფერი კვამლივით ზეაჰყვა უსასრულოდ ასვეტილ სინათლეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზთან დაბრუნება

სული აივსო მზითა,
როგორც აფრები ქარით.
შენთან ვბრუნდები გზიდან, —
ისევ ღიაა კარი.

მზერას მოგაპყრობ ფრთიანს,
შენს ცას გავცქერი ხშირ-ხშირ,
გულში სიმები კრთიან,
ქარის და სეტყვის შიშით.

ხან გახურდება ზეცა,
ვითარცა სახაბაზო.
ხან გაშლის თოვლის ზეწარს,
ხან სეტყვით შაჰაბაზობს.

მაგრამ მარჯვენა გამრჯე,
ისევ ჩაგაფენს ნათელს.
დალოცავს ვაზის გამჩენს, —
ვაზთან რომ ღამეს ათევს.

აყვავილდება, ვიცი,
ქართული მიწა ცხრა მზით...
აღსდგება, ვით ფენიქსი,
და-ცა-ლეწილი ვაზი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსლან ლონდლაძე

კარანტინი

მოთხრობები

საღამოა. ცივა.

საავადმყოფოს მთავარ შესასვლელთან, ყვითლად მოლაპლაპე ნათურის ქვეშ დგას ხალხი. უმრავლესობა მოქოქილოთე ქალებია. მათი ჭრელი და შავი თავსაფრები, ღია და ჩაშავებული თვალები ერთმანეთში ირევა. ქალები ნელ-ნელა მიიწევენ კარისკენ. შეძახილები, ალერსიანი ხვეწნა-მუდარა, გესლიანი ლანძღვა-მუქარა, რომელიც დროდადრო ქუჩის მეორე მხარესაც ისმის, წინ აღმართულ ვეება კარისკაცის სმენას ვერ წვდება. ის, ცალი ბეჭით ჩარჩოს მიყრდნობილი, ასანთის ღერით კბილებს იჩიჩქნის, დროგამოშვებით მუნდშტუკს აბოლებს და ყურადღებით მხოლოდ ბოლქვა-ბოლქვად გამოშვებულ კვამლს უმზერს.

— ...შემიშვი ერთი წუთით, აქვე წევს, მეორე სართულზე, უცად ვნახავ და გამოვიქცევი..

— ...ღამით ექიმებს რა უნდათ?... შეგვიშვი, შენი ჭირიმე, ვინ გაიგებს?..

— შვილი არა გყავს, ამდენს რად გვაწვალებ, ადამიანო?

— ხმა ამოიღე, მუნჯი ხარ, კაცო?..

— კითხვა იცით... — სიგარეტის ბოლს გამოაყოლა სიტყვები და მუნდშტუკიანი ცერი დასაო მინაზე გამოკრული აბრას. — მაშასადამე, არ შეიძლება. — კბილის სარჩრეკელა წკიპურტით მოისროლა, ცხვირსახოცი ამოიღო და ფართო ნესტოები აახმიანა.

— შენ გაგიჩნდა კარანტინი და შენს ექიმებს! დამიჭკნეთ ბავშვი და არც მიშვებთ, ენახო...

— ჰმ, რა უნდა ელაპარაკო? — ყველას გასაგონად ჩაიღუდღუნა, ცხვირსახოცი გაშალა და დაკვირვებით დააცქერდა.

— მაშ, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როდემდე ვიდგეთ ასე? — ხმას აუწიეს ქალებმა.

— ერთხელ ვთქვი და ასჯერ არ გავიმეორებ, თუ რამე გაქვთ გადასაცემი, ჩვენ გადავცემთ, მეტი რა გიყოთ? — მნიშვნელოვნად მოავლო თვალი და ცხვირსახოცი ჩაიჯიბა.

— ვერ გაიგე?... ჩვენ ნახვა გვინდა, ნახვა!

— შეგვიშვი, კაცი არა ხარ, შვილი არა გყავს?

— ვინ დააყენა, ეს უბედურ დღეზე გაჩენილი?..

— მოწევასაც არ გაცლიან სუფთა ჰაერზე, რა ხალხია... მგონი, გრიპიც შემყარეს. გაიწით, კარი უნდა მოვხურო. — სიგარეტი გადაგდო და ზიზღით გახედა შავთავსსაფრიან დედაბერს, რომელიც მოუსვენრად წრიალებდა მის გარშემო.

— მოიცა, არ დაკეტო... გევედრები...

— მეხი დაეცეს შენს ოჯახს!

— ხმა გაიკმინდე, ბებერო, თორემ გისროლე აქედან... გამეცალეთ, გასწით ეგ ჩანთები, თორემ!... — და კარს მიაწვა.

— რა თორემ?! — აეშეყინდნენ ქა-

ლები, ფეხს არ იცვლიდნენ ადგილიდან.

— უკანასკნელად გიფრთხილებთ: გაათავისუფლეთ შემოსასვლელი, თორემ განანებთ! — აინთო კაცი.

— ერთი უყურეთ; რაებს ბეღავს!.. ვის ემუქრები, შე აყლაყუდა, შენა?..

ჩოჩქოლი ატყდა, წინმდგომმა ქალებმა ერთბაშად გაიწიეს. კარისკაციც მომზადებული დახედა, პირველი ტაღლა მკერდით მოიგერია. სახელური ძლიერად მოზიდა და კარი სანახევრად მოხურა. ქალები გაცხარებით აკიეთნდნენ, შემჭიდროვდნენ, თავვამეტებით შეუტიეს და კარი გამოსტაცეს. კარისკაცი არ დაბნეულა, ორივე ხელი სალტეებივით შემოახვია ცალ ჩარჩოს, ხოლო მეორეს ზურგით მიებჯინა და ხმამაღალი გინებით ეიღაცას დაუძახა. იმ წამსვე მეორე თეთრხალათიანი გამოჩნდა, სახელურს მიწვდა, მაგრამ იმდენად გადმოიწია, თვითონ გარეთ აღმოჩნდა. თითქმის შიგნით შეიწეულ შავთავსაფრიან დედაბერს კარისკაცის იდაყვიღა უშლიდა, რომელსაც მთელი ძალ-ღონით ეპღაუჭებოდა, მწარე ქლოშინით და ხვნეშით. ქალები ერთმანეთზე მისრესილები ჭყეიდნენ, კიიდნენ, ერთიმეორეს შესვლაში ეცილებოდნენ. უცბად კარისკაცმა არაბუნებრივად იღრიალა და ჯირკივით ხელი მაღლა აიქნია. საცოდავი დედაბერი შურდულივით შეფრინდა შიგნით. მის ადგილზე წინგადაწეულმა კარისკაცმა ამოყვინთა. ცალი ხელი სახელურზე ეკიდა, ხოლო მეორეთი უკვე სანახევროდ დარღვეულ ქუდს ექაჩებოდა გაშმაგებული...

როგორც იქნა, კარი მოხურეს, ჩარაზეს. შიგნიდან ომახიანი ლანძღვა-გინება ისმოდა. გარეთ დარჩენილები მიხვდნენ, ჩხუბი ზედმეტი იყო და ნელ-ნელა დაიშალნენ. ზოგი ისევ გზისპირზე გადადგა, იქიდან უმზერდა მკრთალად განათებულ საავადმყოფოს ფანჯრებს.

შუახანს გადაცილებული, დაბალი ტანის ჭაღარა მამაკაცი ქალებში გაეკრია და კართან მიეჭრა. დაეკაკუნა.

— ჩვენ დიდი ხანია აქა ვდგავართ და არ გვიშვებენ.

— რატომ? — გაკვირვებულმა გახედა ქალებს და ისევ დაეკაკუნა.

— არ გაადგებენ, ეხლინ მოისპენ მალე. წეღან ისეთი ალიაქოთი ატეხეს, ლამის შუშები ჩამოიღიეს.

— რას ლაპარაკობთ?... გააღეთ, არ გესმით? — წამოიყვირა კაცმა და უფრო ძლიერად დაეკაკუნა.

— ტყუილად ირჯებინთ... ეგღა დაგვრჩენია, მორიგეს გამოვუძახოთ. თქვენი ბავშვიც მეორეზე წევს?

— არა, მე საქმეზე ვარ... გააღეთ კაცო, კაკო ვარ, კაკო!

— თქვენი ნაცნობია? — შემოეხვიენენ ქალები.

— ვინ კაკო? — გაისმა კარს უკან.

— ვინ და კაკო, კაკო!

— ჰოო, კაკო?

კარი ფრთხილად გაიღო, ორივე კარისკაცმა თავი გამოყო.

— შემო, რაღა...

— ამათ რატომ არ უშვებ?

— არ შეიძლება. ხელი მომაწოდეთ...

— ვითომ, ჩვენთვის რატომ არ შეიძლება?..

— ჰო, რატომ?... ნაცნობები რომ არა გვყავს, იმიტომ?! — ისევ აყაყანდნენ ქალები და ჩააფრინდნენ კაკოს.

— ამ კაცმა აქ უნდა იმუშაოს, გაუშვით ხელი!.. კაკო, შენ რაღაშ დაგაოსა, გამოდგი ფეხი... — აწრიპინდა დაბალი კარისკაცი. მეორემ მოურიდებლად საყელოში ჩაავლო ხელი და თავისკენ გასწია. გაოცებული კაკო ხან ამხანაგს უყურებდა, ხან პალტოზე ჩაბღაუჭებულ ქალებს...

— გამაგებინეთ, რა ხდება? — ნაწყენი ხმით ამოიღეღლეღა კაკომ, როცა შიგნით შეათრიეს.

— ბოდიში, სხვანაირად ვერ მოვახერხებთ... — მორცხვად წარმოთქვა მაღალმა კარისკაცმა და მკლავზე ხელი მოისვა.

— ვაჰ, ძლივს არ ჩავკეტე?.. არა, ქალი მარილა კაცზე ვიე ყოფილ! — იღიმებოდა კართან მეორე. მერე კაკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, ბიჭო, არც შენ დაგტოვეს ვალში, ქუდიც რომ დაგახიეს?.. — და წამქეზებლური ღიმილით კაკოს მარჯვენა გაუწოდა გაცნობის ნიშნად.

კაკომ უხერხულად ჩამოართვა ხელი, ვერც გაიღიმა, ვერც სიტყვა თქვა.

— გვეყო, თორემ ეს ადამიანი მთლად დავაფრთხეთ, — სიცილი ვერ შეიკავა და ისევ აკაკანდა. — მაინც რა დაგასო ამისთანა, კარგად დავინახე; იმ ჩემი ცოდვით სავსეს ერთი კბილიღა ჰქონდა შერჩენილი პირში...

— ერთი არა, ტოროლა...

— ჰა-ჰა, ორი... მოისინჯე, მართლა ხომ არ ჩაგტოვა მკლავში... — ხელი მოუფაფარა.

— ნუ გამიწყალე, ხომ ხედავ მეწვის... აქ არ ჩამოშრძანდება!

— აბა, კაცო, აბა? — იქაჭებოდა კაკოს ამხანაგი. — იღლიებს შორის გაგიძვრა ხელიკიანი...

— მერედა, სად არის ეგ ბებრუხანა ამდენ ხანს, „ის“ რომ მოვიდეს, რასა შვრები?.. ავალ, ერთი ავხედავ, სად ჯანდაბაშია?..

— ადი, ადი, მეორეზე იქნება „მძიმეებში“. მანამდე ამ კაცს აეუხსნი, რა ხდება და რა გვევალება... — მერე კაკოს მიუბრუნდა, ხმას დაუკლო და თვალი ჩაუკრა: — ამხელა, მთასაეთი კაცია და მუხუდოსოდენა ტვინი უდეევს გოგრაში. თან, იცი, რაზეა აწიწმატებული? — იქვე მდგარ მაგიდაზე ანიშნა. — უკვე მესამე ბოთლს აგებს, ვერა და ვერ ვასწავლე ჭადრაკი. ჰოდა, აქ რომ ყველაფერი მიწუნარდება, პატარა პურმარილსაც ვაკისრებინებ. ახლა შენ მითხარი, როგორა ხარ, ოჯახში რა ამბავია? — სიგარეტი გაუწოდა.

— არა გვიშავს რა. მაინც ვერ მიეხვდი, რატომ არ უშვებთ ამათ? — თითი კარისკენ გაიშვირა და სიგარეტი ამოიღო. — ძალიან კოლოფიდან.

— ვაჰ, როგორ ვერ მიხვდი, ჯო?! კარანტინია. — მოუკიდა. — არ გეგონოს სულ კარანტინია მთელი ზამთარი. ეგ დროებითი ამბავია, გრიპის გამო. ერთი ორი კვირის მერე მოხსნიან და ყველაფერი მოწესრიგდება. გიახდე ეგ პალტო, არა გცხელა?... მიიტა, ჩამოვიკიდებ...

— მე თვითონ... — ორივე გასახდელისკენ დაიძრა.

მოაჯირს იქით თეთრხალათიანი ჭაღარა ქალი იჯდა. ქსოვდა.

— გაიცანი, ჩემი ამხანაგი და ჩვენი ახალი თანამშრომელი.

ქალმა უხმოდ ჩამოართვა ხელი კაკოს და პალტო წინა საკიდზე დაკიდა.

— ჯერ არ მიდიხარ? — სხეათაშორის ჰკითხა კაკოს ამხანაგმა.

— ჯერ ადრეა... — ხმადაბლა უპასუხა ქალმა, სკამზე მოკალთდა და ქსოვა განაგრძო.

კარისკაცმა მკლავში წაატანა ხელი კაკოს და სეირნობით დერეფნისაკენ გაიყოლა. — ეგა, ცოტა არ იყოს, უცნაური ქალია, განა სამუშაო დრო არ დაუთავრდა. მაგრამ ასე ზის საათობით და ქსოვს... მოკლედ, უჩემოდაც ყველას გაიცნობ, გაიგებ აქაური ავან-ჩავანსაც. ავერ, ესეც ჩვენი ოთახი. — პირველივე კარი შეაღო. — როგორც გითხარი, ღამე შეგიძლია მოისვენო, თუ ვინმე მოიყვანეს ან რამე დასჭირდათ, თვითონ დაგიძახებენ. — კარი მოხურა. — აქ კი ჩვენი უფროსი ზის, კარგი ჯელია, ხანდისხან დომინოს ვვეთამაშება. ხვალ რომ საბუთებით მოხვალ, გაგაცნობ, შენზე უკვე ნათქვამი მაქვს. ჯო, შენ ნარდი გიყვარს, არა, ნარდიცა ვკავქვს, მაშ!... ეს გამაგებინე, შენი ბიჭები როგორ არიან, გაკეთეს ის საქმე?

— რა ვიცი, აკეთებენ?... თუ გგონია ხშირად ვხედავ, ათასში ერთხელ შემოირბენენ... ავადმყოფები ზემოთ წვანან?

— აკადემიკოსებთან არაკითარი საქმე არ გვქონია. თუ რამე მოხდა, მორიგეს გამოუძახებ. ასე რომ არხეინად იყავი, დიდი ჯაფა არ გვადევს...

— ექიმები აქ არიან?

— ჰო, აქ მიმღებია, იქით კაბინეტები. უმთავრესად ზემოთ არიან. იმთათაც ძალე გაიცნობ. დაუკითხავად შემოუშვებ. შიგადაშიგ მთავარი ექიმი გვამოწმებს. უფროსია, ყველას ამოწმებს, თავისებური კაცია, ცოტა ჯაჭიანია, მაგრამ ასატანია, შეეჩვევი. წამო, ჩამოვჯდეთ, ის ახმახიც აღარ გამოჩნდა...

— ეს მითხარი, მე და შენ ერთ ცვლაში ვიქნებით?

— ჩემო კაკო, ეგ ცოტა რთული ამბავია, საქმე ისაა, რომ ყველას თავისი ცვლა ან ოჯახთან, ან სხვა სამსახურთან აქვს დაკავშირებული... ისე, მაგ საქმეს მოვაგვარებთ, ოღონდ თანდათანობით, — მერე ეშმაკურად გაუღიმა. — ჯერჯერობით ცვლაში ასეთივე ახმახი გეყოლება. ჩვენ თავიდანვე ეგრე გავნაწილდით; თითო ცვლაში თითო ჯანიანი ყოფილიყო, კარანტინის დროს საპიროა. რა იცი, ეგებ შეეწყოთ კიდეც... ჩვენნაირ დარჩეს და, მე და შენ დღეს ამათ რას გავუძლებდით, ისეთი შემოსევა მოგვიწყეს... მოკლედ, ვნახოთ, როგორ წავა საქმე...

უცბად ტელეფონი აწკრიალდა. მან ხელი გაუშვა კაკოს და სწრაფად მაგიდისკენ გაქანდა. ყურმილი აიღო, გაინაბა. კაკოც მიუახლოვდა.

— მე რა ვიცოდი, ბატონო?.. მოვდივარ... ახლავე... — ყურმილი დაუშვა. — კაკო, თუ ძმა ხარ, არ მოიწყინო, ძალე ჩამოვალ...

კაკო მაგიდასთან ჩამოჯდა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა. მის წინ, სქელ მუყაოსგან სახელდახელოდ გაკეთებულ დაფაზე ჭადრაკის მსხვილი ფიგურები ეყარა. სიგარეტი მოქაჩა და დინჯად მოავლო მზერა გარემოს. მაღალი, გაკრიალებული მოსაცდელის ორივე მხარეს რბილი სავარძლები ეწყო. აქეთ ფართო ხალიჩადაფენილი კიბე დიოდა ზემოთ, ხოლო მის გასწვრივ დერეფანი იწყებოდა. კაკო წამოდგა, ჯერ ერთ-გამოისენჯინა, მერე ეკიბებს ფეხ-თვის განკუთვნილ ოთახთან მივიდა, შეიხედა, კმაყოფილმა თავი ნელა დაქნია და დერეფნისაკენ გაუხვია. დერეფნის მსხვილმინიანი ფანჯრის იქით ლამპიონებით განთათებული შიდა ეზო მოჩანდა. ქვემოთ, სიბნელეში, მკრთალად ლივლივებდა მოგვალი აუზი. სავარცხელი ამოიღო, ხშირი ჭაღარა ლაღად გადაივარცხნა. შემდეგ კიბისკენ გაეშურა, ისიც აათვალიერა, ჩამქრალი სიგარეტი იქვე ურნაში ჩააგდო და ანაზდად გასახდელისკენ გაემართა. მოაჯირთან შეჩერდა, თმაშეეკრცხლილ ქალს დააქერდა, რომელიც მთელი გულისყურით ქსოვდა.

— პალტო მოგაწოდოთ? — შენიშნა უცებ ქალმა და სკამიდან წამოიწია.

კაკომ თავი გააქნია, ოდნავ გაუღიმა.

— ჩამოვჯდები, თუ არ შეგიშლით ხელს... — სკამი მოატრიალა, ისევ გაბოლა. — მომწონს აქაურობა... ეჰ, კარგა ხანია ვაპირებ სამსახურს, მძიმე სამუშაო კი არ შემიძლია, ინვალიდი ვარ.. უსაქმოდ ვეღარ ვჩერდები.

— ინვალიდი? — ახედა ქალმა.

— ჰო. გული არ მივარგა, ფეხიც დაშავებული მაქვს... ჰოდა, ამაზე კარგ სამსახურს ვერც ვინატრებ...

— გულიო და ეწევით... — ჩაილაპარაკა ქალმა და ქსოვა გააგრძო.

— იმდენი რამ ამიკრძალეს, ჩემო ბატონო, მაგას რომ ყური ვუგდო, რომელი გული გამიძლებდა? — გულიანად გაიცინა და იდაყვი მოაჯირს დააყრდნო. — ხალხში მომინდა ყოფა... — ამოიხვნეშა.

— ხალხში? — ისევ ახედა ქალმა.

— მთელი დღე მარტო ვზივარ, გამოვყრუვდი კაცი, შვილებს თვეში ერთხელ თუ ვხედავ, მეზობელი და მეგობარი ყველა დასაქმებულია. ვიფიქრე, ეგებ მეც რამე გამომეძებნა... აქ კარგია, სიმშვიდეა, მოკლედ, საჩემო ადგილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩუმე ჩამოვარდა. კაკო ქალის ხელებს დაუშტერდა; წვრილი წაბოძეულებული თითები გამალებულად მოძრაობდნენ საქმოსგზე.

— მაშ, ამაზე კარგ სამსახურს ვერც ინატრებდით? — ძაფი გაკვანძა ქალმა.

კაკომ ეჭვის თვალით გახედა.

— ათი წელიწადია აქ ვმუშაობ და მაინც ვერ შევეჩვიე აქაურობას. რამდენჯერ ვცადე თავის დანებება... მაგრამ პენსიამდე გავძლებ როგორმე. — თითები ისევ აჩქარებულად აათამაშა.

— რატომ? — ცოტა ხნის მერე გაუბედავად წარმოთქვა კაკომ.

— აქ რომ კარგი ყოფილიყო, ელიზბარი კი არ წავიდოდა.

— ვინ ელიზბარი?

— ვის ადგილზეც თქვენ უნდა იმუშაოთ...

— რასა ბრძანებთ!.. ვინ ელიზბარი, პირველად მესმის! — გაოცდა კაკო.

ქალს ირონიულად გაეღიმა.

— იმუშავებთ და ყველაფერს გიგებთ.

— როგორ? ჯერ ყველაფერი გავიგო და, მერე ვიმუშავებ...

— ბაშინ აღარ იმუშავებთ. — წყნარად დაბოლოოა ქალმა, ნაქსოვი გაშალა, ძაფი გამოაძრო. — თუმცა, რა ვიცი, შეიძლება იმუშაოთ კიდევაც... — თავისთვის ჩაიბურტყლუნა და ქსოვა განაგრძო.

კაკო სკამიდან წამოიწია.

— ის ელიზბარი რად წავიდა, რატომ არ მეუბნებით?

— ელიზბარი რა შუაშია... იცით, რა, არ გირჩევთ აქ მუშაობას, მით უმეტეს, თუ გული არ გიგვარგათ... — ქალმა თვალებით ზემოთ ანიშნა. — აქ, მძიმე ავადმყოფები, მეტწილად ბავშვები წვანან, მათ შემყურეს ქვასავით გული უნდა ჰქონდეს, არაფერი ენაღვლებოდეს. ბავშვი, მოგეხსენებათ, მოუსვენარია, ნებაზე დგება, ხან გაიქცევა, ხან დაიმალება, უხარია და ერთ ამბავშია. მაგრამ მერე, ტირილს რომ მორთავს, რომ ეტკინება, ერთი სურვილი დაგებადება: როდის გაიქცე აქედან! მერე იმათი მშობლები, ნათესავები, ყოველდღე მოდიან, განრიგს ვინ უყურებს, ყელში გეცემიან, გამიშვი-შემიშვიო... წარმოიდგინეთ, იმათ ადგილზეც თქვენც ასე მოიქცეოდით. მთავარი ექმი კი ისეთი მკაცრია, თუ ვაუშვი, გაგათახსირებს, თავს შეგაძულებს. ელიზბარი ადგა და წავიდა, მამა ვაცხონე მისი...

ქალმა ჩანთიდან ძაფების კონა დააძრო, რჩევას შეუდგა.

— იმიტომაც დამიძახეს, მის ნაცვლად მემუშავა? — სინანულით წარმოთქვა კაკომ.

— აბა ვის ნაცვლად?... ელიზბარს უბედურებაც შეემთხვა. — ქალმა ამოიოხრა. — ამ ერთი თვის წინ, შუალამისას ავადმყოფი მოიყვანეს. პატარა გოგონა, თერთმეტი წლის იქნებოდა. სასწრაფოდ ოპერაცია იყო საჭირო. ელიზბარმა — საკაცე არ უნდაო, თვითონ აკიყვანო... ვერ მოასწრო მიყვანა, კიბეზე შეაცივდა ხელში, შეაკვდა...

— შეაკვდა?

— რამდენი რამ ხდება აქ... ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს. — ძაფები წყნარად გადააწყო და თითები ისევ აამოძრავა.

კაკო ერთხანს გაყინულივით იდგა, მერე სკამი უხმოდ თავის ადგილზე გაიჩოჩა, შუბლი მოიწმინდა, მიმოიხედა და მოაჯირს გადაეყრდნო.

— რა იყო? — შეცბუნდა ქალი.

— ნუ შეწუხდებით, ჩემი პალტო აქვე ჰკიდია, თვითონ მივწვდები. — ნაძალადევად გაიღიმა.

ქალმა მაინც დაასწრო და მიაწოდა.

— შემცივდა რაღაც... გმადლობთ.

ჩაიცვა. ორიოდე ნაბიჯი უკან გადადგა, ჯერ ქალს გახედა, ის თავის საქმით იყო გართული, შემდეგ მზერა ისევ კიბეს და დერეფანს გააყოლა. არავინ ჩანდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ზემოდან დროგამოშვებით უცნა-

---

რუსლან ღონღლაძე
მოუთხრობები

ური ჭრიალი ისმოდა. „ეს სად მოვდიოდი, კაცო?“ — უნებურად ჩაილაპარაკა, საყელო აიწია და საჩქაროდ გასასვლელისკენ გასწია.

უცბად უკნიდან ქალის ხმაჩახლეჩილი ტირილი მოესმა. რეტდასხმულივით შემოტრიალდა. კიბეზე კარისკაცებს და ექიმს შავებში ჩაცმული თმაგაწეწილი დედაკაცი ჩამოჰყავდათ.

— ...არა, არ დაეტოვებ... აქვე დავითხრი თვალებს... გემეფარებით, გამატანეთ, წავიყვან... — ჩხაოდა ხმაწასული და გაწამებული.

ისინი ძირს ეჩაჩებოდნენ, აწყნარებდნენ. ქალი ეწინააღმდეგებოდა, თითებს იმტვრევედა.

კაკო კარს მივარდა, სწრაფად გადასწია საკეტი, დაეჯაჯგურა, მაგრამ კარი არ იღებოდა. აფორიაქებულმა საკეტი აარხაკუნა, ხან ზემოთ ასწია, ხან ქვემოდ დასწია, ვერაფერი მოუხერხა. მოულოდნელად მხარზე ხელი იგრძნო, შეშინებული შემობრუნდა.

— შენი ჭირიმე, გამატანეთ, სხვას ხომ არაფერსა გთხოვთ. გამატანეთ, ქრისტიანი არავინა ხართ?...

მის წინ ხელგამოწვდილი და თვალებდაშრეტილი დედაბერი იდგა. კაკო შეკრთა. წამით ამხანაგს გახედა. სამივე ერთმანეთს ეკამათებოდა, ექიმს ყურამილი ეჭირა, ისიც ღრიალებდა. ქალმა ისევ შეახო ხელი და ძლივსგასაგონად აღმოხდა:

— ძვლებიღა შერჩა საცოდავს, გამატანეთ... წავიყვან...

კაკო მთლად დაიბნა, ჯერ ცხვრისახოცი ამოიღო, რატომღაც ხელზე დაიხვია, მერე საზე მოიწმინდა, ისევ ჯიბეში ჩაიტენა.

— თქვენ ნუ... ნუ ჯავრობთ. გამოჯამრთელდება და წაიყვანთ... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოღერღა კაკომ და ხელი გაუწოდა.

— რაფერ?... დღითიდღე ილევა, ჭკნება.. თვალსა და ხელს შუა მეცლება...

კაკოს ერთთავად ფერი გაუკრთა, თითქოს ხმაც შეეცვალა. „კარისკაცებ... მამად მიიპატიჟა.

— თქვენ დამშვიდდით, ქალბატონო. წამობრძანდით. თქვენ არ იცით, რომ უკეთ არის.

— ვინ?... არა, არ წავალ, უიმისოდ არ წავალ... ღმერთო, რა დაგიშავე?..

— რასა ბრძანებთ?... მომყეკით. თქვენ სულაც არ იცით, როგორ არის... ეგ მე მკითხეთ.

კაკომ დინჯად გადაატრიალა საკეტი და კარი მყისე გაიღო. გარეთ მდგომი ქალები ახმაურდნენ. კარისკაცებიც საჩქაროდ მოცივდნენ. მან დედაბერი წინ გაუშვა და ხანმოკლე ჯიკობის შემდეგ ორივენი გარეთ აღმოჩნდნენ. უცაბ ამხანაგის შეძახილი მოესმა, კაკო გაინახა, ვითომ არც გაუგონია. მალე კარი მოხურეს, ხმაურიც მიწყნარდა. სამშვიდობოს გასულმა თავისუფლად ამოისუნთქა, დედაბერს დახედა. ქალი ღონეგამიხდილი სლუკუნებდა, დაკორძილი ხელებით ცრემლებს იმშრალებდა. თან კაკოს თვალს არ აცილებდა. კაკომ მობოდიშებით, ჯერ თავსაფარი გაუსწორა, მერე ხელი გაუყარა და ქუჩაში გაიყვანა. სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, დედაბერი ახლოს მიიზიდა.

— ცელქი შვილიშვილი გყოლია. აბა!... გუშინწინ უთხრეს, არ ადგე, შვილო, სანამ არ გითხრათო, არ დაიჯერა, წამოდგა, იცელქა და ახლა ისევ შეუბრუნდა... ცელქი ბიჭი გყოლიათ, ცელქი. — უკმაყოფილოდ დაასრულა და ნაფაზი დაარტყა.

— წამოდგა? — გაჩერდა დედაბერი.

— ჰო, წამოდგა... ახლა კი უსათუოდ უნდა იწვეს, წოლა აუცილებელია...

— რაფერ წამოდგა?.. თვალს ძლივს ახელდა ახლა. იქაც არაფერი მითხრეს.. — ყველაფერს ხომ ვერ იტყვიან, ქალბატონო... ექიმების წესია.

— თქვენ გასინჯეთ, .. ჩემი ბიჭი?

— არა... მე, არა. — კაკო შეყოვნდა, თითქოს დაიბნა კიდეც. — არა... ჩვენ, კარისკაცები ხომ ყველას ვიცნობთ, ყველა ექიმს და ავადმყოფს. — თბილად გაუღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ... წამოდგა?... რატომ არ მითხრეს, ენაცვალოს ბებო... — აკრუსუნდა ისევ ქალი.

— გაუგლის. ახლა ისეთი წამლები გამოიგონეს, ყველაფერს კურნავენ. იმას კი არა, ისეთი განკურნეს, იმედი არავის ჰქონდა... ოღონდ ეგ არის, ამ დღეებში ნახვა არ შეიძლება. ხომ იცით, როგორი გრიპია ქალაქში, რომ გადაედოს, გაურთულდება...

ქალმა მუდარით შეხედა კაკოს და ცივი, ნაოჭებიანი ხელი შეახო იღლიაში ამოდებულ მის ხელს.

— აბა, რაფერ გავიგო, რაფერ არ ვნახო?.. ჩემს მეტი არავინა ჰყავს ამ ქვეყანაზე...

— ამ კარანტინის დროს ნახვა რა საჭიროა, მერე, მერე... თან უკეთ იქნება.

— ოღონდ კი წამოდგეს, არავის შეეაწუხებ, ოღარც შემოვალ, მხოლოდ,... შენი ჭირიმე, ერთსა გთხოვ... ოღონდ როგორმე გამაგებინეთ, როგორმე შემატყობინეთ ჩემი ბიჭუნას ამბავი...

— როგორ არა, როგორ არა.

— შენ გაიხარე, შენმა ოჯახმა იცოცხლოს დიდხანს... მოვალ ხოლმე, იქვე, კართან დავდგები, ხმას არ ამოვიღებ, ისე დაველოდები ხოლმე...

კაკო თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, თან ნელა მიაცილებდა. ავტობუსების გაჩერებასთან შეჩერდნენ. მალე ავტობუსიც ჩამოდგა. ქალმა ეღონოდ ხელი ჩამოართვა.

— ხვალ, დილით ხომ იქნები, შენი კენესამე? — იმედით გულაჩუყებული ჩაეკითხა.

— ვიქნები... ვიქნები...

ახლოდა შეამჩნია კაკომ, რომ დედაბერს ორიოდე კბილი შერჩენოდა წინგამოწეულ, მოცახცახე ყბაზე და ამის გამო ენამოჩლექილი ლაპარკობდა.

— უეჭველად ვიქნები. — რიხით დაუმატა.

დედაბერი გაჭირვებით ავიდა მანქანაში, უკანა ფანჯარას მიეყრდნო და იქიდან ნაოვლიანი ღიმილით დააკქერდა კაკოს. ამანაც გაუღიმა, ხელი ასწია, დამშვიდობების ნიშნად ნელა დაუქნია. უცებ ხელი ერთ მდგომარეობაში გაუქვავდა, სახეც დაუგრძელდა. „როგორ... თუ ვიქნები?“ — ხმაშეცვლილმა ჰკითხა თავის თავს... ავტობუსმა აუჩქარებლად მეორე ქუჩაზე გადაუხვია და თვალს მოეფარა. კაკო კი ისევ იდგა ხელაწეული...

ღღე „ყვავილების საკრეფად“

უთენია გამომეღვიძა. ერთი ორჯერ მხარი ვიცვალე, გატრუნულს სათვალავიც ამერია, მაგრამ ძილი აღარ მეკარებოდა. საათის წიკწიკიც მოსვენებას მიკარგავდა. ავდგები და რამეს გავაკეთებ-მეთქი, გავიფიქრე. არადა, ამ გარიჟრაჟზე რა საქმე უნდა გამომეძახა... მაინც ავდექი. სახსრების ყრუ ტკივილი ვიგრძენი, ხერხემალშიც მტეხდა. ჩავიცვი. არ მეძინება და, ჯანდაბას... ჩაიდანი გაზის ქურაზე დავდგი, აბაზანაში შევედი. ბოლო დროს შესამჩნევად შემეცვალა გარეგნობა; არც ადრე ვიყავი ბროლ-მარგალიტი, მაგრამ მაინც საგრძნობლად გამოვიცვალე. ჯერ კიდევ შარშან, ასე თუ ისე, დასავარცხნი თმა მქონდა, ვინ დამიჯერებს, უკვე ლაპლაპებს შორიდან თავი. ცხვირიც დამიგრძელდა, ეს კი სათვალის ბრალია უთუოდ. რას ვიფიქრებდი, ჩემი მზედველობის პატრონს თუ ოდესმე სათვალე დამჭირდებოდა. მახსოვს, ნიკოლოზი მემასხრებოდა, — მალე ვნახავ შენს თვალებზეც შუშაბანდებსო... რას იზამ! ონკანი დავკეტე, პირი შევიმშრალე და სამზარეულოში გავედი. ჩაიდანი შიშინებდა.

რუსლან ღონღაძე
მოთხრობები

ჩაი დავლიე, მაგიდა მოვასუფთავე, გუშინდელი ჭურჭელიც დავრეცხე და იქაურობა მივალაგე. გამახსენდა, პიჯაკზე ღილი უნდა დამეკერებინა. არა მგონია, ვინმე ჩემზე ოსტატურად აკერებდეს ღილს. ამ საქმეს აუჩქარებლად შევუდექი და როცა მოვათავე, კიდევაც ინათა. ნამდვილად საჭიროა ცოლი... ფეხსაცმელებიც გასაწმენდი მაქვს. სამი თვეა მაცვია, უფრო დიდხანსაც გამიძლებდნენ იმ ლურსმანზე არ წამომედო ფეხი, სამუშაო ოთახის შეწოსასვლელში რომ არის თავამოყოფილი. ვერა და ვერ ამოვაძრე. დავაჭედებ, ისევ ამოყოფს თავს, ჩემს მეტს არავის ენაღვლება... ფეხსაცმელი ჩემებურად გავაპრიალე, სამოსიც გავასუფთავე, გამოვეწყე.

თითქოს გუნებაზე დავდექი, კიბე სწრაფად ჩავირბინე, ქუჩაში გავედი. ღილს სუსხმა მთელ ტანში დამიარა. გადავწყვიტე, ფეხით წავსულიყავი.

წელს აღარ გადავიცლებ: ცოლი აუცილებელია. ალბათ პირველ ხანებში ცოტა გაგვიჭირდება, ანდა, რად უნდა გაგვიჭირდეს, ხელფასი მომმატებს, მაცივრის და ტელევიზორის ვალს მალე გავიტუმრებ, ჩასაცმელი და დასახური წელს მეყოფა. ცოლს რა; ერთი სამი კაბა, რამდენიმე წინდა, ფეხსაცმელი, პალტო და კიდევ რაღაც წვრილმანი... ან, იქნებ ვინ შემხვდეს? ათასი დადის ნაზი, ფაქიზი, მდიდარი... მაინცდამაინც მდიდარი რა საჭიროა, თავზე წამომაჯდება, თვითნებაც იქნება. არა, არც მდიდარი, არც ღარიბი... დასაშვებია ქერა. მაგრამ,.. ქერა არა ღირს. ქერა შორიდან მოჩანს და თითქმის ყველა მამაკაცი ქერას ნატრულობს. არა, შავგვრემანი მირჩევნია. ეგებ ცოტა ნელის გავდეს.

ქუჩის კუთხეში თეთრხალათიანი ბიჭები თორნის პურს ეზიდებოდნენ სარდაფში. კიბესთან გავჩერდი. ქვემოდან ხაშისა და ნივრის სუნი ამოდიოდა. რა ხანია, ხაში არ მიჭამია. საათზე დავიხედე, დრო ბევრი მქონდა. ჩავედი და პირველსავე მაგიდას მივუჯექი.

— რა მოგართვათ? — წამომადგა მახი ოფიციანტი.

— ხაში და ბორჯომი.

— არაყი მივიღეთ, განსაკუთრებული!

თავი გავაქნიე. არ მიყვარს ამათთან გრძელი ლაპარაკი, ხელად დაგიახლოვდებიან, მერე შენც უხერხულად გრძნობ თავს. თანაც სასმელს ვერ ვიტან, მით უმეტეს, არაყს. წელმა ისევ შემაწუხა... რამდენ ექიმთან არ ვიყავი, რა არ მირჩიეს, რა წამალი არ მასვეს, არაფერმა მიშველა. ერთხელ სამკურნალოდაც გამაგზავნეს; იქ ტალახის აბაზანები, ელექტროსხივებიც დამინიშნეს. ბოლოს ხელი ჩავიქნიე.

ხაში მომიტანეს.

— მიხელ, მიხო... — მივტრიალდი, უცებ ვერ ვიცანი.

— გუმარჯოს! — მივაძახე მეც.

— აქეთ მოდი, აქეთ...

— არა, მადლობელი ვარ... — რა მინდა მასთან. უბანში გიყის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ახლა ჩემსავით გამელოტებული, ღიპიც გაუზრდია...

— ბიჭო, მარტო კაცი ჭამაშიც ცოდოაო, ნაწყენი ხომ არა ხარ ჩემზე, ეგრე უნდა? — თავზე წამომადგა, წამომაყენა და ისე გადამკოცნა, თითქოს დაკარგული ძმადნაფიცები ეყოფილიყავით.

თეფშით, პურით და ბორჯომით გადავედი მის მაგიდაზე.

— გაიცანით, ბიჭებო, ჩემი კეთილი მეგობარი და ძველი მეზობელი, მიხო.

ყველას ხელი ჩამოვართვი.

— აბა, მიხო, როგორა ხარ, საითა ხარ, აბა მოყე,.. თან ამას მოკიდე ხელი... — ჭიქა შემაჩეჩა. — ძმებო, ეს ისეთი კაცია, ცხვირზე ბუზი რომ დაჯდეს, არ აწყენინებს!

— არა ვსვამ, გეთაყვა, ექიმებმა ამიკრძალეს... იშიასი მაქვს.

— აპ-აპ-აპ.... ეგ არ გამაგონო. როდის იყო, არაყი იშიასზე ცუდად მოქმედებდა?

ჭიქა არ დამადგმევინა.

უკანდასახევი გზა აღარ მქონდა.

— ეგრე, შე კაცო. ექიმებს რა დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერებათ, ისე წრუპავენ, ბოთლში წვეთს არა ტოვებენ!.. — გადაიხარხარა და მეორე ჩამოასხა.

არაყი არ მესიამოვნა, ხაშს შევექეცი.

— აი, ესენი ჩემი ძმაკაცები არიან, ვენაცვალე ამათ. გუშინ მაგარი საქმე გავჩარხეთ, დღეს უნდა დავასველოთ, წესია!

ლოყადაჟოჟაკა მეინახენი, სკამებზე გადაჩაჩხული უდარდელად ნებივრობდნენ, თან რატომღაც მიღიმოდნენ.

— ბიჭებო, მიხოს გაუმარჯოს; წყნარი კაცი, ოჭრო კაცი... სულ ბედნიერად გევლოს, სულ ყვავილება გეფინოს გზაზედ, მეტი რა გისურვო, ძმაო?!

გულში გავიფლე, ხომ არ დამცინის-მეთქი... სამივემ მადღეგრძელა. მადლობა გადავუხადე და დავლიე.

— ეგერ, უკვე ათი წელია ერთად აღარა ვცხოვრობთ, მაგრამ, რომ შეეხვდები, ჩემი თავი ენაცვალოს, არა, მიხო?

თავი დავუქნიე. მაინც რასი თქმა უნდოდა, ვერ გავიგე.

— ეჰ, ჩქარა მიდის, ჩემო მიხო, ეს წუთისოფელი. ის სიღონია თუ გახსოვს, ქმარი რომ მოუკლეს, მაღალი ქალი, მსხვილი ნაწნავები რომ ჰქონდა... არ გახსოვს? — ჩაბაღაცივდა.

ვუთხარი, მახსოვს-მეთქი.

— სამი დღის წინ დავასაფლავეთ... მისი მუტრუკებიც ხომ გახსოვს?... ეჰ, საცოდავი, საავადმყოფოში ისე მიიცვალა, მნახველიც არ ჰყავდა, ორივე „ზის“...

გამახსენდა ქერიები სიღონია თავისი ვაკებით უფროსი, ლოთი და შფოთი, მთელ უბანს ზარაზარებდა, უმცროსიც მის კვალს გაჰყოლია...

— ჰეე, იცით რა ქალი იყო? — განაგრძო მან. — მაგის გულისთვის ბარე ორი ბიჭი ერთშინეთს დატაკაკნა ახალგაზრდობაში. და ბოლოს ვის გაჰყვა?.. საწყალს, რაც შემეძლო ვეხმარებოდი. არა, ძმაო, სადაც არი ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენით, დავლიოთ თითოც...

აღარ ვეწინააღმდეგებოდი. არაყი თავში ამივარდა.

— ისევ იქ მუშაობ? — უეცრად მკითხა. — მე ერთხელ შემოგთავაზე ჩვენთან გადმოსვლა, ახლაც გთავაზობ.

— ხმამაღლა დაიბოლოვა და გაიჯგიმა.

— არა, კმაყოფილი ვარ.

— ღმერთმა მოგცეს, თუ კმაყოფილი ხარ, მაგას რა სჯობია. — გაიღიმა და მოტკვლეპილ თავზე ხელი გადაისვა.

კიდევ გადავკარით.

— ჩვენი მიხო ერთ გოგოს ეპრანჭებოდა... — განაგრძო ისევ. — შორიდან უთვალთვალებდა, ეპარებოდა. ჰა, მიხო, არაფერი გამოგვიგია? — თვალი ჩამიკრა და ჩაიხითხითა.

— ახალგაზრდები ვიყავით... — გავუღიმე ნაძალადევად.

— უკვე დავბერდით ვითომ? რამე რომ იყოს, ორ იმდენს კიდევ შევძლებ, შე ძველო... თორემ შენ არა? თავს ნუ მოიკატუნებ... მაშინაც არ დამიჯერე; ქალთან ახლოს უნდა მიხვიდე, სანამ სხვა მივა! — ყველა ახორხოცდა.

„მუდამ ეგეთი ყბედი და მკვეხარა იყავი. სიღონიას როგორ ექცეოდი?.. ვითომ გეცოდებოდა, ქალს უნამუსოდ არცხვენდი...“

— უნდა წავიდე...

— სად გეჩქარება, რამე გეწყინა?.. ვხუმრობ, ბიჭო, დაჯექი...

— არა, სამსახურში მაგვიანდება,.. დაგტოვებთ...

— აბა, ეგ არ გამაგონო, როგორ გეკადრება? — ჯიბიდან ხელი ამომაღებინა. — არ დამივიწყო, ხომ იცი, შენი ნახვა როგორ გამეხარდება! — გადამკოცნა და ისე წამკრა მხარზე, თავი ძლივს შევიკავე.

გამოვედი. ცალკე სიბრაზისაგან, ცალკე არყისაგან თავბრუ მეხვეოდა, სიარული მიძნელდებოდა. არადა, რას უზამ ამ გიჟს, ორი ჩემზელაა...

დერეფანში სიჩუმე სუფევდა. ჩვენი ოთახის კარს ფეხაკრეფით მივუახლოვ-

---

რუსლან ლონღაძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, ფრთხილად შევალე. შიგნით ჩვეულებრივი ხმაური იდგა; საანკარიშო მაქანებს ჩხაკჩხაკი გაპქონდათ, ქაღალდების შრიალში მოანგარიშე ქალების შეძახილები ისმოდა. განყოფილების უფროსი არ ჩანდა, კარგია, რა საჭიროა ამ მდგომარეობაში რომ მნახოს. არ მეტყობა, მაგრამ მაინც... შევედი. წინა მაგიდებიდან კაკვირვებულად შემომხედეს. ვიცი, რატომაც გაუკვირდათ — ამ ათი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ დამიგვიანებია სამსახურში. ნელმაც მოიხედა, კაკვირვებას თავისი ღიმილი მოაყოლა. ყველას უხმოდ მივესალმე და მივუჯექი ჩემს ადგილს. კოხტად ჩალაგებული თაბახები ამოვიღე, საანკარიშო გადმოვდგი, ალსარიცხი ნუსხები და კატალოგები მოვამზადე.

ესეც ასე: პროცენტების რაოდენობა... სწორია. აქედან მიღებული ოცდაჩვიდმეტი დარიცხულია... ეს უდრის, სწორია... კეთილი... აქედან? ესეც სწორია. ამათი სხვაობა უდრას ნულს... არაფი. რამდენი ხანია, არ დამილვია, თითქოს თავში ტიტვივებს... ესეც უდრის ნულს, სწორია... აქედან დარიცხულიც... სწორია. კაცი კი არა, მგელია... საცოდავი სიდონია კრავივით ჰყავდა გამოჭერილი... ან სად გაექცეოდა, უჭირდა ძლიერ... ესეც სწორია... შვილებიც არ გამოადგა, საწყალს... ვინ იყო მისი მშველელი, ვის არ უჭირდა... აქედან გამოკლებული... რაო? ნიკოლოზ, რაშია საქმე... ეს რა ციფრები ჩაგისვია?. ეს ჩავუშვით... ესეც გამოვაკლოთ, ესეც დავარიცხოთ... რა მივიღე?... შეცდომაა... ან მეშლება, ან რაღაც არ არის რიგზე... არა ვსვამ, გაიგე რაღა... გადამეკიდა! ეს ემატება... ესეც... აქაც ერიცხება, აქაც... ესეც შენი სხვაობა... შენ რაღას მიყურებ, გოგო?... მომაშტერებს თავის ეშმაკურ თვალებს და მიცინის. ერთხელაც გული რომ მომივიდეს და გკითხო: რას მიყურებ, რომ მიყურებ? — რას მეტყვი, რას მიპასუხებ?.. მაშ ასე, ჩემო ნიკოლოზ, შეცდომაა... ჩადი ახლა და არკვიე. მაგის გუნებაზე სულაც არა ვარ, გეთაყვა... ახლა მე ისეთ გუნებაზე ვარ, ნელის მოვიხმობ და ყველაფერს ვეტყვი... რას ვეტყვი? ჯერ ვკითხავ, ასეთი წერილი თითებით როგორ მუშაობ-მეთქი?... სულ ერთია, რასაც მიპასუხებს, პირდაპირ ვეტყვი: მომწონხარ-მეთქი... ო, როგორ მომწონხარ, როგორ მიყვარხარ!... „მიყვარხარ“ — არა ღირს, რატომღაც არა ღირს. ალბათ ამ სიტყვას უკიდურეს შემთხვევაში ამბობენ და მე პირდაპირ როგორ ვაჯახო?.. თუმცა, რაღას გადავდო, იქნებ უკიდურესი შემთხვევა სწორედ დღეესაა. დღეს და მხოლოდ დღეს. დღეს ან არასდროს!.. ო, როგორ მიყვარს შენი თვალები, შენი თმა, შენი კისერი... რა ბეჩავი ვარ. აი, რისი თქმაა საჭირო: უშენოდ მიჭირს, უშენოდ მომძიმს, როცა შენ ვერა გხედავ, როცა შენ არ მოდიხარ, ის დღე მკედარია ჩემთვის...

ავდექი. სათვალე მოვიხსენი, თაბახები იღლიაში ამოვიჩარე და გასასვლელისკენ გავეშართე. ნელმა შემომხედა. ნელა ჩავუარე, კარი გამოვაღე, შევჩერდი. თვალს არ მაშორებს. იგრძნო, ნუთუ იგრძნო? ალბათ გავფითრდი... ისევ მიყურებს. არა... ჯერ ქვემოთ ჩავალ, ნიკოლოზთან. მერე... თან დავმშვიდდები... მერე, მერე. ამოვალ, დავუძახებ და აქვე ვეტყვი ყველაფერს. ასე სჯობია...

კიბე ჩავირბინე. ნიკოლოზ, რომ იცოდე რას ვაპირებ, რასა ვბედავ!.. ოო, არ დაიჯერებ... ყველაფერს ვეტყვი, პირდაპირ. მომწონხარ-მეთქი, მიყვარხარ... თუ არ გუთხრა, კაცი არ ვიყო! ბოლოს და ბოლოს ერთხელ ხომ უნდა ვთქვა და ვაღიარო!.. თუ აორთოლდა, თუ გაეხარდა და მიპასუხა — მართლაო? თუ სრულებით არ გაუკვირდა? ან კი რად უნდა გაუკვირდეს?.. დიდი ხანია იგრძნო. იმ დღიდან, როცა ჩვენთან მოვიდა... და მერე... გაჩუმდა, მხოლოდ გაჩუმდა თანხმობის ნიშნად, ჩუმად აღელდა... ჩქარა ნიკოლოზთან!

ნიკოლოზი, როგორც ყოველთვის, წიგნებში თავჩარგული იჯდა და რაღა-

ცას დინჯად ანგარიშობდა. სწრაფად მიგვბრუნინე.

— ნიკოლოზ, აქ შეცდომაა.

— სადა, მიხოჯან? — სათვალეს ზემოდან ამომხედა განცვიფრებულმა.

— აი, აქ. ეგ რა ციფრებია? ამათ არ ედრება.—სწრაფად გადავფურცლე და მივუთითე.

— მოიცა, დაწყნარდი, ჩემმა მზემ, რა ელეთ-მელეთი აგიტყდა, გამარჯობა მაინც მითხარი!

— მეჩქარება, ნიკოლოზ,.. ეს შეამოწმე.

— შენ რა გულზე ხარ დღესა?.. აჰა, შეამოწმე, რადამ ეგრე გიკიდია ცეცხლი. ეს ხომ ნაღდია, დახე... ესეც ნაღდია. ეგრეა?

— ეგრეა, ეგრე... — დავუმოწმე წყნარად, თუმცა ვერაფერს ვხედავდ...

— თუ ეგრეა, „ჩავყაროთ“, ჩემო ბატონო. ეს სამას თორმეტი... აქაც ათას შვიდას ერთი, ცხვირი გასწი, ბიჭო, რას მიესუტენებ ყურთან. აქაც ხუთას თორმეტი... აქაც შენი პროცენტები.. .აქაც დავაკლოთ... გადავამრავლოთ... ეს ყველაფერი გადმოვიყვანოთ, ესეც შენი ბალანსი. სხვაობა ნული.

— როგორ?

— როგორ და ჭრელად. ეს ხომ ჩაუშვი... ესა რა, ნაკლებია?.. ესეც გადავაკვარედნინოთ... ესეც გამოვრცხოთ. რა მიიღე?.. მიხოჯან, დღეს რაღაც ვერა ხარ, ან!

— სწორია...

— მოიცა, სად გარბიხარ, ცოტა დაშელაპარაკეკ...

— მაგვიანდება... უნდა მოვრჩე.

კარებში რაღაც მომაძახა, არ მივიხედე, კიბეზე ავვარდი და წამში დერეფანში ამოვყავი თავი. კუთხეში ფანჯარას მივეყრდენი, სული მოვითქვი. რას იფიქრებს ახლა ნიკოლოზი?.. რაც უნდა, ის იფიქროს. ყელსახვევი გავიხსნერე, პერანგის ზედა ღილი შევიკარი... ღმერთო ჩემო, როგორ დატრიალდება ჩემი ბედი?... ჯერ დავწყნარდე, მერე ისე უსდა შევიდე, ვითომ აქაც არაფერი. ჩუმად დავუძახო და გამოვიყვანო... ძირს, ეზოში პატარა მწვანე მანქანა შემოვიდა, ფრთხილად გაიარა ყუთებს შორის და გაჩერდა... ერთი ეს მანქანა მომცა, ჩავსვამდი ჩემს ნელს და გავქანდებოდით აქედან სადმე შორს... ტყის პირზე, ყვავილებს შორის წამოვწვებოდით, მის მოღიმარ თვალებს მოვეფერებოდი და ჩუმად ყურში ვუამბობდი, როგორ ველოდები ყოველდღე მის გამოჩენას... მანქანაში ხის ყუთები ჩაალაგეს. ფანჯარა მოვხურე და გავემართე იქით, სადაც წყდებოდა ბედი ჩემი...

კარი შევაღე და... რამდენიმე გოგო წინა მაგიდიდან წამოფრინდა. გარშემო ყველაფერი აიყარა... ცუდად დავეცი. ძლივს მოვიკრიბე ძალა და ავდექი. აი ბედი!.. აქეთ-იქიდან ხმაჩაგუდული სიცილი მესმოდა. ძირს გაფანტული ფურცლები ავკრიფე და ჩემს ადგილისკენ წავედი... ჰმ, ნუთუ ისეკ იმ წყეულ ლუნსმანს წამოვკარი ფეხი? ნუთუ აღარ ვეტყვი... ნუთუ, დამთავრდა?.. თანაც ამ დილით დაკერებული ღილი მაინცდამაინც მის სკამთან მიგორდა. გამოდის, იღბალიც ეგეთი მქონია... ასაკინძი ფურცლები წინ დავალაგე, მალულად გავხედე. მისი თმა ირხეოდა... იცინის. ახლალა შევამჩნიე, ჩვენი განყოფილების უფროსიც აქ ყოფილა. თვალი ავარიდე. საანგარიშო გადმოვიღე, თაბახები გადავფურცლე. ციფრების ერთი მწკრივი მეორეს ცვლიდა. იცინის, ისიც იცინის! მინდოდა აქაურობას გავცლოდი, ავიწიე, მაგრამ დამძიმებული სხეული ვერ ავზიდე, თვალები მოვხუჭე და ძირს ჩავცოცდი.

— რამე შეგემთხვათ, მიხეილ?

თავი ავწიე. ჩემს წინ განყოფილების უფროსი იდგა. ვერც წამოვდექი, ვერც ხმას ვიღებდი, ენაც დამება. ისღა მოვახერხე მხრები ავიჩეჩე.

— შეუძლოდ ხომ არა ხართ?

— არა. — ძლივს ამოვღერღე.

— თანაც ერთი საათით დაგაგვიანეთ.

რუსლან ლონდარიძე
მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენისთანა სამაგალითო მუშაკისაგან, ცოტა არ იყოს, საკვირველი ამბავია. — მან ორივე ხელი მაგიდას დააყრდნო და გადმომხედა.

„ჰმ... საკვირველი ამბავია? იქნებ საკვირველი ამბავი ისაა, რომ თქვენ ჩემი უფროსი ბრძანდებით? იქნებ საკვირველი ისაა, რომ ყურადღებას არ ვაქცევ ამ „საკვირველ ამბავს“. იქნებ თქვენ ჩემოდენა საქმეს აკეთებთ აქ? თქვენ უვიცი, ყეყეჩი ბრძანდებით. ალბათ დაწინაურებას ელით, რადგან თანდათან დეზებიან მამალს ეპაგავსებით თქვენი უადგილო ყოყლოჩინობით. ახლა რომ აფეთქდები ყველაფერს საზეში რომ მოგახლიან, არაფერს არ დაემალავ, აი ეს იქნება „საკვირველი ამბავი!“

— იქნებ მიზეზი გაქვთ, იქნებ აგვიხსნათ?

შეგამჩნიე, როგორ მოტრიალდნენ ჩემსკენ თანამშრომლები, ვიგრძენი — ამიხურდა სახე...

— თქვენ გაინტერესებთ დაგვიანების მიზეზი? — ბოლო სიტყვა ხელმეორედ გავიგონე. მივხედი, ხმა ამიკანკალდა და სისულელე მოვიროშე: — დილით სიცხე მქონდა, ექიმთან ვიყავი...

გარშემო ფხუკუნ-ფხუკუნი ატყდა.

— ექიმთან? — გაიმეორა დამცინავად. — აკი არაფერი მაწუხებსო?

— წვრილმანებია. თქვენ წარმოიდგინეთ, როცა გამსინჯა, მითხრა, არაფერიაო, მაგრამ, რომელი საათია? სწორედ ამ დროისათვის ხელმეორედ დამიბარა. ჰმ, რას გაუგებ ექიმებს? ამბობენ, არაფერიაო, სინამდვილეში კი შეიძლება ისეთი რამ გჭირდეს, ხუთმა ექიმმაც ვერ გაარკვიოს. კიდევ კარგი, თქვენ შემახსენეთ, თორემ სულ გადამავწყდა. ალბათ დღეს ვეღარ მოვბრუნდები, ნიკოლოზს გადავცემ, მასალები თქვენ მოგაწოდოთ. იმედი მაქვს, ჩემზე უკეთ დამიშავებთ. ნახვამდის.

ავდექი. მის სახეზე ვერაფერი წავიკითხე, არც მაინტერესებდა. გასასვლელისკენ გავეშურე. ნელმ მზერა მომაცილა, მის ფეხთან ჩემი ღილი ვიგრძენ. ღილი. ავიღე და ნელის გავუწოდე.

— სახსოვრად... — გადმომიფრინდა ენის წვეროდან, თან ისე მეღიმებოდა, თითქოს შავგნით ვიღაც მიღიტინებდა, მაქეზებდა.

მან განცვიფრება არ დამალა, მაგრამ ღილი გამომართვა. „აღარც მიკვირს ჩემი“ — გამიკვირდა მე. კართან იატაკს დავაკვირდი, ვერც ლურსმანი შეკამჩნიე, ვერც ვერაფერი. მეკინებოდა. მოკუტრიალდი, ყველა ჩემკენ იცქირებოდა. „მშვიდობით ძმებო!“ — შევძახე გულში და გავედი.

არ ვიცი, ამ გრძნობაზე რამ დამაყენა, ასე ერთბაშად რამ გამომცალა... დერეფანში ერთი აჩემებული მელოდია მომაგონდა. წავუსტვინე, ვერ მივამსგავსე...

ნიკოლოზის დამრეცი ვეება ბეჭები ნახევარ მაგიდას ფარავდა. დამინახა თუ არა, მთელი ტანით შემოტრიალდა.

— მიხოჯან, უყურებ შენა? — მომახალა და ულვაში გადაიგრიხა. — მართლა შეცდომა ყოფილა, აი! ეს წუთია ვაპირებდი შენთან ამოსვლას.

— მე რა გითხარი? — დავუმოწმე თვალჩაკრულმა. — ხანდახან უნდა დამიჯერო, სულ შენებურად რომ სჯრი და კერავ.

— ჩემმა მზემ, ეგეთი შეცდომა კარგა ხანია არ გამპარვია.

—ეგ არაფერი, ჩემო ნიკოლოზ, ერთი ალილუია მღვდელსაც ეშლებაო, შენ ის მითხარი, დღეს თუ გცალია, ეგებ სადმე გაგვესეირნა.

— ვა, წეღან ლამის კეცზე დამსვი, ახლა ზედაც არ გინდა დახედო? ჩემმა მზემ, რაღაც ამბავია, აი!..

— შენ ის მიპასუხე, რასაც გეკითხები.

— მაგაზე გაწყენინებ, შენი ხმალი— ჩემი კისერი. მაგრამ წეღან რომ გავარდი რეტდასხმულივით და ორი სიტყვის თქმა არ მაცალე, ახლა მაინც მადროვე... მიხოჯან, ისეთ რამეს წავაწყდი, ისეთი მშვენიერი ალაგი ვნახე, სწორედ იქ მინდა გაგასეირნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ფანაგისი ჩიბუხი დააძრო და თამბაქოს ტაბაკნას შეუდგა. მივხედი, გრძელი ამბის მოყოლა უნდოდა და საამისოდ განწყობილების შექმნას ამირებდა.

— რას წავაწყდიო, რას მივაგენიო, რას მიედ-მოედები? — არა მცალოდა სამაგისოდ.

— მაცალე, შე ოხერ-ტიალო, ყალიონი დავტენო... ჰეე, ისეთი ადგილია, სწორედ შენთვინა მაქვს შემონახული. იცი, როგორ გინატრე, მიხოჯან... იქ მასლაათს რა სჯობია, ერთი-ორი ბოთლი ღვინითა...

— სადა, ჩემო ნიკოლოზ? — საათს გავხედე, წესით „ექიმთან უნდა ვიყო“.

— სადა და... — ჩიბუხს მოუკიდა და გააბოლა. — გუშინწინ ჩემი ზოზო გადმეკიდა, გინდა თუ არა, სადმე ქალაქკარეთ წამიყვანეო, გადამჭამა რაღა. რძალმაც აიჩემა, არაფერი გიჭირსო, სუფთა ჰაერზე გახვალთო, თან ცოცხალ ყვავილებსაც მოგვიკრეფთო, მაშ, ყვავილებიც მოინდომა. ოღონდ ბავშვი ვინმეს ხელში შეაჩეჩოს, მეტი ჯავრი არცა აქვს.

— ნიკოლოზ, ეგ ხომ ვიცი, თავიდან მიყვები? — თან გავიფიქრე; „დღეს რა, ყვავილების დღეა?“

— რა იცი, ბიჭო? — მან ცალი წარბი ასწია და ვითომ გაბრაზებით ბოლი ჩემკენ გამოუშვა. — მოკლედ, ჩავსხედით ავტობუსში და როგორც გავცდით ქალაქს, ჩამოვედით. აი, სად არის გაზაფხული; აქეთ მწვანე მდელო, იქით მდინარე, უკან მთები...

„არადა, რა სისულელეს ვამპირებდი. ჰმ, სიყვარულის ახსნა არ მოვინდომე? კიდევ კარგი, გავიშლარითე და ვონს მოვედი. ჰმ, სიყვარული. სად არის სიყვარული?... ვის უნდა შენი სიყვარული?.. სიცილისგან ლამის გასკდა გოგო. ალბათ ყოველდღე გულში დამცინოდა.. არა უშავს, სამაგიეროდ აწი მეც მზად დავხვდები ყველას. სიცილი მეც შემიძლია.... ასეა, ჩემო ნიკოლოზ; ცხოვრება რთულია. ზოგ რამეს სიბერეშიც სწავლობს ადამიანი. გესმის, ნიკოლოზ!.. რომ გაკეკნებ ხანდახან და აღარ იცი, სად გაჩერდე. ხან ჯაჯღანებ ოჯახზე, ხან გინდა წყალს გაატანო, ხან სიხარულის ცრემლები გცვივა. შეეშვი მაგ შენს რძალსა და შვილს თვითონ გაიკვლევენ გზას“.

— ჰოდა...— მხარზე წამარტყა ხელი. — თურმე სადა ვზიარ? ედემში, სამოთხეში, მე და ჩემმა ღმერთმა. ვაა, ეგეთი ალაგი, კალმით აღწერელი... არა, ამის მოყოლა არ შეიძლება, ერთადერთი უნდა ნახო, თვალი თვითონ გეტყვის. გინდა, დღესვე წავიდეთ, თან ცოტა ღვინოც წავიღოთ...

— დღესვე?

— მაშ!... შენ არა თქვი, გავისეირნოთო?

— ჰო, მაგრამ... ახლა გამახსენდა, რომ საქმე მაქვს. თანაც დღეს ექიმმა დამიბარა. გინდა, ხვალ მოვილაპარაკოთ...

— ექიმმა? ისევ წელმა შეგაწუხა?

—ჰო, რა, ხან წელი, ხან თავი, ხომ იცი, კაცი რომ მოფამფალდება ყველაფერი შეაწუხებს... ლამის გადამავიწყოდა; ეს მასალები ჩვენს უფროსს აუტანე, უჩემოდ დაამუშავებს.. წავედი, ნახვამდის.

—როგორც მეტყვი, მიხოჯან... ისე, ნუ გეშინია, პირველად ხომ არ გეტკინა...

„მე ნუ მაწყნარებ, ნიკოლოზ. შენს თავს მიხედე...“

დერეფანში უცებ ვულმა გამკრა; „გამოდის, ნიკოლოზიც მოვატყუე?“.. მივდიოდი, თან აპრილებულ მინებს მზერას ვაყოლებდი, რომლებზედაც ზოგჯერ ჩემი „უტყუარი“ გამოსახულება გაიელვებდა...

რუსლან ღონღაძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მერცხლები

სარკეში საანით გაქაფული სახე გამოჩნდა, მას მოჰყვა ხელი, რომლის თითები ჯაგრისს უსვამდა ოდნავ ჩაზნექილ ყბებს. თვალები მზერას ადევნებდნენ ჯაგრისის ბლანტ მოძრაობას, დროდადრო საკუთარ გამოსახულებებს აკვერდებოდნენ და ისევ ჩუმი საუბარი გრძელდებოდა მათ შორის.

— სად მიდიხარ?

Sახე ათრთოლდა, ეტყობა, მუხლი მოედო მაგიდას.

— არსად...

Sარკეში სამართებელმა იელვა და ირიბად ასრიალდა.

— საცოლე ბიჭია უკვე ჩემი ვაქკაცი. ეჰ, დროც ერჩის და ხანიც უწერსო, შენ?ხეა ახლა ზედაკამჩრილი...

— რომელი საათია?

— შვიდი. სად მიდიხარ მაინც, არ მეტყვი?

— რა გინდა, დედა?

— განა რა უნდა მინდოდეს, შვილო... ქალი გავიდა.

თვალები ისევ ერთმანეთს შეაშტერდნენ, სამართებელიც გაჩერდა, თითქოს ლოყას მიეყინაო.

თითქმის მოათავა პარსვა, როცა დედამისი შემობრუნდა სველი პირსახოცით ხელში.

— აჰა, შვილო, ცოტა ცხელი მომიკიდა... ხომ არ დაავგიანებ, გენაცვალოს დედა...

უხმოდ მიტრიალდა. კუშტად ჩაეღიმა. Sარკიდან მისი სახე და ნიკაპთან მოალერსე დედის ხელი მოჩანდა.

●

ქუჩაში გავიდა, უმიზნოდ დახედა საათს და ტროლეიბუსების გაჩერებისკენ გაემართა. გაჩერებასთან შეყოვნდა, უნებურად ჯიბეები მოიფათურა, ხუთება ამოყარა, მოუსვენრად აიჩხარუნა, ხელი ისევ ჯიბეს დაუბრუნა. ერთხანს უძრავად იდგა, გზის გადაღმა ბრჭყვიალა რეკლამას შეჰყურებდა, შემდეგ მზერა ბინდში გახვეულ ქუჩას გააყოლა და ზანტად დაიძრა.

ერთბაშად ნეონის ლამპიონებმა იფეთქეს, მერე წამიერად ჩაქრნენ; მას მოჰყვა ისევ ანთება-აფეთქება და ბოლოს თეთრი, ოდნავ მოყვითალო ფერის შუქი გაცივებულ ქუჩას დაეფინა.

წინ გოგოს სილუეტმა გადაირბინა. თვალი გააყოლა. მოპირდაპირე მხარეს ბიჭის სილუეტი შენიშნა. რამდენიმე მანქანამ ზედიზედ ჩაიქროლა, ტროლეიბუსმაც ჩაიზოზინა და სილუეტები თვალთახედვიდან გაუქრა. შეჩერდა. ქუჩის კუთხეში ტელეფონის ჯიხურს გახედა. ხანმოკლე ყოყმანის მერე გეზი ჯიხურისკენ აიღო. შიგ ვიღაც იდგა. მომლოდინე აქეთ-იქით აბოტბოტდა. ქალი ხმამაღლა ლაპარაკობდა, ზოგჯერ ფრაზები გარეთაც ისმოდა. სიგარეტი ამოიღო.

— ბოდიში, ასანთი ხომ არ გექნებათ? — ნაუცბადევად გადაუდგა გამვლელს.

იმან არც შეხედა, თავი გააქნია და იჩქარეად გვერდი აუარა.

„...აი, ხომ ხედავ?... ხომ გეუბნებოდი, ხომ გაფრთხილებდი!...“ — ისმოდა ჯიხურიდან.

დასველებული სიგარეტი ურნაში მოისროლა, მეორე ამოიღო.

„...გახსოვს, გეუბნებოდი... არ დამიჯერე. ახლა მაინც დამიგდე ყური. ჯერ გვიან არ არის!...“

— მომიკიდეთ, თუ შეიძლება...

ფართოლაბადიანი კაცი მოტრიალდა და მუნდშტუკიანი ხელი უმალ გაუწოდა. მან ნერვიულად მოქაჩა, სიგარეტს ცეცხლი არ ედებოდა.

— ვინმე მოგდევს, ბიძაკო? — ჩახლეჩილ ხმას ღვინის ოხშივარი ამოაყოლა და გაიღიმა. — ა, თურმე რა ეჩქარება! — გაიხედა ჯიხურისკენ, როცა ქალის ხმა მოესმა. — რა განაღვლებს, ბიჭი! გვრიტი გალიაში გყოლია მომწყენეული და სად გაგექცევა? — ჩაიხით-

ხითა თვალმოჭუტულმა, რა შენინშნა მოსაუბრე ხმას არ იღებდა, უცვნ ქუდი მოიხადა, ქალვები გაშალა. — რამე ხომ არ გაწყენინე, ბიძაკო?... არა?... აბა, მიდი და მისცხე, მეტი რა შეგრჩება!... — ქუდი ჩამოიფხატა და ბარბაცით გააგრძელა გზა.

„...ჭირიმე, მე რა შუაში ვარ, არა გრცხვენია?“

ჯიბის წიგნაკი ამოიღო, გადაფურცლა, მალეევ მოკეცა.

„...ეს კი, უკვე მეტისმეტია... რა თქვი?.. კი ბატონო... ახლავე ამოვალ!“

ქალი მკვირცხლად გამოვიდა, ამაყად გახედა მას და ქვექვეით გადასერა ქუჩა. შეევიდა, ორკაბიანი ჩაუშვა, ნომერი აკრიფა. ბოლო ციფრი სანახევროდ დაატრიალა, შედგა. „არა, არა...“ — წყრომით წარმოთქვა. მინებჩამსხვრეული ჯიხურის კარი ჭრიალით გაიღო. „არა“. — გაიმეორა მან და ყურმილი ჩამოკიდა. უკვე ღამდებოდა...

●

— გამარჯობათ, ყველა აქა ხართ?...

— გაუმარჯოს!..

— გაუ!.. მერე, მერე...

— მერე,... მივედი, ვკითხე, რატომ-თქო, რისთვის, რა დავშავე ასეთი-თქო?.. თუ იცით, რა მიპასუხა?.. მეკასები და იმიტომო!

ყველა ახარხარდა, შემდეგ ახალმოსულს მიხედეს.

— სად დაიკარგე, ბიჭო?

— ჰა, გამოგიჭირეს?..

— მორჩით ბაზარს, რა არი ახალი?

— რა უნდა იყოს, არაფერია...

— ვარიანტზე ვფიქრობთ წასვლას, ამის მეზობელთან, დაბადების დღე აქვს, შენც ხომ იცნობ.

— გვეზარება რაღაც...

— მახლაზ, ეგეც ჩვენ ავაგდოთ რამე... მე ხუთი მაქვს...

— მეც სამი...

— მეც მიჭყავის მანეთიანი...

— ჯანდაბა თქვენს თავს, კონიაკი და ოცი ხინკალი ჩემზე იყოს.

— ვაჰ, ცოტა ადრე მოსულიყავი, შეკაი დედამიშვილო. მაშ, გვიბაიარაძია და ეგ არი. აი, ტროლეიბუსიც!..

ოთხივე ახლადდაძრულ ტროლეიბუსისკენ გაქანდა.

— რა ამბავია?! ყველა როგორ ახტება ამ მანქანას?

— გვეჩქარება, დედიჯან, მა რა ვქნათ?

— ბილეთები აიღეთ... ეჩქარებათ.

— მერე, დედიჯან... ჩვენზე იყოს. — იხუმრა ერთ-ერთმა.

— ბილეთები აიღეთ! — წამოიყვირა კონდუქტორმა და დაძარღვულ-დაკოჟრილი, მოკლეთითებიანი ხელი გამოაწვდინა.

●

პატარა მაგიდას მისხდომოდნენ, ხინკალს ელოდებოდნენ, როცა ერთმა მათგანმა ამხანაგი დაინახა და სუფრასთან მოიპატიჟა. იმანაც არაყი წამოიყოლა.

მაგიდაზე ორი არაყი, ერთი კონიაკი და რამდენიმე ლუდის ბოთლი იდგა უამრავ ჭიქებს შორის. შუაში, მოგრძო საინზე ლულა-ქაბაბი იდო, თხელი ლავაშის პურებით გადახურული.

— იცნობ, ვინ არის?

— იმის ძმაკაცია, მგონი მხატვარია...

— აბა, მაცალეთ ჩამოვასხა... არაყს მარტო თქვენა სვამთ, გაკეთებულხართ და ეგ არი. აბა, ამ ჭიქით ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენ თავშეყრას!..

— გაუმარჯოს!..

ყველამ გადაკრა, გარდა იმ ახალმოსულისა.

— ძმებო, სად გვეჩქარება?... ეს დღეც ხომ ჩვენზედ კუთვნილი წუთისაა!..

უნდოდ გახედეს. ზოგს გაეღიმა.

— აბა, ბიჭებო, ხინკალი... სანამ ცხელია!

რუსლან ლონღაძე
მოთხრობები

— ეშხის რამეა, აი!

— პირი გასწი, მეც არ მომაყოლო... შენ რად არ ეკარები?

— მეზარება, რაღაც...

— იუზარო, აქ სიზარმაცე არ გამოგადგება. მოკლედ, ისევ ღვინოზე უნდა გადავერთო, ამ ბოლოს არაყი აღარ მათრობს...

— ხინკალი გემრიელია დღეს...

— გეჩვენება!..

— რა განსხვავებაა?.. მე იმას ვდარდობ, დასათრობი ორგანო ხომ არ გამომეთიშა-მეთქი...

— მე კი იმას ვამბობ, ყველაფერი მოჩვენებითია-მეთქი...

— დაასხი, რას აწვალე, აფთიაქია?..

— არა, მართლა გემრიელია.

— სხვა გზა არა გაქვთ და — გემრიელია!..

— მოჩვენებითი კი არა, ყველაფერი შედარებითია. აი, მაგალითად, დღევანდელი დღე გუშინდელზე უფრო მოძწონს... მოდი, ამ ქვეყანაზე, ყველა კაი კაცს გაუმარჯოს.

— ვისთვის — კარგი, ვისთვის — ცუდი... მთავარია, ზედაპირი, გარეგნობა, არა?

— ვაჰ, როგორც გინდა, ისე გაუმარჯოს, ეჰა!

— ჩქარა, თორე ეს იმასაც დაამტკიცებს დღეს, კარგი კაცი აღარ არისო.

— არ იცი, რო?... სანთელ-სანთელ არის საძებარი...

— შეეშვით, რაც უნდა ის ამტკიცოს, ორი ჭიქის მერე მზად იქნება.

— კარგი, ჰო, შენც დიდი დასაორობი ორგანო მყევხარ, ძილისპირულს რომ გააჩაღებ, იმასაცა ვნახავთ.

— შენოდენს, ჭუკო, ცალ ყურში ჩავისხავ, როცა ხოში მექნება.

— მორჩით ახლა, თორემ ჩავაშხამებთ!... ამას რაღა მოსდის, ხმასაც არ იღებს...

— რა უნდა მომდიოდეს?... დავლოთ....

— აბა, ერთიც შევუბეროთ!.. ამ ჭიქით ტურფებს გაუმარჯოს!.. რას იტყვი, ჩვენს შორის შენა გყავს მხოლოდ...

— რას მატრაბაზობ, ვითომდაც არ გყოლია...

— მე, სტაკი მაქვს მხედველობაში. ჩემზე რომ იყოს, ქების სიგელით დაგაჯილდოვებდი — გამძლეობისათვის!

— იქნებ მალე ქორწილიც ვჭამოთ!

— ვიეები ხომ არა ხართ; ოჯახობანა რა ჩემი საქმეა. მერედა, ვინ არჩენს, ნორმალურად ვერ დავმთვრალვარ, შენ, ჩემი ძმაო ჯალაბობა გაყავს?

— კარგა ხანია ვიგემე უღელი, ბავშვიცა მყავს.

— ვაჰ, სულ დამავიწყდა. გაიცანით, ჩემი ძმაკაცია...

ყველამ თავი დაუკრა.

— მაშ, შეესვათ. ჩვენი გაცნობისა, ძმებო.

— შენი თავი ნუ მომიშალოს ღმერთმა. ბიჭებო ეს ისეთი ჯიგარია: აი, რომ გაიცნობთ...

— დაიცა, ჰო, რა დროს ეგ არის... ყველას გაგვიმარჯოს...

— ავა-ნოოთ... ქუუ-ჩის... ფაა-რნეები... ჰარი... ჰაა-რა-ლეეე...

— ცხოვრებაში ბევრი რამ ვერ გამიგია; კაცს არც სმენა აქვს, არც ხმა და მღერის. იმღერე-იმღერე, დაგენაცვლოს მამიკო. — უცებ მეორეს მიუბრუნდა, — ჰო, მართლა, იმ საქმისა რა ჰქენი, ბიჭო?

— რომელი?... — შეხედა ეჭვის თვალით.

— როგორ რომელი?... რომ დაგიბარეს, შენი წაწევა რომ უნდოდათ!

— ჯერ არაფერი. ვფიქრობ...

— ვაა, შენ რა მაზალო კლიენტი ხარ... მერე, რაღას ფიქრობ, რაღას უდგეხარ?... მიაწექი, ბიჭო, მიაწექი...

— აკი, თვითონ ამბობ: ყველაფერი მოჩვენებითიაო? — გაუღიმა ნაძალადევად.

— ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა... ეგ ხომ იცი, იმ საქმეზე უკვე მივდიეარ მალე.

— ვიცი. მერე, აღარ გაწყობს?

— მე კი მაწყობს, ჩემი ძმაო, მაგრამ...

— რა, მაგრამ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს... როგორ დავტოვო,... რვა თვით.

— შენც ადექი და თან წაიყვანე.

— ჰმ, კარგი რჩევაა. თითოც დავლიოთ...

— ...დროც... გა-ვა-ტა-როოთ... ლხი-ნი-თა... ჰარი... ჰა-რა-ლეეე...

— რაო, ახალი გაკეთე რამე?

— რა უნდა გავაკეთო, ბიჭო, ყველაფერი დიდი ხანია გაკეთებულია.

— ყველაფერი, ვითომ?

— წარმოიდგინე, ჩემი ძმაო, ვეღარ წავიყვან თან...

— რატომ, რა მოხდა?

— რა ვიცი, აბა, რა ვიცი...

— მე რას ვხატავ, თანაც ახალს? ახალს კი არა — არაფერს!

— თავს ნუ იკატუნებ...

— ავა-ა-ვსოო-ო-თ... ღვი-ი-ნით... თაა-აა-სეები... ჰა-აა-რაა-ლეეე... ჩვეეე-ნაც... შე-ვაა-ვსოთ... ჭიი-ქეე-ბი... ნუ... გაიჩმახეთ!

— დალიე, არავინ გიშლის, დალიე, მე უკვე მთვრალი ვარ... აზრზეც ვერ მოხვალ, რაც მოხდა...

— ის პორტრეტი ხომ გამოგვიდა?

— რომელი, თეთრებში?

— ჰო...

— სიაბანდიაა...წმინდა წყლის სიაბანდია... ეუჰ, ახლა ზორბად ჩავიდა... სიაბანდია, თურმე რასაც სიაბანდს ვაკეთებ, მოგწონთ, როცა ნაღდსა ვდებ — არა!

— მე კი მომწონს და...

— შენ მოგწონს, ჰმ. გესმის და...

— შენ ხომ მოგწონს, ჩემო ძმაო, შენი დაქალია, არა?

— ჰო, კარგი გოგოა.

—ჰმ, კარგი ჩიტია.

— რას ამბობ?

— რაც გესმის, ერთიც დავურტყაო.. ასეა, შორიდან. ყველანი კარგები ვჩანვართ, მოჩვენებითა.

— იმღერეთ, რაღაა... მე... არ... გავალ... ქუუ-ჩა-ში-ააა...

— ნაღდი არავის არ უნდა. აი, შეთითხნილ-შეფერილდებული და მორთულ-მოკაზმული — დიდი სიამოვნებით... ბაბაია, შენი ნაღდი ვის უნდა, ვის?.. კონიაკი უნდა გაათბო და ნელა მოწრუპო, აი, ასე...

— მაგრა ახურებ, აი!..

— კი არ უნდა გაახურო, უნდა შეათბო... და თუ გაახურე, არც არავინ დაგიჯერებს... მაშ.

— ამასწინ... შენ გეუბნები მხოლოდ, ამასწინ ვნახე ერთ ტიპთან... ხავერაზე...

— როგორ?...

— როგორ და ჭრელად. მოკლედ, ძაან-ძაან შემთხვევით წავაწყდი და, ჩავავლე. თან იმ ტიპს რომ არ ვიცნობდე... ეეჰ. შარშან ეჭვიც არ შემპარვია... ახლა კი საერთოდ, საერთოდ ყველაფერი გამოვარკვე, ასე ვთქვათ: გამოვამზეურე და, მაგრადაც ვქენ...

— რა იყო, რა მოგვიდათ, ყველა თავისთვის მოტყდით?... თუ სმა აღარ გინდათ, თქვით და მეც წავკეტავ... ჰა, დავლიოთ!

— კარგი, თავი ნუ აგვატკივ, დავლიოთ, დავლიოთ...

— აპატიე?.. — შეცბუნებულმა, ძლივგასაგონად ჰკითხა.

— რა ვიცი, ვაპატიე თუ არა... — მიაყოლა ნაჩქარევად, მერე ჭიქას დაავლო ხელი, გადაკრა. — ეს კი ვიცი, — მოისვა მუშტი ტუჩებზე, — ცოლად აღარ მოვიყვან.

— რა გაჯანღლეთ ბოლოს და ბოლოს, ამყევით, რაღაა...

— დროც... გაავა-ტაა-როოთ... ლხინიი-თა...

— ჰარი... ჰაა-რაა-ლეეე. — გააგრძელა ყველამ.

— აბა, ბიჭებო, გეყოფათ, უკვე იკეტება! — მოისმა დახლიდან.

— ჯერ აღრეა, ბიძაჯან...

— ადექით-მეთქი, სიმღერა აქ არ შეიძლება...

ყველა დახლისკენ შეტრიალდა. გაბიყვინებული, მსხვილკისრიანი დახლიდარი ზურგით იდგა და ფუულს ითვლი-

---

და. თეთრ პერანგზე ოფლის მსხვილ ლაქებს გამოეკონა.

●

გარეთ გამოვიდნენ. ერთის მაგივრად ახლა სამი მღეროდა.

— მე წავედი...

— გვეთესები? მაიცა, სად გეჩქარება.

— მაგვიანდება... ნახვამდის...

— არ დაიკარგო... კარგად იყავი...

ქუჩა ჩაბნელებულიყო. მან პირველივე მოსახვევში გადაუხვია და ნაბიჯი შეანელა. ჰაერში გზაფხულის სურნელი ტრიალებდა, მაგრამ ჯერ ისევ ცივი. სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა. „როგორ ვკითხე... ამატიე-მეთქი?.. მე თვითონ?..“ — ჩურჩულით ჰკითხა საკუთარ თავს და ხარბად გაბოღა. ქუჩა საგრძნობლად ვიწროდებოდა. რამდენიმე სადარბაზოდან შექის სვეტი იჭრებოდა ქვაფენილზე. ნაბიჯს უმატა და როცა იგრძნო, ალმართი იწყებოდა, ისევ შეყოვნდა. „მერე?... რაღას ფიქრობ რაღას უდგეხარ. მიაწექი, ბიჭო, მიაწექი!..“ ნიავი უბერავდა, სიჩუმეს მხოლოდ ტოტების ტკაცანი არღვევდა. ფანჯრებმოცვარული, ერთმანეთზე წამომჯდარი ყიმატი სახლები საღღაც ზემოთ, მოჯანღული მწუხრში იფანტებოდნენ. იქვე, ჩათეთქილ კედელს აეტეზა, თავი ჩახარა. „პირდაპირ უნდა გითხრა, გეთაყვა. შენი ეს გამაღიზიანებელი „ახსნა-განმარტებანი“ ყოველგვარ რეალობას მოკლებულია. მე შენზე ათასჯერ გამოცდილს და ბევრად უფროსს, ამგვარი შესაძლებლობა მოგვიანებით მომეცა. ჰმ, ყმაწვილო: ცხოვრება მხატვრული სიტყვის საღამო არ გეგონოს!.. დაუფიქრდი, კარგად დაუფიქრდი და მერე მიპასუხე. უარს ყოველთვის მოასწრო?...“ კედელს მოშორდა, არ გაუვლია ორიოდ ნაბიჯი, გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. მიმოიხედა. უნებლიეთ მხარი იცვალა, გადაუხვია. სულ მალე თავდაღმართი იგრძნო. მის წინ ჩაკეტილი ლიფლიფა სივრცე გაიხსნა. აქა-იქ მბეჟუტავი ნათურები ირხეოდნენ. დაბლა კი აციალებული სანაპირო დაგრეხილიყო. თავქვე დაეშვა. დაღმართი ნაბიჯნაბიჯ ვაკდებოდა. „...ბიჭო, შენ ისე მელაპარაკები, თითქოს მე არ ვიცოდე.. მეტსაც გეტყვი; ეგ — რასაც გულისხმობ, რასაც ამბობ, ყველამ იცის. მაგრამ, ცოდნა, მოგეხსენება, პირობითი მცნებაა. როცა ნაღდად შეეჯახები ცხოვრებას და იგი თავის მარწუხებში მოგაქცევს, ეგ „ფილოსოფია“ გვერდზე დაგრჩება. ჰაი, ჰაი, ბეგრი რამ შეიცვლის სახეს, ბეგრი რამ და... მერე გვიან არ იყოს. მიდი, მიდი, მიხედე მაგ საქმეს, ხელიდან არ გაუშვა!..“ ანაზდად სანაპიროზე აღმოჩნდა. იქაურობა ისე კაშკაშებდა, ასფალტზე კენჭის შეგრნევაც შეიძლებოდა. მოაჯირს მიუახლოვდა; უნიათოდ ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო. „...მე, რა?... როგორც შენი ახლობელი და კარგის მსურველი — შენზე ვფიქრობ. ნამდვილად. რაა სულ ასე დარონინობ, რაცხა გაქვს თავში — ვერ ამეიგდე!.. გეიხედ-გამეიხედე, შეხედე რა ცხოვრებაა; დღეს და გადმოდღეს ყოვლიფერი... შენ კი?.. ვისზე ხარ ნაკლები, ან გაკლია რამე, თუ?... ასთეა, ყველა და ყოვლიფერი ხელს გიწყობს, არა, თუ?.. ჰი, ასე მზამზარეულს ჩვენ დროში ვინ მოგართმევდა, ბატონო, ოფლით და წვალებით ვიკვლევდით გზას.. გამოფიზზლდი, გამოფხიზლდი, ბიძია, გაახლე თვალები, გეიხარე და ჩვენც გაგვახარე, აპა?!“.

მოაჯირიდან ჩამოხტა, სანაპიროს კიბე ჩაიარა და წყალთან ჩაცუცქდა. წყალი მდორედ მოდუდუნებდა. კოლოფები, ქაღალდის ნაფლეთები, ნაფოტები, ყვავფერი წყალს მიყვებოდა. ისევ მოუკიდა, წყალს დაუშტერდა. ასანთის ღერმა ჯერ მარცხენა ლოყაზე გადაიარა, მერე ცხვირზე, შემდეგ მარჯვენა თვალთან ატრიალდა და გზა განაგრძო. „...მომავალზე უნდა იზრუნო, შვილო. დრო მიდის და არაფერი გრჩება ადამიანს ხელთ. უარს ამბობ, რისთვის?.. შენი „იდეალები“ არ შეურაცხყო?... ანდა, რა გინდა მაინც, რისკენ მიილტვი?.. გავიწყდება, რომ უკვე ბავშვი აღარა ხარ, რაღა დროს შენი ილუზიები და ოცნებებია... გაუფრთხილდი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიყენე ეს დრო, ეს ჟამი. გეძლეცა შესაძლებლობა მყარად დადე, კაცად იგრძნო თავი, შენ კიდე ჰაერს ეპოტინები, ცაში დაფრინავ... აბა, ერთი შენს ამხანაგებს დამიხედე, რომელი იტყოდა უარს, რომელი არ ინატრებდა ამგვარ შემთხვევას. მერე!... მერე მოიცლი შენი ფანტაზიებისთვის..." წამოდგა, ზედიზედ ძლიერად მოქაჩა, სიგარეტს დააცქერდა. გაღვიძებული ნამწვავი ხაფად ღერს ეხვეოდა და გზად თითქოს თავის დაფერფლილ სამყაროს ტოვებდა. „...დედიკო, დედა, დაუჯერე მამაშენს, დაუჯერე... ხომ იცი, რამდენი ჭირ-ვარამი გადაუტანია. უფროსებს მეტი გამოცდილება აქვთ, მეტად იცნობენ ცხოვრებას... უნდა დაუთმო, შვილო, მომავალი გიჩვენებს მის სისწორეს.. მერმედ, ჩვენც ადარ ვიქნებით... დაუთმე, დაუთმე..." კიბე ღონემიხდილად აიარა და იქვე, ახლად შეფოთლილ ხესთან მილასლასდა. ხურგით მიებჯინა. თვალები მოხუჭა. ალბათ დიდხანს იქნებოდა ამ მდგომარეობაში, წვიმას რომ არ შეეწუხებინა. რამდენიმე წვეთი სახეზეც დაეცა და გამოფხიზლდა. გამოფხიზლებისთანავე მუხლებში მოიკეცა. წვიმამ უეცრად გადაიღო, ასფალტზე კამკამა გუბეები დატოვა. ერთი ორჯერ ღრმად ჩაისუნთქა, დანამული სახე მოისრისა და აუჩქარებლად გასწია. წინ, მკრთალად გაღვივებულ სილურჯის ფონზე, ვეება თაღოვანი ხიდი იკვეთებოდა...

ირგვლივ, ყველაფერი მარადიული სიჩუმით გაყღენთილიყო. ხიდიდან გაჰყურებდა გაყუჩებულ გარემოს... შორს, უსწორმასწოროდ ამობურცულ კეხს უკვე ფარფატა ნათელი ეკიდებოდა, სითეთრე თანდათან ჰაერსა და ცას ეპარებოდა, ბნელში გახვეულ სახლებსა და ხეებს ეხვეოდა, აკლაკნილ-დაკლაკნილ ქუჩებში იჭრებოდა, დაბოლოს, ქალაქს მშობიარე ქალის ფერი დაედო.

— ...გწამს... უნდა იყო... არ დათმო... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ, წარმოთქვა აზართებულმა და გაირინდა.

არემარე ცოცხლდებოდა. ჯერ ხეებზე დახუნძლული ბეღურები აყივყივდნენ. მათ ხმას ლაღად მონავარდე მერცხლების ჭრიამული დაერთო. მალე ადამიანებიც გამოჩნდნენ...

გაჩერებასთან ბევრი ხალხი იდგა... ხალხში შეერია. მოქანცული სახე დამშვიდებოდა. მერე ტროლეიბუსიც ჩამოდგა და ყველა კარებს მიაწყდა. შიგ ტევა არ იყო. მგზავრები ნამძინარევი სახეებით ერთმანეთს ეყრდნობოდნენ. მანქანა მონოტონურად ზუზუნებდა, ერთი სიჩქარით მიდიოდა. მხოლოდ გაჩერებისას, ან დაძვრისას ადამიანები ინერციით ერთიმეორეს ეხლებოდნენ და ეს დაჯახება ტალღასავით ყველაზე გადადიოდა. შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდებოდა. ამ სიჩუმეს მხოლოდ კონდუქტორის ხრინწიანი ხმა არღვევდა.

— ბილეთები აიღეთ!... ბილეთი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ თაობანი

ალექსანდრე ტვარდოვსკი

მღაპრული ქვეყანა

თავი 15

ყოველ ნანატრ საქმეთაგან
ის ეტრფოდა პურის ცეხვას,
სცნობდა, — ვინ და სად ცეხვავდა,
რომ დაეგდო ყური ერთ ხანს.

მღვდლებს და მდიდრებს ხალხი ბღომად,
დუქინობით ყავდათ რიგში,
წცეხველები შეწყობილად
პურს ცეხვავდნენ ანგარიშით.

მათ კალოზე მაშინ, თითქოს
მარშით ვლიდა ჯარის პოლკი.

თავის კალოს შლიდა თვითონ
ცოლთან ერთად მარგუნოკი.

პურს დილამდე საცეხველით,
ხელის გაუშლელად სცემდა
და ხეიბრის ნაღველ-სევდით
აღვსილ კოჭლ ხმას გამოსცემდა...

თან ტკბებოდა მარგუნოკი,
დაკიდებდა თბილ კეტს, იჯდა,
მთელ დღეს ნაცემ-ნაბეგვ ხორბალს
შეაყრიდა ნიავს დინჯად.

ჩური ნიავს — გვიანმავალს —
მუჭა-მუჭა შეაყარე.
როს კალოზე პირნამგალა
ოქროსფერი წვება მთვარე.

მიაყრიდა მას დილამდე
დიდძალ ხორბალს, მრავალ ფორანს
და ღამის ცა ნამლევ მთვარეს
დიდს გაზრდიდა, როგორც გორას.

ყური კალოს ხმაურს მოკრა,
ხმას მისდია მარგუნოკმა.

ფეხქვეშ მიწას აზანზარებს,
ძრავს ხმაური, ზრინვა, ბუკი
და ტრაქტორის საჭეს მარჯვედ
უჩის ისევ ის ჭაბუკი.

მგზავრს თვალს უვსებს
მტვერი, კვამლი,
ყურებს ყველა ხმა შთაუნთქავს,
მგზავრს ვერ უთქვამს ვერც სალამი,
ვერც ნაბიჯი გადაუდგამს.

მსუბუქ ბზეს და სუფთა თაველს
ხორბლის სეტყვა დასცემია.
-- ჰე, პიჯაკი გაიხადე,
ძმაო, აქ მი... რად გრცხვენია!

— მომე! — იხდის ტანთ ნიკიტა
და ხელს ორკაპს სტაცებს მყისვე,
ტვირთს წაათრევს. რაც იტვირთა,
მიცნობდეთო! — მათ უმტკიცებს.

— ჰო, მე!... ღმერთო შემეწიე,
ღმერთო, დამიფარო იქნებ!..

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 7, 8, 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხარ — სთიე, ტვირთი სწვე,
მითხარ — ჯირკი ამოძირკვე.
არ ვარ ავი, არც ზარმაცი
არც ყველაზე ზარალაცი...

მარგუნოკი მარჯვედ ხვეტავს,
ტვირთს ორკაპზე ჩხვერავს უცებ...
ქშენავს, ხვნეშის, ჭენჭეხდება
და ბეჭებქვეშ ჩხვლეტას უწყებს.

ნამჯის ზვინებს რა გაზიდავს!..
მაგრამ მოდის მასთან უმალ
კაცი მისივ ასაკისა
და ნიკიტას მხარს აუბამს.

მუხლმაგარი ჩანდა გლეხი,
ვით მიწაში ფესვგადგმული.
„აი, ასე უნდა, ეტყვის,
აი ასე!...“
და მას ხმაზე
ეტყობოდა იყო ძალზე
კეთილი და წრფელი გულის.

და მან, ქვრივის ტვირთის მსგავსად,
ჰოპ! — ასწია ნამჯა მყისვე.
ჩაჯდა კრინტიც კი არ დასცდა,
წაიღო და დასცა ზვინზე.

ფხები მხრიდან გადიფერთხა
და გულთბილად თქვა მან ბოლოს:
— სტუმარი ხარ, წამო, ერთად,
მეგობრულად გავაბოლოთ.

თავმჯდომარე ნებას დაგრთავს,
კარი ადრე გაიხურო?..
— თავმჯდომარე მე ვარ თავად,
ძმაო, ჩემთან არ იხუმრო.

აპა, წეკო, ჰა, აიღე,
გაახვიე და თან მითხარ:
დაიღალე?... ხმა გაიღე,
სადაური ხარ და ვინ ხარ?..
შორი მხარის?
— ძალზე შორის,
ელნელი ვარ...
— დღე მშვიდობის.

ეს პირველი საუბარიც
ჩრდილში შედგა ორ გლეხსშორის.

წეკოს კვამლი ქარს გაექრო...
— ჰოდა, აბა, რა ვთქვა ახლა.
ამხანაგო მარგუნოკო,
ჩვენს კოლექტივს თავად ნახავ.

სურს ანდრია ილიჩ ფროლოვს
უცბად მოვლონ არე ვრცელი.
და ხელკავით სტუმარს სოფლად
დაატარებს მასპინძელი.

მას უჩვენებს ახალ სახლკარს —
ნათელს, წებოს სურნელიანს.
ახალ მესრის ძელებს ახალს
ძველთა რიგიც ურევია.

მასპინძელი თავის სტუმარს
მოატარებს ახალ ბაკებს,
ყველა ძროხას, ვით საკუთარს,
ხელს გადუსვამს და თან აქებს.

ვრცელ თავლაში რაგინდარა
ფეხს გაუწვდის პატრონს ცხენი,
ხბო მას პეშვზე დაეხარა,
უნდა დრუნჩი ჩაყოს სველი.

წინ და უკან ვლიან აგრე,
მარგუნოკი ხედავს, უმზერს;
ახალ ბაღად ჩაყრილ ნერგებს,
მწკრივად აყრილს ზედ მზის გულზე.

ჭიშკრის ბასწვრივ სერავს მამულს.
პალოს მოკრავს თვალს სტუმარი
და მიწაში მკვიდრად ჩასმულს
ანჯღრევს, სინჯავს, ღრმად თუ არი.

ყველაფერი მტკიცედ, კეთილ
საქმედ ნაგებ-ნაშენია.
ჩვენს მარგუნოკს ერთადერთი
შეკითხვაღა დარჩენია:

— პარტიულმა უკეთ იცით,
ჩემზე მეტი გაქვთ ნახული.
გეკითხებით: რამდენი წლით
გაქვთ ეს ყოფა განზრახული.

— ამხანაგო მარგუნოკო,
ჰა, სადილის ზარის შემდეგ
პასუხს ხელად გაგცემთ, როგორც
შეგკრებ, შევაჯამებ შედეგს.

ახლა, ბარემ, არ გაგიშვებ
პურმარილზე დაგპატიჟებ.

თავი 16

ჩემს ღვიძლ პაპას —ივან ფროლოვს —
ჯანით ჩვენზე დაუღლელს,
მოვესწარი, — ვინც მოესწრო
ოთხ მეფეს და თექვსმეტ მდგდელს.

ჩვენ, ტყისპირის ბუჩქთა მსგავსად,
ვიზრდებოდით ყველა მასთან.

პატივს ვცემდით პაპას ბავშვნი,
დავვაჭკაცდით მის ხელში.
მივდიოდით ქარხანაში,
ჯარში, შახტშიც, ციხეშიც.

და ვავსებდით მთელ ქვეყანას, —
შინ მშიერი ვინ გაძლებს?
მივდიოდით, — სად არ ნახავ
ფროლოვს დედამიწაზე!

ვართ მოსკოვს და მოსკოვს გარეთ,
არც ციმბირს ვართ ბოლონი,
გვყავს მფრინავიც, მემანქანეც,
პროფესორიც — ფროლოვი.

მეთაურიც გვყავს ფროლოვი,
აბა რაღა ვთქვა მეტი...
გვყავს ფროლოვი აგრონომი,
მწერალიც კი გვყავს ერთი.

ყველა — ერთმანეთის თვალწინ, —
აი, მე ვარ თავმდებად,
პაპის ჯიშის დავვაჭკაცდით,
მისებრ — გოლიათებად.

მომყვა სამოქალაქოდან,
ძმაო, ექვსი ნახვრეტი.
ეს ჯანი რომ არ მქონოდა, —
მეყოფოდა კაცს ერთი.

ინვალიდი უნდა ვეყრდნო
ყანა გუთანს — ყავარჯენს...
კიდევ კარგი, ჯანი მეყო,
ბოლოს, როცა აქ დამჭრეს.

მიწებს ვჭრიდი, გადასახადს
ვკრებდი, გავყავ მინდვრები,
რაც ლენინმა დაგვისახა,
იმ ხაზს სწორად მივდევდი.

სწორედ მაშინ მე გრაჩოვი
კარქვეშ მიჩრის თბილ წერილს:
„მიწა მოსჭერ შენი ზომის,
გაიმზადე ფიცრებიც“.

ფულით გვჯობდნენ გრაჩოვები,
ღონით რას არ ვაჯობებდით!

გრაჩოვები რომ ვაჭრობდნენ,
ფროლოვები ბოძს არჭობდნენ.

ლორს მალავდნენ ხალხის შიშით
გრაჩოვები — ბობოლები,
როცა ხალხის გასაჭირში
შიმშილობდნენ ფროლოვები.

კუბომდე ჩემს მტერს და ჯალათს,
დღეს დაგეძებ ღვარძლით ავსილს,
სტენკა გრაჩო, სად ხარ ახლა
მთელი შენი თახსირ კლასით?

სასიკვდილოდ ჟამმოყრილიც
გავიხსენებ დედას ალაღს,
შვილებისთვის კარტოფილის
სათხოვნელად შენთან მავალს;

გლახასავით კრძალვით თრთოდა
და შენს ეზოს გარედან
პოლკან ივანიჩად ჰხმობდა
ქოფაკ ნაგაზს კარებთან.

ამის გამო
კი არ ვამბობ...
მიწის გამო მე გრაჩოვი
მტრობდა, მწერდა იმ წერილს,
მიწა მოსჭერ შენი ზომის,
მზად გქონდესო ფიცრებიც.

მიძინების დღის წინ ღამით
ჩამისაფრდა ბოგირთან
გრაჩოვების მთელი რაზმი,
მაზრის მრავალ სოფლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშორებით მედგა ქოხი,
მთხრიდა დამის გზა თვალებს,
თან მიმქონდა მხოლოდ ჯოხი,
ბალღისთვის რომ გავთალე.

და იჭექა სტენკა გრაჩმა:
— სდექ. ხელები ასწიო.
შეეშვიო მაგ დამბაჩას,
ოხრად გრჩება აწიო.

ქაღალდებთან ერთად ბარემ
ანგარიშიც ჩაგვაბარე!

მთელ ბანდასთან ვჩანვარ სუსტი,
ვდგევარ, ყველას თან აქვს კეტი,
იყვნენ, დავ, ოთხნი, ხუთნი,
რას გავხდები მათთან ერთი...

ირგვლივ ღარტაფს და ტყეს ვხედავ,
ვუსმენ დუმილს საოცარს,
დავიყვირო? დაყვირება
არ მჩვევია, ძმასთან.

კა, ჩრდილები ერთდებიან,
ვგრძნობ სიჩუმის ცუდ შედეგს...
და ვინც უფრო შემთვრალია,
ჩემსკენ ჯერ მას უშვებენ.

სამნი დავცი, უკან რაღაც
მომხვდა, ქუდი გაფრინდა.
ხელი თაზზე მედო, მახსოვს
იმღამინდელ ამბიდან.

სველ ბალახში პირქვე ვეგდე,
თავში ზარნი მძიმედ რეკდნენ.
გრაჩმა შვილებს ხელი წაკრა:
— სწრაფად! ცოდვა, ღმერთო... სწრაფად!..

თითქოს ვიყავ ბურანშიო,
ვემშვიდობებოდი შვილს:
„გადამიწყდა ჯოხი, შვილო,
ვერ გაჩუქე, ბოდიში...
შვილო, დიდი გაიზარდე,
იცხოვრე და ესწავლე,
ამ წყობისთვის თავი დასდე, —
მამის რწმენა იწამე“.

მერე ღამით, ძლივს, ცისკრამდე
სულ ვიხოხე და ასე
ღარტაფიდან ჩვენს ჭიშკრამდე
სისხლის კვალი გავხაზე.

ძლივს მივსხოდი მამის სახლთან
და არ დამავიწყდება,
ის ბებერი ჩვენი ძაღლი
ყეფით ჩემსკენ იწევდა.

მინდა ვუხმო: „ვალეტ!... ვალეტ!..“
მაგრამ ძალა არ მყოფნის...

.....

შენ ხომ მკითხე, მაინც რამდენ
წელს ვიცხოვრებთ ამ ყოფით?..

პასუხს გაგცემ უცებ
გულითადს და გულწრფელს:
ჯერ ვიცხოვრებთ ხუთ წელს
— მერე?..
— მერე კიდევ — ათ წელს.
— მერე?..
— მერე კიდევ — ოც წელს.
— მერე?..
— მერე — სამუდამოდ.
— მტკიცე თუა სიტყვა?
— დიახ, მტკიცედ ითქვა.
— სამუდამოდ, ამბობ?
— დიახ — სამუდამოდ!
ეჰ, ერთს გეტყვი, ძმაო, ახლა,
ფუჭად დახვალ
აღმადაღმა!..

შენ ადგილას რამდენს შევძლებ,
ამხანაგო მარგუნოკო, —
რაიკომი გამიშვებდეს —
როგორ მინდა, ჰაუ როგორ!..

მოვივლიდი ხმელეთს ფეხით,
ევროპაშიც გზამოკლეთი
უბილიკოდ, უგზოდ, ქვებზე
ხოხვით, ჩუმად შევაღწევდი.
მუშათა კლასს ერთი გლეხი
სრულ სიმართლეს შევძახებდი.

შეიტყობდნენ, როგორ ვცხოვრობთ,
და რა ყოფა გვერგო ფროლოვთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც სიტყვას ვერ გავძახებ,
მძლე სიმღერას ამოვუშვებ:
„ნუღარ ითმენთ, ძმებო, ამდენს,
ჯალათები ამოეუყეთ!“

სულ ვივლიდი და დიდ საქმეს
მოპყვებოდა სხვა დიადი...
და სიმართლის მოქადაგე
ხალხს ბრძოლაში გავიყვანდი.

თუ ინება ბედმა ასე, —
ბარიკადზე მომკლეს ძმაო,
სულ ერთია — ვის მიწაზე; —
ოღონდ ჩვენი წყობის გამო.

სადაც უნდა ვიწვე მკვდარი,
გეტყვი ვით ძმას, ვით ამხანაგს,
ჩემს შვილს ასე დავუბარე:
შვილო, გეგლოს წინ ამაყად.
შვილო, დიდი გაიზარდე,
იცხოვრე და ისწავლე,
ამ წყობისთვის თავი დასდე,
მე რომ სისხლით ვიწამე!

თავი 17

დაღმა დაშვებული ლულით
დარაჯს თოფი დაექეს მკაცრად,
კოლექტივის ვრცელ მამულში
ღამით დადის მთავარ კაცად.

ერთ ხმა-ტონზე ფრთხილად, ზანტად
სვეტთან ზარი რეკს საათის,
ცვარი ალტობს ძველ მაზარას,
გრძელი ღამე ნელა გადის.

მრავალ ნიშნით და ვარსკვლავით
ცნობს დარაჯი გამოცდილი, —
გაორდება ჩრდილი მალე,
წყვილად გაივლ-გამოივლის.

სიყვარული, ბედთან ერთად,
ბიჭს და გოგოს აწყვილებდეს!..
ნასტია და ვასკა ერთურთს
მთელი ღამე აცილებენ.

ბიჭი გოგოს მიჰყვა ქოხთან:
— შინ შედი და, ნახვამდის...
— არა, კარგო, მეც სულ ცოტას
მიგაცილებ სახლამდის.

მას სარკმლამდე მიჰყავს ბიჭი:
— ჩემო კარგო, ნახვამდის...
— არა, ახლა მე გამიშვი
მიგაცილო სახლამდის.
ქრის სიგრილე განთიადის,
ცივა — ეს არ გვაშინებს!
— მოდი, კარგო, ამისათვის...
მოდი, კარგო, მაშინ მეც...

ხიდქვეშ წყალი მილიკლიკებს,
რომ არ იღებს ხმას დილით.
ზის წინკარის ცივ კიბეზე
ბერიკაცი დაღლილი.

ზის, ჩიტივით თავჩარგული,
თოფი უდევს ფეხებთან,
— მეც გამიქრა, ძმაო, რული, —
კართან სიტყვას მოკრა ყური
და მარგუნოკს შეხედა.

—დაჯექ მე ეს მექცა ჩვევად
ღამით არსად მეჩქარება,
ამიტომ მაქვს დასაკვეხნად
ჩემი თანამდებობა;
რას არ ვწვდები კაცი ქვეყნად,
ფიქრი რას არ ეთმობა —

დედამიწას, ყოფილ უფალს,
ხალხის წრიალს და ხეტიალს,
თუნდაც შენს ბედს,
შენს გზას თუნდაც,
შენსავ აღთქმულ მხარეს ტიალს.

ხალხო, ადამიანებო,
რამდენ ჯახირს ეგუვით!
ჩვენშიც პაპა იყო ერთდროს,
შენებრ ახირებული...

მუხის კვერთხი გამოთალა,
ჩაიკერა პიჯაკს შიგნით
თუმხნიანი ათი ცალი,
— მსურს კიევის წმინდა ლავრას
ვცე თაყვანი, — იტყვის იგი, —
წავალ, ვიდრე ვარ ცოცხალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას არცხვენდნენ, აშინებდნენ...
ის უჭრიდა მაშინ ეგრე:
„მეც ავიტან, ბედს მივენდე,
ხომ ითმენდა ქრისტე ღმერთი.
მთელს რუსეთში ვრჩები ეგებ
ღვთის ერთგული ერთად ერთი.

და ფროლოვიც ეტყვის პაპას:
„კარგი, გასწი, წადი, აბა,
თუ დაბრუნდი შინ ჯანსაღად,
წმინდანებზე, მღვდლებზე, ალბათ
წრფელად გვეტყვი ნამდვილ ამბავს.

გზას მოხუცი ფეხით გაჰყვა,
ფეხით—ლავრის გზაა გრძელი.
ჩვენ რომ ამბავს ვყვებით ახლა,
ისევ მისდევს გზას მლოცველი...

გზა კი ქვეყნად ბევრი არის,
ზოგი მრუდე, ზოგი სწორი.
გზებზე დადის ბევრი მგზავრი
ზღვარიც არის მგზავრთა შორის.

ალბათ გახსოვს, წელს გაზეთი
გაზაფხულზე წერდა მართლა,
როგორ დადის ფეხით ერთი
ვიღაც კაცი ჩვენს საზღვართან.

დადის იგი — უსაქმური —
არად აგდებს მშიერ ცოლ-შვილს,
ჩემებრ კონტუზირებული
დაუჭრიათ მძიმედ ომში.

მიდის ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ,
მისდევს მრავალ ძველ ხეობას,
მთელ ევროპას...
თითქოს იგი
გაქცევია ძნელ ტყეობას.

უკაცრიელს მისდევს მინდორთ,
ძნელად ხვდება კვამლი ქარხნის,
აი, ჩვენ აქ ვმუსაიფობთ,
ის კი მიდის დაღლილ სახით.

ცრუ ხმებს ხალხში ხშირად ყრიან,
მაგრამ სწორიც გვხვდება მათში.
მითხრეს, თითქოს შინ არხიდან
მობობღავსო სტენკა გრაჩი...

მოდის, მოაქვს დიდი ბოღმა,
ვის გადუხდის, იცის — როდის.
დღისით სძინავს, ღამით ბობღავს,
ჩვენ აქ ვსხედვართ,
ის კი მოდის...

— ჰე, გასხედე, ძმაო, იქით!..
ვსედავ, — უთხრა მარგუნოკმა.
ვარსკვლავთ შორის ვარსკვლავივით
შუქი ციდან გამოკრთოდა.

მათ გუგუნით გადუარა
წინ და მაღლა გაფრენილმა;
უამრავი გზა და შარა,
ნისლ-ბურუსი — ცის ჭაღარა
თვითმფრინავქვეშ გაფენილა.

— რა ლამაზად ადის ზემოთ,
ძალა არის მაგაშიაც,
კაცს მომართავს სასიმღერად!
ეგაც ღამის დარაჯია.

წამოდგება სახემკაცრი,
შუბღნათელი ბერიკაცი,
მათ მახლობლად სადღაც ჩუმად
ჭიშკრის რგოლი გაჩხარუნდა,
სადღაც მისდევს გზას გარმონი:
იძვრის ხმა ძლივსგასაგონი:
„ბაღში პიტნა გაფენილა,
რა ბაღია, რა ბაღი...
ბაღში ჯერ არ გათელილა
გასათიბი ბალახი...“

თავი 18

დგას ნეკერჩხლის მაგიდები,
ქალო, სუფრა დახუნძლე!
ახალ ქორწილს ახლა ვხვდებით
წლის ახალ ჭირნახულზე.

ახალ ქორწილს ახლა ვხვდებით
თაფლის ლუფით და ქადებით,
ცხვრის ახალი ხორცით
ვხვდებით ახალ ქორწილს.
ადრეულა ოქროვაშლის —
ანტონოვკას ძირას — ბაღში.

და დედოფლის აივანზე,
ვით ხმა პირველ მაისის,

ზეიმით და თრთოლვით სავსე
დროშის ტაში გაისმის.

მიყუჟული, დაქანცული
მოთქვამს ქალი ხანდაზმული;

გაიხსენებს მტკივან წყლულებს:
უსახლკარო სიქალწულეს,
ნიშნობაში საქმროს ბელგას
და ნადვლიან გათხოვებას.

— მერცხლად ზეცას გაეკარ,
ზღვებს გადევლე, შვილო.
ჰო, შშვიდობით, ნასტენკავ,
ჩემო თვალისჩინო.

გაჰყევ უცნობ მხარეში,
ობლად გაზრდილს, ბედო!
დაჰყავ სულ სიხარულში
ჩემო სისხლის წვეთო...

თეთრი კაბა ჩაიცვი,
ქოხში გაიარე.
რად არ სტირი, არ ვიცი,
გაყრა არ იმწარე?

ჰო, იტირე, ნასტენკავ,
ჩემო თვალისჩინო,
მერცხლად ზეცას გაეკარ,
ზღვებს გადევლე, შვილო.

ჟღერს გარმონი წვრილეკვნება,
— დრრუ!.. ცხენები შედგნენ წამსვე.
ასულთ გუნდი წინ შეხვდება
დამორცხვებულ ნეფეს გზაზე.

— ეჰ, ნასტიავ, ვართ ნაწყენი.
არც გინახავს, რად გაჰყევი
ჩამოტყაულს, ბეცს და ელამს,
თავგატრუსულს, თითისხელას.

ნეტავ შენ რამ გაიძულა
რად გაჰყევი მოხუცს ცოლად?
მოხუცს — დამჭკნარს, ჩამორჩენილს,
გახუნებულს, ჩამოწერილს.

შენს კარგს კარგი ცხენი არ ყავს.
მჭლეა, ფეხზე როგორ დგება?
მთამდეც კი ვერ მიიყვანა,
შეუჭამეს კოლოებმა.

ყურთამდეა კარი ღია,
ჟღერს გარმონი, ხვდება სტუმრებს.
დერეფანში წამით ვიღაც
ფიცხელ ცეკვას გაახურებს.

ჰა, ნეკერჩხლის მაგიდებთან
ფროლოვების რაზმი დგება...

ერთურთს მხარში შესდგომიან,
ძმა ძმას მოსდევს, შემოდიან.

ჰა, მეშვიდე, მერვე, მეცხრე
და კვლავ ჯმუხა მოსდევს ჯმუხებს.
შუა ქოხში რომ დაეწყვნენ,
გოლიათებს გავდნენ მუხებს.

ჰა, დამკვრელი ხათუნებიც
შემოდიან ამაყ მზერით,
გარჯით სახელგანთქმულები,
თვალებმკაცრი ლამაზები.

აქსიუტა ტიმოფეევნა
მათ წინაა წამომწყებად:
— სადაც მივალ, სადაც შევალ,
თან ბრიგადაც წამომყვება!..

სუფრამ სამგზის პრემირებულ
ივან ფროლოვს მოკრა თვალი —
მოდის ცხენთა მოყვარული,
ქორწილამდე ოდნავ მთვრალი.

მიესალმა ხალხი ბოლოს
მირონ ვასილევიჩ ფროლოვს —
ას თვრამეტი წლის ბერიკაცს;
თითქოს ნათელს ხვდება დღისას;
მკაცრზეიმურ სახით მოდის
თეთრი პაპა მთელი მოდგმის.

შვილიშვილთა შვილებს შორის
დღეს ქორწილში გამობრწყინდა,
ვინც პირველად თვითონ სწორედ
ასი წლის წინ დაქორწინდა.

მთელი სუფრა მორიდებით
ჯერ ანდრეი ფროლოვს უსმენს:
— ორიოდე სიტყვას გეტყვით, —
მოკრძალებით სთხოვს მოხუცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ, პაპებო, მინდა კითხოთ,
ჩვენს მამულში, ჩვენს მიწაზე,
ჩვენს სოფელში როდის იყო
რომ ვიხდიდით ქორწილს ასე?

განა მაძღრის-უზრუნველნი
ვიზრდებოდით შრომის შვილნი,
ვთხოვდებოდით იძულებით,
ძალით გვრთავდა ცოლს შიმშილი.

ჰე, პაპებო, ჩვენს წყობაში,
ბედნიერ დღეს ასე გვევლოს!
ჩვენს ერთიან მძლე ოჯახში
ჩვენს ქორწილში ვადღეგრძელოთ...

ახალმექორწინე წყვილი,
მათი ტრფობა-სიყვარული
იღბლიანი, დალოცვილი,
ჩვენი დიდი სიხარული,
ჩვენი კარგი, მხიარული
ცხოვრების გზა გამოცვლილი.

სუფრა ძმურად ადგა უცებ,
სიტყვას ამბობს თვით დარაჯიც:
— ახალგაზრდებს და მოხუცებს,
ყველა მართალს, ყველა გარჯილს,
ჩემს ქალიშვილს, ჩემს ნასტიას,
მის მეგობარს და არჩევანს,
მათ გაგებას, მათ ბედიღბალს,
მათ ცხოვრებას გამარჯვება!

და ასევე გვინდა ბოლოს,
დღეგრძელობა, ჩვენც — მოხუცებს.
ვთხოვ ანდრეი ილიჩ ფროლოვს
ღვინის საქმეს რომ გაუძღვეს.
დე, ატაროს ხაზი სწორად,
მთელი გულით და ღირსებით:
პარტიელებს ასვას ცოტა,
ჩვენ კი — დიდი სასმისებით.

მართლაც, ზემოთნახსენები
ზედ მოეგრო ყველას ხაზი.
შეყვნენ მოქალაქეები
ათას რამეს სჯა-ბაასით.

ერთ დროს ვასილ ფეოდორიჩ,
ვინც თიბვაში შენ შეგბმია,
გეტყვი, ვასილ ფეოდორიჩ,
სულიც განუტევებია.

შენთან, ვასილ ფეოდორიჩ,
ყველა დალევს, შესვამს ახლა,
მე კი, ვასილ ფეოდორიჩ,
მოვდიოდი შენს მხარდამხარ.

მე პროკოფი პავლოვიჩი
ჩისტოვი ვარ — ობლის ცალა,
მე წმინდა ვარ და მისდღემჩი
არ გეგონო ღობემძვრალა.

— მე კი მცველად ვდგავარ, ვიცავ
ჩვენი კოლექტივის დოვლათს.
როგორც დარაჯს ვინ გამიცხავს,
ვინ მიწოდებს მე ბედოვლათს?

ჩემი ვაჟიც შორი საზღვრის
მცველი — გმირად წოდებული,
საათით და იარაღით
არის დაჯილდოებული.

ვცხოვრობ, ვხარობ ჩემს ვაჟებთან,
ვხარობ, სიძით — კარგი მოყმით...
ვნახოთ, თუ სვამს ჩვენთან ერთად
ამხანაგი მარგუნოკი?..

სუფრის აქეთ სწრაფად დგება,
თან იწმინდავს წვერს ნიკიტა.
ყველა მიესალამება
ხან აქედან, ხან იქიდან.
რახან გინდათ, ვსვამ გულწრფელად,
სასმისს არ ვდებ დაუცლელად!..
— სვი და ჭამე რაც შენ გინდა,
სვი, ილხინე ხალხში ლაღად.
— მე, — შესძახა მათ ნიკიტამ, —
არ ვარ ყველა კაცზე გლახა!

— გულახდილად დატკბი ლხენით.
სტუმართ შორის ხან სტუმარი!
— მოვილხენდი, მაგრამ ცხენი
მისი მსგავსი სადღა არის!

— დაივიწყე და იხარე,
სხვა უკეთეს ცხენსაც ნახავ!..
— პურიც, ლუდიც არის მწარე,
ვერც ვყლაპავ და ვეღარც ვხანხლავ.

— თაფლიც მწარე არის! — ხალხი
ყველა ერთხმად გაიძახის.

— ყველაფერი მწარობს! — ერთხმად
ბერიკაცების აღმოხდებათ.
მეგარმონე დასჭექს უცბად...
— აბა, განი!..
განი!.. განი...
დაიხიეთ, უკან! უკან!
აბა, განი!
განი! განი!
ეჰ, გამიშვით ვინავარდო,
მინდა ფიცხლად გადაშვება!..
მეგარმონე ჭიმავს გარმონს, —
მხრიდან მხარზე გადეშლება.

ფიცხ ჩეჩოტკას ბიჭი ცეკვავს,
პირუკუღმა წრეში უვლის,
ხან ჩაჯდება,
ხან შეხტება,
ხან კი მისი ხელისგული,
ხსვათაშორის, ლანჩას ხვდება.

მკერდზე ცალხელმინადები
უხმობს იგი: — გამო, მოდი!
ფერხულში ნუ იმალები,
მეც შენთან ვარ, გამოგოგდი....—
მეგარმონე ქნევა-ქნევით
თავს აყოლებს ჰანგს ბოლომდის.

მკვირცხლი გოგო გამოვარდა,
ჰე, ფერხულო, მიდექ იქით...
თეთრ და ახალ კაბის კალთას
პიწკად იწევს ორი თითით.

— სურდათ ჩემთან გარიგება,
ვერ მივართვი მათ თანხმობა.
არტელიდან არ მინდება
წასვლა, თუნდაც გასათხოვრად.

ბიჭო, ბიჭო, მითხარ, ვინ ხარ? —
ბიჭს ვუთხარი თავქარიანს. —
ბიჭო, განა მფრინავი ხარ,
მე გავყვები ამაყ მფრინავს.

წყალი ჭიდან გადმოღვრილი
მიღით მოჩქეფს ჩვენსკენ ლაღად,
კარგად ცხოვრობ კმაყოფილი,
არც მე დავალ შენზე გლახად...
— ჰე, ფერხულო, მიდექ გვერდზე:
მოდის ტიმოფეევნა.
— ვინც გოგოებს მოიბეზრებს,
ბებრებს მოეფერება.

— გოგოებო, გულში ხინჯი
თქვენთვის როგორ მედება:
განვიზრახე, ერთი ბიჭი
გამოგტაცოთ ეგება.
ეჰ, ვიფიქრე,
მოვიფიქრე
ერთი რამე სასეირო.
შევუკურთხე,
შევაფურთხე,
ახლა სხვასთან დავსეირნობ.

ორმოცი წლის ქალი ჰყვავის,
სამოც წლამდე სადად აღწევს.
მე კი დღისით,
ანდა ღამით
თუ არ მოვკვდი,
გავძლებ ას წელს.
ეჰ, თავად ვარ ნათლიდედა,
ჩემი თავის ნათლიდედა.
ჩემს თავს ძღვენი
მივუძღვენი,
დღესასწაულს შევხვდი ახალს,
მოვანდომე ოცი წელი
ჩემს ეზოში ძროხის ნახვას.

ეჰ, დაბერდა პაპა, პაპა, —
აცაბაცა ადგამს ფეხებს,
აღარ ვარგა აღარაფრად:
ერთ კოცნასაც ვერ ახერხებს.

გავაცურებ მაგ ავაზაკს,
მკაცრად დავსჯი თმებაჩეჩილს,
ცხრა შვილი მყავს ახლა მასთან,
შევუკვეთავ მეათე შვილს.

— ჰე, ფერხულო, განზე, მარდად:
მარგუნოკი წრეში ჩნდება.
თვითონ კი არ შევა მართლა,
ქალი კალთას ექაჩება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამომწყები თვალს ჩაუკრავს,
ქალი ცეკვით იხვევს უკან.
შვილს ცეკვაში ლოხვევს მამა
და მიიწევს წინ თამამად.

და იწყება ბრძოლა მათი.
ვინ აჯობებს — ვინ იცის?..
მამა არის ოცდაათის,
შვილი არის შვიდი წლის.
მამა თითებს ატკაცუნებს,
იატაკზე არტყამს ქუსლებს,
უვლის კოკვენით
და რაკრაკით,
შვილი მამას შუბლქვეშიდან
უფროსივით უმზერს მშვიდად.
წრეს მოხაზავს მამა მყისვე,
შვილიც მყისვე ბზრიალს იწყებს
და არაფერს უთმობს იგი,
ბრუნავს შვილი მამის ირგვლივ,
მამა როცა უვლის ასე,
შვილიც ისე უვლის წამსვე,
ნაბიჯითაც არ სცილდება,
ორთავ მთელი ძალით ცეკვავს,
ორთავ კარგი არის ერთად.
ორთავ ძვირფასია მეტად.
ეროვროს შეხვდნენ ძმებისდარად,
გაიყარნენ წრეში ძმებად...
ეჰ, ეწადათ უფრო კარგად,
მაგრამ მეტი შეიძლება?!.

ამ დროს შეწყვეტს ყაყანს, ზრინვას
სუფრა უსმენს წყნარ და ზვიად
ზეზე ამდგარ მირონ პაპას,
სიტყვის თქმაში გაუწაფავს!

— მსურს სიცოცხლე, შვილნო, გმადლობთ
მაგრამ დროს ვცემ თაყვანს ქვეყნად.
რომ მოვკვდები, იქ ვუამბობ
ვინც შემხვდება, — რაც აქ ხდება...

იატაკი ფეხთა მძლავრი
ცემით ჯერაც არ დამცხრალა.
ზღურბლს გამოსცდა ჩუმად, კრძალვით
სტუმარი თუ მაწანწალა.

ბალახონი უცხოს ტანზე
აქვს შეკვეცილ-გაკერილი,
დიასახლისს უხმობს გარეთ,
ჩქარობს, როგორც დაკბენილი.

სუფრა მსჯელობს: ვინ იქნება?
თერძია თუ ბეითალი?..
მესერს ლოხტით ცხენი ება,
ვით მოლურჯო ფერის კვამლი.

ხანდაზმული დედა სტუმართ
თვალდახრილი მიეახლა:
— მამაოა... რად მოსულა?
ჯვარს დავწერო, თუნდაც ახლავ.

— ქალი კრძალვით ქმარს მიუჯდა:
— ჯერ არ გინდა შეგინება.
თქვა, ვიღებო კვერცხებს მიზდად,
შრომადღენიც შეიძლება.

უცებ ახტა იმ წამს მარდად
მარგუნოკი, წინ გავარდა.
ძირს, კიბეზე ჩაბრახუნდა,
თითქოს ცეცხლი წაეკიდა;
და გაწყვიტა თასმა უცბად,
ცხენს კისერზე დაეკიდა.

თავი 19

დგას ბინდ-ბუნდში ლურჯა ხელნით,
ცხენი ცალუღრეელია,
პატრონს რკალის თასმა ხელით
მაგრად ჩაუჭერია.

ყველაფერი გზად მზადაა,
კმარა ლოხტი შეახოს...
კაციშვილი არსადაა,
ჩვენს მარგუნოკს შესძახოს.

დგას სიჩუმე. დღე შორს არის,
ღრმა ძილშია სოფელი.
ბიჭსაც სძინავს — თანამგზავრი
წევს პირქვე დამხობილი.

სძინავს, მას არ ედარდება
შორი მხარე ზღაპრული...
ნაღვეღს მალავს, ელანდება
კვლავ მარტო სიარული...

შოლტს გაარჭობს, ჯდება ხელად,
მარგუნოკი გასწევს და
მწვანე კვალი მოსახვევთან,
ცვრიან მოლზე გაწვება.

ტკბილმშობლიურ მხარის ნახვას
ნატრობს, აღარ ასვენებს,
ცხრა მთას იქით, აი ახლაც
მას წეროს ხმა ახსენებს...

ბაღი ფოთლის, ვაშლის სურნელს
აფრქვევს ცისკრის შრიალით,
მგზავრი მამლის ყივილს უსმენს,
თითქოს ისევ შინ არის,
თითქოს მოდის შუქიც, ბოლიც.
სუნიც მისი სახლიდან,
და ჰგონია თითქოს მხოლოდ
მზე ამოდის სხვა მხრიდან.

მიდის, მიდის, მიდის იგი,
მგზავრის გზაა ულევი,
მთელი ქვეყანაა ირგვლივ,
მაღლა — ქვეყნის ღრუბლები.

მავთულებით უმღერს ქარი
ველებს და შორს მხრებგაშლილ
დიდ ქალაქებს უმზერს მგზავრი,
როგორც გემებს ვრცელ ზღვაში.

ველს დამღერენ მავთულები,
სიმებივით გაბმულები,
ბოლი ადის ქარხნიდან.
ჯოგთა წყება ჩანს მინდვრად,
დრო დგას ყანის დაპურების;
ლურჯამ თავი ჩაქინდრა.

— რაო, ცხენო, ხომ შემოვვლეთ
ნახევარი მსოფლიო?..
ისევ იმ გზას, სხვას თუ რომელ
გზას ვადგავართ, ძმობილო...

ახლოს ვართ, თუ შორს ვართ, არ ჩანს,
საით მივალთ, რა გზაზე?
ვმარჩიელობ, ცხენო, გტანჯავ,
საით გავწევთ, მეც არ ვიცი,
აქეთ იქით გაგდებ, გისვრი,
ხან ისე და ხან ასე.

გაიხედავ მარჯვნივ, მარცხნივ,
ირჩევ, რაც გიხარია.
სადაც ლაღად ცხოვრობს ხალხი, —
ალბათ, კარგი მხარეა.

ხელის გულზე სდებს ნიკიტა
მთელ სიცოცხლეს, დარდს, ტკივილს.
მეც არ ვიცი, ცხენო, მინდა
პოვნა ჩვენი ადგილის.

დღეს გზადაგზა მოსდევს ღამე
მეორე დღეც გათავდა.
ჰა, ჩამოდგა დღე მესამე
და მთის ძირას ღარტაფთან

მარგუნოკი ამჩნევს უცებ
გზის ნაპირას, ბუჩქნართან
ბერიკაცი ზის თეთრ ჯუნძზე,
ფერთხთით უდევს ზურგჩანთა.

სახემკაცრი გახლავთ პაპა
და ხნით პატივსაცემი;
მისი კვერთხი და ზედ შლაპა
ჩანს, ვით ტარი საცეხის.

ზის მოხუცი ყუჩად განზე,
მარგუნოკი ერთობა:
— ლავრისაკენ, გრილად გზაზე
მიბაკუნებ, გეტყობა.

პაპა დინჯად უპასუხებს,
სიტყვა მოსდევს მას მძიმე:
— ლავრის გზაზე ვიდექ უკვე
ოღონდ ვერ მივაღწიე.

— დრრ... ცხენო!.. პაპავ, ეს რა ხდება?..
შენ და უკან წამოსვლა?.. —
და ქვეითიც ეტყვის მხედარს:
— რა არ ხდება, ძმაოსან...

მოვლო ქვეყნის ქალაქები
ღვთისმოშიშმა პეპერამ.
ნახა წმინდა ალაგები
კერპმა, ზორბა ბებერმა.

მას ამ გზაზე ერთი აზრი
შეამფოთებს საშინლად:
— ღმერთი არის, თუ არ არის,
ძალა არ გააჩნია...

— ბერიკაცო, ეს მითხარი,
თუ მოგიკრავს გზად ყური,
თქვი, სად არის, საით არის
ის ქვეყანა ზღაპრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმოსავმა მიახალა:
— კი ხარ, კარგი ხუმარა.
სულ არაა ეგ ქვეყანა.
— როგორ არა?
— სულ არა.

იყო მურავთ მხარე რაღაც,
ახლა არსად არ გახლავს,
დაიკარგა, გაქრა სადღაც.
გადაფარა ბალახმა...

აბა ვისღა ეხსომება,
ახლა, როცა გარშემო
ამნაირი ჩქეფს ცხოვრება,
დიახ, სწორედ სჩემო, —
მიწას დაკრა კვერთხი ბრძენმა, –
აქ მაცოცხლე, გამჩენო!..

ერთ ბოლოდან მეორემდის
გზა ხსნილია? კი, შვილო.
— მაშ, მამილო, მეუბნები,
შედი კოლექტივშიო? —

— მე სიმართლე გაუწყე;
— შენს თავს შენვე გაუძეხ:

შენს ნებაზე ჰქმენ საქმენი...
— არა, ფიქრი აღარ მსურს, —

მარგუნოკმა თქვა მოწყენით, —
ვადას ვჩივი ყავლგასულს.
დამიშავდა გზაზე ცხენი,
ვინ მიმიღებს ხანდაზმულს?

ლამის ქვეყნის შემომვლელი
ვერ გადავდგამ ფეხს ზღურბლზე.
მომაძახებს მეზობელი;
„მოხველ მზამზარეულზე?“

ინტერესის გამო, შვილო,
მიგიღებენ კოლწევრად.
— როგორ ფიქრობ შენ, მამილო?
მგზავრს ღიმილი მოწყდება.

დამცინებენ, ალბათ, ერთხმად,
ხალხს სიცილი განკურნავს.
ირგვლივ ათას ვერსზე ვხედავ
ჩემს მიწა-წყალს სანუკვარს.

გზად ვკარგავდი, ცხენთან ერთად,
ბევრ შრომადღეს საკუთარს.

— მაშ, მშვიდობით! — პაპა დგება. —
დროა, შვილო, იტყვის და...
მის კვალს დიდხანს გაჰყურებდა
მარგუნოკი ნიკიტა.

დასასრული

თარგმნა **ოთარ ჭელიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანრი დე რენიე

ტაი პუს ამბოხი

როცა ტაი პუმ ადათისამებრ თერმიტჯერ თაყვანსცა, სამეზოს მოიყარა მუხლი და იმპერატორის ტახტის ბოლო სატეხრეფელ დებული პირველი მინისტრის აბრეშუმის მუთაქაზე მოირთხა ფეხი, იმპერატორი ხო ხეი აგრე შეეხიტყვა მას:

— ყურო მომიგდე, ო, ტაი პუ! სიზმარი ვნახე. ამ ღამით იქვის ღვთაება გამომეცხადა. ნათლად ვიხილე ორსახოვანი ღვთაება კოშტი ნაწნავით და მკაფიოდ ჩამესმა მისი ნაუბარი. აი, რა მიჩურჩულა მან:

„შენი მინისტრი, ტაი პუ, მართლაც რომ პატიოსანი და სწავლული მრჩეველია. სახელმწიფოს ამ ბრძენი ადამიანის უნატიფეს ჭკუა-გონებას ბადალი არ მოეძებნება მთელს ჩინეთში. შენი სიდიადის ერთგული მსახურია იგი. ოღონდ დარწმუნებული ხარ, ისე უყვარდე, ვით მეუფის ციურ არსებას შეჰფერის? გკერა კი, რომ მთელ ქვეყანაზე შენი ღირსი არ მოეძებნება? შენს ადგილს მე გამოვცდიდი მის ერთგულებას“. ასე მეუბნა ცბიერი ღვთაება. რას იტყოდი ო, ტაი პუ, ამ სიტყვებზე, ღამით რომ თქვა?

ტაი პუს ღიმილით გაებადრა ყვითელი პირსახე. ყოველი მისი ნაკვთი, თვალებიდან მობრეცილ ტუჩებამდე, ისეთ სიხარულს გამოხატავდა, რომ იმპერატორს საჭოჭმანო აღარაფერი უნდა ჰქონოდა. ოღონდ ის იყო, ტაი პუს ამ სიტყვებთან ერთად მეუფეს კვლავ ჩაესმა იდუმალი ჩურჩული.

— დიდებულო და სახელოვანო ხელმწიფეს! მართალს ამბობს ორსახოვანი ღვთაება და შენი მონა-მორჩილი ტაი პუ მზად არის ყველანაირად დაგიმტკიცოს სიყვარული და ერთგულება. შენი სანაცვლო იყოს ჩემი და ჩემიანების სიცოცხლე. შენი სურვილისამებრ განაგებდე მათ. ტაი პუს არაფერი სწადს, არცა ნებავს, გარდა მეუფის მსახურებისა.

იმპერატორი ხო ხეი წამით ჩაფიქრდა:

— გმადლობთ, ო, ტაი პუ, რომ მზადა ხარ გაჰკვრეთ ის ეშვი, ცბიერმა ღვთაებამ რომ ჩამნერგა. ეგ იქვი უმალ მოშორდება ჩემს გულს, თუ ხვალ შენი მცოცავი მამის მოყვეთილ თავს მომიტანთ. აი, მაშინ ვირწმუნებ, ო, ტაი პუ, შენს სიმართლესა და ერთგულებას.

უჩუმრად წამოდგა ტაი პუ ყვითელი მუთაქიდან და იმპერატორის ფერხთით განერთხო. მეორე დღეს კი ხო ხეის ნანატრი ძღვენი მოართვა.

მაგრამ იქვის ღვთაება არ ეშვებოდა იმპერატორს. ხო ხეი კვლავ დაღონდა. და როდესაც შეწუხებულმა ტაი პუმ გამოჰკითხა ჭმუნვის მიზეზი, მან უპასუხა:

— ო, ტაი პუ, კვლავ მომეცლინა ღამის სტუმარი. ოდეს შევეკამათეთ, მან გაიცინა და მითხრა: „ო, მიამბეთ იმპერატორო, მოსთხოვე ტაი პუს მისი საყვარელი მეუღლის, მშვენიერი კიანგ სის თავი; და ირწმუნეს, რომ იგი შენს სიშვენდეზე მეტად ულირს ამას ჩამძახოდა ღამეული სტუმარი. შენ რაღას გეუბნება, ტაი პუ, ეს ზზამნარეკი სიტყვები?

იმპერატორმა მოვარაყებულ ლანგარზე დადგა ფაქიზი ფაიფურის ფინჯანი, საიდანაც ღვთაებრივი ჩაის ორთქლი დიოდა. ტაი პუმ მოამთვარა ჩაის სმა და ხმაამოუღებლივ გაშორდა იქაურობას.

ორი დღის შემდეგ, იმპერატორის ტახტის ხოლო სატეხრეფელზე, წითელი აბრეშუმის ფუთოდან დაგორდა მშვენიერი კიანგ სის მოკვეთილი თავი.

და უთხრა კვლავ იმპერატორმა ხო ხეიმ თავის მინისტრს ტაი პუს:

— ისევ მეახლა იგი ამ ღამით, ოღონდ ძლივს შეეცალნი. ლანდივით მკრთალი იყო, ხმაც სნეულივით მისუსტებოდა. ძლივ გასაგონად წამჩურჩულა: „მაკრიბაო ტაი პუმ. მართლაც რომ შენი ერთგული ქვეშევრდომივით ქვეყნად არავის უყვარს თავისი ხელმწეფე. ოღონდ ამას ბოლომდე მხოლოდ მაშინ ვირწმუნებ, თუ კი ტაი პუ ერთხელაც შემოგწერავს მსხვერპლს. ტაი პუს მშვენიერი კიანგ სისაგან ტუუპი ქალ-ვაჟი მყავს. მაშ დადოს ეს ორი ნორჩი თავი სასწორის პინებზე და ჩემი ურწმენო გონება ეშვს ალარ გაიკარებს“. ასე უბნობდა ჯიუტი ღვთაება. შენ რაღას იტყვი, ო, ტაი პუ, მის დაჟინებულ თხოვნაზე?

ტაი პუმ მკერდზე მიიდო ხელები. ორი დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლი ჩამოუგორდა ნაოკიანი ქუთუთოებიდან ფაროთო ყურიმანლებზე. სამი დღე სასახლეში არ გამოჩენილა. მხოლოდ მესამე დღის ბოლოს მოიტანა შიერიანმა დახურული კალათით ორი პატარა მრგვალი თავი, მრუდე ხმალს რომ წაეცალა ტუუპთა ნაზი კისრებისათვის.

●

ტაი პუს პეკინის ჩრდილო უბანში ვრცელი ბაღებით შემოგარული ჩინებული სახლი ედგა. მას ბევრზე ბევრი ძვირფასეულები და უფაქიზესი ფაიფურისაგან ნაძერწი, ბრინჯაოთი მოვარაყებული თასი ჰქონდა. იმპერიის ყოველი კუთხიდან შეეგროვებინა უძვირფასესი ამრეშუმის ქსოვილები და ოშვიათი ნაქარგები. სახლში იმდენი ოთახი იყო, რამდენი დღეცაა წელიწადში. და ამ სამყოფელთა კედლებს უნაზესი მოხატულობა ამშვენებდა. ასეთი მშვენიერი ნივთებით გარემოცული, კმაყოფილი და სვეტდნერი ატარებდა წუთისოფელს ტაი პუ თავის მოხუც მამასთან, სათნო მეუღლე კიანგ სისა და ტუუს შვილთან ერთად. და სწორედ ეს ბედნიერება მოუსპო იმავე იმპერატორმა, ვინაც იგი აღაზევა.

მაგრამ ამ სახლზე უმეტეს, ტაი პუს ბაღები იყო განძეულები დიდებული ჩეებით, წყალთა სიუხვით, ხიისაცო კიბეებითა და ხიდებით, ხლართული ბილიკებით, ყვავილთა თარგულებით. აქ უუვარდა სეირნობა ჭრელი კაბით მოსილ ტაი პუს. მწვანე ეფერატით შეოყრილი ერთ გუბურას დამზერდა ხოლმე. გულს უხარებდა ტაი პუს ათასგვარი ჯურისა და მოხატულობის უცხო ქვისაგან თითქმისდა ნაქანდაკარი და ძვირფასი თევლებით მოოქვილი თევზების ცქერა. ტაი პუ ტკბებოდა, როცა ამ ანკარა წყალში თვალს მოკრავდა მათი ქერქების ელვარებას.

სწორედ ამ გუბურასთან დადგა თავს იმპერატორი მშვენიერებას მიმზერილ ტაი პუს. ხო ხეიმ მოიკითხა იგი და რამდენიმე ალერსიანი სიტყვაც უთხრა. იმპერატორმა თვალი ვერ მოსწყვიტა თევზებს. ერთმა განსაკუთრებით მიიპყრო მისი ყურადღება: იგი ყველა თევზთაგან განირჩეოდა. იმპერატორმა, ვისაც მსგავსი რამ არასდროს ენახა, ტაი პუს უთხრა:

— ო, ტაი პუ, მარჯვენავ ჩემი ძალაუფლებისა და გულის ნაწილო. ისე ბევრი რამ შემომწერე, არა მგონია, ეს საუცხოო თევზი დაგენაბოს. გაუფაზანე იგი ჩემს ქონდაქარს, მინდა შევიტყო სილამაზის შესაფერისად ნარეკი თუა.

●

იმპერატორ ხო ხეის, ვინაც მხოლოდ სამ დღეს ელოდა ტაი პუს შვილების თავებს, ამ ჯერად ექვსგზის მოუდგა მზის ჩასვლის ნიშანი, ვიდრე ტაი პუ ახალ ნატვრას შეუსრულებდა. მხოლოდ მეშვიდე დილით მოახსენეს, ტაი პუ გეახლათო. იმპერატორმა ბრძანა, დაუუფაფენელია შემოეშვათ. ტაი პუს კალათით მშვენიერი თევზი მოჰქონდა. იმპერატორი წამოიწია და მოინდომა თევზს ლაყუჩებში სწვდომოდა, უცებ ხარხარი აუვარდა, მუცელზე ხელი იტაცა. თევზი მანანქრინა გამოდგა. ისე ოსტატურად იყო ნაკეთი, ცოცხალი თევზისაგან ვერ გაარჩევდით. ასე გულიანად იცინოდა კარგა ხანს, მაგრამ უეცრად მისი სიცილი ჩუმმა ხრტყინმა შეცვალა. სახელოში დამალული ხანჯლით ტაი პუმ მას ყელი გამოღადრა. იმპერატორის ხორხიდან სისხლმა ამოხეთქა.

●

როდესაც ტაი პუ იმპერიის დიდ მანდარინებს მიჰგვარეს სამსჯავროზე, მან ზე ასწია ბორკილებიანი ხელები და ესა სთქვა:

— ო, ბრძენთა ბრძენნო, დიდებულნო, სულით მაღალნო, უშიშრად დგას თქვენს წინაშე ტაი პუ. სწამს, თავად არ გაიზიარებს მამის, მეუღლისა და შვილების ბედს. სწამს, რომ ადგილ მიუჩენთ მართალთა და გონიერთა შორის და როცა შეიტყობთ მიზეზს ყველფრისას, ბორკილებს აყრით.

ტაი პუ წამით დადუმდა, შემდეგ კი განაგრძო:

— შეისმინეთ ჩემი, ო, ყოველად გაბრძნობილნო! მხოლოდ იმიტომ ავუსრულე სიტყვა იმპერატორს და მოვკალ მოხუცი მამა, რომ ზოგჯერ შეიძლება სათნოება ძალაუფლებას ანაცვალო, თუ კი მოვკალ ტურფა კიანგ სი, მეუღლე ჩემი, მხოლოდ იმიტომ, რომ არავის ეკრძალება ძალაუფლება სიყვარულზე მაღლა დაიყენოს. თუ კი ჩემი შვილები გავწირე, მხოლოდ იმიტომ, რომ იგივე ძალაუფლება შეიძლება საკუთარ თავს ამჭიანნო. მაგრამ როდესაც იმპერატორმა ჩემი უუმშვენიერესი თევზი მომთხოვა, მაშინ მე მოვკალ მბრძანებელი, რადგან სილამაზე ყველფრის უპირატესია. ან ეს იყო, მანდარინებო, მიზეზი ტაი პუს შურისგებისა. ახლა კი თავად განსაჯეთ ყოველივე.

●

ტაი პუ დაუბრუნეს თავის სახლ-კარს და ბაღნარებს. იმპერატორ ხო ხეის დიდებული აკლდამა აუგეს. იგი მყის თვალში მოგზადდათ, როგორც კი პეკინის დასავლეთ ბიშკარს გამოცდებით. აკლდამის სახურავს მშვენებს ოქრომინანქრისაგან ნაკეთი თევზი, თითქოსდა აცურებული მეწამეთელ დაისის ხსივების ზღვაში.

ფრანგულიდან თარგმნეს

ედიშერ ბეიორგაძემ და ბეიორგი ლოლაძემ.

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ზაურ ფიფია

ქედბალს იქით...

„...იყო ღმერთი იგრი, უხვი მდინარეების მფლობელი და განმგებელი, წყალევით ანკარა და წმინდა, სიცოცხლის ფუძე და ხალისი. ჰქონდა იგრის მდინარე, რომელშიც ედგა ტახტი ოქროსი, და ქალაქი თავისი, ამ მდინარის პირას — იგრისი.

ი ნ გ ი რ ი

ჩხუტნერის მთაზე ვიდექით მე და პირიბე გვარლიანი. ნისლში გახვეულ თეთრულს მზით მოსეცადებული გვირგვინი ედგა და ნამდვილად ჰგავდა ლეშვენერის ხეობის პატრძალს შორს, მესტიაკალას იქით, უშბა იმზირებოდა ალმოსავლეთისკენ. ხეობებში დუღდა. თეთრი ნისლი და ქვეყანა რძეში განბანილ წმინდანს ჰგავდა.

მხოლოდ მწვერვალები ჩანდა ახლა აქედან. მერე ნელა გადაიყარეს ხეობებმა პირბადე და მულახის ხეობას ტაატით აუყვა მზერა:

მულახი,
ღვებრა,
ზარდლაშ,
მურშკელ,
არცხელ,
ლახირი,
ეამეში,
ჯოლაში...

აქეთ, ენგურის ხეობისკენ კი: —

წვირმი,
ფფარი,
ჰადიში,
კალა,
ხალდე...

ჭრიჭინობაკა უკრავს აქაურ ჰანგებს, ნიავკარს მზეკამანად აუბიბინებია ჩაქარვისფრებული სათიბები და ხალდურას ხეობიდან მანქანების გუგუნი ისმის.

1975 წლის 18 სექტემბერია. ამ დღეს სოფელ ხალდეზე გავლით პირველი მანქანა ამოიყვანა ლუტუშა ჯაფარიძემ ჩხუტნერის მთაზე და სურსათი და საშშენებლო მასალა ამოუტანა ქუთაისი-მესტიის ტელე-რადიო სარეკლო ხაზის მშენებლებს.

შხარგის ჭიუხებში მუჯასთან მდგარი რქასაყანწე ჯიხვები გაოცებით გადაჰყურებენ ალაპათ ახლა ვარქმოს და სადღაც ქვეყით მწყემსები დგანან. მთებად დამდგარ თვეის ბულულებს შემოდგომის სურნელება ასდით. ხარებშებმული მარხილი ფრთხილად მიუყვება საუკუნეების მანძილზე გაკეალულ ბილიკს.

... მერე ჩვენ ენახავთ თუ როგორ იწერენ პირჯვარს ხალდეშელნი, როგორ თავისუფლად ასწევს ლოდამში თამაზ რატიანი მიეწყვეტულ საჯილდაო ქვას, დავესწრებით „ჯგვიბსა“ და „ახანახას“, აკმაღლებით მურყვამთა ჭონგურებზე, „ლიღეფოს“ ეიმღერებთ პლატონ დადვანთან და მაქსიმე გვარლიანთან ერთად, მაგრამ მანამდე მოგზაურობას თავიდან ვიწყებთ.

12 სექტემბერია, ზუადიდში ვართ და ბალქედს ზემოფრ სვანეთში ვაპირებთ წასვლას,..

●

გუშინ წვიმდა. დღესაც წვიმს და სვანეთისკენ მიმავალ გზაზე მანქანების ჭაჭანებაც არ არის. დაწყეველილო, ვერ იტყვი კაცი. — დალოცვილია ეს ქვეყანა და ითქმის, მაგრამ

ნიადგარივით თქვშს გაუტიალება ზზები. ხაშამდე კიდევ არაუშავს, — ფართო ასფალტი უკვე ამოსული აქამდე, მაგრამ მერე? ფრანგიც არ არის, თორემ ზუგდიდიდან მესტიამდე ორმოციოდე წუთში ჩაგიყვანს „ანი“.

მესტია-ზუგდიდის სამარშრუტო ტაქსის მძღოლები სისხლგამშრალნი დგანან.

ავტოსადგურთან შეკჯგუფულან სვანები, — ალექსანდრე იოსელიანის ცხედარს მოისვენებენ მესტიისკენ.

„მანგვამს ჯატელი!“[1]

მახსნდება ხუდონი: — გზისპირს, ფრიალოს კიდესთან ორთავიანი ჯარგვალი დგას და ბუჩრისპირიდან გამშმნინებელი მწვადის ოხშივარი გადმოდის. ხელსგულოსოდენა სარკმელთან ოთხნი სხედან. ამ ოთხს ქოთანში ამოლესილი ლობიო, ეკალას მწნილი, მჭადი და დოქით ღვინო უდგათ. აქეთ, მეორე მხარეს, მეორე სარკმელთან კი ექვსნი ქეიფობენ. ნანადირევის სუკეტს ფაფალა ფერი დაკრავს და მწვანილ-ხორაგით დატვირთულ ტაბაკზე წითელი „ოჯალეში“ ინთხევა. მერე იმ ექვსიდან ერთი, ჩუმი, ხალოვან ტკბილი, სევდიანი ხმით იწყებს:—„სი ქოული ბატა, მა დომიტალენქო!“[2]

ღამეა და კვარის მყრთალ შუქზე სადღაც გადაკარგულ ბატას მისტერის სმღერა. კედლებზე ოჩოკოჩებივით ირხევიან ჩრდილები. დგას ღამე და უეკმობა ქვეყნის.

„ჯოფელი ვორეკ, თოკილი ვორეკ ვაშემბალენქო!“[3]

სიმღერა თანდათან გაძლიერდა. პირველს მეორე აპყვა, მეორეს — მესამე და ღამის მყუდროებაში მოგუგუნე ენგურთა შეუერთდა. მერე, როგორც დაიწყო ასევე სევდიანად მიინავლა დროგამისაგან გარუჯული ჯარგვალის კედლებში „ბატა“.

მედუქნეს კიდევ ერთი ჩაფი ღვინო მოაქვს და იმ ექვსს ფეხებთან უდგამს.

ისმევა სადღეგრძელოები:

ჭირში მყოფისა,

ლხინში მყოფისა,

გზაზე მყოფისა,

სევდიანს და სიხარულისა.

მერე, ერთი დგება და იმ ოთხთან მიდის...

არ ვიცი რატომ გამახსენდა ეს, მაგრამ... ალბათ იმიტომ, რომ ის ოთხი ენგურში დაღუპული ძმის საძებრად ბარში ჩამოსული სვანები იყვნენ და გონებაში პარალელი გავავლე ღღეგანდელსა და მაშინდელს შორის.

ამ გზაზე ბევრი ყოფილა ასეთი.

ბევრი ახსოვს ამ გზასა და ენგურს.

პირიბე გვარლიანი საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტია, მეტად მოუსვენარი კაცი, და იმას როგორ იზამს, რომ გზაში დავრჩეთ. მეორე დღეს მაინც ამოვდიგართ ხაიშამდე. გზაზე ვერსად ვპოულობ ხუდონსა და „ჯარგვალს“, — დღეს აქ ენგურპესი შენდება. ხაიშსა და ხაიშურას ნირი არა აქვთ შეცვლილი. ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
კვლავ ქველებრად კრავენ ქიუხებს და შუადღის მზე უმზერავლებთ ხავსისფერ ლოდებს.

ასე და ამგვარად, სვანეთში ვართ.

„ვილილა“ ჯაყჯაყ-ხრიგინით მიუყვება ენგურის ხეობას.

„...ცხრა დღე და ცხრა ღამე მკერდზე მიხუტებული ატარა ანგოელთ ბალიშებიანი მედუან ოჭროს საწმისი, სანამ ინგირის ნაპირებთან მუშვანს არ შეხედა. მიწას ემთხვია მზეკაბეკი და ძმობა შეპფიცა მედუას.

და კიდევ ცხრა დღე და ცხრა ღამე აღმა მიუყვებოდნენ ხეობას მუშვან, მედეა და ოქროს საწმისი, მას მერე იქ, მდინარე ინგირის სათავეებთან ინახება საგანძური“.

ამ ლეგენდას მუშნი მომიყვა ერთხელ, ერთი სვანი კაცი. მერე მსგავსი ამბავი ზუგდიდელმა ჯოტო კვირკველიამაც მითხრა და რა სასაბაზ მაქვს არ დავეჯერო მუშნისა და ჯოტოს, მით უფრო, რომ თვით ენგურია დასტური ამისა.

ათასში ერთხელ, მოსახვევებთან თუ უზარმაზარი ლოდების ძირში, ოღა წამით მიყუჩდებიან ტალღები, მორეკვებთან მართლაც ოქროს საწმისად მიმოიბნევა მოოქვილი ხხივები მზისა, სოლაშიც ოქროს ნაცეცები ეფლტვებიენ და მხოლოდ თვალების დახუჭვალი დაგრჩენია კაცს, რომ გონებაში აღადგინო ლეგენდაში თქმული. მწვერვალებს გამოქცეულ ლტოლვილს მაგონებს მდინარე, ლოდდან-ლოდზე, ქიმიდან-ქიმზე შეგფეგადან იღერება და მზით ვარაჩაჩებებულ შუადღის ეკამს ცისარტყელათა ღვარცოფია ენგური. ღამის უკუნეთში კი იდუმალებათა ქვეყანა ეძირება მასში.

ახლაც ქვეყნის დასაქცევად ჯაანებულ ოჩოკოჩს ჰგავს იგი. მის ღრიალში ძლევასძლეოებით გვესმის ერთმანეთის ხმა და ციდან ძირს ჩამოსული ნისლეული ღვთაებრივ ჩაფარეგებად გადმოძონძილა კლდის ქიმზე. მანქანის წინა საკარაქელში შავებით მოსილი ქალი ზარს. უკან კიდევ რვანი ვსხედვართ და კანტიკუნტად, გასროლილ ტყვიასავით გეგიზთაგს სულს წარაფეგზე გამავალი გზის სმკაცრე.

„წვინდაო გიორგი, დაგვიფარე შენ!“

ქვევით კვლავ ენგურია, ზევით კი — დარახტული მთები.

ზოსანინ ტირის. ტირის და მანქანას ვაჩერებთ. დიზოთან მთელი მთებია ჩამოსული ძირს. აქ ერთმანეთს ვვერდს ვერ აუვლის მანქანები. აქ ყველაზე რთული მოსახვევებია.

ვინ იცის, რამდენჯერ დაგორებულა ადამიანს ბედი დიზოს ქარაფებთან, რამდენი სიცოცხლე წაუღია ენგურს.

— ო, შალვა ხარძიან, დია, შალვა ხარძიან!

ზაურ ფიფია
ქედაბლს იქით...

— ტრის ამ სანახებში დაღუპულ შვილს შაოსანი ქალი და ამ ტრიალში სვანეთის საუკუნოვანი გოდება ისმის.

— ო, შალვა ხარძიან!

— შალვა გაბუღდან!

— რამზი ხარძიან!

— . . . . . .

— ო, დია, დია!

გზა და ენგური მუდამ იყო სვანეთის ფიქრი და გოდება. გზა და ენგური დღესაც ერთად ჩამოდიან ბარში.

— მანგვამს ჯატული გიგა, მანგვამს ჯატული!

მერე, მწვერვალებიდან გაზაფხულის ადგილ-დილად ჩამოდის „ქვირი“.

„..მესტია-ზუგდიდის საავტომობილო გზა ძირითადი სატრანსპორტო არტერიაა, რომელიც მაღალი მთის მესტიის რაიონს აკავშირებს რესპუბლიკის ყველა რაიონთან“...4

მოსახვევებში ბულდოზერები და გზის გამავანი მანქანები დგანან.

— ღერმეთოვ ჯაშ! ღმერთმა ენგური და გზას გადაგარჩინოს! — ხელაპყრობილი ილოცება მახეში.

ზ ე ურ ე ლ დ

ვიტალი სევასტიანოვმა კოსმოსში სიზმარი ნახა: — წვიმის ხმა ჩაესმა და ყველაფერი დაავიწყა ამ ხმამ, — კოსმოსიც, ისიც, სად იმყოფებოდა და ძალიან, ძალიან მოუნდა დედამიწა, დედამიწა, რომელსაც ის მალე გამარჯვებული დაუბრუნდებოდა...

აქ კოსმოსი არ არის, მაგრამ ადამიანს საოცარი სურვილი გიპყრობს, ვინდა, ფრთები გქონდეს, რომ ზვეიდან დახედო ამ ხეობებს, ჩანჩქერებსა და ლურჯ-ყვითელი ფერებით ჩარგულ დედამიწას, ვინდა მკერდში ჩიაკრა ყოველივე ეს.

იმ წვიმის ხმასა და ამ სურვილს შორისაც არის ალბათ რაღაც უხილავი ძაფი, რომელიც ადამიანს მსგავსად არ თქმული გმირობისკენ გიბიძგებს.

— ეს შენი მიწის სიყვარულია!

ამიტომ დაბრუნდნენ კოსმოსიდან გამარჯვებულნი.

ამიტომაც არიან სვანები ასე ამაყნი.

აქ ყველაფერი ვიეწყდება ადამიანს! უფრო სწორედ, ყველაფერი გაგონდება და ძალიან, ძალიან ვინდა დედამიწა, რომელზედაც დგახარ, რომელზედაც ასე მაგრად ხარ მიჯაჭვული.

იმ დღეებში მესტიაში ოთხი უცნობი მოხუცი ქალი დადიოდა. დადიოდნენ და ყოველ კოშკთან ჩერდებოდნენ, ეძებდნენ ბაჩვიბს, რომელშიაც ამ ორმოცდაათი წლის წინათ ღამე უთენენთან. ადამიანს, ვინც ჭერი დაუთმო და ამ კოშკებივთ ზვიადი სიყვარული გაატანა ცხოვრების გზაზე თვალცრემლიანები დაეძებდნენ იმ დღეების გახსენებას, რომლის მსგავსს მხოლოდ აქ, მერყეყამთა სეფულში თუ იპოვიდა ადამიანი და ლოცულობდნენ, კიდევ ერთხელ რომ ეღირსათ ამ საოცარი ხალხის საოცარ ქვეყანაში მობრძანება.

არ ვიცი, საბოლოოდ იპოვეს თუ არა იმ რომანტიკოსებმა სიუპბუკის გარდასული დღეები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სალამის მათი სადღეგრძელო აიწია მესტიაში. სიყვარულის წილ სიყვარული დაიარება ყოველ ნაბიჯზე. აქ, ამ საოცარ მთებში და ხეობებში ის, კოშკებში და ბაჩვიბებში, ამ ბილიკებში, ახლა რომ მიდუღუნები ზურუღდიდან მობრუნებული. ამ სიყვარულით შემოვიდა სვანეთში ახალი ცხოვრება:

„1931 წელს მხოლოდ 7 სოფელთან ჰქონდა რაიონულ ცენტრს სატელეფონო კავშირი“.

„ომავე წელს დაეკავშირდა მესტია თბილისს.“

„1931 წელსვე დაიწყო მესტიაში მოქმედება რადიო-სატრანსლაციო კვანძმა, სამი ხმამაღლამოლაპარაკეთ“.

დღეს კი ახალი, უფრო დიდებული ისტორია იწერება სვანეთში: — ზურუღდის მთაზე ქუთაისი-მესტიის ტელე-რადიოსარეტრო ხაზის ბოლო საღგური შენდება, სწორედ მის მშენებლებთან ეპოვიეკანა ამ დილით „ყველგან — მავალმა“.

დაეყურებ ჰაეროვლის ველს. ზურუღდის კალთებზე გადაშლილა იგი და აქედან ზღაპრული ფუნჯით დახატულს ჰგავს დაბა მესტია, რომელიც ნაცვი და ფიქალი. ანკარა წყაროები და ჩანჩქერები, მთები და მწვერვალები, დალაყოთრად მონაპარი ნიავია და ბრიწეულისფერლოყება ბიჭი მომაცილებს ტყეში.

ის „ბრიწეულისფერა“ ბიჭი სხვებსაც უხმობს და ტყიდან კიდევ ორი გამოდის.

ანზორი,

ოთარ,

დათო-

ჯოფარიძეები!

— უშმაზზე ხარ ნამყოფი? — მეკითხება ანზორი.

— ახლა მივდიკარ!

— ო, კი!

— შენ?

— მე... ავალ!

— მეც ავალ!

— შენ სვანი ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა!

— უშბაზე სვანი თუ ავა!...

— „სვანეთში ყოველი ბავშვი შეიძლება დიდი სპორტსმენი დადგეს“ — გუშინწინ მითხრა ეს სტუდენტი მეცხრის სპორტსკოლის ფირეკმორმა გიგი ჯაფარიძემ.

ჩატინტაეს აქვთ ტბაა, ქორულის ტბა. 7-8 კილომეტრანი სათხილამურო ტრასის მოწყობა შეიძლება მის მიდამოებში. ხერადლის ხეკს ოუყვება სამგორო გზა და ჭალადის მყინვარზე ზამთარ-ზაფხულ იკარგიშებენ მოთხილამურენი, მაგრამ...

.. მეცხეტაში მხოლოდ ერთი პატარა ტრამპლინია...

— „ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სიტყვიელიც არის საქართველოში მხოლოდ ერთი ალპინისტური ბანაკი რომ გვაქვს! მარტო მეცხეთის რაიონში უნდა იყოს რამდენიმე...“ — მეტყვის ხუთთოდე დღის შემდეგ, უშგულიდან „ალპამაში“ ჩასულს, ცნობილი ალპინისტი ჯოკია გუგავა.

მსოფლიო ალპინიზმის ისტორიის ფურცლებზე კი ოქროს ასოებით წერია:

მრთამი კიბულან,

გიო ნიგურიანი,

გაბრიელ ხერგიანი,

ბესარიონ ხერგიანი,

ბექნუ ხერგიანი,

გიჯი ჩუერბანიანი,

მაქსიმე გვარლიანი.

ჭიბიკო ჩართოლანი,

ოისეფ ვახიანი.

დიდი და პატარა მიხეილ ხერგიანებიან!..

...დღეს თხუთმეტი სექტემბერია. მაღლა, ზეურეულიდან უკვე აღიმართა სატელევიზიო ანძა. მაღე ტელეეკრანებთან დასხდებიან მახეშები, — ეს ნოემბერში იქნება, ანამდე კი მე ვხედავ, თუ როგორი თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებიან ქორულიდან თუ ჭალადის მყინვარიდან სვანი მთიხილამურეები, როგორ მიიწევენ ბაღლა, უშბის „სარკეს“ შეჯიდებელი ჩიტქები, როგორ ადიან გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე მათს მხიარულ სახეებს როგორ ეფერება ყირმიზზა დალი.

მე და ანზორ ჯაფარიძე მარტო მივუყვებით დაღმართს.

— გასინჯე, ასეთს სხვაგან ვერ დალევ! — მეუბნება იგი ყოველ წყაროსთან და შეც სიამით ვეწაფები ბეშეზზე გადმოდინარ სიგრილეს, რომელსაც ეროვნტელისმომვეული მარგალიტები სცვივა მეერდიდან.

მართლაც, ასეთ წყაროს სხვაგან ვერსად იპოვის კაცი..

საღამოს პლატონ დადვანთან და მაქსიმე გვარლიანთან ერთად ვმღერით „ლილეოს“.

„ო, ლილე, ჰეი, ი სქვამი ჰო!“

მიერყვამთა ქონგურებზე ირეკლება სიმღერა და მსტეფანწმინდას სანახებში მწვერვალებიდან მომსკდარი ზეკვიეთ გუბდება.

მ უ რ ყ ვ ა ბ ა

ზაგაროს ულელტეხილზე ფეხს რომ შედგამთ, თვალწინ ჯადოსნური სამყარო გადაგეშლებათ. — ჩრდილოეთით კავკასიონის უსაღლეს მწვერვალებს გაუხვევთ ლურჯი, კრიალა ცა და თეთრ სისპეტკეულ ქმეულნი დარაკობენ აქეთურსა თუ იქეთურ ნეობებს, ჯიხვებითა და არჩეკებით სავსე ჭიუხებსა და ქარაფებს. აღმოსავლეთით, მწვერვალ „ალპამს“ ფერხთთან, ცხენისწყალი იდებს სათავეს, დასავლეთით კი ენგური აზრიალებს მიდამოს.

ცხენისწყალს მხარეს ქვემო სვანეთია, დღევანდელი ლენტეხის რაიონი; ენგურის მხარეს კი — ზემო სვანეთი, რომანტიკის ქვეყნად რომაა ცნობილი მსოფლიონში.

მაგრამ სვანეთი მარტო რომანტიკა როდია.

ძველ ქართულ წყაროებში სვანეთზე არც ისე თავზეხელაყრილად გვაქვს შემორჩენილი ცნობები. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სვანები კოლხეთისა და ლაზიკის მეფეებს ემორჩილებოდნენ ოდესმაც. სტრაბონი კი წერს: — სვანები დოისკურის ზემოთ, კავკასიონის მაღალ მთებზე ცხოვრობენ და ძლიერი, მომთმენი ტომია, რომელსაც 300 რჩეულისაგან შემდგარი საბჭო განაგებსო.

ასე იყო თუ ის, სვანეთი ოდითგან შორმისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხით იყო დასახლებული, ძველთაგანვე „საქართველოს სვანეთი“ ერქვა და ქართველ მეფეთა სიმამდო დასაყრდენს წარმოადგენდა. ძნელბედობის ჟამს, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, სამეფო და საეკლესიო განძეულობა სწორედ სვანეთში იხიზნებოდა. მტერთაგან მიუკარ მხარეში ხალხი იცავდა ეროვნულ საგანძურს.

„ამიტომაცაა, რომ საქართველოში არაა მეორე მხარე, სადაც ამდენი არქიტექტურული თე ხელოვნების ძეგლი იყოს თავმოყრილი!“.

განსაკუთრებით ზემო სვანეთის, ეგრეთ წოდებული, ბალსზემოური მხარე კამოირჩევა თავისი განუმეორებელი ისტორიული თუ ბუნებრივი პანორამით.

ბედური ხელოვნების ათასობით ძეგლს, ასე-

ზაურ ფიფია

ქედაბლს იპოვ...

ულობით კოშკსა და ეკლესიებს თავი რომ დაანებებო, სვანეთში დაცული ხელნაწერებით შეიძლებოდა მსოფლიოს ნებისმიერ ერს ეამაყა.

სახარებანი: — მესტიისა,
ინცუშისა,
ლაბსყალდისა,
ჭურაშისა,
ლახამულისა,
ტვიბერისა.

კანონარი — ლატალისა.

ოთხთავები — იელისა
და...

ჰადიშისა — „ქართული ენისა და კულტურის მარად უჭირნი სანჯუ“.

ადამიანთა უდიდეს შთაგონებად გამოძერწილნან მაჩვიბების7 მოჩუქურთმებული კედლები, ისტორიას ყვებიან ეკლესიათა ფრესკები და წარწერები, აქ მეცხოვრები ხალხის ვაჟკაცურ სულსა და შემართებაზე ღაღადებენ სვანური კოშკები.

კონსტანტინე სიმონოვს უთქვამს: — „სვანური კოშკები თავისი დროის ისეთივე მწვერვალია ტექნიკისა და ისეთივე საოცრება ადამიანის გენიისა, როგორც მეოცე საუკუნისთვის — ნახიჯები ადამიანისა ზეცისკენ!“8

ამიტომაც ვთქვით, — სვანეთი მარტო რომატნეა როდია! — იგი ჯერ კიდევ მთლიანად ამოუკითხეთ ისტორიაა საქართველოსა.

ჩვენ ვიმოგზაურეთ ზემო სვანეთში. იდგა დრო ლეგენდებისა და ზღაპრული თავგადასავლების მოსმენისა, მუტყვამთა ხიღვისა, ფუტსკთა მზერისა და, რაც მთავარია, ადამიანებთან გულახდილი საუბრისა, რომელთა გულისწუხილი თუ ლოცვა-კურთხევა უკლებლივ მოგვეკვა ამ სტიქონებამდე.

სვანეთის ძეგლებს სახელმწიფო იცავს. მეცნიერები სწავლობენ ოქრომჭედლობისა და ხეზე კვეთის ნიმუშებს, კედლის გარე თუ შიგა მხატვრობებსა და ხელნაწერებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ექსპედიციებს ყოველწლიურად მზის სინათლეზე გამოაქვთ ახალ-ახალი ფუძცლები ეროს საგანძურისა, ქართველ სულიერ კულტურას ასობით ბრიშნელოვანი ძეგლი ემატება.

მაგრამ...

მიხეილ ჩართოლანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ენათმეცნიერობის სახელმწიფო ტუზეუმის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის ხელმძღვანელი:

„ზშირად გიგიონებთ ხოლმე, სვანეთის ძეგლები ჯერ კიდევ ხალხის პრაქტიკულ ცხოვრებასთან არისო დაკავშირებული და თვით ხალხი იცავსო მათ ყველაზე უკეთ. ეს ასე როდია! დღეს სვანეთში თითზე ჩამოსათვლელი თუა კოშკები და მაჩვიბები, რომლებსაც მოსახლეობა ძველებურად იყენებდეს, და თუნდაც ასეთ იყოს, იგი მაინც არ იძლევა მათი გადარჩენის იმედს! ძველმა დრომ თანდათანობით ცხოვრების პრაქტიკაც, და თითქმის, უპატრონოდ დარჩენილი ძეგლები სავალალო მდგომარეობაშია. ბევრი მათგანი უკვე გადაკეთებულ ახალი ტიპის საცხოვრებელ სახლებად, ბევრად კი სრულიად დაანგრიეს“.

მალაქია დვალი, საქართველოს კულტურის სამინისტროს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნის მთავარი არქიტექტორი:

„გულახდილად რომ ვთქვათ, ჯერჯერობით მესტიის რაიონის კულტურის ძეგლთა დაცვის საქმე არც ისე სახარბიელოდაა. სახელოსნო ამ რაიონში 10-12 არქიტექტორულ ძეგლზე მუშაობს წელიწადში, მაგრამ ამ სამუშაოთა უმრავლესობა მხოლოდ გადახურვაზე მოდის, მცირე ნაწილი კი — აღდგენა-შეკეთებაზე. ძმიმე მდგომარეობა გვაქვს, აგრეთვე, კედლის მხატვრობის რესტავრაციის საქმეშიც. შეიძლება თქვათ, აქამდე ბევრი არაფერი გაგვაკეთებია ამ მხრივ. მაგრამ სვანეთში სახელოსნომ უკვე ჩამოაყალიბა მხატვარ-რესტავრატორთა სპეციალური ჯგუფი, გამოცდილი რესტავრატორის გიორგი ჭეიშვილის ხელმძღვანელობით და ვფიქრობთ, ამ მხრივ მომავალში მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდება“.

ეს შემდგომში, მანამდე კი ინგრევა:
ფარი და ფეური,
უშხვანარი და ლაღამი,
კალა და წვირმი...

ფერმკრთალდებიან ფრესკები, ხუნდება გაუხუნარი ხელოვნება.

...მესტიის რაიონის კულტურის განყოფილებაში ერთ განცხადებას წავაწყდით, მას ხელს აწერს ზურაბ მიხეილის ძე გულეფანი და თხოვს კულტურის განყოფილებას, უშუალდგომლოს სადაც ჯერ არს, რათა თავზე არ ჩამოვნგრეს საგვარეული კოშკი.

განცხადება სამი წელიწადი იდო უჯრაში, მხოლოდ ჩვენ წაიკითხეთ იგი პირველად...

...მესტიის სარაიონო სპასუშვი, ბიბლიოთეკამ 1968 წელს მონაწილეობა მიიღო ძეგლის მეგობართა რესპუბლიკურ დათვალიერებაში და მეორე ადგილისთვის ფოტოალპარტები დაჯილდოვეს...

მას შემდეგ მესტიელ პიონერებს არც გახსენებთ ძეგლები!

ბორის კახიანი, საქართველოს კომკავშირის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი:

— „სამწუხაროდ, რაიონის ახალგაზრდებმა ვერ მოვიცალეთ ძეგლებისთვის!“ — გულწრფელად და სინანულით ამბობს ახალგაზრდა კაცი ამ სიტყვებს, მაგრამ...

სხვებმაც ვერ მოიცალეს და საქმეც ეს არის!

იქნება სწორია სამეცნიერო-სარესტავრაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო სახელოსნოს წარმომადგენელი, რომ სვანეთისთვის აუცილებელია ადგილობრივ კადრების მომზადება, რომ აქ ლაპარაკიც არ უნდა იყოს ორიოდე თუ ათიოდე ტონა თუნუქზე და სხვა ასეთ წვრილმანზე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სხვა სვანეთი არსად არის!

„ვერ მოვიცალეთ!“...

ამიტომაა რომ უშგულში — ჩაჯაში, მესტიაში — ლაკამი, შუალიში — ჩვაბიანი და ლახი- ნი სრულფასოვანი ზედამხედველის გარეშეა დარჩენილი, არადა ნაკრძალდაა გამოცხადებული ისინი!

ამიტომაა, რომ ზემო სვანეთი მთლიანად ჯერ კიდევ ვერ გამოვიცხადებინა ნაკრძალად. ამიტომაა, რომ გეგმის შესრულებისთვის ხშირად ისეთ ძგელს მივადგებით, რომელსაც რამდენიმე წელიწადს არაფერი უშავს შეუკეთებლად, ისინი კი, რომლებსაც გადაუდებლად სჭირდებათ ზურნეგი, — განხე ვერჩვენ.

მ ი ხ ე ლ ი ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი: — „ფარის სვიფის ჯვრაგის ეკლესია რამდენიმე წლის წინათ შეუხე გახეთქილა და მოსახლეობას ხის ჩარჩაში ჩაუსვამს, მაგრამ დღეს ეს ჩარჩოც დამპალა და ძგელი საცაა აღიგვება პირისაგან მიწისა. ეკლესია კი თავისი შესანიშნავი ფრესკებით მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია. მე-11-ე, მე-14-ე საუკუნეების ორმაგი მხატვრობა უნიკალურს ხდის მას“.

...ამიტომაა, რომ ვეერდებიამონგრეულნი დგანან მურყვამები.

უშგული, ხალდე, მესტია, შუალიხი, კალა, იფარი...

განსახვეთ ეს სოფლები? — ეს არის განუმეორებელი ღიაცისქვეშა მუზეუმები, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ამ მხარეს შემოხვევით თუ სპეციალურად ჩამოსული კაცი.

...ისევ **კონსტანტინე სიმონოვი:** —

„ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ვნახე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საოცარი კუთხე — ზემო სვანეთი.

„საქართველოს კუთხე“ — ეს მხოლოდ უბრალო სიტყვებია. თუ თვალს გადავაკვლევთ ჩვენი თვალუწვდენელი საშობლოს რუკას, ზემო სვანეთი, მართლაც, ერთი პატარა კუთხეა და მეტი არაფერი, მაგრამ როცა იხილავ „კუთხეს“, როცა აგერ, შენს გვერდით აღმართულ დიდი კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს შეაჯეტ მზერას, როცა მთის გამქერავალე ბაერზე, ლამის არის, ხელით შეეხო თეთნულოდის ქარაფებს, როცა აქვე, ფერხთთან, დაუოკებელი ენგური დუღს და ლეგენდარული მზედლის დაეინებით ამსხვრევს სანაპიროს ლოდებს, როცა თვალწინ ოთხი ფერი ბატონობს: ლურჯი-ცა, თეთრი-თოვლი, მწვანე-საძოვრები და რუხი-ქაფადქცეული მდინარე, და ყოველივე ამათ შორის ქვის უზარმაზარი სანთლებივით დედამიწიდან ატყორცნილან უძველესი სვანური კოშკები, როცა ყოველივე ამ საოცრებათა ხიდვით გაბრუებული დგეხარ, სიტყვა „კუთხე“, საერთოდ ამოიშლება შენი ლექსიკონიდან...

განა ეს მხოლოდ და მხოლოდ კუთხეა, სადაც შენ, ადამიანი, ამ უზარმაზარი, მარადიული ბუნების პაწაწკინტელა ნაწილად გრძნობ თავს, სადაც გარესამყაროს სილამაზე ასე უსაზღვროა, სადაც შეიძლება გაოცებული დდეობით იდგე და მაინც ვერ შეეჩვიო მის თითქმის კოსმიურ მასშტაბებს...

„...მე მაალობელი ვარ სვანეთისა, რუკაზე პატარა, მაგრამ სინამდვილეში უდიდესი კუთხისა საქართველოსი, მაალობელი ვარ, რადგან მეღირსა შემეგრძნო მისი ეს მკაცრი, განუმეორებელი სილამაზე და თან გამოყოლილი აღფრთოვანებით გამემდიდრებინა სული ჩემი“.[8] ამ სტრიქონების აეტორს არც ისე ბევრი რამ გაოოცებს ცხოვრებაში.

...ამიტომაა აქაური იგრი-ბატონის ლეგენდა, ამიტომ შეგულვება აქ „ოქროს საწმისი“ და ლეგენდარული იგრისი. ამა, ჯითხეთ სვანეთის უხუცესთ მედეას ამბავი ,ბერძენებისთვის ვერ გაუმეტებია იგი და სვანეთის მთებში შეუნახავთ ვით წმინდა მოგონება ისტორიისა. ამიტომაც ჰქვია ამ ქვესაოთარს „მურყვამ“ — კოშკი, ზეიადი „მწვერვალი ადამიანის გენიასა“, და ამიტომაც მწუდება გული, როცა „ვერ ვიცლით მათთვის“.

ლ ა ღ ა მ ი

ორღობეებს უკვე შეეპარა შავნაბადა ლაღამი. ცაზე რიგრიგობით აბრდღვიალდნენ ვარსკვლავები და ლაილას მწვერვალზე ამსხვრევა საღიაც უშბის იქით ჩაგორებული მზის უკანასკნელი სხივები.

„ლურგიმბზე“ ჩამომჯდარა პატარა მედელი. სიჩუმეა ლაღამში.

მაქსიმე გვარლიანს რომ ჰკითხო, ლაღამისნაირი სოფელი ქვეყანაზე არ არის. რად გინდა, რომ შეედგო, განა სადავოა რამე? შენ შენსას ეტყვი, ის თავისას დამეკვი და, შენ რომ გგონია, საქმე ამით დამთავრდა, მაშინ მოეხსნის გუდას თავს ეს სიტყვაუთქმელი კაცი და ბოლოს შენც რწმუნდები, რომ სწორია ბატონი მაქსიმე. აბა, პირდაპირ რომ კო-

ზაურ ფიფია
ქედბალს იპით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შკა, კეთილ ინება და შეიარე მასში, — იქ მიხეილ ხერგიანი ცხოვრობს — ჩხუმლინი. ჰო, ცხოვრობს! ხომ არ გეგონა სხვანაირად ჯერ ტყოდი, — მიხეილ ხერგიანი ცხოვრობს! გაბედე და თქვი, არაო. იქ დღესაც მღერის თავის სიმღერას „კლდის ვეფხვი“ და სიმღერა ხომ არასოდეს არ კვდება.

მე დღეს ვიყავი იმ კოშკში და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მიხეილ ხერგიანი ერთადერთია ქვეყნად, ისევე, როგორც ლაღმია ერთადერთი.

ამიტომაც გამოვეპარე უბრალო ხმებს და დავბრიალდი ახლა ლაღმის ბილიკებზე.

მხოლოდ ეზოდან გამოსვლისას მომადექნა პატარა მედუქნემ.

— იმთვისრა, ბუბა, იმთვისრა?«10

— იქით, მაღლა ავდივარ, მედუქნი, მაღლა! — და ეს „მაღლა“ სადამდე მიდის ნეტავ? ალბა, მე მედუქნისთვის არ დამისია ეს კითხვა, — ისე, ჩემთვის ვთქვი გულში და ეტყობა, თავადაც ვერ გასცეს პასუხს. ანდა რა პასუხი უნდა გასცე ფიქრებს, რომლებიც, ვინდა თუ არა, მაინც მიგაქრილნენ ცნობისმოყვარეობითა და რომანტიკით აღსავსე წარადეგნილენ.

დღეს მაცხოვრის ეკლესიის ეზოში ერთი ამბავი ატყდა: — იშვიათად, რომ ვინმე ჩამოსულს თუნდაც ოდნავ აეწოოს საჯიდაო ქვა პირველსავე ცდაზე და, როდესაც ამას, როგორღაც ვახერხებ, უხუცესი ლაღმელი, გერმანიელი ხოჯელანი ბაუში მარეიანს გოიკუბენი შესცქერის.

— ვინ არის, მარე, ეს შენი სტუმარი?

ბაუში იღიმება და თანდათან გრავდება სოფლის ახალგაზრდობა. ორღობეებიდან ერთი-ერთმანეთის მიყოლებით გამოდიან მთის ჩიკრიკით წმინდა ცირები და ჭაბუკები. ცირები ძელსკამზე სხდებიან, ჭაბუკები სვ:ფის ქვის გარშემო გროვდებიან და იწყება „ჯვგიბ“ — შეჯახება.

— შეხედე, ნინა, შეხედე! — ყველაზე მორცხვი ცირებიც ვერ მალავენ აღტაცებას და გახვიოქული ეაკეში ჯილდობეს ლაღმეში. თამაზ რატიანს მკერდადე აეკეს ქვა. სეკტემბრის მზეზე ტრიალებენ ჯანმაგარი კუნთები და გამაორკეკვების სურეილი აოკებს ყველაფერს. საჯილდაო ქვა ოთხნაირი მიდგომით უნდა ასწიო, ამას ყველა როდი ახერხებს; სეიფის ქვაზე ახტომა ყველას როდი ძალუძს, — ეს ჩრეულთა ხელფრია. ზოგი, წარაშეკრული შორდება მას, ზოგს კი თვალები უბრდღეიალებს და მაცხოვრის ეკლესიის ეზოში თოელება ბალახი, რომელსაც, ღამის არის, დაუფარავს სეიფისა და საჯილდაო ქვები. „სეიფს“ ჭიდაობა ცვლის, ჭიდაობას ისევ „საჯილდაო“ და გერმანე ხოჯელანი სინანულით ამბობს: — დიდი ხანია არ შემოსულართ ეზოში, დაგვიფუდა „ჯვგიბ!“

დღეს მხოლოდ გახსენება იყო „ჯვგიბისა“.

ნამდეილი „ჯვგიბ“ კი ზამთარში ... ლაღმაში და მას მოსავლის დღესასწაულს უწოდებდა ხალხი. წინასწარმომზადებული ყინულის ვეკლრებიდან ააგებდნენ კოშკს. კოშკის თავზე ჯვარს დამაგრებდნენ და მის ჩამოხსნაში ეკიბრებოდნენ ერთმანეთს მთელი სვანეთის ეფაკაცები. შემდეგ იმართებოდა ჭიდაობა, ტყვიის სროლა, ცეკვა-სიმღერა და, რაც მთავარია:

„...იქ მოსისხლეთ მტრებიც რომ შეხვდნენ და დაეჭიდნენ ერთმანეთს, იმათი პაექრობა მხოლოდდა ამხანაგური დავა იქნება. ხოლო ვინც ამ ადათ-კანონს არ დაიცავს, სხვას აწყენინებს და სხვისად ეწყინება, აურზაურს ატეხავს და საერთო მხიარულთას ჩაშლის, სამედამოდ მოიკვეთება სოფლიდან.«11

ზოგხელში, თიბვის დაწყების წინ კი „ახანახას“ ზეიმობდნენ სვანეთში. სათბის თავს, წმინდა ხის ძირას იყრიდა თავს გვარი. სვანმნენ არაყს და ერთანეთს ულოცავდნენ სვანეთისადგის დიდი ამბის, თიბვის დაწყებას. ნაშუადღევს თავვამოდებული იცავდა ყოველი გვარი თავის სახელს ჭიდაობაში. სკრეული ვატანაში, ცეკვაში, სიმღერაში, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ „ლილეო“ და „კვირია“, „ფერხული“ და „ცერული“, და სწორედ, „ახანახული“ ფინალი იყო — „ჯვგიბ“, — შრომით გაკეკებულ სულს ნაღოსანთა და ჩაუქობთან იმდიდრებდა ხალხი.

...ახლა კი სათაანი სიწყნარეა ეკლესიის ეზოში, ვდგეეარ და ყურს ეუგდებ ღამის მყუდროებას, რომელსაც მხოლოდ შუადღისას გათელილი ბალახის გაზმორება ურღვევს სიმშვიდეს. თვალწინ მიდგას თამაზ რატიანი, დღეანდელი დღის გმირი. ისევ ოფლში იღვრებიან ყველები და ძელსკამზე ჩამომსხდარი მორცხვი ცირები მკერდში ვერ იტევენ სათქმელს.

„შეხედე, ნინა, შეხედე!“

...მაგრამ ეს ყველაფერი წამიერი გაელვებაა სურეილისა და მეტი არაფერი. უკვე დიდი ხანია არ ეწყობა სვანეთში „ჯვგიბ“ თუ „ახანახა“, უკვე დიდი ხანია არ ისმის გამარჯვებულის ყიეინა, და თუ თამაზ რატიანის მეტმა ვერ ასწია საჯილდაო ქვა დღეს, ეს ამ მეფეწყვენის ბრალია.

საქართველოს ყველა კუთხეში ოდითგან ჰქონდათ ადამიანებს საღღესასწაულო თარიღები და მათი უმრავლესობა სრულებითაც არ იყო მხოლოდ „ღმერთების სადიდებელი“. ქართველები ზეიმობდნენ დოღის, რთველის, თიბვის დაწყებას, საძირკლის ჩაყრას და ამით ხალისი შეაქონდათ შრომაში. შეიძლება „ჯვგიბში“ და „ახანახაში“ მართლაც ერია რელიგიური ელემენტები, მაგრამ მათი სულ მცირე გადაეკეთება მოგვეცემდა ბრწყინვალე თანამედროვე ღღესასწაულს, სადაც საფუძველჩაყრილი სპორტული შეჯიბრება გადაიზრდებოდა შრომითს შეჯიბრებაში. მაგრამ ბევრგან, რატომ-

ღაც, ივ-კარგიანობის განურჩეველად, ზურგი შეეფქეიფთ მათ. არც შეეეცადეთ გაშოგეეყენებინა ისინი დღევანდელობისთვის. არადა, ესეც ხომ ისტორიაა ერისა, რომლის ნაფუძარზე შენდება ახალი ისტორია!

აკადემიკოს **ნიკო კეცხოველის** სიტყვები მაგონდება:

„მე სოფლად დღეობების წინაალმდეგი არაკეთილ შემთხვევაში არა ვარ; დღეობა, რომელიც იყო ჩვენში, უნდა ინსებიმდეს, მაგრამ არა ის სახით, რა სახითაც დღეს გვაქვს, როგორც გადმონაშთი. ამ საქმეზე დაფიქრება გვმართებს! ყოველგვარი უცნაურობების გარეშე, მარტივად უნდა შევხედოთ ამ საქმეს, მაგრამ ამავე დროს, სიღრმე არ უნდა აკლდეს და მივცეთ სილამაზე, დავუბრუნოთ სიღამაზე ჩვენს სოფელს, ჩამოვაცალოთ თუა რამე დამახინჯებული, ყოველგვარი სიმახინჯე, და გავაბრწყინოთ ის სახით როგორადაც იგი დღევანდელობას შეეფერება“.

ამ სიტყვებით ბრძენკაცმა ჩვენი რესპუბლიკის მიღოინინთი ტალღაყურებელს მიმართა.

...მურყვამთა შორის დაიარება ნახეკრმალვარე.

მურყვამში მეღუღის სძინავს, რომელიც ეიცა, ალითნზე დამადგება თავს და კედეკ ერთხელ შემეკითხება:

„იმთესრი, ბუგა, იმთესხრი?“

მე კი ისევ ავუყვები ჰაწვალის ველს, ყურს დაეუდგებ ნაძვების სუნთქვას და ყოველ ჩანჩქერთან გავიხსენებ ანზორ ჯაფარიძეს. ნაძვ ჩაფრენილი კოდალა „კიდ-კიდ“ გამიბზარავდა ყურებელ და წელში მოხრილი ფიქვები დაბაბრაგებენ ტყეს.

მერე ისევ ჩამოვალ დაბლა და სანამ ლაღამს ვეწვეოდე, გავიხსენებ დმიტრი მარგიანის მონაყოლ ლეგენდას: — უსსოვარ დროში ეიდაც გოშთელიანმა ტყე გაკაფა, სარწყავებისთვის წყალსაცავი მოაწყო, მერე გასკდა წყალსაცავი და წალეკა სოფელი. ამ სოფელს ახლა ლანჩვალი ჰქვია—წანალეკი. მეზობელ სოფელში ატირდა დაატუქეთა ჭირისუფალი, — ახლა ლაგუნიაში ჰქვია ამ სოფელს, — სატირალი ადგილი.

...გამოვიდა ლანჩვალა და ლაგუნიაზს და ვიტყვი: — „სვანეთში მოკრა კი არა, ზეელა უნდა ტყეს!“

მანამდე კი იოსელიანების ბეერდებრამნგრეული კოშკიდან გადავყურებ ლაღამს და ხმამაღლა ვიმეორებ კლდეებთან უპირველესი მოჯილდავის, ჩხუმლიანის სიტყვებს:

„...რაკი მეკითხებიან ხოლმე, ცალ თითზე როგორ ითვლერ თავსო, მაშინათვე საკიდაო ქვა წარმომიდგება თვალწინ, მერე თერი მოხუცის ზღაპრის გმირების — ბეოქილისა და ჩოლრას მამაცობა გამახსენდება და კიდევ, ზამთრობით ამავე მაცხოვრის ეზოში ჩატარებული დიდი ჯვრის ღღესასწ-ელი...“12

...უკვე ცრის და იცრიცება ღამე. სძინავს ლაღამს.

„მაულ-მაუხე!“

...როგორც კი გადაიკარა ნისლმა და ჯანღმა, ზიგზაგით ჩამოვეყეკინ ჩხუტნერის კალთებს. არწივთა საუფლოდან ნელ-ნელა ეიძირებოდით ზსარკიდან მონაბერი ბორიოს გამეკვირვალე ზღვაში და ახლად გაყვანილი გზისპირიდან მიწისა და გათიბული მელიკუდას სურნელება ეფინებოდა მთებს. ხეს გადმა-გადმოეს მთიბავები ჩამწარვიებულიყვნენ.

თიბათვე იყო სვანეთში. მოსახვევებთან მოეგბად დამდგარ თიეის ბუღლუღებში მზე ანთებდა კოცონს. მიდამოს ხანძარი ეკიდა, ხანძარი, რომელიც კი არ წვავდა ყეელაფერს, არამედ ბატანელი სერენის ხალიჩაზე შრომის დიდებულ ბოემას წერდა.

...კიდევ რამდენიმე მანქანა ამოგვეგება ადმართზე. მთელი სვანეთი ფეხზე იდგა სექტემბრის ამ დღეებში. თიეის ბუღლუღებში გათენებული ღამეების ფასად, წვიმაში და თოვლში ახლად გაკვალული ბილიკებით დადიოდა სვანეთში ამ ბოლო წლების სახელი და დიდება.

ზოგს გზაჯვ გაპყოდა მთეელი სათიბებისკენ, ზოგი კიდევ ამ გზებს მიჰყავდა მწუერვალებისკენ.

...ახლა, საცა ღამე ჩარაზავს ხეობებს. მდინარის პირას შხაპუნი წვიმა ებრძვის კოცონს და ჯიხვის მწვადები შიშხინებს ნაღვერდალზე. წრეში ჩადგმული ალპინისტური კარვებიდან სვანური ღაღანი ისმის, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან დადასს ესაუბრობთ დღევანდელი სვანეთის პრობლემებზე:

ეიორგი ხერგიანი,
სალო გვარლიანი,
კარლო გვარლიანი,
გრიშა ჯაფარიძე,
ეალერი რატიანი,
ავტოინსპექტორი შოთა ჯაფარიძე
და
მესტიის რაიონის სახალხო კონტროლის თავჯდომარე ელდარ ხვიტანი.

პრობლემები კი ჯერ კიდევ მრავლადაა სვანეთში.

...ოცდაათიანი წლების კორესპონდენტები ალტაიცენთი წერდნენ სვანეთში ამოსული პირ-

---

ზაურ ფიფია
კედაკალს ეკითი...

ველ ტრაქტორზე, კომბაინზე, ელექტრო და სა. ელექტროფონო ქსელზე, საქმიანო და სხვადასხვა ინარ პუნქტებზე, და ეს დიდი ამბავი იყო მაშინ, მაგრამ ბევრგან დღესაც კვლავ ისევ ისეთსავე მამაპაპეულ კეკრუნ ინოებსა ხორბალი და ქერი, ბევრგან, ისევ ისე, კვარი და ჭრაქი ხრჩოლავს მიჩეიბთა დარბაზებში და სკოლაში მიმავალ ბავშვებს ათობით კილომეტრის გავლა უხდებათ ფეხით. ბევრგან ისევ ისეთივე კავი ამოშავებს მიწებს, სათიბებს მესაფოდი თუ ითიბება, არადა, ვინ იცის, კიდევ რამდენ ათას პირუტყეს გამოკვებავს ეს ამბრეშემი, ახლა რომ მზეკამბალ ბიბინებს წეწერგალთა მისადგომებთან. მამა-პაპათა მარხოლს ვერ ჩამოაქეს სოფლამდე იგი. მეშახელი არ ყოფნის სვანეთს და ამიტომაც ელოდებიან მეცნიერებს ლემშვენიერას ხეობაში...

მოშორებთან კალა-უშაულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსები დგანან. სახბორის ირგვლივ იცინინებენ ჯიქანსავსე სვანური ჯილაგის ძროხები და კარაქში წელძლიერ სვან გოგონებს სულეგუნი ამოჩყავთ ბეყუნებიდან. მოწმენენალი რომ იყოს, მთვარე ლამათ, თეთნულდის თავზე დაეშხოპოდა ახლა. მუშტისხელა ვარსკვლავები სარკეზე ჩამოსხდებოდნენ და მოგეიყვებოდნენ წმინდა ლამარიასა და კვირიკეს ლეგენდას. ტეისკაცის ჯებირთა დასანგრეველ ოჭროს ვერაკებს გაადგანდნენ და შვებას მოპგვრიდნენ უწყეულს თემს.

ხალდურას ხეობას ჩურჩულით მიუყვება „კვირია“ და მხლოდ ლეგენდებში ცოცხლობენ ტყის კაცები.

მაიიო, საშა და მანანა მარგველანები, ლამარა და ლეილა ხარძიანები, კლარა და ნინო ავალიანები, და ტყუპისცალები თინა და ქეთინო გამყრელიძეები.

მწყემსები დგანან-მეთქი ვთქვი, ესენი არიან ეს მწყემსები, ამ ქიუხებში. ამოსული გოგონები!

— ჩვენ აქ არ ამოვსულვართ, ჩვენ აქ დავიმადეთ და აქა ვართ! — მეუბნებიან თინა და ქეთინო.

— არც აპირებთ წასვლას?

— წავალთ და მოვალთ, ნასწავლი ხალხი სვანეთს უფრო სჭირდება დღეს...

— სამეფიცინო გინდათ ალბათ?

— რატომაც არა... მაგრამ არც ზოოვეტია სვანეთისთვის ცუდი...

— მალე ჯიშიანი პირუტყეთ დააკომპლექტებენ სვანეთის მეურნეობებს...

— სვანეთისთვის სვანური ჯიშია ყველაზე კარგი...

ინნეზ ეურნალისტის მონაგონი ღიალოგი ეჩვენოს ეს სიტყვები ვინმეს, მაგრამ ეურნალისტის კალამი ... სინდისია მოწმე ამ საუბრისა, თვით ჩემი ნაცნობები მიდასტურებენ ამას და ამის შემდეგ არც ვიტყვ ტრაგედიას სვანეთის სოფლების ადრინდელ დაცლას მოსახლეობისაგან, ვიცი, ისინი კვლავ დაბრუნდებიან საკუთარ ერას, ამას დამიდასტურებს ხალდეშელი ციალა გასეიანი, ხალდეში რომ შეეხვედება:

— ხალდეში აქამდე მხოლოდ თერმეტი მოსახლე ცხოვრობდა. აგვიტოში სატრაქტორო გზა რომ ამოიყვანეს ჩვენს სოფლამდე, ჭას მერე ორი კომეი კვლავ დაგვიბრუნდა... ახლა კი მანქანაც ამოდის და ვინ წავა აქედან!

ამას მიდასტურებს თვით ხალდე, აღგვეი ჰიროსგან მიწისა და ალმოდგარი ჩკედრეთითკაპ.

მერე კი ხალდეში ვართ.

აქაურ ფიქალს თოფისწამლის ფერი აქვს და თოფისწამლის სუნი დაკრავს. ერთმანეთზე დაწყობილი ქვა მღერის სიმღერას:

„ჰოი, გაეე გავხეო!“, („ჰოი, გაეე! და გავხედეთ!“)

ნაკოშკარებზე დგანან სახლები.

ნაკოშკარებზე დგას ხალდე.

სოფლის ბოლოს მიჯრილნი ქედს გაჰყურებს ხალდეშელი ქალი, ციალა გასეიანი:

„ჩულუ ზერლიონ მიჯერიშო ლაშქირარო“ — („შეკრებილია მიჯერიშში ლაშქარი!)

„ძღდ იშიალდან ხალდეშ ფეაკარ!“ —(„მედგრად იბრძვიან ხალდეშელი ვაჟები!“)

„ჩდ ხარაშდ გერმაჩ ი ჭოხალ!“ — („ყველაზე კარგად გერმაჩ და ჭოხალ!“)

„ესეალ ხაფშდდან თხუმს ხატყეცდან!“ —(„ვისაც ესერინ, თავში ახვედრებენ!“).

„ფაკეარს კალა ბაფშარ იტხედან!“ — („ქუდები კალელ ბავშვებს გამოაკეთ მდინარიდან)“.

ჩანჩქერთა გუგუნში ვიწერ ამ სტრიქონებს და ფიქალის კლდეებთან გვერდიგვერდ ჩამდგარი ფიქალისაგე სახლები აბჯარასხმულ რაინდებს მაგონებენ.

„შენ ვინ დაგტოვა
უკოშკოდ, სალდევ?!“[13]

... ეს 1876 წელს იყო, — ასი წლის წინათ.

1892 წელს კი ბესარიონ ნიეარაძე ასე დაამთავრებს ამ ისტორიის თხრობას:

„... ამრიგად, 28 აგვისტოს, ერთი დღის წინათ ლაშაზი ხალდე ნანგრეეებს გროვას წარმოადგენდა. „აბრიადმა“ ამით მოათავა საქმე და 2 სექტემბერს უკან დაბრუნდა“.[14]

და ეს სინანული სამარადკამდა ჩარჩა გულში სვანეთს.

...ამ დილით კი ხალდურას სათავეებიდან მანქანას ჩამოვყვეთ.

დგანან და პირჯვარს იწერენ ხალდეშელნი:

„ტკეიცლი ჰა იცნუ?!“ — ცხადია თუ სიზმარი?!

დღეს მანქანა ამოდის ხალდემდე!

სადღაც ხეობაში გეგუნების „გაუ-გაქნ“ გმირობის დიდებული ჰიმნი.

გაველ და გაგხედე: 15 — მაჩვიბის ზღურბლთან ხელაპყრობილი ილოცებოდა მახვში:

— ღერმეთივ ჯაშდ მიშქვი ლადედ სი!

მერე:

„მზე გადიღალა

და გადიხარა“.

და ჩვენ:

„ღ»ბეს უკოშკო

ხალდეში ვათევთ“.[16]

„მოურყვამზე“ მინაწერი: — მას შემდეგ უკვე გავიდა 10-20-50-100, თუ კიდევ მეტი წელიწადი და ახლა, როდესაც შენ კითხულობ ამ გაუვთლელებულ ფურცლებს, სვანეთს საბაგირო გზები სერავენ! ავტომანქანა რაა, მონორელსებზე მიმოქრინან მატარებლები, ათეულ ათასობით ტურისტი ნახულობს ყოველწლიურად ამ სოფაარ მხარეს. ახალი სიცოცხლით ცხოვრობენ ქედლები, მათს სამუზეუმო ფონდებში მრავალი საინტერესო მასალაა დაცული. ო, რამდენი წიგნია დაწერილი, რამდენი ახალი ფურცელია გადაშლილი ისტორიისა! ეს ნარკვევი რომ დაიწერა, იმ წელ სიდნეზეზ დიდი ხნის მივიწყებული კიდევ ერთი დღესასწაული აღადგინეს — „ეილშობ“ —მტერზე გამარჯვების დღესასწაული. დასხდნენ მახვშები და ადიდეს მამულისთვის თავდადებული ბაკაცები. ეს 1976 წლის მაისში იყო. ახლა არ გიკვირს ეს შენ, რადგან უკვე ჩვეულებრივი ამბავია საერთო სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა ქედბალს იქითა ქვეყანაში. „ჭკვიბმა“ და „ახანახამ“ ახალი შინაარსი მიიღო, ახალი სილამაზით აღსდგნენ ისინი და ყოველ წელიწადს შენც ესწრები მათ, რადგან შრომა ალამაზებს ყველაფერს და ზეიმი აკეთილშობილებს შრომას. გახსოვს, 1975 წლის 13 ნოემბერს პირველი სატელევიზიო გადაცემა რომ მიიღეს მახვშებმა? — დღეს ეს ისეთივე გახსენებაა, როგორიც პირველი რადიორეპროდუქტორის ალაპარაკება სვანეთში.

და კიდევ...

მოდი წავიდეთ, ვნახოთ შენი დროის სვანეთი, მას ხომ უკვე დიდიხანია არავინ უწერდეს პატარა კუთხეს.

თუმცა... მე ახლაც იქა ვარ, ბოლო ღამე ხომ ხალდეში ვათევნე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1 სამძიმარს გიცსადებ (სვანური)

2 შენ მიდიხარ ბატა, მე მტოკებ? (მეგრული).

3 დაჭერილი ვარ, გათოკილი ვარ, არ შემბარალებ? (მეგრული).

4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 20 მაისის დადგენილებიდან.

5 ღმერთი გწყალობდეს — (სვანური).

6 Ф. Я. Соболь «Верхняя Сванетия».

7. სვანური საცხოვრებელი დარბაზი.

8 გაზეთი „პრავდა“ — 1969 წ. 3 აგვისტო.

9 ლურგიმ-სკამლოგინი (სვანური).

10 ს

თ მიდიხარ, ბიძია? (სვანური).

11 მ. ხერგიანი — „ალდის ვეფხვი“ —1975 წ.

12 მ. ხერგიანი — „ალდის ვეფხვი“.

13 ვ. ლებანიძე „ხალდე“ — სვანური რვეული, 1964 წ.

14 ბ. ნიჟარაძე — „სვანეთის აღდგენა 1875. 76 წლებში“ — გაზ. „დროება“ № 129-33, 137-41, 1892 წ.

15 გაუ გავხე — გაველ და გავხედეს ნიშნავს სვანურად, სიმღერასაც ასევე ჰქვია.

16 ვ. ლებანიძე — „ხალდე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კალენდარი

კოგა იმედაშვილი

ლიდი ნათელი

„ერთი უბრალო ეინმე ვარ,
სამშობლოს ცისა ნაყური“

ოსეტ იმედაშვილი.

ყოველი ჩვენგანის ბავშვობა განათებულია პეშშარიტი აღტაცების შუქით. ბედნიერია კაცი, ვისაც ეს შუქი ბოლომდე გაყვება ხოლმე, ვინც თავის ყოველ ნაბიჯს იმ წმინდა იდეალებით განსაზღვრავს, ბავშვის შთამბეჭდავ გონებას რომ ჩაუნერგა მხატვრული ნაწარმოების გმირმა თუ რეალურმა პიროვნებამ.

ასეთი ნათელი ჩემს ბავშვობას ვაჟა-ფშაველას „ბათურის ხმალმა“ დაადგა და პაპაჩემმა — ოსეტ იმედაშვილმა. თანაც, ორივე ერთმანეთს თავიდანვე დაუკავშირდა, რადგან წერა-კითხვის უცოდინარ ყმაწვილს, ვაჟას ეს მოთხრობა სწორედ პაპაჩემმა წაპაკითხა. გაზაფხული იყო. მე ჩვენი სახლის ფარდა ბიბანზე, ქვეღებურ საწოლში ვიწევენ. მარტონი ვიყავით სახლში — მე და პაპა. იგი იჯდა საწოლთან და მიკითხავდა „ბათურის ხმალს“. არ ეკჭარბება, მე მართლა მესმოდა კიდობანში ატეხილი ბაჯრის ქიარუნი, მართლა ვხედავდი ჰაერში მონაკვარდ შიშველ ხმალს.

მაშინ პაპაჩემი ჩემთვის სრულიად განსაკუთრებული პიროვნება გახლდათ: თავისი გარეგნობით — ჩემს გარშემო არავინ არ იყო ასეთი არაჩვეულებრივად გრძელი თმებით და წვერებით; თავისი ჩაცმულობით — თბილისში მკონი მართლა არავინ დადიოდა ნაბდით; და არავის სიყვარულზე არ ცოცხლობდა ოჯახში ისეთი რომანტიკული ლეგენდა, როგორც მისი და ჰასი მეუღლის, ანას სიყვარულის ლეგენდა იყო...

იგი მასწავლიდა დარბაისლურ ქართულს, ზრდილ სიტყვა-პასუხს; ქალაქში გაზრდილ ბავშვს მან შემაყვარა მიწა და მიწის მუშა, მაგრამ ყოველივე ამის იქით იგი თურმე საქართველოს სიყვარულსაც მასწავლიდა, სწორედ ისეთ სიყვარულს, მეცხრამეტე საუკუნის დიდმა ქართველებმა რომ იცოდნენ...

მერე, როცა კითხვა დავიწყე, „თეატრი და ცხოვრების“ კომპლექტებში ქექვის დროს ყოველ ნომერში ეხვდებოდი ხელმოწერას „ოსეთ იმედაშვილი“. ამავე ხანებში გამოვიდა „ციბრუტა“, მერე დამეჭირდა „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. იქაც ავტორად ოსეთ იმედაშვილი ეწერა.

ყოველივე ეს ყმაწვილის გონებაში ამ კაცს შარავანდედით მოსავდა. მე ძაბმდა მისი, მისი რწმენის, მისი თავგანწირვის...

მერე, წლების მერე, როდესაც იგი გარდაიცვალა, როდესაც სხვა თვალით და სხვა მიზნით წავიკითხე მისი ნაწერები, ჩვენი კლასიკოსების მიერ მასთან მოწერილი წერილები, ბავშვობის ხატი უფრო გამკვეთრდა, უფრო სრული გახდა და ჩემთვის მისი პიროვნება იქცა ყველა იმ საუკეთესოს სიმბოლოდ, რაც მეცხრამეტე საუკუნის საქართველომ მეოცეს, ჩვენს დროს უანდერძა, რაც უკვე არა მხოლოდ ჩემი, არამედ ჩვენი მედროვე ორიენტირები უნდა იყოს.

ოსეთ იმედაშვილი იმ მრავალმხრივი და ხალხისათვის თავშეწირული მოღვაწის ტიპი გახ-

ლდამ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამლმა დაუბადა საქართველოს. მეშვთა თეატრის დამაარსებელი და პირველი რეჟისორი, გარეკახეთის ერთობის ხელმძღვანელი, „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორ-გამომცემელი, ნაკატრფალ-რევოლუციონერი, პირველი ქართული სატიერო რომანის „ათა-ვათა“-ის აეტორი, ლექსიკოგრაფი... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. საქმე ბევრი იყო, გამქეთებელი კი ცოტა და ვისაც შეეძლო, ათი კაცის საქმეს აკეთებდა.

ილიას იმედშვილის ბიოგრაფია ტიპიური იყო იმ დემოკრატიული ინტელიგენციისათვის. რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გასული საუკუნის დასასრულისა და ამ საუკუნის დასაწყისის ქართული ცხოვრების ხასიათის განსაზღვრაში.

დაიბადა ილიას იმედშვილი 1876 წლის 23 მარტს (ძველი სტილით) კახეთში, ახლანდელი საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში. ბავშვობა მწყემსობაში გაატარა. ადრე დაობლდა. თორმეტი წლისა წერა-კითხვას მოეკიდა და თბილისს ჩამოსული სახელმწიფო-სასჯიანელო სკოლაში სწავლობდა. აქვე დაუკავშირდა მოწინავე მუშებსა და ხელოსნებს და ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც მეორე კლასიდან გამორიცხეს.

სახელოსნო სასწავლებელს იმედშვილი „ოგონეკებში“ თავის Alma mater-ს უწოდებს. მართლაც, ამ დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ სასწავლებელში შეითვისა მან ეროვნული და სოციალური ჩაგრისადმი შეურიგებლობა, თავისი ხალხისა და მოძმე ხალხთა სიყვარული, ჭეშმარიტი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. ყოველივეს ამას ივანაც შეუწყო ხელი, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში ისწავლა ილსებმა თათრული და სომხური, მერე რუსულშიც გაიწაფა და როგორც რევოლუციონერ აგიტატორს შეეძლო ოთხ ენაზე ელაპარაკა მუშებთან.

სკოლიდან გარიცხვის შემდეგ ოვი გაგზეგულდ დაადგა პროფესიონალი რევოლუციონერის გზას და მეკერატეტყველებს ხიბეთ დაალდოებულმა ჭაბუკმა ჩქარა გითქვა სახელი როგორც სახალხო აგიტატორმა.

რევოლუციური მუშაობის შენიღბვის მიზნით ჯორჯაძის ქუჩაზე, ჭაშვეთის ეკლესიის ქვეშით ილიას იმედშვილმა 1892-93 წლებში გახსნა ფოტოგრაფი წიგნსსავაჭრო, რომელიც ფაქტიურად არალეგალურ შეკრებათა ადგილსა და აკრძალული ლიტერატურის საცავს წარმოადგენდა. აქ არაერთხელ ყოფილან: ნ. ნაურეფილი, გ. ფერეფელი, ი. გოგებაშვილი, ანტ. ფურცელაძე, ზაქ. ბიჭინაძე, ლ. კეცხოველი, ს. ჯუღაშვილი, ს. დეკდარიანი, ირჩ. ჯორჯაძე, ვ. გუნია, მ. ჯავახიშვილი და სხვანი.

აქედან მოყოლებული ილიას იმედშვილის ბიოგრაფიაში წამყვანი რევოლუციური საქმიანობა საოცრად ეხამება ლიტერატურულ-ფაქტრალურ მოღვაწეობას, ფაქტიურად ეს ერთი მთელია, ერთი მაზნით შთაგონებული, ერთადერთი ამი ბაოთაოთ განმსჭვალული, მიგრამ სწორედ ამ ბიოგრაფიის სრულად აღსაქმელად მე მაინც რამდენიმე მომენტს ცალკე გამოეყოფ.

რევოლუციური საქმიანობა: ილიას იმედაშვილის, არალეგალური პრესის თანამშრომლობა და სამხედრო ორგანიზაციის მონაწილეობა, 1905 წელს ირჩევენ ვარეკ-კახეთის რევოლუციური თვითმმართველობის — „ვარეკ-კახეთის ერთობის“ — მამასახლისად. ამ „ერთობის“ გაწევრიტა ყოველვარი კეშრი ოფიციალურ ხელისუფლებასთან, არ უხდიდა გადასახადს, არ აძლევდა ჯარისკაცს, ჰქონდა თავისი სასამართლო... 1905 წელს იმედშვილი თბილისში ჩამოუძღვა ვარეკ-კახეთის შეიარაღებულ დეპუტაციას და მეფისნაცვალს მოსთხოვა ეურიოდან ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის გამოყვანა (ასეთივე მოთხოვნა წაუყენა ქართველი ინტელიგენციის სახელით მეფისნაცვალს ილიამ), როგორც ცნობილია, ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

1910 წელს რევოლუციური საქმიანობისათვის მიესაჯა ოთხი წლის კატორღა, რაც მეტეხის ციხეში მოიხადა.

საგამომცემლო საქმიანობა: ხალხში განათლების შეტანისა და მოწინავე იდეების პროპაგანდის მიზნით 1895 წლიდან დაიწყო ხელმაწყობილ ფასიანი წიგნების გამოცემა. პირველად მან გამოსცა ვაჟას „ბახტრიონი“, პუშკინის ლექსებისა (1899) და გორკის თხზულებათა ქართული თარგმანების კრებულები (1902), აგრეთვე ირ. ევდოშვილის ლექსები, ლ. ტოლსტოის „რისთვის ითვრება ხალხი“, „რა არის ხარკი და რისთვის ჰკრძალავენ“, სვ. ჯუღელის „ევროპა და განათლება“, თავის მიერ შედგენილი ანრეპერტუარო პიესათა კრებული „ცხოვრების სარკე“ (I და II ნაგული) და სხვ. მრავალი.

როგორც **ლექსიკოგრაფმა:** შეადგინა და 1904 წელს გამოსცა ქართველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (მეორე გამოცემა — 1918, მესამე — 1928). სხვათაშორის, ცხრაასოთხი წლის გამოცემაში „მანიფესტის“ განმარტების მომიზეზებით შეიტანა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ქართველად ნათარგმნი არ იყო და მეშვთა წრეებში მას ფაქტიურად ამ წიგნით ეცნობოდნენ.

მანვე შეადგინა „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“ — ბიო-ბიბლიოგრაფიული მრავალტომიანი ნაშრომი, სადაც წარმოდგენილია ყველა ქართველი საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფია (ნაღვაწის შეფასებით) მეოთხე საუკუნიდან

კობა ივეღაშვილი
ფედა ნათილი

(ჩ. წ.-დე) ვიდრე ოსეს იმედაშვილის გარდაცვალებამდე — 1952 წლამდე.

ამ წიგნის შედგენაზე ოსეს იმედაშვილი ნახევარი საუკუნე შრომობდა. სისხლის გათეთრებამდე (და არა სიბერემ) ამ წიგნზე მუშაობისას მოუსწრაფა სიცოცხლე. სამწუხაროდ, ეს მისი ყველაზე დიდი შრომა, ჯერაც ვერ დაბეჭდილა.

ოსეს იმედაშვილს ჰქონდა მუშაობა დაწყებული აგრეთვე „საქართველოს ისტორიოგრაფიოლოგიურ-ეთნოგრაფიულ ლექსიკონზე". ნუთუ ამ კარგ წამოწყებას არაფინ არ დასრულებს?

იყო დრო, როდესაც არ არსებობდა „ქართული ენციკლოპედიის" რედაქცია, არ იყო ლიტერატურის ინსტიტუტი, არ იყო მწერალთა კავშირი, მაგრამ იყვნენ საოცარი პიროვნებანი, რომელთაც სწამდათ, რომ სჯმე დახანებას არ ითმენდა და იქნებ საკუთარი სიმღერის ჩაჰშობის ფასადაც აკეთებდნენ იმის, რაც ხალხს პირველ რიგში სჭირდებოდა.

ოსეს იმედაშვილის შემოქმედება თვალსაჩინო მაგალითია ამისა.

მწერალთა მან დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებიდან. თანამშრომლობდა „ივერიასა", „ცნობის ფურცელსა", „კვალსა" და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს, უმეტესად რეკოლექციურ-ანტიროტული ხასიათისას.

ჰქონდა ოთხმოცზე მეტი ფსევდონიმი, მათ შორის: იხიძე, იმედი, ოსეს არიმათეელი, ი. წინამძღვარი, ი.ი, ი-ი, ი. იმ-ი, იმ-ძე, ეკიმი ზტოკმანი, ქართველი, მეკვლე, გურჯოლი, ულუფ უმეთ-ეფლი, ხაშელი, ორინი, უსავანო და სხვ.

1903-1904 წლებში გაზეთ „ივერიას" საკვირაო ფელეტონებში („ფელეტონი" — გაზეთის ქვედა ნაწილი—„სარდაფი") დაბეჭდა მისი რომანი „აახ-ვაახ!"—პირველი ქართული სატირული რომანი. ერთმა მკვლევარმა სავსებით სამართლიანად შენიშნა, მსგავსება ამ რომანის მთავარ გმირ-კოსმოპოლიტ კიკაბიძესა და ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძეს შორის. სხვათაშორის, ეს ის დროა, როდესაც ჯავახიშვილი იწყებს პირველი მოთხრობების ბეჭდვას. სწორედ მაშინ იყო, ოსეს იმედაშვილმა ჯავახიშვილი „ჩანჩურათი" „ცნობის ფურცლის" რედაქციაში რომ გააგზავნა. ეს ის დროა, შემდეგ ბრწყინვაგე მოკრთეულ ჯავახიშვილს ქართული რომ გადაეიწყებული ჰქონდა. როგორც ჯავახიშვილი იგონებს, მაშინ იმედაშვილმა მას დიდი დახმარება გაუწია, „ჩემი ქართულის ნათლია ოსეები იყოო", აღნიშნავს იგი.

და, მიუხედავად ამისა, ზემოხსენებულმა მკვლევარმა „კვაჭი კვაჭანტირაძის" გაგვლენა დაინახა „აახ-ვაახ!"-ზე. უცნაურია „ არა?" ... გვაბრაზებს ზოგჯერ ატ ტიტეტი.

სხვათაშორის, ქალაქის თემით საკმაოდ ღარიბ ჩვენს მაშინდელ მწერლობაში ეს რომანი — „აახ-ვაახ!" — საყურადღებო სიახლე იყო. დღეს იგი იკითხება როგორც მხატვრული მატიანე რევოლუციის წინაპირობიდან თბილისური დატბორებული ყოფისა.

მე ახლა ვწუხვარ, რომ მხოლოდ ყალბმა რიდმა შემაშალა ხელი როგორც ლიტერატურათმცოდნეს შემესწავლა მისი ბევრი, ძალიან ბევრი ლექსი, მოთხრობა, პიესა, პოლემიკური რომანი (— „ვანახლებული სიცოცხლე", 1920 წლის სომეხ-ქართველთა ომზე. მგონი, პირველი ქართული პოლემიკური რომანი) თუ კრიტიკული წერილი. ყოველივე ეს კი შესასწავლია, არა მხოლოდ ერთი პიროვნების შემოქმედებით პორტრეტის დასახატავად, არამედ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა ჰიანსაზე ქართულ მწერლობაში მიმდინარე მეტად საინტერესო პროცესების სისრულეში გასაანალიზებლად.

სხვათაშორის, როცა ოსეს იმედაშვილს სამხედრო სასამართლო ასამართლებდა, ერთ-ერთი სამხილად მის წინააღმდეგ მისივე პოემა „სიყვარულის ძალა" იქცა, რომელიც 1903-1905 წლებში სამჯერ გამოვიდა. მასში ასეთი მოწოდება იყო:

„ძირს ხელმწიფე. დე. დაინგრეს ტახტი მისი".

გულუბრყვილობაა, ამის დაწერის არ სცოდნოდა, რა მოელოდა. ეს ზლბათ ის შემთხვევაა, როდესაც მოქალაქეს და შემოქმედს არ ძალუძს გაჩუმება.

როგორც ეურნალისტი და როგორც რედაქტორი ყოველკვირეული ეურნალის „თეატრი და ცხოვრებისა", ოსეს იმედაშვილი, მგონი, სამაგალითო იყო. 1910 წლიდან ვიდრე 1926-ის მარტამდე, იძიებებთი „შესვენების" გარდა, იგი ბრწყინვალედ უძღვებოდა ამ მარადოც და ჩვენი კულტურული ცხოვრების მატიანეს.

როგორც ალვნიშნე, მანამდე ოსეს იმედაშვილი წლების მანძილზე თანამშრომლობდა „ივერიაში", „ცნობის ფურცელსა", „კვალსა" თუ სხვაგან. ჯერ კიდევ სახელოსნო სკოლაში სწავლის დროს დაეარსა ხელნაწერი ეურნალი „თარნ", მაგრამ ყოველივე ეს მაინც მომზადება იყო „თეატრი და ცხოვრებისათვის".

მეტსაც ვიტყვი, მაშინაც კი, როდესაც მან 1917 წელს დაიწყო საკუთარი გაზეთის „ხალხის ერთობის", ხოლო შემდეგ „ხალხის თავისუფლების" გამოცემა, მაშინაც კი, როდესაც წერდა ლექსებსა თუ პოემებს, „თეატრი და ცხოვრება" მისთვის რჩებოდა უპირველეს საზრუნავად და უპირველეს საქმედ.

ამ ეურნალს არ ჰქონდა დოტაცია, ებრძოდა ცენზურა, ებრძოდა უქალაღლობა, იშვიათად, მაგრამ მაინც ებრძოდნენ აქეე ფეხადგმული ლიტერატორები და მაინც.. ეურნალი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიოდა ყოველ კვირას. იოსებ იმედაშვილი იყო ზნირად მისი ასოთამწყობიც, კორექტორიც, დამკეცავიც, რედაქტორიც და მხატვარიც.

მეტად სანტერესო და გასაზიარებელია დღესაც, ეფიქრობ, იყო ამ ჟურნალის რედაქტორის პოზიცია. მისთვის ხელოვნება და ხელოვნების საკითხები არ იყო მოწყვეტილი მწერლობის პრობლემებს, ქართულ მწერლობას. ამიტომაც იყო, რომ მართალია, წამყვანი ადგილი ჟურნალში ძირითადად ხელოვნებას ეკუთვნოდა, მაგრამ არ იყო ნომერი მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული კრონიკის გარეშე. აქ იბეჭდებოდნენ აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, გრიშაშვილი, ტიციან ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ქუჩიშვილი, აბაშელი და სხვანი და სხვანი, აწ ცნობილნი თუ უცნობნი.

პირველი ქართული ოპერა, ქართული კინოს პირველი ნაბიჯები და მისი მომავალი, თეატრალური მუზეუმის დაარსება, აკაკის საფლავზე ძეგლის დადგმა, ქართული თეატრის პროფესიული დაოსტატების პრობლემები, ქართული მხატვრობა და მისი საკითხები, მივიწყებულ მოღაწეთა გახსენება, სოციალურ-ეროვნული, პოლიტიკური საკითხები, უცხოური და საშინაო კრონიკა და ვინ მოსთვლის, ვინ აღნუსხავს, ვინ გაანალიზებს, რა პრობლემები არ წამოეჭრა, რა საკითხები არ დაუსვამს და ზნირად გადაეჭრა კიდეც „თეატრი და ცხოვრებასა“ და მის რედაქტორს თავის მოწინააღმდეგეს თუ სხვა წერილებში.

იქნებ ეს სიძველისადმი ჩვენთვის დამახასიათებელი სიმპათიის გამოვლენა იყოს, მაგრამ მე მგონია, ასეთი სინთეზური და მობილური ჟურნალი (გამოდიოდა ყოველკვირა) დღესაც უცილებელია ჩვენი სინამდვილისთვის, ადგილი, რომელიც ეჭირა ჩვენს კულტურაში „თეატრი და ცხოვრებას“ ჯერაც შეეტანებელია.

„თეატრი და ცხოვრებასთან“ იოსებ იმედაშვილი ქართულმა თეატრმა მიიყვანა, რომელთანაც იგი ჯაბეკობიდანვე იყო დაკავშირებული — როგორც რეჟისორი, მსახიობი და დრამატურგი.

1893 წელს მან სხვა მოწინავე მუშებთან ერთად დაარსა პირველი მუშათა თეატრი (ავჭალის აუდიტორია). იყო მისი პირველი რეჟისორი და წესდების ავტორი. ასევე, მისი თაოსნობით დაარსდა 1902-1903 წლებში ისნის სახალხო თეატრი (ბურჯომის სახლში). იგიცა და მისი მეუღლეც-ანა ჟურული — იმედაშვილისა თვითვე თამაშობდნენ სცენაზე და როგორც მაშინდელი რეცენზენტები წერენ, არცთუ ურიგოდ.

მამმე იყო მათი შრომა და უანგარო: უამინდობასა და უფულობაში ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში უნდა გასულიყვნენ ფეხით, იქ ეთამაშათ. როდესაც ანა სცენაზე იყო დაკავებული, ქულისებში თავისუფალი მსახიობი ამ წუვდა უფროსი ვაჟის აკვანს. მერე, ვგონე, ღამე, დაღლილები და ტაქანცულები, მაგრამ ალბათ ბედნიერნი, ბრუნდებოდნენ ისევ მთაწინდაზე...

და მაინც.. პაპას დარჩა ექვსი შვილი.

იგი იო თავგამოდებული ავიტატორი ქართველთა გამრავლებისა. სიკვდილის წინ, სამოცდაათს გადაცილებულმა მთელი დასავლეთ საქართველო მოიარა ლექციებით, სადაც მრავალშვილიანი ოჯახის აუცილებლობასა და უპირატესობას ამტკიცებდა.

სხვათაშორის, ეს ჭირთათმენა და ხალხისათვის თავშეწირვის ფანატიზმი მარტო იოსებ იმედაშვილისთვის რომ ყოფილიყო დამახასიათებელი, მე მომერიდებოდა ყოველივე ამის აღნიშვნა. არა, ეს ამ თაობის დამახასიათებელი იყო და მეტსაც ვიტყვე: ყოველდღიური გაჭირვება მთ სულს უფრო აწრთობდა, უფრო ფაქიზსა და წმინდას ხდიდა.

ჩვენ, ჭირთათმენას გადაჩვეულნი, ზოგჯერ ძალზე მიზეზიანნი, კომფორტის მოყვარულნი და დაუცველნი გავხდით.

მთაწმინდაზე, იოსებ იმედაშვილის სახლში, არის დაცული უამრავი წერილი ქართველ მოღვაწეთა: ფაქტიურად ყველა ბარათში იგიძახნით გაჭირვებას, მოუწყობლობას. რამდენიმე ნაწყვეტი:

„იოსებ! პაპიროსიც კი არა მაქვს. რამდენიც შვებიძლიან ეხლა მომეცი და ხვალიდან თუ გინდა როგორც ვაღლ გადაგიხდი“.

გ. ეუბიშვილი“.

„ჩემო იოსებ!..

...მე ვერა ვარ კარგად მოწყობილი: ბინა, კარგი მაქვს, მაგრამ ფული გამომელია უცად და რა ვქნა არ ვიცი. კვერცხსა და რძეს თავი გავაღნებე, მაგრამ სადღის ხომ ვერ გადავეჩვევი? მე ამას ისე გწერ, როგორც ჩემს კაი მეგობარს, მაგრამ არ დამკლა, ეფერნალში არაფერი დასწერო ჩემი ხელმოკლეობის შესახებ. მე მეყოფა, რაც დამცირება ავატანე. საზოგადოებასაც ეყოფა რაც თავი შეიწუხა. სამწუხაროა და სატირალი ბევრი აქვს უჩემოთაც. სხვათა შორის ამას კიდეც იმიტომ ვწერ, რომ შენი საყვედური ავიცდინო, — ლექსს რატომ არ მიგზავნი. ერთი ლექსის გამოგზავნა ჯდება სამი შაური. სამ შაურად სამ კვერცხს ვიყიდი და ერთ დიღას გამიხალისებს. გამოვიგზავნე ორმაგი ორშაურიანი ფოსტის მარკა და იმდენივე ლექსს გამოვიგზავნი. ლექსები ბევრი დავამზადე. არასდროს არ მიმეშვენია ისე ნაყოფიერად, როგორც ახლა. მშიერი კაცი თუ ბევ-

უფრო მუშაობს. ყოველდღე ვსწერ და ძლიერ კმაყოფილიც ვარ მუშაობის.

სალამი ნაცნობებს, შენი ალბ.[1]

6. VII. 16"

„დიდად პატივცემული იოსებ!

დიდად ვწუხვარ, რომ შენს პირველ თხოვნას ვერ ეაკმაყოფილებ, რადგან მე თვითონ გავგზავნე ფულისათვის კაცი. ერთი გახვრეტილი კაპეიკი არა მაქვს.

შენი ვასილ ბარნოვი".

„ძმაო იოსებ?

აბა „მიგაჭირეგებისტალკეესე"... ეა, ეაკ ეკეესესხე მე და ელოს როგორმე ერთი ხეეი თუმანი, თუ არა რამდენსაც მოახერხებ.

იმედი მაქვს ამ ერთ კვირაში გადაგიხდი.

შალვა დადიანი

11-9"

„პატივცემული იოსებ!

ვისურვებ თქვენს დღეგრძელობასა და ბედნიერ ცხოვრებას... სხვა, იოსებ, თქვენთან ერთი შესახვეწელი საქმე მაქვს: თუ შეიძლება გამომეგზავნეთ თქვენი ჟურნალის სათანამშრომლო ბილეთი... რომ თქვენს თეატრში და სხვა რამ დაწესებულებებში თავისუფლად დასწრების ნება მქონდეს... სხვა და სხვა მიზეზების გამო ქუთაისში დიდნანს ვრჩები... თუ მოსახერხებელი იქნება, ამდენი, უსათუოდ გამოგზავნით ამ ბილთს... გიგზავნით მარკას...

თქვენი მარადის პატივისმცემელი გალაკტიონი ტაბიძე.

რეცენზიებს, რა თქმა უნდა, გამოგიგზავნიო მეც, თუ მიუდგომლობაში მენდობით! ნუ დაგვიგვიანებთ.

გ. ტაბიძე"

გალაკტიონის მეორე წერილიდან: „ამ ქამად გიგზავნით ორ ლექსს, ჩამოსცდით კი ვერ ჩამოვდიეარ, როგორც მსურდა, თბილისში. ბედმა უბინაო სოფლის მასწავლებლობა მარგუნა წილად... სძაგელი რამ.. სოფლიდან ხალხურ ლექსებს მინც გამოვგზავნით, თუ მოვახერხე... მშვიდობით.

მარადის თქვენი პატივისმცემელი

გალაკტიონ ტაბიძე

1910. 26. VIII[1]".

„ძმაო იოსებ!

ერთი დიდი სათხოვარი მაქვს და იმედი არ მეუარე.

ღღეს როგორმე უნდა შემიყვანო ოპერაზე...[2]

„...ძმაო იოსებ! ასე უნდა მოვახერხოთ: მთხოვე ბილეთი, რომ მარტო შემიშვან და ადგილზე კი შენ დასჯდები. მე მგონია შესვლის დროს ბილეთს არ გასინჯავენ და გიცნობენ კიდეც"...

„...„ერთი სიტყვით როგორმე უნდა მიშველო, რომ არც შენ დაზიანდე და მეც დავესწრო პირველ ქართულ ოპერას.

შენი გოგლა ლეონიძე".[1]

დაბოლოს ხელმოუწერავი: „მაპატიეთ, იოსებ! ქადაღდი გაძვირდა და მეც იძულებული ვარ ორივე ვეერდზე ვწერო. გულითად მოკითხვას გიძღვნით.

1916, 19 აპრილი".

არ იყო ქადაღდი, არ იყო საქმელი, არ იყო პირობები...

ახლა, ყოველივე ეს გულდაწყვეტის და გაოცების ღიმილს იწვევს. ჩვენ მივეჩვეთ, რომ ჩვენს კლასიკოსებს ყველაფერი ჭქონდათ: დიდებაც, პატივიც, უზრუნველყოფოდაც. კლასიკოსებს, რომელთაც ჩვენ მოვესწარით. მაგრამ ეს იყო ჯნის ბოლოს. ცხოვრება კი მთელი ჯნის გაელია — თავიდან ბოლოდგე.

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ტვირთი არასოდეს არ ყოფილა მსუბუქი და არც იქნება. უბრალოდ, ყოველი ფრო თავის სირთულეს მოიტანს, თავის გაკვრვებასა და თავისებურ ტკივილებს.

და მთანც...

„ოსებს!.. ამ საკვირველმა ომმა ხომ არ შეგიყვია სულ ერი განწყობილება... დიდ, ყოველ პარბოლოსობს დროს ხელოვნება ირიდლება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაფერხოს. შეიძლება, შენი ჟურნალი — ჩვენი ეურნალი ცოტა შეფერხდეს ამ ომიანობის გამო, მაგრამ აკი იცი — „მომავალი ჩვენია!"

შალვა დადიანი"

სად იღებდა ეს ხალხი ძალას და ენერგიას ყოველივე ამისათვის, რაც დაგვიტოვეს? რა თქმა უნდა, ხალხის სიყვარულში, რა თქმა უნდა, დიდი მომავლის მოლოდინში, რა თქმა უნდა თავისი მასის აუცილებლობისა და თავისი საქმიანობის მნიშვნელობის შეგნებაში და ალბათ ის ჩვეულებრივ ადამიანურ თანადგომაშიც, ყოველდღიურ ურთიერთ-შეშველებასა და დახმარებაშიც, რომლის გარეშეც არც ერთ საქმეს მოეზმება თავი — არც დიდსა და არც მცირეს.

როცა ბაპაჩკმს ეიხსენებ, ჩვენი ძველი სახლი მახსენდება, მთაწმინდაზე — ქართული აგურითა და ტალახით ნაშენი. იგი მუდამ სავსე იყო ბალეხებთ: ჩამოდიოდნენ ხაშიდან, წერაქვიდან (სადაც გაიზარდა ბაპაჩემი), ალაზნიდან, მთიდან — ვის რა უნდოდა და ვის რა. აქ ყოველთვის იზრდებოდა ვიღაც სხვა — არა ჩვენი გვარისა, მაგრამ ოჯახის შვილად მიღებული, ეს იყო სოფაირი ტრადიცია ძველი ქართული ოჯახისა — კარი ჰქონდა ყველასათვის ღია.

---

1 ალექსანდრე ალაშელი — კ. ი.

2 ეღო ანდრონიკაშვილი — ქართული თეატრის ცნობილი მსახიობი, შალვა დადიანის მეუღლე — კ. ი.

1 ალექსანდრე ალაშელი — კ. ი.

ამ სახლში ღამეს ათეული ხოლმე თბილისში ჩამოსული ვიყავ, კარგახანს ცხოვრობდა აქვე ყველასგან მიუსაფარი ტერენტი გრანელი, მერე მან ლექსიც დაწერა, სადაც ასეთი ტაეპია:

„ქრება სიცოცხლე როგორც ზღაპარი,
ჩნდება ღრუბლები ისე დაშლილი.
და გახდა ჩემი თავშესაფარი
სახლი იოსებ იმედაშვილის“.

კაცი კაცითაა.

იოსებ იმედაშვილმა თვით გამოსცადა ობლობა და გაჭირვება, მაგრამ სხვისი დახმარებით დადგა ფეხზე და მერე, როგორც კი შეეძლო, თვითვე უწვდიდა ყველას დახმარების ხელს. ამიტომაც გახდა მისი „თეატრი და ცხოვრება“ ახალგაზრდა მწერლების, ჟურნალისტების, მხატვრებისა თუ თეატრის მოღვაწეთა თავშესაფარი...

ბევრს, ძალიან ბევრს ახსოვს მადლი ამ კაცისა.

ახლა, როდესაც ვფურცლავ იოსებ იმედაშვილის ღღიურებს, მოგონებებს, მის და მასთან მიწერილ წერილებს, ჩემს წარმოსახვაში ოდესღაც ეს ადამიანებზე მაღლა მდგომი კაცი, საოცრად ადამიანურ პიროვნებად ჩნდება, რომელმაც სწორედ სამშობლოს ძალუმი სიყვარულით, ხალხისათვის თავგანწირვის სურვილით, დიდი შრომისუნარიანობით, მოქალაქეობრივი გამბედაობით მიაღწია უდიდესს — თვისი სიცოცხლე დაუმორჩილი ერის საჭიროებას. მაგრამ აქაც მას სხვათა და სხვათა მაგალითად უნათებდა გზას. მის „მოგონებებში“ ესეცა ნათქვამი, მათი ხსენებაცაა.

ადამიანი არასოდეს არაა მარტო, თვით მარტოობის ჟამსაც კი. არ არსებობს წარსული, აწმყო და მომავალი ცალ-ცალკე — ყველა და ყველაფერი გულისხმობს ერთმანეთს, შეიცავს ერთმანეთს და აგრძელებს ერთმანეთს...

შუქი იმ ადამიანებისა, რომელნიც ჩვენთან მეცხრამეტე სუუუნდან მოვიდნენ და მოიტანეს დიდი იდეალები, ალბათ ყოველთვის გაანათებს ჩვენი მომავლის გზას, რადგან ეს ისეთი ნათელია, რომელსაც თუ ერთხელ ეზიარე, ვეღარ დაივიწყებ.

მე ბედნიერი ვარ, რომ ერთ პიროვნებაში ვხედავდი ყველა იმ საუკეთესოს განსახიერებას, რაც ჩვენს უახლოეს წარსულს მოსდგამდა, მაგრამ ბედნიერი ვიქნები უფრო, თუ ის დიდი ნათელი ჩემს შვილთა და შვილიშვილთაც თავზე დაადგება.

ეს იყო ოენება დიდი ქართველებისა და ეს იყო მათი ეროვნული მისიაც.

ტერენტი გრანელი

იოსეპ იმედაშვილი

ჩემი წამება მხოლოდ ეს იყო.
და მომავალზე შენ იოსებე.
ქართველ მწერლების ძვირფას ლექსიკონს
დაფიქრებული სწერს იოსები.
და მე ცოცხალი სიკვდილს განვიცდი,
ფოთოლმა იგრძნო რხევა სიოსი.
ყველას ვაწუხებ, რა ვქნა არ ვიცი,
მიმზერს შალიკო და გაიოზი.[2]
ნელა ცვმს გული მგზავრი სამარის,
და ისევ მოდის ღამის ჩრდილები.
და ძვირფასია ქეთო, თამარი
ეს იოსების ქალიშვილები.
ქრება სიცოცხლე როგორც ზღაპარი,
ჩნდება ღრუბლები ისე დაშლილი.
და გახდა ჩემი თავშესაფარი
სახლი იოსებ იმედაშვილის.
ჩემი წამება მხოლოდ ეს იყო,
და მომავალზე შენ იოსებე.
ქართველ მწერლების ძვირფას ლექსიკონს
დაფიქრებული სწერს იოსები...

1927 წ. 3 ნოემბერი.

---

1 იბეჭდება პირველად — კ. ი.
2 იოსებ იმედაშვილის ვაჟიშვილი — კ. ი.

ფერიწლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კალანდაძე

ქანრის გამოლვიძება

ის ფაქტი, რომ ყოველდღიურ ავკარჯზე სკა-ბაასი აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა, საქართველოს პრობლემებმა პატიოსანი პასუხი მოითხოვა, მეთხელეს და მსმენელს გულახდილი მსჯელობა მოსწყურდა, ჩვენი საზოგადოების წინსვლის, სიჯანსაღის, ინტელექტუალური მომწიფების უტყუარი ნიშანია. ამის საბუთია ისიც, რომ მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა, რომელიც გადახალისებათა პროცესში მოდამ მწერლობის მხარდამხარ მიაბიჯებდა, ისევ ღირსეულ ადგილს იკავებს პრესასა და ლიტერატურაში. ამ ქანრის უნიკალობა თვით მწერლის პროფესიული ბუნებიდან, ინტერესების, დაკვირვებების, ძიების უსაზღვროებიდან გამომდინარეობს. მას ასახდიდეს შთაბეჭდილებათა სიმდაფრე, პროფესიული მოუსვენრობა, საზოგადოებრივის აქტიური განცდა, სახალხო საქმეზე ამაფორიაქებელი ფიქრი და ზრუნვა. ვის შეუძლია ასე მკაფიოდ, მწვავედ, შთამბეჭდავად გამოხატოს შეხედულებები, სხვასაც ადარნმენინოს, სხვაც აანთოს, სასიკეთო საქმის საქსახურში ჩააყენოს, ბოროტების წინააღმდეგ დარაზმოს. განა ამით არ აიხსნება, რომ ბეჭდვით სიტყვის წარმოშობიდან დღემდე აშვიათად თუ გიპოვით ისეთ მწერალს, რომელიც თავისი დროის გამოჩენილი პუბლიცისტიკა არ ყოფილიყოს!

ქართულ მწერლობას ხომ ტრადიციად გადმოეცა სპპატონ ტვერთი — გულგრილად არ შეხედოს არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ქვეყნის ცხოვრებაში და ყოველი ეროვნული საქმე თავის სისხლხორცეულ საქმედ გაიხადოს, საკითხლღიეად წარმართოს საზოგადოებრივი აზრი და განწყობილება.

გულსტკენი და ნიშანდობლივი იყო ამ ქანრის მიეწყვება ერთ ხანს, ისევე, როგორც საგულისხმიერია უკანასკნელ დროს მისი გამოღვიძება. მართალია, პუბლიცისტიკის გამოცოცხლების სურვილი უწინაც გვსმენია, მაგრამ, ეტყობა, სურვილი ბევრს არაფერს ნიშნავს.

ვის შეუძლია უარყოფა, რაც გაკეთდა და კეთდება, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რა შედეგი მოაქვს თვითდამშვიდებას, თვითკმაყოფილებას და ამიტომ გეკერდება საუბარი იმაზე, რაც არ გაკეთდა, ან რაც ცუდად გაკეთდა და კეთდება. „უკეთესი ხვალინდელი დღე“ ესაა წარმატებების განშტიკეცება, გაღრმავება, გამრავლება, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა, მაშასადამე, ნაკლოვანებებიც მუდმივი რეალობაა და საჭიროა მათი გამოსწორება, ხოლო ეს ნიშნავს: მათი შემჩნევა, ფიქსირება, ძირის მოძებნა. ამას გვავალებს ბრძოლის საჭიროება, ე. წ. სამომხმარებლო საზოგადოების პროფესიული ფსიქოლოგიის გამოვლინებებთან, რომლებიც იწვევს პიროვნების წაშლას, ადამიანის გაუსახოვას, დეპუმანიზაციას, სულიერ ღირებულებათა გაუფასურებას.

განვითარების ტემპთან ერთად, იზრდება საზოგადოებრივი აზრის დამრაზმველ-მამობილზებელი ძალა, მოვლენებში მისი ჩარევის საჭიროება, მისი, როგორც მორალური ფაქტორის როლი, პირდაპირი, მამხილებელი მსჯელობის მნიშვნელობა.

თუ პუბლიცისტიკის ხარისხი მუდამ გამოხატავდა ხალხისა და დროის საზოგადოებრივი აქტივობისა და ინტელექტუალურ-სულიერი ცხოვრების ხარისხს, მაშინ ნათელი გახდება ეახატანგ ჭელიძის წიგნით — „ფიქრები ხვალინდელ დღეზე“ — გამოწვეული ინტერესი და სიხარული.

ამ პუბლიცისტური წერილების, მემუარების, ესსეებისა თუ გამოკვლევების თემატიკურ მრავალფეროვნებაზე მსჯელობა იმდენად აუცილებელი არაა, რამდენადაც მათი თ ე მ ა ტ ი კ ი უ ნ ი კ ა ლ ო ბ ა ს ბაზგასმა. ამ ნაწარმოებებში გამოცოცხლებულია ისეთი საკითხები, რომლებიც დიდი ხანია გამჭრალა მსჯელობის არენიდან, ანდა, საერთოდ, პიტ-

ველად იქცნენ განხილვის საგნად. ეს არის, უმეტესწილად, მწვავე და გადაუწყვეტელი საკითხები, რომელთა მიმართ ინტერესს აძლიერებს საზოგადოებრივ მოვლენათა დახასიათების ლიტერატურულ-მხატვრული ხერხების თავისებურება, უხმაურო კრიტიკული პპოოსი, კარგად შერწყმული საქმიერობა და ლიტერატურულობა.

თანამედროვეობის რთულ ურთიერთობებში არსებობს და წარმოიშობა ადამიანთა შორის დამოკიდებულებანი, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მისი უთვალავი განტოტებებისადმი მიმართების აუარაკეული ფორმა, რომელთა ასე თუ ისე შეფასება, უბრალო ფიქსირებაც კი, თითქმის შეუძლებელია. მხატვრული მწერლობა, ხელოვნება, თავისთავად ცხადია, ყოველთვის ვერ ასწრებს დროულად რეაგირებას, მმართველობა ჩაჰვეს, ან კი, წარმძოსადგენია, რომ ყველაფერი ეს კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული ჩარევის საგნად იქცეს? ზოგჯერ, საკმარისია, ან, უფრო სწორად, დაძლევისა და წარმართვის ერთადერთი გზაა — მათი პუბლიცისტური განხილვა და შესაფერისი საზოგადოებრივი აზრის შექმნა.

3. ჭელიძის წერილების მკითხველს განმარტება არ დასჭირდება, რა უსაზღვროა ამ წერილებში თუ მსხვილშინა პრობლემების სიერცე და რამდენად აქტუალური მათი საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანა. ესაა არა მხოლოდ უკვე ძლიერი ცეცხლის ორეერტრებში მოყოლილი „ტრადიციები“: ჭელეხი, ჯუმბეზერი ქორწილები, დღეობები, ეგოიზმი, თვალთმაქცობა, მლიქნეველობა, „ჩაწყობები“, სიყალბე, ინტრიგანობა, „ტარიელ ჭალავაძეობა“, კინკლაობა, არაფერ მოკიბული თვისებების ზნეობრივი მანკიერებანი, რომელთაც არა ნაკლები ზიანი მოაქვთ საზოგადოებისათვის და იმითაც არიან საშიში, რომ შეუთარგალელი თვალსთვის ძნელად შესამჩნევია. ვის შეუძლია თქვას, თითქოს, მორალური ფესვების გადარეცხვის საშიშროებით საზოგადოებრივად ნაკლებ საზიანო იყოს, მაგალითად, ამბიციის მანიკური გამოვლინებები, ზომიერებისა და მოკრძალების შესუსტება, განურჩეველობის დანერგვა, საზღვრების გადაშლა ღირსებისა და მანკიერებას, ნიშნა და უნიჭობას, ცოდნასა და უმეცრებას შორის.

3. ჭელიძის „ეპისრისა კეისარსა“ დღესდღეობით ერთადერთი დასაბუთებული მხილებაა ღირსებათა გაუფასურება-ნიველირების ბორხტი „ტრადიციისა“, რომელიც ხელოვნებასა, ლიტერატურასა და მეცნიერებაშიც კი იჩენს თავს. თუ აკაკისა და ვარდენ ყიფიანის ცნობილ შესტაკებაში ეს მომენტი ლიტერატურული ხუმრობის ჩარჩოში დარჩენილა, შემდგომ ზოგიერთნი ცნებების მანიპულაციასაც არ მორიდებიან, რათა კარგისათვის ცუდი ეწოდებინათ, ცუდისათვის კარგი, ნიჭიერისთვის უნიჭო, უნიჭოსთვის ნიჭიერი, მხატვრულად უსუსურისათვის გენიალური, გენიალურისათვის „მხატვრულად სუსტი“ და მისთ.

ამ განზრახვათა შესრულების ფილოგრანულობა გვიფიქრებინებს, რომ მათს სულისჩამდგმელებს შეენიერად გაეგებათ ნიველირებისა და განურჩეველობის დამღუსველი ზეგავლენა ეროვნულ-საზოგადოებრივ ფსიქიკაზე. ერთმა ხელოვანმა საფუძვლიანად, ღრმა პროფესიული საბუთებით გააკრიტიკა ფესვგამდგარი ნაკლოვანებები. გაკრიტიკებულებმა თავდასაცავად ვერაკეთარი არგუმენტი ვერ მოიყვანეს, სამაგიეროდ, გამოძებნეს ვერაგული მოდუსი: „რა ვუყოთ, მაგას თავისთავი მეტის ღირსი ჰგონია და უკმაყოფილოა!“ საკმაში ჩაუხედავ ადამიანთა თვალში ეს თითქმის საკმარისია პატიოსნებ კაბათის ჩასახშობად, უკანონობის შესაფარავად. რა თქმა უნდა, ამ პრობლემისადმი დამოკიდებულება კარდინალურად განსხვავებულია იმათ მხრივ, ვინც ქეშმარიტად ხელოვნებას ემსახურება და ვინც უბრალოდ თავის გულს ჭიას ახარებს.

რათა მოვლენამ ღირსება და ქეშმარიტ მნიშვნელობა დაკარგოს, ზოგჯერ, ულიჩსს ღირსეულეზე მაღლა აყენებენ („მოადგილეზ იმიტომ ლ[illegible]ნშნე, რომ საკუთარი ჭკეა არ გაგეს!“; „ჩვენ ყველა ერთნაირი ვართ!“ „ბრაკაცი არაკაცზე ნაკლები არაა!“ „წვრილშვილიანია, დისერტაცია დავაცეეეინოთ“; „იმ მეტიჩარას ჯიზზე, ამას მიეცეთ ჯილდო“; „მავანის გულზე გასახეთქად მაკანს მივანჭოთ პრემია!“, „ეეოფა იმას, ახლა ამას მიეცეთ!“, „კაი ადამიანია, ცოტა ხელფასს მოემატება“).

უთუოდ არ მოიპოვება ლიტერატურული პრესის მკითხველი, რომელსაც გულში არ ჩაბეჭდოდეს ვ. ჭელიძის წერილები: „რასაც ყოველდღიურად ხედავს თვალი“, „ვისწავლოთ ტელევიზორის გამორთვა“, „როდის წაიკითხოს ადამიანმა „ომი და მშვიდობა“, „ჩავიხედოთ ჩვენი შვილების სახელმძღვანელოებში“, „წიგნი“, „ჩვენი ქალაქების ფასადი“, „ბუნება და ადამიანი“. მათში შესაბამისი კუთხით გაშუქებული დიდი თუ მცირე საკითხები სერიოზულ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ფსიქიკაზე, წინმსწვლელობაზე. ერთი შეხედვით, ირონიის მომგვრელია მტაცება, „კარი სალამი“, „ტანელი ღიმილი“, თავაზიანი დამოკიდებულება უშეალოდ მოქმედებს ზრომის ნაყოფიერებაზე, საწარმოო წარმატებებზეო, მაგრამ ხომ უტყუარი ფაქტია, რომ უხეში მოპყრობის გამო („თუ უქმური ვინმე შეგხვდა დილითო“) ადამიანებს ინფარქტი მოსდით ან რამდენიმე

ალექსანდრე კალანდაძე
ანრის გამოდგიმება

ხათს მაინც კარგაეულ მდელვარების დასამშვიდებლად.

სერიოზულად ჩამოფერა ამ წიგნში ჩამოყალიბებულმა ტექნიკის „ეუტოტუტელი მონაპოვრებისაგან“ „ნორმალური განრიდების“, დისტანციის დაცვის კონცეფციამ. ყველას მოეხსენება, რა ძვირფასა წამალი საჭირო დოზით და რა დამღუპველია მისი გადამეტებით მიღება. ალბათ, ასე უნდა შეეხედოთ ტალვეზორს, ზადიოს, კინოს... რა მართალი და სვედანი ირონია მწერლის რეპლიკებში: „ახლა ზღაპარსაც რადიო უამბობს ბავშვებს!“ ხმაც ბებიაზე „კარგად აქვს დაყენებული, დაქციაც არ შეიშლება“. შვილიშვილს კი მაინც ბებიისა და ბაბუის ზღაპარი ურჩევნია. ბოლში ტკბილ მეგობრულ სიმღერას ადარ ღღიღინებენ: „სპიდოლა მღერის“ მათ მაგივრად „სტადიონს მაყურებელი მოაყლდა“, თეატრსაც მოაყლდა, წიგნს სულ იშვიათად ეკითხულობთ. „დავმძიმდით, დავსქელდით“.

ეუთოდ დამეთანხმებთ, რომ დამაფიქრებელი სიმპტომებია, მომავლის ნაფლინანი კონტურებია! მაგრამ, საბედნიეროდ, ცივილიზაციის ისტორიიდან ვიცით, რომ დიდ ტექნიკურ მიღწევებს მხლოდ დასაწყისში მოსდევს უკიღურესობანი, მერმე, ყველფერი თანდათან კალაპოტში დგება, ადამიანი თავის ადამიანურ ბუნებას უბრუნდება. ლოგიკურია, სულ მაღე სიცილით გაიხსენებენ ახლანდელ „სატელევიზიო მანიას“, სტადიონებიც უწინდებურად გაივსება და თეატრებიც, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენც კონტროლი გავუწიოთ საკუთარ საქციელს, დავტკბეთ იმით, რაც ეუშვარტ ტკბობას გვანიჭებს?!.

ეს რა წერილნაირ „პრობლემა!“ გაელიმება ნიპილისტს. მომიტევეთ, განა წერილმანია, რომ მწერლის შემოქმედებას მისი წიგნებით კი არ ვიცნობთ, არამედ კინო და ტელევიზენრებით? ეს ხომ ლიტერატურის სპეციფიკის გაჭრიას მოასწავებს? სავნური, თეატრალური ხომ ჩანასახსა და ჩანფიქრშივე სრულიად განსხვავებული ეანრია?! განა „ტომ სოიერს“, „ანნა კარენინას“, „ბოვარ ბოვარის“, საერთოდ, ეუშარტად „დიდ ლიტერატურას“ ტელე, თეატრალური და კინოდადგმებით ეიგრძნობთ?! მათ ხომ: „შუა ეუძეთ დიდი ზღვანი!“

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ვითარებაში თანამედროვე მოქალაქის სულიერ-ინტელექტუალური აღზრდის ბევრ ორსებით მაჯრეს წარმოგვიჩენს წერილები: „როდის წაკითხოს ადამიანმა „ომი და შვიდობა“ და „ჩავიხედოთ ჩვენი შვილების სახელმძღვანელოებში“. მწერლის პროფესიული თვალი ამ სფერომიაკ ისეთ ტკივილებს ამჩნევს, რომლებიც შესაძლოა, დარგის სპეციალისტებს შეუმჩნეველი დარჩეთ. არგუმენტირებული მსჯელობა, ეოვალი მაგალითები გვაღელვებს პარმონიული განვითარების საკარაუდო პერსპექტივებით. მთელი სისრულით დგება დიდი კითხვა-ნიშანი ადგილს დაიკავს ხელანღული ადამიანის სამყაროში სულიერი საგანძური, რომელსაც უთუოდ ყველა უნდა ეზიაროს, თუ სურს, ადამიანად დარჩეს. პრობლემის სირთულე ცხადად წარმოეკიდგება, როცა მწერალი განსაზღვრავს მხატვრული ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, თეატრის, „ეე ეოქვეთ, „სავალდებელო მინიმუმს“. იქნება, ეს მსჯელობა ასე ეფექტური ვერ ყოფილიყო, ავტორს მრავალ ასპექტში რომ არ ეჩვენებინა ბინის მნიშვნელობა. „ამ კიბეს სხვა თავისებურებაც აქვს. მისი ერთბაშად არბენა არ შეიძლება. ნელ-ნელა უნდა აიაროს ადამიანმა“. ამას ემატება, რომ ბავშვს ეოტა დრო რჩება თამაშისა და ოცნებისათვის, მეცნიერულ-პოპულარული, სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურისათვის.

სპინტერსო მსჯელობას მწერალი მიჰყავს სასკოლო პროგრამების ეონეგრიული გამარტივების მოთხოვნამდე, სასკოლო სახელმძღვანელოების სრულყოფის გზით შემოკლების აუცილებლობამდე

იშვიათად თუ იპოვება წიგნის სიყვარულითა და ეოდნით, მის დღეკვანდელ და ხვალინდელ დღეზე ზრუნვით აღსავსე ასეთი წერილები. აკაა სამართლანი აღშფოთება, რომ ყოველგვარი ხაღტურა იოლად იკვლევს გზას სამეკნო მაჭანისაკენ, რის გამოც უდიდესი სიკეთე უდიდეს სიმახინჯედ ექცევა: აქვეა აქტეალური და რატომღაც მივიწყებული ეუშმარიტება, რომ ყოველ წიგნს, თუნდაც ამრეშეშის ეკის მოცალ-პატრონობასა თუ ტორფის ამოღებაზე, უნდა ჰქონდეს საკუთარი კომპეზიცია, იდეა, მიზნადასახლობა, სტილი, ენა და თხრობის მანერა, უნდა იყოს მიმზიდველი, ეკითხებოდეს ინტერესით, მაშასადამე, ყოველი ავტორი მოწოდებით მწერალი უნდა იყოს. საუბარია „ბუკინისტურ წიგნზე“, ძველ შეგანობრებსა და გამომცემლებზე. გვაგრძნობინებს წიგნის ცხარე სურნელ, „წიგნის რომანეკეას“.

ამ ბოლოს ხშირად წერენ პროვინციალიზმზე, ალბათ იმიტომ, რომ საზოგადოებს უმრავლესობას ეს საკითხი აღელვებს და მისი დაძლევა შესაძლებლად მიაჩნია. ყოველგვარი პროვინციალიზმისადმი შეურიგებლობა დიდ გავლენას ახდენს ამ წიგნის საერთო სულისკვეთებაზე. თავის მხრივ, ეს სულისკვეთება ქმნის ცრეპატრიოტიზმის, იაფფასიანი ეროვნული ბაქიობის მიმართ ამ შეურიგებელ განწყობილებას, რომელიც ხელს უშლის სალი ეროვნულ-ინტერნაციონალური ფსიქიკის გამომუშავებას. მომეწონა **ეკომპლიმენტი** ამ მხიერა ეულუბრაყვილო, **მეოცავი** შეხედულებებისა, თითქოს ჩვენი **სამშობლოს მთავარი** სიმდიდრე **მისი ლამაზი ბუნება** იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს, საქართველო ცით ბოძებული სამოთხე იყოს, სადაც ყველაფერი მზამზარეულად და გაუჭირვლად გვეძლევა.

სასწორის ერთ პინაზეა ეს გულუბრყვილო თვითდასჯრდატირება, მეორეზე — ისტორიული ჭეშმარიტება, რომ ჩვენ ბუნების მოწყალებით განებივრებული ფერიები კი არა ვართ, არამედ მშრომელი, შუბოვარი, ბედის მორკინალი ხალხი.

ასეთ ჯანსაღ ეროვნულ კონცეფციის ამდიდრებს კაკაცასის ხალხთა ძმური მეგობრობის წარმოიჭვნა.

რამდენჯერ მოგვისმენია თაობათა ურთიერთობაზე მსჯელობა, მოკამთეებს ზოგჯერ ყველაფერი ასაკობრივ განსხვავებამდე დაყავთ; ვ. ჭელიძის „ოსტატი და შეგირდიც“ ამ დიდ პრობლემას აშუქებს, მაგრამ სულ სხვა თვალთახედვით. ის საქმიანად მიუთითებს, რომ უფროსი თაობა, ოსტატი, ვალდებულია თავის დარგში ღირსეული ცვლა მოუმზადოს საზოგადოებას, რა ნათლად წარმოგვიდგენს მოყვანილი მაგალითები წერილში დასახელებულ პირთა არა მარტო მეცნიერულ, არამედ მოქალაქეობრივ-ზნეობრივ სახეს, და, რა უბადრუკად გამოიყურებიან ამ ფონზე „დარგის ის მეთაურები“, რომელთა „შეგირდების“ დასახელებაზე, შესაძლოა, თვითონაც სიწითლე მოერიოთ! ან კი რა უნდა იყოს იმაზე დიდი დანაშაული, ვიდრე შენს ხალხს, შენს ქეყანას დაუტოვო უნიჭო, უმეცარი, ეღიპრა „მოწყალეები“. ბოლოს და ბოლოს, აეცალეგბელია, დროდადრო შეეკითხოთ პატივცემულ ოსტატებს, ვის სტოვებენ თავიანთ დარგში, რა პრინციპებით ხელმძღვანელობენ „შეგირდების“ არჩევისას? გამსჭვალულია თუ არა მათი მოღაწეობა მეცნიერების სიყვარულით, ახალგაზრდობის სიყვარულით, პატრიოტიზმით, რომელზედაც ყველა ბევრს ვლაპარაკობთ. ეს ორი სტუკვა: „ოსტატი და შეგირდი“, ხომ მართლაც, გაცილებით იმაზე მეტს ვამბობენ, ვიდრე თითოეული ცალ-ცალკე. ვინც, ცოტა გვაქეს ცალმხრივი მოღაწეობაა მაგალითები, როცა „შვილი არა თუ ვერ სჯობია მამას“, არამედ მისი აჩრდილიც არაა, მაგალს კი, მოგეხსენებათ, ის უჩრეკენა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

დიახ, ყველაფერს პატრონი და მოგალა სჭირდება, ყველა ღიდსა თუ პატარა საქმეს, ხოლო მწერალს, რომელიც ასე ავლენს და აშუქებს მტკივნეულ მხრეებს, საქმიანი წვლილი შეაქვს ხალხაღიებს სულიერ-კულტურულ წინსვლელობასა და გადახალისებაში. თემატური აქტუალობისა და უნიკალობის, მეცნიერულ-ლიტერატურულ მონაპოვრთა მიუხედავად „ფიქრები ხვალინდელ დღეზე“, შესაძლოა, განსაკუთრებულ ადგილს ბევრ ვინ დაიკავებდა თანამედროვე ქართველ მწერლობაში, ამასთანავე, რომ არ გამოირჩეოდეს ორიგინალური პუბლიცისტური სტილით, რომელშიც შერწყმულია კლასიკური და თანამედროვე მხატვრული პუბლიცისტიკის საუკეთესო მონაპოვრები. ყურადღებას იმსახურებს როგორც პრობლემები, ისე მათი გაშუქების თავისებური მანერა, მსჯელობის გაშლის ფორმა, გულისკენელის მგზნებარება და უშუალობა.

პუბლიცისტური წერილი, საერთოდ, ძნელი წასაკითხავია და ვინ წაიკითხავს ისეთ წერილს, რომელშიც საკუთარ დაკვირვებათა მაგალი არ ფავთს და გაბრწყინებეული არაა საკუთარი ნაფიქრით, ნაზრევით, გამოტანჯული ეშმარიტებებით, და ყოველივე ეს გადმოცემული არაა შესაფერისი მოფლიდნელი ფორმით.

3. ჭელიძის მოქალაქეობრივ-პუბლიცისტური პათოსი ვლინდება როგორც ფაქტებისა და მოგლენებისადმი დამოკიდებულებაში, ისე მათს შერჩევასა და მიწოდებაში. ეს წერილები ამტკიცებს, რაოდენ ფართო, მრავალფეროვანი და ღრმაა ჩვენი თანამედროვეობის ინტერესები, სულიერი სამყარო, საზრუნავი და საფიქრალი, რა დიდია ჩვენი ინტელიგენციის, მისი მოწინავე რაზმის — მწერლობის პასუხისმგებლობის შეგნება, ხალხს საკეთილდღეოდ აქტიური მოქმედების მისწრაფება და სულიერი ენერგია.

პუბლიცისტის სიტყვა ეხმიანება საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებს, თვით ავტორი ამ ბრძოლის უშუალო მონაწილედ წარმოგვიდგება. რაკი პუბლიცისტიკის მიზანი მკოთხველთა გართობა კი არაა, არამედ გარკვეული ოვალსაზრისის გამომუშავება, განსჯა, შეიძლება, პრავის ისე არ მართებდეს, ასეკრ გაზოთის და ეროხელ გაჭრას, როგორც ღღეკანდელ პუბლიცისტს.

3. ჭელიძეს უნარი შესწევს ვული აუდღოს მკითხველს, აადღეოს, გაითანაზიაროს, საქვეყნო საქმე თავის ღვიძლ საქმედ წარმოესახოს, ძალად თავს კი არ მოაჩვიოს საკუთარი აზრი, არამედ ფაქტებთა და ანალიზით მიიყვანოს სასურველ დასკვნამდე, განწყობილების, შენთავსებამდე. ფასეულია ისიც, რაც პირდაპირი მსჯელობის მიღმაა: განწყობილება, სულისკვეთება, სიმპათია-ანტიპათია, ემოციები, პრაქტიკული, საქმიანი მოღაწეობის მათოსი. ეს ნაკოფია არა მარტო პუბლიცისტური ხელოვნების საიდუმლოებათა ცოდნისა, არამედ ავტორის სულიერი გამოცდილებისა და შთამეტდილებათა ხასიათისა. წერილები აღსაქვა მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების რწმენითა და პრაქტიკული შესაძლებლობით. მათ ავტორს შეუძლია არა მარტო აღმოაჩინოს ფაქტები და საკითხები, არამედ

ალეკსანდრა კალანდაძე
ეპანრის გამოფენიება

შესაფერი სახელიც დაარქვეს მათ, მრავალპრობლემიანობა სიღრმესა და მასშტაბურობას ამბატაბს ამ წერილებს.

საკუთარი სისტემი ნაწერია, უთქვამთ მეგრძოლ პუბლიციტტის ნაწარმოებებზე. რა კარგად გამოხატავს ეს ფრაზა ამ ქალის შემტევ იდეურობასა და პატრიოტულობას!

სერიოზულ მონაპოვარად უნდა მივიჩნიოთ ავტორის მემუარული ჩანაბატები, რომელთაგ მხატვრულ ლიტერატურაში არსებობის სრული უფლება ეკუთვნით, განსაკუთრებით, ამ ქალის უსამართლოდ მივიწყებისა და ზოგი „მემუარისტის“ მხრივ, მისი ოღიოზურობამდე დაკნინების დროს. მემუარი მუდამ ეპოქის სარკე და სულიერი დოკუმენტი იყო, ამიტომ გაკიცხვის ღირსია ისეთი „მოგონებები“, რომლებშიც გადარიბებულადაა წარმოსახული ჩვენი ხალხისა და მისი სამაყო შვილების ცხოვრება-მოღვაწეობა. განა, მკრეხლობა არაა, როცა გამოჩენილ პოეტზე „მოგონება:“ იმით ამთავრებენ, თუ რომელ სარდაფში შეხედა „მემუარისტი“ მას, რა ჭამეს, რამდენი დალიეს!? სახელოვან ადამიანთა შინაგანი სამყაროსა და სულიერი ცხოვრების აშკვარი გაღატაკების, „მემუარისტის“ სულიერ-ინტელექტუალურ დონეზედ დაყვანის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს. რატომღაც კარგი მემუარი უფრო იშვიათი გახდა, ვიდრე კარგი ლექსი ან რომანი. ეს გარემოება ერთთორად ზრდის ვ. ჭელიძის მემუარული პორტრეტების ლიტერატურულ მნიშვნელობას.

ვ. ჭელიძე ახლოდან გვიჩვენებს „გულჩაფეული“, „მიუკარებელ“, ძნელად ამოსაცნობ, ერთი შეხედვით, „ზვიადი“ ადამიანებს, სწორედ მათ, ეს პიროვნულ თვისებებზე გარეშე მაყურებელს, შესაძლოა, სრულიად უსამართლო წარმოდგენაც კი ჰქონდეს. დაგაგვიშლა რა მათ სულიერ და პრაქტიკულ სამყაროს, გვაინტერესებს, რომ, სინამდვილეში, ეს ადამიანები სრულებითაც არ ყოფილან ისეთი, როგორიც შორიდან გვეჩვენებოდა, ან როგორც ავიმოსსურნენი გვისახავდნენ, ან კიდევ როგორნაც თავიანთი შემომქმედებითი და, ვინ იცის კიდევ, რა ტკივილების გამო, ჩანდნენ.

ადამიანი, ინტელექტუალური პიროვნების შინაგანი სამყარო, უთუოდ ქვეყნიერების უდიდეს საიდუმლოდ რჩება, ხოლო მისი წარმოჩენა, ისიც მემუარულ ჟანრში, ყველაზე დიდ ხელოვნებად. ძნელია ყოველდღიერ ორიმტრიალში, ადამიანთა შორის გარეულებულ უთანეფრთობებში ამოიცნო დიდი, პატიოსანი გული იმ ადამიანებისა, რომელთა ნამდვილ ხასიათსა და არსს გარეგანი ნიღაბი ფარავს. „გაბსნილი ხასიათებისაგან“ განსხვავებით „გართულებული ნიღბების“ ამოშიფვრა, დიდ სიფრთხილე მოითხოვს და დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მემუარისტს.

როგორც ვ. ჭელიძის მემუარებიდან ჩანს, ეს „მიუკარებელი ადამიანები“ სრულებითაც მიუკარებელნი არ ყოფილან; თითქოს ერთ-ერ ლად დასაშეგობრებელნი“ ყველაზე ტრაგიკული ერთგული მეგობრები ყოფილან, „ძმიკ ხასიათისანი“ და „ზვიადნი“, სინამდვილეში უბრალონი და სათუნთი ადამიანნი ნამდვილნი.

მემუარული მწერლობის ნიმუშად დარჩება ერეკლე ტატიშვილისა და ალექსანდრე საკაია პროტრეტები, რომლებშიც როგორც სულიერ-ინტელექტუალური სამყაროს წვდომით, ისე ყოფითი-ხასიათოო ნიუანსებით, წარმოდგენილია ღრმად ინდივიდუალური, ჩამაფიქრებელი და ამაღელვებელი სახეები.

ერეკლე ტატიშვილის მონუმენტური სურათი, თავისი სულიერი და ფიზიკური თვისებებით, მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს უაღრესად რთული დროის ქართველი ინტელიგენტის მდგომარეობასა, მოვალეობასა და ჩრმ თავდადებაზე.

ჭაბუკური სიყვარულით, გულუხვად, ფერადაშუქვაელად მოხატული ალექსანდრე საკაიას პორტრეტი. სულიერი ფეტალებით მდიდარ თხრობაში გადამდები უშვალობით ენაცვლება ერთმანეთს ოჯახური, ლიტერატურული, ინტიმური; ქალაქი და სოფელი, რესთაველის გამზირი და უნივერსიტეტი, სანაპირო და მწვრალთა სასახლე... ღიმსება და ნაკლი, წყანქლადება და ჭიქა ღვინო, დამდურება და შერიგება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რითაც ასე მდიდარი და ტკბილ-მწარეა ადამიანური არსებობა. ასე კრისტალდება ჩვენს წარმოსახვაში ახალგაზრდა მგოსნის შინაგანი სიწმინდე, სულის უმანკოება და ის რიგიც სრულიად სხვა სილაე, სიამაყე და გულუბრყვილო მიმნდობლობა, სილბი და მეფეური პატივმოყვარეობა, რომელნიც პოეტებს განასხვავებს ჩვენი პლანეტის ყველა სხვა პინალართაგან და, შესაძლოა, „სიგიჟეედან“ ალიქმებოდეს თანმყოფთა წარმოდგენაში.

გარეგნოსადმი ეს წინააღმდეგობრივი მიმართებანი იწვევს ახალგაზრდა პოეტის მიმართ ტკივილიან თანაგრძნობასა და იმის ორგანულ შეგრძნებას, რომ აქვეყნად არავის ისე არ სჯერდება თბილი სიტყვა და თბილი ხელი, როგორც პოეტს, და არავისზე ისე მტანჯველად არ მოქმედებს მათი არ არსებობა, როგორც პოეტზე. ალ. საკაიამ კი ვერ მოისმინა ერთი თბილი სიტყვა თავისი შემოქმედების შესახებ, „რადგან ეს სიტყვა მისი სიკვდილის შემდეგ იქნა წარმოთქმული“.

ზუსტადაა შენიშნული გ. ზატბერაშვილის ლიტერატურული კონტაქტების საგულისხმიერო თვისება: უშუალო და წრფელი დამოკიდებულება ახალგაზრდობისათან. მემუარისტს სწორედ იმ მხარეებს ანათებს, რომლებიც ყველაზე უფრო დამახასიათებელი იყო პიროვნების ბუნებისათვის.

ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება დატოვა

30-ანი წლების ლიტერატურული ცხოვრების (ეიფოლების) რომანტიკას. შემოქმედებითი ფსიქოლოგიისათვის საინტერესოა, რა ასაზრდოებდა ამ რომანტიკას, საიდან მოდინება ეს სოკაინი ძიების წყეროები, მაშინდელ ლიტერატურულ თაობათა ერთიერთ სასაუბრიგვ კრძალვა. ამ სითბოთი, მაშინდელი ახალგაზრდობის ტრაგიკულ ბედზე ერთგვარი გულისტკივილით, ოცნებისა და სინანდვილის კონტრასტულობით, ეს პორტრეტები მაგონებს ნაკა აგიაშვილის მშვენიერ წიგნს „ჭაბუკები დარჩნენ მარად“.

3. ჭელიძემ მეგობრული ერთგულებით, ლიტერატურული თანაზიარობის სულით, წარმოგვლინა პოეტური სვედა-ნაღვლიანი, მარადიულ ამაოებაზე ჩაფიქრების გრძნობით მოვეგებლოთ მასთან ძვირფასი სულები და ჩვენ-ფეისაც ახლობელ, დაუვიწყარ სახეებად აქცია ისინი.

ეს მოგონებები თაობებისათვის სინანულისა და ნაღველის გაზიარებაცაა და ზნეობრივი გაკვეთილიც. იქნებ, რომანტიკულობის წყარო ისიც იყოს, რომ ზნეობრივ მოვალეობებსა და საქციელს მათში შენარჩუნებული აქვს მიმზიდველი შინაარსი! იქნებ, ისიც, რომ დიდი სიყვარულით ალსაცხ ბახსენებენ ძვირფას სულთა პანეგირიკები კი არაა, არამედ მიეკერძოებელი აღდგენა, რომელშიც მწერალი არც ნაკლსა და ადამიანურ სისუსტეს ვვიმალავს.

განხილული მოგონებების აეტორს, მიუხედავად მრავალფეროვნი ლიტერატურული ინტერესებისა, უფლება არ აქვს, ყურადღება მოაკლოს ამ ჟანრს.

რაც შეეხება ეპისტოლარულ ლიტერატურას, სრული ვეშმარიტებაა, რომ „ჩვენს საუკუნეში ხალხი თითქმის გადაჩვია წერილების წერას“, ინტიმური ბარათები „ტელეფონის ყურმილმა შესცვალა“, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც უდავოა, რომ ამას ეფრავითარი შეგონება ვერ გამოასწორებს, თუმცა, პუბლიცისტის მსჯელობა ფრიად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ფეისრეტეალიზა ფაქტი და ამ ფაქტის ფილსიერებას სოციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ეს წერილი ძვირფასია თავისთავადი ლიტერატურული ღირსებით; იმ სვედანარევი სიხარულით, რომელსაც ძველი მიმოწერის გადათვალიერება გვგრძნობინებს ინტიმთა და ერთგულ-საზოგადოებრივი ტკივილებთან.

წიგნზე სწორი წარმოდგენა არ გვექნება, თუ ერიოდე სიტყვით არ ადგნიშნავთ, რომ „ფეერები ხალიანდელ დღეზე“ საინტერესო და სასარგებლოა ლიტერატურულ-ფეესიერული დაკვირვებებთან და დასკვნებთან. „ბანკოიბადის“ ისტორიაში ვ. ჭელიძეს დამაკერეკლად აქვს ამოხსნილი ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის ხასიათები, გარეშე „ბორორ ძალთა“ ზრახვანი, რომლის ფონზეკე ორივე წმინდა და სპეტაკი მოჩანს, ხოლო ზიზღი და სიძულვილი მიიმართება სწორედ იმ „ბოროტ ძალთადმი“, რომელთაც ანგარება ამოქმედებდათ. მრავალმხრივ საყურადღებოა დასკვნა, რომ ი. მაჩაბლის მიერ შექმპირის ცალკეულ ტრაგედიათა თარგმნა თვითონ მთარგმნელის მაშინდელ განწყობილებასა და მდგომარეობას ემოხეეეა. ლიტერატურულად თამამი და პროფესიულად მოტივირებულია მსჯელობა ზ. ფალიაშვილის ოპერებზე, რომელებიე ბედნიერ შემთხეევას ელიან, რათა თავანთი ადგილი დიაკვეონ მსოფლიო მუსიკის საგანძურში.

ენის სიწმინდეზე, თარგმანის ენაზე წერა მოდად და თავის ვამოჩენის ხერხად იქცა. თანაც, ასეთი „კრიტიკა“ საოცრად გაიოლებული: ზოგჯერ, მთელი წერილი შეიცავს ულარყოფით მაგალითებს, რომლებიე ფრჩხილებში მხოლოდ კითხვით და ძახილის ნიშნებითაა „შემორავგებული“. ვ. ჭელიძე ტუწმად შერჩეულ მაგალითებთან ერთად, იქვე გვთავაზობს თავის მშვენიერ ნიმუშებს, ხშირად, რამდენიმე ვარიანტადაც. ეს „თარგმანმცოდნეობის“ კიტიტი კი არაა, არამედ საქმიანი დამბრაკვა, საერთო ეროვნულ საქმეში პრაქტიკული წვლილი. მის მაგალითებში მკაფიოდ მეძღვნება მხატვრულ მეტყველებაში სიტყვა-გამოთქმათა სიხუსტის მნიშვნელობა.

ვერაფერს ვიტყვით წერილზე „ქართლის ცხოვრების ქრონიკების ვამო“, რადგან ეს გამბაუტებული წიგნი, რომელშიც ისტორიული წყაროების ხარვეზები და ფრაგმენტულობა გაგრცობილი, რეტაგრირებული და გამოცოცხლებულია მწერლის მხატვრული წარმოსახვითა და ლოგიკური ვარაუდებით, საგანგებო მსჯელობას მოითხოვს.

3. ჭელიძის პუბლიცისტიკა გამოირჩევა აკადემიურობითაც და მხატვრულობითაც. მეცნიერული არგუმენტრებითაც და მხატვრული სილაოთაც. წიგნში ძნელი გასაკვანია ზოგადი პუბლიცისტიკასა და მხატვრულ პროზას შორის, პოეტურსა და მემუარულს, ლოკუმენტურსა და წარმოსახვითს შორის. ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედებაში ასეც უნდა იყოს, რადგან მწერლის ხელიდან გამოსული ყოველი ნაწარმოები მხატვრული ლიტერატურაა, მიუხედავად იმისა, თუ რას დაარქმევს მას და თვითონ რიმელ ეანრს მიაკუთვნებს.

წიგნის ღირსებაა მკითხველთან გულითადი, ძალდაუტანებელი, უბრალო, მაგრამ ანა გამარტივებული გასაუბრების მანერა. დამარწმუნებელად გამოთქმული აზრი და არა „ლამაზი ფრაზა“, მკითხველის დარწმუნება და არა გაკვირვება, შინაგანი ლოგიკურობა და არა სენსაციურობა. შთაბეჭდილებას აძლიე-

ალეკსანდრე კალანდაძე
ეანრის გამოლვიძება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს მუდამ ღროული, მოხდენილი მაგალითები ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან, ხალხური გამოთქმები, ანდაზები, შედარებები, ჩუმი იუმორი, ირონია და სატირა უკუღმართი საქმისა და ახრის განსაქიქებლად.

საკმარისია გვიახლოთო დასაწყისი წერილისა „ფიქრები ხვალინდელ დღეზე", რათა დაგრწმუნდეთ, რა ლიტერატურულად დაპბეულია ამ ნაწარმოებთა კომპოზიცია და რამდენად მხატვრული ოხრობა.

შეიძლება წარმოვიდგინოთ არაკეთილი პუბლიცისტიკა? ეჭნება ძალა ისეთ წერილს, რომელიც გაღლენას არ მოახდენს მკითხველის გრძნობებზე, არ აღაშფოთებს მანკიერებათა წინააღმდეგ და არ აანთებს კეთილ საქმეთათვის? ამ მიზანს ემსახურება ისტორიული ეპიზოდები, სურათები, ლირიკული იმპროვიზაცია, თუ ენებავთ, პეიზაჟები და ტროპული სახეებიც. ამ მიზანს ემსახურება „უსტაყვოდ თქმა", როცა ავტორი მხოლოდ საჭირო სიტუაციის შექმნით კმაყოფილდება და დასკვნის გამოტანას ჩვენ გვანდობს („ჩვენ მხოლოდ საკითხი დავსვით"). ამ მიზანს ემსახურება პოლემიკური მანერა, როცა ავტორი თავის ახრებს უხილავ მოკამათესთან პაექრობის ფორმით გადმოგვცემს, თითქოს, ვიღაცას ეკამათებაო, ოდღაც კი არ ჩანს და ეს „ვიღაცა" ეროვნული ბიბლიოთეკა
მოუყალბებელი, მაგრამ საკმაოდ ფეხმოკიდებული ახრია.

დიდ ღირსებად მიმაჩნია მკვეთრი, ეფექტური სათაურები. ყველაფერი ნათელყოფს, რომ მწერალი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს თავისთავს. დიდი პასუხისმგებლობით წერს და უნარიც შესწევს საკუთარი ხელნაწერი ულმობელ თვითმსჯავრს დაუქვემდებაროს. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები წიგნისათვის გულმოდგინედ გადუმუშავებია, შეურბილებია გამომცემლობა „განათლებასთან" პოლემიკის ტონი, უარუყია ზოგიერთი ჭწკავე გამოთქმა და „ბრალდება"; ასევე შეუმსუბუქებია, ეფარ სწორად, დადინჯებული ეერი მიუცია ალაკისა და ვარდენ ყიფიანის გაპაექრობისათვის.

თუ მწერლობის, კერძოდ, მხატვრული პუბლიცისტიკის ძალს, ინტელიგენტური კულტურა, სიღრმე და დახვეწილობა განსაზღვრავს, მაშინ აშკარაა მითითებულ ღირსებათა მნიშვნელობა იმ დროს, როცა გარკვეული ეანრებისადმი მასობრივი მიწყდომა შეიმჩნევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეჟან გარდაველიძე

ფიქრები რევაზ ინანიშვილის პროზაზე

დიდ ზამთარში ტყისმცველს მეგობარი ეწვია. „ჯან-ღონით სავსე კაცია მასპინძელი, მაგრამ, ეტყობა, არც სტუმარი უნდა იყოს სუსტი. გარეულ სახე სუფთად აქვს გაპარსული, სპორტული ძველი სვეტერი, სქელი ქსოვილისაგე შარვალი და სათხილამურო ბათინკები აცია, ოდნავ შეთხელებული სწორი თმა დაუდევრად ჩამოშლია შუბლზე. ხელები აქვს დაძარღვული, დაწიოლებული, მტკიცე. რაღაც უბრალოდ, პუშაკიას ცოდნითა და გულდადებით ფცქვნის ხახვს“.

როდესაც ეს კაცი თხილამურებით დაეშვა ფერდობზე, ხეები კითხულობენ, ვინ არის, რას დადის ამ უდრო დროსო. „ტყისმცველ ერთხელ კიდევ ეღიმება და დაუფარავი სიამაყით ამბობს: ეგ ჩემი მეგობარი პოეტია, ბამაცი პოეტი. ნუთუ ვერ მიხვიდი, რომ თქვენს სანახავად იყო და ახლა იქ, თბილ ლოგინებში მძინარე ადამიანებთან მოაქვს თქვენი სილამაზის ამბავი?“

ეს პოეტი პატარ-პატარა წიგნებს წერს და დღესაც, როგორც ბავშვობაში, „ის წიგნი ეჩვენება კარგ წიგნად, რომელიც ღრმად ფფქრებს და ცრემლებსაც ჰგვრის უკვე სიბერის ნოუტებით გარშემორტყმულ თვალებზე“. ამ წიგნებში იგი მოუთხრობს საოცარ ამბებს ტყეებზე, ფრინველებზე, ცხოველებზე, ყვაელებსა და ადამიანებზე.

ეს ამბები სავსეა სიკეთით, სილამაზით, სიხარულით, სევდით და პოეზიით. მოუთხრობს უბრალოდ, პუშაკაცის ცოდნითა და გულდადებით, აგერ უკვე მეთხეულ სუკუნეზე მეტი.

პოეტის სახე, რომელიც რევაზ ინანიშვილის პროზაშია შექმნილი, უდავოდ ავტობიოგრაფიულია, ავტოპორტრეტია, მაგრამ ამასთანავე იგი ზოგადი სახეცაა და ზედმიწევნით გამოხატავს ამ შესანიშნავი პროზაიკოსის მსოფლშეგრძნებას, მისი წერის მანერას.

რევაზ ინანიშვილის მიმართება მხატვრული ასახვის ობიექტისადმი ლირიკულია, თავისი ბუნებით პოეტური. აქედან: მისი გარეგნული ერთგულება მცირე ფორმის ეპიზოდისადმი (მოთხრობა, ნოველა, ჩანახატი, ჩანაწერი...) და ის გაფაქიზებული გრძნობა სიტყვისა, რომელიც რითმის ოსტატებისთვისაა დამახასიათებელი. ასევე, ლირიკულ-პოეტური ხილვებია გამსჭვალული რევაზ ინანიშვილის მოთხრობები ბავშვებზე და ბუნებაზე, „როგორც ჩვენ უბრალოდ ვუწოდებთ ხოლმე ტყეებს, მდინარეებს, ბალახებს...“

ბავშვისა და ბუნების სამყაროს პოეტური ხილვა, მასში ღრმა განცდისა და საფიქრალის წვდომა რევაზ ინანიშვილის პროზას განსაკუთრებით გამოარჩევს.

ამასთანავე, რევაზ ინანიშვილის ამ მოთხრობებში გატარებულია მკაფიო ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ტენდენცია.

ამ თვალსაზრისით რევაზ ინანიშვილი აგრძელებს ტრადიციას, რომელსაც ქართულ მწერლობაში სათავე დაუდო გენიალურმა ეიამ.

ქალაქიდან აგარაკზე ჩამოსულ გოგონას ღამე შეუყვარდა. „ისიც თითქმის ჩვეულებრივი პატარა გოგონა იყო, ვამბლარი და აქეთ-იქით გაპრეხილნაწნავებიანი. მხოლოდ ზეაწეულწამწამებიანი ცისფერი თვალები ცოტა უფრო ფართოდ ჰქონდა გახელილი, ვიდრე სხვა გოგონებს აქვთ, და ყველაფერს ცოტა უფრო სხვანაირად ხედავდა, ვიდრე ჩვენ“. და აი, სწორედ იმიტომ, რომ ეს გოგონა ყველაფერს

ცოტა უფრო სხვანაირად ხედავდა, დაინახავს, რომ ღამე, რომელსაც ქალაქელები ელნათურების საშუალებით ანეკვებენ, ძალიან ლამაზი, ცეთილი და ნაღვლიანი ყოფილა. მოთხრობა სავსეა შეუნიერი სურათებით, თუ როგორ ეძებს გოგონა ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავს, როგორ ჩაშწკრიდებიან მის ნაწნავებზე ციცინათელები, როგორ სწვავენ აქეთ-იქით ტოტებს ბუჩქები, რომ გოგონას ლამაზი კაბა არ დაუხიონ... როგორ შეუყვარდება ღამესაც გოგონა, „რომელსაც არ ეჯავრება იგი, არ ეშინია მისი". („გოგონა, რომელსაც ღამე შეუყვარდა").

გოგონა ეზიარა სილამაზესა და სიკეთეს, რომელსაც ცხოვრება აწვდის ადამიანს, რადგან მას დიდი, ცისფერი თვალები „ცოტა უფრო ფართოდ ჰქონდა გახელილი".

ადამიანებმა ცოტა უფრო ფართოდ უნდა გაახელონ თვალები და მაშინ ისინი დაინახავენ, რომ სილამაზე, სიკეთე, სიხარული ახლოა, მათ გვერდითაა, თვითონ მათშეიეა. ეს მიმწოდებელი აზრი განსაკუთრებული მეფეცარებით მსჯელობს რეკიმ ინანიშვილის პროზას და ანიგებს მას ხან ლირიკულ, ხანაც ტრაგიკულ პათოსს.

მეგობარ ქალს საზარელი შეურაცხყოფა მიაყენა მამაკაცმა, რომელიც ძალიან უყვარდა. „ამის გამო მან „სისულელე" ჩაიდინა, რამდენიმე თვე იწვა, ძლივს წამოდგა და ახლა „ადარაფერი სჯეროდა ადამიანთა კეთილი ურთიერთობისა". მწერალს უნდა კვლავ დაუბრუნოს რწმენა ადამიანებისადმი. საბედნიეროდ, ეს ქალი იმთავანია, ვისაც „ერთადერთი რამ, რაზედაც ყურადღების შეჩერება შეეძლო, ეს იყო „ბუნება", როგორც ჩვენ უბრალოდ ვეუწოდებთ ხოლმე ტყეებს, მდინარეებს და ბალახებს". და ან, ისინი ავარაკზე სოფლის ნაპირას ხვდებიან ერთმანეთს. მწერალი აპირებს უთხრას მეგობარ ქალს, რომ სჯერო არ იყო ასეთი შეზიდულების გავრცელება ყველაზე, რომ „თვით ჩვენს ახლოსაც შეეძლო მოეძებნა ნათელი, ჯანსაღი „ოაზისები". ვინ იცის, დაარწმუნებდა თუ არა მწერალი გულგატეხილ ქალს, რომ არ გადაჰყოლოდნენ ცოტა უცნაურ პატარა ბიჭს, რომელსაც გადახტრილი დიდი თავი ჰქონდა და თვით რგოლებით გარშემორტყმულ თვალის გუგებს აბრეშუკიანებდა. ამ ბიჭს სჯერა უფროსი ძმის ნაამბობი, რომ არსებობს წითელი ქალაქი კალეიდოსკოპია, სადაც დგას გამშვირვალე, შუშაა სახლები, აბეგი გამშვირვალე გოგოები და ბიჭები დასრულებენ წითელ ტეტრებში, იქვეა წითელი შუშის წყარო, რომელსაც მიარტყამ თითს და ტბილი წითელი წყალი წარმოსდინდება. ბავშვის ლამაზმა სამყარომ მეგობარ ქალს რწმენა დაუბრუნა. ყოველ შემთხვევაში, მას მოუნდა წასვლა წითელ ქალაქ კალეიდოსკოპაში, თანაც ამ მოგონება და გაგებულ ბიჭთან ერთად, „რომელიც არავის აწყენინებს". („გზა კალეიდოსკოპიასკენ").

ასეთი ბიჭებისგან არ შეიძლება აღიზარდონ მამაკაცები, რომელიც „საზარელ შეურაცხყოფას" მიაყენებენ შეყვარებულ ქალებს, ისევე როგორც ღამეზე შეუყვარებული გოგონასგან არ შეიძლება დადგეს ქალი, რომელიც თავში ქვას ჩაარტყამს ტყის მეცველს („ლამაზი ქალი"): მეტეცვე დათიკო მდინარეში დინამიტის ჩაგდებას უშლის „ზიზღია ყოლგის" ბატრონს, რომელსაც ლამაზი ქალი ახლავს. ლამაზ ქალს და ვაჟაც მეტეცვეს ერთმანეთი მოეწონთ, მაგრამ როდესაც მეტეცვემ დინამიტიან ბიჭზე გიეროა, ქალმა ქვა ჩაარტყა კეფაში).

რწმენა სიკეთისა, „ჯანსაღი ოაზისებისა" რეკან ინანიშვილის შემოქმედებაში პუბლიცისტური ელფერადობას აღწევს.

ხალხთან სავსე ქუჩაში დადის მწერალი, რომელსაც ზურგსუკან მიხაკი ამოუფარფატა. მწერალმა იმიტომ მოაფარა მიხაკი, რომ „ის ისეთი ჩახჩახა იყო, ყველას თვალს სტაცებდა. როგორც კი დაინახავდნენ, იწმაბსეს სახე ეცვლებოდათ. ზოგი კეთილად შემომდიმებდა, ზოგს კი დამცინავად ებრიკინოდა ტუჩები". მალაზიის კარებთან მწერალი გოგონას დაინახავს, იმ მიხაკს აჩუქებს და დაამწყანებს. გოგონა იმიტომ ტირიდა, რომ ახალშეძენილმა ფეხსაცმელმა თითზე ბეგერი გაუჭირა. მწერალი მოხუცი დირექტორის დახმარებით ალაგმავს თავხედ გამყიდველს, რომელიც უხეშად მოექცა გოგონას დედას და „წუნდებულ საქონელს" გამოაცალეკინებს. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა: ადამიანები დიდმარნენ მეორე ადამიანს. მაგრამ... გოგონას დედას ეუხერხულა, რომ მის ბავშვს მიხაკი ანუქეს; იგი უმწეოა თავხედი გამყიდველის წინაშე („ისეთი უმწეო გამიმტკიცეებთან მოიხედა ქალმა, შეუძლებელი იყო, დახმარება არ შემეთავაზებინა"), იგი სწუხს, რომ უცნობი მამაკაცი ეხმარება („დედა შეწუხებული თვალებით მომჩერებოდა"); ხოლო როდესაც სახლში გაიცილებენ, „პირველი სიხარულის შემდეგ შეშფოთება გამოეხატა სახეზე".

შეეკედლები მოეღალატებთან დაწერილი მოთხრობის ფინალი: „დაეინახე პატარა, მობუზული ქალი ამ უხარმაზარი შენობის ძირში: დაეინახე საბრალოდგი, ენთოგამოუთქმელი მაღლიერების გრძნობით აღესილი მისი ლამაზი თვალები და ელდენივით რაღაცამ დამკრა სიბრაზისგან. ვიდექი და ხმას ვეღარ ვიღებდი... მერე უცად ვეუკვირე: ასე არ შეიძლება! გესმით? ასე არ შეიძლება, გაიმალეთ მხრებში!" („ცივი წვიმა").

ამის გამო, რომ ზოგს დამცინავად მოებრიცება ტუჩები, არ უნდა დავმალოთ მიხაკები ზურგსუკან. ნუ ვიქნებით უმწეონი სიბრიყვისა და თავხედობის წინაშე. ცოტა უფრო ფართოდ უნდა გაახელო თვალები, ცოტა უფრო

ონდა გაიშალო მხრებში და მაშინ შენს წინაშე გადაიშლება ცხოვრება, რომელიც სავსეა სიკეთითა და სილამაზით.

●

რეკეზ ინანიშვილს მოთხრობათა დიდი უმრავლესობა დაწერილია ბავშვებზე ან ბუნების სამყაროზე. ისინი შეიცავენ ყველაფერს, რაც ეხმარება ბავშვის აღზრდას, ან ბუნების სილამაზის წვდომას.

ამჯერად მინდა ყურადღება გავამახვილო იმ მოთხრობებზე, რომლებშიაც მკაფიოდაა გატარებული თვალსაზრისი: არავის არა აქვს უფლება დაუკარგოს ბავშვს ბუნებრიობა, აქციოს იგი თავისი შეხედულების მონად.

არ შეიძლება პატოსან ეფაკაც ვანო ბუჟყიაშვილთან ერთად სიბრალულმა არ შეგიპაროთ „მსუქანი, ბებერსავით მორთული და მხრგაშეხიდული“ გოგონას გამო, რომელსაც არ მოსწონს გვარი ბუჟყიაშვილი, რადგან თვითონ გაგუთა და გაგუები კი „სულ უფროსები“ არიან, სკოლაში „ვოლგით“ მოპყავთ, ხოლო სახლში „ყველაფერი ბევრი აქვთ“: ავეჯი, ტანსაცმელი, ჭურჭელი. გოგონას უნდა წაყვეს თან ვანოს, რომელსაც სახლში მხოლოდ ერთი ფარდაგი აქვს და ამიტომ თავის ცოლ-შვილთან ერთად თავისუფლად თამაშობს ფრენბურთს, ოთურმას, დაჭერობანას.

მთავარი ისაა, რომ თავისი ბიბის შეკითხვაზე, „ვოლგა“ რომ მოგცენ, ბუღლოგი და ეკრმანული ავტომატი, რომელს აირჩევდით, ვანომ ზუსტად ასეთი უპასუხა: რა თქმა უნდა, „ვოლგა“ („ვანო“).

ასევე, ალხიშვილი ილო ქალაქიდან სოფელში გაემგზავრა, თან თავისი ბიბი, ბულ წაიყვანა. მამა-შვილს თვალწინ იორი გადაეშალათ. ილოს უყვარს მშობლიური მდინარე და შვილსაც განაცდევინებს ამ სიყვარულს. მცირე ხიფათის შემდეგ მამა და შვილი მდინარეს გადალახავენ. აქ კი ილო, რომელსაც „ფაშისტებმაც კი ფეხები ვერ მოჭამეს“, შიშმა შეიპყრო: „აკ, მაგრამ განა კარგს ვშვრები, რომ ბიბს მდინარის სიყვარულს ვუნერგავ? ამან ხომ შეიძლება წაათამამოს დ... ხო, დაახრჩოს...“ უცებ წარმოიდგინა გულს გაბერილი, გალურჯებული, უსიცოცხლო სახე. შეზარა, შეაკრთოა „არა, არა, უკეთესია ეშინოდეს, სძულდეს“. ტრუსი სწრაფად ჩაიცვა, მერე — ტანსაცმელიც. გულს ხელი მოხვია, მიიხუტა, და ისე წაიყვანა სოფლისაკენ... „შენ ბევრი უნდა ჭამო, ღონიერი უნდა გახდე, რომ მდინარესაც უყვარდე“. „გაშლილ რიყეზე, უფსკრიგოდ მიმყარილ ქვებსა და ბეჭენებს შორის ორივენი, მამაც და შვილიც, ძალიან პატარები, ძალიან უმწეონი ჩანდნენ“ („მწვანე ბერუსი“).

შემზარავია სურათი, როდესაც გააფორებული დედა ეკალზე აკაკლეტს ჩიტებს, რომლებიც მისმა „დებილმა“ ბიბმა გამოსაზამთრებლად შემოიყვანა ბინაში. ბავშვს დედაც ლანძღავს: „ეს დირექტორიც ემეჭნებინა, თუ კარგად ისწავლი, პროფსაწავლებელში გაგიგზავნინო“. („ჩიტების გამოზამთრებელი“).

გამუქებული ფერები? მაგრამ რა მტკივნეული ფიქრია მოზარეს ბედზე, რამოდენა მღელვარებაა პატარა ადამიანის გამო...

●

არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა: ბაღში მილი გასკდა და წყალი განთავისუფლდა...

თოკზე სარეცხი შრება...

წვიმის შემდეგ ცისარტყელა გამოჩნდა...

რეკეზ ინანიშვილს შეუძლია ამ ყოველდღიურ, ყოფით მოვლენებში წვდეს ამაღლებულ სილამაზეს, სასწაულს — ჩვეულებრივში, დაძაბულ ზენაადმედგობას — მშვენიერისა, ეკოთილისა და მის უარყოფას შორის.

გათავისუფლებული წყალი ნაკადულად იქცა. „ყანჩელ“ გოგონამ და მისმა მამამ ზედ პატარა ბორბალი აატრიალეს და გიიხარეს. გიიხარეს ფიქრია, თავდიდა გოგილებმაც, რომლებიც ბორბალს ჩამოეკიდნენ; გიიხარა ნალგიანმა მთავრემაც, რომელიც „უჭკუო გოგილებთან ერთად მთელ ღამეს სხვეებით ეთამაშებოდა წყალს და ბორბალს“.

„ამ უჭკუო გოგილების დედ-მამა კი ნაპირზე დგას და ბრაზობს: გესმით თქვენ, თუ არა! ახლავე გამოეთრიეთ მანდედან! გესმით, თუ არა!“

ყველაზე ჭკვიანი გოგილების დედ-მამაა...

შეპარული ირონია განმაზოგადებელ ძალას ანძლევს ამ პატარა მოთხრობას.

„როცა გათენდა, გახეთქილ მილთან მივიდა შავი, მოღუშული კაცი“. ამ კაცმა წყალი კვლავ მილში ჩაკეტა. „ფერდობზე მიმავალი ნაკადული ცოტა ხანს კიდევ ფეთქავდა გადაჭრილი ძარღვივით, მერე დაწყნარილდა და გაჭრა, გაჩერდა ბობალიც, თავდიდა, ფიქრია გოგილები უკვე მაყვლიანში შემალულიყვნენ. მთავრეც წასულიყო“. („განთავისუფლებული წყალი“).

ასევე „ჭკვიანები“ არიან გოგონები, რომლებმაც ერთმანეთს გადახედეს და საწრფოდ გიეცალნენ „დიდთავა“ ბიჭს. იმიტომ, რომ დიდთავი ბიჭს გასაშრობად გაკიდული ზეწრების ტაკაცუნში ნიავის ხმა ესმის, რომელიც დედამისის „ლამაზ ხელებს“ უქანს. ხმალოდ ცისფერთვალა გოგონამ ვიეუო დიდთავა ბიჭს „და დაიწყო დიდი, დიდი მეგობრობა და გაგრძელდა დიდხანს, სანამ ნისლივით არ გაათენდნენ ის გოგონაც და ის ბიჭიც“.

ბიჭს ადამი ერქვა. გოგონას? მწერალი არაფერს ამბობს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, —

ბეჭედ ბარდაველიძე
ფიქრები რეკეზ ინანიშვილის პროზაზე

ევა. („დიდთავა ბიჭი და ცისფერთვალება გოგონა“).

საოცარად „ჭკვიანია“, თითქოს ბრძენია მაჩვი. „იმ არემარეზე ის ყველაზე თადარიგიან და დინჯ, მშვიდადმე, ბრძენ სულდგმულად ითვლებოდა. ჯერ მარტო სორო როგორი ჭკნნდა! ღრმად წასული, მიხლართულ-მიხლართული ლაბირინთივანი, სართულოვანი და დიდებულად მომტეცელდარბაზოვანი!“

და აი... „სამხრეთიდან ბრტყელი, ლამაზი ცისარტყელა დაიძრა, აიწია მაღლა, აიწია და სწორი, მკვრივად შეკრული თაღი გადახაზა. ცოტა ხანში მეორე ცისარტყელაც ამოიზარდა, მაგრამ იმან თაღის შეკვრა ვერ შეძლო, შუა ცამდე ძლივს მიაღწია და იქ გაჩერდა. იმ ცისარტყელების უკან, მეტტისფერ ლიერშივე, ისევ ქუხდა, მაგრამ იმ ქუხილს უკვე ალარავინ არაფრად აგდებდა, ყოველი წვეთი მშვიდად, ჩაუეტუნებით ბრწყინავდა. ჩიტები სამალავიდან გამოძვრნენ და აქიკეკდნენ“. მხოლოდ მაჩვია გულგრილი ამ სილამაზისადმი და ორი დიდი ლოოკოინა, რომლებსაც „მთელ სიმაღლეზე აეკიმათ ვერცხლისფერი საცეცები და ფრთხილად სინჯავდნენ ჰაერს“. მედიდური მაჩვი დასცინის კურდღელს, რომელიც გარბის, რომ ახლოდან ნახოს ცისარტყელა: „წყდი, წყდი, არაენ მოგასწრონ!“ ლოოკოინებიც ქირდავენ: „ფიპ, უზრდელი!“

მოხდა ის, რაც ხშირადა ხდება რეგეზ ინანნშვილის მოთხრობებში, და რაც ასე ტრაგიკულ ელერადობას ანიჭებს მას: „ცისარტყელას თაღქვეშ, ნარინჯისფად განათებული ჩოქელა ვერხვების თავზე, პატარა თეთრი კვამლი ავარდა, ცოტაზე წალიცლდა ქვეითი-ქვეითი და გაიშალა“.

კურდღელი მოკლეს.

ზეიმობს გულგრილობა. „ჰიუ! — ამოიძახა ქმაყოფილებით მაჩვმა, — დატეულიყო თავის ადგილს, სად მიბრძოვა?!“

უბედურება ისაა, რომ მაჩვებს თავისი ფილოსოფია აქვთ: „ჭკუა დიდი საქონელია! თუ ჭკუა გაქვს, არავინ მოგაკლავს. ზვიდეს ახლა და უშველოს ცისარტყელას კურდღელს. ცისარტყელა! ჰიუ! ლამაზი! მე ჭკუა მაქვს“.

ეს „ჭკუა“ მარტო მაჩვის სიროთი როდი შემოფარგლება. ადამიანთა საზოგადოებაში იგი იქცევა იმ ბორტებად, რომელსაც ანგარება, მომხეტელობა და, საერთოდ, უზნეობა ჰქვია.

რეგეზ ინანნშვილის ბევრ მოთხრობაში ეს თვალსაზრისი საოცარი თანმიდევრობითა და მდელვარებთაა გატარებული.

ესტატეს „ბუეკეთებელი“ ღვინო მიაქვს გასაყიდად. ოჯახის დედაბინი ეჩხუბება, არ ანებებს, „ვირის მუშას“, „გადარეულს“ უწოდებს და მაგალითად ძძძლაანებს უსახავს, რომლებსაც „ჩვენი ნახეგარი არ მოსცლიათ ზარშან და დგანან“ და ყეოტყეოტებენ: ეს ვეყოდეთ ჩვენს რძალსა და ის ვეუყიდეთ“. „ეს დამბელ“ ესტატეს კი თავისი სიმართლე „ქუქა ორთვალას შეუბამს და ბაზარში საეკეთესო წითელ ღვინოს წაიღებს („დედაბიძინ“).

სოფლის ავტორუსში ახალგაზრდები ამოდიან. მხიარული ახალგაზრდები არიან, თანაც თვითკმაყოფილნი და თავხედურად თამამნი! განსაკუთრებით გამოირჩევა დათა წვერიკმაზაშვილი. ვითომ ხუმრობით, მაგრამ დათას ძალიან მოსწორს თავი. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ზემოთხსენებული მაჩვის შესახებ: „ჰქონდა კიდეც ამ მედიდურობის საფუძველი: იმ არემარეზე ის ყველაზე თადარიგიან სულდგმულად ითვლებოდა... მაშასადამე, ბრძენ სულდგმულად. ჯერ მარტო სორო როგორი ჭკნნდა!“ არც დათას სოროთ ნაკლები: „ხუთი სპალნენ პირველი ღვინო ალაზანს გამოღმა, ოთხი ოთახი მაღლა, ოთხი დაბლა, ერთი ჩარეკი ვენახი, ამას დაუმატებ ბოსტანი; მარტო სამი ბარდანა წვრილი წიწაკა მაქვს დაკრეფილი, ეხლა მუნილები, ღორი, ფურფელი, ღეკეული, ხბო, ცხვრები, ქათმები... თანაც თავი და თავი რაც არის, ჩამ-წყობი ბიჭი! აი, ხო ეგეთი ვარ, კარგად შემომხედე, ხომ ეგრე ეგრეენება, ბჭადნი ნახშარს ვერ გამოვარეკ, სინამდელეში ჯვარზე გასაკერელი და მიწაში რა ჩასაშვები ვარ. ქვეთაში ხომ ზეკითხე, რა ფული ეწერა. ეგ განა მართალი ღვინის ფული. ეგა წყალი და შაქარია. ცოტა დამამზღიდეს, ცოტა შაქრის პატრონს და ბევრი მე... ეგრეა ეს ქვეყანა ერთმანეთზე აკოალლებული“. ეს ახალგაზრდები სხვებს თითზე ფეხს ადგამენ, ხოლო მწერლის სახეზე „იდიოტური ღიმილის მეტს ვერაფერს ამოიკითხავენ“. იქვე ზის მოხუცი მასწავლებელი, რომელსაც დიდებული ვაჟა-ფშაველა საკუთარი თვალით ენახა და საბრალოდლაც იღიმება. („ნისლში“).

რეგეზ ინანნშვილს ძალუძს მცირე ფორმის მოთხრობა დამეტტოს მოქალაქეობრივი მდელვარებით, ჰუმანისტური ზრუნვით მაღალნზობრივ იდეალებზე.

ელილაბრეკია მაჩვის ქმაყოფილება. შემზარავია დათა წვერიკმაზაშვილის ყიეინა: „...ეხლა ხასიათი ვიღას სჭირდა. ეს ფული, ძალიტ ფული, შენნ... ბევრი ფული, ფული და მანქანა, ტოიტწასმული „ვოოგა!“ შენი გოგოც მაშინ არის კარგი და შენი კაცობაც, თორემ ისე... სწორე არა ვარ?“ „ჰო! ჰო! — უდასტურებდნენ აქეთ-იქიდან“.

მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია აქ განსაზღვრულია იმ ბოროტების მხილებით, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ებრძვის.

ამ ბოროტებას აქტიური ხასიათი აქვს და არ შეიძლება დაეუპირისპირდეთ მას „იდიოტური“ ან, მით უმეტეს, „საბრალოდ“ ღიმილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რევაზ ინანიშვილის მხატვრული ოსტატობის ხარისხი, მისი წერის განუმეორებელი მანერა, — სადა, ხატოვანი, უაღრესად ემოციური, — არსად ისე არ მჟღავნდება, როგორც ბუნების სამყაროს ასახვაში.

რევაზ ინანიშვილი ბუნებასთან მიდის არა როგორც ნოსტალგიით შეპყრობილი ქალაქელი, არამედ, როგორც მისი მესაიდუმლე, მეცოდნე და გულშემატკივარი.

აქ მას ჰყავს ისეთი გზისკენელები, როგორიცაა დიდი ვაჟა-ფშაველა.

გენიალური წინამორბედისაგან რევაზ ინანიშვილის პროზა დაკალკულირა არამარტო გამოსახვის მანერით (ბუნების განსულიერება...) არამედ ჰუმანისტური შინაარსის შეტანითაც ბუნების სურათებში.

წვდომა სიკეთისა და სილამაზისა, რომელსაც გვაწვდის ბუნება, მოცლა და გადარჩენა ყოველივე ამისა, — რევაზ ინანიშვილის პროზას განსაკუთრებით სადღესაო მნიშვნელობას ანიჭებს.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობები ნასაზრდოებია მტკვენეული ზრუნვით ბუნებაზე, „როგორც ჩვენ უბრალოდ ვეუბნებით ხოლმე ტყეებს, მდინარეებს, ბალახებს“.

ჩვენ ვნახეთ, როგორ მოკლეს კურდღელი, რომელსაც ცისარტყელას ახლოდან ნახვა უნდოდა.

ამ თავშეკავებულ, ფერწერულ სტრიქონებში ჩაფიფილ ოკეანეში ბშერული მწვავე ტკივილი ბუნების სილამაზის უხეში ხელყოფის გამო.

„ხალხო იქნება ადამიანებსაც გული აქვთ, იქნება იმათაც იციან ცოდვა-ბრალი! შვილები იმათაც ჰყავთ და ისინიც სულდგმულები არიან, როგორც ჩვენა!“ ამბობენ „ეაქაცი მელიები“, რომლებმაც თავიანთი თანამოძმისაგან მამამისის დაღუპვის ამბავი მოისმინეს, მოხუც მენონგურეს თითქმის ტირილით რომ დაუშლიერნია. „ზოგი თანაშმა იყო, ეგრე იქნება, ამა, მაშ როგორო. ზოგი კი უნუგეშოდ იქნედა თავს, გული კი არა, დარდუბალა მაგთაო! ადამიანს რომ გული ჰქონდეს, ასე კი არ აათხრებდა ქვეყანას — ტყე მიგას ადარ ჰყოფნის და მინერორი, ცაც მაგან დაისაკუთრა და წყალიცაო...“ („საკვირველი ამბავი ტყეში“).

ქვეყანას შესცვივან „შავი კაცები“, რომლებიც, ზოგნი თოფით, ზოგნი დინამიტით ანადგურებენ ბუნებას, მაშასადამე — სიკეთეს, სილამაზეს.

ისინი უგულონი და დაუნდობელნი არიან. მწერლის მიმართვას მათდამი კარგად გამოხატავს ეპითეტი „შავი“, რომელიც ასე ხშირად იხმარება **რევაზ** ინანიშვილის მოთხრობებში.

„ტირიან ირმები,
ტირიან შვლები,
ტირიან მელები,
ტირიან მგლები,
ტირიან ტყეები,
ტირიან მთები,
მზეე, მოდი, მოგვხედე“.

ასე მღერის პატარა ბიჭი რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში, რომელშიც დატყვევებული მელას სევდიანი თვალდასავლია აღწერილი.

ადამიანებმა უნდა შეისმინონ ეს ტირილი:

აი, რას მოგვიწოდებს რევაზ ინანიშვილის მოთხრობები.

●

მაგრამ ხომ არ დაგავიწყდა პოეტი, რომელსაც ტყეების, ფრინველების, ყვავილებისა და მდინარეების სილამაზის ამბავი მიაქვს ადამიანებთან...

ეს ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, ბავშვები არიან.

ბავშვი რევაზ ინანიშვილის შემოქმედების უმთავრესი თემა, მისი, როგორც მხატვრის და მოქალაქის ყოველმხრივი ყურადღების ძირითადი ობიექტია, მისი წარმოსახული მკითხველია.

გადაუპრიბებლად შეიძლება თქვას, **რომ** დღეს სწორედ რევაზ ინანიშვილი ჰქმნის დიდ ლიტერატურას პატარებისათვის და პატარებზე.

ამითაა განპირობებული რევაზ ინანიშვილის წერის მანერა — სადა, ხატოვანი, უაღრესად ემოციური.

არსად იმე არ მჟღავნდება **რევაზ ინანიშვილის** მხატვრული ოსტატობის **ხარისხი**, **რ**ოგორც მოთხრობებში ბავშვებზე, ბუნებაზე.

აქ ჩაბუყალბდა იგი როგორც მცირეფორმიანი მოთხრობის ეტიუდრული ოსტატი.

●

რევაზ ინანიშვილი, უპირველეს ყოველისა, მხატვარია. მასთან მჭიდველობითი აღქმა ჭარბობს.

ალბათ, ამიტომ რევაზ ინანიშვილის პროზაში ამბავი დაკუმშულია, მინიმუმამდეა დაყვანილი; ჭარბობს მეტაფორა, შედარება, ფერწერა, სურათი. მას ურჩევნია დიალოგის, ფრაზის, ეპიზოტის ან ეპითეტის საშუალებით დაახსნიათოს მოვლენა, პერსონაჟი, ვიდრე ამბავით მის შესახებ.

აქ წინა პლანზე იწევს სიტყვა, **როგორც** მხატვრული ფენომენი.

სიტყვა რევაზ ინანიშვილის პროზაში ფერია და არა საღებავი, მასალაა **და** არა მხოლოდ ურთიერთობის საშუალება.

რევაზ ინანიშვილის სიტყვა გაცილებით უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს, **ვ**ინემ **მხ**-

---

ბეჟან ბარბაველიძე

ფიქრები რევაზ ინანიშვილის პროზაზე

ტკრული აზრონების თვალსაზრისით, ვიდრე მას ეკუთვნა, როგორც სამტკბაყველო ეროვნულ

რეკვნ ინანიშვილი რაზედაც არ უნდა წერდეს, ყველგან სიტყვის ოსტატია.

როგორც სიტყვის ოსტატი, რეკვნ ინანიშვილი ქართული ლაბიკური პროზის სუკეთესო მონაპოვრების დონეზე დგას...

რამდენიმე მაგალითი.

„ცხრა მთის გადალმა ვიღაცა ხმელ ხეს შემოკრავს ცულს და აქ ყვიოდ ფოთლებზე დახეტყვავენ ცვრის წვეთები თვალებს“;

მეხს „ვეიტრების უბეები ნელ-ნელა ეესებოდა წვეთებით, ეს წვეთები მისი ცრემლები იყო“.

„ზამთრისპირის გარინდულ ტყეში გლოვის ზარივით ისმოდა ხარრემის ეფროული ხმა. აქამდე უძრავი ლერჯი პაერი ზანზარებდა, თრთოდა“; ტყეს „მზრუნველი კოდალა შეშფოთებული უსინჯავს პულსს“.

მოთხრობაში „ძველი რიტმებიდან“ აღწერილია ტყეში წასვლის სიმხდისა: მეშაკაცები „მუსიკოსების სიფრთხილით უსვამდნენ ცულის პირზე ცერა თითს“.

პატარა ჩანახატში რეკვნ ინანიშვილს შეუძლია ჩასდას მონუმენტური აზრი, ღრმა განცდა: „ზარი კახეთში“. „თოვს. თეთრად გადაფფენქულ ზეგი ადამიანების ბრბოს დაღუნული თავების მაღლა ციმციმით მიაქვს თეთრი კუბო, რომელშიც წევს ტარაკიულად დაღუნული ორმოცი წლის ლამაზი, ფერკაშკაში ქალი. ძველებური ჭიშრის წინ გამოშდგარა ჯოხზე. დაყრდნობილი, ქუდმოხდილი, დაღეული, დამუმიაებული ბერიაკი და შემაძრწუნებელი ხმით იძახის: ეგ როგორ მოგდიხარ, გოგო?!“

სახიფათოა წმერული ლაბორატორიაში ფათური, მაგრამ არ შეეცდებით, თუ ვიტყვით: ისეთი შედევრები, როგორიცაა „ზარი კახეთში“, „ფერმა თოსში“, „დედები“, „ბეეანა“, „მთიბავები“, „ფდდა მარიამი“, „ხეესური“ — მხოლოდ ცოცხალ სინამდვილეზე დაკვირვებით იქმნება.

მშობლიური ქვეყნის, განსაკუთრებით, აღმოსავლეთი და მაღალმთიანი საქართველოს ბუნების, ყოფის და ადამიანების ღრმა ცოდნა რეკვნ ინანიშვილის შემოქმედებით ფანტაზიას მაღლიან მასალას აძლევს.

ამ მასალას მწერალი მთელი შესაძლებლობით იყენებს, აქცევს ისეთ მხატვრულ ფორმად, რომელიც ლმბეველია გარეგნული სილამაზეთი, მაგრამ ღრმა შინაარსით. და ყველაფერი ეს რეკვნ ინანიშვილს ძალუძს ნახევარგვერდიან მოთხრობაში ან სულაც ერთ აბზაცში მოაქციოს.

„ხეესური„.

„ამ აგვისტოს ბოლოს კახეთიდან ბერენდეკბოდი. ა. ეგრე მოყლეებზე გადმოვედი და ლელიან ველს რასმე წვიდეზე. ეხედავ — ჭყანტობია, ამ ჭყანტობს იქით მუხა დგას, მზე ჩადის, სხივები ტოტებქვეშ გამოშვერილა ბეგვეზე ბიეთ და ის სხივებში — გუნდად შეერული ქინქლა ავარდება მაღლა და დაიწეკს ისევ, ავარდება მაღლა და დაიწეკს ისევ... გამიკვირდა, რა არის-მეთქი, გადავტაკე ჭყანტობი, გავარდეკე ლელი და საკვირველ სურათს წავაწყდი!

მუხის ქვეშ ერთი ვეიბერეული ხეესური გადაშლართულა გულადმა, ცაამძერქნილი გალიბანები შუბლზე აღეკ, ფეკვივით ფშვინავს და, ფუო— რომ ამოისუნთქავს, ის გუნდად შეერული ქინქლა შადრეკვანივით ავარდება მაღლა, ჩაისუნთქავს და დაესვეიან ქარხალიკით გაწეოლებულ ცხეირ-პირზე.

შემებრალა, შეეანჯღრევ, გავაღვიძე და ეუთხარი:

— ადე, ძმაო, აქ საღ დაწოლილხარ, ქინქლა და კოღო ჭამს-მეთქი.

— არა უშავს, არამ სისხლ მიაქვთო.

გადაბრუნდა და ისევ ძილს მისცა თავი“.

ისევე როგორც მოთხრობაში „ზარი კახეთში“ ბერიაკის შემაძრწუნებელი ძახილი: „ეგ როგორ მოგდიხარ, გოგო?!“ ხეესურის ნათქვამი: „არა უშავს, არამ სისხლ მიაქვთო“ — ის საყრდენია, რომელსაც ემყარება მხატვრული სახე.

„ნნირი ქმნადობისათვის რეკვნ ინანიშვილს ჰყოფნის ერთი თქმა, ზოგჯერ ერთი სიტყვაც კი. ამის ბრწყინვალე მაგალითი გვხვდება მოთხრობაში „აკეი და ქალი“. თებერვლის ცივ, ქარიან საღამოს კაეი და ქალი უსმენენ ბალანჩამიძენილი შელას ხვიელს. კაეს ჰკონია, რომ შელა შამშილისაგან ხვავს. „ოჰ, რას ამბობ! — უკმაყოფილოა ქალი, — მარტოა და გუნებაა სტკივა“.

„ეგ როგორ მოგდიხარ, გოგო!“...

„არა უშავს, არამ სისხლ მიაქვთ“...

„მარტოა და გუნებაა სტკივა“...

სად შოულობს მწერალი ამგვარ გამოთქმებს?

როგორ იქმნება სასწაული, რომელსაც სიტყვის ხელოვნება ჰქვია?

საწერ მაგიდასთან? ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებით?

ამ კითხვებს ხშირად აღძრავს რეკვნ ინანიშვილის ნაწერები.

ახლახან რეკვნ ინანიშვილმა გამოაქვეყნა მოთხრობა „ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში“.

ერთი ადგილი ამ მოთხრობიდან, პატარა ბიეს სიმღერა „ტირილ ირმეანი“..., ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ და აღენიშნეთ, რომ ეს არის ბუნების ტირილი და მწერალი მოგვიწოდებს ადამიანებმა შეეხმინონთ ეს ტირილი.

„ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში“...

ეენაური სათაურია, არა? პატარა და დიდი გამომრიცხეელი ცნებებია, ეს ბავშვმაც იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა არა... მმ ბიჭმა, რომელიც ირმების ტირილზე ტიროდა, რომელსაც „უზარმაზარი ფანტაზიის უნარი“ აქვს, მხოლოდ ის იცის, რომ ირმები, შელების, მელიების, ფრინველების და ნაკადულების ქვეყანა, თუ „ფართოდ გახელილ თვალებით“ შეხედავ, დიდი. პატარაა იგი უფროსებისათვის — „შავი“ კაცებისათვის, „მზრუნველი“ დედებისათვის, „ჯეიანი“ ზღარბებისათვის, — ერთი სიტყვით, მათთვის, ვისაც „ჯეკი აქვს“, მაგრამ არა აქვს „უზარმაზარი ფანტაზიის უნარი“.

როდესაც მოთხრობას ჩავამთავრებთ, ვხედებით, რომ მწერალმა უკვე სათაურშივე ნათლად გაამჟღავნა თავისი პოზიცია. რევაზ ინანიშვილს არ სჩვევია სიტყვების თამაში. ამ მხრივ იგი, შეიძლება ითქვას, ზედმეტად მკაცრიცაა. მიუხედავად ამისა, რევაზ ინანიშვილის მოთხრობების და წიგნების სათაურები, თუ კარგად არ იცნობ ამ მწერლის მხატვრულ მანერას, გაწაფული მკითხველისათვისაც კი ამოსაცნობია. აქ არის მეტაფორა („წვეთები ფოთოლზე“, „ძმიმე ფეხსაცმელები“, „ნისლში“...), ამბავი („ვიღაცას ავტობუსზე ავეიდება“, „წისქვილში რომ წვიდან“...) მთავარი პერსონაჟის თუ პერსონაჟების გამოშეღონვება („დათია და ბოგია“, „ეკა“, „ლეგო“, „ბიბი...) თემა („ეშში“, „ეოდვა დიდისა“...), განცდა („ლოცვა“, „დაკვანებული რეკვიემი“...), ირონია („დედაბერი“, „ლამაზი ქალი“...), იუმორი („რატომ ჭამს სახედარი ქაღალდს“, „ბეგლიკას პირველი გმირული საქმე“) და ა. შ.

ცხადია, ახალი არაფერია იმაში, რომ მწერალი განსაკუთრებული ყურადღებით აჩრეკს სათაურებს. მაგრამ მე მიყვარს რევაზ ინანიშვილის სათაურების ჩაკთხვა, რადგან ვიცი, რომ მწერალი დიდ დროს ანდომებს მათ დამუშავებას და არანაკლებ მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე თავად მოთხრობას, ვიცი, რომ რევაზ ინანიშვილისათვის სათაური საჭაკეი კი არაა, არამედ მოთხრობის ორგანული ნაწილია, აუცილებელი მასალაა.

მოთხრობა „ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში“ უკვე სათაურიდანვე იწყება.

მოთხრობის შინაარსზე მიგვანიშნებს პირველივე წინადადება — შემპარავი, „მელური“:

„ამ წიგნს წერს მელა. როგორ წერს, რით წერს, საიდუმლოა. ხომ შეიძლება ერთი საიდუმლო მაინც დავიტოვო, როცა ქალაქის სიგრძე ამბავი უნდა გიამბოთ?!“

ვთქვათ, მელა მართლაც წერს ამბავს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც „ქალაქის სიგრძეს?“

რევაზ ინანიშვილი ის მწერალია, რომელმაც იცის, რომ „მოთხრობის დასაწყისში ლურსმანს თუ მიაქედებ კედელზე, შემდეგ იმ ლურსმანზე პერსონაჟმა „ეში“ უნდა ჩამოიკიდოს“. საქმე ისაა, რომ მელამ თავისი თავგადასავალი მაშინ უნდა გვიამბოს, როდესაც ... ქალაქშია. უკვე დატყვევებული, ყელზე სებელგამობმული.

და იწყება საოცარი ამბები ტყის შელებისა, დაწერილი მაღალტუმანისტური პოზიციებიდან, ტკივილებამდე უსაზღვრო თანგრძნობით ატირებული ბუნებისადმი.

ბუნებისადმი ულმობელი დამოკიდებულების პრობლემა ახლო ისტორიის მანძილზე კაცობრიობის საყოველთაო სატკივრად იქცა.

ზორს რომ არ წავიდეთ, ამ სატკივარს ეძღვნება მხატვრული სიტყვის ისეთი გენიალური ოსტატის რამდენიმე შედევრი, როგორიცაა ვაჟა-ფშაველი.

„ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში“ მე მიმანნია ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთაგან ერთ-ერთი საუკეთესოდ არამარტო ქართულ მწერლობაში.

მაშ ასე, მელა იწყებს თავის თავგადასავალს.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ პატარა მელას თვალებით დანახული ქვეყანა? მაშინ წაიკითხეთ ეს მშვენიერი მოთხრობა.

აქ პირობითობა იმდენადვე ზუსტია, როგორც თავად სინამდვილე.

ირდვევა საზღვრები წარმოსახულისა და რეალურისა. ტყის შელები ადამიანური ვნებებით, მაგრამ მაინც ბოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით წარმოსდგებიან მკითხველის თვალწინ.

ეს ხერხი ახალი არაა მწერლობაში, თუნდაც იმავე ვაჟას შემდეგ, მაგრამ რევაზ ინანიშვილმა შესძლო კიდევ ერთი ადამიანური ხილვების განსახოვნება ისე ახლოელი და ისე ოდუმალი ბუნების სამყაროს შესახებ.

მწერალმა იცის, რომ ბუნების სამყაროში მოკმედებს ე. წ. შერჩევის კანონი. მაგრამ რაც იქ ბუნებრივია და განპირობებული თავად ბუნების კანონზომიერებათა გამო, ადამიანთა მდგომი ვნებების ჩარევის შედეგად იქცევა იმად, რასაც ბოროტება ჰქვია.

სამი თვის შელასთვის ბოროტებად იქცა ჩხიკვი, რომელიც ადამიანს ეხმარება მის დაჭერაში.

საინტერესო ჩხიკვია, ძალიან, ძალიან საინტერესო...

„ეცვა საიდანღაც მამალი ჩხიკვი მოფრინდა და კუნელზე დაჯდა. მე რომ დამინახა, თავი ვვერდზე გადახარა, ხან ერთი თვალი მოხუჭა, ხან მეორე, კუდიც გააცახცახა რამდენჯერმე, ბოლოს გასწორდა, ყელი ჩაიწმინდა და მთელი თავ-ტანის ქნევით მომესალმა:

„— ჩემს კარგ მეზობელს ვახლავართ! ხომ

ბეჟან ბარდაველიძე

ფიქრები რევაზ ინანიშვილის პროზაზე

კარგად ხართ, ყმაწვილო? ხომ კარგად ბრძანდება თქვენი დარბაისელი დედაკო?

—ის ჩხიკეი სხვა დროსაც მყავდა ნანახი. კალიები ამბობდნენ, დიდი ზრდილი და განათლებული ფრანგეელია, მაგან რომ არ იცოდეს, ისეთი არაფერი იქნება ქვეყანაზეო. ყველას თავს უკრავდა, ყველას დიდი ამბით მოიკითხავდა ხოლმე, თან სულ ჭრელ ფრთებზე იყურებოდა“.

რეგეზ ინანიშვილმა ზედმიწევნით იცის ბუნების ენა. მას შეუძლია არა მარტო „გალაქტიკრის“ ბუნება — ეს ხერხი მწერლობაში ახალი არაა — არამედ გარდისახოს ბუნებაში. ეს უკვე ძნელია, ეს შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც არამარტო უყვარს ბუნება, არამედ იცის იგი, სწავლობს მას, როგორც მხატვარი და როგორც ნატურალისტი. არ გავამხელ დიდ საიდუმლოს, თუ ვიტყვი: მწერალი ბევრს ბოგზაურობს ბუნების წიაღში — მაღლობა ღმერთს, ქართველ კაცს საამისოდ შორს წასვლა არ სჭირდება! — ხოლო მის ბიბლიოთეკაში დიდი ადგილი უჭირავს საბუნებისმეტყველო ლიტერატურას.

ცხადია, რეგეზ ინანიშვილი ბუნებასთან მიდის, პირველი ყოველისა, როგორც მხატვარი, მაგრამ ამაში მას დიდად ეხმარება ის ცოდნაც, რომელიც მწერალს დაუგროვდა ბუნების სამყაროზე უშუალო დაკვირვებით და მისი მეცნიერული შესწავლით.

ამ თვალსაზრისით რეგეზ ინანიშვილი უაღრესად თანამედროვე მწერალია.

მისი მშვენიერი მოთხრობები მკითხველს არამარტო ესთეტიკურ სიამოვნებას განაადგენენს, არამედ ცოდნასაც ანლევს.

როდესაც ბუნების ესა თუ ის საიდუმლო მხატვრულ ფაქტად იქცევა, მაღალნიჭიერი ლეკსის ან მოთხრობის ფორმაში მოექცევა, იგი უზარმაზარ დამაჯერებლობას იძენს, ეხმარება მხატვრულ ნაწარმოებს და ეხმარება მეცნიერებასაც.

ბუნების ასახვა ვაკა-ფშაველასთან მეცნიერული აღმოჩენების დონეზე დგას.

დღეს სხვებზე უკეთ ამას რეგეზ ინანიშვილი აკეთებს.

მაგალითებს მოტანა ნებისმიერი მოთხრობიდან შეიძლება...

ორიოდე ადგილი მოთხრობიდან „ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში“: აი, როგორ დაინახა მელამ თეთრბოხოხიანი მეცხვარე: „წყლის ნაპირიდან ბორცვის თავზე თეთრი მატყლის ბღუჯა დავინახე. ამ მატყლის ბღუჯას აქ რა უნდა-მეთქი, წავედი მისკენ. მომყვა პატარონიც. გაიზარდა ის მატყლის ბღუჯა, გაიზარდა და ბოლოს თეთრბოხოხიანმ მეცხვარედ აო იქცა?! იჯდა ბორცვის იქითა გადაკენტებზე, ორლულიანი თოფი კალთაზე ჰქონდა დასვენებული და ცხვრის ფარას სდარაჯობდა“.

მწერალს ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ ამ ამბავს მელა წერს.

მკითხველსაც სინამდვილის სრული ილუზია ექმნება.

ბუნების სამყაროზე ასე წერა იმითაცაა ძნელი, რომ აქ მხატვრული სინამდვილე ჩვეულებრივზე მეტ პირობითობას შეიცავს. მხატვრის ფანტაზია, ასასაზი სინამდვილის ცოდნა უზუსტეს თანაფარფობაში უნდა იყოს გამოსახვის საშუალებათა ზომიერ გამოყენებასთან. მეცნიერიდენ დარდვევა ამ თანაფარფობისა გამოუსწორებელ შეცდომად იქცევა: მკითხველი ადარ დაგიჯერებს.

რეგეზ ინანიშვილს ემარჯვება ასეთ ბეწვის ხიდზე სიარული.

„ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში“ მთლიანად ასეა დაწერილი.

მელა ჯერ სამი თვისაა არაა, მაგრამ იგი მაინც ნაღირია. მაშასადამე, მასში მძლავრია ნადირული ინსტინქტები. ამიტომ იგი არ წუწუნებს, არავის არ ამტყუნებს. მან მხოლოდ ის იცის, რომ მარტოა და თავი რომ გადაირჩინოს, არ უნდა შეშინდეს. თუ შემთხვევა ხელს შეუწყობს, ისიც ისე იქცევა, როგორც სხვა ნადირი. თუმცა სჯობს თვითონ მას დავუგდოთ ყური: „ჩხიკეს“ შერჩეს ჩემი მოტყუება, მე ძირს დავდივარ, ის მაღლა დფრინავს, ვერაფერს ვეუბამ. ბატკანსაც შერჩეს, საძაგელი სუნი გაქვსო, რომ მითხრა... მაგრამ არა, ფიცი მაქვს მიცემული, მოგანახავ და შეგანრამეგნებ-მეთქი, ესე იგი, უნდა მოვნახო და შეგანრამენო კიდეც, თუ ცოცხალი დავრჩი, რა თქმა უნდა...“

მხოლოდ ჩხიკეის ფარისევლობამ იხსნა მისგან ხვლიკი, რომელმაც ხეპრე და გაუთლელი უწოდა ჩვენს გმირს. სამაგიეროდ, არ შერჩა თავგეს, რომელმაც გაბედა და დასცინა: „ძალიან კარგად ვიყავი დანაყრებული, მაგრამ ჩემი მელოდა რომ დამემტკიცებინა, ვისაუბე და ის წრუწუნა თვალის დახამხამებაში გავაქერე, თანაც მუქარით გავიარ-გამოვიარე,ბოქაულებიც გავეცეი ყუთის ძირზე — მისიანები თუ იყენენ სადმე ახლოს, ასეთი თავხედური ლაბარაკი ადარ გაებედნათ ჩემთან“.

ამაოდ არ ეშინია მისი ბებერ ჭიკჭავს, რომელიც მელას დანახვაზე ერთ ამბავს ატეხს: „თქვენ მაგას არ იცნობთ, ეგ მელაა, მე ბებერი ჭიკჭავი ვარ და არაფერი მესწავლება. ეგ მელაა, ეგ ყველს შეგვეჭამა“, „ნუ გეშინია, ფანქაკაო, ეს არავის შეჭამს“, — აშშვიდებს პატარა ბიჭი. „ახლა არა, მაგრამ გაიზრდება და მერე შეგვეჭამს... მე ბებერი ჭიკჭავი ვარ და არაფერი მესწავლება“ ჩვენს მელიაა კი არც უფიქრია ჭიკჭავის დაწყნარება.

ნამდვილად არ არის აქ გმირის იდეალიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, რატომ გვეკოდება ეს საბრალო ცხოველი, რომელიც ადამიანებს დაუტყვევებიათ და ხელიდან ხელში გადაჰყავთ? რატომ ვადევნებთ თვალს ასეთი თანაგრძნობით მის თავგადასავალს?

იმიტომ, რომ რაც მელაში მელურია, ის სრულიადაც არ ამშვენებს ადამიანებს.

თ ა ნ ა გ რ ძ ნ ობ ა, როგორც ადამიანურის უმაღლესი გამოვლენა, რევენ ინანიშვილისათვის იგივეა, რაც ს ი ყ ვ ა ს.

შემთხვევითი გამეცლილი თანაუგრძნობს გაჭირვებაში ჩაეგრძნილ დედას და მის გოგონას.

ცისფერთვალა გოგონა თანაუგრძნობს დიდთავა ბიკს, რომლებსაც სხვა გოგონები დასცინიან.

პატარა ბიკი თანაუგრძნობს დატყვევებულ ბებერ ჭიკვავს და მელას.

აშლილპუნე დათვი თანაუგრძნობს აბეზარი ბიჭისგან შეშინებულ ფრინველებს და თოფს გადაუტეხს ირის.

რევენ ინანიშვილის ყველა მოთხრობა, რასაც უნდა ეხებოდეს იგი, გასაოცარი სიკეთითა და თანაგრძნობითაა გამთბარი.

„ლომმა და ნიეორასი“ თავშეკავებულ, ე. წ. ობიექტივისტური სტილით დაწერილ მოთხრობაში, იკითხება ღრმა თანაგრძნობა ცხოველთა სამყაროსადმი.

განუზომელი სიკეთითაა სავსე მოთხრობა „ჩვენი ფურდედო მთისა“.

ეს სიკეთე კიდევ უფრო გამოკვეთილია „ირგებნელად ეხვეში“ იაკოფა მენახირის, დინჯი დათოკო პაპას და შეშფოთებული პატარა ბიჭის ხასიათებში.

„გამოვიდა ნისლიდან იაკოფა მენახირე, მოდგა მესერთან, დაიბჯინა თავისი გრძელი ჯოხი და დაიძახა შეშფოთებული ხმით... ძროხა გადავარდნილა ხევში, ფურდედო მისა. „იაკოფა მენახირეს კაპიშონიანი საწვიმარი აცია, მწვანე, ახლა სისველისაგან გაშავებული, გაფხოკილი, დაკაფრნიბია თავის გრძელ ჯოხს და ისე ღრმად სუნთქავს, საწვიმარი აიწევს და დაიწევს, აიწევს და დაიწევს“. იაკოფა, პაპა და ბავშვები ფურდედოს მისაშველებლად წავდენ. „ხევში ერთი ნაკადულისოდენა ღვარი წყალი მოედინება, ქვებში, კლდეებში, ღორღებში. ავყევით იმ წყალს და... ზმუის ძროხა, კიდევ ზმუის... წინ იაკოფა მიდიოდა. არ ერიდებოდა არც წყალს, არც ტალახს, მიიპჯინდა თავის მაღალ ჯოხს და მიხვნეშოდა, მიწაზე მიათრევდა საწვიმრის კალთებს. პოლოს მისაც დავინახეთ, ...ეგონებოდათ, მშვიდად წევსო. ერთი ეგ იყო, სველი იყო ბალანსამოლუმპული და დიდი თვალები კიდევ უფრო დასდიდებოდა. მის ზემოთ, თიხინან ფლატეს, აპრიალებული ზოლები ჩამოსდევდა, მისი ჩამონაცური“... შემდეგ აღწერილია როგორ შველიან მასას პაპა, იაკოფა და პატარა ბიჭი, რომელიც ამ ამბავს ჰყვება, როგორ წვალობს მასა, ნაკრისფერ ბებეზე ნელ-ნელ რომ ჩამოსდის ცრემლები... ყველაფერი ეს აღწერილია ზუსტად, გულმოდგინედ, რაღაცნაირი დასპეტი სიმშვიდით და, მოთხრობის გმირებთან ერთად გიპყრობს საოცარი სიკეთის გრძნობა, როდესაც მასა ტანჯვისაგან გათავისუფდება, კვლავ დაუწყებს წიწკნას „ქვებშორის ამოსულ მწვანე ბალახს“. „მე მაინც მივედი მასასთან. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს არხეინად სძოვსო, მაგრამ, სინამდვილეში, საბრალოს მოეკი ტანი უთრთოოდა, უკანკალებდა ტალახით აპოსერილი მუხლებიც. ეგ კი იყო, თვალები დამშვიდებოდა; ცრემლი ალარ სდიოდა“.

ახლა მასას შეიძლება უწოდონ „მუტელკა-სახეთქი“, „მეცელმოლორიბული“, „არგასაჩერებელი“, მაგრამ ვიცით, რომ ადამიანები მას არასოდეს მიატოვებენ გასაჭირში.

მოშხიბლავი იუმორით, სიკეთითია და თანაგრძნობითაა გამთბარი „ზამთრის ზღაპარი“.

ეფემია ბებიას საკუთარ მელი ზეკრია, ხან ნაცარა დააკლდა სათვალაში ბებიას, ხან ცანცარა.

დიდებული თევდორე პაპა. ნაცნობი პაპაა, ეკითხეო, დარბაისელი. ტრადიციული ეფემიაბებიაც, ფუსფუსა, წყეველკრულვიანი, სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენს ზღაპრებში და ბავშვობიდანვე საყვარელ მოთხრობებში არიან დახატული...

მწერალი თითქოს საგანგებოდ უსვამს ხაზს ამას და გამედფლად აღადგენს უსამართლოდ მივიწყებულ „საბალღური მოთხრობის“ ჟანრს.

„მოვედი თევდორე პაპაც, ცალი ხელი მუხლზე დაიბჯინა და ცალითა თვლ დაიწყო:

— ეს ნაცარა აქ არის, ეს ბაჯაჯა, ეს ქოჩორა, ღაბეა, ყელტბეველ... მართალია, ცანცარა არ არის. სადმის აქ იყო?“

ამშვიდებს თევდორე პაპა ავიშეშებულ ეფემია ბებიას, ხერელს ამოქოლავს, თანაც აქებს მელიას „ნამუშევარს“. როდესაც მელიამ ბაჯაჯას ყელტბეველაც მიაყოლა და ეფემია ბებიამ „მართალ ცეცხლი მოიადა“, „თევდორე პაპას რაღა უნდა ექნა?! ადგა, სოფელ-ქვეყანაში გავიდა და დაიჩივლა: ხალხო, ჯამაათო, ერთმა წუბაკმა მელიამ ქათმები გაგვიწყო, დაგვაწყალა, ხელეარიელს გვსხამს, რამე მსაწვალეთ, რამე მიშველეთო“. თოფიც ურჩიეს, დარიშხანიც, მაგრამ თევდო-

რე პაპამ ქანქვლე გიორგის დაუჯერა და მელია ხაფანგში გაიგაბა. თვეფორე **პაპამ** ჯოხი შეიმალა და თავს დაადგა ხაფანგში გამგზავრ მელიას. „დრასტი! გამარჯობა“ — მარჯვენა წინა ფეხით გაბმული მელია ხტოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა. თვეფორე პაპას წყნარი ხმა რომ მოესმა, ახედა, დაირცხვინა და თავი ჩალუნა. გაეცი? ახლა როგორ მოვრიდდეთ, ჰა, შემოსხედე, კაცო! მაგრამ მელიას ალარ შეუხედავს. მაშინ თვეფორე პაპა ჩაცუცქდა და თვალებში ჩაუშტერდა. რატომ არაფერს არ ამბობ, კაცო! რა უკავია ჩვენი ქათმები? — მელია ძიგძიგებდა“. თვეფორე პაპას გაახსენდა თავისი შვილიშვილი. „რას იზამდა ახლა ავთანდილი, აქ რომ იყოს? ჯოხს გამოართმევდა და თავს გაუხეთქავდა ამ საწყალ, დატანჯულ, შეშნებულ ცხოველს? ამ ბიჭს ისე ძალიან უყვარდა მელიების, ტურების, დათვებისა და თვით ავი მგლების ამბებიც კი. „შენ ეგ ფეხის მომტვრევაც ეკეოფა სასკელად, ქათმებს ვედარ მიეკარებიო“ — თქვა თვეფორე პაპამ და მელია ხაფანგიდან გაათავისუფლა.

„თვეფორე პაპა ეი იდგა და იღიმებოდა. ერთდროულად რამდენიმე სურათს ხედავდა. ხედავდა ფეხებაბმტვრეული მელიას ოჯახს, აფუთფუთებულ, აწყმეტნებულ ლეკვებს. ხედავდა თავის ავთანდილს, მოხარულს, ბედნიერს, კმაყოფილს ამ ამბის ასეთი დასასრულით; ხედავდა თავის მეუღლეს — წუთით გამწყრალს, შემდეგ კი ისევ ხასიათმობრუნებულს...

„და ის თოვლის ფიფქები, ის სევდიანი მთა, ის შეუჯაჭარებელი ტყე და ცაში კვალზილ სამელი ჩამოყდებული ხალი ეჩეკნებოდა უჩვეულოდ ლამაზად, უჩვეულოდ ბედნიერად, და გრძნობდა, არასოდეს ასე არ სდომებია სიცოცხლე, როგორც ახლა, როცა ყველაფერი ეს თავისი საყვარელი შვილიშვილისათვის უნდა ეამბნა“.

აი, როგორი პაპები ცხოვრობენ „ცაში კვაშლის სპელით ჩამოყდებულ“ სახლებში...

„ზღაპარი“ დასრულდა. მწერალმა გვაზიარა კიდევ ერთ სილამაზეს, რომელსაც ჭქვია სიკეთე და თანაგრძნობა, თანაგრძნობა და სიკეთე.

დარბაისლური იუმორით, დინჯი, ეპიური თხრობითაა დაწერილი „უშიშა პაპას ამბავი“.

განთქმული მონადირე, უშიშა პაპა, „კაკეასიონის მთებში შეუუეეულ ეროპატარა სოფელში ცხოვრობდა“ და თავისი „გრძელლულიანნი, ლამაზად მოქეფდილი“ თოფით სხვებსაეით დასდევდა ჯიხვებსა და ვეფხვებს. ბოლოს, როდესაც „ეპოხეი გამოერია თმებში“, მუხლებიც ასტკივდა, გიიუ-გამიიწია ტალავრის კალთები, მიუჯდა ბუხარს, შემოისხა ბალღები, გამართა ჩიბუხი, აბოლა და დაიწყო“... ჰყვება უშიშა პაპა: „აქ ამ ჯიხეს დიკარი თოფი, იქ ის ჯიხეი ფამეიდდა და ამ ხეკვნი მე და ეეფეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი შაეიბენეითო“...

მთის გმირული ლეგენდებიდან უშიშა პაპა პირდაპირ ქალაქში მოხვდება, სადაც სამკურნალოდ ჩაიყვანნა ვაეიშვილმა.

და აი, ერთხელ შვილიშვილმა ზოოპარკში წაიყვანა უშიშა პაპა, ნახაეს თავის საყვარელ ჯიხეებს და გულს მოეშვებინა...

თეთრმა დათვებმა უშიშა პაპა გააკვირვა, მაგრამ არ აიღელვა.

სამაგვიროდ, „ნამდვილ დათვებს, ესე იგი, ჩვენებურ წაბლისფერ დათვებს, კარგი ძმაკაცეეთი ღიმილითა და ამოძახილებით შეხვდა:

— ოო, ტალეპიებო, ბობღინებო, ტოტსაოხრნენო, რა დაგმართიათ ესა! სადა ხართ გამომწყვდეფული ესა!

„დათვებმაც, თითქოს იცნეეო, მოვიდნენ ახლოს, გალიის რკინებს შაეი დრეტნენი მოაჭიოს და დაიწყეს ფუტეტენი და ბობღინნი დათეეროდა.

— მოგიკვდათ, უშიშა, ბობღინებო, მოგიკვდათ. რა დანატრებულები იქნებიით თქვენნ ანტტანებსა! რად ვიღიარო, ალბათ, ერთი დაგორება თქვენებურადა!“

მაიმუნები არ მოეწონება უშიშა პაპას, რადგან ხალს აცინებენ. არც სპილო, რადგან „ეს უზარმაზარი ცხოველი მათხოვარივეთ იშვეეს ხორთუმს, დიდ და პატარა შიგ ათას რადაცას სჩრიდა და მერე ისიც ხარბად იტენიდა ვეეპა ხანაში,“ თავისი საყვარელი ჯიხეების ნახვამ დაალონა მოხუცი ნონანდარი.

დაეყავართ მწერალს ზოოპარკში უშიშა პაპასთან ერთად და ამ გულუბრყვილო, ვაეკაცი მთიელის თვალით დანახულ ცხოველთა სამყაროს უკვე ახლებურად, უკვე სხვანაირად აღვიქვამთ.

არ უნდა უშიშა პაპას დაიჯეროს, რომ გალიაში ნამდვილი არწივი ზის, რადგან „არწივის დაჭერა როგორ იქნება, ბალღო!“ არწივი „მეტდალი სკვეი“ ან თაგვიეპაია ძერა ხომ არაა... ეცოდება მგლები და ტურები, „ეე, კაცებო, თქვენც ძაან გიეჭით, ეეტყოფაათო“. ჯერ კი ხანჯალს ამოზიდავს ქარქაშიდან, მაგრამ შემდეგ სახეგაბაღრული შესცქერის ვეფხეს, რომელიც გაბრაზებული მოაწყდა გალიის კედელს.

მოთხრობის კულმინაციაა უშიშა პაპას შეხვედრა ლომთან.

„შაშინ კი, როცა გიგიმ ხელი მოჰკიდა და სხვა გალიისაკენ მიახეკა, აგერ, ლომიო, ორი ნაბიჯიეი გადადგა ვვერდზე, რაღაც ნაკრისფერმა გადაკარა სახეზე, მერე ნელ-ნელა მოიხადა ფაფახი, ხელის კანკალით დაუშვა ძირს და ასე დარჩა.

„ლომი გაქვავებულივით იწვა, თავი გორთზად აეწია მაღლა და კოპებშეკრული, გაფი-

ნული, ყეთილი, ნაღვლიანი თვალებით იყურებოდა შორს“.

მწერალი არაფერს ამბობს, რა ფიქრები უტრიალებდა თავში უშიშა პაპას, როდესაც ქუდმოხდილი იდგა ნადირთა მეფის წინაშე.

ხოლო რაც შემდეგ მოხდა, ყველაზე უკეთ გამოსახატავს ამ შესანიშნავი მოთხრობის საფუძველს...

„და აი, კიდევ რა დაინახა უშიშა პაპამ. გალიების წინ თეთრხალათიანი ქალი მოდის. მოდის, მოდიოდეს, ხელში იატაკის საწმენდი ჯოხი უჭირავს. გაჩერდება ლომის გალიასთან, შეაყოფს იმ ჯოხს რკინის შნეგაშორის და ჭაკრავს ლომს ფერდში. თან რაღაცას უყვირის:

— ვსტავაი, ვსტავაიო!

— რას შრადი, ჭკუთხელო, დიაცო! — დასძახა უშიშა პაპამ ქალს, სწვდა იმ ჯოხში, გამოსტაცა, დაუკრა ფეხი და გადაუმტრია ორად“.

ცხადია, მილიციაში მოხვდა უშიშა პაპა. „მაგ ჭკუთხელმა დედაკაცმა კარგიანა და ავის ყადრი არ იცის“, — იმართლა თავი უშიშა პაპამ — „კარგს რომ პატივით უნდა მიეტანა, არ იცის; კარგი კი სულ ერთია, რაც იქნება — ადამიანი, ბალაზ-მეცნარე. ფრინველი თუ ოთხფეხი. ლომი მიიმუნი ხომ არ არის, ჯოხი უჩხეიანონ წამუწუმ? ლომი ლომია, გმირთა გმირი, ეიქაკეთა ვეკაკეი, გალიაში ჯდომა არ ეყოფის, რომ ახლა ჭკუთხელმა დედაკაცმა ჯოხით არ უჩხეიანოს! ეგეთ მაქცევს, მახკალთ, ის ურჩენის, მახკალთ, ის ურჩენის ლომსაო“.

უშიშა პაპა ციხეში არ ჩაუსვამთ.

ეს ამბავი კი მთელ მთას მოედო, ხოლო შემდეგ ჩვენ გვიამბო მწერალმა, რომელსაც აქვს გასაოცარი უნარი ჩაიხედოს ადამიანების, მეცნარეების, ცხოველებისა და თქვენ წარმოიდგინეთ, ეიროდრომზე მთვლემარე, დაღლილი თვითფრინავების გულშიც კი.

ამიტომ უთხრა პატარა ბიჭმა შეშინებულ მელას:

„ყოველ სულდგმულთა შორის არიან კარგები და ცუდები. უფრო მეტსაც გეტყვი: კარგები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ცუდები“.

●

პორტრეტი და პეიზაჟი სიტყვის ხელოვნებას მხატვრობასთან აახლოებს. იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ეს საშუალებანი მწერლობაში სახვითი ხელოვნებიდან შემოვიდა.

ამ თვალსაზრისით რევაზ ინანიშვილის პალიტრა ძალზე მდიდარია.

პორტრეტი და პეიზაჟი რევაზ ინანიშვილის მხატვრულ ოსტატობის უმნიშვნელოვანესი მხარეა.

ყველა მისი მოთხრობა უსათუოდ შეიცავს პერსონაჟის გარეგნულ დახასიათებას და პეიზაჟს, ბუნების სურათს.

დაკვირვებული მკითხველი ზემოთმოტანილ მაგალითებშიც შეამჩნევდა ამას.

რევაზ ინანიშვილის ოსტატობა დეტალების შერჩევისა პორტრეტისა და პეიზაჟის მაგალითზე კიდევ უფრო მკაფიოდ მეფდებოდა.

ფერტი, მიმეკა, ლაპარაკის მანერა, ჩაცმულობა, გამომეტყველება და ა. შ. დანახულია უაღრესად ზუსტად და ჰქმნის ნამდვილობის სრულ ილუზიას.

არ შეეფდები პორტრეტული დეტალების ჩვენებას რევაზ ინანიშვილის პროზიდან, რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ამ დეტალებს რაიმე თავისთავადი მნიშვნელობა ჰქონდეს მწერლის უაღრესად შეკრულ, მთლიან მხატვრულ სახვით სისტემაში.

არა, პორტრეტული დეტალი თუ პეიზაჟი რევაზ ინანიშვილის პროზაში მხოლოდ მხატვრულ სახეთა მოლიანობას ემსახურება და ერთხელ კიდევ ამყოფებენ ამ მწერლის დახვეწილ ოსტატობას, მის მაღალ ხელოვნებას.

რევაზ ინანიშვილის პორტრეტული დეტალი ფსიქოლოგიური დეტალია და — პირუკეკ.

ეს არის პორტრეტისტული ხელოვნების თანამედროვე დონე და რევაზ ინანიშვილი სრულყოფილად ფლობს ამ ხელოვნებას.

არ შეიძლება დავიგიწყოთ რევაზ ინანიშვილის „ბაპრეხილნწყნვეიანი, ზეაწეულნწამწამებიანი, კნაკელი გოგონები“, რომლებიც ფართოდ გახელილი ცისფერი თუ შავი თვალებით შეპყურებენ ქვეყანასს... მისი დიდთავა, თავვადაზოტრილი პატარა ბიჭები, რომლებიც ხან თავიანთი ბავშვური თამაშით არიან გართულნი, ხან მამაკაცურად საქმიანნი, უფრო ზზრარდ კი გამოუსწორებელი მეოცნებენი არიან.

მწერალი არ ერიდება ერთხელ მიგნებული დეტალის განმეორებას, მაგრამ ყოველთვის ეს დეტალი ახლებურად აღიქმება, რადგან იცი, რომ იგი მისი, რევაზ ინანიშვილის მონაპოვარია და რაკი იმეორებს, მაშასადამე, რაღაცას მისთვის ჩვეული გულმოდგინებით ეზუსტებს, აღრმავებს.

ეძევ უნდა შევნიშნოთ, რომ რევაზ ინანიშვილი საერთოდ არ ერიდება თავისი თავის განმეორებას, რადგან იგი რომანებს არ წერს და მწერლის ამა თუ ის მნიშვნელოვანი ჩანაფიქრის მთლიანობაში მოაზრება ამ გზით, ალბათ, უფრო მოსახერხებელია.

შემთხვევითი არაა, რომ რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს ხშირად მომართავენ კინოს ოსტატები. მწერალიც ხანგრძლივი დროის

ბეჭედ ბარდაველიძე

ფიქრები რევაზ ინანიშვილის პროზაზე

მანძილზე ნაყოფიერად თანაშრომლობს მათთან. იგი რამდენიმე სცენარის ავტორი და თანაავტორია. ხელოვნების ამ უადგილად თანამედროვე ენაზე გამოსახვის საშუალებათა განუსაზღვრელი შესაძლებლობებით უფიერ კეთილსმყოფელი გავლენა მოახდინა რეგაზ ინანიშვილის შემოქმედებით მეთოდზე.

რეგაზ ინანიშვილის რამდენიმე ბოლოდროინდელი მოთხრობა თითქოს საგანგებოდ კინემატოგრაფისთვისაა დაწერილი. პირველ რიგში ეს ეხება მოთხრობებს „წისქვილი ქალაქის გარეუბანში" და „ფერმა მთაში".

ზუსტი, ფსიქოლოგიური ქვეტექსტებით დატვირთული დიალოგები, პერსონაჟთა და გარემომცველი ბუნების პლასტიკური გამოსახვის მანერა, ე. წ. ახლო და შორი პლანი, ყოველივე ამის დინამიურად, ასწორაფებულად წარმოსახვა — ამ მოთხრობებს ახლოვდებს კინემატოგრაფთან, ისე რომ, მწერალი ერთი წუთითაც არ შორდება საკუთრივ მწერლობას, თავის საყვარელ თემებსა და ხასიათებს.

„ფერმა მთაში" სავსეა სივრცით, ფერებით, ხმებით, რაც მწერალს საშუალებას აძლევს განვავლდეგინოს სიკეთით სავსე უბოროტო სპეყროს თითქმის ფიზიკური გეგრანება.

მოთხრობა დაწერილია რეგაზ ინანიშვილისათვის დამახასიათებელი მაღალ ოსტატობით. მწყემსების ყოველდღიური საქმიანობის ყოფითი დეტალები ხაზგასმული სიხუტითაა ნაჩვენები; ასევე ზუსტადაა „ჩაწერილი" თითოეული პერსონაჟის ქცევა, ლაპარაკი და ა. შ. ყველაფერი ეს ნაჩვენებია მთის ბუნების ფონზე, რომელსაც მესიანელური აკომპანემენტიკი გასდევს მწერისა და ღალეს ხმები.

მწერალი საგანგებოდ შეუნაცვლეს ერთმანეთს ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის „პროსაიზმს" და პირველყოფილი ბუნების „პოეტურ" სურათებს; სიტყვამრავალ ალეკსის და ამეფანდე თაეშეკავებულ კობეს; მკაცრ ქრისტნეს და ნაზ გოგონას, ღელს, მოხუც ივანეს და პატარა ნოშრეს...

კონტრასტების ხერხის გამოყენებით მწერალი აღწევს გასაოცარ ეფექტს, ჰქმნის შეზრომელი ადამიანების ცხოვრების სურათს, მათ დასრულებულ ხასიათებს. კითხულობ ამ მოთხრობებს და ასე გგონია, თითქოს ყველაფერი იცი ამ ივანეს, ამ ქრისტინეს, ამ ალეკსეს, ამ კობეს, ამ „ზარელინა გოგონას" შესახებ. აქ კი მათი ცხოვრების მხოლოდ ერთი დღეა აღწერილი...

●

კახეთის მაღლიანი ბუნების სურათები, ივრისა და ალაზნის წყალ-ჭალის ხმები და ფერები, ყოველდღიურ შრომაში ჩაბმული ადამიანთა ხასიათები — მეგზურები, ტყისმცველები, მწყემსები, მთიბავები, მეზვრეები და მევენახეები — ჰქმნიან რეგაზ ინანიშვილის პროზის სიკეთითა და სინათლით აღსავსე ატმოსფეროს.

ჯანსაღი, მამაკაცური უხეშნი იუმორი, განუმეორებელი სტაცვის მოსაქცევი, რომელიც დამახასიათებელია ამ თაკარა მზისა და ღვინის კუთხის მკვიდრთათვის, ისევე ბუნებრივად შემოდის რეგაზ ინანიშვილის პროზაში, როგორც მათი საქმე და საზრეანი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი კახეთი სწორად რეგაზ ინანიშვილმა დაამკვიდრა ქართულ პროზაში.

ვისაც ამაში უნდა დარწმუნდეს, მან უნდა წაიკითხოს რეგაზ ინანიშვილის მოთხრობათა ციკლი „ჩემი წყალ-ჭალის ხმები", რომელიც რამდენიმე შედევრს შეიცავს...

●

ქალი— —დედა, მეუღლე, სატრფო, ოჯახის ღედაბოძი — ქართული მწერლობის საგანგებო უურადღების საგანი იყო ოდითგანვე, დაწუებული უძველესი იაკობ ხუციესით — ჭაბუკი გურამ რჩელიშვილის ჩათვლით.

ამ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს რეგაზ ინანიშვილი.

გამრეხილნაწნავებიანი, ზეაწეულწამწამებიანი ყანჩელა გოგონები, ფართოდ გახელილი ცისფერი თვალებით რომ შეჰყურებენ ქვეყანას; შარვლიანი გოგონა ლელა, ღიმილს მარჯვენა მხართან რომ ჩამალავს და ნელ-ნელა გასწევს გარმონს, რომელზეც ფაშვალი ქალის სტარატელ დაამფრავს; სიცოცხლით სავსე თინა და გასაფრენად გამზადებული ანელი; საზრეანეთისგან შემხვარი, შეკანკალებული ქრისტინე; წყალში მუხლებამდე ჩამდგარი დედა მარიამი, ჩანჩქერებივით ჩამოძაგრაულ ქოქტეზზე ღრმის ბოკვერებივით რომ ჰკიდია ტყუბები და შეშფოთებული აჭყურებს ცაზე ღრეღლით ამოვარდნილ წყვეტებულ თვითმფრინავს; უკვე გაზრდილი მზისა, რომელსაც ღამაზი, სუფთა, დაწიწკლული კაბა აცვია, ბანზე ჩამომჯდარი ელოდება ახალგაზრდა მთამსვლელს, „გიიზარდეო" — რომ უთხრა, და მრავალი, მრავალი სხვა...

დახატულია ქალი ცხოვრების თითქმის ყველა საფეხურზე, ხასიათისა და განცდის მრავალნარი გამოვლენაში.

და ყველგან იგრძნობა, რომ ამას წერს მამაკაცი — ოანაგრძნობი, მსასოფელი, აღტაცებული და მოხიბლული.

„სიკვდილი ბაბალე ბადიაურისა" კიდევ ერთი ძეგლია მრავალჟრნახული ქართველი დედისა, რომელსაც ჩვენს მწერლობაში მიეძღვნა ორი დიდებული მოთხრობა — „ოთარაანთ ქვრივი" და „თავსაფრაანი დედაკაცი".

„წუხილი ყველანაა — ნათქვამია რეგაზ ინანიშვილის ერთ მინიატურაში — შესაძლოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით დედამიწასაც უჭირს, სახსრებში სტეხს და გმინავს, გმინავს...“

მაგრამ განუსაზღვრელია წუხილი შვილს დამკარგავი დედისა.

უსაზღვრო თანაგრძნობით, ყელში მოჰკვნილი ცრემლებითაა დაწერილი რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „დედები“.

ყვარაზე მოდის გაპხდარი, ვასნეულებელი შუახნის ქალი, დედა ანაზო, რომელსაც ღამ-ღამობით დაღუპული შვილი ელანდება. „ქალი მოსახვევს უკან გადაიწევს და შეჯიარავებულ თმას დამჭკნარი ხელისგულებით ისწორებს საფეთქლებთან.

— მოდი, შენ ავაცე, ანანო!

— არა, რასა ბრძანებთ, ქა, მე სად მეჩქარება, შინ ვინა მყავს. ბიჭი იყო და გათენებასსვე წავიდა.

— იყო, ქალო?

— იყო, დედა ენაცვალოს. გასუქებულია, დავაჟკაცებულო, ყელგავსებული. აი, ბეჭებზ! ხალთაში არ ეტევა. ცოტა ხანაც, დედი, ცოტა ხანაც და მერე სულ შენთან ვიქნებიო. სახლს დავიდგამ, წითელი ეფსტეი გადავხურთო, ეზოც ვარგად შემოვიღობოთო. ზრეკამდე ვერაკი ვწუხდები, დედა ენაცვალოს, იმასა, დავსვი, ფეხები დავბანინე. ბრალი, ქალო ბრალი! მამაჩემსა ჰქონდა სწორედ ეგეთი ფეხები. ჩავუხალე კეერცხები ერბოში, იმისთვისა მაქვს შენახული საკუთრად. შენაო, დედაო, შენ უნდა სჯამოო, მე დამიდგა . თითონ მომატხა პურიც, მე არა მშიაო. მე შენ შიმშილის ქვეყნიდან ხომ არ გგონიარ მოსულიო. ეცინებოდა, სულ თეთრი სიცეთის ვარდები გადასდიოდა სახეზე. დადის, დადის, ბალ-ბალე გადისესამს ხელს ქოჩორზე. დარჩი-მეთქი, დედა ფენაცვალოს, შვილო, ჩავქიდე ხელი. აი, მაკვნი, ორ ხელს ძლივს შემოეწვდენ, ქალო. ირაო, დედიო, არ წავიდე, არ შეიძლებაო. ეგენი კი არ არის, იქაო, იქაც დიდი საქმე მაბარიოო. ძალით გამაშვებინა ხელი იმ ჯიუტმა. გამაშვებინა ხელი და წავიდა სიცილ-სიცილით. ნეტავ შენს დედასაო, იტყოდით.

ქალება ბედავენ და ბოლომდე ვერ გაუბედიათ მისკენ გახედვა. მილთან რომ ჩაეუცქეს და ფაფის სუფას უმარჯვებს, ის ჩაპტუტტუტებს შემდგრეულ გუბეს.

— ვაი, შე საცოდავო, შენა“.

ზის ფყაროსთან დედა ანანო და ახლა ახალ-მოსულებს უყვება თავისი ბიჭის ამბავს.

ჭირთამომენრობის სიბრძნით გასრულებული ამბავი ამ მინიატურულ მოთხრობასს ტრაგედიის მონუმენტურობას ანიჭებს.

„— ამას წაწით ეკმიშთან ვნახე, ქალო, ჩვენ ჭკეაზე გადასული ვგგონია და იცი, რას ეუბნებოდა ეკმიშა? ძილს წამალი მომეცი, ძილს წამალი მომეცი, თორემ ადარ მეძინება და ვიღუპებიო. ტროდა, ტროდა, სულ თხილის სიმსხო ცრემლები ჩამოსდიოდა.

— დედის გულს გამჩენი, დედის გულს გამჩენი უნდა დაიწვას ჭვეყანაზედა.

— ეეჰ!“

ოსტატი, ხელოვანი... რევაზ ინანიშვილი ერთი ინ ცოტთაგანია დღევანდელ ქართულ პროზაში, რომელმაც არაშხოლად იცის **რაზე** სწეროს, არაშედ — **როგორ** სწეროს.

რევაზ ინანიშვილის ძიებანი მცირეფორმიანი მოთხრობის შინაარსისა და ფორმის სრულყოფისათვის უტოლდება ჩვენი საუკუნის დიდი მწერლების კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის მიღწევებს რომანის ჟანრის სრულყოფისათვის.

თანამედროვე ქართული მწერლობის ახალგაზრდა თაობა შემოქმედებითად ითვისებს წარსულის მდიდარ მემკვიდრეობას, რაც გამოიხატება რეალისტურ მწერლობის ტრადიციებისადმი განუხრელი ერთგულებით, შინაარსისა და ფორმის ერთიანობის უმაღლესი კულტურით.

რევაზ ინანიშვილი ამ თაობის ერთ-ერთი უნიკალური წარმომადგენელია.

უკომპრომისო ზნეობრივი მრწამსი, მწვავე ბოქალაქეობრივი პათოსი, დაუცხრომელი ძიებანი არჩეული ჟანრის სრულყოფისათვის, სიტყვის განსაკუთრებული კულტურა, — რევაზ ინანიშვილს გამორჩეულ ადგილს მიუჩენს ქართული პროზის უპირველეს ოსტატთა შორის.

რევაზ ინანიშვილი უაღრესად ნაყოფიერი მწერალია. მხედველობაში მაქვს მისი შემოქმედების არამარტო რაოდენობრივი მხარე, არაშედ ისიც, რომ მწერლის ყოველი ახალი მოთხრობა მხატვრული ოსტატობის სრულქმნის ნიმუშია, ამ ჟანრში მწერლის რომელიმე ახალი მიღწევის გამოვლენაა.

საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე აღმაელობით მიემართება რევაზ ინანიშვილი შემოქმედებითი სრულყოფის გზაზე.

ალბათ ამიტომ ლიტერატურულ კრიტიკას უჭირს თვალი მიადევნოს მას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ დოიაშვილი

თამაზ ბიბილურის მოთხრობები

„შუა სოფელში მეხნაკრავივით შეეჩერდით.

— მიტოვებული სოფელი!!

ბინდში ეხლაღა შეეჭნარნეთ: ჭინკარმოდებული ეზოები, მინგრეული ყორე, უკარფანჯრო სახლები, უკრამიტო კავები, ჩატეხილი საყვავე, ბალახიანი ბაკე.

Sოფელში არ ყეფდნენ ძაღლები.

არ ყიოდა მამალი.

ხმა ალარ ამოგვიღია.

მიტოვებული სოფელი სასაფლაოს ჰგავს და ხმამაღალი ლაპარაკი არ შეიძლება“.

ასეთი ტკივილიანი, სევდიანი ტონით მთავრდება თამაზ ბიბილურის პატარა, მაგრამ აზრობრივად და ემოციურად ტევადი მოთხრობა „ნისლაური“.

სოციოლოგთა დაკვირვებით, დღევანდელი სოფლისათვის ორი ძირითადი ტენდენციაა ნიშანდობლივი: მოსახლეობის მიგრაცია და ქალაქისა და სოფლის დაახლოება. ამ დასკვნის ობიექტურობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან სპეციალური კვლევის გარეშეც სრულიად აშკარაა, რომ სოფლის მკვიდრნი ქალაქისაკენ ილტვიან, ხოლო თანამედროვე სოფლის მატერიალურ-კულტურული დონე ძალიან ამაღლდა. მეუხეადავად ამისა, მაინც იბადება ერთი, არცთუ უსაფუძვლო, კითხვა: თუ სოფელსა და ქალაქს შორის ზღვარი იშლება, რადად ეტანება სოფელი ქალაქს?! საქმეში ჩახედული სპეციალისტები მიგრაციის მოვლენას იმით ხსნიან, რომ სოფლის მეურნეობის ტექნიზაციაათავისუფლებს მუშა ძალას, დაუსაქმებელი ხალხი კი ქალაქში მიდის, ქმნის რეზერვს მრეწველობისათვის. ამგვარი ახსნა დამაჯერებელი ჩანს, მითუმეტეს, რომ მას მხარს უმაგრებს სოლიდური სტატისტიკური მაჩვენებლები. მაგრამ, მოდით, უფრო ახლოდან შეეხეადოთ პრობლემას. მრავალი კონკრეტული ფაქტი გვიჩვენებს, რომ ქალაქში მოდიან არა იმ რაიონებიდან, სადაც მართლაც მუშახელის სიჭარბეა, არამედ იქიდან, სადაც ურბანისტნარიანი კაცი ოჭრიდ ფასობს, ხოლო ქალაქსა და სოფელს ჯერაც „შუა ზზის დიდი ზღვარი“. გავიხსენოთ აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის სოფლები. დამამშვიდებელი „საშუალო მაჩვენებელი“ საქმეს ვერ შველის. მიტოვებული ნასახლარებისა თუ სოფლების ხილვა შეშფოთებას და ელეგიურ გრძნობებს აღგვიძრავს.

„ნისლაური“ რეკვიემია მიტოვებულ ქართულ სოფელზე. „მთელი ხეობა დაიცალა, ზოგი სად წავიდა და ზოგი სად. ორი კომლიღა დავრჩით, მე და ჩემი დედაბერი, ზემოთ კიდევ ერთი ცოლ-ქმარი. ცხოვრობს, თავიანთი ბიჭითო“. ეს ორი კომლი ჭაბუკ ნისლაურს შესაციენებს, მასზეა დამოკიდებული სოფლის ყოფნა-არყოფნა: დაუდებს ნისლაური გულს აქაურობას, მოეპატრონება კერას, თუ იმათ გზას გაპყვება რომლებმაც უკანმოუხედავად მიატოვეს მამაპაპეული სამკვიდრო. ღონიერი, მოქმედების სურვილით ანთებული ჭაბუკი სოფელში მოწყენილია, საქმე ვერ მოუძებნია. ამიტომ არის, რომ მის გონებას ქალაქში წასვლის ფიქრი დაუფლებია. სადად და სიწრფელით არის გამჟღავნებული ნისლაურის გულისწყუხლი:

— „ეხლა სად დადიხარ ხოლმე?

— რა ვიცი. ხან სადე, ხან სადე.

უცაბ წამოიჭრა და თქვა:

— ა, იმ მთის იქით კიდევ ერთი მთაა. წვერზე რომ ახვალ, გზა მოჩანს. ძაან შორს... ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე დილიდან საღამომდე ავტობუსები დადიან.

— მერე?

— მერე რა? კაცი გაერთობა...“

ერთფეროვანი, მოსაწყენი ცხოვრებით გაბეზრებული ნისლიური ქალაქში მიდის.

„ — წავიდა. — მითხრა ყორესთან მდგარმა ბერიკაცმა.

არაფერი მითქვამს.

— დაბრუნდება? — მკითხა ბერიკაცმა.

არაფერი მიპასუხნია.

— თუ არ დაბრუნდა, ჩვენც წავალთ, აქ რაღა დავგრჩენია...

ქალები ტირიდნენ.

ბამა ბაკის ღობის იქით იდგა და ხესა თლიდა.

— თავებესა თლის, — ჩაილაპარაკა ბერიკაცმა და ხელი ჩაიქნია. — რაღად უნდა...

მერე დაუძახა:

— გიორგი!

— ჰა? რა იყო? — გამოეხმაურა გიორგი.

— თავი დაანებე, ამა, რაღასა თლი?

გიორგიმ თლა განაგრძო.

ქალები ჩაჩუმდნენ“.

დაბნეული, შეშფოთებული მოხუცის მეტყველება ყოველგვარი რემარკის გარეშე აირეკლავს სიტუაციის მთელ სიმძიმეს. „ნისლიური თუ წავიდა, ჩვენც წავალთ, აქ რაღა გვინდა?“ — კითხულობს მოხუცი და ცსადაც ცხადი ხდება სოფლის მიტოვების გარდუვალობა. მეტეტაი იმედი, თავხის თლის დეტალით მინიშნებული, თავის დამშვიდებას ამაო ცდა, რადგან ნისლიური აღარ დაუბრუნდება მოწყენილობასა და რუტინას. ერთი წლის თავზე სოფელი უკვე მკვდარი იყო. გაქრა, დავიწყებაში დაინთქა პატარა სამყარო თავისი ყოფითა და ახსებობის ბოეჩითი. ვის ედება ბრალი, ვინ არის დანაშაული? იქნება ნისლიური, მიწას, კარმიდამოს ბული ვერ დაუდე და ვიიქეცით?! არა, ნისლიური ახალგაზრდა, ასპარეზი, გასაქანი, სიცოცხლე სჭირდება და ეს თანატოლთა თანადგომას მოკლებული ლმაზი ბებეკი მართლა ხეობის ბოლოს მცხოვრები კოქლი გოგოს იმედით ხომ არ იქნება. სოფლად აქტიური ცხოვრების პერსპექტივა ნისლიურს არა აქვს, ამიტომ მისი ქალაქში წასვლა კანონზომიერია. იქნებ მოხუცები გავამტყუნონ, ნაამაგარი სახლკარი რომ მიატოვეს?! არა, რადგან ღვთისა და კაცისაგან დავიწყებულ სოფელში მომავლის იმედის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია. იქ, სადაც კერას გამეცვეებელი, აღარ რჩება, ნელი კვდომა იწყება. მთავარი დამნაშავე ჩვენი ეუფლოდ ფიქრობა და გულგრილობაა. თუ სოფელი გვიყვარს, უნდა ვეძიოთ კიდეც „წამალი მისის წყლულისა“.

მაგრამ ყველი ობიექტური მიზეზის გამო როდი ტოვებს სოფელს. მწერალი სულაც არ ქმნის ამის ილუზიას. მის მოთხრობებში ისიც ჩანს, რომ ქალაქი უფრო ის ეტანება, ვინც სოფლური შრომას გაურბის, ქალაქში იოლ ცხოვრების გზას დაეძებს. გოგნაურების შეკრებთანა ვაკი, „სულ ჩონგური რომ ეკერა და მეცრიდა, აქ არის ქალაქში და ლექსებს წერს“ („საწყალი დედაბრისასა“). თედოს ხუთი შვილიდან არც ერთი არ შერჩა კერას („ნინაბა“): „უფროსი ქალი — მარგალიტა ქალაქშია და რომელიღაც ინსპექტორ ჩონგურზე უკრავს. შუათანა ქალი — ნუცა გასტრონომიულ მაღაზიაში მოლარედ მუშაობს. ორივენი გაუთხოვრები არიან და ელოდებიან, საცაა ცა გაიხსნება და ღმერთი გადმოგვეხედავსო. უმცროსი — ეკრიკო — ლაჩრხეთში გათხოვდა, შორგბლობა მოიმიზეზა და დედოლეოში აღარც ჩამოსულა. ბიეზიტე დაიზარდნენ. უფროსი ბეი გრეზო ინსტანსა დადგა, კლდეს რომ მისწოლოდა, გაანგრეგდა. თედოს მეზინკლეობა დაიწყო, სახლიც აიშენა და მანქანაც იყიდა. მომდევნო ბეი — ტუხო რომელიღაც კინოფილმში ერთხელ გამოჩნდა (წინასწარ ხალხი გაიფრთხილა, ამა და ამ კინოში ვიქნები და მნახეთო. მოელი სოფელი კინოში წავიდა, ეძებეს, მაგრამ ტუხო ვერსად ნახეს). მას მერე აიჩეშა, არტისტი ვარო და ეკლარც ისწავლა, ვეღარც საქმეს დაუდგა ბული. ეხლა ქალაქშია, ნთესავებში დადის და იხეწება, იქნება ტაქსის შოფრად მომაწყოთ, მერე მიყურეთ, რას ვიზამო“.

ასე ცარიელდება სოფელი, ხოლო ქალაქს დოვლათის შემქმნელნი კი არ ემატებიან არამედ უსაქმურნი და იოლი ცხოვრების მოყვარულნი. მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილნი, ისინი კარგავენ პატივისცემას სოფლისადმი, სოფელი მათთვის მხოლოდ სურსათის საწყობია. ქალაქური ცხოვრება ვეღარ ტოვებს მათს მერყეულ ხასიათზე, ხდება მათი ზნეობის ნეგატიური გარდაქმნა. თედოს ქალაქში გაქცეული შვილები დედის დაკრძალვაზე ჩამოდიან, მაგრამ ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ მათ მარტო მშობლიური სასხეულისადმი კი არ გასცეებიათ ეული, არამედ საკუთარი დედისადმიც. ისინი მხოლოდ ვალს იხდიან და დაკრძალვისთანავე ქალაქში იფანტებიან.

თამაზ ბიბილურის აღნიშნული პრობლემის დეტალური კვლევას არ ისახავს მიზნად, მაგრამ ის, რაზეც მწერალი მიგვანიშნებს, თავისი კონკრეტულობით თითქოს პროტესტს უცხადებს სტატისტიკის დამამშვიდებელ „საშუალო მაჩვენებლებს“.

თამაზ ბიბილურის პროზაზე საუბარი ერთ-ერთი პრობლემური მოთხრობის განხილვით დავიწყეთ და არაფერი გვითქვამს მის ავტორზე.

თ. ბიბილურს, როგორც მწერალსა და ჟურნალისტს, საკმაოდ კარგად იცნობს ლიტერატუ-

თეიმურაზ დოიაშვილი

თამაზ ბიბილურის მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოული საზოგადოება. მისი ნარკვევები თუ მოთხრობები ერთ თვეულ წელზე მეტია იბეჭდება პრესაში. მწერალმა, კარგა ხანია, რაც უკან მიატოვა მკითხველთან შეხვედრის პირველი მღელვარება, პპრობაციის პერიოდი და ოგრეკე ლიტერატურის მეტრთა, ისე მკითხველთა კეთილდაწყნარებას მოიპოვა.

თ. ბიბილურის გზა მწერლობაში იოლი არ იყო. მან თავშეკავებული სიდინჯით დასძლია პირველი წიგნის სასწრაფოდ გამოცემის ცდუნება, წლების მანძილზე ცდილობდა სიტყვის მოშინაურებას, ეძებდა თავის სტილს. მწერალმა თავიდანვე უარი თქვა მომგებიან, მოდურ თემატიკაზე, ფსიქოლოგიზმით ჭარბ გატაცებაზე, საეჭვო ეს ს ეფსერიმენტებზე სტილის სფერონი და ტრადიციული, მაგრამ ძნელი გზა აირჩია — ეწერა იმაზე, რაც ენახა და განეცადა და ეწერა ისე, რომ საკუთარი ფერი და განცდა მკითხველის საკუთრებად ექცია.

თამაზ ბიბილურის მოთხრობათა პირველი კრებული „ნიღაბი" („საბჭოთა საქართველო", 1975) თუთუმტე ნაწარმოებს აერთიანებს. ეს არის შემოქმედებითი ანგარიში პროფესიონალი მწერლისა, რომლის საქმიანობას მკითხველი წლების მანძილზე ადევნებდა თვალს.

„ნიღაბს" პირობითად თუ უწოდებ მოთხრობათა კრებულს, რადგან მისი კითხვის შემდეგ გრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის მთლიანი ნაწარმოები. ცალკეული მოხრობები ერთმანეთთან შინაგანი ლოგიკით დაკავშირებული თავებია, რომლებიც მთლიანობაში ქართული სოფლის მოშინაბოვა პანორამას ქმნიან. თ. ბიბილურის გმირები ნაცრობები, მოკეთეები, ერთმანეთის ნათელ-მირონგნი არიან. თედო, ალმათ, გოგნიაურის კარის მეზობელია, თაყვა და თინიკე სადღაც იქვე !ახლობენ და არც ნოსლაურსა და დათოს უნდა ჩყოფდეს დიდი მანძილი. მწერლის დახატული სოფელიც სოფელს ჰგავს — ავითა და კარგით, ჩხუბითია და დავდარბანით, სიყვარულითა და მეგობრობით. მისი გმირები შრომობენ, ქეიფობენ, ტირიან, ეკინიან და ასე მიაქვთ წუთისოფელი. ეს არის სულიერ-ხორცეული ქართული სინამდვილე, არა იმიტომ რომ კმირები კაზრად უქცევენ ნაგლი ქუდებს ატრენენ, არამედ ცხოვრების წესით, პეიზაჟით, ხასიათებით, ფსიქიკური წყობით.

თამაზ ბიბილურის სახით ქართული სოფელს ნიჭიერი მხატვარი ჰყავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მწერლის მოთხრობები ადგილობრივი, ლოკალური მნიშვნელობისაა. ეეოგრაფიული ჩარჩო ხელს არ უშლის მას განიხილოს თანამედროვეობის აქტუალური სოციალურ-ზნეობრივი საკითხები. ამ თვალსაზრისით, თ. ბიბილურის მოთხრობები სოფელზე საერთო ლიტერატურული პროცესის ორგანული შენაკადია.

თამაზ ბიბილური პოეტურად აღიქვამს სოფლის ყოფას. იგი არ ესწრაფვის საგნებისა თუ მოვლენების გამლილ, ეპიკურ ჩვენებას. ეს ალს მიერ შექმნილი მხატვრული სინამდვილეა ლირიკული ხილვით არის განთავსებული. ამიტომაა, რომ ამბავს, ფაბულას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გაშლილი ოხრობის სანაცვლოდ მწერალი ზშირად აღწერილი მოვლენის ინტერიერ ნიშნების გამოყოფითა და ორგანიზებით აღწერეს მიზანს. მოთხრობებში ასახული სინამდვილე მწერლის სულიერი ძიებების ბეჭედს ატარებს და ნიადაგ გვახსენებს, რომ შემოქმედი არ არის ეოტოგრაფი, ის ქმნის.

თ. ბიბილურის მოთხრობებში სინამდვილე და პოეზია ჰარმონიულ ერთიანობაშია მოყვანილი. მწერალს უყვარს სოფელი, ბლეჩკაცის შრომისმოყვარეობა და ხასიათის მთლიანობა, სისადავე და ბუნებრიობა. კითხულოობთ მოთხრობა „ენახს" და გრძნობთ, რომ ბლეჩკაცის შრომა მწერლისათვის შეეხეიერების გამოვლენაა. ყოველდღიურობის ყოფით დეტალები აქ რადაც ახალ ელფერს იძენენ. ამ მოთხრობაში ყველაფერი სოიტიად ახლოგელია და საყვარელი: ბეგაენ შემოდგომის სერაფი და მზეური თვალს გადარჩენილი მტევანი, ბუხრის პირას მდგმელი ტაბლა და დიდედას ბუზღუნენ. აღწერილი სიტუაციის სისხლხორცეული გრძნობა, კეთილი იუმორი, დაწმენდილი, გამკვრივაელ ფრაზა და განუმეორებელი კოლორიტი ყოველდღიურობის პოეზიის მადლით მოსავს.

თ. ბიბილური განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს მოხეკეებს. ის ცდილობს, არ დაიკარგოს ქართული სოფლის ენაში ალი სული, დაეფუძუებს არ მიეცეს განუმეორებელი ინდივიდუალობის მქონე სახეები. ეს მოხუცები ჩვენი თანამედროვენი არიან, მომსწრენი იმ ეპოქისა, რომელსაც მათი ზეიდები და ზეიდიშვილები ქმნიან. ცხოვრება იცვლება. მოდიან ახალი გმირები, მაგრამ ძველი მდინარეა. თან მიჰყავს ის ადამიანები, რომელთა ხასიათი სხვა ისტორიულ ეთარებში ჩამოყალიბდა. ამგვარი ხალხი ძველ თოსტში ცხეკობდა და მათი ხასიათებს, ცხოვრებისეული გამოცდილების შენახვა მოსავალი თაობებისთვის კეთილშობილური საქმეა. სოფლის გაკრთა თუ ბერეკაცის სიკვდილი სტატისტიკისთვის რიცხობრივი მაჩვენებლის პროცენტული ცვლილებაა. მწერლისთვის კი — მთელი სამყაროს დანთქმა, სულიერ ფასეულობათა აუნაზღაურებელი დანაკლისი. ამ ადამიანებს თან მიაქვთ ხალხის მორალური გამოცდილება, ცხოვრებისეული სიბრძნე, ამიტომ მწერლის დინტერესებს მიმავალი თაობის ტიპაჟთ არ არის თანამედროვეობის ვერშემჩნევა. პირიქით, ეს არის ზრუნვა აწმყოსა და მყოიბადზე, სულიერი საგზლის დაკრეფვა შემდგომი თაობებისათვის.

თ. ბიბილური ნაკაფი, ბეგრისმხილველი, შინაგანად გაუტეხელი მოხუცების მთელ გალერეას ქმნის. „იყო ერთი დედაბერი... და ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაბერმა, ერთ მშვენიერ დღეს, როცა მთელი სოფელი ხარხარებდა, ტირილი დაიწყო" — ასეთია ლაკონური ენსპოზიცია მოთხრობისა „საბრალო დედაბრისსა". არ გიუმართლეს მოხეცს შვილიშვილებმა, მისი ნაამაგარი ვაჟი მიწაში წვეს, უფაროდლმა რძალმა კი უქნარა, გართობას გადაყოლილი, ფუქმეოლნებე შვილები გაბარდა, ჩონგურის დაკვრა და ტაშფანდური რომ ეხეხებესათ მხოლოდ. დედაბერს გული აქვს აყრილი მათზე, რადგან მისთვის მხოლოდ შრომისმოყვარეობა და გარჯაა ზნეობრივი სიჯანსაღის საფუძველი.

„საბრალო დედაბრისსა" თხრობის მანერით ხალხური ზღაპრის ტალღოსანია ტენდენციას ამეღვებენ (ეს ტენდენცია სხვა მოთხრობებშიაც შეიმჩნევა), მოთხრობის სათაურიც ეხმიანება ცნობილ ხალხურ ლექსს — „საბრალო დედაბრისსა". იქმნება შთამეჯდოვება, თითქოს მწერალი ამ ლექსში მოცემულ სიტუაციას იყენებს, გვახსენებს ნაჯაფ დედაბერს, რომლის მნაგარს ფრინველ-მხეცნი დაპპატრონებიან. იგი თავისებურად გაუზრახავს ანლეკა ფოლკლორულ ზეკაროს, სახეობრივ სისტემას, ხსნის მეტაფორის და თითქოს ინ ამბის აღდგენას ცდილობს, რაც სავუძველად დაედო ხალხურ ლექსს. გოგნიაურები „ლხინობენ, ჭარალეს დასძახინ" დედაბერის ქონებას. მათ არ ესმით დედაბერის გულისტკივილი: წუთისოფელი მარტო სიმღერა და ტაშფანდური არ არის, ცხოვრება, უპირველესად, გარჯა და შრომაა.

„ხელებდაკოჭრებული, ქალობაგახუნებული, ქერეკნდაშეკარი" ქვრივების ამბავი გადმოცემული მოთხრობაში „სიცილი". მწერლის ტღოლეა ტეკადი, კონდენსირებული ეხრობისაკენ ამ განსაკუთრებით საგრძნობია. რამდენიმე ფრაზით იხატება სიტუაცია, გამოიკვეთება ხასიათები, აღდგება ქვრივების სწორხაზოვანი, მაგრამ ნათელი ცხოვრების ისტორია.

საერთოდ, თამაზ ბიბილურს აქვს უნარი, თვით ესკიზებსაც კი შინაგანი დასრულებულობის იერი მისცეს. მის ჩანახატებს არ უუერიათ დიდი ტილოს ნაწილად ქცევა, მათი შევსება-დაკონკრეტება ჭეთხეკილ ცნობიერებაში ვრძელდება. თეატრალური ეპიზოდის შთამეჯდოვებას ტოვებს ესკიზი „დამშვიდობება". ეს არის უშუალოდ ცხოვრებიდან აღებული ფრაგმენტი, ოღონდ ლიტერატურის დონემდე ამაღლებული. ესკიზის სტრუქტურა ძალზე მარტივია: მოქმედების ადგილი — ავტობუსი, მოქმედნი — დედაბერი და ბერიკაცი, მაყურებელი — პატარა ბიჭი. აქ ყველაფერი ნაცნობია: საუბრის თემა, დამშვიდობების სიმბოლო�sა, „ვინ იცის, ვეღარ გნახოს" სევდა თუ ლოდინი დასასრულისა: „ჩემზე თუ რაზე გაიგიო, გადმოდით, არ დაიზარეთ". ყველაფერი იმდენად ჩვეულებრივია, რომ ჩანაფიქრის ცნებების ენაზე ვადატანით ბანალურობის საფრთხეც კი იქმნება. მაგრამ მწერალ რაღაც უხილავი ძალით ან გვაძლევს პოეტური ატმოსფეროს გაპრიზაუეულების უფლებას. ის თავის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში გვტოვებს, სადაც ყველაფერი ბუნებრივია და სიყალბისგან თავისუფალი.

თამაზ ბიბილურის ფურცლებეი მიმავალი თანმიხადმი მხოლოდ სინტერესო ტპაკეის „ლიტერატურული კონსერვაციის" აუცილებლობით არ არის განპირობებული. აქ უმთავრესი ისაა, რომ ამ მოხუცებს, მათს პირველნელ თვისებებს უკავშირდება მწერლის წარმოდგენა ამაღლებულ საწყისზე ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

ფიქრს მოხუცებზე, მათს ცხოვრებაზე თამაზ ბიბილური თითქოს ლოგიკურად მიჰყავს ყოფნა-არყოფნის პრობლემამდე, ადამიანის არსებობის ზნეობრივ-ეთიკური საფუძვლების ძიებამდე. ამ თვალსაზრისით არის საინტერესო მწერლის მოთხრობები „საყველწმინდო" და „ნიღაბი".

„ყველწმინდა" სტრუქტურულად სამი ეპიზოდისაგან შედგება, რომელთა შორის პირდაპირი, ლოგიკური კავშირი არ შეინიშნება. მწერალი იმდენად ამბის თანმიმდევრულ გადმოცემაზე არ ზრუნავს, რამდენადაც იმაზე, რომ მონიშნოს ძირითადი სამანები, მოახდინოს არსებითისა და მნიშვნელოვანის აქცენტირება.

მოთხრობაში ორგზის არის ნაჩვენები სიკვდილი: მენახშირე თაყასი და მისი ცოლისა — თინიანი. საწყიროსთან გამოთხოვების ამ ორ შემთხვევას მწერლის ჩანაფიქრის გაგებისათვის იდენტური მნიშვნელობა არა აქვს. თაყას სიკვდილი მოულოდნელია გარშემმყოფთათვის, უკაცები და თითქმის წარმოუდგენელია კი. მას არ ახლავს სიკვდილის მოლოდინის ტრაგიკული შეგრძნება, დფიქრება სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე. სამაგიეროდ, თაყას გარდაცვალება კონკრეტული სიცხადით აგრძნობინებს ცალად დარჩენილ თინიას არარაფქცევის მთელს საშინელებას. მის წინაშე დგება ყოფნა-არყოფნის, ადამიანის არსებობის მარადიული კითხვა. „სად მიხვალ, სადა, კაცო?!" — მისტრის თინია ქმარს და ეს არ არის მგლოვიარე ქალის ტრაფარეტული ფრაზა. ეს იმ დადგომილი ბოლოა, რომელი წინაშე ცხოვრებამ სტიქიურად დასვა კითხვა: „იქ რა იქნება?" თინიას სიტყვებზე მეზობლის ქალმა ირონიულად ჩაიცინა, „არ იცის, სად მიდის ამ ცეცხლოკადებულმაო". ის, რაც ამ რეპლიკის ავტორისათვის ზოგადად „გარკვეულია", თინიას ვერ დაამკაფიოფილებს.

იწყება ახალი ეტაპი ნათლიდედას ცხოვრებაში — სიცოცხლე სიკვდილის მოლოდინში. თინიას თითქმის დასაფიქრებელი არაფერი აქვს. „ეკ ქმარს დაუბარა „მალე მოვალო", მეზობლებისგანაც განაპირდა, ადარაფის ელაპარაკება.

თეიმურაზ ფლიუაშვილი
თამაზ ბიბილურის მოთხრობები

მაგრამ შეგუება და ლოდინი საკვდილისა ძნელია. სიბერე ეკლის ვეირივითად გადაეკვა ნათლიდედას, რადგან ქვეყნად ყოფნის სიამესაც გრძნობს და აღსასრულის გარდუვალობასაც ხედავს. თითქოს თინიას სულიერ მდგომარეობას გადაგვაშლის „სიბერეზე ბალავარისს“ სტატეგები, რომელიც მოთხრობას ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული: „ნუ მაბრალებ, შვილო, შეშუხებასა, რამეთუ ბუნებით თანაა-ე ყოველსა სულსა მწუხარება განშორებისათვის ხორცთასა და დატეგებისათვის ჰაერისა და ნათლისა და წასვლისათვის უცხოებად, სადა-იგი არა ვიცით, თუ ვითარსა იწროებასა მივალთ“. ამ სიტყვებით თითქოს თინია მიმართავს მკითხველს და ეკვიდება, ახარებდ ნუ ჩაუთვლიან შერყეობას. თინიამ შეიგრძნო არარაობაში დანთქმა, გარდუვალობა, მაგრამ ამან რიდი გააბორტა. იგი სამდურავის გარეშე ეთხოვება სოფელს, ხალს, ყველს მშვიდობის სიტყვას უბარებს. ტკივილი მიდის თინია ცხოვრებიდან, მაგრამ გაბორტების გარეშე. ეს კი ადამიანის ზნეობრივი გამარჯვებაა წარმავლობის დამორგუნველ შიშზე, საკვდილზე.

მოთხრობაში ჩართულია საინტერესო ეპიზოდი — „ტაბლა“ ცალადარჩენილ ნათლიდედა კარის მეზობელმა ჯუღუთამ ღვინო მოპპარა. თინია მიხვდა, ვინც იყო ქურდი, მაგრამ არაფერი უთქვამს. ის დღე იყო და ის დღე, გაცოცხლებული სინდისივით აედევნა ჯუღუთას. განა ღვინო ენანება ნათლიდედას. საკვდილზე ფიქრმა მას ერთი ჭეშმარიტება აღმოაჩენინა: ადამიანის ზნეობრივი მოვალეობა საკვთის ქმნაა და არა პოროტებისა. მას სურს მიახვედროს ჯუღუთა, რომ ადამიანის წარმავალი არსებობის ერთადერთი გამართვება საკვთის სამსახურია. ნათლიდედასთან სასაუბროზე საუბრის შემდეგ ჯუღუთასთვისაც გასაგები ხდება ეს პრინციპი. თინიას სიტყვებმა — „ვიწო იყო და მიწად იქცაო“, მას პირველად აგრძნობინა საკვდილის სუსხი, რამაც მისი სულიერი განწმენდა განაპირობა. „ეშმაკმა შემაცდინა“. — აღიარა მან.

როგორც ვხედავთ, საკვდილის გარდუვალობის შეგრძნება ვერ თრგუნავთ თამაზ ბიბილურის გმირებს. პირიქით, ისინი უფრო ღრმად რწმენდებიან, რომ ადამიანის უმთავრესი მოვალეობა საკვთის სამსახურია. „ყველაწმინდა“ სწორედ საკვთის სადღეგრძელო და დალოცვაა.

მოთხრობა „ნიღაბი“ თხრობის ორიგინალური ფორმითა და საინტერესო ჩანაფიქრით გამოირჩევა. არსებობა აქ მოაზრებულია, როგორც სპექტაკლი, რომელშიც ადამიანები საკვთარ თავს თამაშობენ. სამპტომატური თხრობის პირველი ფრაზა: „წარმოდგენა იწყება!“ და შემდეგ: „საცაა შეირხევა აქუაბაქყად მოხატული კო

უნარს, ამაში თვალნათლივ ვრწმუნდებით, როცა თედოს ხასიათის მეტამორფოზს ვკვირდებით.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ თედო, ცოტა არ იყოს, ზარმაცი გახლდათ, მაგრამ არცთუ მთლად უსაქმური. მას ხელთა ჰქონდა — მეკუბეივე იყო. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ხელობის კაცი ერთხელაც არ დაფიქრებულა სიკვდილზე; „ისე ვიცარა წუთისოფელმა, სიბერეზე ერთხელაც არ დაფიქრებულა თედო. სოფლის ძეკუბოვე დღენიადაგ სიკვდილის ახლოს ტრიალებდა, თავად კი არ უფიქრია, ერთ მშვენიერ დღეს ამგვარ კუბოში მეც ჩაველები და ქვეყანა მანინ არ დაიქცევა, ეს მზე ისევ ამოვა, იქნებ ამ მამალმა ისევ დიაფიცოს და ბალღებიც ყოველ-ნივიერთ ჩაირბენენ ორღობესო“. სიკვდილსაც ეხემბებოდა თედო: ცოლის ჯიანზე კუბოში ჩაწვებოდა, ადარ ამოდიოდა და ხალხს აცინებდა. ბაბალუზე გაბრაზებული მეზობლები ჩამოუტანდნენ, იცრუებდა, ცოლი მომაკვდაო. მაგრამ ერთხელ სიკვდილი მართლა ესტუმრა თედოს ოჯახს. მოკვდა ბაბალე და თედომ პირველად იგრძნო არადეცევის საშინელება. ცოლის გარდაცვალებამ წარუშლელი კვალი დატოვა თედოს სულზე. ხუმრობას ვადაყოლილი კაცი განმარტოვდა, ერთთანად შეიცვალა, თითქოს მარტოობაში ცდილობდა განეკურნა სიკვდილ-სიცოცხლის არსი.

„ნიღაბს“ წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი პლატონის „ნადიმიდან“. ბრძენი სოკრატე ამტკიცებს, რომ „ერთსა და იმავე კაცს უნდა შეეძლოს ო

კომედიების, ისე ტრაგედიების წერა და დიდი ტრაგიკოსი პოეტი დიდი კომიკოსიც უნდა იყოს უთუოდ“. ამ ეპიგრაფის ფონზე პროეკირდება მოთხრობის ჩანფიქრი. თ. ბიბილურის მოთხრობაში თედოა ის პოეტი, რომელიც ცხოვრებისეულ სცენაზე თანაბარი ძალით თამაშობს კომედიასაც და ტრაგედიასაც. თედო იხსნის კომედიანტის ნიღაბს, უფრო ღრმად სწვდება ცხოვრების არსს და ბოლოშიც პოეტად რჩება. პლატონის კომენტატორები ეპიგრაფად მოტანილ ადგილს უკავშირებენ ძველ მოძღვრებას მუდმივი კვდომისა და განსახლების შესახებ. თედო ამ სიბრძნეს ინტუიციურად მისწვდა და დიდი მსახიობის ელვარებით გამოხატა არსებობით ტკბობაც და მოახლოებული ალსასრულის ტრაგიზმიც.

„ნიღაბი“ თამაზ ბიბილურის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა. დასანანი შმოოოდ ის არის, რომ მწერალი ზოგჯერ თხრობაში ჩარევით და კომენტარებით ერთგვარად აშიშვლებს პრობლემას და ჩ-ნაფიქრის ცხოვრებისეულ სურათებში გაცხადების ნაცვლად მსჯელობის, სიტუაციის განმარტების გზას ადგება. იქნება იმის თქმაც არ იყოს ზედმეტი, რომ „ნიღაბი“ გარკვეულად იმეორებს „ყველაფრისდას“ ძიებით ვითარებას, რაც სტერეოტიპულობის არასასურველ შეგრძნებას ბადებს.

თამაზ ბიბილურის ყურადღებას მარტო სიკვდილ-სიცოცხლის რობაზე დფიქრებულ მოხეცები რიდი აყურთ. მწერალს ინტერესებს ბავშვის, მოზარდის სულიერი სამყარო, განსაკუთრებით კი ის გარდაქმნები, რომელიც პიროვნების, მამაკაცის ჩამოყალიბების განაპირობებს.

მოზარდის „განკაცების“ თემაზეა დაწერილი მოთხრობა „დათო“. გმირის შინაგანი გარდაქმნის პროცესს მწერალი ლოგიკური თანმიმდევრობით კი არ გვიჩვენებს, არამედ იღებს ორ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს ჭაბუკის სულიერი ცხოვრებიდან, როდესაც იგი თავისთვის მანამდე უცნობ ბუმბარტებებს აღმოაჩენს. პირველ ეპიზოდში ნაჩვენებია, თუ როგორ იკვანძება მოზარდის გულში სიყვარულის პირველი კვირტი. მწერალი ახერხებს გვიჩვენოს ვმირის განცდები, მისი მოქმედება, რომელშიც ჯერ კიდევ ბევრი რამაა ბავშვური, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მოზარდის ფსიქიკაში მიმდინარეობს მანამდე უცნობი გრძნობის ფიქსირება, მისი სულიერი ფერისცვლილების მიზეზი რომ ხდება. დათოს კაცად ქცევის პროცესში უმნიშვნელოვანესია მეორე ეპიზოდი, სადაც ბაპის გარდაცვალების ამბავია მოთხრობილი. თუ მწერალის სხვა ნაწარმოებებში სიკვდილი მოხეცთა თვალით არის დანახული, აქ იგი განცდილია მოზარდის მიერ. ბაპის სიკვდილამდე დათოს ყველაფერი უცვლელად და მარადიულად ეჩვენებოდა. „სიკვდილი ყოველთვის შორეულ ამბად წარმოედგინა. კედელთნენ სხვები“. დათოს სულიერ პარმონიაში ახლობელი კაცის სიკვდილმა პირველი ბზარი გააჩინა. შეძრწუნებული ბიჭი გაკვირვებული შესცქერის ახლობლებს, რომლებიც არ კარგავენ წონასწორობას, თითქოს სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავი იყოს. ბიჭის გონებაში იწყება ბრძოლა რეალობისა და მეხსიერებაში შემორჩენილ სინამდვილეს შორის, სადაც ბაპა გიორგი ჯერ კიდევ ცოცხალია. ბიჭი ცდილობს დაირწმუნოს თავი, რომ ტახტზე დასვენებული მოხეცი არ არის მისი ბაპა, ე. ი. არ არსებობს სიკვდილი. მაგრამ სინამდვილე მკაცრია და დათო იძულებული შეეგუოს მას. დათო ახერხებს თავისი გრძნობების დამორჩილებას, მოთოკვას. „ისე დამთავრდა ბავშვობა“. როგორც ვხედავთ, მოზარდის სულიერი გადრაქმნის პროცესი დაკავშირებულია ადამიანური არსებობის ორ უმთავრეს მოვლენასთან — სიყვარულთან და სიკვდილთან. მოზარდი ეთხოვება ბავშვობის ეიმდგრეულ დღეებს და ახერხებს თვალი გაუსწოროს მკაცრ სინამდვილეს. ეს უკვე კაცობის დასაწყისია.

ოგივე პროცესი სხვა კუთხით არის ნაჩვენები მოთხრობაში„დიდი და პატარა ბიჭი“, სადაც მოზარდის გარდაქმნა სქესის საიდუმლოს შე-

თეიმურაზ ფოფხაძე
თამაზ ბიბილურის მოთხრობები

ცნობას უკავშირდება. ქალთან პირველი სიახლოვე დიდი ბიჭის სამყაროში გაუცნობიერებელ, რაღაც ახალ განცდას ბადებს.

„მთვარის ვეცხლის ღამეს ბიჭი საკუთარ თავს ალარ ეკუთვნოდა. მთელ მის არსებას თითქოს იდუმალი ძალა, სხვა სამყაროდან ჩამოსული სული განაკვებდა". — ასე იწყება თ. ბიბილურის საინტერესო და პრობლემური მოთხრობა „მთვარის შვილი". ნაწარმოებში ორი განსხვავებული სულიერი წყობის პაროვნება — მამა და შვილი უპირისპირდება ერთმანეთს. მამა პირქუში, საქმეს შეჩიდებული, პრაქტიკული ჭკუის კაცია, რომლისთვისაც უცხოა სამყაროს მშვენიერებით ტკბობა. ბიჭი მამის სრული ანტიპოდია. „ლილისფერ თოვლზე ენთელასავით ამოსული ბიჭი", „ზორთოდან მოსული ჰკვანი, ის პოეტია. „ყველაფერი, რითაც მამა ცხოვრობდა, შვილისათვის შორეული და გაუგებარი იყო". თავის მხრივ, მამისთვისაც, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სანტიმენტალობას, უცნაური და აუხსნელია შვილის საქციელი, მისი ლტოლვა მშვენიერებისაკენ. მოთხრობაში ბიჭი საპყაროსადმი ამაღლებული, პოეტური დამოკიდებულების გამომხატველია, ხოლო მამა — პრაქტიკულ-უტილიტარულისა. მათი შინაგანი კონფლიქტის მიზეზი თვალსაზრისთა სხვადასხვაობაშია, რომელიც ერთმანეთისგან აშორიშორებთ. „მამა-შვილ შორის თავიდანვე გავლებული იყო უხილავი ზღვარი და ბიჭი არასდროს ცდილა ამ ზღვარს იქით გადაბიჯებას. გაღმა სხვა სამყარო იყო, ბიჭისთვის მოსაწყენი და უინტერესო. თვითონ მამა ხშირად ცდილობდა გამოღმა გამოხედვას. მაგრამ ბიჭის მუდმივი დუმილი ყველაფერს უხილავსა და გაუგებარს ხდიდა". ფარული დაპირისპირება მამა-შვილ შორის აშკარა შეჯახებით მთავრდება. მამამ ხელყო შვილი. შვილახა მშვენიერების შეუვალობა, „ცოდველმა ერთად-ერთი სანთელი ჩააქრო, რომელიც მის წინ მკრთალად ანთებდა". ორივემ თავი მიუსაფრად იგრძნო, თითქოს ახლიდა მიხვდნენ, რომ ისინი ერთმანეთისთვის საჭირონი იყვნენ. საგულისხმო მოთხრობის ფინალი:

„— ეხლო რა ექნათ? — თქვა კაცმა.

— ჯერ ქოხი დავდგათ, — უპასუხა ბიჭმა.

ისინი ზურგშექცევით ისხდნენ.

მერე ბიჭი მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე თავაუღებლად თოხნიდა. ბინდისას შინისაკენ გასწია. ბეჭითის თავზე, ლოდთან ჩამოჯდა...

ბიჭი მთვარის ამოსვლას ელოდა...—

ბიჭმა იგრძნო, რომ მარტო მთვარე, მშვენიერება არ არის თაყვანისცემის ღირსი. ადამიანი მიწაზე დგას და ეს უნდა ახსოვდეს. მოდის ახალი პიროვნება მიწასთან, ცხოვრებასთან შერიგებული, ამასთანავე, „მშვენიერების ლექსით მქებელი".

თამაზ ბიბილურის წიგნის გასხვლება შეუძლებელია დავამთავროთ იმის გარეშე, რომ უბრალოდ მაინც არ მოვიხსენიოთ მისი პოეტური და ლამაზი მოთხრობა „ქათმები". ეს არის კეთილი იუმორითა და მსუბუქი სევდით გამსჭვალული ნაწარმოები, სიყვარულსა და სიძულვილზე ათასგზის გაგონილი, მაგრამ ახლებურად მოთხრობილი ზღაპარი, რომელიც მეტოხველს განუმეორებელ განწყობილებას უქმნის.

თ. ბიბილურის დამოკიდებულება სიტყვისადმი ძალზე ფაქიზია. მწერალი დიდ ყურადღებას აქცევს სიტყვიერ ქსოვილს, რადგან ენა მისთვის მხოლოდ გამოსახვის საშუალება კი არ არის, არამედ ეროვნული ფსიქიკის ამსახველი სარკე. ამიტომაა, რომ იგი ასეთი ყურადღებით ეკიდება პერსონაჟთა მეტყველებას, ხალხურ წყობილსიტყვას. მწერლის დიალოგი მოქნილი, ტევადი და სხარტა.

თამაზ ბიბილურის პირველი კრებული ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქართულ მწერლობას მისი სახით ორიგინალური ხედვისა და ხელწერის პროზაიკოსი ჰყავს. ჩვენ ვხედავთ წიგნს იმ რწმენით, რომ მის შემოქმედებით გზას „ბოლო კეთილი ექნება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ციცაძე

კლოდ მაკეი

(ფემოკმედებითი პორტრეტი)

კლოდ მაკეი შეერთებულ შტატებში „ზანგური აღორძინების“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი აქტიური მონაწილე იყო ე. წ. „ახალი ზანგის“ მოძრაობისა — მოძრაობისა, რომელმაც ბევრი რამ ახალი შესძინა ზანგურ ლიტერატურას. 20-იანი წლების ზანგ პოეტებსა და პროზაიკოსებში წარმოშობა ახალი სულისკვეთება, განწყობა, პერსპექტივები. 20-ანი წლების ახალგაზრდა ზანგი მწერლები საკუთარ თავს „ახალი თაობის“ მწერლებს უწოდებდნენ. ამ ტერმინში მხოლოდ მათი ასაკი, მათი ახალგაზრდობა არ წარმოჩენილა. მასში აისახა ის სულისკვეთებაც, რომლითაც მოვიდნენ ისინი ლიტერატურაში. მაკეი თავის კოლეგებზე უფროსი იყო. მაგრამ მსჯელობათა სიახლე, გაბედულება, მისი მეამბოხე, რეოლუციური სულისკვეთება, ცხოველი ინტერესი იმდროინდელი აქტუალური სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისადმი, ხალხური კულტურის საყვარული, ინტერესი ფრიკის ისტორიისა და კულტურისადმი, ზანგთა ქვედა ფენების ცხოვრებისადმი საშუალებას იძლევა მივანიშნოთ მაკეის პირველი ადგილი „ზანგური აღორძინების“ მწერლებს შორის და მით უმეტეს ამ პერიოდის პოეტებს შორის. პარადოქსალურია ის, რომ ადამიანი, რომელმაც ყველაზე სრულად და გულწრფელად გამოხატა 20-იანი წლების პარლეველი ინტელიგენციის განწყობები, არც კი იყო ამერიკელი. უ. დუბო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკული და ინგლისური პოეზიაც შეაყვარა მას ჯეკლმა უნეგნა, თუ როგორ უნდა ეხმარა მაკეის პოეზიისი ადგილობრივი დიალექტი. 1911 წ. ჯეკლის დახმარებით მაკეიმ გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული „იამაიკის სიმღერები“. ეს მომხიბლავი, იამაიკის დიალექტზე შექმნილი ლექსები. მაკეი წერს იამაიკის ბუნებაზე, მის უბრალო ხალხზე, რასობრივ ცრურწმენებზე, აკეთებს ბავშვობის ლირიულ ჩანახატებს, ქმნის სასიყვარულო ლირიკას. რეალისტური მის მიერ შექმნილი იამაიკელი გლეხების სახეები. მისი გლეხები დატაკები არიან, მაგრამ მაინც ბედნიერნი თავიანთი უბრალო ცხოვრებითა და ბუნებასთან სიახლოვეთი. კრებულში „იამაიკის სიმღერები“ მაკეი მშოლოდ სვამს კითხვებს: იგი არ ცდილობს მათზე პასუხის გაცემას. მაგრამ მაშინაც კი ისმის მის პოეზიაში პროტესტის ხმა.

უბრალო ოჯახში გაზრდილ მაკეის არ შეეძლო თავისუფალი მხატვრის ცხოვრებით ეცხოვრა ან თავიდანვე პროფესიონალ მწერლად ქცეულიყო. იგი ჯერ ხელობას სწავლობს, შემდეგ გაჭრობას ცდილობს. 1912 წ. მაკეი კონსტებლად მსახურობს. როგორც კი გაეცნო ამ მისთვის სრულიად ახალ გარემოს, მაკეიმ მის საფუძველზე ახალი ლექსები შექმნა და იმავე წელს გამოსცა ისინი მეორე კრებულის სახით, რომელსაც „კონსტებლის ბალადები“ უწოდა. ამ კრებულში ნათლად ვლინდება მაკეის უკმაყოფილება და პროტესტიც: ჩანს, რომ იგი ვერ ეგუება მისი გულისა და გონებისათვის უცხო ცხოვრების ყაიდას. კრებულის წინასიტყვაობაში მაკეი წერს: „ეე არ ავღლდეკი ამ ცხოვრების წინააღმდეგ, მაგრამ ამბობება მუდამ მჭირდა ჭელში“... პოეტი, რომელმაც იმ დროისათვის იგვიმა უცხო ქალაქში ცხოვრება და გაეცნო კონსტებლების — „წესრიგის დამცველთა“ — წოდებ, მოულოდნელად აღმოაჩენს თავისთვის ახალ თემას — მას ეუფლება სურვილი დაბრუნდეს უკან — სოფელში, ბუნებაში, სადაც კონფლიქტები არ არის ასე მკვეთრად გამოხატული, ცხოვრება უბრალოა, ადამიანთა ბუნება კი— უფრო რბილი. მის პოეზიაში გამოსჩენილ ზიზღი ინდივიდუალიზაციი ცივილიზაციისადმი მისთვის დამახასიათებელი დამახინჯებული ურთიერთობა დამოკიდებულებებით. წარმოშობით გლეხი, მაკეი იყენებს იამაიკის სოფლის დიალექტს ადგილობრივ გლეხთა ცხოვრებისა და ყოფის ლირიულ ასახვაში. მაგრამ მის ლექსებში იამაიკის პასტორალურ სურათებთან ერთად მოცემულია ზანგთა ყოფის მრავალი „პრაპოტური“ დეტალი. ლექსების უმრავლესობა პოლემიკური ხასიათისაა, მილტონისა და ფორდსწორთის სონეტების მსგავსად. უმეოლეს განთლებას მოწყურებული (იგი სოფლის მეურნეობაში აპირებდა დოსტატებას და შემდეგ კვლავ იამაიკაზე, სოფელში დაბრუნებას) მაკეი შეურთდებ ლ ბში მიემგზავრება. იგი ზანგურ ტასკეგეთ ... ეჯში სწავლობს ერთ ხანს, შემდეგ კანზასი. უნივერსიტეტში. მაგრამ ლიტერატურისადმი სიყვარულმა სძლია მის პირველად ჩანაფიქრს. მაკეი ნიუ-ორლეანი მიდის, ჰარლემში სახლდება და სერიოზულად იწყებს წერას, მაგრამ წერა მხოლოდ მუშაობისაგან თავისუფალ დროს — იმ წლებში მას მტვირთავად უმუშავია, ოფიციანტად, ბარმენად, მეკინიბედ... იამაიკაზე, სადაც კონფლიქტები არ ატარებდნენ ესოდენ უკიდურეს, გროტესკულ ხასიათს, როგორც შეერთებულ შტატებში, მაკეი შეჩვეული იყო თბილ, დამშვიდებულ ადამიანურ დამოკიდებულებებს. შტატებში კი იგი გასაკვირო რასობრივ ცრურწმენათა გამოვლინების მახინჯმა ფორმებმა. „მე ჯერ გაოგნებული ვიყავი,— წერს იგი თავის ავტობიოგრაფიაში, — ჩემი ბუნება აღსდგა ამ ბრმა სისასტიკის წინააღმდეგ... მაგრამ მერე ვიგრძენი, რომ თვითონვე განვიცდი სავასუხო ზიზღს...“ თუმცა ისევ მძიმე შრომით შოულობს ფულს, მაკეი ჯიუტად განაგრძობს წერას. 1917 წ. ჟურნალში „Seven Arts“, ფსევდონიმით ელი ოდვარდსი იგი აქვეყნებს ლექსს „ჰარლემი მოცეკვავე“. ამ ლექსის გამოსვლისთანავე ცნობილმა ზანგმა კრიტიკოსმა უ. ბრაისვეიტმა აუწყა ახალი ეტაპი ზანგურ ლიტერატურაში. ლექსმა ბევრ კრიტიკოსთა და მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. მასში ვხედავთ სახეებს, ესოდენ პოპულარული რომ ხდება მოგვიანებით „ზანგური აღორძინების“ ლიტერატურაში. რამდენიმე ოსტატური შტრიხით მაკეი ქმნის მთელ სახეს; უხეში, ეუღლგარული ნიღბის ქვეშ, გარე პირობებით რომ არის შექმნილი, ხსნის ადამიანის ჭეშმარიტ ბუნებას. უკვე ამ ლექსში გამოკვლინდა მაკეის უნარი ლაკონურად, ეკონომიურად და შთამბეჭდავად ხმარობდეს სიტყვებს. „როდესაც „ჰარლემელი მოცეკვავე“ ხელმეორედ დაიბეჭდა მაკეის სხვა, უჩვეულოდ მთარობელ ლექსებთან ერთად, მკითხველმა მაშინვე იგრძნო რაღაც ახალი — წერდა მწერალი და კრიტიკოსი, „ზანგური აღორძინების“ მონაწილე ა. ბონტანი. — ეს იყო პირადი გამოცდილების საფუძველზე შექმნილი პოეზია, რომელიც ისევე განსხვავდება მწიგნობრივი პოეზიისაგან, როგორც ნამდვილი ყვავილები ხელოვნურისაგან“.

1920 წ. ინგლისში გამოიცა მაკეის კრებული „ბაზუხული ახალ ჰუმპრირში“. 1922 წ. ახალი ლექსებით შევსებული ეს კრებული გამოვიდა შტატებში სახელწოდებით „ჰარლემის ჩრდილები“. აღსანიშნავია ის შთაბეჭდილება, რასაც ტოვებდა ეს კრებული 20-ანი წლების ზანგ და თეთრკანიან მკითხველებზე. მასზე აღტაცებით წერდნენ ა. ბონტანი, სტ. ბრაუნი, ჰ. ისტმანი, ჯ. უ. ჯონსონი და სხვები. თეთრკანიან მკითხველებში მაკეის ლექსები აღ-

ტაცებასა და გაკვირვებას იწვევდნენ არა მხოლოდ იმით, რომ ზანგი ისე დაზეგწერილ ფლობდა კლასიკურ პოეტურ ფორმებს, არამედ იმითაც, რომ იგი შეუნიღბავად ამღერებედა რისხვას, როგორც ამას აკეთებდნენ ზანგი მეამბოხეები 1919 წელს. კრებულის ყველაზე დასაბახსოვებელი ლექსი — „თუ სიკვდილი გვიწერია“ — სწორედ 1919 წლის ზანგთა გამოსვლებისაგან მიღებული შთაბეჭდილებით შეიქმნა. მთელი კრებული მკითხველსა აღიქვა როგორც „ზანგური აღორძინების“ შემდგომი განვითარების ნიშნი. მაკეი უდაოდ „ახალი ზანგის“ ენით ლაპარაკობდა — იგი წერდა ზანგის მიერ ახლად შეძენილი სიამაყის გრძნობაზე, მის სურვილზე აღარ ურიგდებოდეს მოვლენთა არსებულ წესს, ზანგებისთვის განათვლის აუცილებლობაზე. მაკეი თავისუფლად გამოხატავდა თავის გრძნობებსა და აზრებს, აკლესდა ინტერესს თავისი დიდი ხნის წინათ დავიწყებული სამშობლოს-აფრიკის — კულტურისა და ისტორიისადმი, ალტაკებით წერდა მის ბუნებაზე, ხალხზე, რითმებზე, მოფწოდებდა ზანგ მწერლებს აღარ შეექმნათ გასართობი ლიტერატურა, რომელიც აშკარად თეთრკანიან მკითხველზე იყო გათვალისწინებული. მრავალი ახალი ხმა, რომელთაც წინ მაკეის ხმა მიუძღოდათ, ვიისმა 20-იანი წლების ზანგურ ლიტერატურაში — ლიტერატურაში, რომელსაც ნიუ-იორკის „Time“-ში „ჰარლემის ოქროს ხანა“ უწოდა. ამ ხმებში ბრეისეიტი მაკეის წამყვან ხმად თვლიდა, მაგრამ უეჭველია, რომ მაკეის შემოქმედებაში ერთდროულად რასობრივი და უნივერსალური მოტივები ისმის. ბრეისეიტის აზრით, მაკეიში ჭეშმარიტი პოეტი და ლირიკოსი ყღერს, როდესაც მის „ჰარლემელ მოეკეკავეს“ და „გაზაფხულს ახალ ჰემპშირში“ კეთხულობთ, ხოლო ლექსში „თუ სიკვდილი გვიწერია“ მაკეი უფრო მეამბოხედ და მეომრად გვეელინება, ვიდრე პოეტად. პარადოქსალურია, მაგრამ მოგვიანებით სწორედ ამ ლექსმა მოუტანა მაკეის „ზანგური აღორძინების“ უმნიშვნელოვანესი პოეტის სახელი. ბრეისეიტის გონებაში პოეტი და მეამბოხე სრულიად შეუთავსებელ ცნებებს წარმოადგენდნენ.

მაკეის პოეზია დახვეწილია და სისხლსავსე, მისი მხატვრული ხერხები კარგადაა დამუშავებული; მის ლექსებში არ შეიმჩნევა ის ოდნავ ხელოვნური კილო, რომელიც დროდადრო ეკონდება მის წინამორბედთა — ჰ. ლ. დუნბარის და ჯ. უ. ჯონსონის — პოეზიაში. მაკეი მიმართავს კლასიკურ პოეტურ ფორმებს, უმთავრესად სონეტს, მაგრამ მათი საშუალებით გამოხატავს ჭეშმარიტად თანამედროულ ახალ პრობლემებსა და იდეებს, და ეს საოცარ კონტრასტს ქმნის. მისი სასიყვარულო ლირიკა ღრმად ემოციონალურია; ლექსები ინმიკაზე გამსჭვალულია სიყვარულით მისი ბუნებისა და ხალხის მიმართ; მის მიერ შექმნილი ქალაქის სახე რეალისტურია; რასობრივ თემაზე შექმნილ ლექსებში ისმის პოეტის რისხვა და მძვინვარება. ლექსი „ანთებული გული“ მოწმობს, თუ რა ძნელად ეგუებოდა მაკეი ქალაქს. „ჰარლემის ჩრდილებში“ გვაგონებენ მაკეის ადრინდელ ლექსს „სოფლელი ქალიშვილი“ და უ. ბლეიკის „ლონდონს“ — პოეტი მტკივნეულად განიცდის ჰარლემელ ქალიშვილის ბედს, რომლებსაც იძულებულნი არიან ლუკმა პურის საშოვნელად გავიდნენ ღამით ქეჩაში. ლექსში „თეთრკანიან მეგობრებს“ მაკეი ილაშქრებს სამხრეთ შტატებში გაბატონებულ ცრურწმენათა წინააღმდეგ, რომლებიც ერთნაირადაა დამტკიცებული ზანგებისათვისაც და თეთრკანიანებისათვისაც. ლექსში იგრძნობა ამაკი ბუნება ადამიანისა, რომელიც არ ურიგდება დაცრუებასა და მლიქვნელობას. ლექსებში „ბაბატეზში“, „თეთრი ქალაქი“, „თუ სიკვდილი გვიწერია“ ნათელია პოეტის შეამბოხე სულისკვეთება, მასში დაგრძელი ზიზღი მჩაგვრელთა მიმართ. „თეთრ სახლში“ და „ეფელში“ მაკეი წერს ეკონომიურ და სოციალურ სიძნელეებზე, შედგომ რომ თან ახლავან ზანგის ცხოვრებას, და ყველან, ყველან ისმის მაკეის ხმაში პროტესტი და რისხვა, ბრძოლის სურვილი. თავის ლექსებში მაკეი მოითხოვს, რომ ზანგებმა შეიგნონ თავიანთი ტანჯვის მიზეზები და გაბედულად იცავდნენ საკუთარ ადამიანურ ღირსებას. „აშკარად ერთგული ექსპლოატირებული და ჩაგრული ზანგი ხალხის საქმისა, მაკეი იყენებდა ალეგს როგორც ეიარალ სოციალურ და ეკონომიურ პირობებთან ბრძოლაში“, — წერს კ. ულლიამსი.

„ჰარლემის ჩრდილებში“ შემდეგ მაკეი წერს ლექსებს, რომანებს, მოთხრობებს, ავტობიოგრაფიას, სოციოლოგიურ გამოკვლევებს, მაგრამ ადარასოდეს აღწევს იგი ლირიულობასა და პროტესტის იმ სიღრმეს, რაც დამახასიათებელია ამ კრებულის ლექსებისათვის. შინაარსით და განსწავლით ეს ლექსები თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებს შეეხებამეიან, მათში გამოყენებული ხერხებიან კი ისინი ტრადიციულ პოეზიას ეკუთვნიან, ინგლისელი რომანტიკოსების მანერას ბაძავენ. ლექსებში მრავალი თემაა განეთარებული, მაგრამ მათში უმთავრესი პროტესტის თემაა ჯ. უ. ჯონსონის, ჭ. კელნსისა და სხვა თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით, მაკეი არ ნიღაბადა რისხვას, როდესაც რასობრივ ურთიერთობობში სიმახინჯესა და ცრურწმენას პირისპირ ხედგბოდა. მრავალია, კრებულში წარმოდგენილ თავის ადრინდელ ლექსებში მაკეი ჯერ არ ეძებს გამოსავალს, მხოლოდ ვეკაცურად იტანს ტკივილს. მოგვიანებით შექმნილ

თამარ ცინცაძე
კლიდ მაკეი

ლექსებში კი („თეთრი ქალაქი“, „ამერიკა“, „განდეგენლი“ და სხვ.) პოეტი პირდაპირ გამოხატავს რისხვასა და ზიზღს „ამ ცივლიზებული ჯოჯოხეთისადმი“ — ამერიკისადმი. მაკი სწორად აფასებს ნაგლის ტრაგიკულ და ფეზიკური ეზოლაციის ფარგლებს, რადგან მას როგორც წარმოშობით არაამერიკელს შედარებით ადვილად შეეძლო ამ პროცესის ობიექტური გაანალიზება და გაანალიზება. ლექსში „თუ სიკვდილი გვეწერა“ იგი პირდაპირ პასუხობს კითხვაზე, რომელიც დიდი ხანია აწუხებდა მას — დანებდეს თუ იბრძოლოს? შეუერიგდეს ეთიარქიას თუ მოკვდეს თავისუფლებისთვის. ბრძოლაში? ამ ლექსში ვერ ვხედავთ შინაარსის ერთგვარ ბუნდოვნებას, რაც ესიდენ დამახასიათებელია „ზანგური ალორძინებისა“ მრავალი პოეტისათვის. მისი განწყობა ტრაგიზმია. ამ თავის ყველაზე პოპულარულ ლექსში მაკი ღრმა პროტესტს გამოხატავს და ზანგის მიერ ახლადშექმნილი სიმაყის გრძნობასაც. პოეტი წარმოგვიდგენს ზანგს როგორც ფუძემპრომეთეს, შეურიგებელ მეომარს. „როგორც ვიქვავები, ჩვენ დაეუხვდებით ულმობელ, შეშინარა მტრებს, კედელთან მდგომნი, მომაკვდავნი, მაშინაც ვიბრძვით, — ამბობს პოეტი. ამ ლექსში აისახა გრძნობები, რომლებიც დაეუფლენ ზანგთა ფენებს 1919 წ.1 ეს ძლიერი, ლაკონური და დრამატიზმით აღსავსე სონეტი დაიბეჭდა თითქმის ყველა წამყვან ზანგურ ჟურნალ-გაზეთში. სენატორმა ჰენრი კ. ლოჯმა მოიაკვანა იგი ზანგებში ბრძოლი რადიკალიზმის მაგალითად. 20 წლის შემდეგ კი ამერიკის კონგრესში წარმოთქმულ სიტყვაში, რომელშიც იგი ამერიკელ ხალხს მოუწოდებდა მონაწილეობა მიეღოთ ფაშიზმის წინააღმდეგ ომში, უინსტონ ჩერჩილმა წაიკითხა მაკის ეს ლექსი, რითაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა შესძინა მას. თვით მაკეის სიტყვებითაც რომ ვიმსჯელოთ, იგი დედამიწის ყველა დამცირებულთა ჩაგრულთ გულისსტვენად, რიდესაც ამ ლექსს ქმნიდა, ამატომაც ითვლება, რომ „ზანგური ალორძინების“ ლიტერატურა იწყება სწორად ამ ლექსის დაბეჭდვასთან ერთად.

20-იანი წლები — ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია მაკეის როგორც პოეტის შემოქმედებაში. ეს იყო წლები მაკეის ყველაზე აქტიური საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეობისა, რიდესაც იგი ახლოს გაეკნო მემარცხენე წრეებს, თანამშრომლობდა მარქსისტულ ლიტერატურულ ჟურნალში „Liberator“ მაქსოლტანთან და მიაკენ გოლდთან ერთად. „ბოგემურ“ ბიო ფი დანიშნეს პროგრესული ჟურნალის „Masses“ რედაქტორის მოადგილად. თავის დროის მოწინავე ინტელიგენციასთან სიახლოვეს განაპირობა იმ წლებში მაკეის შემოქმედებითი აქტივობაც, მისი პოეზიის რევოლუციური, მშფოთვარე ბუნებამ დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე, შეიტანა მასში ახალი, ზანგური პოეზიისათვის მანამდე უცნობი განწყობა. მაკეიმ გამოაცალინა დიდი ინტერესი კომეუნისტებისადმი, საბჭოთა კავშირისადმი. 1922 წ. იგი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში კომინტერნის III კონგრესზე დასასწრებად და დაპყო რუსეთში ერთი წელი. იგი ბეჭდავდა წერილებს, გამოდიოდა სიტყვებით, გაოცებული რჩებოდა თავისი პოპულარობით, ინ სითბოთი, რითაც მას ყველგან ხვდებოდნენ რუსეთში, და, რასაკვირველია, წერდა ლექსებს — სამშობლოზე, მოსკოვზე, ლენინზე, მეგობრებზე... გაბოდიო რა კონგრესზე როგორც ამერიკელ მეშვათა პარტიის წარმომადგენელი, მაკეიმ თქვა, რომ შეერთებული შტატებში ზანგებს ლენინის წესით ასამართლებენ, არიმეველ მათ ელექტორულ დამამიანერ უფლებებს, ალრმავებენ რასობრივ ანტაგონიზმს თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის, და ყოველივე ამას საფუძველად ანსებული კლასობრივი განსხვავება უდგეს. საკვირველია, თუ რამდენად სწორად ესმოდა მაკეის ის, რომ სწორედ ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი განსხვავებები წარეშოშავნენ ეულმეტებს ხსენებასა კლასის და რასის ადამიანებს შორის. საკვირველია, რადგან იმ წლებში პროგრესულად მოაზროვნე ზანგი ინტელიგენტებიც კი ამერიკელ ზანგთა ტანჯულ ცხოვრების მიზეზს ხედავდნენ უმთავრესად რასობრივ და არა კლასობრივ კონფლიქტებში.

რუსეთში მოგზაურობის შემდეგ მაკეი მოგზაურობს ევროპასა და აფრიკაში, დიდხანს ცხოვრობს ვერმანიასა და საფრანგეთში, ესპანეთსა და მაროკოში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მაკეი ალარ წერს ლექსებს, იგი პროზას მიეტრუნდება — წერს რომანებს ზანგთა უმდაბლესი ფენების ცხოვრების შესახებ. მაკეი უთანაგრძნობს ჩაგრულ და დაბეჩავებულ ხალხს, ჰუმანიტის პოზიციებიდან ესაუბრება ეკითხველს. მისი რომანების ცენტრში „პრიმიტიული“ ზანგს ვხედავთ, რომელიც ეგვის დასაელეთის ცივილიზაციასთან შედარებაში. მაკეი ამაყობდა თავისი წარმოშობით და შავი კანით; მას სძულდა ზანგი ბურჟუაზია, იგი დასცინოდა განათლებულ ზანგებს, რეცხვენოდა მათი მიმბაძველობისა თეთრკანიანების კულტურისადმი და ცხოვრების ნორმებისადმი მიდრეკილებისა. ამასთან ერთად მაკეი ებრძოდა ამერიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, ყალბად რომ ასახავ-

1 ეს წელი აღნიშნულია ზანგთა მრავალი გამოსვლებით, გაპეჭვებული რასობრივი კონფლიქტებით, რაც ზანგთა მხრიდან საპასუხო იყო აშშ-ში ომისშემდგომ პერიოდში მზარდი ანტიზანგური განწყობებისა, კუ-კლუქს-კლანის ზრდისა და მრავალი ლინჩის წესით მოწყობილი გასამართლებისა.

ნებელ ადამიანს, „არ არსებობს არადერი, ამ სტერეოტიპებზე უფრო ყალბი“, — ამბობდა იგი. მაკი აღწერდა და ადიდებდა ზანგურ ხალხურ ტრადიციებს და კულტურულ მემკვიდრეობას, რაც დამახასიათებელია 20-ინ წლების ზანგ მწერალთათვის. თავის რომანებში იგი ყურადღებას ამახვილებს ზანგების ცხოვრებისათვის ყოველივე დამახასიათებელზე, განსხვავებულზე. ყველა თავის რომანში მაკი აღწერს შავკანიანთა ცხოვრების სიძნელეებს სამყაროში, რომლის მორალური და სოციალური ღირებულებანი არამყარია.

მის პირველ რომანში „შინ, ჰარლემისაკენ“ (1928) აღწერილია „მხიარული“ ჰარლემი. ავტორის სტილი ინსპირირებულია. სიუჟეტი უბრალოა და მიზეზს წარმოადგენს ჰარლემის კაბარეების, საცეკვო დარბაზების, რესტორნების და სხვა გასართობი ადგილების აღწერისა. ამ ნაწილში წიგნი კ. ვ. ვეჭტენის „ზანგთა სამოთხეს“[1] მოგვაგონებს, რის გამო სერიოზული ზანგი კრიტიკოსები საყვედურობდნენ მაკეის. ისინი ადანაშაულებდნენ მას იმის გამო, რომ იგი ყურადღებას ამახვილებდა ჰარლემელთა ყოფის მხოლოდ ერთ, და ისიც არადამახასიათებელ მხარეზე. მაგრამ უკვე ამ რომანშიც ვხედავთ მაკეისათვის დამახასიათებელი კონფლიქტის ჩანასახს: მთავარი გმირი ჯეკეი წმინდა ინსტინქტს განასაბიერებს, სხვა-რულს, ცხოვრების სიყვარულს. ამ სახეს მაკეი უპირისპირებს პროტესტანტულ მორალსა და ეთიკას. ჯეკეი — მაკეის პროზისათვის ტიპიური გმირია, დასაღლეთის ცივილიზაციის მიერ ჯერ კიდევ გაურყვნელი, „პრიმიტიული“ ზანგი. ჯეკეის ანტიპოდი, ახალგაზრდა მწერალი — რეი — ინტელექტს განასახიერებს, დასავლეთის მორალური ნორმებისადან შეზღუდული ადამიანს, პრობლემებს რომ ვერ გაუჭრიის და თვით ცხოვრებასაც ვერ აღიქვამს უშუალო, პირდაპირი ფორმებით. იგი გრძნობს, რომ იხრჩობა თეთრკანიანების მიერ შექმნილ ცივილიზრებულ სამყაროში. მას ეშინია, რომ დაემსგავსება „მეტალის საკაბში გამომწყვდეულ ბანკის კლერკს“. რეი ცივილიზაციას გაექცევა და ჯეკეისნაირად სურს ცხოვრება, მაგრამ ბოლოდგე ინსტინქტს ვერ მიეცემა. იგი მეტისმეტადაა ინტელექტუალური, განუწყვეტლივ ფიქრობს ღ ლაპარაკობს დასავლეთის თანამედროვე საზოგადოებაზე — „ჩვენი საუკუნის ამ საერთაშორისო სამარეზე“. ეს სიტყვა-ბანაკი გადიდება იწვევს მასში, ისევე როგორც მოგვიანებით სხვა ინტელექტუალსა და მხატვარში, ღრმა ზიზღის საკუთარი თავისადმი. ადარებს რა ჯეკეის უდარდელ, ინსტინქტურ არსებობას რეის მოუსვენარ და მშფოთვარე ცხოვრებას, მაკეი ცდილობს ვეგეზენის ინსტინქტის უპირატესობა გონებაზე. მაგრამ სინამდვილეში ორივე სახე უფრო ფართო მნიშვნელობას ღებულობს ავტორის უარყოფით დამოკიდებულების შუქში თანამედროვე საზოგადოებისადმი. მაგრამ მაკეი ვერ ავითარებს მათი ურთიერთობის დრამატულ ხაზს, და ამაშია სწორედ რომანის მთავარი ნაკლი. ორივე გმირის სანე საკმაოდ ცოცხალია და კოლორიტული, მაგრამ ყოველთვის. არ არის ნათელი, თუ რას უარყოფენ ისინი. ავტორის უარადღება ზედმიწევნილ ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენებზეა გადატანილი.

მეორე რომანში „ბანჯო“ (1929) მაკეი უკვე ავითარებს ცენტრალურ თემას. რომანის ფორმა უფრო ჰარმონიული და დასრულებული. მოქმედების ადგილად ავტორს მარსელის პორტი აქვს აღებული. ამ რომანში იმავე თეზის და ანტითეზის ვხედავთ — ჯეკეის ნაცვლად მოხეტიალე მუსიკოსს ბანჯოსა და ისევე რეი თუმცა მომენტებში ამ ნაწილივე ჩანს ავტორის ეგზოტიფიზაციი მისწრაფება, წიგნს სოციალური პერსპექტივა გაანიჭა, რაც ნაკლებად შეიმჩნევა მაკეის პირველ რომანში. მაკეის პირველი რომანის ფონი თითქმის ვიქტორიანულად გვეკონება „ბანჯოს“ გმირების და მოგლენების ფონთან შედარებით. ავტორი აღწერს ხმელთაშუა ზღვის საპორტო ქალაქში მაწანწალათა, მტვერთავეთა, მეზღვაურთა, წერილ ეკპართა, მოთამაშეთა და ბედნიერების მაძიებელთა ყოფას და ამ სოციალური ფენის დასრულებულ სურათს ქმნის. ამ რომანში რეი გადაწყვეტს შეეტრთოს თავისი ბედი „ამ ქვეყნის ჯეკეისა და ბანჯოს“. იგი ძველებურად ბევრს ფიქრობს და მსჯელობს. მისი სახით ჩაკეი თავისუფლად გამოქვამს საკუთარ აზრებს ბურჟუაზიულ ცივილიზაციისა და დასავლეთის კულტურაზე, ლაპარაკობს ყალბ პატრიოტიზმზე, შეუზღუდავ სიხარბეზე, ცრურწმენებზე, ულმობელ პოლიციაზე, ამორალობაზე, ჭუკეიან კომერციულობაზე, საყოველთაო კორუპციაზე. „საშინელია ასეთი სამყარო, რომელიც უბრალო და ბუნებრივ მოვლენებს უმდფურად და კატასტროფად აქცევს“, — წერს მაკეი. მწერალი ხედავს, რომ საყოველთაო მიდრეკილება სტანდარტიზაციის და კონფორმიზმისადმი ემეკრება ამერიკაში ეროვნულ უმცირესობათა მიერ შექმნილი მრავალფეროვანი, მდიდარი კულტურის არსებობას. მაკეი უმთავრე-

[1] 20-იან წლებში პოპულარული რომანი, რომელშიც თეთრკანიანმა ავტორმა დაამკვიდრა ზოგიერთი ძველი და შექმნა ახალი სტერეოტიპები. იგი ეძღვნა ზანგთა ცხოვრებაში ხატოვანს, პრიმიტიულს, ინსტინქტურს; ხედავდა მათ მხიარულ, ინფანტილურ, უდარდელ არსებებად. ამ რომანმა გაზარდა ამერიკელ და ევროპელ ტურისტთა ავადმყოფური ინტერესი „მხიარული“ ჰარლემისადმი.

თამარ ცინცაძე
კლოდ მაკეი

სად რეის საშუალებით ამხელს ბურჟუაზიული ცივილიზაციის მანკიერ მხარეებს. ამასთან ერთად ამ რომანში იგი საკუთარ აზრებსაც სთავაზობს მკითხველს. მაკი აღწერს ამერიკული სანაოსნო კომპანიის წესებს, ფრანგ პოლიციელთა ადათ-ჩვეულებს, პორნოგრაფიულ ფილმებს, ასე რომ წამლავენ ახალგაზრდობას... ყოველივე ეს გადმოგვცემს დასავლეთის დიდი ქალაქის საერთო ატმოსფერას. ფრანგი მძღოლი, სუტენერობით ნაშოვნი ფულით მიწის ნაკვეთებს რომ ყიდულობს, სიმბოლოა ბურჟუაზიული რესპექტაბელობისა, ჯუჭყიან კომერციულობაზე რომ არის დაფუძნებული. სიმბოლოენია აგრეთვე ადგილი, სადაც რომანში აღწერილი ამბები ხდება, — მარსელი — — ხმელთაშუა ზღვის მთავარი სავაჭრო პორტი და ევროპისა და აზიის სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილი. მარსელის სოციალური ფსკერი მაკისისთვის ერთგვარ „სასინჯ ქვად“ იქცევა, რომლის საშუალებით იგი აფასებს ევროპული ცივილიზაციის ღირებულებებს. მაგრამ ცალკეული სიმბოლოები, რაგინდ კარგად არ უნდა იყვნენ ჩაფიქრებული მწერლის მიერ, ვერ შეიცვლიან პირდაპირ დახასიათებებს და აღწერას. რაც შეეხება რეის, ამ რომანშიც იგი ამსტრაქტულ ფიგურად რჩება. მისი ინტიმური კი და რომანის მთავარი გმირი— ბანჯო — კარგად არის აღწერილი როგორც სიმბოლოდ და ცოცხალი სახეც. საბოლოო ჯამში იგი გარკვეულ ცხოვრების წესს განასახიერებს — ფულის მანიისადან თავისუფალი, რესპექტაბელობით შეუზღუდავი ადამიანების ცხოვრებას. მაკი ეძებს და პოულობს ბანჯოში დადებით მორალურ ღირებულებებს, რომელთა შორის მთავარია ფულისადმი გულგრილობა. „ისინი ყველანი ფუღზე არიან შეშლილნი, — ამბობს ბანჯო საზოგადოების რესპექტაბელური კლასების წარმომადგენლებზე. თვით მაკი იძულებული იყო ეცხოვრა კორუმპირებულ, ფულს დახარბებულ საზოგადოებაში. ამიტომ გარეგნულად რესპექტაბელურ, ღვთისმორწმუნე, ყოყოჩინა ბურჟუას მსგავსად ამ „კარრესპექტაბელური“ ბანჯო ფრჩენინა მისი ჰედონისტური ფილოსოფიით. როდესაც ბანჯო ორკესტრის შექმნას ცდილობს, იგი სულაც არ მიისწრაფვის ფულადი ანაზღაურებისაკენ. ბანჯო შემომქმედია, ბუსოკოსია მოწოდებით; იგი აფასებს ზანგების მუსიკალურობას და შემოქმედებით იმპულსს, მათ ხალხურ მუსიკასა და კულტურას. ჯაზი მისთვის თავისუფლებას გამოსახიერებს — თავისუფლებას ყოველგვარი ბორკილებისაგან, თვითგამოხატვის თავისუფლებას, სპონტანურობას, იმპროვიზაციას, უარყოფს ყოველივე რესპექტაბელურისა და უსიცოცხლისა. ეძებს რა ბურჟუაზიული საზოგადოების ღირებულებათაგან განსხვავებულ ღირებულებებს, მაკი მათ ბანჯოს კულტურაში, მუსიკაში, სამეცყველო ენაში, აფრიკულ ზღაპრებში, პრიმიტიულ აფრიკულ ფერწერულ ბებში. პოულობს მაკის აზრით, ზანგის შეკავალ დასავლეთის ცივილიზაციისგან ბედგიმაში, საკუთარი კულტურის შენარჩუნებაშია. სწორედ ამიტომ ყველა მის რომანში იგი მკაცრად სჯის ზანგ ბურჟუაზიას მისთვის დამახასიათებელი მიმბაძველობისათვის. მისი პრობლემა თვითა ზანგთა დაბალი კლასების წინააღმდეგობა ასიმილიციის მიმართ, მათი სურვილი შეინარჩუნონ ბუნებაზე შეუზღუდავი თავისუფლება და მათი ტრადიციული კულტურა, ამგვარად მაკის მეორე რომანშიც მთავარი კონფლიქტი შეაკანონან მაწანწალასა და თეთრკანიანთა ცივილიზაციას შორის იშლება. მაგრამ რეის სახე არის იმდენად დამაჯერებელი, რომ მისი საშუალებით ავტორმა გადაჭრით დაგმოს ბანჯოს სასარგებლოდ დასავლეთის ცივილიზაცია. რეი ბანჯოდ ვერ იქცევა, იგი უფრო მეტად არის თანამედროვეთ ცივილიზაციის ნაყოფი, ვიდრე თვით მა გონია. მისი ინტელექტი მისთვისვე დაბრკოლებად იქცევა: მას გადამწყვეტი არჩევნის უნარი არ გააჩნია; იგი კომპრომისზე მიდის, რადგან მას უნდა „ინტელექტიც შეინარჩუნოს და ინსტინქტებიც“. ამგვარად ნაცვლად პირველადი თეზისა და ანტითეზისა (ბანჯო-რეი), ვხედავთ სხვაგვარ კომბინაციას: თეზა-ბანჯო, ანტითეზა — დასავლეთის ცივილიზაცია, სინთეზი-რეი.

მაკეის მესამე რომანში „ბანანების ველი“ (1933) კელმინაციის წარმოადგენს მაკეის მიერ ფორმის ძიებისა. აქ მთავარი თემაა—კულტურული დულაზმი, რომელს ფონად მაკეის მშობლიური იამაკა აირჩია, სადაც ხალხური კულტურა უფრო განვითარებულია და ხელუხლებელი, მისი ევროპული კულტურასთან კონფლიქტი კი — უფრო მკვეთრი და მძაფრი ეკეთ ახერხებს თავის თავსა და თხრობისა შუა საჭირო დისტანციის შენარჩუნებას. რომანის ცენტრალური კონფლიქტი მისიონერებსა და მათ მიერ აღზრდილ ფ ინგლისში განათლებულ ზანგ გოგონას შორის იმართება. კრეგგები-მისიონერები — მაკეის მიერ შექმნილ ეგზოტიკულთა სახეებში ყველაზე დამაჯერებელ სახეებს წარმოადგენენ, მით უფრო დამაჯერებელია თავავი ვმრის — ბიტას სახე. თავისი დინამიურობით ეს სახე ჩრდილავს რეის და ბანჯოს სტატიკურ, თუმცა შომპეტენტ სახეებს. კრეგგების მიერ აღზრდილმა ლეენის გოგონამ ბიტამ ინგლისში მიიღო განათლება და იამაიკაზე დაბრუნდა, რათა კრეგგებს მათ კეთილშობილურ საქმეში დახმარებოდა, გოგონა ორი კულტურის გავლენას განიცდის. მისი თავისუფალი ბუნება ვერ ეგუება მისიონერთა მოხოტონურ, შეზღუდულ ცხოვრებას; იგი ცდილობს საკუთარ თავში ყოველივე ბუნებრივი აღმოაჩინოს და განავითაროს. ამ შინაგან ბრძოლაში შობლიური კულტურა იმარ-

ჩვენს, „და გოგონა მას უბრწყინდება — უბრწყინდება თავის სოფელს, ხალს, ადათ-ჩვეულებ, ტრადიციებს. „ღვთის მადლობელი ვარ, — ამბობს იგი, — რომ, თუმცა თეთრკანიანებთან გავიზარდე და მათგანვე მივიღე განათლება, მე არასოდეს მომსურვებია ჩემი ვინაობის დავიწყება. მე ვამაყობ ჩემი კანის ფერით, ჩემი ხალხით, და არ მსურს მისგან განდგომა... არაფერია იმ ადამიანებზე უფრო ტრაგიკული, საკუთარი თავის გარდაქმნას რომ ცდილობენ, თავიანთი ბუნებრივი ვინაობის შეცვლას". ამ რომანის შვიდი, აუჩქარებელი ტონი და თითქმის პასტორალური ფონი განასხვავებენ მას მაკეის დანარჩენი რომანებისაგან, სადაც ატტორისა და გმირების შფოთარე ბუნება, მოუსვენრობა და განუწყვეტელი ძიებანი სჩანდა. აქ მაკეიმ დაასრულა ძიებანი, დასკვნამდე მივიდა, მონახა ლაკონური, უბრალო, დასრულებული ფორმა. კრიტიკოსმა სტ. ბრაუნმა „ბანანების ეგლ" შვიდიდან მოყოლილი შვიდი ამბავი უწოდა. ატტორის ტონი იუდელეებელია, ენა გადაუტეხრთავია ეპიტეთებით და ძახილის ნიშნებით, ესოდენ ხშირად რომ გვხვდებიან მის პირველ ორ რომანში. არ არის ამ რომანში არც რეი თავისი ფილოსოფიური მსჯელობებით და უსასრულო მონოლოგებით. ამ რომანში ბევრის ახასიათებს უბრალო სტილისადმი მიდრეკილება, რაც შეესაბამება წყნარს პასტორალურ ფონს. მწერალი დაწერილებით და ხატოვნად აღწერს ინამაკეი ლეგეხების ყოფას და იამაკის მშვენიერ ბუნებას.

არ უნდა ვფიქრობდეთ, რომ მაკეის რომანებში კონფლიქტები თვით ატტორის ნაციონალისტური განწყობითაა განპირობებული, ან რომ იგი უპირველს ბურჟუაზიულ საზოგადოების წესებსა და კულტურას მხოლოდ მისი საკუთარი, „ზანგური" გამოცდილების საფუძველზე. მაკეიმ შეითვისა ფართო კულტურული მემკვიდრეობა, ეზიარა თანამედროვე ახლოგრეული სხვადასხვა მიმდინარეობას. მისი სოციოლოგიზმი დიკენს-ტოლსტოის — ზოლას ტრადიციიდან გამომდინარეობს, მისი სატირის წყარო — შოუ, იბსენი და ა. ფრანსი; ფიზიკურ ინსტინქტებზე მახვილი კი შ. ანდერსენიდან და დ. ლორენსიდან გამოდინარეობს. იგი მარქსიზმის ძლიერ გავლენასაც განიცდიდა, პარიზში კი ახლოს იცნობდა კოსმოპოლიტური ექსპატრიანტების წრეებს, ვისი საშუალებითაც ესპრესიონიზმს ეზიარა საბოლოო ჯამში ექსპრესიონიზმი სინამდვილისადან გაქცევის ერთ-ერთი ფორმაა, და იგი მკვეთრად გამოყენილა 20-იანი წლების მრავალ ამერიკელ და ევროპელ მწერალთა ნაწარმოებებში. ეს მიმართულება და მზარდი ინტერესი ზანგისადმი და ყოველივე ზანგურისადმი ვერ ჩაუვლიდა გვერდით ისეთი ტემპერამენტის მწერალს, როგორიც კლოდ მაკეი იყო. მაკეი საკუთარ თავსაც გულისხმობდა და თავის სულიერ გაქცევას საზოგადოებისაგან, როდესაც წერდა: „ერეზე თავის პირველ რომანში: „ოდესმე იგი თავს დაიდწეს ამ საშინელ ურჩხულს — ცივილიზაციას — და დაიმალება თავის კუნძულზე, სადაც მას ვერ დაეწვება პროგრესის სწრაფი სელა..." „ბანანების ეგლ" აგრეთვე წარმოადგენს მაკეის რომანტიულ გაქცევას მანქანათა საუკუნიდან, მის სიმბოლურ კავშირს ექსპრესიონიზმთან. საფრანგეთში ექსპრესიონიზმის დამფუძნებლის გოგენის მსგავსად, რომელიც შთაგონებას გაიტის მკვიდრთა ცხოვრებაში ეძებდა, მაკეიმ ჰპოვა თავისი მხატვრული კოდოს განხორციელება ინამაკის ლეგეხთა ცხოვრების ასახვაში. და თუ თავის სულიერ ძიებებში მაკეი შორს გასცილდა საკუთარ სახელს, ბოლოს იგი შშობლიურ მიწას, შშობლიურ კუნძულს დაუბრუნდა.

1933 წ. გამოდის მაკეის მოთხრობათა კრებული — „ჯანჯაფილის ქალაქი". მოთხრობილ ამბავთა ფონად მაკეი ამკამადაც ჰარლემსა და ინამაკას ირჩევს. ატორი მოგვითხრობს იმაზე, თუ რა დიდი გავლენა აქვთ რასობრივ ცრურწმენებს ფერადკანიანთა ცხოვრებაზე, მოგვითხრობს ზანგების ტრაგიკულ ხვედრზე „თავისუფალ" ამერიკაში, იგონებს ბავშობის წლებს. ამ მოთხრობებში სოციალური ქვეტექსტი ძლიერია და მნიშვნელოვანი.

1937 წ. მაკეი აქვეყნებს თავის ავტობიოგრაფიას — „სახლისაგან შოშრებით". წიგნი რომანიზებულ ბიოგრაფიას მოგვაგონებს; მისი სტილი იმპრესიონისტულია. 1940 წ. მაკეი წერს წიგნს „ჰარლემი, შავკანიანთა მეტროპოლია". ეს სოციოლოგიური გამოკვლევაა ნიუ-იორკელ ზანგთა ცხოვრებისა. 70-იან წლებში მაკეი ღრმა სულიერ კრიზისს განიცდის. შეხვედრამ ეპისკოპოს სკეთთან და კათოლიკე — მწერალთან ელენ ტერისთან მაკეის შემდგომი ბედი გადაწყვიტა. 1944 წ. 11 ოქტომბერს მაკეიმ კათოლიკობა მიიღო. მისი შემდგომი ნამუშევრები — უმთავრესად ესსე და პამფლეტები — მის რელიგიურ განწყობას ასახავენ. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მაკეი 1948 წ. გარდაიცვალა. ადამიანთა მეხსიერებაში იგი დარჩა „ზანგური ლორძინების" გამოჩენილ პოეტად და პროზაიკოსად.

მაკეის ცხოვრება იმის მაჩვენებელია, თუ როგორ კვდება მწერალში შემომქმედი, როდესაც იგი თავისი დროის მოწინავე იდეებს გაზიდგება, საკუთარ თავში ჩაიკეტება, სწავლობს მხოლოდ საკუთარ სულიერ სამყაროს. როდესაც მაკეი კათოლიციზმს ეზიარა, იგი მოკვდა როგორც მწერალი. მაკეის ცხოვრებაში ბევრი უკიდურესობაა. მან ლიტერატურული კარიერა ლეგეხთა მეგობად დაიწყო, შემდეგ „ზანგური

თამარ ციხაია
კლოდ მაკეი

ARCHIVE
http://Archivebeta.Sakdrive.com

აღორძინების“ პოეტ-ავანგარდისტად იქცა, მოკვდა კი კეთილეკური პამფლეტების ავტორად. ამით და კიდევ მრავალი სხვა ნიშნით გაჩსხვავდება მაკეის ცხოვრება „ზანგური აღორძინების“ ტიპიური წარმომადგენელთა ცხოვრებისაგან. წარმოშობით არაამერიკელმა, 1942 წლამდე მაკეიმ არ მიიღო ამერიკის მოქალაქეობა; იგი დაახლოებით 10 წლით იყო უფროსი თავის კოლეგებზე; თუმცა მაკეიმ დიდი გავლენა იქონია 20-იანი წლების ზანგურ ლიტერატურაზე, მან თითქმის მთელი ეს პერიოდი ამერიკის საზღვრებს გარეთ გაატარა; იგი ფართო ლიტერატურულ საზოგადოებას იცნობდა, თავიდანვე იბეჭდებოდა არა მხოლოდ ზანგურ, არამედ ისეთ პოპულარულ ამერიკულ ჟურნალებშიც, როგორიც იყო «Liberator», «New Masses», «Seven Arts», «Pearson's» და სხვები; გარკვეულ პერიოდებში იგი მუშაობდა ორი მნიშვნელოვანი ამერიკული ჟურნალის რედაქტორის მოადგილედ (ამ წლებში არც ერთ ზანგ მწერალს არ ეკავა ამგვარი თანამდებობა). მაკეის წარმოშობა უადილებდა მას ორგვარი გრძნობები განეცადა ამერიკისადმი. კელენსაგან განსხვავებით, მას არ თვლიდნენ კლასიკურ პოეტად. ჯ. უ. ჯონსონისაგან განსხვავებით, იგი არ იყო ღრმად ჩაბმული ზანგი ხალხის ბრძოლაში თავისი სამოქალაქო უფლებებისათვის. „ზანგური აღორძინების“ ბევრ სხვა მონაწილეს მეტად ქონდა მაკეის შესაძლებლობა შეექმნა ახალი, თავისუფალი ფორმები, შეექმნა „წმინდა ხელოვნება“, მაგრამ მაკეი წერდა ისე, რომ თეთრკანიანებს ეკრძნოთ, თუ ვინ არის ზანგი. და თუმცა იგი ანსებითად განსხვავდებოდა 20-იანი წლების ტიპიური მწერლისაგან, ამასთან ერთად მაკეიმ გამოავლინა „ახალი ზანგისათვის“ ყველა დამახასიათებელი თვისება. მისი გადასვლა იამაიკის ფოფლიდან ნიდ ჭალაში, ლიტერატურულ წრეში ადეკვატური იყო ზანგების დიდი მიგრაციისა ამერიკის სამრეთი შტატებიდან ინდუსტრიული ჩრდილოეთის ფართო ჰორიზონტებისაკენ. მისი ლტოლვა მარქსიზმისაკენ და სოციალიზმისაკენ ნიშნავდა, რომ „ახალ ზანგს“ არ სურს მიწყვეტილი იყოს მსოფლიოს ახალ ამბებს, დღევანდელ ისტორიას — ბირველმა მსოფლიო ომმა ბოლო მოუღო ზაკანიანთა და თეთრკანიანთა იზოლაციას. „ზანგური აღორძინების“ სხვა მწერალთა მსგავსად, მაკეი აღწერდა ზანგთა დაბალი ფენების ცხოვრებას და ზანგებს ხალხური კულტურის შესწავლისა და შენარჩუნებისაკენ მოუწოდებდა. იგი ამაყობდა თავისი ზანგური წარმოშობით და არ მიიჩნდა შესაძლებელად გაზეთმებულიყო იმ ცრურწმენებისა და უსამართლობის წინაშე, ასე რომ ადამფოთიდენ მას. „მისი პოეზია უფრო გულწრფელია და რევოლუციური, ვიდრე იმავე წლებში შექმნილი სხვა ზანგ პოეტთა ნაწარმოებები. მისი რომანები კი აგებულია ერთი თავაური თემის ირგვლივ — უბრალო, ცივილიზაციით ხელუხლებელი ცხოვრება უფრო სუფთაა და ბედნიერი, ვიდრე ადამიანთა ცხოვრება ცივილიზებულ დასავლეთში. მაგრამ თვით მაკეიმ ვერ ნახა კულტურა, რომელსაც მთლიანად ეზიარებოდა. ლიტერატურული ინტერესები ხელს უშლიდნენ მის იამაიკაზე დაბრუნებას, შუბლიანი მზრარსადმი სიყვარული კი უშლიდა მუდმივად საზღვარგარეთ ცხოვრებას; ამერიკისათვის დამახასიათებელი რასობრივი ცრურწმენები და მისი ზეინდუსტრიული საზოგადოებისადმი სიძულვილი ხელს უშლიდა მაკეის შეგუებოდა ამ ქვეყანას. მაკეიმ და „ზანგური აღორძინების“ სხვა მწერლებმა ვერ გაუგეს ბოლომდე ერთმანეთს — ყველა ისინი და მაკეიც ინდივიდუალისტები იყვნენ. ფ. გოფმანის გამოთქმა რომ ვიზმპრით, 20-იანი წლებისათვის ტიპიური „ესთეტი-რადიკალი“, მაკეი თავს „ბუნებრივ ადამიანად“ თვლიდა და კომფორმიზმის საუკუნეში თავისი ბუნებრივი ვინაობისაკენ მიისწრაფოდა. ეს ნათლად ჩანს ყველა მის ნაწარმოებში. 20-იანი წლების სხვა ზანგი (და „ამერიკელი“) მწერალის მსგავსად, მაკეი გრძნობდა, რომ „დაკარგულ თაობას“ ეკუთვნის. 1918 წ. იგი წერდა: „ეს კატასტროფა (პირველი მსოფლიო ომი) მსოფლიოს დაატყდა და გააფაფურა ყოველივე, რის პატივისცემას ჩვენ გვასწავლიდნენ — ერი, პატრიოტიზმი, რასობრივი სიამაყე“. მაკეის სიახლოვე მემარცხენე წრეებთან, მისი მოგზაურობა რუსეთში ნაწილს წარმოადგენდა თავისი ეშმარიტი მეობის ძიებისა, თავისუფლების და ახალი მორალური და სოციალური ღირებულებების ძიებისა. მაკეიმ — არაამერიკელმა, თავისუფალი განთლების და გულწრფელი ბუნების მქონე ადამიანმა — „ზანგური აღორძინების“ ბარე ფარგლები შეეთხზა. ყოველივეს, თავს ყველაზე ადრინდელ ნამუშევრებშიც კი, მაკეი უსაზღვროდ პირდაპირი და სიმართლის მოქმედი იყო. სწორედ ამით მისცა მან „აღორძინებას“ ახალი მიმართულება: მაკეის შემდეგ „ზანგური აღორძინების“ მწერლებს ალარ შეეძლოთ გაუბედავად წერა, ალარ შეეძლოთ უსიტყვოდ შეგუებოდნენ უსამართლობას. მათ აიტაცეს მაკეის მრისხანე ხმა და თავიანთ შემოქმედებაში განაგრძეს ამერიკული ლიტერატურის სუფეკეთესო, დემოკრატიული ტრადიციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერმიშა გოგოლაძე

გიორგი საკაკაძის უცნობი ძმის შესახებ

ქვეყნის შინაური უკუღმართობის შედეგად არაერთი დიდი ენერგიისა და ნიჭის მქონე ქართველი იძულებული იყო დაეტოვებინა საშობლო და სიცოცხლე შეეწირა უცხო ქვეყნის ინტერესებისათვის.

როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოს პოლიტიკური სპობიელზე XVI ს. ბოლოსა და XVII ს. პირველ მესამედში დიდად ფიგურირებდნენ საკაძეები. ამ დროს ფეოდალთა კლასის უმაღლეს წოდებასთან, თავადობასთან, შედარებით, მიეხდებოდა დაბალი სოციალური წოდებისა, საკაძეები ცენტრალური ხელისუფლების უმაღლესი რანგის მოხელეებია; ქართლის მეფეების სომხისა და ლეკისაბის დროს სახლთუხუცესობა, მუსაბიობა (მეფის მრჩეველობა) და თბილისის ამირა-ამირობა (მოურავობა) პერიოდულად მათ ხელშია, რაც მათ პირადი ნიჭისა და ენერგიული საქმიანობის შედეგად მოიპოვეს. მართალია, ისინი თავადთა წოდებას არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ დიდი ფეოდალები, დიდძალი ყმა-მამულის და აზნაურების მფლობელნი იყვნენ. საკაძეებს ტახტის, სამეფო, აზნაურები იყენენ და, ბუნებრივია, ცენტრალური ხელისუფლების მეფეებები, მეფეები, პირველყოვლისა ცდილობდნენ თავის უშიალო ქვეშევრდომ წოდების წარმომადგენლებს დაყრდნობოდნენ ქვეყნის მართვისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეში. სამეფო აზნაურებიც, თავის მხრივ, ხედავენ, რომ მათი სოციალური სიძლიერე და პირადი დამსახურების შედეგად ეზეევება შეიძლებოდა მხოლოდ მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცების, ამისთან თავადთა წოდების თავაშეებულობა-ურჩობის დათრგუნვისა და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პირობებში.

აზნაურთა წოდების სოციალური და პოლიტიკური შეგნებისა და ზრახვების (იდეოლოგიის) ყველაზე დიდი წარმომადგენელი პოლიტიკურად დაშლილ ფეოდალურ საქართველოში გიორგი საკაძე იყო. მისი მოღვაწეობა-საქმიანობიდან კარგად ჩანს „საქართველოს გაერთიანების“ (ა. ფურცელაძე), საქართველოს გაერთიანების „აზნაურული იდეა“ (ნ. ბერძენიშვილი), რაც დიდად პროგრესული იყო იმ ეპოქაში, პოლიტიკურად დაშლილ და დასუსტებულ თავადურ-ატაბონეამერ საქართველოში.

გიორგი საკაძის წინაპრები (ამავე გვარით), როგორც ჩანს, თამარის დროსაც მოღვაწეობდნენ. ისინი ამ დროსაც აზნაურები ჩანან. გვიან, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანაში, სამეფო (ტახტის) აზნაურ საკაძეთა სახლში, ჩანს, ძლიერ ცოცხლობდა ძველი ტრადიცია დავით ალმაშენებლის, გიორგი III და თამარის დროინდელი პოლიტიკურად გაერთიანებული ძლიერი საქართველოსი. გიორგი საკაძის მთელი მოღვაწეობა ამ ტრადიციის აღდგენის ნიშნებს ატარებს. იგი დიდი ენერგიით შეეცადა ქვეყანაში მომხდარი დიდი ეროვნული ტრაგედიის გამოსწორებას — პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს გაერთიანებას და ამ საქმეს შესწირა მან მთელი თავისი პირადი ბედნიერება და სიცოცხლე. საშობლოსაგან სრულიად უკანონოდ დევნილმა გიორგი საკაძემ, რომელმაც სასწაულებრივ ძლიერ დაიწია თავი სიკვდილს, ოჯახის ამოწყვეტას და ამ მიზეზით ძმა დაეღუბა უცხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმეულანში, კრიტიკულ მომენტში, როდესაც ვერაგი მტრისაგან სამშობლოს მოსპობა ელოდა, იმავე სამშობლოს შესწირა ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი — შვილი, და სისხლისმღვრელი ბრძოლებით იხსნა სამშობლო მოსპობისაგან, რაც სამშობლოს ჭეშმარიტად გულმხურვალე დიდი პატრიოტის თვისება: სამშობლოსაგან შეურაცხყოფილმა და სრულიად უკანონოდ დეპნილმა იმავ სამშობლოს გადარჩენას შესწირო შვილის სიცოცხლე და პირადი ბედნიერება.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გიორგი სააკაძე დიდი სამხედრო და პოლიტიკური ფიგურა ჩანდა; თავიდანვე, ჩანს, იგი ფართო პოლიტიკურ გეგმებს ისახავდა, ეწეოდა იმ ვითარებაში დიდ პოლიტიკას. მან შეკრძალა (თუ მის გარშემო ბუნებრივად შეიქმნა) თავისი პარტია — „მოკიდებული", „მოკიდებული კაცნი" (ნ. ბერძენიშვილი), ნათესაობრივი, დამოყვრებისა და თავისი მაღალი ღირსების პირადი თვისებების ნიადაგზე (ბრწყინვალე სარდალი, ლეგენდარული, ზღაპრული ფიზიკური ძალის მქონე, დიდი ჭკუა-გონება, ბიდსულოვნება, პირადი ღირსების მქონე ეაზრო-„ეგგაარო" ადამიანთა დაწინაურება და სხვ.). გიორგი სააკაძის „პარტიის" რიცხვში შედიოდნენ როგორც ახნაურები და მსახურები, ისე დიდგვაროვანი ძლიერი თავადებიც — მეფრანბატონები, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ციციშვილები, ჯაჯახიშვილები, ბარათაშვილები, ხერხეულიძეები და სხვები. მეფის შემდეგ გიორგი სააკაძე პირველ კაცად ითვლებოდა ქართლის სამეფოში და ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. მასთან დაახლოებადამოყვრებას ესწრაფოდნენ დიდგვაროვანი თავადები.

გიორგი სააკაძის „პარტიაში" შედიოდნენ მისი ძმებიც, რომლებიც, ჩანს, ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მოღვაწეობდნენ. დასტურდება, რომ გიორგი სააკაძს ორი ძმა ჰყავდა. ძმებში უფროსი თვით გიორგი იყო.

ლიტერატურაში გიორგი სააკაძის ძმების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული და ამასთან აქამდე უცნობი იყო მისი ერთ-ერთი ძმა.

პირველი ლიტერატურული წყარო გიორგი სააკაძეზე „დიდმოურავიანია". მისი ავტორი იოსებ თბილელი გვამცნობს, რომ გიორგი სააკაძის ძმა, რომელიც გიორგისთან ერთად ბბრძოდა სპარსელთა რიგებში თურქების წინააღმდეგ, დაიღუპა ბაღდადის აღების დროსო. მის სახელს კი არ ამბობს. სახელდობრ, იოსებ თბილელი გიორგი სააკაძეს, რომელიც შაჰ-აბასს ახლდა ბაღდადის აღების დროს, ათქმევინებს: „ძმა მყავდა გულ სრულ მამაცი", რომელიც ბაღდადის ციხის აღებისას „მომიკლეს ომშიგანა"-ო.

ბაღდადს წაბძანდა*თან ვახლელი, აღება ბძანა ციხისა,
ძმა მყავდა გულ სრულ, მამაცი, ხმის ამომღები, რიხისა
მან ერთი კაცი საბრძოლად ადგილად არ შეიხისა,
ის იქ მომიკლეს ომშიგან, კაცება შექმნეს თიხისა!.[1]

XIX ს. ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, რომელმაც დაწერა გიორგი სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, „დიდმოურავიანის" დამოწმებით წერს, რომ გიორგი სააკაძეს ჰყავდა ძმა, რომელიც ბაღდადის ციხის აღებისას მოეკლესო. სახელი მისთვის უცნობია. ამავე დროს პ. იოსელიანს იგი მიაჩნია გიორგი სააკაძის „ერთადერთ ძმად".[2]

შემდგომში გიორგი სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა დაწერილებით აღწერა, კარგად განაზოგადა და შეაფასა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ. იგი შეეხო გიორგი სააკაძის ძმების საკითხსაც. ა. ფურცელაძე დანიშნავს, რომ გიორგი სააკაძეს სამი ძმა ჰყავდაო, აქედან მხოლოდ ერთი ძმის სახელია ცნობილიო. გიორგი სააკაძის უფროსი ძმა იყო ბეკანია; ნაშრომის მეორე ადგილას კი წერს, რომ უფროსი ძმა „ეგონებ ბეჟან უნდა ყოფილიყვეს"-ო, რომელიც იყო „ბაძა სპარსეთის ამირ სპასალარის როსტომ ხან საკაძისა"-ო[3]. მაგრამ საამისოდ იგი რაიმე წყაროს არ მიუთითებს. მისი ეს განცხადება და ასევე გიორგი სააკაძის ძმების რიცხვი (სამი) მის მიერ აღნიშნული, არც გამოქვეყნებული და არც ჩვენს ხელთ არსებული გამოქვეყნებული დოკუმენტებით, ასევე არც სხვა გვარის წყაროებით არ დასტურდება.

შემდეგ, ცნობილი ქართველი პოეტი-აკადემიკოსი და ქართული კულტურის მკვლევარი გიორგი ლეონიძე შეეხო გიორგი სააკაძის ძმების საკითხს თავის გამოკვლევაში „იოსეტ ტფილელი და „დიდმოურავიანი", რომელიც მის მიერ გამოცემულ იოსეტ თბილელს „დიდმოურავიანს" წარუძღვარა. ისტორიული დოკუმენტების გაცნობისას გ. ლეონიძემ პირველმა მიაკვლია გიორგი სააკაძის ერთ-ერთ ძმას, ქაიხოსრო. ამასთან, მან მიიჩნია, რომ ბაღდადის აღებისას გიორგი სააკაძეს რომ ძმა დაეღუპა, ეს ქაიხოსრო იყოო. სახელდობრ, გ. ლეონიძე თავის გამოკვლევაში „იოსეტ ტფილელი და დიდმოურავიანი", წერს: „ისტორიულ სამეფოებში იხსენიება გიორგი სააკაძის მხლოდ ერთი ძმა ქაიხოსრო, რომელიც 1614 წ. მოჰკლეს ქ. ბაღდადის აღების დროს, როგორც შაჰ-აბასის მოლაშქრე". როგორც ვხედავთ, მას მიაჩნია, რომ გიორგი სააკაძის ძმა, ქაიხოსრო, ბაღდადის აღების დროს დაეღუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს შემდეგში არ დადასტურდა. აქვე იკვლევს რა „დიდმოურავიანის“ ავტორის იოსებ თბილელის (სასაკძის) ვინაობას, მის პირდაპირ ნათესაობრივ კავშირს საიუმ (გიორგას მამის) საკაძის ოჯახთან, წერს, რომ „შესაძლოა, იოსებ ტფილელი შვილია ამ ქიახსორთესი, რომელსაც ტფილელი ორჯერ იხსენიებს „დიდმოურავიანში“; „მაგრამ, — განაგრძობს იგი, — დიდმოურავიანის მიხედვით, გიორგი საკაძეს ჰყოლია მეორე ძმაც, რომელიც უკვე იხსენიება ქიახსორის სიკვდილის შემდეგ“. სახელდობრ, როცა გიორგი საკაძეს გაუმეფოვნებენ თეიმურაზ მეფის განზრახვას, მოურავი ფიქრობს: „მეფე ხომ არას მიწყრება, არც მოყვრის, არცა ძმისათვის?“ მკვლევარი განაგრძობს, რომ „ამ მეორე ძმის სახელი არც ერთ საბუთში არა ჩანს, მაგრამ რაკი იოსებ (თბილელზეა ლაპარაკი — დ. გ.) ბაბათაშვილობით იხსენებება და ბაბათაშვილი კი იოსებამდე არა ჩანს, ვგონებთ, ბაბათა უნდა ჰგულისხმოს იოსების მამას ანუ გიორგი საკაძის მეორე ძმას“; „ამნაირად, ჩვენი ძიებით იოსებ ტფილელი ძმისწული უნდა ყოფილიყო დიდ მოურავის გიორგი საკაძისა“.[4] დასაკვნის გ. ლეონიძე.

როგორც ვხედავთ, გ. ლეონიძის აზრით, იოსებ ტფილელი გიორგი საკაძის ძმის, ბაბათას შვილი უნდა ყოფილიყო და, მაშასადამე, გიორგი საკაძის მეორე ძმის ბაბათა უნდა ჰგულისხმოდეს.

ამჟამად არც ეს მოსაზრება დადასტურდა.

სახელდობრ, შემდეგში აშკარად დადგინდა, რომ ქიახსორო ბაღდადის ციხის ალებისას, 1614 წელს, არ მოუკლავთ. იგი შემდეგი დროის დოკუმენტებში თავის უფროს ძმასთან გიორგი საკაძესთან ერთად იხსენება. სახელდობრ, იგი მოხსენიებულია გიორგი საკაძისადმი იმერეთის მეფე გიორგის მიერ მიცემულ საფიცარს წიგნში, რომელიც დაწერილია გიორგი საკაძის ირანიდან საქართველოში ჩამოსვლის (1620 წ.) შემდეგ, სახელდობრ 1620-1626 წლებში[5].

ასევე, ქიახსორო თავის ძმა გიორგი საკაძესთან ერთად მოხსენებულია: გიორგი საკაძისადმი ფარსადან ციცაშვილის მიერ მიცემულ ფიცარა და შერიგების წიგნში[7], რომელიც 1619 წლის შემდეგ, სპარსეთიდან ქართველ გიორგი საკაძის ჩამოსვლის შემდეგ დაიწერა, როდესაც გიორგი ფარსადანის ბარდა თავის სხვა მტრებსაც, მათ შორის, ქიახსორო ჯავახიშვილს ურიგდება.

დაბოლოს, ქიახსორო აშკარაა იგულისხმება „დიდმოურავიანში“ 1626 წელს, ბაზალეთის ომის წინ მოხსენებულ გიორგი საკაძის „ძმაში“, რადგან, როგორც დავინახეთ, ბაღდადის ალებისას 1614 წელს იგი არ მოუკლავთ და 1620-იან წლებში ცოცხალია. შესაძლოა, იგი საერთოდ არც მონაწილეობდა ბაღდადის ომში. ბოლო დროს გიორგი საკაძეზე ნაწერიც დაწერა გ. ჯობიტრიან. გიორგი საკაძის მეორე, უცნობი ძმის შესახებ იოსებ თბილელზე დაყრდნობით იგი წერს: „გიორგის მეორე ძმა, რომლის სახელი ცნობილი არ არის, დაღუპულა 1614 წელს ქ. ბაღდადის ალებისას. ეს ცნობა დაცული აქვს იოსებ თბილელს“-ო. იგი აქვე განაგრძობს: „საკვირველია ის გარემოება, რომ გიორგის მეორე ძმა ნახსენები არაა არც ერთ დოკუმენტში (ნასყიდობის, წყალობისა თუ სხვა წიგნებში), სადაც მოხსენებულია გიორგი, ქიახსორო და გიორგის შვილებიც“ და აქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ „იქნებ ეს გამოწვეული იყოს იმით, რომ იგი არ იმყოფებოდა საქართველოში და ადრიდანვე ირანში შაჰ-აბასის კარზე იყო“, „ყოველ შემთხვევაში მისი პიროვნება ბურუსითაა მოცული“-ო[8].

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში საბუთებზე მუშაობისას, სათანადო ძიების შედეგად მივაკვლიეთ ერთ საბუთს, სადაც მოხსენიებულია გიორგი საკაძის ჰკმაღე უცნობი ძმა. ეს გახლავთ ზ ე შ თ ა ე ლ საკაძე.

საბუთი 1609 წელსაა დაწერილი. იგი მამულის ნასყიდობის წიგნია — შაწმე, ბიძინა, ფარსადან და შერმაზან ჯავახიშვილების მიერ გიორგი საკაძისადმი მიცემული. საბუთი დ ე დ ა ნ ი ა, კარგადაა დაწერილი, ასევე დაცული. საბუთი საკმაოდ დიდია, შეიცავს ვრცელ ბიბლიურ (ლეთისმეტყველურ) შესავალს, ისე როგორც ეპოქის რიგი საბუთები. საბუთის თავზე წარწერაა: „უფალო უფალო“, ყოველი სიტყვის შემდეგ ზის სამი წერტილი. საბუთს აქ მოვიტანთ ბიბლიური შესავლის გარეშე და ბოლო ნაწილის შემოკლებით.

„...ესე უკუნისამდე ეამთა გასათვებელი, შეუფასებელი და უცილობელი და ყოველისა აღამიანისა კაცისავან მოუშელელი და მიზეზ შემოუღებელი მტკიცე წიგნი, სიგელი, მოგეცით და მოგახსენეთ ჩვენ, ჯავახის შვილთა შალვას ძეთა შაწმე, ბიძინამ, ფარსადან, შერმაზან და ძეთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთაჲ, თქვენ საკაცსძეთა შიაოშის შვილთა (გიორგის), ზ ე შ თ ა ე ლს და ქიახსოროს და (გიორ)გის ძესა ავთანდილს, ქეთა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთაჲ. მოგაყიდეთ ჩვენ(ი) მკვიდრი მამული, სასახლე არჯევნაჲსენ, ენანა ტერიაელი, კიდევე არჯევნაჲსენ ქამელი მისი ... საჴნავითა, ნაფუძრითა, მითითა, ბარითა, ჭალითა, სასარითა, საჴალჴითა, საკაფითა, წყლითა, წისქვილითა, მისითა შესავლითა და გასავლითა, ყოველითურთ უნაკლულოდ. აეიღეთ თქვენგან

დეზიმონ ბოგოლოკაძე

გიორგი საკაძის უცნობი ძმის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაში სრული და უკლები, რომლითაც ჩვენი გული შესცქერდა. არიან ამისნი მოწამენი და შუა დამხდომნი ხანდაყენი იორდანაშვილი დავით, ხოფლელი წერეთელსშვილი დავთ, ხანდაყენი ვარსიასშვილი აბრამან, ფაორნინასშვილი შალვა, სიონთ ლიპეულსშვილი ანრიასრეს, ყარაოგას კვირიკასშვილი ნიკოლოზ, სასარბეგოლი ცოცხალასშვილი ჰინდო, კრკონელი მღ(ვ)ელი შიო, ზიგასძე მახარებელი, ჯიქიაშვილი ბადეზრა, დეკანოზისშვილი ბასილი, დურაგისძე პაპანა, ბარამისძე ნიკოლოზ.

აწე რამანაკა ბუარანმან კაცმან ადამის ტომმან, ანუ ჯავახისშვილმან, ანუ ბანაურიან, ანუ გლეხმან, ანუ რასაცა საქმისა და მიზეზისათვის მოგიშალოს და შეგიცვალოს და მოგესაჩინოს ჩვენგან მოსაყიდულსა მამულსა, რისხვასცა დაუსაბამო ღ(ერ)თი, მამა და ძე და სული წმინდა, ჯვარი ცხოველისმყოფელი, ყოველდწმიდა ღ(ვ)თისმშობელი... და ვინცა დადიმტკიცის და არა მოგესაჩინოს ამას ჩვენგან მოსაყიდულსა მამულსა ღ (მერ) თმან აკურთხნეს დამამტკიცებელნი ამისნი.

მე ტფილისის ქალაქის ციხის დეკანოზსა მღ(ვ)დელმონაზონსა გრიგოლს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა წიგნი, სიგელი, ესე ქანსა სგზ, თუესა აპრილსა ზ. ფლესა ახალ ქერიკაკანა.+++++"[9].

ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი მიკვლეული საბუთი, სადაც შიაოუ (სიაუშ) საკაძის სამივე ვაჟიშვილია მოხსენიებული: გიორგი, ზეშთაველი და ქაიხოსრო. ამასთან, როგორც საბუთიდან ჩანს, ზეშთაველი გიორგის მომდევნო ძმა ყოფილა, ხოლო ქაიხოსრო უმცროსი.

1609 წლამდე ზეშთაველ საკაძე ჩვენს ხელო არსებულ დოკუმენტებში მოხსენიებული არაა. სახელდობრ, იგი მოხსენიებული არაა იმ დოკუმენტებში, რომელნიც გიორგი საკაძისადმია მიცემული და, სადაც მოხსენიებულნი არიან გიორგის ძმა ქაიხოსრო და გიორგის შვილი აფთარდილი.

სანტერესოა, რომ 1609 წლის 20 მარტს დაწერილ ლუარსად მეფის მიერ თბილისი ამირთ-ამირა (მოურავ) გიორგი საკაძისადმი სოფ. ნაბახტეკის წყალობის წიგნში ზეშთაველი არაა მოხსენიებული და აქ კვლავ მოხსენიებული არიან გიორგის კრთა ძმა ქაიხოსრო და გიორგის შვილი აფთარდილი[10], ხოლო 17 დღის შემდეგ, სახელდობრ, ჩვენს მიერ მოტანილ 1609 წლის 7 აპრილს დაწერილ ჯავახისშვილების მიერ გიორგი საკაძისადმი მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია გიორგის ძმა ზეშთაველ საკაძე.

ამასთან, კვლავ სანტერესოა, რომ დაახლოებით 5-6 თვის შემდეგ, სახელდობრ, ამავე 1609 წლის 24 სექტემბრის წყალობის წიგნში, რითაც ლუარსად მეფემ „ბოშის ქეშენი ნასოფლარი ყიშლაღი" უბოძა გიორგი საკაძეს, მისი ძმა, ზეშთაველი, აქ უკვე აღარაა მოხსენიებული და საბუთში კვლავ მოხსენიებულნი არიან გიორგის ძმა ქაიხოსრო და შვილი ავთანდილი.[11]

როგორ უნდა იიხსნას ეს გარემოება?

ეს უნდა იიხსნას იმით, რომ დოკუმენტში მოიხსენიებენ იმათ, ვისაც ეხებოდა, ვისზეც ერეკლდებოდა წყალობა (სახელო, ყმამიული...) ან ნასყიდობა. ამკარაა, რაიმეს წყალობის ან ყმა-მამულის ნასყიდობის დროს, როგორც მწყალობელს (სიუზერენი, სენიორი) და მამულის გამციდველს, ისე შეწყალებულს (ყმა-ვასალი, გლეხი) და მამულს მსყიდველს, საბუთის გამცემისა და მიმღების ურთიერთშეთანხმებით წყდებოდა თუ დოკუმენტში ვინ უნდა ყოფილიყო აღნიშნულ-მოხსენებული, ხოლო 1609 წელს, როგორც ჩანს, გიორგის, ქაიხოსროს და ზეშთაველს ერთად უკიდიათ ჯავახიშვილებისაგან მამული და ამიტომ აქ სამივე ძმა არის მოხსენიებული. შესაძლებელია, რომ ზეშთაველი ძმებისგან გაყოფილი იყო და ცალკე ცხოვრობდა. როგორც აღინიშნა, გამოთქმულია მოსაზრება გიორგი საკაძის აქამდე უცნობი ძმის აღრიდანვე სპარსეთში შაჰის სამსახურში ყოფნის შესახებ (გ. ჯამბატია) გამორიცხული არაა ეს ასე ყოფილიყო, მაგრამ ეს მოსაზრება მაინც უფრო სწორი არ ჩანდა იყოს და იგი, ჩანს, არ მართლდება. მით უმეტეს, რომ არაეითარი დოკუმენტური ან სხვა რიგის წყაროს რაიმე მინიშნებაც ამის შესახებ არ გვაქვს, ხოლო სწორსაღმდეგო დოკუმენტური მინიშნებები კი აღმოჩნდა.

როგორც დაენიახეთ, 1609 წლის აპრილში ზეშთაველი ქართლშია. ამიტომ ეაღრესად სანტერესოა ამ 1609 წლის ოგნიელი ტაშისკარის ომის დროს, მონაწილეობდა თუ არა იგი ამ ომში. ოოსებ ობილელი ათქმევინებს გიორგი საკაძეს, რომ ტაშისკარის ომის დროს „ბაშინ ერთ ალად ვმარიყო, რაც ვნახე ჩემის ძმისანი"-ო. უფრო აქ, ტექსტში (ჩემის ძმისანი), გიორგის ერთ-ერთი ძმა, ქაიხოსრო ან ზეშთაველი იგულისხმება, მაგრამ ალბა გამორიცხული მისში გიორგის ორივე ძმა იგულისხმებოდეს. ძმებს გმირულად უბრძოლიათ ტაშისკარის ომში.

მაინც ყველაზე უფრო სანტერესო და საეჭვოა ვიცოდეთ, სად იმყოფებოდა ზეშთაველი 1612 წელს, გიორგი საკაძეზე, მოკვლის მიზნით თავდასხმისა და მისი სამშობლოდან იძულებით გაქცევის დროს ბიდდაპირი (ანობა) ამის შესახებ ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ ბაპაბიდაპირი მოსაცემებით მაინც შეიძლება ამის შესახებ გამოითქვას მოსაზრება.

როგორც ცნობილია, ტაშისკარის ომის შემდეგ დიდი ტრაგედია დაატყდა თავს გიორგი საკაძის მთელ ოჯახს. სრულიად ახალგაზრდა

ლუარსამ შეუმშ დიდი სიყვარულის შედეგად ცოლად შეირთო საკაძის სილამაზით სახელგანოქმული და, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ გიორგი საკაძის დაუძინებელი მტრების, მოშუნრე რეაქციონერი თავადების დაეინებითი მოთხოვნებით გაეყარა მას და დათხოვნილა საზარელ საქმეს, მოეკალი სრულიად უდანაშაულო და ქვეყნისათვის თავდადები ნამსახური გიორგი საკაძე, რის შედეგად მოეწყო ორგანიზებული თავდასხმა მასზე 1612 წელს. გიორგი საკაძემ ძლიან დაალწია თავი სიკვდილს და ასევე ოჯახთან ერთად ძლიან მოახერხა გაქცეულიყო სამშობლოდან ირანში, სადაც სახელგანოქმეული მგრი იძულებული იყო შაჰის სამსახურში შესულიყო. როგორც ცნობილია, გიორგი საკაძის იქ ჩატარებულმა ბრძოლებმა მოიღი ირანი აალაპარაკა და იგი დიდად პოპულარული მგრი კახდა.

1614 წელს სპარსელებმა ბაღდადი წაართვეს თურქებს. ამ ომში სპარსელების მხარეზე იბრძოდნენ გიორგი საკაძე და მისი ძმა, „გულსრულ მამაცი“ ზეშთაელი. ზეშთაელი ამ ომში ეგრძოლად დაიღუპა.

1615-1616 წლებში დიდი ტრაგედია დატყდა თავს კახეთს. სპარსელებმა მოიღი ალყეი აიორსეს და გაანადგურეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი გაყლატეს და ტყვედ წაიყვანეს ირანში. მალე ასეთივე ბედი გადეწყვიტა შაჰ-აბასმა ქართლს. 1619 წელს შაჰმა ბაგრატ ხანის მცირეწლოვანი შვილი სეიმონი დასვა ქართლის მეფედ, ხოლო მის მრჩეველად, ქართლის გამგებლად, გიორგი საკაძე დანიშნა. გიორგი საკაძე, როგორც ცნობილია, სპარსეთის, შაჰ-აბასის წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი დიდი ჯანყების სამზადისს შეუდგა, რისი მიზნითაც მან შემოიტანა თავისი მოსისხლისა მტრები ქართლში, ქალლის თავადები. მათ შორის ქიმხოსრო ჯავახიშვილი.

1620 წლის 15 აპრილს გაიარა გიორგი საკაძისა და ქიმხოსრო ჯავახიშვილის სადაგო საქმეები. გიორგი საკაძემ მას მრავალი ბრალდება წაუყენა, მათ შორის 1612 წელს მოკალის მიზნით თავდასხმა, აწიოკება, „უადგილოდ და ს

ასევე სასამართლოს განჩინების საბუთიდან ჩანს, რომ ზეშთაელი ამ დროს, 1620 წელს, ცოცხალი აღარ არის.

როდის უნდა დაღუპულიყო იგი? შეიძლებოდა ვარაუდის დაშვება, რომ იგი დაიღუპა გიორგი საკაძის ოჯახზე ამოწყვეტის მიზნით მოწყობილ თავდასხმის დროს, ანდა გაქცევის დროს, მაგრამ საამისო ცნობა არ გვაქვს. სამაგიეროდ გვაქვს მეორე, იოსეს თბილელის ცნობა, რითაც გიორგი საკაძის ერთ-ერთი ძმა სპარსელთა მიერ ბაღდადის აღების დროს დაიღუპა — 1614 წელს. ცხადია, გიორგის ეს ძმა სწორედ ზეშთაელი უნდა ყოფილიყო, რადგან მისი მეორე ძმა, ქაიხოსრო, 1620-იან წლებში ცოცხალია. მაშასადამე, ჩვენი აზრით, ამჟამად გარკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ 1614 წელს ბაღდადის ომში გიორგი საკაძის დაღუპული ძმა ზეშთაელი იყო.

როგორც ვხედავთ, გიორგი საკაძის აქამდე უცნობი ძმის ზეშთაელის ცხოვრების ბოლო წლები ასე წარმართულა: 1612 წელს საკაძეთა ოჯახის ამოწყვეტის მიზნით მოწყობილ ორგანიზებულ თავდასხმისას, ზეშთაელი გიორგისთან ერთად (ან ცოტა მოგვიანებით) უნდა გაქცეულიყო სპარსეთში შაჰის კარზე და მის სამსახურში შესულიყო. გმირულად უბრძოლია და დაღუპულა ბაღდადის აღების დროს 1614 წელს. იოსეს თბილელის ცნობა გიორგი საკაძის ძმის ბაღდადს დაღუპვის შესახებ აშკარად სანდო ჩანს (მით უფრო ამჟამად, რადგან იოსეს თბილელი ამ საუკუნის (XVII) მოღვაწეა და მან, უეჭველია, პირველყოფილი გიორგი საკაძის შვილს იორამის და მრავალრიცხოვანი შვილიშვილების, ასევე მისი ნათესავების და გიორგი საკაძის თანამედროვე ქართველთა გადმოცემით, კარგად იცოდა აღნიშნული ამბები. მისი დროსა საზოგადოებას, ქართველობას, კარგად ეცოდინებოდა სად და როდის დაიღუპა გიორგი საკაძის ძმები და ოჯახის წევრები, კარგად ეცოდინებოდა მათი ცხოვრებისა და ბრძოლის ეპიზოდები.

ამასთან, გიორგი საკაძის დღემდე უცნობი ძმის დოკუმენტის მიკვლევა კიდევ უფრო სანდოს ხდის იოსეს თბილელის „დიდმოურავიანის“ ცნობებს გიორგი საკაძესთან დაკავშირებულ ისტორიული პირებისა და მოვლენების (ბრძოლისა და სხვა ეპიზოდების) შესახებ საერთოდ და, კერძოდ, გიორგი საკაძის ორი ძმისა და ერთ-ერთი მათგანის, ზეშთაელის, ბაღდადის ომში (1614) დაღუპვის შესახებ.

სამშობლო ქვეყანაში შინაური ბედოვლათების, ბნელეთისმოციქული რეაქციონერების, შურიანობისა და მტრობის, უკეღმართობისა და უკანონობის შედეგად არაერთი ქართული ოჯახი ინგრეოდა და ისპობოდა, არაერთი გულმხურვალე დიდი ქართველი პატრიოტი იძულებული იყო სხვა ქვეყანაში წასულიყო ან გაქცეულიყო და იქ გაეგრძელებია ცხოვრება, უცხო ქვეყნისათვის შეეწირა სიცოცხლეც. ამ ტრაგიკულ ბედს ვერ ასცდა გიორგი საკაძის ძმაც — ზეშთაელ საკაძე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

* იგულისხმება შაჰ-აბასი.

1 ი ო ს ე ბ თ ბ ი ლ ე ლ ი, დიდმოურავიანი, გ. ლონინის რედაქციით. 1939, გვ. 27.

2 Платон Иоселиани, Жизнь Великого Моурава князя Георгия Саакадзе, Тифлис, 1848, გვ. 25.

3 ა ნ ტ ო ნ ფ უ რ ცე ლ ა ძ ე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს კასაყრთიანებლად ანუ გიორგი საკაძე და მისი დრო, თბ, 1911, გვ. 115.

4. დიდმოურავიანი, გ. ლონინის რედაქციით, გვ. XXI — XXII.

5 შ. ბ უ რ ჯ ნ ა ძ ე, ისტორიული დოკუმენტები ისტორიის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წ.წ.) ნ. I, თბ., 1959, №11.

6. დოკუმენტის გამომცემელი შ. ბურჯნაძე საფიცრის ამ წიგნს ათარიღებს 1626-1627 წლებით.

7 საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 14442; გ. ჯამბერია, გიორგი საკაძე, თბ., 1964, გვ. 26.

8 გ. ჯ ა მ ბ ე რ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 27.

9 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, 1656.

10 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd, 13179.

11 იქვე, Hd, 2283.

12 ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, IV, 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

გიორგი ავალიანი

წიგნი თავდადებასა და სიყვარულზე

მხატვრულ მწერლობაში, განსაკუთრებით კი ეპიური და დრამატიული გვარის ნაწარმოებთა შექმნისას, მწერლის თუ დრამატურგის ბუნებრივ ნიჭთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად იცნობს შემომქმედი მისი ასასახი პრობლემისათვის დამახასიათებელ რეალობას, ცხოვრების იმ მხარეს, ადამიანთა ურთიერთობის იმ სფეროს, რომელიც მან საფუძვლად უნდა დაუდოს თავის მხატვრულ ნაწარმოებებს, თვით იმ ადამიანთა ყოფაქცევის ყველა ნიუანსს, რომელთა განზოგადოებული სახეებიც მან უნდა შესთავაზოს მკითხველს. ეს პირობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მწერლის წარმატებას და მისი ქმნილების დამაჯერებლობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ზემოადნიშნული უდაო ჭეშმარიტება ნაოლად გამოვლინდა ცნობილი ლიტერატურისმცოდნისა და კრიტიკოსის გიორგი ციცაშვილის ამას წინათ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში, რომელთაც ავტორმა ნოველები უწოდა და ერთ წიგნში თავმოყრილი შესთავაზა მკითხველს „ახალ წიგნებით, „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“. წიგნი გამოსცა გამომცემლობამ „საბჭოთა საქართველომ“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნოველები ამ პროზაულ ნაწარმოებებს პირობითად-და შეიძლება ეწოდოთ; როგორც მოცულობით, ისე სიუჟეტის განვითარების ჩხრიკ, ვფიქრობთ, არც ერთი მათგანნ ნოველას არ წარმოადგენს; ისინი კარგად შეკრული და საკმაოდ ტევადი მოთხრობებია.

თვით წინათქმაც (ორიოდე სიტყვა გიორგი ხვედურელზე), მოთხრობის ფორმასა და მასშტაბს ატარებს, ოღონდ მწერალს იგი დასჭირდა წიგნში თავის მაგიერ მთხრობელი პერსონაჟის შემოსაყვანად და უნდა ითქვას, ეს შესრულებულია ოსტატურად. აქვე ვიტყვით, რომ გიორგი ხვედურელი დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გამოკლილი ქართველი ოფიცრის განზოგადოებული სახეა; ამ სახის მონუმენტურ მოლიანობაში კი დიდ ადგილს იჭერს თვით ავტორის, სამამულო ომის ვეტერანის, ჩინებული არტილერისტის, მრავალი ბრძოლის მონაწილის, მაიორ გიორგი ციცაშვილის პიროვნება და ფრონტული თავგადასავალი; ამაში ჩვენ მწერლის მიერ ფრონტზე გატარებული პერიოდისა და ოფიცრად მისი ნამსახურობის საბუთიერმა შესწავლამ დაგვარწმუნა.

ზემოთადნიშნულის გამო, პირველი, რაც გ. ციცაშვილის მოთხრობებში თავიდანვე იგრძნობა, ეს მათი დიდი დამაჯერებლობაა, ეს არის განცდა, რითაც მკითხველი მაშინვე რწმუნდება, რომ მას გულწრფელად მოუთხრობს სმპრთლეს ამ სმპრთლის კარგი მეცოდე ავტორი.

მოთხრობაში „ყველაზე დიდ ხანს ცოცხლობს იმედი“ სიუჟეტის განვითარება ისეა განხორციელებული, რომ მკითხველისათვის განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ომისწინა მშვიდობიანი ცხოვრებისა და ომის ძნელბედი დღეების დიდი კონტრასტულობა, ხოლო ამ კონტრასტულობის ნათელყოფა, ძირითადად, ქართველი ოფიცრის გიორგი ხვედურელისა და ახალგაზრდა მსახლობი ქალის ლიდა კავერინას ბედის ომთან დაკავშირებით ხდება.

მიუხედავად კონტრასტულობის დიდი სიმძაფრისა, ავტორი ახერხებს თავისი გმირი, გუშინდელი სტუდენტი ხვედურელი, რომელსაც ჯერ კიდევ ცოცხალ სუროთად უდგას თვალწინ შავი ზღვის პირას კურორტზე მოშხიბლავ ქალაშვილთან გატარებული დღეების შობეჭდილებები, დაჯერებულად, სრული მეომრული ოპტიმიზმით ჩააყენოს ფრონტის დიდ სარბიელზე მისთვის განკუთვნილ საბრძოლო რიგში.

ფრონტულ ცხოვრებაზე დაწერილ ამ მოთხრობაში, ჩვენი აზრით, ორი ძირითადი მოტივი განაპირობებს მოქმედების მთელ განვითარებას. პირველი და უმთავრესი ეს არის ომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარცეცხლში მდგარი ადამიანის მიერ სიყვარულის თავისებური განცდა და ნამდვილი, ჭეშმარიტი ყოველისშემძლე, მარადგაუხუნარი სახით წარმოდგენა ფრონტის ფონზე, სიყვარულისა, რომელსაც ყოველთვის ჭირდება იმედი და ამ იმედით აღსავსე ხვედრეული მამაცურად ებრძვის მოძალებულ ტბერს.

მოთხრობის მეორე მოტივი არის ლენინგრადის ლეგენდაროული დაცვისა და ბლოკადაში მყოფი ადამიანების ყოფა-ცხოვრების ასახვა. უნდა ითქვას, რომ ქართველ მწერალთაგან ლენინგრადის ბლოკადისათვის დამახასიათებელი სიტუაციები ისე დამაჯერებლად და თვალნათლად არვის აუსახავს, როგორც ეს მოახერხა გიორგი ციციშვილმა ამ არც თუ დიდი მოცულობის მოთხრობაში და ამ მხრივ ეს მოთხრობა რომანის ტაეფადობისა აღმოჩნდა. როგორც უკვე აღენიშნეთ, ამის მიზეზი თვით ავტორის მიერ ნაგები მწარე განცდებია; იგი ხომ ლენინგრადის ბჭის დამცველთა რიგებში იყო.

ომის ქარცეცხლიანი დღეების ფონზე მოთხრობაში კარგადაა გამოკვეთილი რამდენიმე სახე; მეზობლიტეთა ბატარეის მეთაური ქართველი ოფიცერი ხვედრეული, ამავე ბატარეის კომისარი, პოლკის მეთაური, ფრონტელი ქირურგი ბალაშოვი და სხვები. ყველა ესენი ის ადამიანებია, რომლებიც აქ, ლენინგრადის მისადგომებთან წარმოუგზავნიათ დიდი საბჭოთის სხვადასხვა კუთხიდან და რომელთა ხასიათების დიდ განსხვავებულობას აერთიანებს ერთი მტკიცე მიზანი — მტერზე გამარჯვება. ძირითადად, ამავე ფონზეა ნაჩვენები საბჭოთა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის სურათიც, რომელსაც ერთგვარ გვერგვინად თავს დგას ქართველი ვეკაცის გიორგი ხვედრეულისა და რუსი ქალიშვილის ლიდა კვეერნას სპეტაკი, იმედიანი სიყვარული. ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ის კონტრასტულობა, რომელიც წარმოქმნილია ორი პერსონაჟი ქალის — ლიდა კვეერნასა და ირინა კლიუეცის პარალელური ჩვენებით, აგრეთვე ის ოსტატურობა, რომლითაც გადმოცემულია ლენინგრადის ალყაში მოქცეული ლიდა კვეერნას ფიზიკური ფერისცვლება და გაუტეხელი ნებისყოფა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნამდვილი პატრიოტი სამშობლოსთვის ფიზიკურად შეიძლება მისხალ-მისხალ დაიფერფლოს, მაგრამ ბოლომდე შეუვალი და გაუტეხელი დარჩეს მორალურად.

მოთხრობა „შენც გეწევიო ჟამი სინანულისა“ ჯავშნოსანი მატარებლის საბრძოლო თავისებურებებსა და ამ დარგში მოსამსახურე ფრონტელთა ყოფა-ცხოვრებას ასახავს. ამ მოთხრობაშიც ყურადღებას კიდევ მეტი ინტერესით იპყრობს მწერლის მიერ ასახული ფრონტული ცხოვრების ისეთი დეტალები, რომელნიც აქამდე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში არ წარმოჩენილან. უპირველეს ყოვლისა, თვით ჯავშანო, მისი საბრძოლო დანიშნულება, ბრძოლის წარმოების თავისებურებანი, ჯავშანოზე მოსამსახურე პერსონალის ყოფა-ცხოვრების მკაფიოდ განსხვავებული ნიშნები; ყველა ეს ნიუანსები ფრონტული ცხოვრების მხატვრულ ასახვაში ქართული მწერლობის მასშტაბით, სრულიად ახალი ნათქვამია. არც ერთ მწერალს საბრძოლო ვითარების ამ დეტალებზე არა აქვს მოთხრობილი და ქართველმა ფართო მკითხველმა დღემდე თითქმის არაფერი იცოდა ჯავშნოვების საბრძოლო თვისებებზე, ტაქტიკურ დანიშნულებაზე, საცეცხლე შესაძლებლობასა და მოსამსახურე პერსონალისადმი დაყენებულ მოთხოვნებზე. ეს გარემოება, ეფექრობთ, დიდად ამაღლებს ამ მოთხრობის პრაქტიკულ მნიშვნელობასა და შემეცნებით როლს.

ახალ სიტყვას წარმოადგენს, აგრეთვე, საბრძოლო ქვეგანაყოფში ერთეული ქალების ეოფნის პრობლემა, რაც ამ მოთხრობაშია დაყენებული. დიდი სამამული ომის დროს მოქმედებენენ და ენერგიულადაც ანადგურებენენ მტერს მოლიანად ქალებისაკენ შემდგარი არა ერთი ქვეგანაყოფი და საბრძოლო ნაწილიც კი, განსაკუთრებული დანიშნულების დარგებშია, მაგალითად: მეკავშირეთა, მფრინავთა, ქიმიკოსთა, რკინიგზელთა; ქალები ჩვეულებრივ, უმრავლესობას წარმოადგენდნენ მედსანიტარებსა და ეეკაო თუ ზურგის გოსპიტლებში. ამგვარ ვითარებაში, რასაკვირველია, საკმე უფრო ადვილად მიდიოდა, მაგრამ, როცა მამაკაცთაგან შემდგარ საბრძოლო ქვეგანაყოფებში (ასეულში ან ბატალიონში) მხოლოდ ერთი ან ორი ქალი ხვდებოდა, ეს დიდ თავსატეხს უჩენდა ქვეგანაყოფის ხელმძღვანელობას. ამგვარი თავსატეხი გაუჩინა ავტორმა ჯავშანოს მეთაურს კაპიტან ბალაშოვსა და სხვა ოფიცრებს. თუ როგორ გაართვეს თავი ჯავშانოს პირად შემდგენლობაში სრულიად მოულოდნელად ორი ლამაზი ქალიშვილის გამოჩენით შექმნილ დაძაბულ ვითარებას, ამისი ოსტატური ასახვით, ავტორმა მკითხველის წინაშე დააყენა საინტერესო პრობლემა, რომელიც არც ერთ ქართველ მწერალს აქამდე ამ კუთხით არ დაენახავს და არ აუსახავს.

მოთხრობის ცენტრალური გმირი მარინა ნელიდოვაა, მამაცი, მორალურად თავაზიანი, მტკიცე ნებისყოფისა და მომხიბლავი გარეგნობის ქალიშვილი. ბუნებრივია, რომ მოთხრობის ყველაზე საინტერესო სიტუაციები სწორედ ნელიდოვას ირგვლივ იყრის თავს. მასვე ეკუთვნის მოთხრობის სათაურად აღებული სიტყვების კონტექსტი „შენც გეწევიო ჟამი სინანულისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერ-ფრონტის წინა ხაზზე მომქმედი ჯავშნოსანი მატარებლის მებრძოლებს, რომელთაც უკვე რა ხანია-მდგომი თვალთაგან არ უნახავთ, მოულოდნელად გამოეცხადება ბათს ქვეგანაყოფში სამსახურის გასავლელად მოვლინებული ორი მომხიბლავი ქალიშვილი — სერჟანტი ნელადოვა და რიგითი მებრძოლი ვერმეევა. შესაფერი საჯარისო წესრიგით აწყობილი ჯავშნოსანი პირადი შემადგენლობა მაშინვე აფორიაქებს ამ მოვლენამ. მოკიყვანთან შექმნილი ვითარების ამსახველი რამდენიმე დეტალი მოთხრობის ტექსტიდან: ჯავშნოსნს წინ მოედგაზე მეთაურებს ასეთი სურათი გადაეშლათ: „ყველას, ვინც კი მორიგეობიდან თავისუფალი იყო, აქ მოეყარა თავი. უფრო შორს მყოფნი თითის წვერებზე დგებოდნენ, წინ მდგომ ამხანაგებს მხრებზე ეკრანბობდნენ, რათა რაკლში მოქცეული ქალები დაენახათ, ისმოდა სიცილ-ხარხარი და შეძახილები"[1].

ჯავშნოს მეთაურის კაპიტან ბალაშოვის რეაქცია, მის ქვეგანაყოფში ქალების გამოგზავნის გამო პირველსავე წუთებში: „—ხედავ, როგორ დასვეიან? — თქვა გულშემოყრილმა მეთაურმა და კიდევ გადაადუღრუნა. — ჯავშნო და ვემი ერთია, აქ ქალი როგორ შეიძლება! წადი ახლა და უყარეული მაგათ... აი ნახავ, ამ ბიჭებს სულ დამგიჟიანებენ"[2].

ჯავშნოს კომისრის აზრი ამაევე შემთხვევის გამო: „— შეიძლება ას მგელნი ორი ცხვარი ეიერიო? — ჰიოოდა კომისარი, — ცხვრები ჯანაბას, მგლები დაუპნენ ერთმანეთს"[3].

ჯავშნოს მებრძოლთა მეთაურებისადმი მოპყრობაში მკვეთრი ცვლილების საფრთხე: „სხვა დროს, მეთაურთა გამოჩენისას, ყველა მებრძოლი ჩვენსკენ შემობრუნდებოდა, ... სამხედრო სალამს გაამეორებდა და გაჩერებული იდგა. ახლა კი თქვენენ არ მომიკვდეთ, ვითომდაც ვერ დაგვინახეს. ყველას თვალი და ყური იქით იყო მიპყრობილი, სადაც მებრძოლთა ალყაში მოქცეული ორი გოგონა ამეზარ მებრძოლთა ორაზროვან შეხუმრებებს ენამწარედ აგერიებდა. სიცილ-ხარხარი არც ჩვენი მისვლის შემდეგ შემწყდარა"[4].

სურათი ნათელია; ჯავშნოს პირად შემადგენლობაში სამხედრო დისციპლინის მდგომარეობა საფრთხის ქვეშ დაიყენა ორი ქალიშვილის მოსვლამ და შეიქმნა აუცილებლობა, ეს ორი მდედრობითი სქესის მებრძოლი ქვეგანაყოფის საბრძოლო ორგანიზაციაში უმტკივნეულოდ ჩამყნობილიყო, რაც შესანშნავად მოხერხდა და ეს სამმა პირობამ უზრუნველჰყო ძირითადად: პირველი — მეთაურის, კაპიტან ბალაშოვის ნებისყოფის სიმტკიცე და შეუვალობა, მეთაურისათვის საპირო ბინი თვისებები, წესრიგის მოყვარეობა; მეორე — თვით ქალიშვილებს, ნელადოვასა და ვერმეევას მორალური სიწმინდე, მტკიცე ნებისყოფა, თავისი მისიისა და დანიშნულების მტკიცე შეგნება; მესამე — ნელადოვას და ვერმეევას სამსახურებრივი მდგომარეობა ჯავშნოსნეს: ქალიშვილებს ჯავშნოს საბრძოლო წარმატებისათვის ძალზე აუცილებელი სპეციალობა აქვთ, ზედმეწევნით კარგად იციან თავისი საქმე და ამ სპეციალობის დიდი ერგოგულნი არიან, ამასთან მამაცობით და მოსაზრებულობით პირველსავე ბრძოლაში საფოველლოთ პატივისცემა და მეთაურების ნდობა დაიმსახურეს. ახლა ვნახოთ, როგორია ამ ქალიშვილებისადმი დამოკიდებულება ჯავშნოსნის მებრძოლთა მხრივ რამდენიმე ხნის შემდეგ: „ჯავშნოს ტალიკტალეკი ბიჭები ომის ქარცეცხლში დაეფაკეცებული და დადინჯებული, იმნაირი ორთოდოქსი შეხდადგნენ ხოლმე სამეთაურო ბაკანს, რომელსაც ნელადოვა-ვერმეევას მოსვლის შემდეგ „ქალთა ბაკანი" შეარქვეს, გეგონება, იქ მარიან ღვთისმშობელი მდგარიყოს, უკვდავების წალითი ხელში"[5].

არ გამართლდა მეთაურების შიში. ქალიშვილები ორგანულად შეერწყნენ საბრძოლო ორგანიზმს; ხელი კი არ შეუშალეს დისციპლინისა და ორგანიზებულობის მხრივ მებრძოლ კოლექტივს, არამედ დიდადაც განაპირობეს მისი შემდგომი საბრძოლო წარმატებები.

სიყვარულის მოტივი ამ მოთხრობაშიც საკრძნობია და მნიშვნელოვანი. მართალია, მთელი თხრობის მანძილზე მეიხეული კარგად ვერ ერკვევა იმაში, თუ ვის ვინ უყვარს. ავტორი ნიღაბს ბზოლად თხრობის დასასრულს ხდის ბანამდე შენიღბულ ინტიმურობას: ნაბოლოო ანგარიშში, მოთხრობა ამ ხრიკი იმას გვეუბნება, რომ ეკშშპარტი სიყვარული შეიძლება ყოველ ასაკში გამოცოცხლდეს და მას ვერ აფერხებს ასაკობრივი განსხვავებულობა; ასეთმა სიყვარულმა შეიძლება ნაგვემი და უტიფრების განცდებით ჩანაკრული გულიც კი ახალი ძალით აფეთქოს, ხელახლა გასაშლელად გაამზადოს, როგორიც იყო ფაშისტების მიერ ცოლ-

---

[1] გ. ციცინაძე, ნოველები, თბილისი, 1975 წ. გვ. 85.
[2] იქვე, გვ. 85.
[3] იქვე, გვ. 85.
[4] გ. ციცინაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 85.
[5] იქვე, გვ. 88.

შეილ ამოწყვეტილი ბალაშოვის გული, მარინა ნელიდოვას სიყვარულით რომ გამოცოცხლება თანდათან და მისდა უნებურად.

მოთხრობაში ღრმად დასამახსოვრებელ სახეებად არიან გამოკვეთილი მარინა ნელიდოვა, კაპიტანი ბალაშოვი, პოლიტხელი სტეპანოვი, ზემდგომ შუტენკო. მათთან ყველგან და ყოველ სიტუაციაში მონაწილეობს ჯავშანოს მეთოფილი მოადგილე, ქართველი ოფიცერი ხვედურელი. ეს ადამიანები, ისევე, როგორც წინა მოთხრობის გმირები, სამშობლოს დაცვის წმიდა მოვალეობას შეუსრულია ერთ საბრძოლო ერთეულად, რასაც ჯავშნიანინ მატარებელი წარმოადგენს და მათს ყოველ ნაბიჯს, ყოველ საბრძოლო ეპიზოდსა თუ თავდადების ფაქტს საბჭოთა მოძმე ერების მტაცეც საბრძოლო თანამგზავრობრა განაპირობებს.

მოთხრობა „ალმა ჩრდილოეთში“ რაიმე მძაფრი საბრძოლო სიტუაციებითა და თავდადების გამომხატველი ეპიზოდებით არ ხასიათდება, მაგრამ მხეცრული ცხოვრების ზედმეწევნით კარგად მცოდნე ავტორი მარჯვედ ახერხებს საინტერესო ტიპების გამოკვეთას მძაფრი საბრძოლო ეპიზოდების გარეშეც. ამ ტიპიერ სახეებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინტეგნდანტი მაიორი ბუშნეკი, როგორი ჯარისკაცი სელიანოვი, პოლიტხელი უფროსი ლეიტენანტი ბასოვი, გენერლები პუდოკვინი და ხიენაკაკ. კითხულობთ მოთხრობას და ეს სახეები ისე წარმოგიდგებათ თვალწინ, როგორც მრავალზოს ნანახი და ნაცნობი. დიდი ინტერესით აღვიქვამთ მხეცოვანი ჯარისკაცის სელიანოვის თავგადასავალს, როგორც რუსი ხალხის ბუნებისა და ხასიათის გამოხატულებას. სელიანოვის გულწრფელ მზრუნველობას, ჭეშმარიტად მამაშვილურ სიყვარულს თავისი მეთაურისადმი, ხნით მასზე ბევრად ახალგაზრდა ქართველი ოფიცერის ხვედურელისადმი, ემოციურად განიცდის მკითხველი.

მოთხრობა „ეჭვი“ სათავგადასაკლო ხასიათს ატარებს. მართალია, პირველ პლანზე აქ წამოწეულია ხვედურელისა და ექიმი ქალის თამარ ბელიაევას სასიყვარულო განცდები და მათთან დაკავშირებული სიტუაციები, მაინც ამ სამაოდ ვრცელ მოთხრობაში რამდენიმე კარგად გამოკვეთილი ქალი პერსონაჟის მიმზიდველი სახეა მოცემული, ტანზე მაზარა რომ ჩაუცვამს და სამშობლოს დამცველ მეომართა რიგებში რომ ჩამდგარა. უნდა ითქვას, რომ თამარა ბელიაევას ხასიათს ბევრი რამ აქვს მსგავსი ლიდა კაკერინას მხატვრულ სახესთან; შესაძლებელია, მათი სახეების შექმნისას მწერალს თვალწინ ერთი და იგივე პროტოტიპის არსებული ედგა.

მეტად საინტერესო სახეებია შექმნილი მოთხრობაში „სანტიმენტალური შემთხვევა“. სამხედრო ექიმი კაპტანი დმიტრიევი, უფროსი ლეიტენანტი პანოვი, ლეიტენანტი ჩერნინი, უმცროსი ლეიტენანტი პერეასლავცევი — სრულიად სხვადასხვა ხასიათისა და მიდრეკილებისა ეს ადამიანები ერთად ალებულნი, სახელოვან ფრონტულ ოფიცრობას შთამპეჭდავად წარმოგვიდგენენ; ამასთან მათი ურთიერთ მეგობრული დამოკიდებულება, ყოველდღიურ საველე პირობებსა თუ მძაფრი ბრძოლის ვითარებაში გამოვლენილი, დამაჯერებლად გვიხატავს საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ხალხთა მტაცეე საბრძოლო მონოლითურობისა და ერთსულოვნების დიდ სურათს.

მოთხრობა „ამბავი ფერისცვალებისა“ წიგნში ერთადერთია, რომლის ცენტრალურ გმირს თვით ხვედურელი წარმოადგენს. ამასთან, ეს მოთხრობა ყველაზე უფრო დატვირთულია საბრძოლო ეპიზოდებით, სისტხლმფრეული შეტაკებებისა და მძიმე ფრონტული სურათების ილუსტრაციით. ამ მოთხრობაში პოდპოლკოვნიკ იახონტოვისა და მისი მფარველი გენერალ ევფიროფენის სახით ნაჩვენებია, რომ დიდი სამამული ომის ფრონტებზეც, არაიშვიათად, დიდ თანამდებობებს იკავებენ ისეთი უსულგულო და უნიჭო ადამიანები, რომელნიც სრულიადაც არ იყვნენ ღირსნი საბრძოლო ვითარებაში ხელმძღვანელის, მეთაურის პოსტი სჭეროდათ და ადამიანებს ბედი განეგოთ.

ვრცელი მოთხრობა „ირიფანა, ანუ სასაცილო მამაკაცები“ ერთი შეხედვით მკითხველს დეკამერონულ ხასიათის სახალისო ამბების კრებულად მოეჩვენება, მაგრამ თუ ღრმად ჩავეკვირდებიან მასში მოცემულ სიტუაციებს, მხატვრულ სახეებს, ფრონტელი ადამიანების ურთიერთობის მრავალ საინტერესო და დამაჯერებელ სურათს, ეს მოთხრობაც ღრმად რეალისტური ნაწარმოებია, რომელიც ინტიმური ფუქტურობით ვეტაცებს, ხოლო ცხოვრებისეული სიმართლის წარმოჩენით გვასწავლის ადამიანთა ხასიათების ბევრ ჩვენთვის უცნობ დეტალს.

წიგნში თავმოყრილ ყველა მოთხრობას ახასიათებს კომპოზიციურად მწყობრი სისტემა, შექმნილია საოცრად ნათელი სიუჟეტები; სწორედ ნათელი და არაჩვეულებრივი შემთხვევაში პრიმიტიული. სიუჟეტებს ამშვენებს მეტად შინაარსიანი ექსპოზიციები, რომელთა საინტერესოდ გამოკვეთაში შესაბამ ოსტატობას იჩენს ავტორი.

ვ. ციციშვილის მოთხრობებში წარმოდგენილია მრავალი პერსონაჟი, რომელთა უმრავლესობის მხატვრული სახეები დიდი რეალისტური ხედვითაა შენიშნული და აღბეჭდილი, ბევრი მათგანი ტიპიური და მტაცედ მკვიდრდება მკითხველის მეხსიერებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს უფლებას მივცემთ და აღვნიშნავთ, რომ გიორგი ციციშვილის სახით ჩვენს მხატვრულ მწერლობაში გამორჩება ავტორი, რომელმაც სულ სხვა შუქით წარმოაჩინა ომის არსი და ომის მონაწილე ადამიანების ურთიერთობა. ჩვენში ომის თემაზე არც თუ ცოტა დაწერილა პროზაული ქმნილებანი; მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ომის ვეტერან მხედართმთავრებსა, პარტიზანებსა და ჟურნალისტებს ეკუთვნის; ამ კატეგორიის კალმოსანთა წიგნებში ომის თემაზე წარმოდგენილი მასალები დოკუმენტური უტყუარობით გამოირჩევა, მაგრამ მათ მხატვრული ქმნილებების პრეტენზია არა აქვთ. მწერალთა მეორე ნაწილი, რომელსაც მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს გაწეული ომის თემის მხატვრულ გაშუქებაში, მართალია, მხატვრის უნარს ფლობს, მაგრამ ან ნაკლებად იცნობს ფრონტული ცხოვრების საიდუმლოებებს, ან კიდევ, იცნობს მას რიგითი ჯარისკაცის თვალსაწიერით. გ. ციციშვილი ფრონტს იცნობს ფრონტელი, ვეტერანი ოფიცრის ცოდნით, ოფიცრისა, რომელსაც მნიშვნელოვანი სამეთაურო, თუ საშტაბო თანამდებობები სჭერია ომის ქარცეცხლში. ამიტომ ფრონტულ ვითარებებს ჯარისკაცის თვალით კი არ ზომავს, არამედ ამ ვითარებათა კარგი მცოდნე, მათი მიზეზობრივ-შედეგობრივ დიალექტიკაში კარგად გაეთითცნობიერებული და ჩინებული მხატვრის ნიჭით აღჭურვილი მწერალი. ამან განაპირობა მისი მოთხრობების უეცლობოდ დიდი დამაჯერებლობა და მიმზიდველობა.

სამხედრო ხასიათის თემაზე მომუშავე ქართველი მწერლის წინაშე თავს იჩენს ერთი სირთულე, რაც საჯარისო ტერმინების გამოყენების აუცილებლობასთანაა დაკავშირებული, ხოლო ეს ტერმინები ხშირ შემთხვევაში ქართულად არა გვაქვს. გ. ციციშვილმა ამ სირთულესაც შესანიშნავად გაართვა თავი და ამ მხრივ მისი წიგნი პირდაპირ სახელმძღვანელოდ გამოადგება ავტორს, რომელსაც ამგვარ სირთულესთან ექნება საქმე. სხვა მხრივაც აღნიშნული მოთხრობების ენა უზადოა, გამოირჩევა ძალდაუტანებლობითა და ძარღვიანი ქართულის სილალეით.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სინანული ომის გამო, რომ გ. ციციშვილს მოთხრობებში, გარდა ხეფღურელისა, არსად გვხვდება ქართველი მეომრის სახე, მაგრამ ვიმედოვნებთ, ავტორი ამით არ დაუსვამს წერტილს თავის მხატვრულ შემოქმედებას და აღნიშნულ ნაკლს აგვანაზღაურებს მომავალში.

გიორგი ციციშვილის წიგნი „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“, თანამედროვე ჩვენ მწერლობის, კერძოდ, მხატვრული პროზის მნიშვნელოვანი შენაძენია და თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს ჩვენი მკითხველის წიგნის თაროზე, როგორც ცხოვრებისეული სიმართლით აღსავსე მოთხრობების კრებული.

ჯანსუღ ღვინჯილია

„მაისის მიწა“

გადაგიწინდრავ წარსულის ლერწს აწმყოში,
რათა შენს ზვრებში ანათებდეს მწიფე
ყურძნის ნათელი და ზეიმობდეს
მამულის მოზღვავებული დღეასაწაული. —

ეს სტრიქონი ავტორის ხასიათსაც გვაცნობს, პიროვნებას დაგვანახვებს.

ავთანდილ ხარაიშვილის ლექსების კრებულში „მაისის მიწა“, უპირველეს ყოვლისა, თავის ქვეყანაზე ბავშვური სიწრფელით შეყვარებული კაცი დაინახავს. როგორიც არ უნდა იყოს ლექსი, სუსტი თუ კარგი, ბოლომდე გამართული თუ დაუხვეწავი, ყველგან მაინც ამ სტრიქონების შუქი დგას და ეს ნიშანი არის ღირსი ცალკე საუბრისა. იმგიამად როდი იცვლება ქართულ ლექსში ქვეყნის ნამდვილი სიყვარული ილუზიით, წელში გამოყვანილი პატრიოტიზმით. ასეთ ლექსებში სიტყვაც უკეთ მოუტრიალებიათ ოსტატობის წყალობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალი კუთხეც ორიგინალური შეურჩეიათ, მაგრამ ვერა და ვერ დაუფარავთ სიმწარეს, ლის დაშრეტილი კალამტი, რომელიც თავისი სიცარიელით საფარის ფუძ ბრეშეკილებს გვეუბნ ხელს. მით უმეტეს საცნაური გახდა მათი სინაკლეც, რაკი თანამედროვე ქართულმა პოეზიამ საშობლოს ახლებური განცდის გამომხატველი დიდებული სტრიქონები დაიგროვა.

ამ გაუბზარავის, ნაღდის კვალში დგება ავთანდილ ხარაიშვილი თავის პოეტური მიამიტობით აღბეჭდილი გრძნობით. ეს არის მისი წიგნის მთავარი სხვი. მშვენივრად. შთამბეჭდავად იტყვის ზოგჯერ:

ვდგავარ ლოდინით
ძალგადამტკდარ ხესთან,
როცა ილვიძებს
ფერფლში ფენიქსი,

ჯვარი გწერიათ
ჯვარო და მცხეთავ,
ჩემი წარსულის
გადარჩენისთვის.

უფრო ღონივრად არის თქმული:

შევალ ვარძიას,
როგორც კლდისმთლელი:
მიწაში სულ სხვა
საჭართველოა!

ავთანდილ ხარაიშვილის წიგნს ადვილად ემჩნევა ერთი რამ: არ იძლევა საშუალებას კარგი ლექსები სუსტებისაგან გამოჰყო. ერთმანეთის გვერდით ყოველ ლექსში მონაცვლეობს შუქ-ჩრდილი. ავტორს ნამდვილი განცდა — ხალასი და შეუნღობავი „გადასაგდებად“ ვერ გაუწყვეტია, მიუხედავად იმისა, რომ შესაფერისად ვერ გამოუთქვამს. ამიტომაც კარგი სტრიქონებს გვერდით სუსტი და გაუმართავიც დაუტოვებია. ასეა ლექსების ემრავალსობაში. ამ მხრივაც საინტერესო ავტორია ავთანდილ ხარაიშვილი.

მაგრამ მისი პოეტური დაოსტატების გზა ერთ არსებით წინააღმდეგობას შეიცავს და ამაზე დაფიქრება ღირს.

როდესაც ვაწყდებით სტრიქონებს:

ყრუ ბინდზე ჩუმად
ტივტივებს ქორი.

ან ასეთს:

ეკლის სიმწრით მაქვს ამოვსებული
ფეხისგულები.

ან კიდევ ასეთს:

ივსება სახლი ლეგენდებით, მფრინავ მითებით —

უნებლიერად გეუფლებათ სიხარული, იმედის შუქით ივსებით. ასეთი სტრიქონები მიგვანიშნებს სავარაუდებელ, ჯერ კიდევ დღის სინათლეზე ამოუტანელ პოეტურ მარაგზე, უნარზე თანამედროვე ლექსის სტანდარტულ დონეზე აღიქვას ავტორმა ქვეყანა და სწორედ ამ უნარის შემჩნევის შემდგომ ჩნდება შეურიგებლობის გრძნობა იმ დაუდევრობის წილ, რომელიც ასე აღარიბებს ზოგჯერ ლექსის მხატვრულ ქსოვილს:

თეთრი სუდარით შესუდრული
ღრმა ხეობაში ჩაძირულიყო ძველი ძირული.
მუმიასავით ფერმიხდილი,
გადანაცრული,
მიფერფლილ სახით, —
თეთრ მარმარილოს ქანდაკებად ერთო ძირული.

ვფიქრობ, ძნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს ხელოვნური განმეორებების სიუხვეში.

ძნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს უზუსტო პოეტური სახის შინაარსი.

დგას იანვარი და ხარხარებს ელამ თვალებით.

გაცვეთილია:

მუხის ხიდიდან იხედება უდარდელი
ბავშვობა ჩემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვილი შესამჩნევია აგრეთვე ავთანდილ ხარაიშვილის ლექსებში ორი გზა. ერთის მხრივ მეტისმეტად გამარტივებული სტილი, როდესაც გრძნობთ სადღაც ახლოს ჩასაფრებულ პრიმიტივიზმის სუნთქვას:

ქართველებს გული მოსდგამდა
ვახტანგ გორგასლის გვარისა...
რაც იყო მორჩა,
მოთავდა...
დროის მდინარემ დანისლა.

მეორეს მხრივ — თეთრი და თავისუფალი ლექსის გამოყენების ცდები. თავისუფალ ლექსში პოეტი უფრო სტატიკური სურათების აღწერის ხერხს მიმართავს და ზოგჯერ საკმაო ოსტატობით გადმოსცემს სათქმელს. რამდენიმე სტრიქონი კიდეც მოვიტანე ნიმუშად ზემოთ, მაგრამ თავისუფალ ლექსში ქოტურობის საფრთხე იგრძნობა. მაგალითად, პირველ ლექსში „ახალგაზრდული“ აშკარაა სათქმელის თავმოუყრელობის შეგრძნება. ავტორს სურს მოიცვას მრავალი საკითხი, ახალგაზრდობის ცხოვრების ფართო პანორამა მოაქციოს პოეტური აზრის ქვეშ, მაგრამ სტრიქონები უფრო მექანიკურ კავშირს გვიმყარებენ, ვიდრე ორგანულს.

ამ ორი არსებითი ნაკლის დაძლევის შემდეგ მკითხველისათვის სამივე ფორმა ძვირფასი იქნება ავთანდილ ხარაიშვილის ხალასი პოეტური სულისკვეთება უფრო ადვილად გაიკაფავს ჩისკენ გზას.

იაკობ გალახაშვილი

ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

გზა თბილისიდან წინანდლამდე

ალექსანდრე ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 1833 წლის 15 იანვრიდან იმავე წლის 8 სექტემბრამდე პატიმრობაში იმყოფებოდა. 16 ნოემბერს ტამბოვში, გადასახლებაში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ მან წინანდლის სახლისა და მამულის მისახედად დრო ითხოვა. თხოვნა შეიწყნარეს, წინანდალში წასვლის ნება დართეს და თბილისიდან ისაუელ ვასილ გრუდაევი გააყოლეს, რომელსაც ეკალეზოდა პოეტის ყოველი ნაბიჯის აღნუსხვა.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება შავი ზღვის კაზკაკა ჯარის ოფიცრის, ისაუელ ვასილ გრუდაევის მიერ საქართველოს მთავარმართებელ, ბარონ გრიგოლ ვლადიმერის ძე როზენისადმი რუსულად დაწერილი რაპორტები.

ჩვენამდე მოაღწია ვასილ გრუდაევის ცამეტმა მოხსენებითმა ბარათმა, რომელშიაც ჯდომოცემულია, თუ რას აკეთებდა ა. ჭავჭავაძე 1833 წლის 9 სექტემბრიდან იმ დრამდე, ვიდრე წინანდლიდან თბილისში დაბრუნდებოდა.

ვასილ გრუდაევის რაპორტების საკმაოდ ვრცელი ანოტაცია 1957 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნა პროფესორმა ს. ხუციშვილმა.

გავეცნოთ ამ რაპორტებს ხსენებული პუბლიკაციის მიხედვით.

ისაუელ ვ. გრუდაევს „წინანდალში ჰყოლია მზვერავები, ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აგენტები, რომელნიც უხიზლად ადევნებდნენ თვალს ალ. ჭავჭავაძის ყოველ ქცევას და ისაუელს აუწყებდნენ: ვის დაელაპარაკა, სად წავიდა, ვისთან მივიდა, ვასთან ვინ იყო, რამდენ ხანს დარჩა და სხვა ყველა წვრილმანი, რაც მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ადამიანს შეემთხვეოდა“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე თბილისიდან წინანდლისაკენ ავადმყოფ დედასთან — მარიამ (მაია) იესეს ასულთან ერთად გამომგზავრებელა 1833 წლის ცხრა სექტემბერს, დილის 5 საათზე, ვ. გრუდაევი წერს:

„ღამე გავათიეთ ჭავჭავაძის საკუთარ თათრების სოფელში, რომელსაც (მუღანლო) ეწოდება და ტფილისიდან 30 ვერსით არის დაშორებული და დედამისის სულტი ჯანმრთელობის გამო ნება ითხოვა ნელა გვეკლო, რადგან არ უნდოდა დედისათვის თავი დაენებებინა.

მეცხოვრენი იმ სოფლისა, რომელშიც ღამის გათევა მოგვიხდა, მთელი ოჯახობით, გარდა ქალთა სქესისა, რომელსაც ალბათ აზიური წესის მიხედვით არ შეეძლია სახლიდან გამოვიდეს, სიხარულის ცრემლით, პატივითა, მარილით და სხვადასხვა ხილეულით შეგვხვდნენ და ამბიერად გაწყობილი სუფრით გვგვიმასპინძლდნენ“.

იმავე საღამოს მეღანლოში ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ორი პიროვნება მისულა.

პროფესორი ს. ხუციშვილი, აღნიშნავს: „ა. ჭავჭავაძესთან ვიზიტით ჭაბოცხადებულ ვინმე ყორღანოვი და ვაზოვი, რომელთაც ალბათ დავალებული ჰქონდათ მისთვის გზაგზა თვალყურის დევნება“.

პატივცემელი მკვლევარის ვარაუდი მართებულია. „ვინმე ყორღანოვი“ ცნობილი პროფაკატორი და ჯაშუში ივანე იოსეფის ძე ყორღანოვი.

„იმათ, — აგრძელებს თავის მოხსენებას ვ. გრუდაევი, — ალექსანდრე ჭავჭავაძე შესჩიოდა, მკაცრი პატიმრობა მაქვსო, და თქვა: იმდენი დანაშაული არ არსებობს, რამდენიც დასჯილიაო და ამას რუსულ ენაზე ლაპარაკობდა“.

10 სექტემბერს გზა გაუგრძელეთიათ. ა. ჭაჭავაძე ძლიერ ცუდ ხასიათზე ყოფილა.

„თავადი მთელ გზაზე მოწყენილთა და უხალისოდ იყო და ამბობდა, რომ სოფელში მის-

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 3, 4 ,5, 6, 7, 8.

ვლისთანავე თავს მოიავადმყოფებს და არავის არ მიიღებს, მხოლოდ სამეფონეო საქმეებს განაგებს. როცა მე ვეუბარ, რომ მას შეუძლია მიიღოს ის ადამიანები, რომელნიც მას გამოადგება და დასჭირდება სამეფონეო საქმეებისათვის, მან მითხრა: ვეს რა მიღება იქნება, როცა ჩეტერსის კოგორტით ვარ შემორტყ�ulnoma.

ამ გამოთქმას ვასილ გრუდაევი შენიშნავნა ასე განმარტავს: „ჩემის გაგებით — ნაპოლეონს ნაიდუმლო პოლიციითა“.

შემოდგომა უკვე თვის უფლებაში იყო და ამის გამო, მეზობლებს გადაუვლიათ არა გუბერნისა და შუამთაზე, არამედ მელაან-ჩალაუბნის ხეებზე და იმ დღის საღამოს ბაკურციხესთან დაფლამებიათ.

ღამე გაუთენეიათ „ბაკურციხის საბრძოლთან, ერთი გლეხის კალოზე. იქ ბვიან მეედითი და დილით ადრე გამოვემგზავრეთ, ისე რომ ჩვენთან არავინ არ მოსულა“.

შიდა კახეთის სოფლებშიც ალექსანდრე ჭავჭავაძე და დედამისს კახელები დიდის სიხარულთან და პატივისცემებით ეგებმდნენ თურმე.

„ბზსნპირა სოფლის მცხოვრებნი, მოხუცები გამოდიოდნენ სიხარულითა და ჰერის მაგერ მოკქონდათ ნაინნაირი ხილი და თხოვდნენ მიეღოთ ნიშნად მათი ერთგულებისა და თავდადებისა“.

იმ დღეს, 11 სექტემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძის სოფელ მუკუზანში უსადილიათ. მეზობლებს შეჰგებებიან პრაპორიეი კონსტანტინე შერვაშიძე და პორუჩიკები — რომან და გულბაათ ჭავჭავაძეები. აგრეთვე აზნაურება, გლეხები და სხვ.

„ბოლოს მივედით სოფელ წინანდალში, ესევე დღის საღამოს 6 საათზე, ხსენებული თავადების თანხლებით, სადაც სასახლეში შეეგებილი ჭავჭავაძის ნათესავები, რომელნიც წინანდალში ცხოვრობენ, გლეხები და სოფლის მოყვანილ არაჩვეულებრივი სიხარულით შეხვდნენ“:

იასაულ ვასილ გრუდაევის სიტყვით, ა. ჭავჭავაძეს იქაურ მცხოვრებლებზე მეტად დიდი გავლენა ჰქონია „ხალხს მისი პატივისცემა და სიყვარული გამოუსატავს“.

წინანდლის მცხოვრებნი—პორუჩიკები: რომან და გულბაათ ჭავჭავაძეები, აგრეთვე კონსტანტინე შერვაშიძე, თადია ხოლოყაშვილი, დმიტრი ფალავანდიშვილი და აზნაური კოზმანაშვილი იმავე საღამოს მისულან ა. ჭავჭავაძესთან და მასთან დიდხანს უსაუბრიათ.

11 სექტემბერსვე ჭავჭავაძესთან მოსულა ნათესავი პოდპორუჩიკი, ეგორ თედორეს-ძე ახვერდოვი.

12 სექტემბერს — სასახლიდან გამოსულ შტაბს კაპიტანი ჯანდიერი. გამოცხადებულა აგრეთვე ეანდარმთა კორპუსის კაპიტანი სლიკო. ალექსანდრესთან იმყოფებოდა აგრეთვე ექიმი პრეიალოგესი.

13 სექტემბერს, ეანდარმთა კორპუსს მაიორს კაზასს თელავიდან ა. ჭავჭავაძის თვალყურის სადევნებლად, ვასილ გრუდაევის დაუბარავედ კიდევ ერთი აგენტი ვამოუგზავნია.

13 სექტემბერს. ა. ჭავჭავაძესთან სტუმრად ყოფილან: სამსახურიდან გამოსული მაიორი ავალიშვილი, ნიეკეროოდის დრაგუნთა პოლკის პორუჩიკი არსენიევი, პრაპორჩიკი ავალიშვილი და იუნკერი ერისთავი.

პროფესორი ს. ხუციშვილი წერს:

„ ა. ჭავჭავაძეს „14 სექტემბერს ალავერდობას, დღეობაში გაუგზავნია პორუჩიკი რომან ჭავჭავაძე, რომელსაც ალექსანდრეს ნაცნობ-ნათესავებისათვის უნდა გადაეკა, რომ იგი ავადაა და არავის არ მიიღებს. მართლაც, ალავერდიდან გამობრუნებულთაგან ალექსანდრესთან წინანდალში არავინ არ მოსულა. ეტყობა ალექსანდრემ თავი განგება მოიავადმყოფა, რათა იმ მდგომარეობაში მყოფი არავის ენახა, რაც იასაულ გრუდაევისა და მისი აგენტების ინტერესს გაალვიებდა“.

15 სექტემბერს ა. ჭავჭავაძესთან ყოფილან: კაპიტანი ჯანდიერი, თავადი ქობულაშვილი, შერვაშიძე და ავალიშვილი. მოსულა ეანდარმთა კორპუსის მაიორი კაზასი, რომელიც დრო და დრო დახედავდა ხოლმე ალ. ჭავჭავაძეს.

იმავე დღეს — 15 სექტემბერს გრუდაევის გაფრთხილების მიუხედავად, ალექსანდრე ჭავჭავაძე წინანდლიდან სამოიდე ეერსტით დაცლილი წყალსადენის გაფუჭებული სათავის სანახავად წასულა.

17-18 და 19 სექტემბერს ა. ჭავჭავაძესთან „არავინ ყოფილა, გარდა ეელისცხელი ეკაჩის მარტიროს ტერტერაშვილისა, რომელსაც თურმე წინანდალში „დიდი კაპიტალისტის“ სახელი ჰქონია გავარდნილი. იგი სამ დღეს დარჩენილა ალექსანდრე ჭავჭავაძისას და საკრედიტო ანგარიშებს აწარმოებდა. თვით ალექსანდრე, სამეფონეო საქმეებით ყოფილა დაკავებული“.

მასთან სახლში იმყოფებოდნენ: დმიტრი ფალავანდიშვილი და ექიმი პრეიალოგესკი. ყოფილან ახალგაზრდა ოფიცერები და სახლში წასულან, დარჩენილა მხოლოდ რომან ჭავჭავაძე.

21 და 22 სექტემბერს ა. ჭავჭავაძე წინანდლიდან სანადირეოდ წასულა, რასაც ვასილ გრუდაევი ძალზე აღუფფოთებია.

21 სექტემბერს ალექსანდრესთან სტუმრად მოსულა ზაალ ვახვახიშვილი, 22-ში ლევან ჭავჭავაძე, 23-ში ქართელი გრენადერთა პოლკის პორუჩიკი ლუკოსკი და პრაპორჩიკი ურუსოვი.

24-28 სექტემბრის განმავლობაში ჭავჭავაძესთან ყოფილან: დმიტრი ფალავანდიშვილი,

ივანე ჯანდიერი, ექიმი პრეიალოგესი და პოლუბიაკი ურუსოი.

22 სექტემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლეს სალომე ივანეს ასულ ორბელიანს, შვილქალი მესაე ქალი — სოფია.

„28 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე არაფერი მომხდარა. მაიორ ავალიშვილისა და ერთი სომხის გარდა ჭავჭავაძესთან არავინ მოსულა და არც თვით წასულა სადმ. სახლში მასთან არიან ჯანდიერი და პრეიალოგესი.

ურუსოი 5 ოქტომბერს გამგზავრებული წინანდლიდან“.

ის სომეხი ყოფილა ეფარი ვინმე ბაღდასარ მუხარეული, სპარსელთა ჩაკეული. ბაიაზეთის სომეხთაგანი, გადმოსახლებული ერევანში ოლქში, „საიდანაც, როგორც გრუდეევის ანგენტებს გამოურკვევიათ, მამასთან ჩხუბის გამო წამოსულა და ალექსანდრე ჭავჭავაძესთან მოსულა, წინანდლაში სამოსახლო ადგილის გამოსათხოვრად“.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ამ სომეხისათვის ურჩევია უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ გრუდეევს მასზე ეჭვი ადეია. ვასილ გრუდეევი წერს:

„მე ამ სომეხში ეჭვი შევიტანე. რიმმე მნიშვნელოვანი ბოროტმოქმედების ჩადენის გამო ხომ არაა გამოქცეული, ან მოგზავნილი ხომ არ არის ჭავჭავაძესთან ვისაგანმე საიდუმლო დავალებით — რისთვისაც მაშინვე ვაცნობე თელეფში მყოფ ჟანდარმთა კორპუსის კაპიტანს სლინკოს, მისი მხრიდან ზომების მისაღებად ამ სომეხის შესაპყრობად.

კაპიტანმა სლინკომ მაცნობა, რომ აღნიშნული სომეხი ბაღდასარ მუხარეული დაჭერილია და გაგზავნილია ქალაქ ტფილისში“.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში თბილისის სახაზინო პალატის „ნაოვორნი სოფერტნეს“, დიმიტრი ელისეის ძე ზუბარევს, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ, მარშალ გიორგი ილიას ძე ერისთავის მეუღლესთან ერთად მოუნთლია ალექსანდრე ჭავჭავაძის ახლად შობილი ასული — სოფია.

16-17 ოქტომბერს ა. ჭავჭავაძესთან სტუმრად მოსულა სამი თუში, ისინი თელავეში ჩამოსულნა ერბოს გასაყიდად და მარილის შესაძენად. წინანდალში ჭავჭავაძესთან გამოუვლიათ, როგორც ნათესავთან.

„როცა მე აგენტს ვუბრძანე, — წერს გრუდეევი, — ეკითხა მათთვის, რა ნათესაობა შეიძლება იყოს ველურებსა და ქართველ თავადს შორის, მათ თქვეს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნათესავად თელეთ ბრძანო, რომ თითქოს ჭავჭავაძის გვარის წინაპრები თუშებისაგან არიან წარმომდგარნი, რის შესახებაც თვით თავადმა ჭავჭავაძემ მასთან ჩამოსულთა შესახებ საუბრისას მითხრა, რომ თუშები მას ასე თვლიან, ამიტომაც ყოველთვის მოდიან მასთან“.

ალექსანდრე ჭავჭავაძესთან თუშებს ერთ ღამე გაუთენეიათ. ჭავჭავაძეს მაიდამი „დიდ ვეფხვიერობა“ არ გამოუჩენია. ალბათ იმიტომ, — შენიშნავს გრუდეევი, — რომ არ უნდოდა მე შენიშვნა მომეცა“.

იასაულის შემდეგ მოხსენებითი ბარათიდან ვიგებთ, რომ ა. ჭავჭავაძესთან თელავიდან ჩამოსულან: თავადი ვახვახიშვილი, ხარსის წმ. სტეფანეს მონასტრიდან — არქიმანდრიტი სერაფიმე ნოდარიშვილი.

ექიმი პრეიალოგესი 23 სექტემბერს თბილისში წასულა, მაგრამ მალე დაბრუნება ალუბალქვამ, რომ სერაფიმესთვის ემკურნალა, რომელიც წინანდალში ავად გამხდარა. დიმიტრი ფალავანდიშვილი ლეკების საყარაულო ხაზზე გამგზავრებულა. ივანე ჯანდიერი თელავს წასულა სალეკო სასამართლოში სამსახურებრივი საქმის გამო. ავადყოფი არქიმანდრიტი მოუნახულებიათ: ივანე და თომა ნოდარიშვილებს. 25 სექტემბერს თავად ვახვახიშვილს წინანდალი დაუტოვებია.

„28 ოქტომბერს ალექსაედრე ჭავჭავაძე ვასილ გრუდეევისა და ავენტის თანხლებით ნოფარეულში წასულა და დაბრუნებულა 30 ოქტომბერს. ნოფარეულში ლეგეტების საჩივარი გაურჩევია, სტეფრად არავისთან არ მისულა. მის სანახავად კი მოსულან: „ნადვორნი სოვეტნიკი — ავალიშვილი, თავადი ყარალაშვილი და სამსახურიდან გამოსული შტაბს — კაპიტანი ფედორეოვი“.

2 ნოემბრს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, გზად გამოუელია ბოდბელ მთავარ ეპისკოპოსს ივანე მაყაშვილს, რომელსაც საკმაო ლეგენი მიუღიოდა სოლომონ დოდაშვილის პეტერბურგში სასწავლებლად გაგზავნის საქმეში. იოანე მაყაშვილს ღამე გაუთენავს ჭავჭავაძესთან და იყალთოში წასულა ოთხმე მაყაშვილის ყარის ეკლესიის გასანათლად. სტუმრად ყოფილან: რომან ჭავჭავაძე და დიმიტრი ფალავანდიშვილი, რომლებიც ოთხ ნოემბრამდე დარჩენილან.

4-9 ნოემბრის განმავლობაში ა. ჭავჭავაძესთან მოსულან: პრაპორჩიკი ვახვახიშვილი, ავალიშვილი, კოლეგსკი ასესორი მენენკაშვი და ექიმი დენენრი, თბილისდან დაბრუნებული მკურნალი პრეიალოგესი.

„ა. ჭავჭავაძეს წინანდალში ყოფნის ვადა 16 ნოემბერს გადიოდა, მაგრამ მას საქმეებზე მოუგვარებლობა მოუბიზზეზებია და ბარონ როზენისთვის ვადის გაგრძელება უთხოვია. ამ უკანასკნელს ანგარიში გაუწევია მოხუნდელისათვის და ერთი თვეც დაუტოვებია ალექსანდრე წინანდალში“.

ა. ჭავჭავაძის მეორე მეთვალყურე, ჩინოვ-

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲐᲚᲐᲮᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ
ᲪᲮᲝᲛᲠᲘᲡᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ

ნიკი ალექსანდრე პოპოვი, 1833 წლის 14 დეკემბერს წინანდლიდან რიზეს ატყობინებდა, რომ „ალექსანდრე ჰაჯეკაკუს აქ ყოფნის ვადა გასდის და გადაწყვეტა ამ თვის 16 ან 17 რიცხვში გამეგზავროს, რომ 20 რიცხვში თქვენ წარმოგიდგეთო“.

მოაწერეთა რა სახლისა და მამული საქმეები, ალექსანდრემ წინანდალში დატოვა მოხეცი დედა, მეუღლე — სალომე, ახლად შობილი ასული—სოფიო და წინანდლიდან თბილისში წამოვიდა, რათა ისევ ტამბოვში, გადასახლებაში გამგზავრებულიყო.

წინანდალში შინაური პატიჟრობაში მყოფ ალექსანდრე ჰაჯეკაპაქისთან მოსულთა შესახებ

ეურნალ „ცისკრის“ 1957 წლის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული იასიელ ვასილ გრუდადეის დღიურების ანოტაციის ბოლოში პროფესორი ს. ხუციშვილი შენიშნავს:

„ვასილ გრუდადეის რაპორტებში დასახელებულ ამბებისა და პიროვნებებს გაშიფრა და მათ ირგვლივ ცნობების გამოშუერეტება, სპინტერეესო სურათს გადაშლის ალექსანდრე ჰაჯეკაკის ცხოვრების ერთი მონაკვეთის შესახებ“.

შეშმარიტად საყურადღებო სურათი იშლება.

ვასილ გრუდადეის რაპორტებში დასახელებული პიროვნებათა გაშიფვრისას გამოირკვა, რომ წინანდალში, შინაურ პატიჟრობაში მყოფ ალექსანდრე ჰაჯეკაძესთან მოსულთა უმეტესობიდან ზოგი მთიანეთის 1804 წლის ამბოხების, ზოგი კახეთის 1812 წლის აჯანყების და ზოგიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო.

ვნახოთ ვინ იყვნენ ისინი:

I მთიანეთის 1804 წლის ამბოხების მონაწილენი ა. ჰაჯეკაპაქისთან

1. აზნაური კოზმანაშვილი გლახა.
2. სამსახურიდან გამოსული შტაბს-კაპიტანი ჯანდიერი ივანე.
3. ნადვორნი სოვეტნიკი ივალიშვილი.
4. ბოდბელი მთავარეპისკოპოსი იოანე მაყაშვილი.

II კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილენი ა. ჰაჯეკაპაქისთან

1. თადია ჩოლოყაშვილი — ნინია გურგენიძესთან ერთად სპარსეთს გაქცეული.

III 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი და ხელისშეშფყობნი ა. ჰაჯეკაპაქისთან

1. ნიეგეგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორჩიკი კონსტანტინე შერვაშიძე, შეთქმულების მონაწილე.

კონსტანტინე შერვაშიძე პეტერბურგის პაუთა კორპუსში პოტ ვახტანგ ორბელიანთან ერთად სწავლობდა. პრაპორჩიკის ჩინით სარქართველოში ჩამოსული, ყარადაღში დაბანაკებული ნიეგეგოროდის დრაგუნთა პოლკში გაამწესეს.

1832 წლის შეთქმულების ავტორი პოტემა ვახტანგ ორბელიანმა გაანდო. აი რას წერს იგი:

„თავადი შერვაშიძე პეტერბურგიდან რომ დაბრუნდა, გაანახლა ჩემთან მეგობრობა, როგორც ჩვენ ეწერნაკ გვქონდა პაუთა კორპუსში.

ჩვენ ერთი მეორეს ხშირად ვნახულობდით. ერთ დილას მივედი მასთან და იგი ოთახში მარტო დამხვდა. ჯერ სხვადასხვა საგნებზე ვიელაპარაკეთ, შემდეგ მან მითხრა: როგორ არა გრცხვენინან, რომ მე რაშეს მიმალავ; მე ვიცი, რომ არიან აქ ზოგიერთი ახალგაზრდები, რომლებიც საქართველოს განთავისუფლებასა ცდილობენენ.

მე ჯერ არ მინდოდა გამოვტეხოდი მას, მაგრამ დავინახე რა რომ თავისუფლებაზე დიდი გატაცებით ლაპარაკობდა, — გაეუქმდაენე. ჰაა სამდურავი მითხრა, რომ აქამდე მის წინაშე ამას ვმალავდი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ჩამოვგიეარდი სიტყვა თავისუფლებაზე.

იცი თუ არა, მითხრა თავადმა შერვაშიძემ, რომ მე თქვენს განზრახულობას დიდი სარგებლობა შემიძლია მოვეტანოო.

მე შემიძლია მთელი აფხაზეთი ავაჯანყოო, ორი ათასი აფხაზთან სრულებით გავუშვებდავ აფხაზებს რუსებიბისგანო. ხოლო რიდეესაც მე ვკითხე შეუძლიან თუ არა მას აჯანყების დაწყების დროს ტფილისში რამდენიმე აფხაზი გამოგზავნოს, მან მიპასუხა, რომ ადვილად შეუძლიან 300 კაცის გამოგზავნა“.

ამის მერე კონსტანტინე შერვაშიძეს საგანგებოდ მოლაპარაკება ფარული საზოგადოების ერთ-ერთი მოთავე ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. ისე ფალავანდიშვილი უჩვენებდა:

„ალექსანდრე (ვახტანგის ძე ორბელიანი — ი. ბ.) ამბობდა, რომ დრაგუნთა რაზმის ოფიცრებმა 1831 წელს იცოდნენ შეთქმულება, რადგან ელიზავრის (ერისთავეს — ი. ბ.) ორივე ძმები იქა მსახურობენ. პრაპორშჩიკ შერვაშიძეს კი თვითონ ელაპარაკა თავის სახლში“.

როცა შეთქმულება გამომჟღავნდა, ნიკოლოზ პირველმა ბრძანა:

„ნიეგეგოროდის დრაგუნთა რაზმის პრაპორჩიკი თ. კონსტანტინე შერვაშიძე გადაყვანილ იქმნას ვიეტენბერგის გუსართა რაზმში, ამ პირობით, რომ მას არ მიეცეს კავკასიაში დაბ-

რუნლების უფლება. საქართველოს უზენაეს მართველობასთან წინასწარ შეუთანხმებლად. ხოლო მისი დედის თამარ შერვაშიძის კეთილგანზრახულობის საპატივსაცემიდ დაენიშნოს მას ჯამაგირის გარდა წელიწადში 1.500 მანეთი ასიგნაციებით".

როგორც ჩანს, კონსტანტინე შერვაშიძე კვლავ ყარიღაჯში მდგომ ნიეკეროროდის დრაგუნთა პოლკში დაუტოვებიათ.

ამას შემდეგი გვაფიქრებინებს:

1833 წლის 11 სექტემბერს კონსტანტინე შერვაშიძე სოფელ ბუკუნანში შეჰგებებია თბილისიდან წინანდლისაკენ ბადრაგით გამოგზავნილ ალექსანდრე ჭავჭავაძეს. 11 სექტემბერსვე საღამოს წინანდალში მოსულ ალ. ჭავჭავაძეს სტუმრად წწვეია და 13 სექტემბერს ისევ მოუნახულებია პოეტი.

2. თადა ჩოლოყაშვილი — რომელიც კახეთის 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობას შემდეგ სპარსეთს გაქცეულა საქართველოში დაბრუნებულა და მერე, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობა მიუღია.

1832 წლის ნოემბერში, როცა თადა ჩოლოყაშვილი ცოლ-შვილით ნათლეულნი ცხოვრობდა, შეთქმულების არსებობა მას ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის სახლში გაანდვეს და მონაწილეობა შესთავაზეს. ა. ვ. ორბელიანი გვიამბობს:

„მე 14-ე კლასის თავადი თადა ჩელოყაევი მიმდინარე (1832. — ი. ბ.) წელს იყო ჩემთან ჩემი ავადყოფობის დროს სხვა ჩვენ თანამზრახველებთან ერთად, მისი მონაწილეობით ვლაპარაკობდით ჩვენს განზრახულობაზე, მაგრამ იგი მის შეეძლებლობას ამტკიცებდა, ამბობდა, რა, რომ 1812 წლის ამბოხებაში მონაწილეობის დროს იგი დარწმენდა, რომ მთავრობისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია".

შეთქმულებაში თანამონაწილეობაზე დაეთანხმებულ თადა ჩოლოყაშვილს უმალვე თბილისი დაუტოვებია და აშშილიერ კახეთში გამგზავრებულა. ელიზბარ ერისთავი უჩვენებდა:

„ემიდნარე (1832 — ი. ბ.) წელს ალექსანდრე (ვახტანგის ძე — ი. ბ.) ორბელიანოვის სახლში გაუზიარეს ჩვენი განზრახულება თ. თადა ჩოლოყაევს, მაგრამ მან იგი სრულიებით არ გაიზიარა და მაშინვე სიფელში წავიდა".

თადია ჩოლოყაშვილს ასე უბრალოდ არ ჰამოშორდნენ. კვლავ და კვლავ ცდილობდნენ ჰაეთრთით ფარულ საზოგადოებაში. მაშინ თადიამ შემდეგი პირობა წამოაყენა. ბიძისა ერისთავი გადმოგვეცემს:

„ერთხელ თავად ვახტანგის ძეს ალექსანდრე ორბელიანოვთან ვიყავით მე ჩემი ძმა გიორგი, ზაქარია ჩოლოყაევი და თადია ჩოლოყაევი და იქ ლაპარაკში თადიამ თქვა: „ეგ ბანმა ანა ვიქნებინო მინამ ბუხარა ბატონი, ჭავჭავაძე ალექსანდრე, დიმიტრი თამაზის შვილი და ლუარსაბ სარდლის შვილი (ორბელიანები — ი. ბ.) თანაბარა არ გახდებიან და ყოველი თავათ ერთხელ დაეიღუპეო".

ამ მოთხოვნის საპასუხოდ შეთქმულების მოთავეებმა თადია ჩოლოყაშვილს საქმე ისე მოუწყეს, რომ თავადაზნაურთა არჩევნებზე არ დაეშვეს. თადიამ ამის მოწყობა ალ. ჭავჭავაძეს დაანარცა. ალ. ჭავჭავაძე წერს:

„თადია ჩემი აშკარა მტერია. რასაკვირველია, მან უკვე მოასწრო კაპიტანი ჩოლოყაევი (ზაქარია — ი. ბ.) ჩემ წინააღმდეგ განეწყო, შთაავონა რა მას, რომ ყოფილმა გუბერნატორმა ზავილეისკემ ჩემი დაეინებით წაართვა მას თავადაზნაურთა საკრებულოში დასწრების უფლება, მაშინ როდესაც ამის მიზეზი თვით თავად თადია ჩოლოყაევის ეულზეობა იყო, რის გამოც იგი უკანასკნელ არჩევნებზე დაშვებული არ ყოფილა".

შეთქმულთა ფანდმა გასჭრა. თადია ჩოლოყაშვილი როგორც იქნა დათანხმდა შეთქმულებაში თანამონაწილეობაზე.

ერთხელ, უკვე შეთქმულ თადია ჩოლოყაშვილისათვის გეორგი რეკაზოს ძე ერისთავს უკითხავს: „რამე აჯანყებაა რომ მოხდეს, რამდენს მოპკლავო?".

არ ვიცით რა უპასუხა თადიამ, ცნობილია: შეთქმულება რომ გამომეღვიძა, თადია ჩოლოყაშვილიც პატიმრობაში აიყვანეს და შემდეგ განთავისუფლებული, საქართველოში დატოვეს მეკარი მეთვალყურეობის ქვეშ.

თადია ჩოლოყაშვილმა მერე ვიიფო, რისთვის არ დაუშვეს თავადაზნაურთა არჩევნებზე. ამის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე გული მთლანად მოიბრუნა და 1833 წლის 11 სექტემბერს წინანდალში შინაურ პატიმრობაში მყოფი პოეტი მეგობრულად მოინახულა.

3. პორუჩიკი ეგორ ახვერდოვი. შეთქმულების ხელისშემწყობი.

ეგორ თეიდორეს ძე ახვერდოვი ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათესავია.

პეტერბურგში, პაჟთა კორპუსში შესასვლელად იყო გაგზავნილი, მაგრამ რატომდაც ვკარიდის პოდპორუჩიკებისა და კავალერიის იუნკრების სკოლაში შეეიდა. სკოლა 1827 წელს კურსის დამთავრებლად მიატოვა.

„როცა პასკევიჩთან მოვიდა, სპარსეთთან საომარი მოქმედება იყო გაშლილი, იგი კარაბინერთა მე-7 პოლკში ჩაირიცხა და მურავიოვს თავრიზის ლაშქრობაში ახლდა".

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ეგორ ახვერდოვი ქართველ გრენადერთა

იაკობ გალახაშვილი
ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლეში მსახურობდა და თბილისის ციხის სიგუშვაზზეც უხდებოდა მორიგეობა.

შეთქმულთაგან ეგორ ახვერდოვს ისაე ფალავანდიშვილი დაახლოებით და აჯანყების პირველ დღეს თბილისის ციხეში შესაღწევად ის ყოლია ნავარაუდევი. ა. ვ. ორბელიანი გადმოგვიცემს:

„როდესაც თ. ისაე ფალავანდო�ა ის თავის დაწერილი რასპარაკენია („პირველი ღამის განკარგულება“ — ი. ბ.) გვაჩვენა, წაგვიკითხა, ამასთან ესეკი-თქო, რომ ის ღამეს ციხეში ახვერდოვს დავაკვეს ყარაულითაო“.

პოეტი ვახტანგ ორბელიანი წერდა:

„ბრაპორჩიკ მამაკოფთან (ისაეს — ი. ბ.) ვიყავით საღილზე. მე გაეგიორე ისაე ფალავანდოვისაგან ეს სიტყვები: «პირველ ღამეს რომ თავს დაეეხსნით ციხეს, მაშინ იქ საგუშაგოზე იქნება პოდპორუჩიკი ახვერდოვი, იგი ჩვენ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაგვიღებს კარსაო»“.

ელიზბარ ერისთავი კი აჩვენებდა:

„ახვერდოვზე ისაე ფალავანდოვი ამბობდა, რომ სადაც არ უნდა იდგეს იგი სადარაჯოზე, იგი მას გაატარებს და მისი პოსტის ალება ადვილია“.

საგამომძიებლო კომისია მერე იკვლევდა ეგორ ახვერდოვის დამოკიდებულებას შეთქმულებასთან. იგი პატიმრობაში მართლაც არ აუყვანიათ, მაგრამ მასზე გამოძიებული მეთვალყურეობა იქნა დაწესებული.

ეგორ ახვერდოვმა 1833 წლის 11 სექტემბერს წინანდალში მოინახულა პატიმრობიდან განთავისუფლებული, შინაური ტესაღობაში მყოფი შორეული ნათესავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ᲛᲔᲗᲔᲒᲚᲝᲑᲐ ᲐᲕᲚᲐᲠᲘᲡ ᲩᲘᲓᲘᲡ ᲛᲐᲡᲚᲝᲑᲚᲐᲓ

ერთი საბუთით ირკვევა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს რტიშჩევის მთავარმართველობის დროს 1812—1816 წლების შეიღლდნი, მტკვრის მარცხენა მხარეს, ავლაბრის ჩიდის მახლობლად რიყის მიდამოებში გამოყოფილი ჰქონია საცხოვრებელი ბინის ასაშენებელი ადგილი და მშენებლობა დაუწყია კიდეც.

მშენებლობა ძლიერ ნელა, დაუმტკიცებელი გეგმით და ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე მიმდინარეობდა.

1831 წლის 19 სექტემბერს, თბილისის „სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციამ“ დაამტკიცა მშენებლობაში მყოფი ალ. ჭავჭავაძის სახლის გეგმა.

ორი წლის შემდეგ — 1833 წლის ოქტომბრის დამდეგს, ყორღანაშვილის მიერ მიწის თაობაზე აღძრული საჩივრის საფუძველზე ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლის მშენებლობა შეჩერებულ იქნა.

ᲘᲡᲘᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ერთი საქმით ირკვევა, რომ ისაეულ ვასილ ბერდაევესაგე დაევალა თურმე ალექსანდრე ჭავჭავაძის ტამბოვში ჩაყვანა.

საბუთში, რომელიც დათარიღებულია 1833 წლის 23 დეკემბრით, კეთხულობთ:

„მისი უმაღლესობის იმპერატორობით უდიდებულესობის ბრძანებულების შესასრულებლად კავალერიაში მყოფი გენერალ-მაიორი თავადი ჭავჭავაძე იგზავნება საქართველოდან საცხოვრებლად ქალაქ ტამბოვში, სადაც იმყოფებოდეს. იქნება იგი მთავრობის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ...

ვნიშნავ რა თქვენ მაღალეთილშობილებას ამ გენერლის გასაცილებლად, გიბრძანებთ იმგზავრით მასთან ერთად აქ თანდართული მარშრუტით ქ. ტამბოვისა...

ადგილზე მისვლისას გამოუხადდებით რა იქაური სამოქალაქო გუბერნატორთან, თვითონ დაბრუნდეთ ტფილისში; მგზავრობის დროს კი იხელმძღვანელეთ თავად ჭავჭავაძის მიმართ იმავე დარიგებებით, რაც ჩვენს მიერ იყო მოცემული მაშინ, როცა მასთან ერთად კახეთში გიგზავნიერეთ“.

ამავე საქმით ირკვევა, რომ:

„1) ვალი გრუდაევს ტამბოვამდე სამგზავრიდ და უკან დასაბრუნებლად 3024 1/2 ვერსს სამი ცხენით გავლის საფასურად ხაზინიდან უნდა მიეღო ვერცლით 88 მან, 86 კაპ. და ასიგნაციებით 738 მან, 15 კაპ.

2) კვების ფული დებულებით გრუდაევს ერგებოდა დღედამეში 2 მანეთი. მგზავრობა ნავარაუდები იყო სამ თვეს“.

დასაბრუნებელი საქმის 168 ფურცელზე მოყვანილია გადასახლების მარშრუტი თბილისიდან ტამბოვამდე, რაც ნაანგარიშებია 1512 1/4 ვერსით.

ᲛᲝᲒᲖᲐᲕᲐᲜᲘ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘ:

„ტფილისიდან ტამბოვამდე

დუშეთი — 51
ანანური — 11 1/2
ვლადიკავკაზი — 114
ეკატერინოგრადი — 105 1/2
ეკორგიევსკი — 80
ალექსანდროგრადი — 78
სტავროპოლი — 92 1/2
ვიტებსკი — 316 1/2
ნოვოჩერკასკი — 96
კონსტანტინოვსკაია — 30
სუხაჩევსკაია — 225
ეკაბსკაია — 95
ალექსანდროვსკაია — 95
ტრიეატორიოვსკაია — 24

ნოეოოპერსკი — 71
რიაზანსკაია — 84 1/4
ტამბოვი — 89
1512 1/4".

1834 წლის 18 იანვარს ალექსანდრე ჭავჭავაძე ვასილ გრუდაევისა და სხვა გამყოლთა თანხლებით თბილისიდან ტამბოვს გამგზავრებულა.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივშივე დაცულია მიმართვა ტამბოვის სამოქალაქო გუბერნატორისადმი, რომელიც „იტყობინება რომ ჩატარდა გამოკვლევა ტფილისში აღმოჩენილი შეთქმულებისა, რომ ამ შეთქმულებასთან დაკავშირებით გენერალ-მაიორი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე გადმოგზავნილია საცხოვრებლად ტამბოვში, იგი მიპყავს შაი ზღვის ყაზახთა ჯარის ესაულ გრუდაევს და რომ საჭიროა თავადზე ადგილობრივ საიდუმლო თვალყურის დევნების დაწესებაო".

იმავე წლის 24 იანვარს იგი ვლადიკავკაზში ჩასულა.

ხსენებულ არქივშივე ინახება „საბუთი, რომელიც შედგენილია გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძის მიერ ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრეში 1834 წლის 24 იანვარს და მიღებულია იმავე დღეს ადრესატს, ვლადიკავკაზის კომენდანტს, გენერალ-მაორისა და კავალერის ორანსკის მიერ, ირკვევა, რომ ამ დღეს იგი შეკვეთილ ვლადიკავკაზში ყოფილა და მისთვის დღლის 9 საათზე გამოუცხადებიათ, რომ მომზადებულიყო გზის გასაგრძელებლად, რაზედაც ჭავჭავაძეს განუმარტავს და მოუთხოვნია სათანადო კონვოი, და მე მაქვს უფლება უმაღლესად დიდხანს შეჩერებისაო. როგორც საბუთებიდან ჩანს, ჭავჭავაძე 26 იანვარსაც ვლადიკავკაზში ყოფილა".

ტამბოვში იგი ჩასულა 1834 წლის 18 თებერვალს და მამინვე ეარშავაში პასკევიჩისათვის წერილი გაუგზავნია. უთხოვია: დახმარებოდა პეტერბურგში მეფის სანახავად ჩასვლის ნებართვის მიღებაში.

1834 წლის 27 მარტს დაწერილ პასკევიჩისადმი გაგზავნილ ბარათში ეკითხულობთ:

«Осмеливаюсь льстить себя надеждой — что ваша светлость удостоите благосклонного внимания покорнейшую мою просьбу, поставите мне сильным вашим представительством высокое счастье предстать пред священным лицом моего государя и, вместе с тем, не оставите представить е. и. в. все что известно вам о моей службе, моим поведение и образе моих мыслей».

პასკევიჩმა იმუამდგომლა. მეუამდგომლობამ გასჭრა. 1834 წლის 22 აპრილს, ალექსანდრე ჭავჭავაძე ტამბოვიდან პეტერბურგში გაიწვევეს. მისის პირველ რიცხვებში პოეტი პეტერბურგს გაემგზავრა.

ამგვარად, ტამბოვში ალექსანდრე ჭავჭავაძე მხოლოდ ორთვენახევარი დაჰყო.

გაგრძელება იქნება

მასწორება

ჟურნალ „ცისკრის" 1976 წლის მარტის ნომრის მოწინავე წერილში გაპარულია კორექტურული შეცდომა. მესამე გვერდის მეცხრე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „და ჯერ კიდევ ექ გახლდით, როცა „პრავდამ" მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას..." შემდეგ როგორც ტექსტშია.

ნახატები დიმიტრი ერისთავისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციცუშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

გადაეცა ასაწყობად 23.7.76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.9.76 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14.35. შეკვეთა № 2543. უე 00832. ტირაჟი 28.050.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

L. 23/169

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236